საისტორიო ვერტიკალები

- **HISTORICAL VERTICALS**
- **ВЕРТИКАЛЫ ИСТОРИИ**
- **GESCHICHTS VERTIKALES**
- **LES VERTICALES HISTORIQUES**
- **VERTICALES DE LA HISTORIA**
- **TARIHIN DIKEY HATLARI**

თბილისი TBILISI ТБИЛИСИ

55

2025

ეროვნული უსაფრთხოება ტექნოლოგიური მეცნიერებათა ასპექტში, ანუ თეორიული ასპექტი

ეროვნული უსაფრთხოება

მთავარი რედაქტორი: **იგორ კვესელავა**

პასუხისმგებელი რედაქტორი:
ედიშერ გვენეტაძე

რედაქტორის მოადგილე: **გურამ გვენეტაძე**

რედაქტორის მოადგილე საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საორგანიზაციო საკითხებში: **ნონა ცაბაძე**

EDITOR IN CHIEF: **IGOR KVESELAVA**

EXECUTIVE EDITOR:
EDISHER GVENETADZE

DEPUTY EDITOR: **GURAM GVENETADZE**

DEPUTY EDITOR FOR PUBLIC RELATIONS AND ORGANIZATIONAL AFFAIRS:
NONA TSABADZE

საზღვარგარეთის ბიურო:

რუდიმერ ადრესენი (გერმანია)
ჰიროტაკი მაედა (იაპონია)
ჯუნჯი იტო (იაპონია)
ფრანსუაზა ტომი (საფრანგეთი)
ბადრი გოგია (საფრანგეთი)
სტივენ ჯონსი (აშშ)
დილავერ ჰალიტე (თურქეთი)
ჰ. პ. ანგელოვა (ბულგარეთი)
ა. მკრტიჩიანი (ესპანეთი)
ტ. კოროტკი (უკრაინა)
მ. პოლოვი (უკრაინა)

აჭარის ბიურო:

ავთანდილ დიასამიძე

INTERNATIONAL AGENCY:

RUDIMER ADRESEN (GERMANY)
HIROTAKI MAEDA (JAPAN)
JUNJI ITTO (JAPAN)
FRANSUAZA TOM (FRANCE)
BADRI GOGIA (FRANCE)
STEPHAN JONES (USA)
DILAVER HALIT (TURKEY)
H.P. ANGELOVA (BULGARIA)
A. MKRTICHYAN (SPAIN)
T. KOROTKYI (UKRAINE),
M. POLOVYI (UKRAINE)

ADJARA AGENCY:

AVTANDIL DIASAMIDZE

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი
საქართველოს სოციალურ მეცნიერებათა აკადემია
საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY
Faculty of Law and International Relations
Academy of Social Sciences of Georgia
The international refered and reviewed scientific journal of the Department of Policy and International Relations

სარედაქციო კოლეგია:

გ. აბესაძე, ნ. ბახსოლიანი, ჯ. გაბელია, კ.ზ. გამსახურდია, ჯ. გახოკიძე, ვ. გურგენიძე, ა. დიასამიძე, ზ. კვეტენაძე, თ. კიკნაძე, კ. კოპალიანი, ჰ. კუპრაშვილი, თ. ლომინაძე, ს. მიდელაშვილი, ა. სონღულაშვილი, ზ. სოფრომაძე, ა. ფუტკარაძე, ვ. შუბითიძე, ი. შურღაია, მ. ყიფიანი, დ. ჩუბინიძე, ა. ხევცურიანი, ივ. ჯაგოდნიშვილი, ე. ჯაფარიძე, ქ. ჯიჯეიშვილი.

EDITORIAL STAFF:

G. Abesadze, B. Bakhsoliani, J. Gabelia, K. Z. Gamsakhurdia, J. Gakhokidze, V. Gurgenidze, A. Diasamidze, Z. Kvetenadze, T. Kiknadze, T. Lominadze, A. Khevtsuriani, K. Kopaliani, H. Kuprashvili, S. Midelashvili, V. Modebadze, A. Songulashvili, A. Putkaradze, V. Shubitidze, I. Shurghaia, Z. Sopromadze, M. Kipiani, D. Chubinidze, Iv. Jagodnishvili, E. Japharidze, K. Jijeishvili.

ტექნიკური რედაქტორი - ქეთი კვესელავა.

ჟურნალის გარეკანი შეასრულა - ემირ ბურჯანაძემ.

ემბლემა ეკუთვნის სახალხო მხატვარს - კობა გურულს.

ჟურნალი ხელმძღვანელობს კანონით პრესის შესახებ.
გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

ჟურნალი დაარსდა ზვიად გამსახურდიას ინიციატივით
1991 წელს, აღდგა 2002 წელს

მისამართი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
კოსტავას 77, კორპუსი VI, ოთახი 615ᵃ

Editorial office address: GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY
Tbilisi, Kostava 77, block VI, room 615ᵃ

599 24 64 74; 592 39 05 85; 595 29 89 07
E-mail: historicalverticals2002@gmail.com

შინაარსი – CONTENTS – СОДЕРЖАНИЕ

ისტორია – HISTORY – ИСТОРИЯ

იგორ კვესელავა
ისტორიოგრაფიული მონახაზები 7

ედიშერ გვენეტაძე
ფაშისტური გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციის საკითხისათვის 45

გრიგოლ ონიანი
პოსტსტალინური ეპოქა და სტალინის აქტუალობა 54

ნონა ჟველია
საეკლესიო შინაარსის სამართლის ისტორიული ძეგლები 59

НИНО ГИЛАУРИ, МЭГГИ ПАЛАВАНДИШВИЛИ
Приезд А.Н. Островского в Грузию и его „Кавказский дневник“ 65

ნონა ჟველია
ოდიშის (სამეგრელოს) სამთავრო 1801-1804 წლებში 70

პოლიტიკა – POLICE – ПОЛИТИКА

NATIA LATSABIDZE
The „Deep State˜ and its influence on modern politics. 77

ნატა თეთვაძე
რეპრესიასა და წინააღმდეგობას შორის: თინათინ გონიაშვილისა და თინათინ თუშმალიშვილის პოლიტიკური მოღვაწეობა (1942 წლის შეთქმულება). 82

LELA CHIKOVANI
Theory or Practice - The Weak Deter the Strong 86

დავით ბოჭორიშვილი
აშშ-რუსეთის ურთიერთობები პოლიტიკური დაპირისპირების ფონზე. 90

მარიამ კიკნაძე
სპარსეთის ყურის ქვეყნების ენერგოუსაფრთხოების თანამედროვე ტენდენციები. 94

საერთაშორისო ურთიერთობები – INTERNATIONAL RELATIONS – МЕЖДУНАРОДНЫЕ ОТНОШЕНИЯ

ნუგზარ დურმიშიძე
შავი ზღვის რეგიონი და ბრძოლა მასზე გავლენის მოსაპოვებლად. 105

АЛЛА БИБИЛАШВИЛИ
Проблемы делимитации границ и реинтеграции армянского населения в азербайджанское общество. 112

ნინო თავართქილაძე
თანამედროვე უკრაინის ისტორიული განვითარების ძირითადი ეტაპები. 120

ნონა ცაბაძე
მცირე სახელმწიფოები საერთაშორისო სისტემაში (თეორია და პრაქტიკა პოსტსაბჭოთა სივრცის ჭრილში). 125

ედიშერ გვენეტაძე, მანანა მორჩილაძე
რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომის გავლენა ევროკავშირზე. 136

გრიგოლ ჟოჟიკაშვილი
პატარა სახელმწიფოების როლი გლობალურ უსაფრთხოების არქიტექტურაში: საქართველოს სამხედრო დიპლომატიისა და სამშვიდობო მისიების ანალიზი. 144

ლევან თეძთუმანიძე
ინტერპოლის პოლიტიკა და მარეგულირებელი აქტები – გაეროს ტრანსნაციონალური უსაფრთხოების სისტემის ნაწილი. 150

თორნიკე ჩიქოვანი
ტერორიზმისა და ჰიბრიდული ომის ურთიერთმიმართება და ფსიქოსოციალური ფაქტორების როლი თანამედროვე უსაფრთხოების გარემოში 158

სამართალი – LAW – ЮРИСПРУДЕНЦИЯ

ლევან ცაგარეიშვილი
გადასახადის გადამხდელის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და პრევენცია. 163

ლევან ცაგარეიშვილი
საგადასახადო სამართალდარღვევა და პასუხისმგებლობა საგადასახადო სამართალდარღვევისთვის. 167

სოციალური მეცნიერებები – SOCIAL SCIENCES – СОЦИАЛЬНЫЕ НАУКИ

გიორგი მონიავა
ჟურნალისტური საქმიანობა და პირადი არაქონებრივი უფლებები. პირადი ცხოვრების საიდუმლოება 173

მამუკა მაღლაკელიძე
კოლხურ-ელინური ეპოსი სპორტულ კულტურაში 181

დავით ძიძიგური
შიში, როგორც ფსიქოლოგიური და ცხოვრებისეული ფენომენი. 186

საჯარო მმართველობა – ECONOMICS – ГОСУДАРСТВЕННОЕ УПРАВЛЕНИЕ

მამუკა ამაშუკელი
ეკონომიკური უსაფრთხოების ძირითადი ასპექტები. 189

ეკონომიკა – PUBLIC ADMINISTRATION – ЭКОНОМИКА

თეა ბიძინაშვილი, ნანა ხითარიშვილი
მიწის მარკეტინგი, როგორც რეგიონული ეკონომიკის განვითარების ინსტრუმენტი:
საქართველოს მაგალითი 194

პაატა ბახტაძე
პანდემიები და ეკონომიკური ზრდა 201

თვალსაზრისი – POINT OF VIEW – СООБРАЖЕНИЯ

ვახტანგ ჭანია
ქართული პოლიტიკური „ელიტა“ თუ „ავგეას თვალები“ 207

იგორ კვესელავა
სტუ, პროფესორი

ისტორიოგრაფიული მონახაზები

წინამდებარე ნაშრომში განხილულია მე-20-21 სს-ის ქართული საისტორიო ისტორიოგრაფიის მიღწევები; ხაზი ესმება იმ ხარვეზებს, რომლებიც დაკავშირებული იყო მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მოთხოვნებთან, რაც ზღუდავდა თავისუფალი მეცნიერული აზრის განვითარებას და ართულებდა ისტორიული მეცნიერების ისტორიის შექმნას; მით უმეტეს, ხელისუფლების პოლიტიკის ოფიციალურად მხარდამჭერი მკვლევრები მიიჩნევდნენ, რომ კომუნისტური პარტიის ფუძემდებელი – ლენინი წარმოადგენდა ოქროს გასაღებს კომუნისტური ისტორიის მეცნიერული კვლევა-ძიებისა და გაშიფვრისათვის. თუმცა შემდგომ ჯერ „ულელინო“ და შემდეგ „უსტალინო“ პერიოდში დაიწყო მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის კრიტიკა.

საბჭოთა საქართველოში ვერ შეიქმნა ქვეყნის მართალი ისტორია. მოგვიანებით კი ჩამოყალიბდა ორი – „სახელისუფლებო“ და „ოპოზიციის“ – ისტორიოგრაფია.

ნაშრომში ხაზი ესმება, რომ ქვეყანაში გართულდა ისტორიისა და პოლიტიკური პორტრეტების შექმნა, „აწმყოს ხედვა წარსულის საშუალებით“ და „წარსულის გაგება აწმყოს გააზრებით“, მით უმეტეს სტალინის გადაწყვეტილებით, ომის შემდგომ პერიოდში საქართველოს თავს დაატყდა ახალი პოლიტიკური რეპრესიები და „ე.წ. მეგრელთა საქმის შეკოწიწება“, ხოლო სტალინის გარდაცვალების შემდეგ შემუშავდა ანდროპოვ-კოსიგინის პლატფორმა, რომელიც ითვალისწინებდა „ახალი საბჭოთა კავშირის“ შექმნას, უზბეკეთის, თურქმენეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, მოლდოვეთისა და სომხეთის გარეშე.

საკვანძო სიტყვები: *ისტორია, ისტორიოგრაფია, პოლიტიკა, საქართველო, მარქსიზმი, ლენინიზმი.*

საქართველოს ბოლშევიკური რევოლუციური აზრის ჩამოყალიბება, მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის შემოტანა და მისი პრაქტიკული განვითარება და განმტკიცება დაკავშირებული იყო ტერორთან, ძალმომრეობასა და საერთო ეროვნული იდეოლოგიის დამკვიდრების წინააღმდეგ ბრძოლასთან, რაც აისახა ქართულ ეროვნულ ისტორიაში და, პარალელურად, მარქსისტულ-ლენინურ ისტორიოგრაფიაში, რომელსაც მისი შემქმნელები მეცნიერების ისტორიის კვალიფიკაციას აძლევდნენ და ფიქრობდნენ, რომ ეს იყო ობიექტური მეცნიერება, რომელიც იყოფოდა მარქსისტულ, ლენინურ, სტალინურ, პიროვნების კულტის (სტალინი) და შემდგომ პერიოდებად.

ერთ-ერთ თავის წიგნში აკადემიკოსი **იური კაჭარავა** წერდა: **„მეტად რთული და ძნელია საერთოდ მეცნიერების ისტორიის, კერძოდ კი, ისტორიული მეცნიერების ისტორიის შექმნა. მაგრამ განსაკუთრებით რთულია და ძნელი მე-20 საუკუნის შესახებ ისტორიული აზრის განვითარების ისტორია“** [1].

საქართველოს მე-20 საუკუნის ისტორია ერთსახოვანი ხდებოდა, დაიწყო ობიექტური მეცნიერული აზრის შეზღუდვა და მისი დაქვემდებარება მარქსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგიასთან, სკკპ ყრილობის გადაწყვეტილებებ-

თან. უკრიტიკო იყო მარქსის, ლენინისა და კომპარტიის ხელმძღვანელების თეორიული შეხედულებები და მოსაზრებები (სტალინი, **ხრუშჩოვი, ბრეჟნევი, ჩერნენკო, ანდროპოვი** და **გორბაჩოვი**).

მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში საქართველოში ამოძრავდა მარქსისტული მიმდინარეობა; გამოჩნდა **მარქსისა** და **ენგელსის** „კომუნისტური პარტიის მანიფესტი", მარქსის „კაპიტალი", ენგელსის „ანტიდიურინგი" და სხვები, რომლებსაც მწვავედ აკრიტიკებდნენ **ა. ჯორჯაძე, ი. ფანცხავა, ვ. ჩერქეზიშვი**ლი და სხვა ავტორები.

ვ. ჩერქეზიშვილი, ევროპის ანარქისტული მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე, ერთ-ერთ ნაშრომში **კ. მარქსისა** და **ფ. ენგელსის** პლაგიატობაზე აკეთებდა მინიშნებას და აღნიშნავდა, რომ „კომუნისტური პარტიის მანიფესტი" **მარქსს** და **ენგელსს** ფრანგი სოციალისტის **ვ. კონსიდერანის** ერთ-ერთი ნაშრომიდან – „XIX საუკუნის დემოკრატიის მანიფესტი" – ჰქონდათ გადმოღებული.

ა. ჯორჯაძე ილაშქრებდა მარქსიზმის ფილოსოფიური საფუძვლების გადაწყვეტის წინააღმდეგ, რომელსაც უარყოფილ მოძღვრებად აცხადებდა; მისი აზრით, ეკონომიკური ურთიერთობა არ იყო კულტურის განვითარების მიზეზი და არც საფუძველი.

ჯორჯაძეს დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი დოგმატიკად, მარქსიზმის ეკონომიკური და ფილოსოფიური მოძღვრებიდან კი ცალ-ცალკე განზომილებებად, მიაჩნდა, არ შეიძლებოდა მათი გაერთიანება, რეალურ ადამიანურ სამყაროს მოწყვეტა, რაც საზოგადოების განვითარების შემაჩერებელი ფაქტორი გახდებოდა. მით უმეტეს, **ჯორჯაძის დასკვნით, მარქსიზმი წარმოადგენდა წმინდა ეკონომიკურ დოქტრინას, რომლის არსებითი ხასიათი ორ დებულებაში გამოიხატებოდა: ა) კაპიტალის კონცენტრაციაში** და **ბ) ზედმეტი ღირებულების თეორიაში.**

სხვა საკითხია, როგორ შესაბამისობაში უნდა ყოფილიყვნენ ერთმანეთთან ჰეგელისა და მარქსის **„დიალექტიკური" თეორიები** ან კიდევ, ისეთი თეორიული წარმოდგენები, როგორებიც იყო **იდეალიზმი** და **მატერიალიზმი, „სუბიექტურ-ობიექტური ცნებები** და მათ შორის არსებული წინააღმდეგობები (**სუბიექტური იდეალისტები და ბოლშევიკები**).

ქართველი ბოლშევიკები არ აღიარებდნენ კაპიტალისტურ წყობილებას, როგორც ქართველი ერის მხსნელ ძალას, მაშინ, როდესაც იმდროინდელი შეგნებული და განათლებული მოღვაწეები (**ი. ჭავჭავაძე, ა. ჯორჯაძე, ნ. ნიკოლაძე, რ. ფანცხავა, მ. საღარაძე, მ. წერეთელი** და სხვები) მხარს უჭერდნენ განვითარების კაპიტალისტურ გზას, მაგრამ სხვა მოსაზრება ჰქონდათ მარქსისტ-ლენინისტებს (სტალინი, **ფ. მახარაძე, ა. წულუკიძე, მ. ცხაკაია, ლ. კეცხოველი** და სხვები).

უცხოეთში მოღვაწე ქართველი პოლიტიკოსი **ლაშაური** სამართლიანად **უარყოფდა საქართველოში მე-19 საუკუნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობათა სოციალურ, ანტიბატონურ, ანტიმემამულურ ხასიათს. მისი აზრით, ამ მოძრაობის ერთადერთი მიზანი იყო ბრძოლა მეფის რუსეთის პოლიტიკის წინააღმდეგ და დღის წესრიგში არ იდგა ბრძოლა ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის. მით უმეტეს, ჯერ კიდევ შამილის მიერ გამართული 30-წლიანი კავკასიური ომი მიმართული იყო რუსეთის მკაცრი კავკასიური პოლიტიკის წინააღმდეგ და ისინი ევროპიდან (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი) იმართებოდა.**

1832 წლის შეთქმულება რუსეთ-საქართველოს 30-წლიანი ომის დამამთავრებელი ეტაპი იყო, რომელიც დამარცხებით დასრულდა და უფრო გააძლიერა რუსული მმართველობა აღმოსავლეთ და შემდეგ მთლიან საქართველოში.

შეთქმულებას მხარს უჭერდნენ ქართველი პოლიტიკოსები, სამხედროები, თავადაზნაურობისა და სხვა ფენების წარმომადგენლები, თუმცა იმ პერიოდში გამოიკვეთნენ ე.წ. პროგრესული რუსეთის აშკარა მხარდამჭერებიც (**ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი** და სხვები).

საქართველოში დაიწყო საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიის შესწავლა (**ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ა. ჯორჯაძე, ნ. ჟორდანია, გ. გიორგაძე, ს. ხუნდაძე, ი. კაჭარავა, ლ. გორგილაძე, პ. რატიანი, კ. მეძველია, ზ. შველიძე, ფ. მახარაძე, ა. კიკვაძე, ა. ქუთელია, ვ. გაგოიძე, პ. გუგუშვილი, გ. მეგრელიშვილი, ვ. ესაიაშვილი** და სხვები).

ამ და სხვა მოღვაწეებში აღნიშნული პრობლემები განიხილებოდა მარქსისტული და არამარქსისტული მიდგომებითაც, მოიცავდნენ წინააღმდეგობებსაც, თუმცა, **ბოლშევიკები მიიჩნევდნენ, რომ ლენინის დაკვირვებები და დებულებები საქართველოს ისტორიისა და პო-**

ლიტიკის საკითხების გაშუქებაში წარმოადგენდნენ ფუძემდებლურ და ამოსავალ პრინციპებს, რომლებმაც, საბოლოო ჯამში, დიდი დარტყმა მიაყენა ქართულ ისტორიოგრაფიას.

საბჭოური ისტორიოგრაფიისთვის მიუღებელი აღმოჩნდა **ნ. ნიკოლაძის, ს. ხუნდაძის, ა. ჯორჯაძისა** და სხვების შეხედულებები მარქსისტული მოძრაობის წარმოშობისა და გავრცელების შესახებ საქართველოში.

იმდროინდელი მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკისა და იდეოლოგიის მხარდამჭერი მკვლევარებისათვის გადამწყვეტი იყო **ლენინის** გამონათქვამები, რაც აისახა 1957 წელს გამოქვეყნებულ „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევების პირველ ნაწილში (1883-1921 წლები)"; 1958 წელს გამოცემულ საქართველოს ისტორიის (XIX საუკუნე, XX საუკუნის დასაწყისი) სახელმძღვანელოში (**ნ. ბერძენიშვილი, ვ. დუნდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი**); **ა. კიკვიძის** ლექციების ორტომეულში 1954-1959 წწ.; „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევებში"; „საბჭოთა საქართველოს ისტორია 1921-1958 წწ."-ში და სხვ.

არსებობს მოსაზრება (ვ. გურული), რომ საქართველოში აღმოცენებული სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა თავიდანვე მოწყვეტილი იყო საფუძველს, დადებითი შედეგები მოეტანა ქვეყნისათვის, რომელიც დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო. მარქსიზმის იდეოლოგიიდან წარმოშობილი სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა, რაც შეუნიშნავი არ დარჩენიათ **ე. ბერშტეინს** და **კ. კაუცკის,** ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა მარქსიზმის იდეოლოგიის გაფეტიშებას, რომელმაც პრაქტიკული ხასიათი მიიღო ლენინის მიერ განვითარებულ პროლეტარიატის დიქტატურის იდეაში, რაც მოასწავებდა დიქტატორული რეჟიმის დაბადებას რუსეთში, **სოციალ-დემოკრატიის რუსული ანუ ბოლშევიკური ხაზის წარმოშობას და დაპირისპირებას რუს სოციალ-დემოკრატებთან** (**გ. პლეხანოვი, პ. სტრუვე, ი. მარტოვი** და სხვ.).

განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში წარმოიშვა ეროვნული ბურჟუაზია საკუთარი ინტერესებით, გააერთიანა სხვადასხვა სოციალური ფენები (მუშათა კლასი, გლეხობა, წვრილი ხელოსნები, წვრილი ვაჭრები და ა.შ.). ძლიერი ოპოზიცია შეუქმნა ეროვნულ მოძრაობას, ეროვნულ საკითხებთან შედარებით აღიარა სოციალურის პრიმატი და შეაფერხა ეროვნული კონსოლიდაციის შექმნის პროცესი.

თუ რუსეთში გაძლიერდა პროლეტარიატის დიქტატურის იდეა, საქართველოში სოციალ-დემოკრატია დაირაზმა ჟორდანიას გარშემო, უარყო კლასთა ბრძოლისა და პროლეტარიატის დიქტატურის იდეა, დაუპირისპირდა **ილია ჭავჭავაძეს, არჩილ ჯორჯაძეს** და მათ თანამოაზრეებს და ხელი შეუშალა ერის კონსოლიდაციის პროცესს, მით უმეტეს, ერთი პერიოდი ერთმანეთისაგან დიდად არ განსხვავდებოდა **ლენინისა** და **ჟორდანიას** მთავრობები, რომლებიც შემდეგ მკვეთრად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს [2].

ცნობილია, რომ კომუნისტები **ბუდუ მდივანი, მიხეილ ოკუჯავა, კოტე ცინცაძე, ფილიპე მახარაძე, სერგო ქავთარაძე** და სხვები „ნაციონალ-უკლონისტებად" გამოცხადნენ. ისინი ეყრდნობოდნენ ლენინის იდეებსა და მოსაზრებებს, სხვადასხვა დოკუმენტებში ბურჟუაზიული ნაციონალიზმის მომხრეებად ცხადდებოდნენ, მაგრამ ახლოს იდგნენ დიდმპყრობლური შოვინიზმის იდეოლოგიასთან, ეწინააღმდეგებოდნენ ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნას, საქართველოს საბჭოთა კავშირში გაერთიანებას და ა.შ.

არსებობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიურო, რომლებიც დაპირისპირებული იყვნენ ერთმანეთთან, რადგან კავბიურო არაკოლეგიალურად და უხეშად ერეოდა საქართველოს კომპარტიის საქმიანობაში.

ცნობილია, რომ საქართველოში მარქსისტულ-ლენინურ ისტორიულ მეცნიერებას საფუძველი ჩაუყარეს ლენინისა და მისი მოწაფეების შრომებმა, წერილებმა, სიტყვებმა, მათ შორის იყვნენ: **სტალინი, ფ. მახარაძე, ა. წულუკიძე, მ. ცხაკაია, ლ. კეცხოველი** და სხვები.

1926 წელს ივ. ჯავახიშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორობიდან გაათავისუფლეს და მის ნაცვლად იქ ბოლშევიკი თ. ღლონტი დაინიშნა. 1931 წელს, უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე **ივანე ჯავახიშვილი** ბოლშევიკმა **ფილიპე მახარაძემ** შეცვალა. ამავე წელს ჩამოყალიბდა საქართველოს მარქსისტ ისტორიკოსთა საზოგადოება (**ფ. მახარაძე, გ. ხაჭაპურიძე, გ. ნათაძე, მ. ტოროშელიძე, გ. დევდარიანი** და სხვ.).

აღნიშნულის მიუხედავად, მარქსისტულ-ლენინური თეორია ვერ გახდა ისტორიკოსების კვლევისათვის ნამდვილი საფუძველი. არ იყო

მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებული კადრები; ამიტომ ჩამოყალიბდა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი (**ფ. მახარაძის მეთაურობით, ხოლო სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობაში შევიდნენ: ნ. მარი, მ. ცხაკაია, მ. ორახელაშვილი, კ. ორაგველიძე, ი. ვაშაყმაძე, კ. გორდელაძე, ა. ერქომაიშვილი, მ. ტოროშელიძე, ა. დუდუჩავა, გ. დევდარიანი, ზ. ჩახვაძე** და სხვ.).

მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის საფუძველზე დაიწყო საქართველოს ისტორიის ძირითადი პრობლემების გადაწყვეტა, რომელშიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ **ს. ჯანაშია, ფ. მახარაძე, ნ. ბერძენიშვილი, გ. ხაჭაპურიძე** და სხვები.

ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში გაჩნდა ახალი მოსაზრებები „თერგდალეულთა“ მოღვაწეობის შესახებ, გაკრიტიკებული იყო **ნ. ნიკოლაძის, ს. მესხის, ნ. ხიზანიშვილის, გ. მაიაშვილის, გ. წერეთლის, ნ. ჟორდანიას, ალ. ხახანაშვილის, კ. აბაშიძის, ა. ჯორჯაძის** და სხვების მემკვიდრეობა, იმის მომიზეზებით, რომ ისინი ვერ ფლობდნენ მეცნიერული კვლევა-ძიების დიალექტიკურ მეთოდს, ვერ ერკვეოდნენ „თერგდალეულთა“ საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებების კლასობრივ არსში და მხოლოდ მარქსისტულ-ლენინური დიალექტიკური მეთოდით განსწავლულ მკვლევარებს შეეძლოთ ნათელი მოეფინათ სამოციანელთა მემკვიდრეობისათვის (**ს. ხუნდაძე, კ. კაპანელი, პ. რატიანი, ლ. გორგილაძე, ა. კიკვიძე, ზ.გ. ზაქარიაძე, ვ. გაგოიძე** და სხვ.).

ქართული ისტორიოგრაფია დიდ ყურადღებას უთმობდა ლენინის ნაშრომებს. მკვლევარი **ვ. ესაიაშ**ვილი ადასტურებდა, რომ ბელადს შესწავლილი ჰქონდა საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური ისტორია და ქვეყანა რუსეთის „ერთგვარ“ კოლონიად მიაჩნდა.

ესაიაშვილის აზრით, ლენინის დაკვირვებები და დებულებები ქართული ისტორიოგრაფიისთვის ფუძემდებლურ ფასეულობას წარმოადგენდა და გადამწყვეტი იყო მე-19 და მე-20 საუკუნის ისტორიის შესწავლისათვის.

თუ **ა. ჯორჯაძე** და **ს. ხუნდაძე** ადასტურებდნენ, რომ საქართველოში მარქსიზმი წარმოიშვა ყოველგვარი იდეური და ობიექტურ-ისტორიული პირობების გარეშე და 60-იანელთა მოღვაწეობაში მხოლოდ ლიბერალიზმსა და დემოკრატიზმს ხედავდნენ, სხვა, სხვადასხვა მიმართულებების მკვლევრები მარქსიზმის გავრცელებას „მესამე დასს“, რუს მარქსისტებს და პირადად ლენინს უკავშირებდნენ (**პ. გუგუშვილი, ლ. გორგილაძე, ნ. სტურუა, გ. ხაჭაპურიძე, ა. კიკვაძე, გ. ბრეგაძე, ი. კაჭარავა, მ. ცერცვაძე, ნ. ჩახვაშვილი, ს. ჩხარტიშვილი, ნ. მახარაძე, ლ. ებანოიძე, პ. რატიანი** და სხვ.).

საბჭოურ საქართველოში წარმატებით მიმდინარეობდა იმპერიალიზმისა და სოციალისტური რევოლუციის ისტორიის შესახებ ნაშრომების, წიგნების, დისერტაციების და სხვადასხვა პუბლიკაციების მომზადება და გამოქვეყნება (**ნ. ბერძენიშვილი, ვ. დუნდუა, მ. დუმბაძე, ი. კაჭარავა, შ. მესხია, პ. რატიანი, ნ. მახარაძე, ნ. სტურუა, ა. კიკვაძე, ვ. ესაიაშვილი, გ. ჟვანია** და სხვ.).

ქართველმა მკვლევრებმა ნაშრომები მიუძღვნეს სოციალისტური რევოლუციისათვის ბრძოლის პერიპეტიებს, რომელსაც ისინი მიიჩნევდნენ მე-20 საუკუნის ისტორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპად, თუმცა ქართულ და უცხოურ ისტორიოგრაფიაში ისიც აღინიშნებოდა, რომ **სამხრეთ კავკასიაში, 1917-1921 წლებში არ არსებობდა რევოლუციური სიტუაცია და პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების ხელში აღების შესაძლებლობა. სუსტი იყო ბოლშევიკური პარტია; ხალხის უმრავლესობა ბურჟუაზიას უჭერდა მხარს.**

ვფიქრობთ, ეს დებულება საწიროებს განვრცობასა და მხარდაჭერას. 1917 წლის თებერვლისა და ოქტომბრის პოლიტიკური მოვლენები შეიძლება შეფასდეს მხოლოდ სახელისუფლებო გადატრიალებებად, რომლებშიც ჩარეული იყვნენ უცხოეთის სახელმწიფოები – აშშ, დიდი ბრიტანეთი, გერმანია და სხვები და არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს სახალხო რევოლუციებად, მასში ხალხთა მასების მცირე ჯგუფების მონაწილეობის გამოც (რამდენიმე ათეული ჯარისკაცი და პროლეტარი).

რუსეთში სახალხო რევოლუციად შეიძლება მიგვეჩნია მხოლოდ 1905-1907 წლებში განვითარებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები, რომლებშიც რუს ხალხთან ერთად აქტიურად იყვნენ ჩართული ქვეყანაში მცხოვრები სხვა ეროვნებები და, განსაკუთრებით, ებრაელები, რომლებიც მათივე მიერ დაარსებული გაზეთების, ჟურნალების, გამომცემლობების, სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური წრეების და სხვა საშუალებებით ცდილობდნენ იმპერიაში მცხოვრები ხალხები მოემზადებინათ სახალხო რევოლუციისათვის და დაემხოთ იმპერიული რეჟიმი.

რაც შეეხება სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს, მისი ხალხები ერთიანდებოდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში და ცდილობდნენ მიეღწიათ ეროვნული დამოუკიდებლობისათვის.

სტალინურ პერიოდში დიდი წინააღმდეგობა ეწეოდა ბურჟუაზიულ-პოლიტიკურ-იდეოლოგიურ ხაზს და მკაცრად იცავდნენ ლენინური პარტიულობის პრინციპებს, რომელიც წარმოადგენდა ისტორიულ-პოლიტიკური მოვლენების გაშუქების უმაღლეს კანონს.

ვლადიმერ ულიანოვ-ბლანკი – ლენინი იწოდებოდა ბელადად, კომუნისტური პარტიის ფუძემდებლად, გენიალური შრომებისა და წერილების ავტორად და წარმოადგენდა ოქროს გასაღებს კომუნისტური ისტორიის მეცნიერული კვლევა-ძიებისა და გაშიფვრისათვის, თუმცა **„უსტალინო“** პერიოდში გამოცოცხლდა მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის კრიტიკა. მარქსისტი მკვლევარები გამოთქვამდნენ მოსაზრებებს, რომ სამხრეთ კავკასიის და, კერძოდ, საქართველოს 1917-1921 წლების ისტორიის მკვლევრებს ჰყავდათ მოწინააღმდეგეები, არსებობდა ანტიმარქსისტული, ანტისაბჭოთა ლიტერატურის საკმაოდ მოზრდილი არსენალი და ქართული და უცხოური ლიტერატურა ერთმანეთს ეჯიბრებოდა საბჭოთა საქართველოსადმი სიძულვილისა და ცილისწამების გამოვლინებაში.

1934 წლის ივნისში დაწყებით და არასრულ საშუალო სკოლებში შემოიღეს სსრ კავშირის ხალხთა ისტორიის ელემენტარული კურსის სწავლება.

ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის წინაშე მთავარ ამოცანად დადგა, მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის საფუძველზე, გადაეწყვიტათ საქართველოს ისტორიის ძირითადი პრობლემები.

1936 წელს ჩამოყალიბდა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი; ხოლო 1941 წლიდან არსებობა დაიწყო ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტმა, რომლის დირექტორი იყო **ს. ჯანაშია** და შემდეგ **ნ. ბერძენიშვილი.**

1930-იან წლებში ქართულმა ისტორიოგრაფიამ, ძირითადად, გადალახა ბურჟუაზიულ-იდეალისტური გავლენები და საბოლოოდ დაადგა მარქსისტულ-ლენინური პრინციპების საფუძველზე მუშაობის გზას.

1943 წელს **ნ. ბერძენიშვილის, ივ. ჯავახიშვილის** და **ს. ჯანაშიას** ავტორობით გამოიცა „საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო, თუმცა იგი მხოლოდ მე-19 საუკუნემდე გადმოსცემდა ქართველი ხალხის ისტორიას. ორი საუკუნის (მე-19-20 სს.) მონოგრაფიულად შესწავლილი ისტორია არ არსებობდა, რაც, თავისთავად, ხელს უშლიდა ქვეყნის ისტორიის სახელმძღვანელოს შექმნას.

კომუნისტურმა ხელისუფლებამ შეძლო მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის შემსწავლელი სამეცნიერო კადრების მომზადება, უმაღლეს სასწავლებლებში, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტებში, თუმცა, მკვლევრები, რომლებიც ხოტბას ასხამდნენ პარტიისა და სახელმწიფოს გამოჩენილ მოღვაწეებს სტალინსა და ბერიას, პარტიის XX ყრილობის შემდეგ, **ხრუშჩოვის** მმართველობაში, უკვე მკაცრად აკრიტიკებდნენ **სტალინს** და **„ხალხის მტერ“ – ბერიას**.

ამ დროიდან დამკვიდრება დაიწყო მკვლევართა გაორებულმა მოსაზრებებმა: **გზა გაეხსნა „ორიანობას“**, პარტიულ და კომკავშირულ, სახელმწიფო, საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კულტურული, სახელოვნებო და სხვა დარგებსა და სფეროებში.

განსაკუთრებით მიუღებელი გახდა **ლ. ბერიას** წიგნი „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხებისათვის“. მიიღეს გადაწყვეტილება ბოლშევიკური პარტიის მეცნიერული ისტორიის შექმნის შესახებ. გამოვიდა კოლექტიური ნაშრომი „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები (1883-1921 წწ. ნაწილი პირველი)“.

თუმცა საბჭოურ პერიოდში ისტორიულ მოვლენათა ობიექტურად გაშუქების უმაღლეს წყაროდ მიიჩნეოდა ბელადის „გენიალური შრომები“, რომლებიც ოქროს ფონდი უნდა ყოფილიყო მკვლევარებისათვის.

ქართველი მკვლევრების დიდი უმრავლესობა ლენინის შრომებზე დაყრდნობით ხსნიდა მიზეზებს, რომლებმაც ქართველი სოციალ-დემოკრატების მენშევიკური ფრთის მიერ ძალაუფლების მოპოვება განაპირობეს საქართველოში;

ბოლშევიკების დიდი ნაწილი (ფ. მახარაძე, მ. ორახელაშვილი, გ. ხაჭაპურიძე და სხვები), მოგვიანებით გახდნენ საბჭოთა საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი პირები და თუ სხვადასხვანაირად აფასებდნენ პოლიტიკურ პროცესებს 1917-1920 წლების საქართველოში. სხვანაირი იყო მათი მიდგომა ამავე წლების

პოლიტიკური პროცესების შესახებ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

უდავოა, საბჭოთა საქართველოს ჰყავდა სხვადასხვა დარგებსა და სფეროებში მოღვაწე გამოჩენილი მეცნიერები (ფიზიკა, მათემატიკა, ფიზიოლოგია, მედიცინა, ფსიქოლოგია, ფილოსოფია, საქართველოს ძველი პერიოდის ისტორია, ეთნოლოგია, არქეოლოგია, ასტრონომია, ფილოლოგია, ენათმეცნიერება, ეკონომიკა და ა.შ., მაგრამ ისინი იძულებული ხდებოდნენ გარკვეულიყვნენ და მოეწონებინათ მარქსისა და ლენინის ნაშრომები და მიეღოთ და განევითარებინათ მათი თეორიული შეხედულებები (თუმცა, უნდა ითქვას, რომ მარქსის ეკონომიკური თეორია ახლაც შეისწავლება და იკვლევა მსოფლიოს უმაღლეს სასწავლებლებში და სამეცნიერო დაწესებულებებში).

შემდგომში განვითარებულმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა მოვლენებმა კომუნისტური მმართველობის სისტემაში და მის იდეოლოგიაში დაშვებულმა შეცდომებმა, დანაშაულობებმა, სტალინური სტრატეგიისა და ტაქტიკის მიზანმიმართულმა კრიტიკამ თანდათანობით შეანელა და შემდეგ მთლიანად გააქრო მარქსისტულ-ლენინური თეორიების აუცილებლობის, მისი სიცოცხლისუნარიანობის და იდეოლოგიად არსებობის შესაძლებლობა.

მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიულმა შეხედულებებმა საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა დაკარგა და იქცა ისეთ მუმიად, როგორი ბედიც ერგო მის მამამთავარს – ვლადიმერ ილიას ძე ლენინს.

თუ ბოლშევიზმი იზრდებოდა რუსეთში, მსგავს ქმედებებს ადგილი არ ჰქონდა სამხრეთ კავკასიაში. რევოლუციური გადატრიალებისათვის შეუძლებელი იყო კავკასიის ფრონტის ჯარების გამოყენებაც, თუმცა საზღვარგარეთული პოლიტიკური თუ სამეცნიერო მოღვაწეები მიიჩნევდნენ, რომ ერთადერთ შეიარაღებულ ძალას აქ წარმოადგენდა რუსეთის ნახევარმილიონიანი არმია, რომელსაც სახელისუფლებო გადატრიალების მოხდენა შეეძლო.

ბოლშევიკური პარტიის VI ყრილობა (1917 წ.) თავის დადგენილებაში აღნიშნავდა, რომ სამხრეთ კავკასიაში უნდა მოეხდინათ „კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის დიქტატურის სრული ლიკვიდაცია“, რაც ნიშნავდა შეიარაღებული აჯანყებისაკენ კურსის აღებას და იგი სავალდებულო იყო ყველა პარტიული ორგანიზაციისათვის. რევოლუციის დასაჩქარებლად ლენინის დავალებით, სამხრეთ კავკასიაში მიავლინეს ალიოშა ჯაფარიძე და სტეფანე შაუმიანი.

კრემლის უმაღლესი პარტული გადაწყვეტილებებით, რუსეთში, აჯანყების გზით, უნდა აეღოთ ძალაუფლება და ეს სამხრეთ კავკასიასაც ეხებოდა (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი).

რუსეთი და სამხრეთ კავკასია სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრებით იყვნენ დაკავშირებული ასი წლის მანძილზე. ლენინი წერდა: „ვიდრე სხვადასხვა ერი ერთ სახელმწიფოში ცხოვრობს, მათ ერთმანეთთან აკავშირებს ეკონომიკური, უფლებრივი და საყოფაცხოვრებო ხასიათის მილიონობით და მილიარდობით ძაფი“, ამიტომ სამხრეთ კავკასიაში ოქტომბრის რევოლუციის (გადატრიალების – ი. კ.) წინაპირობები უკავშირდებოდა ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებას, რომლის იგნორირება შეუძლებელი იყო.

თუმცა არსებობის უფლება აქვს მოსაზრებას (რ. პაიპსი, ფ. ქაზემზადე, გ. ფონ რაესი, თ. ლაუე, ბ. მეისნერი და სხვები), რომ სამხრეთ კავკასიაში სოციალისტური რევოლუციის განხორციელება რუსეთის რევოლუციის „ექსპორტის“ შედეგი იყო და მიზნად ისახავდა ამ ქვეყნების რუსეთის შემადგენლობაში დაბრუნებას, რაც მოხდა კიდევაც 1920-1921 წლებში და 70 წელი გაგრძელდა.

ოქტომბრის ე.წ. რევოლუცია (გადატრიალება – ი. კ.) რუსული მოვლენა არ იყო და წარმოადგენდა ანგლოსაქსური (აშშ, დიდი ბრიტანეთი) პოლიტიკური და ეკონომიკური ჯგუფების (ებრაელების) დიდი ძალისხმევის შედეგს. ამიტომ ლენინისა და ტროცკის რუსეთს ჯერ სოციალისტური წყობილების მოსინჯვა მოუხდა, რაც მაქსის და შემდეგ თვით ლენინის შეხედულებების დარღვევა იყო და მოგვიანებით, 70 წლის შემდეგ, ახლა უკვე პოსტსაბჭოური რუსეთი იძულებული იყო დაბრუნებოდა კაპიტალისტური განვითარების გზას.

სოციალისტური რევოლუციის და სოციალიზმის, კაცობრიობის ისტორიული განვითარების გარდაუვალ ეტაპად გამოცხადება, დღეისთვის მხოლოდ თეორიულ ჭრილში განიხილება და სრულიადაც არ არის გაზიარებული ლენინის ის დასკვნა, რომ „პროლეტარული რევოლუციის ზოგიერთ ფრიად არსებით საკითხში ყველა ქვეყანას გარდაუვალად მოელის ის, რაც განვლო რუსეთმა“.

ი. კაჭარავა ერთ-ერთ მონოგრაფიაში ეხებოდა საქართველოს რუსეთთან შეერთების პრობლემას, მით უმეტეს, ის რაც, ერთი ხელის დაკვრით მოხდა ქართლ-კახეთში, მას 50 წელზე მეტი დასჭირდა დასავლეთ საქართველოში, რადგან სხვადასხვა მიზეზებს შორის მთავარი იყო რუსეთთან შეერთების მოწინააღმდეგე ბანაკის სიძლიერე და შეუპოვრობა.

არსებობს საქართველოს რუსეთთან მიერთების საკითხის გაშუქების მარქსისტულ-ლენინური და ეროვნული მიდგომები, თუ საბჭოთა ისტორიკოსები (გ. ხაჭაპურიძე, ნ. მახარაძე, მ. დუმბაძე და სხვები) მიიჩნევდნენ, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთება იყო ნებაყოფლობითი ხასიათის მოვლენა, საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი მკვლევრები და მათ შორის **მ. ლაშაური** თვლიდნენ, რომ **საქართველოს რუსეთთან შეერთებას არ ჰქონდა ნებაყოფლობითი ხასიათი და ძალადობრივი იყო რუსეთის მხრიდან.**

რუსეთის მიერ ქართული ტერიტორიის მიერთება ორჯერ მოხდა. პირველი, ეს იყო საერთო საქართველოს შემადგენლობაში მყოფი ქართლ-კახეთის სამეფოს მოქცევა რუსეთის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო სივრცეში; ქართლ-კახეთი ვერ აკმაყოფილებდა სახელმწიფოსთვის განკუთვნილ სტანდარტებს, მაგრამ კარგავდა იმასაც, რაც ჰქონდა (დინასტიურობა, სამეფო გვირგვინი და კვერთხი, ურთიერთობები სხვა სამეფოებთან და სხვ.)

ისტორიის მკვლევარი **გ. ყორანაშვილი** შენიშნავდა, რომ „კომუნისტი ლიდერის ამგვარი მოსაზრება ლაიტმოტივად გაჰყვა ნაფიც ისტორიკოსთა პუბლიკაციებსა და საჯარო გამოსვლებს 1783 წლის ტრაქტატის აღნიშვნის მზადების წლებში“.

კომუნისტური საქართველოს ხელისუფლების ლიდერი ედუარდ შევარდნაძე ფიქრობდა, რომ 1783 წელს საქართველოს მზე „ჩრდილოეთიდან“ ანუ რუსეთიდან ამოვიდა.

საქართველოს საზოგადოებრივი, პოლიტიკური, კულტურული ელიტის ერთი ნაწილი ევროპაზე აკეთებდა სწორებას, გამოკვეთდა ერის ღირებულებების საერთაშორისო ასპარეზზე გატანის კურსს, პარალელურად, იდგა აქტიური ლოდინის პოზიციაზე და იწყებდა ცარისტული თუ კომუნისტური თვითმპყრობელობისგან თავის დახსნის თეორიულ-პრაქტიკული პრატფორმის შემუშავებას.

თვითმპყრობელობისაგან თავის დახსნის თეორიულ-პრაქტიკული პლატფორმის შემუშავების პარალელურად იკვეთებოდა ორი კულტურულ-პოლიტიკური მიმართულება, რომლებსაც განსხვავებული მიზნები და ამოცანები და, შესაბამისად, საქმიანობის სხვა მეთოდები და ფორმები ჰქონდათ. თუმცა, როგორც ცნობილი უცხოელი მეცნიერი **რობერტ პარსონსი** შენიშნავდა: „ნებით თუ უნებლიეთ, რუსეთის იმპერიის ჩარჩოში მოხერხდა საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული განვითარება“, ანუ ქართველმა ხალხმა გამოსცადა მშვიდობა, სტაბილურობა და იმპერიულობა; რუსულ-სომხური დომინირება; გემო გაუსინჯა ევროპულ ნაციონალიზმს, პოლიტიკურ სეპარატიზმს, ეროვნული თვითგამორკვევის მოთხოვნას და, საბოლოოდ, ქართველმა „თერგდალეულებმა“, „დუნაიდალეულებმა“ და „საერთო ნიადაგის“ თეორიის მიმდევრებმა ჩამოაყალიბეს.

თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთ-ერთი პირველი იყო პროფესორი ვახტანგ გურული, ვინც რუსეთის თემას შეეხო და გაიზიარა **ნიკო ბერძენიშვილის** შეხედულება იმის შესახებ, რომ „რუსეთი მოდიოდა“ სამხრეთ კავკასიაში, საქართველოში და მისი შეჩერება **არც ირანს, არც თურქეთს, არც ევროპას და არც არავის შეეძლო**. თუმცა ერეკლე მეორე შეეცადა გეორგიევსკის ტრაქტატის არეალში თურქეთთანაც გაემართა მოლაპარაკება, რამაც პეტერბურგის მკაცრი რეაქცია გამოიწვია და ქართლ-კახეთთან დიპლომატიური ურთიერთობებიც შეწყვიტა. ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ გიორგი მეთორმეტემ 1799 წელს, „პეტერბურგის მანიფესტზე“ თანხმობის გამოცხადებით, სამუდამოდ გადასცა ქართლ-კახეთი მფლობელობაში რუსეთს.

რუსეთზე ორიენტაციის იდეა, საერთოდ, ეკუთვნოდა კახთა მეფეს ალექსანდრე პირველს, რომელსაც არ გამოჯვნიან ქართლ-კახეთის მეფეები – ალექსანდრე პირველი, მეფე ლევანი, ალექსანდრე მეორე, მეფე თეიმურაზი, თეიმურაზ მეორე, ვახტანგ მეექვსე, სოლომონ პირველი, ერეკლე მეორე, გიორგი მეთორმეტე.

უნდა დავეთანხმოთ ვახტანგ გურულს, რომ არსებობდა ოსმალეთის, როგორც ერთიანი იმპერიის დაშლის, ისე, ბერძნების ერთი ქრისტიანული სახელმწიფოს შექმნის გეგმაც რუსი უფლისწულის მეფობით და სამხრეთ კავკასიაში რუსული ორიენტაციის სახელმწიფოს შექმნა (ქართველები, სომხები, ასირიელები); ცნობილია გრიგორი პოტიომკინის „ბერძნული

პროექტიც“, ბალკანეთში ახალი სახელმწიფოს (ბერძნული) შექმნის გეგმაც.

ქართულმა ისტორიოგრაფიამ დიდი როლი ითამაშა ეროვნული მოძრაობის შეგნების გაღვივებასა და განვითარებაში, თუმცა რუსეთის თვითმპყრობელობის პირობებში ეს არ იყო მარტივად გადასალახი პრობლემა.

ცნობილი საზოგადო მოღვაწეები (**ი. ჭავჭავაძე, დ. ბაქრაძე, ს. მესხი, ი. ფანცხავა, ა. ჯორჯაძე, ა. იოსელიანი** და სხვები) აღნიშნავდნენ, რომ მეფის რეჟიმის პირობებში ვერ ხერხდებოდა მართალი და ობიექტური ისტორიის დაწერა და იგი არც არსებობდა. **ამ მხრივ, პირველი ნაბიჯი გადადგა დ. ბაქრაძემ და მოითხოვა „მამულის ისტორიის“ საჭიროება, რასაც მოჰყვა მის მიერ საქართველოს ისტორიის პროგრამის გამოქვეყნება და ილია ჭავჭავაძის მიერ გაზეთ „ივერიაში“ ცნობილი წერილის – „ერი და ისტორია“ – დაბეჭდვა**.

უდავოა, **ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა ფშაველას, არჩილ ჯორჯაძის** და სხვების საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა, ლიტერატურულმა, ისტორიულმა, სამართლებრივმა, პატრიოტულმა და ა.შ., იდეებმა და პრაქტიკულმა საქმიანობამ მოამზადა ნიადაგი იმისათვის, რომ ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას უკუეგდო საქართველოს რუსეთის სხეულში გათქვეფვის შესაძლებლობა და მის გვერდით ევლო პროგრესის გზაზე, რასაც XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან მხარი დაუჭირეს „თერგდალეულებმა“ – ილია ჭავჭავაძემ და მისმა თანამოაზრეებმაც, თუმცა როგორც აკადემიკოსი **იური კაჭარავა** აღნიშნავდა, **„ილია ჭავჭავაძე და მისი თანამოაზრენი საქართველოს გამოყოფის წინააღმდეგი იყვნენ საქართველოს გამოყოფისა პროგრესული, დემოკრატიული, ბურჟუაზიული რუსეთიდან. რაც შეეხებოდა თვითმპყრობელურ რუსეთს, ილია მის დაუძინებელ მტრად რჩებოდა სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე“** [1. 60].

1917 წლის თებერვლისა და ოქტომბრის სახელისუფლებო გადატრიალებებმა გზა გაუხსნა პროლეტარული იდეოლოგიის გამარჯვებას, რამაც 70 წლით უზრუნველყო მარქსისტულ-ლენინური ისტორიული მეცნიერების შექმნა და გაძლიერება. თუმცა იგი მაინც დღემოკლე აღმოჩნდა და კომუნისტური სისტემის დაშლის შემდეგ დაკარგა თავისი თეორიული და პრაქტიკული ადგილი და მნიშვნელობა.

ცხადია, „ცარიზმის“ და შემდეგ კრემლის კოლონიალური პოლიტიკა აფერხებდა პოლიტიკურ განვითარებას სამხრეთ კავკასიაში და ვერც ისტორიოგრაფია პასუხობდა საჭირო მოთხოვნებს, მახინჯდებოდა ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხების ისტორია და ანთროპოლოგია, ხდებოდა წარსულის გადამეტებული და დაუსაბუთებელი იდეალიზაცია და ისტორია უფრო ნაციონალურ ხოტბას ემსგავსებოდა, ვიდრე მეცნიერებას.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ისტორიას უმეტესად დამპყრობლები წერდნენ ან მათი კარნახით იწერებოდა (**დუბროვინი, ბუტკოვი**), მაგრამ ეროვნული იდეალებისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში ზოგიერთი ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელიც მონაწილეობდა; მაგალითად, 1906 წელს პეტერბურგში გამოცემულ ნაშრომში „Политическое и социальное движение в Грузии в XIX веке“, მეცნიერულად იყო ნაჩვენები ქართველების მრავალი პოლიტიკური და „წმინდა გონებრივი ხასიათის მოძრაობა“.

როგორც **ი. კაჭარავა** აღნიშნავდა, **ივანე ჯავახიშვილმა ჯერ კიდევ 1902 წელს გაილაშქრა პეტერბურგის უნივერსიტეტიდან აღმოსავლეთის – მათ შორის, კავკასიის ხალხთა ისტორიის აბუჩად აგდების წინააღმდეგ. მას მრავალი ფაქტი მოჰქონდა საქართველოსა და სომხეთის ისტორიიდან და თვალსაჩინოდ ხდიდა მტკიცებათა უსუსურობას აღმოსავლეთის უძრაობის, შემოქმედებითი უუნარობისა და სხვათა შესახებ** [1. 178-180].

1921 წელს, სოციალისტურმა რუსეთმა დაიპყრო ერთიანი საქართველო, რომელსაც ჰქონდა შემდგარი სახელმწიფოსთვის საჭირო ყველა ნიშანი:

1. **მუდმივი მოსახლეობა;**
2. **განსაზღვრული ტერიტორია;**
3. **მოქმედი მთავრობა;**
4. **სუვერენიტეტი;**
5. **საერთაშორისო აღიარება.**

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში სოციალისტური რევოლუციების განსახორციელებლად არავითარი პოლიტიკური, ეკონომიკური და საზოგადოებრივი პირობები არ არსებობდა, ამიტომ მთავარი იყო მკვლევრებს მიუკერძოებლად აეხსნათ რევოლუციური სიტუაციის არსებობის თუ არარსებობის საკითხი და შეეძლოთ თუ არა ბოლშევიკებს დაუფლებოდნენ ძალაუფლებას.

ლენინისთვის მიუღებელი იყო საქართველოს დამოუკიდებლობა და აშკარად გამო-

თქვამდა თავის უარყოფით დამოკიდებულებას ქართველი მენშევიკებისა და გერმანელთა კავშირის შესახებ. **„საქართველოს ეს დამოუკიდებლობა ყოვლად აშკარა მოტყუებად იქცა, – სინამდვილეში ეს არის საქართველოს ოკუპაცია და სრული დაპყრობა გერმანელი იმპერიალისტების მიერ, გერმანული ხიშტების კავშირი მენშევიკურ მთავრობასთან ბოლშევიკი მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ“.**

თუმცა რამდენიმე წელიწადში საბჭოთა რუსეთმა თვითონ განახორციელა საქართველოს ნამდვილი ოკუპაცია და რუსული ხიშტების ძალა იგემა ქართულმა საზოგადოებამ.

1920-1921 წლებში სამხრეთ კავკასიაში მოხდა ახლად დაწყებული სახელმწიფოთაშორისი პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სხვა ურთიერთობების დამხობა და როგორც მარქსისტი ისტორიკოსები წერდნენ, **დასაბამი მიეცა ადამიანთა საზოგადოების ნამდვილ ისტორიას, როდესაც მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებით შეიარაღებული ხალხები შეუდგნენ საკუთარი ისტორიის შექმნას, მაგრამ ე.წ. ახალმა ფორმაციამ (კომუნისტური საზოგადოება) ვერ შეძლო თავიდან აეცილებინა ძველი შეცდომები და ახალი ნეგატიურობაც დაბადა. წარმოიშვა ექსპლოატაციის ახალი მეთოდები და ფორმები, ვერ ააშენა დაპირებული „რეალური სოციალიზმი“ და ქაღალდზე დარჩა ე.წ. „კომუნიზმის“ აშენების იდეაც.**

ქართველი ისტორიკოსები და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სხვა წარმომადგენლები იკვლევდნენ რევოლუციამდელ, რევოლუციის წარმოშობისა და განვითარების, დიდი სამამულო ომისა და შემდგომ პერიოდებს, მაგრამ თანდათანობით ნელდებოდა სოციალიზმისა და კომუნიზმის პრობლემების შესწავლა, საქმეს ვერ შველიდა XX, XXI, XXII და სხვა ყრილობათა ე.წ. **„ისტორიული გადაწყვეტილებები“**. ნაკლებად იწერებოდა თანამედროვეობის მეცნიერული ისტორია, არ იგრძნობოდა ე.წ. ბოლშევიკური პუბლიცისტიკის ძალა ანუ დავიწყებას ემლეოდა ჯერ კიდევ 1905 წელს, **ლენინის** მიერ გამოთქმული ე.წ. „ფუძემდებლური ამოცანები“ იმის შესახებ, რომ **„ჩვენ უნდა ვაკეთოთ პუბლიცისტების მუდმივი საქმე – ვწეროთ თანამედროვეობის ისტორია და ვეცადოთ ვწეროთ იგი ისე, რომ ჩვენი ყოფაცხოვრების აღწერილობა შეძლებისდაგვარად დახმარებას უწევდეს მოძრაობის უშუალო მოწინააღმდეგეებს და გმირ პროლეტარებს“.**

იმდროინდელ მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკისა და იდეოლოგიის ჩასახვა-განვითარებაში დიდი როლი შეასრულეს ქართველმა ისტორიკოსებმა, ფილოსოფოსებმა, ეკონომისტებმა, კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების წარმომადგენლებმა, კომუნისტურ ხელისუფლებაზე დაქვემდებარებულმა ყველა ორგანიზაციამ, სფერომ და დარგმა, მწერალთა, მხატვართა, მუსიკოსთა და სხვა კავშირებმა, საშუალო და უმაღლესმა სასწავლებლებმა და ა.შ.

უმაღლეს სასწავლებლებში და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში ჩამოყალიბდა მარქსიზმ-ლენინიზმის მემკვიდრეობის შემსწავლელი ინსტიტუტები, კათედრები, განყოფილებები, ცენტრები, ისტორიკოსების, ფილოსოფოსების, ეკონომისტების, ფილოლოგების, პედაგოგების და სხვათა მიერ დაიწყო მონოგრაფიების, დისერტაციების, კრებულების, სტატიებისა და ა.შ. მომზადება, რომლებმაც მეტნაკლები ზომით განაპირობეს კომუნისტური, სამეცნიერო ლიტერატურის შექმნა, მათ შორის გამოსაყოფია აკადემიკოსები: **ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, პ. გუგუშვილი, ი. კაჭარავა, გ. ხაჭაპურიძე, ლ. გორგილაძე, მ. ლორთქიფანიძე, ნ. ხაზარაძე, ა. სურგულაძე** და სხვები.

პროფესორები, დოცენტები, უფროსი მასწავლებლები ასისტენტები, მეცნიერ-თანამშრომლები, მწერლები, პოეტები, პუბლიცისტები: **ვ. აბაევი, ო. აბუთიძე, გ. აბულაძე, გ. აბესაძე, შ. ადამია, ვ. ადამია, ა. ადლეიბა, ა. ამირხანოვა, ი. ანთელავა, ქ. ანთიძე, გ. არუთინოვი, ე. ასტვაცატუროვი, ა. აღლაძე, ი. ახალაია, ხ. ახვლედიანი, ე. ახობაძე, შ. აფრიდონიძე, ზ. ბაბუნაშვილი, გ. ბაბილოძე, მ. ბარამია, უ. ბახტაძე, ბ. ბენიძე, ს. ბერიძე, მ. ვერძული, ა. ბენდიანიშვილი, ლ. ბენდიანიშვილი, გ. ბრეგაძე, მ. ბინიაშვილი, ს. ბოკუჩავა, გ. ბოსტოღანაშვილი, ე. ბურჯანაძე, ე. ბურჭულაძე, ბ. გაბრიაძე, მ. გაბრიაძე, გ. გოცირიძე, გ. გალოიანი, გ. გასვიანი, მ. გაფრინდაშვილი, გ. გამყრელიძე, ზ. გეგეშიძე, შ. გვენეტაძე, დ. გვრიტიშვილი, შ. გველესიანი, თ. გვინიაშვილი, კ. გოგოძე, ხ. გოგოჭური, მ. გოგიბერიძე, ვ. გონგაძე, ს. გოდაბრელიძე, ო. გოგიაშვილი, ა. გუკასიანი, ბ. გუბელიძე, ი. გოლეთიანი, ნ. გულბაანი, რ. გრძელიძე, გ. გვიშიანი, ლ. დავითაძე, ვ. დათუკიშვილი, გ. დარცმელია, გ. დევდარიანი, მ. დუმბაძე, ვ. დუნდუა, ლ. დოინჯაშვილი, პ. დოგუზოვი, ლ. ებანოიძე, ა. ებრალიძე, დ. ენუქიძე, გ. ერემოვი, ვ. ესაიაშვილი, ზ. ვაბეევი, ჯ. ვათეიშვილი, შ.**

ვანიშვილი, გ. ვერულავა, ნ. ვრონსკი, ნ. ზაქარიაძე, ს. თავბერიძე, პ. თავხელიძე, გ. თევზაძე, შ. თევზაძე, ლ. თოიძე, მ. თოფურიძე, კ. ივანიძე, ა. იმედაშვილი, ა. იოსელიანი, კ. ივანიძე, მ. ინალიფა, რ. იმნაიშვილი, ც. კალანდაძე, ვ. კალანდარიშვილი, ა. კავლელიშვილი, რ. კალაძე, ა. კაკაბაძე, მ. კახიანი, ი. კოდუა, მ. კუკანია, გ. კუპრეიშვილი, ნ. კიკვაძე, ა. კუპრავა, ს. კვაჭაძე, შ. კვესელავა, ს. კოკილაშვილი, გ. კიკნაძე, ა. კიკვიძე, ტ. ლაბარტყავა, ვ. ლაზაგიძე, ს. ნასარიძე, შ. ლეჟავა, ფ. ლომაშვილი, შ. ლომსაძე, ბ. ლომინაძე, დ. მაისურაძე, ს. მამულია, გ. მამრიკიშვილი, გ. მარგიანი, ვ. მესხიას, ნ. მარგალიტაძე, ს. მაღლაკელიძე,ი. მაჩაიძე, ნ. მახარაძე, ფ. მახარაძე, ი. მირცხულავა, ს. მიქელოვი, ა. მორგოშია, ა. მუჯირი, გ. მუჩაიძე, ს. მოსიძე, გ. ნათაძე, მ. ნათმელაძე, ნ. ნაცვლიშვილი, ი. ნატროშვილი, კ. ორაგველიძე, გ. პაიჭაძე, გ. პარკაძე, ბ. პლიევი, გ. ჟვანია, პ. რატიანი, ქ. რაჭველიშვილი, ი. რეხვიაშვილი, ვ. რეხვიაშვილი, ა. რეხვიაშვილი, ნ. რეხვიაშვილი, ტ. რეხვიაშვილი, რ. რუხაძე, ტ. რუხაძე, ვ. საბახტარიშვილი, ნ. სვანიძე, ს. სვანიძე,გ. სიხარულიძე, შ. სიმონია, ს. სიმომგულოვი, რ. სულაბერიძე, მ. სულხანიშვილი, ლ. სტურუა, ნ. სტურუა, კ. ტოტოჩავა, უ. ობოლაძე, გ. ღამბაშიძე, ნ. ღარიბაშვილი, ს. შარიქაძე, ი. უთურაშვილი, ა. ურუშაძე, ი. ურუშაძე, ი. ფანცხავა, ა. ფირცხელაიშვილი, გ. ფირცხალავა, ვ. ქარჩავა, ვ. ქაცარავა, ე. ქვათაძე, მ. ქიქოძე, მ. ქოჩიაშვილი, ა. ღლონტი, ლ. ღოღობერიძე, გ. ყურაშვილი, ს. შარიქაძე, ე. შარაშენიძე, კ. შელია, ზ. შველიძე, ა. შურღაია, გ. შველიძე, ს. ჩაგუნავა, კ. ჩარკვიანი, ნ. ჩაფიძე, ნ. ჩახვაშვილი, ს. ჩხარტიშვილი, ჯ. ჩხეიძე, ვ. ცაგარელი, მ. ცერცვაძე, ს. ცინცაძე, პ. ცქვიტარია, ნ. ცხოვრებოვი, გ. ძიძარია, კ. წერეთელი, ა. წულუკიძე, შ. ჭაჭუა, ვ. ჭკადუა, ნ. ჭკუასელი, ნ. ჭეიშვილი, ვ. ჭიჭინაძე, შ. ხანთაძე, ი. ხუციშვილი, ს. ხურცილავა, პ. ხუჭუა, ლ. ხოჭოლავა, ჯ. ჯალიაშვილი, დ. ჯალაღონია, შ. ჯაფარიძე, გ. ჯანგველაძე, გ. ჯამბურია, დ. ჯიბლაძე, ა. ჯიოევი, ე. ჯიქია, ვ. ჯიქია, მ. ჯიჯეიშვილი, ნ. ჯორჯიკია, ე. ჯორჯიკია.

ქართველი ბოლშევიკი მკვლევრები მარქსისტულ-ლენინური პოზიციებიდან მწვავედ აკრიტიკებდნენ ბურჟუაზიული იდეოლოგიის მხარდამჭერ უცხოელ მკვლევრებს: გ. ბეკერს, ბ. ელიჩს, ა. ბენარს, ჯ. ბერგმანს, ფ. ბერენსს, ც. ბერეზოვსკის, ა. ბოსკოვს, ჩ. ბოულსს, ვ. ბრუსს, ჰ. დინერშტეინს, პ. დიერდს, პ. ედეშს, ე. კარდელს, ჟ. კალვეზს, ი. კორნაის, ე. ლიპინსკის, კ. ვიტტფოლგელს, ა. მირაკს, ფ. მოსლს, ა. შამბრს, რ. შერტონს, ბნ. ტამაშს, მ. ტოდოროვიჩს, ო. მილერს, დ. მიტრანს, მ. პეროვიჩს, ი. პოპლევიჩს, მ. პონტს, ს. პროპოკოვიჩს, კ. ფედერნს, მ. ფეინს დოფს, გ. ფონ-რაუხს, მ. ფეინსდოფს და სხვებს.

მარქსისტ-ლენინისტი მკვლევრებისაგან განსხვავებით, ამ სტრიქონების ავტორი ფიქრობს, რომ სამხრეთ კავკასიაში, 1917-1921 წლებში, არავითარი რევოლუციური სიტუაცია და პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების ხელში აღების შესაძლებლობა არ არსებობდა. ბოლშევიკური პარტია სუსტი იყო და არ ჰქონდა ხალხის მხარდაჭერა.

რაც შეეხება, რუსეთში 1917 წლის თებერვალსა და ოქტომბერში მიმდინარე პროცესებს, ისინი წარმოადგენენ სახელისუფლებო გადატრიალებებს და არა რევოლუციებს.

რუსეთში რევოლუციად შეიძლება წარმოგვედგინა მხოლოდ 1905-1907 წლებში განვითარებული მოვლენები, რომლებშიც აქტიურად იყვნენ ჩართული ხალხთა ფენები, საზღვარგარეთული ჯგუფები, საერთაშორისო და ადგილობრივი ებრაელობა, რომელთა დაფინანსებით და იდეოლოგიით მომზადდა მუშათა, გლეხთა და სხვა ფენების გამოსვლები რუსეთის იმპერიული ხელისუფლების წინააღმდეგ.

ამ კონტექსტში საინტერესოა საქართველოში, კერძოდ, გურიაში მიმდინარე სახალხო პროცესები, როდესაც რეგიონი დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადდა და პრეზიდენტად დასახელდა აქტივისტი მოღვაწე **ბენია ჩხიკვიშვილი**.

საერთოდ, სამხრეთ კავკასიაში, შექმნილ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მდგომარეობას და კომუნისტურ აგრესიას ფართოდ ეხმაურებოდნენ აშშ-სა და ევროპაში. ვაშინგტონში შექმნილი ე.წ. „კერსტენის კომისია“ იკვლევდა კომუნისტურ აგრესიას, რომელიც მოხსენების სახით წარედგინა კონგრესს და დიდი ტირაჟით გამოიცა.

1960 წელს აშშ-სა და ინგლისში გამოვიდა პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების ცნობილი მკვლევრის **ლ. შაპიროს** წიგნი **„საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია“**. ეს და სხვა ნაშრომები ეძღვნებოდა **სტალინის** გარდაცვალების და **ბერიას** „ხალხის მტრად“ გამოცხადების შემდეგ საბჭოეთში განვითარებულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ კრიზისებს.

თანამედროვე ისტორიული მოვლენების კვლევა მარტივი არ იყო, თუმცა მას არ სჭირდებოდა მარქსისტულ-ლენინური მეთოდო-

ლოგიით აღჭურვა, მუშებისა და გლეხების კავშირის დასაბუთება ე.წ. სოციალიზმის ან კომუნისზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად, ინტელიგენციის ისტორიის შესწავლა და ა.შ.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნების და, მათ შორის, საქართველოს ზემოთ აღნიშნული პრობლემების შესასწავლად უნდა გამორიცხულიყო რომელიმე პარტიის ან სხვა ორგანიზაციის წარმმართველი როლის გაიდეალება, ქარხნებისა და ფაბრიკების, კოლმეურნეობების და ა.შ. გამოცდილებების განზოგადება. სხვადასხვა სფეროს გამორჩეულ ადამიანთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის კომუნისტური შესწავლა და შეფასება, კომუნისტური სახელმწიფოს მშენებლობის მეცნიერული განზოგადება. ახალგაზრდა თაობის კომუნისტური აღზრდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით და ა.შ.

საქართველოს ისტორიის ქრონიკების VI ტომში „საქართველო და მსოფლიო უძველესი დროიდან XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისამდე“, ჩვენ ვწერდით: **„ქართულმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა კლასმა დაუშვა სერიოზული შეცდომა, რამაც შესაძლებლობა მისცა გარეშე და ძირითადად რუსეთის პოლიტიკურ და სამხედრო ძალებს, გამოეყენებინათ ქართული ოპოზიციური სპექტრი სახელმწიფო გადატრიალების მოსაწყობად, რასაც მოჰყვა საზოგადოების ერთიანობის რღვევა, რომელიც დღემდე გრძელდება“** [3].

ვერც შემდგომი დროის საქართველო აცდა ამ პროცესებს 1991-1992, 2003 და 2012 წლებში და გამორიცხული არ იყო იგი განმეორებულიყო თანამედროვე პერიოდშიც, მით უმეტეს, პოსტსაბჭოური საქართველოს ხელისუფლებები (ე. შევარდნაძე, მ. სააკაშვილი), გამოირჩეოდნენ სხვა სახელმწიფოების ან ხალხების მიმართ ან წრეგადასული ქებით თუ პირფერობით, ან კიდევ უზომო სიმკაცრით.

რაც შეეხება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს, ქართულ ისტორიოგრაფიაში **(გ. ყორანაშვილი)** გამოყოფილია სამი სხვადასხვა თვალსაზრისი:

1. **რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები იყო დადებითი მუხტის მატარებელი (ივანე ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი);**
2. **საქართველოს რუსეთთან შეერთება იყო ნაკლები ბოროტება (ი. სტალინი);**
3. **რუსეთთან საქართველოს შეერთება იყო მხოლოდ პროგრესული მოვლენა (ე. შევარდნაძე).**

თუკი მე-18-19 საუკუნეებში ეროვნული ისტორია უფრო დომინანტური იყო, მე-20 და ახალი საუკუნის დასაწყისში იგი დანაწევრდა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, რელიგიური, ფილოსოფიური, დემოგრაფიული, ურბანული, სამხედრო, გარემოს, კომუნიკაციების და სხვა პერიოდებად [3].

ცნობილია ისტორიკოსების ახალი მემატიანეების თუ ჟამთააღმწერლების ისტორია არასოდეს ყოფილა მთლიანად მიუკერძოებელი და სხვადასხვანაირად იყო დანახული პიროვნული სახეები და პოლიტიკური პროცესები.

ეს განსაკუთრებით ეხებოდა რუსეთის, სამხრეთ კავკასიისა და სხვა ქვეყნების მარქსისტულ-ლენინური ეპოქის ისტორიებს, რომლებსაც აკლდა ეროვნული ცხოვრების რეალური ქრონიკები, თუმცა, აქ სიმართლის გარკვევა არ იყო ადვილი, რადგან ყველა ხელისუფლება პოლიტიკას, ეკონომიკას, სამართალს, დემოკრატიას თუ თავისუფლებას საკუთარ დამსახურებად წარმოაჩენდა.

საქართველოს ისტორია თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ბრძოლის ისტორიას წარმოადგენდა და, შესაბამისად, უფრო მეტად იყო ვიწრო და ეროვნულიც, თუმცა რამდენიმე საუკუნე არ არსებობდა ერთიანი სახელმწიფო, ჭირდა საერთო ეროვნული სახის საქართველოს ისტორიის წარმოდგენა და იწერებოდა ისეთი ისტორია, რომელიც არსებულ პოლიტიკური რეჟიმს (1921-1990 წწ.) მიესადაგებოდა.

ქართულ ისტორიოგრაფიას უყურადღებოდ არ დაუტოვებია საბჭოთა საქართველოს მიერ განვილილი 70 წლის ისტორია, რომელიც მოიცავდა რთულ პერიოდებს – პოლიტიკურ და სამართლებრივ რეპრესიებს, გადასახლებებს, მეორე მსოფლიო და დიდი სამამულო ომის წლებს, სხვადასხვა ნეგატიურ პროცესებს, თუმცა მკვლევრების მიერ ხაზი ესმებოდა ქვეყნის სახალხო მეურნეობის, ინდუსტრიალიზაციის, კულტურის, საგანმანათლებლო, სამეცნიერო, სპორტის, ხელოვნების, სოფლებისა და ქალაქთმშენებლობების, ახალი ინტელიგენციის ჩამოყალიბების და სხვა სასიკეთო პროექტების წარმატებულ განხორციელებას.

ამ მხრივ მკვლევრები განსაკუთრებით გამოყოფდნენ რესპუბლიკის პარტიული ხელმძღვანელების – **ლ. ბერიას, კ. ჩარკვიანის, ვ. მჟა-**

ვანაძის, ჯ. პატიაშვილის ღვაწლს (ი. კაჭარავა, ლ. გორგილაძე, პ. გუგუშვილი, ი. მირცხულავა, გ. ჟვანია, ლ. ჩიქავა, ი. ჩიქავა, მ. ჯიჯეიშვილი, ა. მუჯირი, ნ. ქორთუა, თ. გრიგოლია, ნ. სტურუა, ვ. მერკვილაძე, გ. ფაცაცია, დ. სტურუა, ჯ. ნინუა, ო. აბუთიძე, ვ. გაგოიძე, კ. ტოტოჩავა, ამ სტრიქონების ავტორი და სხვები.

კომუნისტური პერიოდის საქართველოში ხშირდებოდა ეროვნულის მსუბუქად აღქმა და მტკიცებები იმის შესახებ, რომ „ქართული წელთაღრიცხვა“ იწყებოდა კომუნისტური ხელისუფლების მმართველობის პერიოდიდან. მოგვიანებით, მსგავსი იდეა განმეორდა „მოქალაქეთა კავშირის“, „ნაციონალური მოძრაობის“ და „ქართული ოცნების“ პროპაგანდისტთა შემოქმედებაში.

ხელისუფლებები თავს უსახავდნენ ისეთ მიზნებს, რომელთა გადაწყვეტაც არ შეეძლოთ, რადგან მისი შესრულების პირობები არ არსებობდა, ასეთები იყო: საქართველოს ეკონომიკური აყვავება, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება, ასი საწარმოს შექმნა და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ, თავის დროზე, მარქსიზმის იდეოლოგიამ გააააქტიურა ისტორიის მატერიალისტური გაგება, კლასთა ბრძოლის თეორია, აზროვნებისა და იდეოლოგიის სოციალური მნიშვნელობა, ისტორიაში პიროვნების როლის საკითხი და სხვა, რაც კარგად აქვს შენიშნული ისტორიკოსსა და ფილოსოფოსს **გურამ ყორანაშვილს**, რომელიც აღნიშნავდა, რომ **„მარქსიზმი რადიკალურად განსხვავდებოდა ლენინურ-სტალინური გაგებისაგან და სოციალიზმის მარქსისტული მოძღვრება საბჭოეთში, რუსულ იდეურ პროდუქტად, ლენინიზმთან შეერთებულ წმინდა წყლის იდეოლოგიად ჩამოყალიბდა“.**

ქართული ისტორიოგრაფიის შემდგომი პერიოდი მთლიანად იყო დაკავშირებული მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის დამკვიდრებასთან, რომელიც დაიწყო სტალინის ნაშრომით: **„დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ“**, რომელსაც საფუძვლად დაედო მაქრსისტული დებულებები.

მიუხედავად იდეოლოგიური წნეხისა, ქართული, ისტორიული, ჰუმანიტარული, ეკონომიკური, ფლოსოფიური და ა.შ. მეცნიერება გამდიდრდა **გ. მელიქიშვილის, ნ. ბერძენიშვილის, გ. ჩიტაიას, თ. ყაუხჩიშვილის, ი. კაჭარავას, რ. მეტრეველის, ე. ჯაველიძის, ლ. სანიკიძის, ო. ლორთქიფანიძის, გრ. გიორგაძის, ვ. ფუთურიძის, ვ. დუნდუას, ო. ჯაფარიძის, გ. ჩუბინაშვილის, შ. ამირანაშვილის, გ. ახვლედიანის, ა. ბარამიძის, პ. გუგუშვილის, ს. დანელიას, ფ. თოფურიას, კ. კეკელიძის, ქ. ლომთათიძის, ა. შანიძის, შ. ნუცუბიძის, ნ. ქოიავას, ს. წერეთლის, კ. ბაქრაძის** ღირებული მონოგრაფიებით და სხვა სახის მეცნიერული ლიტერატურით.

ადამიანები თავად ქმნიან თავიანთ ისტორიას, რომელიც მომდინარეობს არა კოლექტიური ნებიდან, არამედ პოლიტიკური და ეკონომიკური აუცილებლობიდან; **კეისარი ავგუსტუსი, ჩინგის ხანი, კრომველი, პეტრე პირველი, ჰიტლერი, სტალინი, რეიგანი, პუტინი, ტრამპი და სხვები, დიდი მასშტაბით ახორციელებდნენ თანამედროვეობის დაკვეთებს, მისწრაფებებს, სურვილებს და არ თავისუფლდებოდნენ კაცობრიობის ტვირთისაგან.**

თუ ჰ. კისინჯერს დავესესხებით, იგი აფიქსირებს ფაქტს, რომ ყველა ცივილიზაცია იღუპება და ეს ტრაგედიაა, მაგრამ სახელმწიფო მოღვაწემ უნდა იმოქმედოს ისე, რომ სახელმწიფო პრობლემები ადრე თუ გვიან გადაწყდება და აქ წინ იწევა პარადიგმა: „ცნობიერება განსაზღვრავს ყოფიერებას“ თუ „ყოფიერებაა ცნობიერების მსაზღვრელი“.

ცხადია, კომუნისტური ისტორიაც წარმოადგენდა ისტორიის ნაწილს, როდესაც მისი აღმწერლები ხელისუფლების **„თეთრი პურით“** იკვებებოდნენ და არ იყვნენ მოკლებული „კამათსა და მტრულ მიმოხილვებს“, დროდადრო თავს ესხმოდნენ ერთმანეთსაც, მიზნებსა და ამოცანებს უწუნებდნენ და ზიანი მოჰქონდათ ქვეყნისათვის, რომლის მაგალითად შეგვეძლო დაგვესახელებინა **ქართველი და აფხაზი ისტორიკოსების ცალკეული ნაშრომები**, რომლებმაც მკვეთრად უარყოფითი როლი შეასრულეს ამ ერებს შორის კონფლიქტების გაღვივებაში მაშინ, როდესაც ისტორიკოსებს შეეძლოთ დაეწერათ მართალი ისტორია და მეტი აუდიტორია მიეზიდათ, მით უმეტეს, ეს კარგად გამოუვიდათ **ვალტერ სკოტს, ლევ ტოლსტოის, ვასილ ბარნოვს, კონსტანტინე გამსახურდიას** და სხვებს. ამ კონტექსტში საინტერესოდ ჩანს **რიჩარდ კობის** თეზა, რომ **„ისტორია არ უნდა იწერებოდეს ჯგუფის მიერ, რადგან მისი წერა ინდივიდუალური პიროვნული თვისებების ერთ-ერთი ყველაზე სრული და დაფასებული გამოხატულებაა“.**

კომუნისტურ საქართველოში ბევრი მკვლევარი ვერ ჩაითვლებოდა **„უსასრულოდ ცნობისმოყვარე მოთვალთვალედ“, რადგან**

რწმენა, საიდანაც ისტორიკოსი მოდიოდა, უნდა დაახლოვებოდა რწმენას, რომლითაც სადღაც უნდა წასულიყო. კომუნისტურ ეპოქაში საზოგადოება კარგავდა მომავლის (კომუნიზმის – ი. კ.) **იმედს და ფიქრს წარსულის პროგრესზეც, ანუ წყდებოდა დროთა კავშირი წარსულსა და თანამედროვეობას შორის; ირღვეოდა ტერიტორიული მთლიანობა, რაც სახელმწიფოს პრობლემათა პრობლემა იყო და მისი მოგვარება შეუძლებელი ჩანდა ლოკალური და მსოფლიო პოლიტიკური აზრისა და ნების გაუთვალისწინებლად.**

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ისტორიულ-პოლიტიკური სიტუაციის შეცვლა პროფესიონალურად მოაზროვნე ისტორიკოსებს, ფილოსოფოსებს, სამართალმცოდნეებს და სხვებს ავალდებულებდა შეექმნათ ნაშრომები საზოგადოებისათვის, ეთქვათ სიმართლე ადრეული და მიმდინარე პროცესების შესახებ. მით უმეტეს, ისტორიის საზრისის ახალი ახსნა მოცემული იყო **შპენგლერის, ტოინბის, იასპერსის, როსტიუს, ბჟეზინსკის, კისინჯერის, ფუკუიამას, დანილევსკის** და სხვების აზროვნებაში.

დანილევსკის შრომებში გამოიყოფოდა მსოფლიოს ხალხების სამი ჯგუფი – ისტორიის პოზიტიური, ნეგატიური და არცერთის შემოქმედნი.

ჯერ კიდევ **ჰეგელი „ცივილიზაციის ისტორიაში“** კულტურული განვითარების თვალსაზრისით გამოყოფდა ტერმინებს **„აღმოსავლეთი“** და **„დასავლეთი“**. აქ საქმე გვქონდა ორი პარადიგმასთან – **დესპოტიზმთან** და **დემოკრატიასთან**, მაგრამ პოლიტიკოსები, ფილოსოფოსები, კულტუროლოგები, სახელმწიფო მოღვაწეები, მეცნიერები და სხვები გვთავაზობდნენ ასეთ სქემასაც:

აღმოსავლეთელობა: ინტუიცია, სამყაროს შესისხლხორცება, უძრაობა, სტაბილურობა, ტრადიციულობა, რიტუალობა, კოლექტივიზმი;

დასავლეთელობა: მეცნიერული ცოდნა, რაციონალიზმი, დინამიზმი, განვითარება, მოძრაობა, მოდერნიზააცია, ინოვაციურობა, ინდივიდუალიზმი, პიროვნულობა.

სამყაროს ბრძოლის ისტორია ამ ორი ნაკადის მუდმივი მოქიშპეობა იყო, რომელშიც აქტიურად გამოიყენებოდა პოლიტიკა და კულტურა; მკვლევრებში არსებობდა მოსაზრება, რომ აღმოსავლურმა პოლიტიკურმა, ფილოსოფიურმა და რელიგიურმა აზროვნებამ რამდენიმე საუკუნით გაუსწრო დასავლურ ღირებულებებს. გამოიყოფოდა დამწერლობა, რელიგიები, ქაღალდის დამზადება, წიგნის ბეჭდვა, ქაღალდის ფული, გაზეთი, დენთი, მაგნიტი, კომპასი, ბორბალი, იალქანი, მათემატიკა, მწერლობა, პოეზია, დემოკრატიული პრინციპები, თავისუფლების იდეა და სხვ.

დასავლურ-აღმოსავლური ურთიერთობების შეფასებისას **ზ. ბჟეზინსკი** გვამცნობდა, რომ **„მსოფლიოში სრულდებოდა დასავლეთის დომინირება და არა იმიტომ, რომ დასავლეთი სასიცოცხლო ძალას კარგავდა, არამედ იმიტომ, რომ მას აზია იძენდა“**.

რაც შეეხება საქართველოს, რომელ განზომილებაში იყო მისი პოლიტიკური და კულტურული სული, აქ ცალსახა პასუხი არ არსებობდა, თუმცა დასავლური ქვეყნებისათვის საქართველო დასავლური სახისმეტყველების მატარებელ გეოგრაფიულ სივრცედაც მოიაზრებოდა.

უკანასკნელ პერიოდში საქართველო მოლიპულ გზაზე იდგა, მიმდინარეობდა ბრძოლა **„სიმართლესა და სიცრუეს“** შორის. იკვეთებოდა „მკვდარი მიმბაძველობა“ და „მოძალადეობის ქადაგება“. ქვეყანა თანდათანობის უცხოვდებოდა საზოგადოებისა და ისტორიისაგან.

„მოქალაქეთა კავშირმა“ და „ნაციონალურმა მოძრაობამ“ თვითონვე „შეჭამა“ თავისი შვილები; „ქართული ოცნების“ ხანაშიც „ქვეყანაში ცუდ ამბებს ხედავდნენ და უარესსაც მოელოდნენ“. ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ეკონომიკური და დემოკრატიული ცხოვრება უარესდებოდა. ძლიერდებოდა ავტორიტარულ-დიქტატორული მეთოდები. იცვლებოდა გარემოება ქრისტიანული იდეოლოგიის ციტადელში – ეკლესიაში.

სამივე პოლიტიკური ძალისთვის მთავარი იყო **„ძალაუფლება და კეთილდღეობა“**, რამაც ქვეყანაში გაზარდა სამოქალაქო დაპირისპირებების საფრთხე. ითხზვებოდა ლეგენდები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაბრუნების, ქართული ჯარის უძლეველობის, ეკონომიკის, კულტურის, განათლების, მეცნიერების და სხვა სფეროების დიდი აღმავლობის, ნახევარმილიონიანი საპორტო ქალაქის – ლაზიკის დაარსების, ანაკლიის პორტის აშენების, სასწრაფოდ აშენების, ასი საწარმოს შექმნის და სხვა სასწაულების შესახებ.

საქართველოში ყალიბდებოდა **„მოქალაქეთა კავშირის“, „ნაციონალური მოძრაობის“, „ქართული ოცნების“** კულტურა, განათლება და

მეცნიერება. დაიშალა მწერალთა და სხვა შემოქმედებითი კავშირები.

ქვეყნის სინამდვილეში დაგროვილი კითხვების პასუხები, ანალიზი, სინთეზი, შეფასება და ა.შ. ცხადყოფდა საქართველოს ისტორიის მონაკვეთების (**„მოქალაქეთა კავშირი“, „ნაციონალური მოძრაობა“, „ქართული ოცნება“**) ისტორიულ, პოლიტიკურ და სამართლებრივ სახისმეტყველებას, რომელიც მოიცავს არაერთ წვიმიან, ნისლიან და სისხლიან წლებს საქართველოში.

ვერცერთმა ზემოთ ნახსენებმა პოლიტიკურმა პარტიებმა ვერ შეძლეს ქვეყნის მართვა; ამ კონტექსტში საინტერესო იყო **კონფუცი**ს გახსენება. ერთ პარადიგმულ შეკითხვაზე: **„რა სჭირდება ქვეყნის მართვას? ჩინელი ბრძენი პასუხობდა: უპირველესად სურსათი, საკმარისი იარაღი და მეთაურის ნდობა“. მაგრამ კითხვაზე ამ სამი ღირებულებებიდან თუ აუცილებელი გახდებოდა ორის დათმობა? კონფუცი პასუხობდა, რომ შეიძლებოდა პირველი ორი დაეთმოთ, მაგრამ არ შეიძლებოდა ხალხს მეთაურის ნდობა დაეკარგა, რაც ქვეყნის დაღუპვას გამოიწვევდა.**

პოლიტიკა, პოლიტიკური და სახელმწიფო მართვა ურთულესი საქმეა. ამიტომ თქვა უარი შემოთავაზებაზე აინშტაინმა გამხდარიყო ისრაელის პრეზიდენტი, იმ მოტივით, რომ ვერ შეძლებდა ამ ტვირთის აწევას, ვინაიდან პოლიტიკა ფიზიკაზე ბევრად რთულ მეცნიერებად მიაჩნდა.

სიმართლის მთქმელობა ყველა ეპოქაში სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. VI საუკუნის ბიზანტიელმა ისტორიკოსმა პროკოფი კესარიელმა „საიდუმლო ისტორია“, რომელიც თერთმეტი საუკუნის შემდეგ გახდა ცნობილი. მისი აღიარებით, სხვანაირად ის ვერ დაემალებოდა გარშემომყოფ მეთვალყურეებს და ვერც საზარელ სიკვდილს დააღწევდა თავს.

დღევანდელი საქართველოს პოლიტიკური ისტორია, შემდგომი ეპოქების უძველეს ისტორიად უნდა ქცეულიყო. ისტორია პატრიოტული მეცნიერებაა. **„პატრიოტიზმი კი ემოციათა ამოფრქვევა არ არის, მშვიდი და მუდმივი სამსახურია მთელი ცხოვრების განმავლობაში. არის სიტყვები, რომელთა წარმოთქმა იოლია. პატრიოტიზმი სიტყვა არ არის, იგი ურთულესი ამოცანაა“** – აცხადებდა **ე. სტივენსონი.**

ქართველი ერი იდგა განსაკუთრებული ვითარების წინაშე და წარმოშობილ რთულ კითხვებზე პასუხი უნდა გაეცა მის ინტელექტუალურ ნაწილს, განსაკუთრებით ისტორიკოსებს, პოლიტიკოსებს, ფილოსოფოსებს, სოციოლოგებს და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ზოგჯერ სხვადასხვანაირად იაზრებდნენ ისტორიულ პროცესებს.

ისტორია არ უნდა იქცეს რეგრესის მესიტყვედ. დამპყრობლები ვერასოდეს დაწერენ დაპყრობილების ისტორიას, თუმცა შეიძლება ამტკიცონ, რომ დაპყრობიდან იწყებოდა დაპყრობილის ზიარება მსოფლიო ცივილიზაციასთან.

ასე იყო ეს საქართველოს რუსეთის, ხოლო მოგვიანებით საბჭოთა იმპერიის შემადგენლობაში ყოფნის პერიოდში. მაშინ კრემლში ფიქრობდნენ, რომ საქართველოს არ სჭირდებოდა წარსულის, აწმყოს და პოლიტიკური მომავლის ახალი და უახლესი მართალი პოლიტიკური ისტორია.

ცხადია, გამოითქმებოდა საბჭოთა იდეოლოგიისთვის მიუღებელი შეხედულებები, თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომლებიც მთლიანად იყვნენ ჩაბმულნი კომუნისტური მმართველობის სამსახურში და ცდილობდნენ **ემტკიცებინათ, რომ საბჭოეთში შემავალი რესპუბლიკები და, მათ შორის, საქართველო, წარმოადგენდნენ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს, საკუთარი პოლიტიკურ-ეკონომიკური ინსტიტუტებით და დამოუკიდებელი პოლიტიკური ხელისუფლებით.**

ცნობილია, რომ **ივანე ჯავახიშვილს** არ შეუქმნია ნაშრომები ახალი და უახლესი პოლიტიკური ისტორიის მიმართულებით, თუმცა ჩამოყალიბებული ჰქონდა აზრი კვლევის ძირითად პრინციპებზე, რაც მიუღებელი აღმოჩნდა კომუნისტური მმართველობისათვის.

ახალი და უახლესი პოლიტიკური ისტორიის კვლევა-ძიებას თავს არიდებდნენ **სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი, გიორგი მელიქიშვილი** და სხვები, თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომლებიც იძულებულნი იყვნენ დაემუშავებინათ საბჭოთა იდეოლოგიისთვის მისაღები შეხედულებებიც. მკვლევართა მესამე ჯგუფი მთლიანად იდგა კომუნისტური მმართველობის სამსახურში, რომლის სათავეში მაშინ იდგნენ: **ფ. მახარაძე, მ. ტოროშელიძე, გ. ხაჭაპურიძე, ვ. მერკვილაძე** და სხვები, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ საქართველო ფლობდა სუვერენული სახელმწიფოს ყველა ძირითად ნიშანს.

მარქსისტ-ლენინური პრინციპების გამზიარებელი მკვლევრები ფიქრობდნენ, რომ საზოგადოებრივ ურთიერთობებში მთავარი იყო არა ეროვნული საკითხი, არამედ კლასთა ბრძოლა. ეროვნულ კითხვას კი მაშინ გაეცემოდ აპასუხი, როდესაც ბოლო მოეღებოდა სოციალურ უთანასწორობას და დაპირისპირებას.

კლასთა ბრძოლის პირველადობის „მეცნიერული“ დასაბუთების ცდუნებას მაშინ ვერ აცდნენ **ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, მ. ლორთქიფანიძე** და სხვები.

საქართველოში შეიქმნა კომუნისტური პარტიის ისტორიის შემსწავლელი სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებები, რომელთა კონტროლს ახორციელებდნენ უმაღლესი პარტიული ორგანოები.

ლენინიდან და პარტიის იდეიდან გამომდინარე, მაშინ მიიჩნევდნენ, რომ საქართველოს არ სჭირდებოდა ძველი ინტელიგენცია და უნდა გამოეყენებინათ მხოლოდ მუშათა კლასისა და გლეხობისაგან წარმოშობილი კადრები – საბჭოური ინტელიგენცია. ბრძოლა გამოეცხადა გენეტიკას, თუმცა მხოლოდ ცალკეული ისტორიკოსების, ფილოსოფოსების, ლიტერატორების, პოეტებისა და მწერლების გარდა, არავინ წასულა „საბჭოური მდინარების“ წინააღმდეგ.

აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით განსაკუთრებით აქტიურობდნენ „ნაციონალური მოძრაობისა“ და „ქართული ოცნების“ პარტიების შემქმნელები, რაც აისახა საკადრო პოლიტიკაში. დამკვიდრდა ყოვლად მიუღებელი ტენდენცია, თითქმის ყველა სფეროში (პოლიტიკა, ეკონომიკა, სოფლის მეურნეობა, განათლება, მედიცინა, კულტურა, სპორტი და ა.შ.) ხელმძღვანელ თანამდებობებზე მხოლოდ ე.წ. „სამართალმცოდნის დიპლომით“ შეიარაღებული კადრების დანიშვნა თუ არჩევა, რამაც გამოუსწორებელი შედეგები მოუტანა ხელისუფლების მცდარ საკადრო პოლიტიკას.

საბჭოთა საქართველოში არ დაწერილა საბჭოთა ქვეყნის მართალი პოლიტიკური ისტორია. სრულიად გასაგები მიზეზების გამო, ქართველი ისტორიკოსების ერთი ნაწილი იძულებული იყო უარი ეთქვა ახალი და უახლესი პოლიტიკური ისტორიის სიღრმისეულ კვლევა-ძიებაზეც (**ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, გ. მელიქიშვილი**).

მკვლევართა ერთი ჯგუფი პირდაპირ თუ შეფარვით უპირისპირდებოდა კომუნისტურ იდეოლოგიას და ცდილობდა ობიექტურად წარმოეჩინა საქართველოს ახალი და უახლესი პოლიტიკური ისტორია. გამოთქვამდა საბჭოთა იდეოლოგიისთვის მიუღებელ შეხედულებებს, თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომლებიც მთლიანად იყვნენ ჩაბმულნი კომუნისტური მმართველობის სამსახურში და ცდილობდნენ **ემტკიცებინათ, რომ საბჭოეთში შემავალი რესპუბლიკები და, მათ შორის, საქართველოც, წარმოადგენდნენ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს პოლიტიკური ინსტიტუტებით და პოლიტიკური ხელისუფლებით.**

არც **ივანე ჯავახიშვილს** არ შეუქმნია ნაშრომები ახალი და უახლესი პოლიტიკური ისტორიის მიმართულებით, თუმცა ჩამოყალიბებული ჰქონდა აზრი კვლევის ძირითად პრინციპებზე, რაც მიუღებელი აღმოჩნდა კომუნისტური მმართველობისათვის.

გასული საუკუნის 30-იან წლებში საბჭოური საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების წინაშე გადამწყვეტ მიზნად და ამოცანად დადგა **„გარდაქმნის“** პარადიგმა, რომელიც ითვალისწინებდა სიტუაციის დაფიქსირებასა და მართვას, ანუ ყოველივე მოძველებულის და დრომოჭმულის განდევნას სოციალურ-ეკონომიკური სფეროდან და ადამიანთა ფსიქოლოგიიდან.

აღნიშნული მოვლენები ეხებოდა საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული, საგანმანათლებლო-სამეცნიერო და სხვა სფეროებსა და დარგებსაც.

ამ მიმართულებით გააქტიურებული ქართული პრესა ქართველ მეცნიერებს მიმართავდა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური კითხვის რუბრიკის ფარგლებში, გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრებები ამა თუ იმ პრობლემებზე.

იური კაჭარავა მიუთითებდა, რომ **ქართული ინტელიგენცია 1917 წელს რუსეთში მომხდარ პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით ორ ნაწილად იყოფოდა: ერთნი დადებითად აფასებდნენ ლენინისა და მისი გუნდის ხელისუფლების სათავეში მოსვლას, მეორენი კი ფიქრობდნენ, რომ სოციალიზმის ლენინური პოლიტიკა და იდეოლოგია მიუღებელი იყო საქართველოსთვის. ამიტომ ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ, მათი განეიტრალების მიზნით, სახელმწიფო დახმარება დაუნიშნა ც. ბარნოვს, ე. გაბაშვილს, შ. მღვიმელს, შ. არაგვისპირელს, ს. მგალობლიშვილს, შ. დადიანს, გ. ქიქოძეს, ო. თუმანიანს, ა. აკოფიანს, ა. ერისთავ-ხოშტარიას, დ. მეგრელს, ბაჩანას** და სხვ.

აგრეთვე, **ი. ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, ნ. ლომოურის, ი. ევდოშვილის, ს. მესხისა და ყიფიანის ოჯახებს.** სახელმწიფო სამსახურში ჩარიცხეს პროფესიულ დასებში მომუშავე მსახიობები: **ვ. აბაშიძე, ტ. აბაშიძე, ვ. ანჯაფარიძე, მ. გელოვანი, ნ. გოცირიძე, ვ. გუნია, შ. დადიანი, ა. ვასაძე, ა. იმედაშვილი, ს. ჟორჟოლიანი, უ. ჩხეიძე, მ. ჭიაურელი** – აკადემიური და სხვა ბიძინაშტრების ცნობილი მსახიობები.

ცხადია, ისტორიული შეფასება ექვემდებარება **„დისტანციის თეორიას“**, მაგრამ პოლიტიკური კვლევის საგანი თანამედროვეობაცაა, რომელიც მოიცავს ბრძოლას ხელისუფლების მოსაპოვებლად და შესანარჩუნებლად. **მკვლევარი რეალობის მოწმე და თანამონაწილეცაა და ერთობლივად უხდება თანხმობის თუ უთანხმოების ეკლიანი თუ დანაღმული გზის გავლა.**

საბჭოური ტიპის სახელმწიფოში არსებობდა ორი ისტორიოგრაფია, სახელისუფლებო და ოპოზიციური, ოფიციალური ისტორიოგრაფია მხარს უჭერდა მთავრობის საქმიანობას. სახელმწიფო პოლიტიკა იყო სააგიტაციო-პროპაგანდისტული, ნაკლები მეცნიერული ახსნადასაბუთებებით. არ კეთდებოდა რეალური დასკვნები ხელისუფლების შეცდომებზე თუ დანაშაულობებზე; იმალებოდა პოლიტიკური ლიდერების საქმიანობის ნამდვილი სურათი.

მე-20 საუკუნის 20-30-იანი წლებიდან ქართულ ისტორიოგრაფიაში საბოლოოდ დამკვიდრდა ლენინური ეტაპი, რომლის მიმდევრებს ნაკლებად აინტერესებდათ საქართველოს წარსული, ხოლო თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრება კომუნისტური პარტიის ისტორიასთან იყო გაიგივებული, მით უმეტეს, ლენინისტი მკვლევრების აზრით, მთავარ ძალას წარმოადგენდა კლასთა შორის ბრძოლა და არა ეროვნული საკითხი.

დაიწყო მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის შემსწავლელი და გამავრცელებელი სამეცნიერო კადრების მომზადება, უმაღლეს სასწავლებლებში, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში, სხვა სამეცნიერო დაწესებულებებში, თუმცა მკვიდრდებოდა გაორებული მიდგომები: ისინი, ვინც ადრე ხოტბას უძღვნიდნენ სტალინსა და ბერიას, ხრუშჩოვის მმართველობაში კრიტიკას არ იშურებდნენ მათ მიმართ. ფართოდ ეხსნებოდა გზა კომუნისტურ „ორსახეობას“ პარტიულ, კომკავშირულ, სახელმწიფო, საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კულტურულ-სახელოვნებო და სხვა დარგებსა და სფეროებში.

მკვლევრებს ეძლეოდათ დავალება დაეწერათ უახლესი პერიოდის ისტორია, არა ეროვნული, არამედ კლასთა ბრძოლის წინ წამოწევით და ეკონომიკური ფაქტორების განსაზღვრით, თუმცა ისინი ძირითადად კომუნისტური ეპოქის ჟამთააღმწერლები გახდნენ და მოკლებულნი იყვნენ შესაძლებლობას თეორიულ-პრაქტიკული ასპექტებით გაეაზრებინათ ისტორიული პროცესები და ობიექტური ნაშრომები შეექმნათ. შესაბამისად, ვერ მოხერხდა ქვეყნის მთლიანი, რეალური პოლიტიკური ისტორიის შექმნა, მიუხედავად იმისა, რომ 1970-1980 წლებში გამოსული რვატომეულის შექმნაში 90 ავტორი მონაწილეობდა, ერთ-ერთი ტომი კომუნისტური ხელისუფლების და შევარდნაძის ქებათა ქებას მოიცავდა. თუმცა პოლიტიკურ-იდეოლოგიური წნეხის მიუხედავდა, ქართული ისტორიული, პოლიტიკური, ჰუმანიტარული, ფილოსოფიური, ეკონომიკური, საერთაშორისო ურთიერთობების და ა.შ. მეცნიერებები მდიდრდებოდა **გ. მელიქიშვილის, ნ. ბერძენიშვილის, გ. ჩიტაიას, თ. ყაუხჩიშვილის, ი. კაჭარავას, რ. მეტრეველის, ე. ჯაველიძის, ლ. სანიკიძის, ო. ლორთქიფანიძის, გრ. გიორგაძის, ვ. ფუთურიძის, ვ. დუნდუას, ო. ჯაფარიძის, გ. ჩუბინაშვილის, შ. ამირანაშვილის, გ. ახვლედიანის, ა. ბარამიძის, პ. გუგუშვილის, ს. დანელიას, ვ. თოფურიას, კ. კეკელიძის, ქ. ლომთათიძის, ა. შანიძის, შ. ნუცუბიძის, ნ. ქოიავას, ს. წერეთლის, კ. ბაქრაძის** ღირებული მონოგრაფიებით და სხვა სახის მეცნიერული ლიტერატურით. განსაკუთრებით გააქტიურდა ეს 1990 წლიდან, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, რაც, ასევე, კონკრეტულად და ობიექტურად აისახა **რ. მეტრეველის, ა. სილაგაძის, გ. ანჩაბაძის, ე. ჯაველიძის, გ. ყორანაშვილის, ა. ბენდიანიშვილის, გ. გაფრინდაშვილის, გ. გაჩეჩილაძის, გ. გვასალიას, თ. გრიგოლიას, ვ. გურულის, შ. ვადაჭკორიას, მ. ვაჩნაძის, ლ. თოიძის, ი. კვესელავას, ჰ. კუპრაშვილის, გ. მჭედლიძის, დ. შველიძის, ე. გვენეტაძის, ვ. მაისაიას, ა. სონღულაშვილის, გ. ციციშვილის, ს. ცინცაძის, გ. ნოდიას, ზ. ხონელიძის** და სხვების მონოგრაფიებში, დისერტაციებში, წიგნებში, წერილებში, სტატიებში, ესეებში და სხვა პუბლიკაციებში.

საერთოდ, რუსეთის პოლიტიკური ელიტა კარგად იყენებდა საქართველოს ხელისუფლების მიერ დაშვებულ შეცდომებს. ვერ ხერხდებოდა გამოსვლა რუსეთის ჩრდილიდან, რაც გამოიხატა მოსკოვის მიერ მომზადებულ და

ქართული ოპოზიციის მიერ მხარდაჭერილ სახელმწიფო გადატრიალებებში და რუსეთ-საქართველოს ომებში (1799-1832, 1805-1810, 1921-1924, 1991-1992, 1992-1993, 2008 წლის აგვისტო).

ცნობილია, რომ 80-იანი და 90-იანი წლების დასაწყისის ეროვნულ-პოლიტიკური მოძრაობა უფრო მიზანმიმართული და ძლიერი აღმოჩნდა დამოუკიდებლობისა და ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნის მიმართ, რამაც განაპირობა **1990 წლის ოქტომბერში კომუნისტური მმართველობის დასასრული, ერთიან საქართველოში 1991 წლის 31 მარტს ჩატარებული სახალხო რეფერენდუმი და 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გამოცხადება, რაც შემდეგ საფუძვლად დაედო საქართველოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გაწევრიანებას.**

მაგრამ, ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ საერთო ბრძოლის სათავეში მდგომმა პოლიტიკურმა კლასმა ე. შევარდნაძის მხარდამჭერი ეკონომიკური, საეკლესიო, ინტელიგენციის ნაწილისა და სამხედრო ძალების მობილიზების შედეგად შეძლო სახელისუფლებო გადატრიალების მოწყობა, რომლის მძიმე პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და იდეოლოგიური შედეგები მძიმე კოშმარად აწევს დღევანდელობას და ამაში გადამწყვეტი როლი ითამაშა პოლიტიკამ, რომელიც განსხვავებით სომხეთისა და აზერბაიჯანისაგან, მუცლით ხოხვას ამჯობინებდა რუსეთის წინაშე და კრემლისაგან ითხოვდა დახმარებას, მოსახლეობისაგან დემოკრატიული გზით არჩეული საქართველოს პირველი პრეზიდენტის შეიარაღებული გზით დასამხობად და ფიზიკურად გასანადგურებლად.

პირველი პრეზიდენტის **ზვიად გამსახურდიას** შეიარაღებული გზით დამხობის შემდეგ „მოქალაქეთა კავშირის“ და „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებების პერიოდში დაირღვა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, ქვეყანა მოიცვა პოლიტიკურმა, სოციალურ-ეკონომიკურმა, კულტურულმა, საგანმანათლებლო-სამეცნიერო, იდეოლოგიურმა და სხვა სახის კრიზისებმა. გართულდა ქვეყნის პოლიტიკური პორტრეტის შექმნა „აწმყოს ხედვა წარსულის საშუალებით“ და „ქარსულის გაგება აწმყოს გააზრებით“.

თუ საბჭოთა რუსეთის და საბჭოთა კავშირის პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ძალის – ინტერესებში პირდაპირ არ შედიოდა საქართველოში კონფლიქტების გაღვივება, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა და სხვა, მოგვიანებით განვითარებულმა პროცესებმა გამოაჩინეს პოტენციური შესაძლებლობები კავკასიის რეგიონში და რუსეთის ახალმა სახელმწიფომ შეიმუშავა საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ხელყოფის გეგმა.

ქრისტიანული, მუსლიმური და რუსული სამყაროს გზაჯვარედინზე მდებარე საქართველო თავისი არსებობის ურთულეს პერიოდში იმყოფებოდა. ქვეყანას, ფაქტობრივად, არ ჰქონდა პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, სამხედრო და სხვა კავშირები ევროკავშირის ქვეყნებთან და ამერიკასთან. გამოირიცხებოდა საქართველოს გაერთიანება ნატოს სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსში.

კავკასიური და, კერძოდ, სამხრეთკავკასიური ქვეყნები მსოფლიოს ახალ იმპერიათა დაინტერესების და დაპირისპირების საგანი იყო და ჰყავდა გამოკვეთილი მოწინააღმდეგეები დიდ და მცირე სახელმწიფოთა შორის.

ცნობილია, რომ მე-20 საუკუნის 20-30-იანი წლებიდან ქართულ ისტორიოგრაფიაში საბოლოოდ დამკვიდრდა ლენინური ეტაპი, რომლის მიმდევრებსაც ნაკლებად აინტერესებდათ საქართველოს წარსული, ხოლო თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრება კომუნისტურ პარტიასთან იყო გაიგივებული, მით უმეტეს, ლენინისტი მკვლევრების აზრით, მთავარ ძალას წარმოადგენდა კლასთა შორის ბრძოლა და ეროვნული საკითხი.

სწორედ ამ პერიოდში კომუნისტი ისტორიკოსები ცდილობდნენ ემტკიცებინათ, რომ ლენინი იყო ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი, ხოლო საქართველო ფლობდა სუვერენული სახელმწიფოს ყველა ძირითად ნიშანს (ვ. მერკვილაძე).

კომუნისტურმა რეჟიმმა პოლიტიკური მეცნიერება „კარის“ მეცნიერებად აქცია, რომელსაც არ ჰქონდა თავისი ავტონომია, დამოუკიდებელი ხასიათი და კვლევის თავისუფლება. ამის გამო იმჟამად ვერ მოხერხდა საქართველოს მთლიანი პოლიტიკური ისტორიის შექმნა.

ლენინზე ბევრი იწერებოდა, განსაკუთრებით 1970 წელს, მისი დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით, რომელიც **„ლენინიანას“** სახელწოდებითაა ცნობილი მსოფლიოში. მოგვიანებით, „პერესტროიკის“ პერიოდში პარ-

ტიის ბელადებზე, დაწყებული **სტალინით** და დამთავრებული **სუსლოვით** ბევრი „მოსათხრელი“ რამ დაიწერა. გაკრიტიკდა ლენინის ცალკეული თეორიებიც, თუმცა მისი ზოგიერთი „ლაფსუსის“ მიუხედავად, მისი ნაშრომები რუსეთში მეცნიერულ ჭეშმარიტებად რჩებოდა.

ზოგიერთი მტკიცე ლენინელი მკვლევარი მიიჩნევდა, რომ **რაც სამოქალაქო ომის პერიოდში და შემდგომ 20-30-იან წლებში ნეგატიური იყო, მას არავითარი კავშირი არ ჰქონდა ლენინის პიროვნებასთან. „პერესტროიკის“ იდეოლოგები თავს არიდებდნენ ბელადზე მსჯელობას, მალავდნენ საარქივო დოკუმენტებს, რაც მას არასასურველი მხარით წარმოაჩენდა**.

თუმცა მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მიმართ ბოლო პერიოდში, ბევრი მაკომპრომიტირებელი მასალა გამოქვეყნდა. ამერიკელი სოვეტოლოგი **ლ. ფიშერი** წიგნში **„ლენინის ცხოვრება“,** ლენინის შევიწროვებას უკავშირებდა მის ძმას, რომელიც **ალექსანდრე პირველის** თავდასხმაში **ღებულობდა** მონაწილეობას **და ამის გამო ვლადიმერ ულიანოვს საზოგადოებრივი, სამეცნიერო და სხვა გზა გადაეკეტა, მონაწილეობა მიიღო სტუდენტთა დემონსტრაციაში, რის გამოც გარიცხეს უნივერსიტეტიდან, უარი უთხრეს საზღვარგარეთ წასვლაზეც და ა.შ. გაუჩნდა ზიზღი არსებული ხელისუფლების მიმართ და შემდგომში მისი ბრძანებით დაიხვრიტა მეფის ოჯახიც.**

ამის გამო გახდა **ლენინი** რევოლუციონერი, თავიდან ეძებდა მუშებისა და გლეხების რევოლუციურ დიქტატურას, შემდეგ კი **„პროლეტარიატის დიქტატურას“**. საინტერესოა **„ლენინიზმის“** სტალინისეული შეფასებაც: **„ლენინიზმი არის მარქსიზმი იმპერიალიზმისა და პროლეტარიატის შესახებ, უფრო სწორად: ლენინიზმი არის თეორია და პრაქტიკა პროლეტარული რევოლუციისა, საერთოდ განსაკუთრებით თეორია და პრაქტიკა პროლეტარული დიქტატურისა“**.

ე.ი. თუ მარქსიზმი იყო საზოგადოების განვითარების კანონზომიერების შემსწავლელი მეცნიერება, ლენინიზმი წარმოადგენდა მეცნიერებას, „პროლეტარული დიქტატურის“ დამყარების შესახებ, ანუ მთავარი ხდებოდა ძალაუფლების საკითხი, მაგრამ დევნისა და იატაკქვეშეთის შემდეგ ხელისუფლებაში მოსვლამ, როგორც **მ. გორკი** გვიხსნიდა, **ლენინი, ტროცკი, სტალინი** და სხვები მოწამლა ძალაუფლების შხამმა, რაც გამოიხატა მათი დამოკიდებულებით თავისუფალი სიტყვისადმი, პიროვნების და იმ უფლებისადმი, რისთვისაც იბრძოდა დემოკრატია.

ლენინი არ მალავდა, რომ ძალაუფლებისათვის ბრძოლაში ყველა ხერხი მისაღები იყო, თუ ის გამოიყენებოდა პროლეტარული რევოლუციის ინტერესებისათვის ანუ მხედველობაში ჰქონდა თავისი მოსვლა ხელისუფლების სათავეში; ერთ-ერთ წერილში ცენტრალური კომიტეტისადმი ჯარისკაცების შესახებ იგი აღნიშნავდა, რომ უნდა წაეხალისებინათ ისინი გენერლებისა და ოფიცრების საცემად.

ლენინი გაანაწყენა საბჭოების მეორე ყრილობის დეკრეტებმა სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ. **„ეს უგუნურებაა, როგორ მოვახდენთ რევოლუციას დახვრეტების გარეშე და აყენებდა წინადადებას დეკრეტის გაუქმების ან შეცვლის შესახებ, ფორმულირებით „დეკრეტი არ გაუქმდეს, მაგრამ „მიმართონ დახვრეტებს, როდესაც სხვა გზა არ არის“. „უნდა გაიზარდოს დახვრეტების რაოდენობა“**, – წერდა **ლენინი** თავის ერთ-ერთ თანამებრძოლ **კურსკის** და ეს აზრი ქვეყნდებოდა ჟურნალ „ბოლშევიკში“, „საჭირო დროს“, 1937 წელს; ლენინის საიდუმლო მითითებით, დაიხვრიტა კოლჩაკი 1920 წლის თებერვალში. უფრო ადრე, 1918 წლის თებერვალში, ლენინი ასეთ მითითებას იძლეოდა: **„მათ, ვინც არ მუშაობს ტრანსპორტზე, შეუმცირდეს პურის ნორმა; დაიღუპონ ათასები, მაგრამ ქვეყანას გადავარჩენთ“**.

„ჩვენ ყელამდე გვჭირდება ნავთობი. მოიფიქრეთ მანიფესტი მოსახლეობისადმი, რომ ყელს გამოგჭრით ყველას, ვინც დაწვავს ან გააფუჭებს ნავთობს და ნავთობის საბადოებს და პირიქით – ვაჩუქებთ ყველას სიცოცხლეს თუ მაიკოპს და, განსაკუთრებით, გროზნოს გადმოგვცემენ დაუზიანებლად“. ცხადია, ეს ეხებოდა არა ბოროტმოქმედთა ბანდას, არამედ მშვიდობიან მოსახლეობას, რომელთაც პირობითად ჩუქნიდნენ სიცოცხლეს.

ლენინის პირადულ ჩანაწერებში იკითხება: „შეეცადეთ დასაჯოთ ესტლანდია და ლატვია სამხედრო მეთოდებით, მაგალითად, გადადით სადმე საზღვარზე 1-2 ვერსით და ჩამოახრჩვეთ 100-1000-მდე იქაური ჩინოვნიკი და მემამულე, სხვა ჩანაწერებში საუბარია პოლონეთზეც.

„მშვენიერი გეგმაა. დაამუშავეთ ძერჟინსკისთან ერთად: ვითომცდა, „მწვანეების“ სახით (შემდეგ მათ დავაბრალებთ) გავივლით 10-20 ვერსს ტერიტორიის სიღრმეში და ჩამოვახრჩობთ იქაურ კულაკებს, მღვდლებს, მემამულე-

ებს, ყოველი ჩამოხრჩობილისათვის პრემიის სახით 100 000 მან.“.

უდავოა, სამოქალაქო ომს და, საერთოდ, ომს თავისი დაუწერელი კანონები აქვს, მაგრამ ლენინი მშვიდობიან პერიოდშიც აქტიურობდა; რუსეთის ფედერაციის მაშინდელი იუსტიციის სახალხო კომისრის კურსკის მიერ ლენინისადმი გაგზავნილი სამართლებრივი კანონი პროექტის სახით ითვალისწინებდა საბჭოთა ხელისუფლების დაცვას ძალადობისაგან, რევოლუციური ტრიბუნალის გამოყენებას დანაშაულისთვის, თუმცა რუსეთის სახელმწიფოს მეთაურს, ლენინს, შეჰქონდა შესწორებები, მათ შორის იყო „განთქმული“ 58-ე მუხლი, რომლითაც 70 წლის საბჭოური ისტორიის მანძილზე მილიონობით ადამიანი გადაასახლეს და დახვრიტეს ციმბირის საკონცენტრაციო ბანაკებში.

ლენინი 1922 წლის 17 მაისს წერილს უგზავნის კურსკის: „ჩვენი საუბრის დამატებით გიგზავნით მონახაზს დამატებითი პარაგრაფისას სისხლის სამართლის კოდექსისათვის. ეს მონახაზი შავადაა გაკეთებული და, რა თქმა უნდა, საჭიროებს გადამუშავებასა და გადაკეთებას. ძირითადი აზრი, იმედია, მათელია, მიუხედავად მონახაზის შავი ნამუშევრისა, ღიად წარმოვადგინოთ პრინციპიალური და პოლიტიკურად გამართლებული (და არა მარტო ვიწრო იურიდიულად) დებულებამ რომელშიც მოტივირებულია იდეა ტერორის გამართლებისა, მისი აუცილებლობა, მისი საზღვრები.

სასამართლომ არ უნდა გააუქმოს ტერორი. ამის შეპირება იქნებოდა სიცრუე ან თავის მოტყუება, მისი დაკანონება კი პრინციპიალურია, რა თქმა უნდა, შელამაზების გარეშე. მისი ფორმულირება საჭიროა, რაც შეიძლება ფართოდ, რამეთუ, მხოლოდ რევოლუციურ მართლშეგნებასა და რევოლუციურ სინდისს შეუძლიათ დასვან ამ მუხლების გამოყენების პირობები პრაქტიკაში.

კომუნისტური მოკითხვით

ლენინი...“ [4].

საბჭოეთში იგმობოდა საფრანგეთის რევოლუციის დროს წარმოშობილი ნაციონალიზმის იდეა, რომელმაც, ფაქტობრივად, განაპირობა პირველი და მეორე მსოფლიო ომები, მოიცვა ევროპის, აზიის, ამერიკისა და აფრიკის კონტინენტები, განვითარდა მარქსიზმთან და სხვა მიმდინარეობებთან შერწყმულ ანტიკოლონიურ, ანტიიმპერიულ მოძრაობად და მიიღო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძხასიათი.

ზოგიერთ ქვეყანაში ნაციონალიზმი სოციალური რევოლუციის ნაწილად იქცა და მიზნად ისახავდა ეროვნული სახელმწიფოს შექმნას, ეროვნულ თავისუფლებას და დაპყრობასაც, რაც პროგრესულიც იყო და რეგრესულიც, რაციონალურიც და ირაციონალურიც.

1921-1991 წლების საქართველოში პროფესიონალი მკვლევრები მოწყვეტილი იყვნენ შესაძლებლობას ობიექტურად გაეანალიზებინათ ახლო წარსულში ან აწმყოში მომხდარი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები, ამიტომ იმპერიის დაშლის შემდეგ გამოჩნდნენ თემები, რომელთა კვლევა ადრე ტაბუირებული იყო, მათ შორის შეიძლება გამოიყოს:

1. ავტორიტარულ-მბრძანებლური სისტემის ჩამოყალიბება საბჭოთა კავშირში და საქართველო (1921-1991 წწ.);
2. კომუნისტური ნომენკლატურა – გაბატონებული კლასი და მისი გამოვლინებები საქართველოში;
3. შინაპარტიული ბრძოლა კრემლში ძალაუფლების მოპოვებისა და შენარჩუნებისათვის;
4. პოლიტიკური, ეკონომიკური და იდეოლოგიური რეპრესიები საქართველოში;
5. ეროვნულ-განმათავისუფლებელი და დისიდენტური მოძრაობა საქართველოში;
6. ქართული პოლიტიკური ემიგრაცია;
7. ქართველურ ტომთა წარმოშობისა და მიგრაციული პროცესების შესახებ;
8. საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესები სამხრეთ კავკასიაში 1917-1921 წლებში და ბოლშევიზმი;
9. 1939 წელს საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის დადებული ხელშეკრულება და ევროპის გადანაწილება;
10. „მეგრელთა საქმე“, 1951-1952 წლებში;
11. ლენინიზმ-სტალინიზმი – მითები და რეალობა 1917-1953 წწ.;
12. კომუნისტური რეჟიმი – 1917-1991 წწ.;
13. რელიგიისა და ეკლესიის დევნა საქართველოში „უღმერთოთა საზოგადოებები და კავშირები“ – 1917-1985 წწ.;
14. „ბერიას საქმე“ – 1953-1964 წწ.;
15. „შევარდნაძისმი“ საქართველოში – 1972-1985 წწ.;
16. მარქსიზმ-ლენინიზმი და ფეოდალური, ბურჟუაზიული და სოციალისტური ერები;

17. საბჭოთა კავშირის დაშლა – 1953-1991 წწ.;
18. პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კრიზისები საქართველოში – 1921-1991 წწ.;
19. ქართული საზოგადოება და თვითმპყრობელური და კომუნისტური რუსეთი;
20. საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემა, მმართველობა, პოლიტიკა, კულტურა და დემოკრატია – 1921-1991 წწ.;
21. საქართველოს საგარეო პოლიტიკა;
22. ეროვნულ-განმათავისუფლებელი, დისიდენტური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა საქართველოში;
23. სამხრეთ კავკასია მსოფლიო ისტორიის განზომილებებში – 1917-1991 წწ. და სხვ.

იმავე ლოგიკით, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ მოხდა კაპიტალიზმის ტრიუმფიც და ტრაგედიაც“ [3. 89].

ცნობილი მეცნიერი, აკადემიკოსი **ივერი ფრანგიშვილი** ფიქრობდა, რომ **ეპოქებს აქვთ დაბადებისა და დასასრულის პერიოდი და ზოგადი კანონზომიერებებიდან გამომდინარე, კაპიტალიზმიც ექვემდებარებოდა შეცვლას. ფრანგიშვილი ვარაუდობდა, რომ ეს, შესაძლოა, ყოფილიყო უფრო ჰუმანისტური, საზოგადოებრივ-ეკონომიკური სისტემა – დასავლური სოციალიზმი ანუ სოცკაპიტალიზმი, რომელიც, სავარაუდოდ, 400-500 წელი იარსებებდა.**

რაც შეეხება ლენინური სოციალიზმის იდეას, რომელმაც რუსეთში კომუნისტური ანუ სტალინური სოციალიზმის სახე მიიღო, დამარცხდა შინაგანი და საგარეო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ა.შ. კანონზომიერებიდან გამომდინარე, რომელშიც უმთავრესი როლი შეასრულა ერთპარტიულმა დიქტატურამ, რომელსაც დაუპირისპირდა საბჭოურ იმპერიაში შემავალი ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, თუმცა მკვლევრების აზრით, სტალინის გარდაცვალების შემდეგ სახელმწიფო მოწყობის „ბერიასეული მოდელის“ განხორციელებას, შეეძლო შეეჩერებინა ერთიანი კავშირის რღვევა, კონფედერაციული სისტემის ამოქმედებით.

ე. შევარდნაძის საქართველოში ჩამოყალიბდა ახალი კლასი, ხელისუფლების ნომენკლატურა, რომელმაც შექმნა პოსტკომუნისტური ბურჟუაზიის ფენები და ჯგუფები პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური და სხვა ნიშნულებით და არჩეულ იქნა **„ველური კაპიტალიზმის“** გზა; საქართველო მოიცვა სახელმწიფო ქონების მიტაცების ბუმმა, რომელმაც მიიღო არაგეგმიური პრივატიზაციის, არამედ „პრიხვატიზაციის“ ფორმა; გაღრმავდა სოციალური უთანასწორობა, საზოგადოების დიდი ნაწილი ღარიბთა და ღატაკთა ფენებად ჩამოყალიბდა და იძულებული გახდა საზღვარგარეთ გახიზნულიყო.

სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო საქართველოში **შევარდნაძის, სააკაშვილისა** და **ივანიშვილის მხარდამჭერი პოლიტიკური კლასის ჩამოყალიბება, გაძლიერება, ქონების დიდი ნაწილის მისაკუთრება და ნომენკლატურის პრო-პაგანდისტული იდეოლოგიის შექმნა**.

ხელისუფლებების შეცვლის მიუხედავად, წინ ვერ წავიდა სოციალურ-ეკონომიკური პროცესები; გაუარესდა შიდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობა, რასაც მოსახლეობის ქუჩაში გამოსვლა, მოჰყვა, რომელსაც ამ სტრიქონების ავტორი ჯერ კიდევ 2018 წელს წინასწარმეტყველებდა და რეალური სახე მიიღო 2024-2025 წლებში, როდესაც თბილისის მოსახლეობის ნაწილი რუსთაველზე, ხელისუფლების გადადგომის მოთხოვნით გამოვიდა.

საბაზრო ეკონომიკაში ვერ გატარდა სამი პრიორიტეტული რეფორმა:

1. **ზედმეტად გაზრდილი უკონტროლო ფინანსური სექტორის რეგლამენტირება;**
2. **საწარმოთა მართვის სისტემის რეფორმირება, მოკლევადიანი სტრატეგიები;**
3. **საგადასახადო შეღავათების სისტემის გადახედვა.**

ამ კონტექსტში საინტერესო იყო 2012 წლის 24 იანვარს ამერიკულ პრესაში გამოქვეყნებული **ჯონ არლოდჟის** წერილი, რომელიც ეხებოდა სოროსის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას აშშ-ში და სხვაგან კლასობრივი ბრძოლის გამწვავების შესახებ, რომელსაც, შეიძლება, მოჰყოლოდა მსოფლიოს ეკონომიკური სისტემის ნგრევა, რადგან ვარაუდობდნენ, რომ კაპიტალიზმის თანამედროვე სისტემის მიმართ იგრძნობოდა იმედგაცრუება; 2011 წლის ამერიკული ანალიტიკური მიმოხილვა გვამცნობდა, რომ მხოლოდ ერთ, ივლისის კვირაში, ამერიკის ტელეარხები ახალი ამბების გადაცემაში სიტყვა „ვალი“ 7000-ჯერ იყო ნახსენები, „ოკუპაცია“ – 1278-ჯერ, „უოლსტრიტი“ – 237-ჯერ, სამუშაო ადგილი – 2738-ჯერ და ა.შ.“ [3. 104-105].

ასეთ ვითარებაში აზიური სამყარო ხდებოდა ანგლოსაქსური ერთობის სერიოზული

კონკურენტი, მაგრამ არც ჩინური მოდელი გამოირჩეოდა დიდი თანასწორობით. თუმცა, სინგაპურში ავტორიტარული მმართველობის მიუხედავად, ვლინდებოდა ძლიერი ეკონომიკური ზრდა, არსებობდა ჰონგკონგის მოდელიც, მაგრამ პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით, არცერთი არ წარმოადგენდა მარგალიტს.

უდავოა, პოლიტიკური ცხოვრება ახალ აზროვნებას და ახლებურად მართვას მოითხოვდა, რომელსაც ეწინააღმდეგებოდა ძველი ნომენკლატურა. შედარებით ახალგაზრდა ბერია ახალი იდეების დაუფარავი დემონსტრირებით გამოირჩეოდა და თავისი შეხედულებები გააჩნდა ბევრ პოლიტიკურ, სახელმწიფო მართვის, ეკონომიკურ, ადამიანის უფლებების დაცვის, ატომური ენერგიის გამოყენების, გერმანიის გაერთიანებისა და სხვა საკითხებზე. ლაპარაკი დაიწყო **სტალინის** მემკვიდრეებზეც (**ჟდანოვი, მოლოტოვი, მალენკოვი, ჟუკოვი**), მაგრამ ყველაზე ძლიერ მემკვიდრედ საბჭოეთშიც და დასავლეთშიც ბერია აღიქმებოდა.

1953 წელს კრემლის ანტისტალინურმა ჯგუფმა, რომელიც, სტალინის გარდაცვალების შემდეგ, ხელისუფლების სათავეში მოვიდა მოღალატედ გამოაცხადა **ბერია – სტალინის** შემდეგ მეორე პირი საბჭოთა კავშირში, პოლიტბიუროს წევრი, მთავრობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საბჭოთა კავშირის მარშალი, მეორე მსოფლიო ომში საბჭოეთის გამარჯვების ერთ-ერთი სულისჩამდგმელი, რომელმაც შეძლო ატომური იარაღი მოეპოვებინა ქვეყნისათვის.

საბჭოთა კავშირის და, ცხადია, საქართველოს საშინაო და საგარეო სამსახური ვერცერთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას მიიღებდა უშუალოდ კრემლის და პირადად **სტალინის** გარეშე. **„მეგრელთა საქმე“** იყო პირადად **სტალინის** დაინტერესების საგანი, ამიტომ სიცრუეს წარმოადგენს საქართველოს თუ უცხოეთის საინფორმაციო საშუალებებში გამოთქმული მოსაზრებები, რომ სტალინს უკვე აღარ შეეძლო ამ საქმეებში აქტიური მონაწილეობის მიღება გადატანილი მძიმე ინსულტის გამო, ხოლო ბერია აღარ იყო უშიშროების მინისტრი.

სტალინურ ეპოქაში 1950 წელს ხელახლა შემოიღეს 1947 წელს გაუქმებული კანონი სიკვდილით დასჯის შესახებ და დაიხვრიტა ბევრი უმაღლესი რანგის პირი, პოლიტბიუროს წევრები, მარშლები, გენერლები და ა.შ. გადააყენეს ბერიას კადრი, უშიშროების მინისტრი აბაკუმოვი, ახალ თანამდებობაზე დაინიშნენ **ბერიას** მოწინააღმდეგეები – **იგნატიევი, სეროვი** და სხვები.

საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს ის აზრიც, რომ იმ პერიოდში დამოუკიდებლად მოქმედებდა **მალენკოვი**, რომელმაც უღალატა **სტალინსაც** და **ბერიასაც, ხრუშჩოვის** მიერ ორგანიზებულ შეთქმულებაში ჩაერთო და დიდი ზიანი მიაყენა სოციალისტურ ქვეყანას.

აკაკი მგელაძე იყო გონებაშეზღუდული ბიუროკრატი, რომელიც სრულიად შეუფერებელი იყო აფხაზეთისა და მთელი საქართველოს პარტიული ხელმძღვანელობისათვის. ამჟამად ნიუ იორკში მცხოვრები **მიხეილ გამყრელიძე** იგონებს, რომ მისი ყოველი მოხსენება ერთი და იგივე ფრაზით მთავრდებოდა **„დიდი სტალინის ხელმძღვანელობით წინ კომუნიზმის ელვარე მწვერვალებისაკენ“**.

ისტორიის ვერავითარ ლოგიკურ ჩარჩოებში ვერ ჯდებოდა **სტალინის** გადაწყვეტილება ახალი პოლიტიკური რეპრესიები დაეტეხა საქართველოსთვის, თუმცა ყველაფერი ეს მოდიოდა **აკაკი მგელაძის, ნიკოლოზ რუხაძის** და მათი მხარდამჭერებისაგან, რათა ბოლო მოეღოთ ბერიას ძალაუფლებისათვის და თვითონ მყარად დამკვიდრებულიყვნენ სტალინის გარემოცვაში.

აღნიშნულ ტაქტიკას მოჰყვა **ბერიას** შეზღუდვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე და უფლების წართმევა გაეკონტროლებინა სტალინის უშიშროების სპეციალური სამსახური, რაც, მოგვიანებით, ბელადის სიცოცხლის მოსპობით დამთავრდა.

ხელისუფლების სათავეში ხრუშჩოვის გამოჩენის შემდეგ საქართველოში დაიწყო სუსტი რგოლების ძებნა ავტონომიებსა და დიასპორებში. კრემლის იმდროინდელ მაღალჩინოსანს **ფ. კოზლოვს** მიეწერება ფრაზა: **„გრუზია ხარაშა, ნო ნე დლია გრუზინოვ“**.

სტალინის მიერ დაშვებულმა დიდმა შეცდომამ შესაძლებლობა მისცა სტალინის რუსულ გარემოცვას ფიზიკურად გასწორებოდნენ ბელადს და შემდეგ ბერიას, რამაც სსრ კავშირი გადაიყვანა კანონზომიერი დაშლის რეჟიმში და, საბოლოოდ, უცხოეთის სპეცსამსახურებთან დაახლოებულმა პირებმა – გორბაჩოვმა, იაკოვლევმა და შევარდნაძემ – ვადაზე ადრე, 2005 წლამდე, შეძლეს დაეშალათ კომუნისტური სახელმწიფო.

ქართული ისტორიოგრაფია იცნობს საბჭოეთის დაშლის დეტალებს; ცნობილია კრემ-

ლის უმაღლესი ჩინოსნების დამოკიდებულებაც ამ საკითხის მიმართ. პოლიტიკური ისტორიის მკვლევრები სტალინის შემდგომ პერიოდს „განუხორციელებელი შესაძლებლობებისა და გაცრუებული იმედების ხანას“ უწოდებდნენ.

1953 წლის ივნისში, ავანტიურისტი კომუნისტის, მკვეთრად ანტიქართული განწყობის პარტიული ფუნქიონერის, **ხრუშჩოვის** თაოსნობით და **მოლოტოვის, ვოროშილოვის, მალენკოვის, ბულგანინის, კაგანოვიჩის, მიქოიანის, ჟუკოვის,** მოსკოვის სამხედრო ოლქის სარდლის მოსკალენკოსა და სხვების მონაწილეობით, საბჭოთა კავშირის მთავრობის თავმჯდომარის პირველი მოადგილის, ქვეყნის გმირისა და მარშლის, სამამულო ომში გამარჯვების დიდი ორგანიზატორის, საბჭოთა კავშირსა და, მათ შორის, საქართველოში, აგრარული, ინდუსტრიული, სამხედრო, კულტურული, საგანმანათლებლო, სამეცნიერო და სხვა დიდი პროექტების შემოქმედის – ლავრენტი ბერიას მიმართ განხორციელდა ტერორისტული აქტი, რაც სტალინიზმის ეპოქის დასასრულის დასაწყისი იყო.

ბერიას ფიზიკურმა განადგურებამ შეაჩერა საბჭოეთის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და ა.შ. გარდაქმნის პროცესი, რაც ითვალისწინებდა რესპუბლიკების ფართო უფლებების მქონე კონფედერაციულ გაერთიანებას, სოცკაპიტალიზმის შერწყმის პრაქტიკულ განხორციელებას, სახელმწიფო და კერძო საკუთრების შემთავსებლობას, დემოკრატიზმის პრინციპების გაფართოებას და ა.შ.

სტალინის გარდაცვალების შემდეგ საბჭოეთის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩდნენ პოლიტიკოსები, რომლებიც **უფრო თმობდნენ, ვიდრე – მოიპოვებდნენ**.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დოკუმენტების ნაწილობრივ გასაჯაროების შემდეგ (1986-1990 წწ.) ცნობილი გახდა, რომ კომუნისტური იმპერიის დაშლის დასაწყისი 70-იან წლებს უკავშირდებოდა.

1974 წელს ვენის გამოყენებითი სისტემური ანალიზის საერთაშორისო ინსტიტუტში შემუშავდა ახალი რუსეთის სუვერენიტეტის გეგმა, რომლის ინიციატორები იყვნენ: მთავრობის თავმჯდომარე **ალექსი კოსიგინი**, უშიშროების ხელმძღვანელი **იური ანდროპოვი** – რევოლუციამდე, მოსკოვის საიუველირო მაღაზიების ქსელის მფლობელის **ევგენი ფლეკენშტეისის** ვაჟი.

ცნობილი იყო, რომ 1956 წელს ამოქმედებულმა ე.წ. **„კოსიგინის რეფორმებმა“** შედეგები ვერ მოიტანა, ვერ განხორციელდა სახალხო მეურნეობის დეცენტრალიზაცია, რომ მოკავშირე რესპუბლიკებს თვითონვე მოეპოვებინათ და გაენაწილებინათ რესურსები, მით უმეტეს, ცალკეული რესპუბლიკები – ყაზახეთი, უზბეკეთი, ყირგიზეთი დ სხვები, ამ იდეის წინააღმდეგ წავიდნენ.

ანდროპოვ-კოსიგინის პლატფორმა ითვალისწინებდა რუსეთის საბჭოეთიდან გამოყვანას და დასავლეთის ბაზად გადაქცევას (ნავთობი, გაზი და სხვა ენერგორესურსები); იშლებოდა საბჭოთა კავშირი და მას უნდა ჩამოცილებოდნენ **უზბეკეთი, თურქმენეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, მოლდავეთი, სომხეთი**. უარყოფილი იყო ე.წ. „ბანდიტური კაპიტალიზმის გზა“, მისაღები ხდებოდა დემოკრატიული სოციალიზმი და უნდა გადაეწყვიტათ კერძო საკუთრების საკითხიც.

მიუხედავად იმისა, რომ კრემლში დამაჯერებლად აცხადებდნენ, რომ სოციალიზმმა მთლიანად და საბოლოოდ გაიმარჯვა, პროლეტარული სახელმწიფო საერთო-სახალხო სახელმწიფოდ გადაიზარდა, მაგრამ ეს იყო მცდარი მოსაზრება და უფრო ილუზიურობის წარმოდგენის შემცველი იყო.

კოსიგინი და ანდროპოვი გრძნობდნენ, რომ საბჭოთა კავშირი მალე ჩამოიშლებოდა, მაგრამ ამ საკითხის გადასაჭრელად გაურბოდნენ სახელისუფლებო ცვლას ან რეფერენდუმის ჩატარებას, თუმცა მათივე დავალებით ახალი თაობის საბჭოელები იგზავნებოდნენ „რომის კლუბში“, გამოცდილების მისაღებად, რის შედეგად მოსკოვში ჩამოყალიბდა სისტემური ანალიზის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი („ნისი“), რომელსაც სათავეში ედგა კოსიგინის სიძე, გენერალ მიხეილ გვიშიანის შვილი ჯერმენ გვიშიანი. ამ ინსტიტუტში სტაჟირება გაიარეს რუსეთის ახალი თაობის პოლიტიკოსებმა და მომავალმა სახელმწიფო მოღვაწეებმა: გაბრიელ პოპოვმა, ეგორ გაიდარმა, ანდრეი ნეჩაევმა, პეტრე ავენმა, ევგენი იასინმა, ალექსანდრე შოხინმა, მიხაილ ზურაბოვმა, ანატოლი ჩუბაისმა, სერგეი გლაზევმა, ალექსანდრე ჟიკოვმა, სტანისლავ შატალინმა და სხვებმა.

აქ და „რომის კლუბში“ დაიწერა რუსეთის დამოუკიდებლობის დეკლარაციის პროექტი, რომელიც საფუძვლად დაედო საბჭოთა კავშირის დაშლას. ახალი ჩანაფიქრით, ყველა რეს-

პუბლიკას დამოუკიდებლობა უნდა მიეღო; სწორედ მაშინ გახმოვანდა დეკლარაციის მთავარი თეზისი – რუსეთის კანონთა უპირატესობა საბჭოთა კავშირის კანონთან მიმართებაში.

ეს იყო „ნგრევის“ მთავარი პლატფორმა, როდესაც **ელცინმა** რუსეთის ტერიტორიაზე არსებული ყველა დაწესებულემა რუსეთის იურისდიქციაში მოაქცია და საბჭოთა კავშირის დაშლის ორგანიზატორი გახდა.

ასეთ კონტექსტში ამ სტრიქონების ავტორი არ იზიარებს მოსაზრებას, რომ საქართველო მაინცდამაინც ევროპის ნაწილს არ წარმოადგენს. კავკასია გეოგრაფიულად ევრაზიის კონტინენტის მცირე კონტინენტია ოც მილიონზე მეტი მოსახლეობით, დიდი და მრავალფეროვანი ბუნებრივი სიმდიდრეებითა და წიაღისეულით, სხვადასხვა ენებითა და კულტურით, ტრადიციებითა და რელიგიებით, განათლებით, მეცნიერებით, ხელოვნებით, პოეზიით, საზოგადოებრივი ცხოვრებით, განსაკუთრებული იდენტობითა და ღირებულებებით და გამორჩეული ადგილი უჭირავს მსოფლიო სივრცეში.

დავით აღმაშენებლის სამეფო-სამთავროთა ფედერაცია ანუ პოლიტიკური დამოუკიდებლობის მქონე ავტონომიები ინარჩუნებდნენ ყველა სამეფო-სამთავრო ატრიბუტიკას და მთლიანად დამოუკიდებლად განაგებდნენ საშინაო პოლიტიკას.

ამ ფედერაციაში წამყვანი ადგილი ეჭირა საქართველოს სახელმწიფოებრივი გაერთიანების მთავარ ინიციატორს – აფხაზთა სამეფოს, რომლითაც იწყებოდა დავით აღმაშენებლის და სხვა მეფეთა ტიტულატურაც, რომელიც მე-12 საუკუნის ბოლომდე ინარჩუნებდა წამყვან როლს საქართველოს სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ სივრცეში, ვიდრე მოგვიანებით აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შორის საომარ შეჯახებამდე მივიდოდა საქმე თამარ მეფის პირველი ქმრის იურის ამბოხთან დაკავშირებით, რომელიც ერთი პერიოდი, მხარდაჭერილი აღმოჩნდა დასავლეთ საქართველოს ბევრი სამეფო-სამთავროს მიერ.

აღმაშენებელ-ჭყონდიდელის და **თამარ მეფის** მოღვაწეობამ საქართველოს მახვილი შეაბა, გააერთიან ერთიან ფეოდალურ იმპერიად, გაუძლიერაა კულტურა და ხელში წიგნი დააჭერინა (რუსთაველი).

ქართველმა ისტორიკოსებმა (აკადემიკოსი რ. მეტრეველი) შეძლეს დაედოთ დასკვნა იმის შესახებ, რომ კოლხურ-იბერიული ხალხების ეთნიკური, კულტურული და რელიგიური ერთობის შედეგად მომზადდა პირობები პოლიტიკური გაერთიანების ჩამოსაყალიბებლად და უკვე მე-10 საუკუნის მიწურულსა და მე-11 საუკუნის დასაწყისში ჩნდება ტერმინი **„საქართველო“**, რომელმაც, როგორც სახელმწიფომ, პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სამხედრო განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ეპოქებში, თუმცა შემდგომ განვითარებული ურთულესი პოლიტიკური პროცესების გამო, დაკარგა სიძლიერე, თუ არ მივიღებთ მხედველობაში, ცალკეულ მცდელობებს საერთო ან ერთიანი ქართული სახელმწიფოს შესაქმნელად (**გიორგი ბრწყინვალე, ბაგრატ მეხუთე**).

საქართველოს ძლიერების ხანაში ქართველი მეფეები ჟამთააღმწერლების მიერ, რომის იმპერატორთა ტიტულით „ავგუსტუსით“ მოიხსენიებოდნენ და მე-12 საუკუნეში ქართველ მეფეთა ტიტულატურა ასე ყალიბდებოდა **„მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, შარვან-შაჰ და შაჰინ-შაჰ და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თვითფლობით მპყრობელი“**.

ივანე ჯავახიშვილის მტკიცებით, სამი ძირძველი ეთნოსის – ქართების, მეგრელლაზების და სვანების მიერ დაფუძნებული გაერთიანების მაშინდელი ყოველწლიური სახელმწიფო ფულადი შემოსავალი 3 მილიონ 700 ათას ოქროს მანეთს უდრიდა, არაბული ქვეყნების – 2 მილიონ 250 ათასი მანეთი და უზარმაზარი სპარსეთის შემოსავალი – 2 მილიონ 153 460 მანეთი იყო.

მე-11-12 საუკუნეებში საქართველოს ურთიერთობა ჰქონდა გარესამყაროს დაახლოებით 40 ქვეყანასთან (რუსეთი, სკანდინავია, ბალტიისპირეთის ქვეყნები, ბიზანტია, არაბული აღმოსავლეთი, შუა აზია, ჩრდილოეთ აფრიკა, პირინეის ნახევარკუნძულები და სხვ.), ჰქონდა აქტიური პოლიტიკურ-დიპლომატიური კავშირები სხვადასხვა ქვეყნებთან და საერთაშორისო ენად გამოიყენებოდა ბერძნული, სპარსული, ლათინური, იტალიური და სხვა ენები.

მე-11 საუკუნის შუაწლებიდან არსებობა შეწყვიტა სომხეთის სახელმწიფომ. იგი საქართველოს პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოექცა და სომხეთი საქართველოს კავკასიური იმპერიის ნაწილი გახდა.

საქართველოს იმპერიის დედაქალაქში, თბილისში მე-12 საუკუნისათვის 250 ათასი კაცი ცხოვრობდა, ამავე საუკუნის ლონდონში 8 ათასი კაცი მკვიდრობდა.

მე-12 საუკუნიდან შავი ზღვის საქართველოს სანაპიროზე შეიქმნა ფაქტორიები: ჰაკარა – გაგრა, ჰეცონდა – ბიჭვინთის ყურე, კაფო და რექსო – გუდაუთის მხარეში, ნიკოფა – ახალი ათონი, ნევისტოპოლი – სოხუმი და ა.შ.

დავით აღმაშენებლის და თამარ მეფის ეპოქებმა და აქ მოღვაწე იოანე პეტრიწმა, არსენ იყალთოელმა, გიორგი მთაწმინდელმა ეფრემ მცირემ, იოანე შავთელმა, ნიადაგი მოამზადეს „ვეფხისტყაოსნის“ შესაქმნელად. ქართული საერო მწერლობის აღმოცენება-განსავითარებლად და მის გამოსათავისუფლებლად სპარსულენოვანი მწერლობისაგან.

ბუნებრივია, როგორც სხვა იმპერიები, არც ქართული იმპერია იყო უნაკლო პოლიტიკური, სამართლებრივი, ზნეობრივი და სხვა მახასიათებლებით, სახელმწიფოებრივი ცხოვრების მიუღებელი ქმედებებით, ამიტომ სამეფო კარზე წარმოიშვა მეფის ხელისუფლების შეზღუდვის იდეა ანუ საკანონმდებლო ორგანოს „კარავის“ შექმნა, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა სახელმწიფოს ყველა მნიშვნელოვანი საკითხი.

სამეფო მმართველობის აღნიშნული მოდელი ანუ ერთპიროვნული მმართველობის შეზღუდვის ინსტიტუტის ამოქმედებამ რამდენიმე საუკუნით გაუსწრო ინგლისის პარლამენტს და უპრეცედენტო ფაქტად დარჩა მსოფლიო ისტორიაში.

მკვლევართა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ ამ მოდელის შექმნა და ამოქმედება დაკავშირებული იყო იმ პერიოდის უაღრესად განათლებულ და მასშტაბურად მოაზროვნე პიროვნებასთან, საქართველოს სამეფო კარის იმჟამინდელ მეჭურჭლეთუხუცესთან (სახელმწიფო ქონებისა და ფინანსთა მინისტრი – ი. კ.) **ყუთლუ არსლანთან**, რომელიც შემდგომში ჩამოშორდა სახელმწიფოებრივ საქმიანობას და, ერთ-ერთი ვერსიით, ხელი მოჰკიდა ლიტერატურულ საქმიანობას და „ვეფხისყტყაოსნის“ შექმნას მოახმარა დრო, ენერგია და ნიჭი.

თუ საქართველოს იმდროინდელი სახელმწიფო-პოლიტიკური ცხოვრება, წონასწორობას, მოკავშირეობას, პატრიოტობას ეფუძნებოდა, შემდეგომ პერიოდში გადამწყვეტ ფაქტორად იქცა და განმსაზღვრელი გახდა „დიდი მფარველების“ ძებნა, რომელიც ქართველურ სამეფო-სამთავროებისთვის პოლიტიკურ-დიპლომატიური ქცევის განმსაზღვრელ პარადიგმად იქცა.

აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური კლასის საგრძნობი ნაწილი 500 წლის განმავლობაში მფარველი ქვეყნების ნების ქვეშ ღებულობდა პრივილეგიებს, ხლართავდა ინტრიგებს უცხოელთა სასახლეებში და ეგუებოდა დამოუკიდებლობისა და თავისუფლების ხარისხის სახეცვლილებებს (ირანი, ბიზანტია, რომი, მონღოლეთი, ოსმალეთი, რუსეთი, გერმანია, საბჭოთა კავშირი).

მეორე მსოფლიო და დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ სტალინში გაცოცხლდა ქართული სისხლი და წინ წამოიწია რუსეთ-თურქეთის, 1922 წლის დეკემბრის შეთანხმების გადასინჯვის საკითხი. საქმე ეხებოდა სამხრეთ კავკასიის მონაკვეთზე თურქეთთან საზღვრების კორექტირებას – ყარსის, არდაგანისა და ართვინის ოლქებს;

არსებობდა საიდუმლო დოკუმენტები, სახელდახელო კარტოგრაფიული რუკები, ყარსის რაიონის სომხეთის, ხოლო ართვინ-არტაანის რაიონის საქართველოს კუთვნილების შესახებ; თუმცა აშშ-ისა და ბრიტანეთის დაჟინებული და კატეგორიული წინააღმდეგობის გამო საზღვრების გასწორების პრობლემა ვერ მოგვარდა.

ყველა წყაროს მტკიცებით, კომუნისტი და დიდი ინტერნაციონალისტი სტალინი არ უშვებდა საზღვრების გადასინჯვის პრეცედენტს, რაიმე განსაკუთრებული გარემოებების გარდა, რომელიც შეეხო ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ტერიტორიების საზღვრებს.

სტალინთან მოსაუბრე, საქართველოს კომპარტიის ლიდერი კანდიდ ჩარკვიანი იგონებდა, რომ გადასინჯვა შესაძლოა განხორციელებულიყო თუ ირანში, სამხრეთით მცხოვრები მილიონობით აზერბაიჯანელი მოითხოვდა აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან შეერთებას, რაც ხელსაყრელ გარემოებებს შექმნიდა საინგილოს საკითხის მოსაგვარებლად.

რაც შეეხება ლაზისტანს, არ გამოირიცხებოდა მისი ცალკე, ავტონომიურ რესპუბლიკად გამოცხადება, რადგან თურქეთს გერმანიასთან ჰქონდა გაფორმებული სამოკავშირეო ხელშეკრულება და ფიქრობდა აჭარის დაბრუნებას. მით უმეტეს, გერმანელებსა და თურქებს კავშირი ჰქონდათ საქართველოს სამხრეთ რეგიონის მუსლიმურ მოსახლეობასთან, ე.წ. თურქ მესხებთან, რომელთა შუა აზიაში გადასახლება 1944 წელს განხორციელდა.

1945 წლის მარტში კრემლმა დააყენა საკითხი საბჭოთა კავშირსა და თურქეთს შორის 1925 წლის დეკემბერში გაფორმებული მეგობრობისა და ნეიტრალიტეტის ხელშეკრულების დენონსაციის შესახებ.

გერმანიის სრული კაპიტულაციის შემდეგ გააქტიურდა პრეტენციები ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის გამო; შემუშავდა თურქეთში საბჭოთა ჯარების ტოტალური შეჭრის და ოკუპაციის გეგმაც, რომელიც პოსტდამის ისტორიული კონფერენციის განხილვის საგნად იქცა. სტალინს ამ საკითხში მხარს უჭერდა აშშ-ის პრეზიდენტი **რუზველტი**, თუმცა აშშ-ის სათავეში **ტრუმენის** მოსვლის შემდეგ, საბჭოთა ჯარის ნაწილებმა მიიღეს ბრძანება ოპერაციის გაუქმების შესახებ.

თურქეთს მფარველობა გამოუცხადა **უინსტონ ჩერჩილმა**, მასთან დისკუსიაში ჩაბმული **სტალინი** აცხადებდა, რომ თურქეთს უკან უნდა დაებრუნებინა 1921 წელს მიტაცებული ტერიტორიები, საბოლოოდ იაპონიაში ახლადშექმნილი ატომური ბომბების ჩამოგდებით, კრემლს „ატომური კუნთები“ აჩვენეს, რამაც მოახდინა ვითარების განმუხტვა.

ამ კონტექსტშია გასააზრებელი ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიების საქართველოსთვის მიერთება-ჩამორთმევის საკითხი, რომელიც შეეხებოდა ქლუხორისა და ახალხევის რაიონებს.

ცნობილია, რომ ჯერ კიდევ **ვახტანგ გორგასლის** ჩრდილო-კავკასიური ლაშქრობების პერიოდიდან სამეფოს გავლენის ქვეშ იყო მოქცეული ოვსეთის, ჯიქეთის, თანამედროვე ჩეჩნეთისა და ყაბარდოელების ტერიტორიაზე დასახლებული ხალხები, ხოლო დავით აღმაშენებლის და, განსაკუთრებით, თამარ მეფის ეპოქებში მიმდინარეობდა ჩრდილოეთ კავკასიის გაქრისტიანების პროცესი.

ბერძნული და რომაული წყაროებით ჩრდილოეთის ტერიტორიებზე ქართველები და პროტოქართველები იყო დაფიქსირებული, მით უმეტეს 9-12 საუკუნეებში, ჩრდილოეთ კავკასიაში ფუნქციონირებდა ქართული ეკლესია-მონასტრები და შესამჩნევი იყო ქართული ენისა და კულტურის გავლენაც.

1944 წლის მარტში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საიდუმლო ბრძანებულებით, ნაცისტებთან თანამშრომლობის მიზეზით, მოხდა ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლიკვიდაცია და განხორციელდა იქ მოსახლე ჩეჩნებისა და ინგუშების დეპორტაცია [3. 743-755].

აღნიშნული ტერიტორია გადანაწილდა საქართველოს, დაღესტანსა და ოსეთს შორის. ახალხევის რაიონის შემოერთებით, საქართველომ აჭარის ტერიტორიაზე უფრო მეტი ფართობი მიიღო, ხოლო ქლუხორისა და ახალხევის რაიონების ფართობი, აფხაზეთისა და აჭარის ტერიტორიებს უდრიდა.

სტალინისა და **ბერიას** ფიზიკური ლიკვიდაციის შემდეგ საქართველოს ჩამოერთვა მიერთებული რაიონები და ე.წ. რეპრესირებული ხალხები – ჩეჩნები, ინგუშები, ყაბარდოელები და ყარაჩელები მშობლიურ კერებს დაუბრუნდნენ, ქართველებმა მათ დაუტოვეს მოვლილი სახლები, ეზოები, ბაღ-ბოსტნები და ოთხფეხა საქონელი.

ასეთია, საქართველოსთვის ახალი ტერიტორიების გადაცემის და შემდეგ რუსეთისათვის მათი უკან დაბრუნების ისტორიული და პოლიტიკური სახისმეტყველება, რომლის დეტალები ათეული წლების შემდეგ გახდა ცნობილი ქართველი და სხვა ხალხებისათვის [3. 759].

აღნიშნული პრობლემა შეუმჩნეველი არ დარჩენილა ქართულ ისტორიოგრაფიაში, რაც აისახა კიდეც **ს. კილაძის, გ. გაჩეჩილაძის, გ. გიგაურის, ს. ცინცაძისა** და ამ სტრიქონების ავტორის ნაშრომებში.

ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში აღნიშნულია, რომ ოსმალური 300-წლიანი ბატონობის სიმწარე ყველაზე მეტად იწვნია აჭარამ, გურიამ, სამეგრელომ და აფხაზეთმა, რასაც შემდგომში მოჰყვა რუსეთის მიერ განხორციელებული „მუჰაჯირობის“ სახელით ცნობილი პოლიტიკური აქცია, რაც ითვალისწინებდა მუსლიმური იდეოლოგიის ამოძირკვას ზღვისპირეთიდან.

საგულისხმოა, რომ საუკუნეების მანძილზე „ერთიანი“ საქართველოს არარსებობის პირობებში სამეგრელოს, აფხაზეთსა და გურიას ნაკლები პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სამხედრო კონტაქტები ჰქონდათ აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებთან, რაც რუსეთის პოლიტიკით იყო განპირობებული.

ქართულ ისტორიოგრაფიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს „მეგრული ნაციონალიზმის“ თემასაც, რომელიც 1930-1935 წლებში გახმაურდა; ამ წლებში დაიწყო გამოსვლა საქართველოს კომპარტიის დავალებით შექმნილმა მეგრულენოვანმა „ყაზახის გაზეთმა“

(„გლეხის გაზეთი“), რადგან იმ დროის სამეგრელოს მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, სრულად ვერ ფლობდა ქართულ ენას (აფხაზეთი, სამურზაყანო და სამეგრელოს მთიანი რაიონები).

მეგრული გაზეთის საშუალებით ხდებოდა მოსახლეობის ინფორმირება „სოციალისტური აღმშენებლობის“ შესახებ. იმ პერიოდში ქართულიდან, რუსულიდან და სხვა ენებიდან მეგრულ ენაზე ითარგმნებოდა წიგნები, ბროშურები, მათ შორის იყო „კომუნისტური პარტიის მანიფესტიც“.

სამეგრელო ყოველთვის წარმოადგენდა ქვეყნის პოლიტიკის, კულტურის, ეკონომიკისა და ა.შ. დიდ ნაწილს, რისი დადასტურებაც იყო მისი მოსახლეობის დიდი დაინტერესება, რუსთაველის „ვეფხისტყაოსნით“. ამიტომ თვითონ სამეგრელოში 30-იან წლებში დაიბადა იდეა მეგრულ ენაზე ეთარგმნათ და სამეგრელოს მთიანეთში გაევრცელებინათ, რომელშიც 60-იან წლებში მონაწილეობას იღებდა ამ სტრიქონების ავტორი, მაშინ აკადემიკოს **გიორგი ჩიტაიას** ასისტენტი.

სამწუხაროდ, გასული საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში საქართველოს კომუნისტურმა ხელისუფლებამ (კ. ჩარკვიანი, ა. მგელაძე, ნ. რუხაძე და სხვები). ძალაუფლების შესანარჩუნებლად თუ გასამტკიცებლად ომის შემდგომ პერიოდში საქართველოში ჩამოსულ **სტალინს** მიაწოდეს ინფორმაცია, პარტიულ, საბჭოთა ორგანოებში „მეგრელიზაციის“ დამკვიდრების შესახებ. სტალინის ახლო მეგობრები (**ეგნატაშვილი, ბუჯიაშვილი** და სხვები) ბელადს არწმუნებდნენ, რომ **„მეგრელებმა გადაძოვეს“ მისი საყვარელი ქართლი და კახეთი**.

აღნიშნულს მყისიერად მოჰყვა სტალინის რეაგირება. მისი დავალებით თბილისში შედგა პარტიული დოკუმენტი „მეგრელთა საქმის“ შესახებ და ისე დაიბეჭდა გაზეთ „პრავდაში“, საქმის კურსში არ იყვნენ პოლიტბიუროს წევრებიც კი.

მოგვიანებით, მოსკოვში, მოგვეცა შესაძლებლობა ამის შესახებ გვეკითხა **მოლოტოვისათვის**, რომელიც უკვე პენსიონერი იყო და ხშირად გამოდიოდა სასეირნოდ და დასასვენებლად მეტრო **„ოქტიაბრსკაიასთან“** მდებარე სკვერში, სადაც სასაუბროდ ხვდებოდა ქართველებსაც. ჩემი თხოვნით, მასთან დაახლოებულმა ქართველებმა მოლოტოვს ჰკითხეს **„მეგრელთა საქმის“** შესახებ, თუმცა ის ადასტურებდა, რომ ამის შესახებ არაფერი იცოდა და მას შემდეგ გაიგო, როდესაც გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნდა დოკუმენტი, რომელიც პირადად **სტალინის** მიერ იყო შედგენილი.

სტალინი პირადად იყო დაინტერესებული „მეგრელთა საქმით“, მოითხოვდა მეგრელი პატრიოტი და სახელმწიფო მოღვაწეების გამოვლინებას და გამოძიებას მიუთითებდა ეძებნათ „დიდი მეგრელი“ (ლ. ბერია – ი. კ.) და ჩამოეშორებინათ სახელმწიფო-პოლიტიკური საქმიანობიდან, რაც ნაწილობრივ განხორციელდა კიდეც. ბერია ამ დროისთვის არ შედიოდა სამეულის შემადგენლობაში (სტალინი, მალენკოვი) არც სადღესასწაულო ზეიმების დროს ტრიბუნასთან ყოფნის პერიოდში და არც სამეულის (**სტალინი, მალენკოვი, ბერია**) პრესაში გამოცხადების დროს. ასე დაუფასდა დიდი ამაგი ბერიას, რომლის ჩამოშორებამ შემდგომში დააჩქარა სტალინის მოწამვლის პროცესიც, 1953 წლის 1 მარტს.

ქართველი და უცხოელი ავტორები ხაზს უსვამენ, რომ სტალინის უახლოესი სიყრმის მეგობრების (**ეგნატაშვილი, ელისაბედაშვილი, ბუჯიაშვილი**) და საქართველოს ერთ-ერთი პარტიული ბელადის **კ. ჩარკვიანის** მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება საკმარისი აღმოჩნდა, რომ **სტალინს** მიეღო გადაწყვეტილება ჩამოექვეითებინა **ბერია** მაღალი პარტიული და სახელმწიფო თანამდებობიდან, შეეკოწიწებინათ „მეგრელთა საქმე“ **კ. ჩარკვიანის, ნ. რუხაძის, ა. მგელაძის** უშუალო მონაწილეობით და 1951 წლის ნოემბერში აგარაკ ათონში, სტალინმა ერთპიროვნულად გადაწყვიტა ვიზა მიეცა საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისათვის: „საქართველოში მექრთამეობისა და ბარამიას ანტიპარტიული ჯგუფის შესახებ“.

1952 წლის მარტში კრემლში მომზადდა ცენტრალური კომიტეტის ახალი დადგენილება: „მეგრული ნაციონალისტური ორგანიზაციის არსებობის შესახებ საქართველოს კომპარტიის ცეკას ყოფილი მეორე მდივნის **გ. ბარამიას** ხელმძღვანელობით“, რომელსაც 1952 წლის 16 ნოემბერს და 29 ნოემბერს მოჰყვა საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებები საქართველოს სსრ ტერიტორიიდან მტრული ელემენტების, მათ შორის, მეგრელების გასახლების შესახებ.

მოხდა საქართველოს რეემიგრანტთა დიდი ჯგუფის დაპატიმრება. მათ შორის აღმოჩნდა ცნობილი პუბლიცისტი, სოციალ-ფედერა-

ლისტი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, 79 წლის – **სიმონ ფირცხალავა**.

ლ. ბერიას პოლიტიკური ინიციატივით და **სტალინის** თანხმობით, ჯერ კიდეც 1947 წელს საქართველოში დაბრუნდა ემიგრანტთა პირველი ნაკადი, თუმცა მათ დიდ ნაწილს არსებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ რეალობასთან შეგუება გაუჭირდა.

ასეთ ვითარებაში **კ. ჩარკვიანის** ინიციატივით, **ბერიას** გვერდის ავლით, უშიშროების ხელმძღვანელად დაინიშნა **ნიკოლოზ რუხაძე,** რომელმაც დაიწყო მკაცრი კონტროლის განხორციელება დაბრუნებულ ემიგრანტებზე, რასაც მოჰყვა დაბრუნებული ემიგრანტების ცნობილი გადასახლებაც, 2581 ოჯახისა და 11458 სულის შემადგენლობით.

ამ პერიოდში კრემლში განხორციელებული პოლიტიკური ოპერაცია **სტალინიდან** მომდინარეობდა და ითვალისწინებდა **ბერიას** ჩამოშორებას **სტალინის** ბელადის გარემოცვიდან.

იმ დროისათვის ბერია ჩამოყალიბებული იყო ძლიერ პოლიტიკურ მოღვაწედ და ორგანიზატორად პირველობისათვის ბრძოლაში მიუღებელი აღმოჩნდა როგორც **სტალინის**, ასევე რუსი პოლიტიკოსებისათვის, რაც მოგვიანებით დაადასტურა **ხრუშჩოვის** პოლიტიკურმა ავანტიურამ.

ცნობილია, რომ იმ პერიოდში კონტროლდებოდა **ბერიას** ახლო ნათესავებისა და მეგობრების სატელეფონო საუბრები და კონტაქტები თბილისთან. ასევე, ცნობილია **სტალინის** ფრაზაც: **„საქმესთან დაკავშირებით ეძებნათ დიდი მეგრელი“**.

როგორც მკვლევარი გ. სულაძე გვამცნობს, აღნიშნული საგამოძიებო საქმე რუსეთის უშიშროების სამსახურის არქივში ინახება, ხოლო საქართველოში ხელმისაწვდომია გამოძიების, მხოლოდ 25-ტომიანი დოკუმენტები.

სტალინის მითითებით, საქართველოში გამოიგზავნა უშიშროების სპეციალური ჯგუფი, რომელიც მიზნად ისახავდა ბერიას, მისი მეუღლის და ახლო გარემოცვის შესახებ მაკომპრომენტირებელი მასალების მოპოვებას, რასაც მოჰყვა კიდეც ცნობილი დაპატიმრებები.

აღნიშნულ პრობლემებს მიეძღვნა **ა. ასლანიშვილის „მეგრელთა საქმე“** (2006 წ.), **ნ. ჭითანავას, ა. თოდუას „ბერიას ოდაბადე – საქართველო, აფხაზეთი“** (2007 წ.), **ვ. გვარამიას, გ. ციციშვილის „მეგრული საკითხი“** (2009 წ.).

„მეგრული ნაციონალიზმი“, „აფხაზური სეპარატიზმი“, „პროვინციული ფაშიზმი“ შევარდნაძის ხელისუფლების შემოქმედებაში“ – ასეთია ამ სტრიქონების ავტორის მიერ „საქართველოს ისტორიის ქრონიკების“ VIII ტომში, მეთვრამეტე თავად წარმოდგენილი ნაშრომი, რომელშიც განხილულია:

- მეგრული ნაციონალიზმის ძველი სახება;
- ახალი „მეგრული ნაციონალიზმი“;
- შევარდნაძის ხელისუფლება და სამეგრელოს „ახალი ნაციონალიზმი“;
- „თბილისის ომი“, აფხაზეთი და სამეგრელო ჯაბა იოსელიანის ისტორიულ-პუბლიცისტურ განზომილებებში.

საბჭოთა კავშირში და, მათ შორის, საქართველოში განვითარებული პოლიტიკური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შედეგად კომუნისტური იმპერიის დაშლის, ქვეყნის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადების, სახელმწიფოებრივი განვითარების გზებისა და ფორმების ძიების, პირველი პრეზიდენტის დამხობის, პარლამენტის გარეკვის, ხუნტის მიერ ხელისუფლების მიტაცების (**სიგუა, კიტოვანი, იოსელიანი**) გადატრიალების მთავარი ორგანიზატორის შევარდნაძის საქართველოში დაბრუნების და მის მიერ განხორციელებული ანტიეროვნულ პოლიტიკას ეძღვნებოდა აკადემიკოსების **როინ მეტრეველის, ელიზბარ ჯაველიძის, ს. სიგუას, ა. აბრალავას;** პროფესორებისა და მკვლევრების: **ნ. ნათაძის, გ. შარაძის, კ. ზ. გამსახურდიას, დ. შველიძის, ვ. გურულის, ო. ჩხეიძის, რ. ჩხეიძის, ჯ. გამახარიას, თ. ეპიტაშვილის, ჯ. იოსელიანის, ლ. ცომაიას, ე. მგალობლიშვილის, მ. მჭედლიშვილის, გ. მჭედლიძის, გ. წიქარიშვილის, ე. გვენეტაძის, ლ. ურუშაძის, ს. სულაძის, ო. ჯანელიძის, ლ. სარალიძის, რ. დაუშვილის, გ. სულაძის, რ. ყავრელიშვილის, გ. ნოდიას, ა. ჭაჭიას, ქ. ჯიჯეიშვილის, ზ. კვეტენაძის, ჰ. კუპრაშვილის, ჯ. გახოკიძის, ზ. ხონელიძის, შ. ვადაჭკორიას, მ. ნაცვალაძის, ს. მიდელაშვილის, გ. გურეშიძის, მ. ვაჩნაძის, გ. ანჩაბაძის. ა. ჩიკვაიძის, ა. დუდაევას, გ. ხოშტარიას, ვ. გოგუაძის, ა. მარგიანის, გ. ბეზირგანის, ბ. ჯავახიას, ა. ცინცაძის, გ. ბაღათურიას, ვ. ალფენიძის, ე. კვირტიას, გ. ფაცაციას, ჯ. დავლიანიძის, მ. სტურუას, თ. ფიფიას, ი. თვალავაძის, რ. კლიმიაშვილის, ლ. ანდღულაძის, ი. გიორგაძის, ვ. შურღაიას, გ. ყარყარაშვილის, გ. ანჩაბაძის, ზ. პაპასკირის, პ. ზაქარეიშვილის, ლ. ალექსიძის, გ. ოტობაიას, ჯ. კაშიას, ს. კილაზის. გ. გოქსაძის, ო. ჭითანავას, თ. ფიფიას, გ. სიჭინავას, ვ. დომუხოვსკის, ც.**

გაბესკირიას, ვ. ძაბირაძის, ჯ. პატიაშვილის, ზ. შათირიშვილის, ე. შევარდნაძის, რ. დაუშვილის, რ. ყავრელიშვილის და სხვების მონოგრაფიები, წიგნები, დისერტაციები, ბროშურები, კრებულები, სტატიები, წერილები და ა.შ.

თუ საბჭოთა კავშირის შექმნის მთავარი ინიციატორი რუსეთი იყო, დაშლის მოთავეც ის აღმოჩნდა. ხელისუფლების სათავეში მოქცეული **მიხეილ გორგაჩოვის** თეორიულ-უტოპიური წარმოდგენები რეალობას იყო მოკლებული. სტალინური სოციალიზმის შემდეგ გაჩნდა ტერმინები „სრული“ და „განვითარებული“ სოციალიზმი, თუმცა მათ შორის არ იყო არსებითი განსხვავება.

ერთიანი კომუნისტური რეჟიმი მთავარ ამოცანად მიიჩნევდა „საბჭოელი ადამიანის თუ მოქალაქის ჩამოყალიბებას, დაახლოებით „ამერიკელის“ ანალოგიით, რომელსაც საბოლოოდ შეიძლება ოფიციალურად მიეღო სახელწოდება ეროვნება „საბჭოელი“, გარკვეულწილად სხვადასხვა შეზღუდვების ხარჯზე.

აღნიშნულს წინ უსწრებდა **ა. კოსიგინისა** და **ი. ანდროპოვის** ინიციატივით შემუშავებული რუსეთის სუვერენიტეტის გეგმა, რომელსაც წინ უსწრებდა კოსიგინის პროექტი და ითვალისწინებდა საბჭოეთში შემავალი რესპუბლიკების შემცირებას, მაგრამ, ეს საქართველოს არ ეხებოდა, თუმცა ყალიბდებოდნენ ბალტიისპირელები, სომხეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, მოლდავეთი; წინა პლანზე იწეოდა დემოკრატიული სოციალიზმის და კერძო საკუთრების საკითხი.

უძველეს ებრაულ საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან „სამასთა კომიტეტთან“, „ბილდერბერგის კლუბთან“, და სხვებთან დაკავშირებულმა რეფორმატორებმა „გააცოცხლეს“ საბჭოთა კავშირის შესახებ, ჯერ კიდევ 1983 წლის მაისში **ანდროპოვის** ნათქვამი ფრაზა: **„ჩვენ არ ვიცნობთ საზოგადოებას, რომელშიც ვცხოვრობთ. მას 70 წელი ვაშენებდით, მაგრამ, საბოლოო ანგარიშით, რა ავაშენეთ, კაციშვილმა არ იცის“**.

ანდროპოვს ეკუთვნოდა საერთო ევროპული სახლის გლობალისტურ სივრცეში ყოფნის იდეა და ითვალისწინებდა სოციალიზმისა და კაპიტალიზმის საუკეთესო ღირებულებების შერწყმას, მაგრამ მისმა გარდაცვალებამ ეს პროცესი შეაჩერა. მმართველობის სათავეში მოსული გორბაჩოვის პოლიტიკურ-ეკონომიკური პროექტი „პერესტროიკა“ მკვდრადშობილი აღმოჩნდა, იდეის მოთავენი – **გორბაჩოვი, იაკოვლევი და შევარდნაძე** – დასავლეთის სპეცსამსაცხურების ბადეში აღმოჩნდნენ, 1990 წელს ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტი **ვაცლავ ჰაველი. მ. გორბაჩოვის** საპირისპიროდ აყალიბებდა აზრს: **„პოლიტიკა – შეუძლებელის შეუსრულებლობის ხელოვნებაა“**.

ბოლო პერიოდში გასაჯაროვდა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დოკუმენტი, რომელშიც პოზიტიურად არის შეფასებული პარტიის ლიდერის საქმიანობა საბჭოთა კავშირის დანგრევის მიმართულებით.

1991 წლის 10 აპრილით დათარიღებული მასალა კი გვაუწყებს, რომ გორბაჩოვის ერა დასრულდა. „მისმა პოლიტიკამ ქვეყანა კატასტროფამდე მიიყვანა; დაინგრა ძველი, ლენინური პოლიტიკური სისტემა, მაგრამ მის ნაცვლად ვერაფერი შეიქმნა“ [3. 541-542].

ქართულ ისტორიოგრაფიას გვერდი არ აუვლია ისეთი აქტუალური თემებისათვის, როგორიც იყო, ზოგადად, ნაციონალიზმი და, საერთოდ, **„მეგრული ნაციონალიზმი“, „აფხაზური სეპარატიზმი“, „პროვინციული ფაშიზმი“.**

აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ძველი თუ ახალი ე.წ. „მეგრული ნაციონალიზმის“ პრობლემებს და აღინიშნებოდა, რომ ამ საკითხის მიმართ გამოკვეთილი იყო ჯერ მეფისა და შემდეგ საბჭოთა რუსეთის პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწეების, პირადად **ი. სტალინის,** საქართველოს პარტიული ლიდერების – **კ. ჩარკვიანის, ა. მგელაძის, ე. შევარდნაძის** – სუბიექტურად და სამართლებრივად მცდარი დამოკიდებულება.

აღნიშნული მიმართულებით პრობლემის საინტერესო ანალიზი და დასკვნებია ჩამოყალიბებული **ა. ასლანიშვილის, ვ. გვარამიას, ნ. ჭითანავას, გ. ციციშვილის, ჰ. კუპრაშვილის, ნ. ოდიშელიძის, ო. ჭითანავას, ა. თოდუას, თ. ფიფიას, ვ. კვარაცხელიას, ი. კვესელავას, გ. ჟვანიას, კ. ზ. გამსახურდიას, რ. ყიფიანის, გ. ყარყარაშვილის, ნ. ბართაიას, გ. სიჭინავას, რ. ბარამიძის, ფ. დოჩიას, ს. ვარდოსანიძის, ჯ. იოსელიანის, დ. კიზირიას, თ. მოლაშვილის** წიგნებში, მონოგრაფიებსა და სხვადასხვა პუბლიკაციებში.

თუმცა მკითხველისთვის შეთავაზებული უახლესი ისტორია იმ დიდი ტილოს მონახაზი და მცირე სურათია, რომელსაც ჯერ კიდევ არ შეშრობია 1991-1992 წლების სექტემბერ-იანვრის სახელმწიფო გადატრიალების უმძიმესი პერიპეტიების, საქართველო-აფხაზეთის ომის,

საშინელებების, „მხედრიონის“ მიერ სამეგრელოში ჩადენილი შემზარავი დანაშაულობების, ქვეყნის ტერიტორიების ჩამოშორების მძაფრი განცდებისაგან მიღებული ცრემლები, მაგრამ „კალმის აღება“ ზოგჯერ მახვილის აღმართვის ტოლფასია, მით უმეტეს, უნდა დადგეს დრო, რომ ერმა და ბერმა გაიგოს ვინ არის დამნაშავე და ვინ არის მართალი.

ქართული მართალი ისტორია იმიტომ უნდა დაიწეროს, რომ მომავალმა თაობებმა თავიდან აიცილონ ის, რისი თავიდან აცილებაც შესაძლებელია, მით უმეტეს, წარსულსა და თანამედროვეობაზე განსჯას ლოგიკურად მივყავართ მომავალზე.

საქართველოში განვითარებული ისტორიული და პოლიტიკური ისტორიის გასაანალიზებლად დროის დისტანციაა საჭირო, რათა ობიექტურად გაეცეს პასუხი წარმოშობილ კითხვებს, თუმცა ადვილი არ არის ერთმნიშვნელოვან დასკვნამდე მისვლა და ნაწილებიდან მთელი სურათის შექმნა.

საერთოდ, ისტორიოგრაფია და, მათ შორის, საქართველოს ისტორია პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწეებზეა ორიენტირებული და დროსა და სივრცეში მიზეზშედეგობრივი კავშირების გათვალისწინებით, მეტ-ნაკლებად იდება დასკვნებიც, რომელიც იძლევა შესაძლებლობას, არ განმეორდეს ბოლო 40 წელზე ცოტა ნაკლები წლის მანძილზე ქვეყანაში განვითარებული მძიმე ნეგატიური შედეგები.

თუ წარსული აწმყოს ჭიშკრის შესასვლელია, ორივე ერთად მომავალს სჭირდება გასარკვევად, ვინ ჰქმნიდა, რას ჰქმნიდა და როგორ ჰქმნიდა.

ისტორიას აქვს შინაარსი და სქოლიო და მისი პერსონაჟები დამსახურების მიხედვით ნაწილდებიან დროის მიერ მიკუთვნებულ ადგილებზე. მით უმეტეს, უახლესი ისტორიის 40-წლიან მონაკვეთს წითელ ხაზად გასდევს ზვიად გამსახურდიას, ედუარდ-გიორგი შევარდნაძის, მიხეილ სააკაშვილისა და ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური, ეროვნული, სახელმწიფოებრივი და პიროვნული სახება.

ამ პიროვნებებს ისტორიისა და პოლიტიკის ფურცლებიდან ვერავინ ამოიღებს, სხვა საკითხია, როგორ შეფასდებიან ისინი ახალი მემატიანეების მიერ.

ამ კონტექსტში საინტერესოა ჰეგელის გახმოვანება იმის შესახებ, რომ ქრისტე მის მრევლთან შედარებით მოწინააღმდეგეებმა უფრო განადიდეს და დიდად შეუწყვეს ხელი მაცხოვრის გამარჯვებას სიკვდილზე ანუ სიკვდილით სიკვდილის დათრგუნვას.

ამ პარადიგმას ზვიად გამსახურდიაზე თუ განვავრცობთ, შევარდნაძის და მისი რაზმელების მიერ წარმოებულმა უსამართლობამ, დევნამ და რეპრესიებმა დიდად განაპირობეს პირველი პრეზიდენტის, როგორც მოწამისა და გმირის განდიდება.

ისიც ცხადია, დასავლეთის პოლიტიკური სისტემა მათი ყველა მოაზროვნისათვისაც არ არის მთლიანად მისაღები, ამიტომ საქართველომ მისთვის მისაღები მიზანი და ამოცანები უნდა დაისახოს, რომლის გადაწყვეტაც შეუძლია, მიაღწიოს ეროვნულ თანხმობას, არ გადაქციოს ოპოზიცია ქუჩის კლასად, პრაქტიკაში დანერგოს კოალიციური მმართველობა, უარი უთხრას განხეთქილებისაკენ მსწრაფ ლოზუნგებს, შემოუსხდნენ „მრგვალ მაგიდას“.

საქართველოს პოლიტიკური ისტორიის და, შესაბამისად, ისტორიოგრაფიის წინაშე ჩნდება კითხვა – ვინ ლაპარაკობს ისტორიული, პოლიტიკური, სამართლებრივი, კულტურული და ა.შ. დოკუმენტის პირით, რა ალაპარაკებს, რა მორალური ცნობიერების მატარებელია, რა საზოგადოებრივი პოზიცია აქვს და როგორ პასუხობს ქვეყნის გამოწვევებს, მით უმეტეს, ქვეყნის უახლესი ისტორია ურთულეს მონაკვეთებს მოიცავს და ერი ისევ დგას არჩევანის წინაშე – მარჯვნივ, მარცხნივ თუ წინ.

ამ მხრივ ქართულ ისტორიულ და პოლიტიკურ ისტორიოგრაფიაში გამოსაყოფია **გ. ნოდიას, გ. მამულიას, ვლ. ტატიშვილის, თ. ტეტუნაშვილის, ი. მანჯავიძის, მ. ადეიშვილის, ი. ბაჩიაშვილის, მ. ბიჭაშვილის, მ. გოგატიშვილის, გ. მალაშხიას, ე. გვენეტაძის, ზ. კვეტენაძის, ა. ხევცურიანის, ა. სონღულაშვილის, ნ. სონღულაშვილის. ქ. ჯიჯეიშვილის, გ. ჩხიკვიშვილის, ს. მიდელაშვილის, ვ. შუბითიძის, ვ. მოდებაძის, დ. ჩუბინიძის, ს. ცინცაძის, ამ სტრიქონების ავტორის** მონოგრაფიები, დისერტაციები, წიგნები, კრებულები, სტატიები, წერილები და ა.შ.

ისტორიოგრაფია გვასწავლის, რომ საქართველოს რესპუბლიკა შორს არ იყო რუსეთის იმპერიისაგან, მეორე – საბჭოთა რესპუბლიკაც იმპერიის ნაწილი იყო, მესამე – რესპუბლიკაში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის სული ბობოქრობდა, მაგრამ არც კომუნისტური რევანშისტული განწყობა არ იყო მიმქრალი. ზვიად გამსახურდია საქართველოს ერთიან, კავკასიურ, ეროვნულ პოლიტიკურ და იდეო-

ლოგიურ სივრცეში მოიაზრებდა, დასავლეთის, აღმოსავლეთისა და ევროპის ქვეყნებთან თანამშრომლობის ფონზე, თუმცა ყველა იმპერიული ცენტრის მიმართ ისევ დისიდენტად რჩებოდა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ხშირად აღინიშნებოდა ტალეირანის შეგონება, რომ ენა აზრების დასაფარავად არსებობდა პოლიტიკაში და არა მის გამოსააშკარავებლად, თუმცა ისტორიისთვის დამახასიათებელი ორსახეობა ყველა დროსა და სივრცეში ვლინდებოდა და სინამდვილე არც ისე სრულად წარმოჩინდებოდა, რადგან სახელისუფლებო ისტორია ყოველთვის ქვეყნის მმართველისა და მისი გარემოცვის შეხედულებებისა და დასკვნების საფუძველზე იქმნებოდა.

საქართველოში თითქმის არ არსებობდა ოჯახი, რომელსაც რაღაც ფორმით მაინც არ შეხებია 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის კრიმინალური სახელმწიფო გადატრიალება; 1992-1993 წლებში განვითარებული პროცესები – რეპრესიები, დაპირისპირებები, აფხაზეთის ომი, სამეგრელოს რამდენჯერმე დარბევა, „მხედრიონის“ და სხვა კრიმინალური დაჯგუფებების თარეში და ა.შ.

ქართველი ისტორიოგრაფები აღნიშნავენ, რომ უახლესი ისტორიის 40-წლიან მონაკვეთში ბევრი რამ გაირკვა, გაცხადდა და დაიწმინდა, მაგრამ ქვეყანა არც ისე უცრემლოდ ემშვიდობება ნეგატიურ წარსულს, ვერ ქმნის სამართლიან აწმყოს და ზოზინით საზღვრავს მომავალს.

გაირკვა ვინ მიიყვანა ქვეყანა ტრაგიკულ მოვლენებამდე, ვინ იყვნენ მისი მამოძრავებელი ძალები, ხელმძღვანელები და შემსრულებლები, რა შედეგები მიიღო საქართველომ. დასტურდება, რომ კაცობრიობის ისტორიაში ყველა დიდი საქმე სისხლითაა დაწერილი, მაგრამ 1921-1924, 1937-1938, 1956, 1989, 1991-1993, 2008 წლებში დაღვრილ სისხლს სიკეთე არ მოუტანია ქართველობისთვის და იგი გახდა ქართველ მოაზროვნეთა განსჯის საგანიც. თუმცა საბჭოურ და შემდეგ თანამედროვე საქართველოს ცარცის წრეში მობუქნავე ჟამთააღმწერლები დიდი კაკანით განადიდებდნენ ხელისუფლების მპყრობელებს და ღმერთის მიერ წამებულთა სისხლად მიჩნეული მეცნიერთა მელანი დროდადრო „შეკვეთილი საქმეების“ განდიდებისთვის იხარჯებოდა.

საქართველოში ერთმანეთს უპირისპირდებოდა და ახლაც უპირისპირდება, ერთი მხრივ, ეროვნული იდეა (ზ. გამსახურდია) და, მეორე მხრივ, გლობალურ-კოსმოპოლიტური განზომილება – ქვეყნის გადაქცევა ინტერნაციონალური შეჯვარების ლაბორატორიად (ე. შევარდნაძე, მ. სააკაშვილი, ბ. ივანიშვილი).

სამი ათეული და მეტი წლის პოსტსაბჭოურ საქართველოში ხელისუფლების მმართველები თავისი კურსით, რწმენით თუ პოლიტიკით მართავდნენ ქვეყანას და მნიშვნელობა არ ჰქონდა მისაღები იყო თუ არა იგი საზოგადოების უმრავლესობისათვის, მით უმეტეს, ზოგიერთი მათგანი (შევარდნაძე) ეროვნული მოძრაობის ახალ ეტაპზე ლაპარაკობდა.

სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ შექმნილი „მოქალაქეთა კავშირის“, „ნაციონალური მოძრაობისა“ და „ქართული ოცნების“ ხელისუფლებების მმართველობების პერიოდში ქვეყანამ ბევრი ავდრიანი წლები გადაიტანა, მილიონზე მეტი ქართველი ემიგრაციაში წავიდა; საქართველომ დაკარგა აფხაზეთი და „სამხრეთ ოსეთი“; მკვეთრად გაუარესდა პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული პროცესები; ხალხში მატულობს დაუცველობის განცდა, უკანა პლანზე იწევს ადამიანური ფაქტორი, ეცემა განათლების, მეცნიერებისა და სიღრმისეული აზროვნების დონე.

სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ ვერ ჩამოყალიბდა ქვეყნის განვითარების არსი, მიზნები, ამოცანები და მიმართულებები. ვერ გამოიკვეთა გაცნობიერებული ეროვნული ინტერესები, შეუსრულებელი დარჩა მუდმივი დაპირებები აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიების დაბრუნების, სახელმწიფოს „აყვავებისა“ და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ერთობის შესახებ.

თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება მოითხოვდა მკვლევრებს შეესწავლათ და ობიექტურად შეეფასებინათ პოსტსაბჭოურ ქვეყანაში განვითარებული ისტორიული, პოლიტიკური, სამართლებრივი, კულტურულ-საგანმანათლებლო, სამეცნიერო და სხვა პროცესები; მათი დადებითი თუ უარყოფითი მხარეები.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ქართველმა მკვლევრებმა არაერთი მონოგრაფია, დისერტაცია, გამოკვლევა, წიგნი, სტატია და ა.შ. მიუძღვნეს „მოქალაქეთა კავშირის“ ხელისუფლების მიერ 1992-2003 წლებში განხორციელებულ მოვლენებს, რომლებიც უარყოფითად შეფასდა საქართველოს საზოგადოების დიდი ნაწილის მიერ.

ამ მხრივ გამოსაყოფია ქართველი ავტორები: **ა. ჩიკვილაძე, გ. ნოდია, მ. ბერიანიძე, ს. სიგუა, ი. გიორგაძე, ნ. ნათაძე, ვ. გურული, ა. სილაგაძე, ლ. ცომაია, დ. კიზირია, გ. გაჩეჩილაძე, ნ. მესხია, ი. ბათიაშვილი, ლ. ალექსიძე, გ. ოტობაია, გ. ჟვანია, ვ. კვარაცხელია, ჯ. იოსელიანი, თ. ფიფია, გ. სიჭინავა, კ. ზ. გამსახურდია, ც. გაბესკირია, რ. ყურაშვილი, ეპიტაშვილი, ჯ. პატიაშვილი, ჯ. პატიაშვილი, ზ. შათირიშვილი, ე. გვენეტაძე, დ. ჩუბინიძე, ჰ. კუპრაშვილი, ბ. ლუტიძე, ვ. კეშელავა, ა. ათანელიშვილი, დ. ჩიტაძე, პ. დავითაია, ა. შონია, ფ. ლომაშვილი, ნ. თავართქილაძე, გ. პაიჭაძე, ს. მოსიძე, ჯ. ნინუა, ა. თავბერიძე, ვ. გოგუაძე, ალ. აბდალაძე, ოთ. თეთვაძე, შ. ნოზაძე, ი. გოცირიძე, მ. მაცაბერიძე, ო. ეგაძე, ვ. აბაკელია, მ. აბაიშვილი, გ. აბდუშელიშვილი. ა. აბრალავა, გ. აბსანძე, ლ. ალექსიძე, ვ. ალფენიძე, ლ. ანდღულაძე, ა. ასათიანი, ზ. ბედია** და სხვები.

ამ სტრიქონების ავტორის მიერ წინ იქნა წამოწეული ისტორიისა და პოლიტიკის საზრისის პრობლემა თანამედროვე ეტაპზე, ხაზი გაესვა ისტორიისა და ეროვნულობის, მარქსიზმისა და ისტორიის, სოციალიზმის, რაციონალური კაპიტალიზმისა და კონვერგენციის, პოლიტიკური ისტორიის, თანამედროვე კაპიტალიზმის არსებობის პარადიგმებისა და დილემების, მისი დასასრულის, ახალი სოციალიზმის იდეის, სოცკაპიტალიზმის თეორიისა და პრაქტიკის, ევროკავშირის პრობლემების, **ბჟეზინსკის, კისინჯერის, ფუკუიამას, ა. გორის, ი. ფრანგიშვილის, გ. მალაშხიას, ნ. ჭითანავას** და სხვების პოლიტიკურ შეხედულებებს, გლობალიზაციისა და მსოფლიო წესრიგის კონცეფციებს.

ქართული ისტორიოგრაფია აღნუსხავდა პოსტსაბჭოური საქართველოს (**შევარდნაძე, სააკაშვილი, ივანიშვილი**) ხელისუფლებების საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, სტრატეგიასა და ტაქტიკას, დადებით და უარყოფით მხარეებს, რაც აისახებოდა მკვლევართა ნაშრომებში.

ამ მიმართულებით ნეგატიური მუხტის მატარებელი იყო ხელისუფლებების დაბეჯითებითი დაპირებები იმის შესახებ, რომ ქვეყანა ეკონომიკურად გაძლიერდებოდა, დაიძლეოდა უმუშევრობა, შემცირდებოდა ადამიანების ემიგრაციაში წასვლა, გაიზრდებოდა ხელფასები, მოხდებოდა განათლების, მეცნიერებისა და კულტურის აღმავლობა, საქართველო დაიბრუნებდა დაკარგულ ტერიტორიებს, ლტოლვილები დაუბრუნდებოდნენ მშობლიურ ადგილებს, ვიზალიბერალიზაციის განხორციელების შემთხვევაში დაბრუნებული მიგრანტები გადაიქცეოდნენ მძლავრ სამუშაო ძალად, აღარ გავიდოდნენ ქვეყნიდან, რაც სახელმწიფოს განვითარებასა და აყვავებას გამოიწვევდა.

1992 წლიდან დაწყებული ასეთი ქადაგებები ათეულობით წლების მანძილზე გრძელდებოდა. პრეზიდენტები, მთავრობები და პარლამენტები – იცვლებოდა, მაგრამ არ იცვლებოდა საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, დემოგრაფიული და ა.შ. სახის მეტყველება.

ცნობილია, რომ **„მოქალაქეთა კავშირის“, „ნაციონალური მოძრაობისა“** და **„ქართული ოცნების“** ხელისუფლებების პერიოდში ნაკლები ყურადღება ექცეოდა საქართველოსა და კავკასიის მეცნიერულ შესწავლას და საერთაშორისო საზოგადოებას არ მიეწოდებოდა ობიექტური ინფორმაცია. ამიტომ 2019 წლის დეკემბერში, პრეზიდენტ **სალომე ზურაბიშვილის** ინიციატივით, დღის წესრიგში დადგა დაფუძნებულიყო „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების საკოორდინაციო ცენტრი“, ქართველოლოგიისა და კავკასიოლოგიის შესასწავლად, რომელიც უზრუნველყოფდა კოორდინაციას საქართველოს სამეცნიერო, საგანმანათლებლო და კვლევით ორგანიზაციებს შორის, რათა საქართველოს, კავკასიისა და, ზოგადად, რეგიონის უსაფრთხოების, კულტურათა და რელიგიათა მშვიდობიანი თანაარსებობის ხელშეწყობისათვის მეცნიერულად შეესწავლათ პრობლემები და ობიექტური ინფორმაცია მიეწოდებინათ საერთაშორისო საზოგადოებისათვის, საქართველოსა და რეგიონის შესახებ.

აღნიშნულ კონტექსტში, ასევე, ყურადსაღებია **პ. დრიუკერის** „პოსტკომუნისტური საზოგადოება“ (აშშ, 1993 წ.); **ვ. ვალლერსტაინის** „ნაცნობი მსოფლიოს დასასრული“ (აშშ, 2003 წ.); **ჰ. ჰიუნგის** „მსოფლიო ზნეობა მსოფლიო პოლიტიკისა და მსოფლიო ეკონომიკისათვის“ (თბ., 2009 წ.); **ჰ. მორგენთაუს** „ქვეყნების პოლიტიკა: ბრძოლა ძალაუფლებისა და მშვიდობიანობისათვის“, **ფ. ქაზემზადეს, თ. გოლცის, დ. დეკონსის, ს. ჩერნიხის, ჩ. ჯონსონის, ჯ. მეტლოკის, მ. ალმონდის, ს. ჯონსის, რ. პარსონსის, შ. ურჟევიჩის, ი. ბერგერის, ქ. ექედეილიას, ა. გუდმებისა** და სხვა ავტორების თეორიები და დასკვნები.

საინტერესო ნიშნულებით გამოირჩეოდა **ალექსანდრე ვენდტის** 1992 წელს გამოცემული

ნაშრომი „ანარქია ისაა, რასაც სახელმწიფოები მისგან ქმნიან: ძალის პოლიტიკის სოციალური კონტრუქცია“, რომელშიც განხილული იყო კონსტრუქტივიზმის ძირითადი დაშვებები; ნაშრომი გვამცნობდა, რომ ავტორის აზრით, მატერიალური მოცემულობები თავისთავად არ იყვნენ განსაკუთრებული მნიშვნელობების მატარებელნი და აქ მნიშვნელოვანი იყო ის, თუ როგორ ხდებოდა მატერიალური მოცემულობების სოციალური აღქმა.

რაც შეეხება გიდეონ როუზის ნაშრომს „ნეოკლასიკური რეალიზმი და საგარეო პოლიტიკის თეორიები“, რომელიც 1998 წლით თარიღდება. განიხილავდა რეალიზმის დაშვებებს და მიიჩნევდა, რომ საერთაშორისო სისტემაში სახელმწიფოს ქმედება ხასიათდებოდა ქვეყნებში ძალაუფლების განაწილებით, აღქმისა და პროგნოზის სიზუსტით სხვა სახელმწიფოს განზრახვასთან და სავარაუდო საგარეო პოლიტიკასთან მიმართებით.

ზოგიერთი მკვლევარი სახელმწიფოთა შორის პოლიტიკური და საერთაშორისო ურთიერთობების მომწესრიგებელ ყველაზე დიდ ფაქტორად სამხედრო ძალას მიიჩნევდა. ნეორეალისტები კი დაბალანსებისათვის უპირატესობას ანიჭებდნენ უშიშროებისა და ინტერესთა ბალანსის თეორიებს (**უოლცი, შველერი, ვალცი, მირშაიმერი, რიჩარდ კოჰინი, მაიკლ მიჰალკა, ბუზანი, ვევერი** და სხვ.).

იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების შესწავლა, კრიტიკულად თუ დადებითად აღქმა და განზოგადება ისტორიკოსების, პოლიტოლოგების, სამართალმცოდნეების, ეკონომისტების, ფილოსოფოსების, სოციოლოგებისა და სხვების მოვალეობა და უფლებაა, პოსტსაბჭოურ საქართველოში ინტენსიურად დაიწყო საერთოდ 1921-2025 წლებში განვითარებული პროცესების კვლევა-ძიება.

ახლებურად იქნა გააზრებული რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები 1800-1921 და 2005 წლებში; ეროვნული იდეის ეროვნულ მოძრაობად გარდაქმნა სამშობლოს, თავისუფლების, დამოუკიდებლობის პარადიგმებზე; ქვეყნის სათავეში ეროვნული ხელისუფლების მოსვლა, მისი სტრატეგია და ტაქტიკა; **ე. შევარდნაძის** თაოსნობით, აშშ-ისა და ევროპის ცალკეული ქვეყნების მხარდაჭერით, ადგილობრივი შეიარაღებული პუტჩისტების მიერ ეროვნული ხელისუფლების დამხობის განხორციელება: პირველი პრეზიდენტის დევნა პოლიტიკურ-სამართლებრივი ნიშნულებით; დამპყრობელი ქვეყნის მოწვევა ძალაუფლების შესანარჩუნებლად. საზოგადოებრივი და სამთავრობო განხილვის საგნად იქცა ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებასთან, მკვლელობასა თუ თვითმკვლელობასთან დაკავშირებული სახელისუფლებო და საზოგადოებრივი აზრის სამართლიანობა და სხვა საკითხები.

საბჭოთა მმართველობის, პოსტსაბჭოური საქართველოს ხელისუფლებების (**შევარდნაძე, სააკაშვილი, ივანიშვილი**) არეალში გააქტიურდა ქვეყნიდან მოსახლეობის ემიგრაციაში წასვლის საკითხი.

აღსანიშნავია, რომ ემიგრაციული მოძრაობის გაძლიერება დაკავშირებული იყო პოლიტიკურ პროცესებთან, რომელიც ჯერ კიდევ ადრეულ საუკუნეებში დაიწყო და მის კვალს სპარსეთთან (ირანი), საბერძნეთთან, რომთან, ბიზანტიასთან, რუსეთთან და სხვა ქვეყნებთან მივყავართ, როდესაც ქართველური ნაკადები თუ ინდივიდუალური მცირე ჯგუფები სხვადასხვა ქვეყნებში მიემგზავრებოდნენ, ბევრ შემთხვევაში იმპერიების სახელისუფლებო სივრცეში იმკვიდრებდნენ თავს და წარმატებებს აღწევდნენ პოლიტიკურ, სახელმწიფო, სამხედრო, კულტურულ, სამეცნიერო და სხვა საქმიანობებში.

პირველი, დიდი მიგრაციული ჯგუფი იყო ერეკლე ბატონიშვილის მიერ მოსკოვში ჩაყვანილი ქართველი დიდებულები, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ემიგრანტთა პირველ კოლონიას რუსეთის დედაქალაქში.

რუსული, ქართული, ირანული და სხვა წყაროების მტკიცებით, სწორედ ერეკლე (ნიკოლოზი) უნდა იყოს რუსეთის პირველი იმპერატორის, პეტრე პირველის მამა, რომელიც მეფის **ალექსი რომანოვის** და მისი ახალგაზრდა მეუღლის **ნატალია ნარიშკინას** ქორწილის ორგანიზატორი და მათი მეჯვარეც იყო.

ისტორიული წყაროები გვიდასტურებენ ქართული ემიგრაციის სამი ნაკადის არსებობას ამერიკის შეერთებულ შტატებშიც, რომლებიც მოიცავდა 1921-1924, 1945-1991 და 1992-2005 წლებს და უკავშირდებოდა 1921 წელს, საქართველოს დაპყრობას ბოლშევიკების მიერ, მეორე მსოფლიო ომის შედეგებს და 1991-1992 წლებში რუსეთის დახმარებით დამოუკიდებელი ქვეყნის ხელისუფლების შეიარაღებული გზით დამხობას.

მიგრაციის საკითხებში ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებთან თანამშრომლობის მიზნით,

ევროკავშირის მიერ შემუშავდა მიგრაციისა და მობილობისადმი გლობალური მიდგომა (GAMM), რომელიც 2005 წლიდან წარმოადგენს ევროკავშირის გარე მიგრაციის და თავშესაფრის პოლიტიკის ყოვლისმომცველ ჩარჩოს. თუმცა 2011 წელს საჭირო გახდა მისი გადახედვა არაბულ ქვეყნებში მომხდარი ძირეული ცვლილებების გათვალისწინებით. ჩარჩო მიმართულია ლეგალური მიგრაციისა და მობილობის მენეჯმენტის გაუმჯობესებაზე, არალეგალური მიგრაციის პრევენციასა და ადამიანთა ტრეფიკინგის წინააღდეგ ბრძოლაზე, საერთაშორისო დაცვისა და თავშესაფრის სფეროში შესაძლებლობების გაძლიერებაზე.

ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის მიგრაციის სფეროში თანამშრომლობის ხელშეწყობისა და თავშესაფრის მინიჭების ერთიანი ევროპული სისტემის დანერგვის უზრუნველყოფის მიზნით, 2010 წელს შეიქმნა თავშესაფრის მინიჭების ხელშეწყობის ევროპული ოფისი (EASO), როგორც საექსპერტო ცენტრი თავშესაფრის საკითხებში.

მიგრაციისა და თავშესაფრის საერთო ევროპული პოლიტიკის ჩამოყალიბებასთან ერთად, ევროპული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, შემუშავდა ევროკავშირის ანტიტერორისტული სტრატეგია, რომელიც ტერორიზმთან საბრძოლველად ევროკავშირის ერთიანი პოლიტიკის ჩამოყალიბებას ისახავდა მიზნად, რაც, უპირველესად, წევრ სახელმწიფოებს შორის ამ სფეროში თანამშრომლობის გაუმჯობესებას მოიაზრებდა.

ქართული ემიგრაციის ისტორია ბევრი ქართველის სახელსა და გვარს გვამცნობს, რომლებმაც კვალი დატოვეს მსოფლიო ქვეყნების ისტორიაში (სპარსეთი, თურქეთი, რუსეთი, ევროპა, აშშ...). მათ შორის შეიძლება დასახელდეს ძველი და ახალი თაობის წარმომადგენლები: **ერეკლე ბატონიშვილი, ალექსანდრე გედევანიშვილი (ალექსანდრე ბოროდინი), ალექსანდრე ბატონიშვილი, ვახუშტი ბაგრატიონი, ივანე ბაგრატიონი, გიორგი ბაგრატიონი, დავით გურამიშვილი, ნიკოლოზ ორბელიანი, მამუკა ბარათაშვილი, დიმიტრი ორბელიანი, ზურაბ შანშოვანი, ერასტი თურქისტანიშვილი, გ. გელოვანი, იგორ ჭელიძე, თავადი ციციანოვი, ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, ვარდენ წულუკიძე, კონსტანტინე აფხაზი, ქ. ჩოლოყაშვილი, ნ. ჟორდანია, ნ. რამიშვილი, ს. მენაღარიშვილი, დ. ერქომაიშვილი, მ. გოგიბერიძე, ს. ჟღენტი, შ. კალანდაძე, ე. თაყაიშვილი, კ. სალია, ევ. გეგეჭკორი, სპ. კედია, გ. გეგელია, მ. კედია, ლ. კერესელიძე, ა. მანველიშვილი, ა. ასათიანი, დ. ვაჩნაძე, მ. წერეთელი, გ. გვაზავა, შ. ამირეჯიბი, ზ. ავალიშვილი, ვ. ახმეტელი, დ. საღირაშვილი, გ. გვიბლიანი, ი, მანწკავა, ვ. ნოზაძე, მ. ქავთარაძე, ზ. აბაშიძე, ა. ჭეიშვილი, გ. ნოზაძე, ა. ხვედელიანი, ა. ალანია, ა. კიღურაძე, ი. გვარამაძე, დ. სინჯიკაშვილი, ვ. ტოგონიძე, პ. სურგულაძე, ლ. და გ. კერესელიძეები, ვ. ციციშვილი, ნ. მაღალაშვილი, მ. იშხნელი, გ. მაჩაბელი, ნ. თოხაძე, მ. გაბუნია, ა. გამსახურდია, თ. პაპავა, ა. პაპავა, ა. ცომაია, ა. კორძაია, ო. ზურაბიშვილი, კ. კემულარია, დ. კიზირია, რ. ჟორდანია (ევროპა), კონსტანტინე სიდამონ ერისთავი ნიუ იორკის ვიცე მერი, ვ. დუმბაძე, პ. კვარაცხელია, თ. კვარაცხელია, ვ. კობახიძე, გ. მაჩაბელი, დ. მდივანი, ს. მდივანი, ა. მდივანი, ნ. მდივანი, რ. მდივანი, ზ. მდივანი, გრ. კობახიძე (ჯორჯ კობი), ა. ქართველიშვილი, ჯ. ბალანჩინი, თ. თუმანიშვილი, პ. ჭავჭავაძე, ნ. ჩხოტუა, გ. გაბლიანი, გ. კობახიძე, შ. დვალი, გ. ასათიანი. თ. ბაგრატიონი, თ. ლობჟანიძე, ა. გრიგოლაშვილი, კ. ქვარიანი, ა. ჩხენკელი, თ. ჩხენკელი, მ. შანიძე, გ. ზალდასტანიშვილი, კ.ს. ერისთავი, ჯონ მალხაზ შალიკაშვილი, ძმები მოლაშხიები, ი. მახარაძე, კ. ცინცაძე, ქ. იმნაძე, თ. გაბელია, ა. ცომაია, ი. გვაზავა, მ. დადიანი, ს. კობიაშვილი. ა. ჩხენკელი, დიმიტრი და დავით შალიკაშვილები, ნ. თოფურია, ბ. კეკელია, ს. გაბუნია, ა. ხარჩილავა, გ. დვალი, პ. ხვედელიძე, ი. ზურაბიშვილი, ნ. ზუხბაია, გ. კვესელავა, ზ. აბდუშელიშვილი, ძ. ჩხოტუა, თ. ფრანგიშვილი, გ. ვერულავა, ს. ბარათელი, ე. ცომაია, ნ. ჯაფარიძე, ქ. ჯღარკავა, შ. ქომეთიანი, თ. ქომეთიანი ძნელაძე, ხ. მშვიდობაძე, ო. ჩიჩუა, მ. აფრიდონიძე, ნ. ჯაგოდნიშვილი** და სხვები.

ქართული ძველი და ახალი ემიგრაციის ისტორია და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა ასპექტებია წარმოდგენილი ქართველი მკვლევრების: **ე. თაყაიშვილის, ი. კუჭუხიძის, მ. ლაშაურის, გ. შარაძის, ვლ. ტატოშვილის, გ. მამულიას, გ. სულაძის, დ. კიზირიას, რ. ჟორდანიას, გ. კალანდიას, ო. ჯანელიძის, ლ. სარალიძის, ლ. ცომაიას, შ. თაყაიშვილის, რ. ყავრელიშვილის, ლ. ურუშაძის, მ. ტუხაშვილის, ი. აბულაშვილის, რ. დაუშვილის, ს. კილაძის** და სხვების მონოგრაფიებში, წიგნებში, დისერტაციებსა და სხვადასხვა პუბლიკაციებში.

ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი **ე. თაყაიშვილის, გ. შარაძის, გ. სულაძის, გ. მამულიას, ვლ. ტატიშვილის, ო. ჯანელიძის, ა.**

ჭაჭიას, დ. კიზირიას, გ. კალანდიას, ამ სტრიქონების ავტორისა და სხვების ისტორიული, პოლიტიკური, პუბლიცისტური, მემუარული და სხვა ხასიათის ლიტერატურას, რუსეთში, ევროპაში, აშშ-ში, ირანში, თურქეთში და სხვა ქვეყნებში მოღვაწე, სხვადასხვა თაობის ქართველების შესახებ.

მმართველობა არ არსებობს პოლიტიკური ცნობიერების, იდეოლოგიის, კულტურისა და ტრადიციების სამართლებრივ ქცევათა და ნორმათა სისტემის, სახელმწიფო ნების გამომხატველი სუბიექტების, სამართლებრივ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების, კანონების გაცნობიერების და ა.შ. გარეშე.

პოლიტიკური თეორია ხელისუფლების მოპოვებისა და შენარჩუნების რაციონალიზებული ფორმაა, თუმცა საქართველოში ყოველთვის იგნორირებული იყო **„კოალიციური მმართველობის“ იდეა**, შესაბამისად, პრაქტიკაც და ფუნქციონირებდა უმრავლესობის საპრეზიდენტო ან საპარლამენტო დიქტატურა და ყველა კანონი და გადაწყვეტილება საპარლამენტო ოპოზიციის გარეშე მიიღებოდა.

შევარდნაძის, სააკაშვილისა და ივანიშვილის ხელისუფლებები არ იზიარებდნენ კოალიციური მთავრობის შექმნის იდეას და კატეგორიული მითითება ეძლეოდათ დაქვემდებარებულ სამსახურებს უზრუნველეყოთ გამარჯვებები საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებში.

გარდასულ ეპოქათა ხელისუფლებების ნამოქმედარის მხილება არ წარმოადგენს თვითმიზანს, მაგრამ, შეიძლება, იგი გახდეს საშუალება, რომ არ განმეორდეს ნეგატიური შედეგები. ამიტომ დღევანდელმა და მომავალმა თაობამ უნდა იცოდეს ვინ რას თესავდა, იმკიდა და სად უნდა მიუჩინოს ადგილი საზოგადოებამ – ისტორიის ფურცლებზე თუ სქოლიოში.

უკანასკნელი წლების ისტორიამ წარმოაჩინა სამხრეთ კავკასიის, ახლო აღმოსავლეთის, აზიის, რუსეთის, ევროპის, ამერიკისა და სხვა სახელმწიფოების სახისა და დროის მეტყველება, ქვეყნების მეთაურები დიდი და მცირე სახელებით შემორჩნენ ისტორიას და შთამომავლობას განდიდებულნი ან დამცირებულნი, მათი „მრევლის“ მიერ ამაღლებულნი, მაგრამ ერისგან ძირს დაცემულნიც.

თუ ზვიად გამსახურდიას ეროვნული, პოლიტიკური, საზოგადოებრივი, ზნეობრივი იდეოლოგია თანხმობაში იყო ერის დიდი ნაწილის ინტერესებთან, შემდგომში გამცემლობამ, მოღალატეობამ, უსამართლობამ, დევნამ, რეპრესიებმა და შეუცნობელობამ დიდად განაპირობა პირველი პრეზიდენტის მოწამეობრიობაც და განდიდებაც. ზვიად გამსახურდიას მერმინდელ ხელისუფლებებს კი არ მოჰკლებიათ გედის, კიბორჩხალასა და ქარიყლაპიას სინდრომი; ქვეყანაში ვერ განხორციელდა სამი სიდიდის – უშიშროების, თანხმობისა და კეთილდღეობის მიღწევა მთავრობების აზროვნებასა და საქმიანობაში ეროვნული იდეოლოგიების სხვადასხვაგვარობის გამო.

დიდი „მფარველის“ ძიებამ, პოლიტიკური ელიტის თავისიანებად და სხვისიანებად გაყოფამ, მდიდართა კლასის გაჩენისაკენ სწრაფვამ, საკადრო პოლიტიკის უცოდინრობისა და „კუთხურობის“ გამოვლინებამ, პიროვნული დიქტატურისკენ გადადგმულმა ნაბიჯებმა, პოლიტიკური კულტურისა და დიპლომატიის ცოდნის უქონლობამ, საოჯახო, სანათესაო და სამეგობრო კლანურობის გაძლიერებამ, პოლიტიკასა და სახელისუფლებო მართვაში დაშვებულმა მძიმე შეცდომებმა, ძალოვანი, პროკურატურის, სასამართლო და სხვა სტრუქტურების დამორჩილებამ, სასკოლო და უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების ხარისხიანობის დაკარგვამ, პოლიტიკური მოღვაწეების აბსურდულმა, აზრს, შინაარსსა და სიცხადეს მოკლებულმა გამონათქვამებმა და ა.შ. სახელმწიფოს საყოველთაო ავტორიტეტი, ნდობა და მხარდაჭერა დაუკარგა. ქვეყნის ცხოვრებამ პოლიტიკასა და სახელმწიფო მართვაში გამარჯვებულები ვერ გამოავლინა და, შესაბამისად, ჯერჯერობით შეუძლებელი ხდება „გამარჯვებული“ ერის ისტორიის დაწერაც.

მით უმეტეს, ეროვნული ხელისუფლების შეიარაღებული გზით დამხობის შემდეგ, 1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთის წინააღმდეგ დაწყებული სამხედრო ოპერაციები ქართულ-აფხაზურ ომში გადაიზარდა, რაც ორ მიზანს ისახავდა და აისახა 1992 წლის 4 და 10 აგვისტოს **შევარდნაძის** მიერ საიდუმლოდ მოწვეულ სამხედრო საბჭოს ოქმებში, რომელიც ფართო საზოგადოებისათვის დღესაც მიუწვდომელია.

1. **ომის შედეგი ითვალისწინებდა აფხაზი სეპარატისტების დასჯას და ავტონომიური რესპუბლიკის სრულად დაქვემდებარებას სამხედრო გადატრიალების გზით მოსული ხელისუფლებისათვის;**
2. **ომის ერთ-ერთი მიზანი იყო აფხაზეთში მცხოვრები ზვიად გამსახურდიას მხარ-**

დამჭერი ქართველების შევიწროვება და დასჯა;

3. **ედუარდ-გიორგი შევარდნაძე და მისი გარემოცვა მიზნად ისახავდა დაერბიათ და გაეძარცვათ სამეგრელო და „ჭკუა ესწავლებინათ“ პირველი პრეზიდენტის ერთგული მომხრეებისათვის.**

შევარდნაძის და მისი თანამოაზრეების უაზრო პოლიტიკის შედეგად მოხდა აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ ჩამოცილება საქართველოდან, ქვეყნის ეკონომიკის, სოციალური მდგომარეობის, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დაქვეითება. ყოველივე ეს კი აისახა ქართულ ისტორიოგრაფიულ ლიტერატურაში (ბ. აფრასიძე, გ. კეკენაძე, ლ. კვირიკაშვილი, კ. ღურწკაია, დ. ჩუბინიძე, ნ. თოიძე, ლ. ღურწკაია, ვ. შურღაია, ს. თორია, გ. მამაცაშვილი, ზ. გუჩუა, გ. ბახია, მ. გვაძაბია, გ. ფერაძე, ნ. ჩიჩუა, ბ. გოგელაშვილი, ვ. გაბელია, ი. ულუმბეგაშვილი, ზ. გაბედავა, გ. მესხია, ბ. წურწუმია, გ. ხარებავა, გ. სირია, ვ. ზარანდია, ვ. ხარჩილავა, ჯ. ხუბუა, ც. ბაჯელაძე, ბ. გუგუშვილი, რ. მარგველანი, ბ. გვანცელაძე, ვახტანგ (ლოთი) ქობალია, ზ. ჩუხუა, ა. ჩუხუა, ნ. ჩუხუა, ლ. ცომაია, გ. გობეჩია, ი. შონია, ვ. ხარჩილავამ ჯ. ხუბუა, ზ. დავითაია, ამ სტრიქონების ავტორი და ა.შ.).

განხილულია ზ. გამსახურდიას მოღვაწეობა დროსა და სივრცეში და კეთდება დასკვნა იმის შესახებ, რომ ევროპასა და აზიას შორის დამაკავშირებელი როლის შემსრულებელ საქართველოს ზვიად გამსახურდიას დამხობის შემდეგ საკუთარ ქვეყანაში გაბზარული თუ ჩატეხილი ხიდის აღდგენა სჭირდებოდა, რაც ვერ განხორციელდა „მოქალაქეთა კავშირის“, „ნაციონალური მოძრაობისა“ და ქართული ოცნების“ ხელისუფლებების არსებობის პირობებში.

შევარდნაძისა და მისი მმართველობისთვის მაშინ აბსოლუტურად მიუღებელი იყო მკვლევრების კრიტიკული დამოკიდებულება, ამიტომ 1998 წელს აიკრძალა სამეგრელოს აოხრების შესახებ ვ. კვარაცხელიას, გრ. ჟვანიას და ამ სტრიქონების ავტორის მცირე მოცულობის ბროშურა „დავიწყებას არ ექვემდებარება“. ასეთივე ბედი ერგო, მოგვიანებით, ცნობილი მწერლისა და პუბლიცისტის თამაზ ფიფიას წიგნს „ცოდვის კალო სამეგრელოში“.

ზ. გამსახურდიას დამხობისა და ქვეყანაში განვითარებული უმძიმესი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, სამართლებრივი, კულტურული და სხვა პროცესები გახდა საელექტროვიზიო არხების, ქართული პრესის, სხვა საინფორმაციო საშუალებების („საქართველოს რესპუბლიკა“, „იბერია-სპექტრი“, „რეზონანსი“, „7 დღე“, „ახალი 7 დღე“, „ალია“, „ახალი თაობა“, „ქრონიკა“, „ჯორჯიან თაიმსი“, „აღდგომა“, „კოლხური კოშკი“, „თავისუფალი საქართველო“, „საქართველო“, „არჩევანია“, „ლაშარის გორი“, „ოქროს საწმისი“, „ზვიადის გზა“, „სამეგრელო“, „მარჯი“, „მესამე ათასწლეული“, „ახალი ერა“, „გუშაგი“; უცხოენოვანი პრესა: „თავისუფლება“, „პრეს-რელიზი“, „მაინის ფრანკფურტი“, „ამერიკის ხმა“, „სოვიეტ-ენელისტი“, „იმნესტი“, „ინტერნეიშენალი“ და სხვ.

პირველი პრეზიდენტის პოლიტიკური მოღვაწეობის 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების, ემიგრაციის პერიოდის საქმიანობის, საქართველოში ჩამოსვლის, ხელისუფლებაში მობრუნების გზების ძიებისა და სხვა საკითხები იყო დამუშავებული და განხილული ცნობილი მკვლევრების, პოლიტიკოსების, ყოფილი სახელმწიფო მოღვაწეებისა და პუბლიცისტების: **კ. ზ. გამსახურდიას, ნ. ნათაძის, ე. ჯაველიძის, ნ. წულეისკირის, ნ. ჭითანავას, ვ. გურულის, დ. შველიძის, გ. შარაძის, ო. ჩხეიძის, ო. ჩხეიძის, გ. გაჩეჩილაძის, ვ. მაისაიას, რ. გაჩეჩილაძის, ა. სონღულაშვილის, ჯ. გახოკიძის, ნ. ბართაიას, ვ. ხარჩილავას, გ. ყორანაშვილის, ჰ. კუპრაშვილის, ზ. ხონელიძის, ვ. გვარამიას, ა. ასლანიშვილის, ს. სიგუას, ჯ. გამახარიას, დ. ჯოჯუას, გ. აბესაძის. ს. საჯაიას, მ. ზაქარაიას, გ. მჭედლიშვილის, ვ. მაისაიას, ა. ჭაჭიას, ჯ. დავლიანიძის, ნ. თავართქილაძის, მ. ჯიქიას, ზ. კვეტენაძის, ქ. ჯიჯეიშვილის, ა. ხევცურიანის, დ. ჩუბინიძის, ჯ. ხუბუას, გ. გიგაურის, ო. ჯანელიძის. ე. გვენეტაძის, ჯ. შონიას** და სხვების მონოგრაფიებში, დისერტაციებში, ბროშურებში, წერილებში, სტატიებში და ა.შ.

ამ სტრიქონების ავტორის მიერ **2008 წელს გამოიცა საქართველოს უახლესი ისტორიის ქრონიკების მეორე ტომი**, რომელშიც შევიდა მონოგრაფია „ზვიად გამსახურდია – დისიდენტი, პრეზიდენტი, მოწამე“, რომელიც მოიცავს 16 თავს და გადმოცემულია ეროვნული მოძრაობის გააქტიურების, კომუნისტური მმართველობის დასასრულის, დამოუკიდებლობის გამოცხადების, პირველი შედეგების, წინააღმდეგობების, დაპირისპირების, ეროვნული ხელისუფლების დამხობის, რეპრესიების, მესამე რესპუბლიკის და უცხოეთის, ზვიად გამსახურდიას გზის, მოწინააღმდეგეებისა და თანამოაზრეების, ეროვნული ერთიანობისა და

თანხმობის, პირველი პრეზიდენტის დევნის, მისი ფიზიკურად განადგურებისათვის უცხო ძალის გამოყენების, **ზ. გამსახურდიას** გარდაცვალებისა თუ მკვლელობის ვერსიების, ეროვნულ გმირად გამოცხადების და მთაწმინდაზე დაკრძალვის და სხვა საკითხები.

ზვიად გამსახურდიას – საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი ლიდერისა და ქვეყნის პირველი პრეზიდენტის შესახებ გამოქვეყნებულ ლიტერატურათა შორის ერთ-ერთი გამორჩეულია ცნობილი დისიდენტის, გამსახურდიას თანამებრძოლის **ლეილა ცომაიას 900-გვერდიანი წიგნი „პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა“, რომელიც 2017 წელს გამოიცა თბილისში. მასში დოკუმენტურ-საარქივო და ფოტო მასალებზე დაყრდნობით შეფასებულია ზვიად გამსახურდიას მიერ განვლილი ურთულესი ეროვნულ-პოლიტიკური გზა, პრეზიდენტის მკვლელობის ჩათვლით.**

მონოგრაფიაში ნაჩვენებია შეიარაღებული ოპოზიციის საიდუმლო კავშირები საბჭოთა კავშირის იმპერიის პოლიტიკურ წრეებთან, სახელმწიფო სტრუქტურებთან, პრეზიდენტის დამხობის მთავარ ორგანიზატორთან, **ედუარდ-გიორგი შევარდნაძესთან**. წიგნის ერთი ნაწილი, აგრეთვე, მოიცავს **მიხეილ სააკაშვილისა** და **ბიძინა ივანიშვილის** სახელისუფლებო პერიოდის ფრაგმენტებს.

დისიდენტურ და ეროვნულ მოძრაობაში **ზვიად გამსახურდიას** უდიდეს დამსახურებას ესმებოდა ხაზი ცნობილი პოლიტიკოსისა და ეროვნული მოღვაწის, პროფესორ **ნოდარ ნათაძის 2002 წელს გამოცემულ მემუარულ ნაშრომში „რაც ვიცი“**.

ზვიად გამსახურდიას ეროვნული მოღვაწეობა იყო გაშუქებული **თენგიზ კუბლაშვილის** წიგნში **„ისტორია პირუთვნელის ხელში“ (2006 წ.), სოფო ღლონტის მონოგრაფიაში „ზვიად** გამსახურდიას ქრისტიანული მრწამსი“ (2007 წ.) და **გიორგი მჭედლიძის** 1999 წელს გამოცემულ წიგნში **„ისტორია უდისტანციოდ (1988-1995 წწ.)“**.

2008 წელს საზოგადოებას მიეწოდა პროფესორ **დიმიტრი შველიძის** მნიშვნელოვანი მეცნიერული დონის მონოგრაფია **„პოლიტიკური დაპირისპირება და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში (1987-1992 წწ.)“**.

დ. შველიძე იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც საზოგადოებას მიაწოდა 1987-1992 წლების მონაკვეთის ისტორიულ-პოლიტოლოგიური გამოკვლევა, რომელშიც გაანალიზდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაში გაჩენილი სხვადასხვა ოპოზიციური ჯგუფებისა და ნაკადების (ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, „მხედრიონი“, „კონგრესი“, „მრგვალი მაგიდა“, სიგუა-კიტოვანის დაჯგუფება, ხელისუფლების დამხობის მოსკოვის ცენტრის შევარდნაძის დაჯგუფება, რუსეთის სამხედრო ძალების დაჯგუფება და სხვ.

ამ სტრიქონების ავტორის მიერ 2021 წელს გამოცემული წიგნი **„საქართველოს ისტორიის ქრონიკები“-ს VIII ტომი „სახისმეტყველება – ედუარდ-გიორგი შევარდნაძე“**, საზოგადოებას შესაძლებლობას აძლევს სიღრმისეულად გაეცნოს ბოლო პერიოდის საქართველოს პოლიტიკური ისტორიის დეტალებს, რომლის ცენტრში იდგნენ ზვიად გამსახურდია და ედუარდ-გიორგი შევარდნაძე.

ავტორი წარმოაჩენს ნიჭიერი და ვერაგი, ავანტიურისად ცნობილი, მოღვაწის **ედუარდ-გიორგი შევარდნაძის** მრავალსახოვნებას; ანალიზდება ქართული და მსოფლიო **„შევარდნაძემცოდნეობის“** მითიურობა და ნამდვილობა, პოლიტიკური შადიმანობა, „იუდას ჟამობა“, შევარდნაძისათვის ეროვნული მოძრაობისა და ზვიად გამსახურდიას პიროვნული მიუღებლობა, ქართული ტერიტორიების დაკარგვის ავტორობა და ა.შ.

19 თავად წარმოდგენილ ნაშრომში მოცემულია ედუარდ-გიორგი შევარდნაძის პარალელური ბიოგრაფიები, გონების მოქცევა (თბილისი, მოსკოვი, ვაშინგტონი, თბილისი), შევარდნაძე ვლადიმერ ალფენიძის, გ. ბარამიძის, ი. ბრაჭულის, თ. ფიფიას, ალ. ალფენიძის, ივ. თვალავაძის და ა.შ. განზომილებებში დახასიათებულია, როგორც ზ. გამსახურდიას დამხობისა და ფიზიკურად განადგურების ორგანიზატორი; აფხაზეთსა და სამეგრელოში ნეგატიური პოლიტიკის დამამკვიდრებელი; მოცემულია ზ. გამსახურდიას, ე. შევარდნაძის, მ. სააკაშვილის პოლიტიკური სახება, შევარდნაძის მემუარებიდან დანახული ქართული, რუსული და დასავლური პოლიტიკა; ხაზი ესმება უცხოელი და ქართველი ავტორების მოსაზრებებს ზ. გამსახურდიასა და ე. შევარდნაძის შესახებ (თ. გოლცი, მ. ალმონდი, ა. მანუჩარიანი, ა. ცინცაძე, ჯ. იოსელიანი, თ. ეპიტაშვილი, ჯ. პატიაშვილი. რ. ყურაშვილი, ნ. ლომოური, ვ. ძაბირაძე და სხვ.); განხილულია ეროვნული მოძრაობის ცნობილი წევრის, სტუ-ის

პროფესორის ეთერ მგალობლიშვილის წიგნი „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო – პოლიტიკური ორგანიზაცია“.

2011-2018 წლებში ეროვნული მოძრაობისა და ზვიად გამსახურდიას შესახებ მომზადდა და გამოიცა ს. საჯაიას, ნ. მგალობლიშვილის, ვ. ბახტაძის, თ, მჟავიას, თ. ხუბუას, გ. შარაძის, ჯ. გამახარიას, რ. ჩხეიძის, ვ. გურულის, ო. ჯანელიძის, ჯ. შონიას, ჰ. კუპრაშვილის, გ. კელენჯერიძის, ე. გვენეტაძის, ზ. კალანდიას, მ. ხოსიტაშვილის. ე. ჯგერენაიას, კ. კუდავას, ნ. ოდილავაძის, გ. კალანდიას, გ. გაჩეჩილაძის, ამ სტრიქონების ავტორის მონოგრაფიები, დისერტაციები, წიგნები, კრებულები, სტატიები, პროექტები და ა.შ.

1990 წლის ოქტომბერში ზვიად გამსახურდიამ საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ჯვარი აღმართა, დაიწყო ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის პროცესი, თუმცა გარეშე და შიგა მტრულმა ძალებმა, „თბილისის პუტჩის“ განხორციელებით შეძლეს შეეჩერებინათ ეროვნული ხელისუფლების მიერ დაგეგმილი მართებული, სოციალურ-ეკონომიკური კურსი („არც სოციალიზმი, არც კაპიტალიზმი“).

საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების შესწავლა მკვლევართა უფლებაცაა და მოვალეობაც, მაგრამ მათი ნაზრევის ობიექტურობის შეფასება მკითხველის გადასაწყვეტია, რადგან ისინი თანამედროვე პროცესების უშუალო მონაწილები არიან და კარგად აცნობიერებენ ისტორიას, პოლიტიკას ისტორიას, პოლიტიკას, ფაქტებს, მოსაზრებებს, ინფორმაციებს, დოკუმენტურ მასალებს, ვარაუდებს და ა.შ.

თუმცა ჩვენს მიერ მკითხველისთვის შეთავაზებული უახლესი ისტორია, იმ დიდი ტილოს მონახაზი და მცირე სურათია, რომელსაც ჯერ კიდევ არ შეშრობია 1991-1992 წლების სექტემბერ-იანვრის სახელმწიფო გადატრიალების უმძიმესი პერიპეტიების, საქართველო-აფხაზეთის ომის საშინელებების, შევარდნაძის მიერ სამეგრელოში ჩადენილი შემზარავი დანაშაულობების, ქვეყნის ტერიტორიების დაკარგვის, უმძიმესი სოციალური-ეკონომიკური მდგომარეობის, განათლებისა და მეცნიერების დაკნინების, დემოგრაფიული სურათის დამძიმების, დეგრადირების და ა.შ. კვალი.

IGOR KVESELAVA - *GTU, Professor*

Historiographical Outlines

Summary

The present work discusses the achievements of Georgian historical historiography of the 20th-21st centuries; it highlights the shortcomings that were associated with the requirements of Marxist-Leninist ideology, which limited the development of free scientific thought and complicated the creation of the history of historical science; moreover, researchers officially supporting the government's policy believed that the founder of the Communist Party - Lenin - was the golden key to the scientific research and deciphering of communist history. However, later, first in the "Ulelin" and then in the "Ustalin" period, criticism of Marxist-Leninist ideology began.

In Soviet Georgia, a true history of the country could not be created. Later, two historiographies were created - the "government" and the "opposition".

The work emphasizes that the creation of historical and political portraits in the country became more difficult, "seeing the present through the past" and "understanding the past by expanding the present", especially since, due to Stalin's decision, Georgia was subjected to new political repressions and "the so-called Mingrelian affair" in the post-war period. Immediately after Stalin's death, the Andropov-Kosygin platform was developed, which envisaged the creation of a "new Soviet Union", without Uzbekistan, Turkmenistan, Kyrgyzstan, Tajikistan, Moldova and Armenia.

Keywords: *history, historiography, politics, Georgia, Marxism, Leninism.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. იური კაჭარავა, „ქართული ისტორიოგრაფიის საკითხები“, თბ., 1962.
2. გურული ვ., გაზ. „საქართველო“, 1990 წლის 22 სექტემბერი.
3. კვესელავა ი., „საქართველოს ისტორიის ქრონიკები“, ტ. VI, „საქართველო და მსოფლიო უძველესი დროიდან XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისამდე“, თბ., 2018.
4. გაზეთი „დემოკრატი“, 1990 წლის მარტი.

ედიშერ გვენეტაძე
სტუ, პროფესორი

ფაშისტური გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციის საკითხისათვის

ნაშრომში საუბარია საფრანგეთის ქალაქ რეიმსში გამართულ ფაშისტური გერმანიის კაპიტულაციის ხელმოწერის აქტზე. მითითებულია, რომ 1945 წლის 7 მაისს ცენტრალური ევროპის დროით ქ. რეიმსში 2:34 საათზე დაიწყო ხელმოწერის პროცედურა. დამთავრდა 2: 41 სთ. მაგრამ სტალინმა მოითხოვა კაპიტულაციას ხელი მოწეროდა ომის წამოწყების ადგილას ბერლინში. მეორე დღეს 8 მაისს მოკავშირეები და გერმანიის სრულუფლებიანი წარმომადგენლები ჩავიდნენ ბერლინის აღმოსავლეთ ნაწილში, კარლსჰორსტში, სადაც გერმანული სამხედრო საინჟინრო სკოლის ოფიცერთა კლუბის ორსართულიან შენობაში, სადაც მომზადდა დარბაზი აქტის ხელმოწერის ცერემონიისთვის. მოსკოვის დროით ზუსტად 24 საათზე დარბაზში შევიდნენ მოკავშირეთა სარდლობის წარმომადგენლები. შეხვედრ6,0ა მარშალმა ჟუკოვმა გახსნა და შემდეგ გერმანიის წარმომადგენლების დარბაზში მიწვევა სთხოვა. მათ სთხოვეს, ცალკე მაგიდასთან დამსხდარიყვნენ, შესასვლელიდან არც თუ ისე შორს. გერმანელებს ჰკითხეს, წაიკითხეს თუ არა უსიტყვო კაპიტულაციის დოკუმენტი და ჰქონდათ თუ არა მასზე ხელმოწერის უფლება. კეიტელის დადებითი პასუხის შემდეგ, ჟუკოვის მოწვევით, ისინი მიუახლოვდნენ მაგიდას, რომელზეც მოკავშირეთა ძალების წარმომადგენლები და მათი მრჩევლები ისხდნენ. კეიტელმა უფლებამოსილება გადასცა ბაზაროვს. მას შემდეგ რაც დოკუმენტები თარჯიმნის ოფიცერმა შეამოწმა, ისინი ჟუკოვს გადასცეს. ამის შემდეგ გერმანელებმა ერთმანეთის მიყოლებით მოაწერეს ხელი სამხედრო კაპიტულაციის აქტს, შედგენილს სამ ეგზემპლარად, რუსულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე (სულ 9). დოკუმენტი ადგენდა, რომ მხოლოდ ინგლისური და რუსული ტექსტები იყო ავთენტური.

საკვანძო სიტყვები: *კაპიტულაცია, რეიმსი, საბჭოთა კავშირი, ინგლისი; აშშ; სტალინი, რუზველტი, ჩერჩილი, ფრიდებურგი.*

ომის დასასრულს ნაცისტური გერმანია თითქმის მთლიანად იზოლირებული აღმოჩნდა. მისი ერთადერთი რეალური მოკავშირე დარჩა იაპონია, რომელიც განაგრძობდა სამხედრო ოპერაციებს შორეულ აღმოსავლეთსა და წყნარ ოკეანეში. დიპლომატიური კავშირები, რომელსაც გერმანია ინარჩუნებდა რამდენიმე უცხოურ სახელმწიფოსთან, რომლებმაც ომში ნეიტრალიტეტი გამოაცხადეს, იყო წმინდა ფორმალური. იმ სახელმწიფოთა რიცხვმა, რომლებმაც ომი გამოუცხადეს გერმანიას 1945 წლის მარტში, ორმოცდაათს მიაღწია.

გააცნობიერეს რა ნაცისტური რეჟიმის ლიდერებმა ომის ბოლო ეტაპზე მათი პოზიციის სირთულე და სიმძიმე, დაიწყეს დასავლეთთან სეპარატისტული ზავის დადების მცდელობები. არაერთი ასეთი ამაო ნაბიჯი გადადგეს გ. გერინგმა, გ. ჰიმლერმა, ი. რიბენტროპმა და ა. ჰიტლერის სხვა ახლო თანამოაზრეებმა. ისინი თავიანთ მთავარ იმედებს ამყარებდნენ საბჭოთა-ინგლისურ-ამერიკულ ურთიერთობებში არსებულ განსხვავებებისა და დაძაბულობის გამოყენების შესაძლებლობებზე.

ნაცისტებმა დასავლეთის ძალებთან სეპარატისტული შეთანხმების მიღწევა სცადეს 1945 წლის აპრილის ბოლოს. კერძოდ, ჰიტლერი წარუმატებლად ცდილობდა დაკავშირებოდა ევროპაში ბრიტანული არმიის ჯგუფის მეთაურს, ფელდმარშალ ბ. მონტგომერს. გერმანიასა და დიდ ბრიტანეთს შორის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული ცალკე შეთანხმების დადების მიზნით. ასევე ცნობილია, რომ რაიხსფიურერმა ჰიმლერმა ნაცისტური გერმანიის ბოლო დღეებში ფრანგ გენერალ შარლ დე გოლსაც კი მიმართა და შესთავაზა სეპარატისტული ალიანსი, როგორც ანგლოსაქსების, ასევე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. საბოლოოდ გაირკვა, რომ ჰიმლერთან პირდა-

პირი მოლაპარაკების დაწყებას არავინ არ თვლიდა შესაძლებლად. 1945 წლის 25 აპრილს, ბრიტანეთის პრემიერ მინისტრმა უ. ჩერჩილმა წერილობით მიმართა ი. სტალინს მოლაპარაკებებთან დაკავშირებით – „სხვა არაფერზე არ შეიძლება იყოს საუბარი გარდა სამი მთავარი სახელმწიფოს წინაშე უსიტყვო კაპიტულაციისა“. იმავე დღეს სტალინმა უპასუხა ჩერჩილს: „ვთვლი თქვენს წინადადებას, წარუდგინო ჰიმლერს მოთხოვნა უპირობოდ დანებება ყველა ფრონტზე, მათ შორის საბჭოთა ფრონტზე, ერთადერთ სწორად... გთხოვ, იმოქმედო შენი სულისკვეთებით. წითელი არმია ზეწოლას მოახდენს ბერლინზე ჩვენი საერთო საქმის ინტერესებიდან გამომდინარე“.

1945 წლის 30 აპრილს, ბერლინის გარეუბანში იმპერიის კანცელარიის თავშესაფარში, ჰიტლერმა თავი მოიკლა. მან თავის მემკვიდრედ დანიშნა საზღვაო ძალების მთავარსარდალი, გროს-ადმირალი კ. დენიცი, რომელმაც შექმნა „ახალი მთავრობა“. მალევე, დენიცის წარმომადგენლებმა, გერმანიის საზღვაო ძალების ახალი მთავარსარდლის, ადმირალ გენერალ გ. ი. ფონ ფრიდებურგის ხელმძღვანელობით, დაამყარეს კონტაქტი მონტგომერთან. მონტგომერი მოითხოვდა გერმანიის ჯარების კაპიტულაციას და ჩრდილოეთ გერმანიაში, ჰოლანდიასა და დანიაში ყოველგვარი წინაპირობის გარეშე დანებებას. 1945 წლის 4 მაისს ლუნებურგში, სადაც მდებარეობდა ბრიტანეთის შტაბ-ბინა ფრიდებურგმა ხელი მოაწერა გერმანიის ჩრდილო-დასავლეთის ფრონტის ჯარების კაპიტულაციის აქტს.

მეორე დღეს ფრიდებურგი და მისი თანმხლები პოლკოვნიკი პოლეკი, მოლაპარაკებებისთვის გადაიყვანეს საფრანგეთის ქალაქ რეიმსში, ევროპაში მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი მეთაურის დ. ეიზენჰაუერის შტაბში.

აღსანიშნავია, რომ თავად ეიზენჰაუერი არ მონაწილეობდა მოლაპარაკებებში. მას ხელმძღვანელობდა მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების შტაბის უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი უ. სმიტი. პირველი საუბრისას გაირკვა, რომ ფრიდებურგს არ გააჩნდა დენიცის უფლებამოსილება ყველა სახეობის ჯარების კაპიტულაციაზე. მარტივად რომ ვთქვათ, გერმანელებმა შესთავაზეს სეპარატისტული ზავის დადება დასავლურ ძალებს. ამაზე გენერალმა სმიტმა უპასუხა, რომ დასავლელი მოკავშირეები მზად იყვნენ განეხილათ დასავლეთის ფრონტზე გერმანიის კაპიტულაციის საკითხი მოკავშირე რუსებთან ერთად. ფრიდებურგს შესთავაზეს სამხედრო კაპიტულაციის აქტის პროექტი.

სმიტის ფრიდებურგთან პირველი კონტაქტის შედეგების მოხსენების მოსმენის შემდეგ ეიზენჰაუერმა ერთდროულად გაუგზავნა შემდეგი შინაარსის დეპეშა ვაშინგტონს, მოსკოვსა და ლონდონს: „ადმირალ ფრიდებურგს აქვს უფლებამოსილება ჩააბაროს მხოლოდ დასავლეთის ფრონტზე არსებული გერმანული არმიის ნარჩენები.

იმის გამო, რომ ადმირალი მზად იყო თუ მას ამის უფლებამოსილება ექნებოდა განეხილა სრული კაპიტულაციის საკითხი, მოკავშირეების მიერ ამ შეზღუდული წინადადების განხილვა უარყოფილი იქნა. ფრიდებურგს შესთავაზეს აეღო ამის შესახებ ნებართვა გერმანიის მთავრობისგან“.

თავის მხრივ, ფრიდებურგმა გაუგზავნა შეტყობინება დენიცს და სთხოვა, მიეცა მისთვის უფლებამოსილება ეწარმოებინა მოლაპარაკები სრულ კაპიტულაციაზე ან გამოეგზავნა ვინმე, ვისაც ამის უფლება ექნებოდა. საკითხის ასეთი ფორმულირება ფაქტობრივად ნიშნავდა, რომ არ მოხდებოდა გერმანული ჯარების რეალური კაპიტულაცია საბჭოთა სარდლობის წინაშე და რომ ეიზენჰაუერი, მიუხედავად იმისა, რომ მან უარყო სეპარატისტული კაპიტულაცია, ფაქტობრივად მზად იყო მიეღო გერმანიის შეიარაღებული ძალების, როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის კაპიტულაცია. ეიზენჰაუერის ეს პოზიცია დენიცისთვის, ნიშნავდა, რომ გერმანელების სურვილმა შეეწყვიტათ ომი ინგლისელებთან და ამერიკელებთან, რათა გაეგრძელებინათ იგი რუსების წინააღმდეგ, განიცადა სრული კრახი.

მეორე დღეს სმიტმა ეიზენჰაუერის მოლაპარაკებებზე, ინფორმაცია გადასცა რეიმსში მიწვეულ წითელი არმიის წარმომადგენლებს – საფრანგეთში საბჭოთა მისიის ხელმძღვანელს, გენერალ-მაიორ ი. სუსლოპაროვს, მის თანმხლებ პოლკოვნიკ ი. ზენკოვიჩს და მთარგმნელ ლეიტენანტ ი. ჩერნიაევს.

მოლაპარაკებების გასაგრძელებლად დენიცის მიერ გაგზავნილი გენერალ-პოლკოვნიკი ა. ჯოდლი აშშ-ს თვითმფრინავით ჩავიდა რეიმსში, იმ იმედით, რომ თავიდან აიცილებდა აღმოსავლეთში კაპიტულაციას და სთხოვა გადაედო კაპიტულაციის ხელმოწერა ოთხი დღით, რისთვისაც სმიტი მზად იყო. სმიტმა ეს ეიზენჰაუერს შეატყობინა. გერმანელებთან სა-

უბრის შედეგები საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებს აცნობეს.

აქ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ნაცისტები ღიად ატარებდნენ „ნაწილობრივი დანებების“ პოლიტიკას. ამ პოლიტიკის ლოგიკა და, მით უმეტეს, ფსონები მარტივი იყო: თუ ანტიჰიტლერულ კოალიციაში მოკავშირეებს შორის განხეთქილება არ მოხდებოდა, მას უბრალოდ უნდა დალოდებოდნენ. ნაცისტთა ტაქტიკა ასეთი იყო გავწელოთ დრო და, შესაბამისად, განვაგრძოთ ომი. ასეთი პოლიტიკის არჩევანი მოხდა 1945 წლის 2 მაისს, როდესაც ჰიტლერი, ბორმანი, გებელსი უკვე გარდაცვლილები იყვნენ. გერმანიის ახალმა პრეზიდენტმა, ადმირალმა კ. დენიცმა შეხვედრა გამართა ფლენსბურგში თავის რეზიდენციაში, სადაც გადაწყდა კაპიტულაცია ინგლისელებისა და ამერიკელების წინაშე. ხოლო იმავდროულად ბრძოლის გაგრძელება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. თუმცა, სულ რაღაც ერთი დღის შემდეგ, ნაცისტებმა გააცნობიერეს, რომ ამერიკელები და ბრიტანელები არ დათანხმდებოდნენ კაპიტულაციას მხოლოდ მთელ დასავლეთ ფრონტზე. სწორედ ამიტომ გადაწყვიტა დენიცის მთავრობამ „ნაწილ-ნაწილ დანებება“.

4 მაისს გერმანიის საზღვაო ძალების მთავარსარდალმა, ადმირალმა ფრიდებურგმა ბრიტანელ ფელდმარშალ მონტგომერის წინაშე ხელი მოაწერა კაპიტულაციას ჰოლანდიაში, დანიაში, შლეზვიგ-ჰოლშტაინში და ჩრდილო-დასავლეთ გერმანიაში მყოფ ჯარებზე. 5 მაისს გენერალმა შულცმა ბავარიასა და დასავლეთ ავსტრიაში თავისი არმიის ჯგუფი ამერიკელ გენერალ დეევერეს „ჩააბარა“, ხოლო გენერალმა ბრანდენბერგერმა კაპიტულაცია მოახდინა ტიროლში. სამხრეთში ჯერ კიდევ რჩებოდა მნიშვნელოვანი ძალა – არმიის ჯგუფ „ავსტრია“ სახით. 5 მაისს ფრიდებურგი ჩავიდა საფრანგეთის ჩრდილო-დასავლეთში მდებარე ქალაქ რეიმსში, სადაც მდებარეობდა მოკავშირეთა ძალების მეთაურის, არმიის გენერალ დუაიტ ეიზენჰაუერის (აშშ) შტაბი, რათა ეს სამხრეთი ჯგუფი ინგლისისა და ამერიკელებისათვის გადაეცა. ეიზენჰაუერი გერმანელ მაღალჩინოსანს ყველა ფრონტზე მხოლოდ უპირობო კაპიტულაციაზე თანხმდებოდა. მიუხედავად ამისა, დენიცი, მაინც არ კარგავდა იმედს. მეორე დღეს – 6 მაისს – მისი მომდევნო ემისარი, გენერალ-პოლკოვნიკი ალფრედ იოდლი, რეიმსში გაფრინდა ამერიკული თვითმფრინავით. მოლაპარაკებები იოდლსა და ეიზენჰაუერს შორის 6 მაისს შუადღისას დაიწყო და გვიან საღამომდე გაგრძელდა. ეიზენჰაუერის შტაბის უფროსი, გენერალი სმიტი, იოდლს უკიდურესად აქტიურად უჭერდა მხარს. როგორც ჩანს, ის ვიღაცის მითითებებს ასრულებდა, მაგრამ ვის დღემდე ეს გაურკვეველი დარჩა. ამბობენ, რომ მთავარ საკითხებში ეიზენჰაუერი ურყევი დარჩა. ის მოწინააღმდეგისაგან მხოლოდ უპირობო კაპიტულაციას ითხოვდა. საბოლოოდ მიიღეს გადაწყვეტილება-8 მაისს 23:00 საათიდან ფრონტებზე ყველა საომარი მოქმედებები უნდა შეწყვეტილიყო.

ამ პირობებში, იოდლი იძულებული გახდა კვლავ დაკავშირებოდა დენიცს და ეთხოვა თანხმობა კაპიტულაციის აქტის საბოლოო ხელმოწერაზე. ასეთი თანხმობა მიღებული იქნა. თუმცა, დენიცის მიერ იოდლისთვის მიცემულ უფლებამოსილებაში, ფორმულირება დარჩა „გენერალ ეიზენჰაუერის წარმომადგენლობასთან ზავის შეთანხმების დადება“. ხელმოწერის ცერემონიისთვის მზადება დაიწყო. გადაწყდა მისი გამართვა ეიზენჰაუერის შტაბინის „რუკების ოთახში“, რომელიც ტექნიკური კოლეჯის შენობაში იყო განთავსებული. მასში 1945 წლის 7 მაისს ცენტრალური ევროპის დროით 2:34 საათზე დაიწყო ხელმოწერის პროცედურა. დიდი მაგიდის ერთ მხარეს, კედლებზე ჩამოკიდებულ რუკებს შორის იჯდა მოკავშირეთა ძალების შეიარაღებული ძალების ათი წარმომადგენელი. ამერიკიდან –გენერალი უ. სმიტი, გენერალი კ. სპაატსი და გენერალ-მაიორი რ. ბული; სსრკ-დან – გენერალ-მაიორი ი. სუსლოპაროვი და პოლკოვნიკი ი. ზენკოვიჩი; დიდი ბრიტანეთიდან – ადმირალი გ. ბეროუ, გენერალ-ლეიტენანტი ფ. მორგანი, გენერალ-მაიორი კ. სტრონგი; საფრანგეთიდან – გენერალ-მაიორი ფ. სევეზი. შემდეგ მიიწვიეს სამი უფლებამოსილი გერმანელი, რომლებმაც დაიკავეს ადგილები მაგიდის მეორე მხარეს. ესენი იყვნენ: გენერალ-პოლკოვნიკი ა. იოდლი, გენერალ-ადმირალი გ. ფონ ბრანდებურგი და გენერალ-მაიორი ფ. ოქსენიუსი.

სამხედრო კაპიტულაციის აქტი

რეიმსი 1945 წლის 7 მაისი მხოლოდ ეს ტექსტი ინგლისურად არის ავთენტური.

1. ჩვენ, ქვემორე ხელმომწერები, ვმოქმედებთ გერმანიის სარდლობის სახელით, ვეთანხმებით მოკავშირეთა ექსპედიციის უმაღლესი სარდლობას და, ამავე დროს, საბჭოთა

უმაღლესი სარდლობას ჩვენი შეიარაღებული ძალების უსიტყვო კაპიტულაციას ხმელეთზე, ზღვაზე და ჰაერზე, ასევე ყველა ძალის, რომელიც ამჟამად გერმანიის სარდლობის ქვეშ იმყოფება;

2. გერმანიის უმაღლესი სარდლობა დაუყოვნებლივ გასცემს ბრძანებას სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ძალების ყველა გერმანელ მეთაურს და გერმანიის მეთაურობის ყველა ძალების მიმართ, შეწყვიტონ საომარი მოქმედებები 8 მაისს ცენტრალური ევროპის დროით 23.01 საათზე და დარჩნენ თავიანთ ადგილებში, სადაც იმ დროს იმყოფებოდნენ. არ გაანადგუროთ და არ დააზიანოთ გემები და თვითმფრინავები, მათი ძრავები, კორპუსები და აღჭურვილობა;

3. გერმანიის უმაღლესი სარდლობა დაუყოვნებლივ გამოყოფს შესაბამის მეთაურებს და უზრუნველყოფს მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობისა და საბჭოთა კავშირის უმაღლესი სარდლობის ყველა შემდგომი ბრძანების შესრულებას.

4. ეს აქტი არ იქნება შემაფერხებელი ცვლილებებისა კაპიტულაციის სხვა გენერალურ დოკუმენტების, რომელიც დადებულია გაერთიანებული ერების ან მისი სახელით, რომელიც ეხება გერმანიას და ზოგადად გერმანიის შეიარაღებულ ძალებს;

5. იმ შემთხვევაში, თუ გერმანიის უმაღლესი სარდლობა ან მის მეთაურობით მყოფი შეიარაღებული ძალები არ იმოქმედებენ კაპიტულაციის ამ ინსტრუმენტის შესაბამისად, მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობა და საბჭოთა კავშირის უმაღლესი სარდლობა მიიღებენ ისეთ სადამსჯელო ზომებს ან სხვა ქმედებებს, როგორსაც ისინი საჭიროდ მიიჩნევენ.

ხელმოწერილია რეიმსში (საფრანგეთი) 2 საათზე. 41 წთ. 1945 წლის 7 მაისი

გერმანიის სახელით
უმაღლესი სარდლობა იოდლი
თანდასწრებით:
უფლებამოსილი
მოკავშირეთა საექსპედიციო ძალები
უმაღლესი სარდალობის უფლებამოსილი
უ. სმიტი;
უფლებამოსილი
საბჭოთა კავშირის უმაღლესი
მთავარსარდლობის
ი. სუსლოპაროვი
საფრანგეთის არმიის
გენერალ-მაიორი
(მოწმის სახით) ფ.სევეზი.“[1-8]

გერმანიის წარმომადგენლების ვალდებულება მოკავშირეთა უმაღლესი სარდლობის წინაშე

შეთანხმებულია გერმანიის წარმომადგენლობის ქვემორე ხელმომწერებთან, რომ შემდეგი გერმანელი სამხედრო მოსამსახურეები ჩამოვლენ შესაბამისი უფლებამოსილებით მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლისა და საბჭოთა კავშირის უმაღლესი სარდლობის მიერ მითითებულ დროსა და ადგილზე, რათა განახორციელონ ოფიციალური რატიფიკაცია. გერმანიის უმაღლესი სარდლობა გერმანიის შეიარაღებული ძალების ამ აქტის უსიტყვო კაპიტულაციის შესახებ.

უმაღლესი მთავარსარდალი
სახმელეთო ჯარების მთავარსარდალი
საზღვაო ძალების მთავარსარდალი
საჰაერო ძალების მთავარსარდალი.
ხელს აწერს იოდლი, რომელიც
წარმოადგენს გერმანიის უმაღლესი
სარდლობას.
2 საათი 41 წუთი 1945 წლის 7 მაისი
რეიმსი, საფრანგეთი“. [1-30]

სმიტისგან ოფიციალური კითხვის შემდეგ, გერმანული მხარის მზადყოფნაზე ხელი მოაწერონ დოკუმენტებს ოდლმა, თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. ხელი მოაწერა გერმანიის უმაღლესი სარდლობის სახელით სამხედრო კაპიტულაციის აქტის ერთადერთ ასლს (ინგლისურად) პირველ გვერდზე, რომლის ტექსტის ზევით ეწერა: „ეს ტექსტი მხოლოდ ინგლისურ ენაზეა ავთენტური“.

კოალიციის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებმა ხელმოწერით დაადასტურეს, რომ აქტს ხელი მათი თანდასწრებით მოეწერა. დოკუმენტს ხელი მოაწერეს: მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლის სახელით სმიტმა, საბჭოთა უმაღლესი სარდლობის სახელით სუსლოპაროვმა, რომელმაც ხელი მოაწერა ლათინური ასოებით. როგორც მოწმემ, საფრანგეთის არმიის სახელით სევეზმა [2-485-490].

ხელმოწერის შემდეგ, იოდლმა ითხოვა სიტყვა და ნებართვის მიღების შემდეგ განაცხადა: „გენერალო, ამ ხელმოწერით გერმანელი

ხალხი და გერმანიის შეიარაღებული ძალები მთლიანად თქვენს გულმოწყალებაზე არიან... ამ ომში, რომელიც ხუთ წელზე მეტხანს გაგრძელდა, გერმანელი ხალხი და მათი შეიარაღებული ძალები დაზარალდნენ ალბათ, იმაზე მეტად, ვიდრე მსოფლიოს ნებისმიერ სხვა ერები. ამ დროს მხოლოდ იმის იმედი შემიძლია გამოვხატო, რომ გამარჯვებული მათ გულმოწყალებით მოექცევა“ [ხელმოწერის ყველა დოკუმენტი ინახება აშშ ნაციონალურ არქივში].

იოდლის სიტყვებს რეაგირება არ მოჰყოლია. მთელი პროცედურა 7 წუთი გაგრძელდა. ამის შემდეგ იოდლი, ფრიდებურგი და ოქსენიუსი გადაიყვანეს სხვა შენობაში, რომელშიც იყო ეიზენჰაუერის რეზიდენცია, სადაც მათ ამერიკელი გენერალი პირველად ნახეს. საუბარი სულ ორ წუთს გაგრძელდა.

ეიზენჰაუერის კითხვაზე, ხვდებოდნენ თუ არა გერმანელი უფლებამოსილი პირები მათ მიერ ხელმოწერილი აქტის სრულ მნიშვნელობას და დაცული იქნებოდა თუ არა ჩაბარების პირობები, დადებითი პასუხი გაეცა.

ეიზენჰაუერი შემდეგ ესაუბრა თავის შტაბის ოფიცრებს, ასევე საბჭოთა წარმომადგენლებს. 1945 წლის 7 მაისის დილით, მოკავშირეთა უმაღლესი საექსპედიციო ძალების შტაბმა გამოაქვეყნა კომუნიკე, რომელიც იწყებოდა შემდეგი სიტყვებით: „მოკავშირეები ოფიციალურად აცხადებენ გერმანიის კაპიტულაციას. ხელმოწერა შედგა რეიმსში, ეიზენჰაუერის შტაბ-ბინაში...“ ამავე დროს, ეიზენჰაუერმა გაუგზავნა დეპეშა ყველა დაქვემდებარებულ შტაბს წარწერით „სასწრაფო“, რომელშიც ეწერა: „მოკავშირეთა ძალების მისია დასრულდა 1945 წლის 7 მაისს ქ. 2:41 სთ. ადგილობრივი დროით“.

საინტერესოა გენერალ-მაიორის სუსლოპაროვის მონაწილეობის ისტორია ქ. რეიმსში გერმანიის ჩაბარების აქტის ხელმოწერაში.

როდესაც ეიზენჰაუერმა გადაწყვიტა ხელი მოეწერა სამხედრო ჩაბარების აქტს, მთავარი კითხვა არ იყო გადაწყვეტილი: როგორ მოვექცეთ რუსებს? საბჭოთა სარდლობის უახლოესი უფლებამოსილი წარმომადგენელი იმ დროს იყო პარიზში, რეიმსიდან 125 კილომეტრში. დენიცი ამასობაში სასოწარკვეთილი აჩქარებდა იოდლს, რაც შეიძლება მალე მოეწერა ხელი დოკუმენტზე, რათა ფორმალურად მაინც მომხდარიყო კაპიტულაცია რუსების გარეშე. ეიზენჰაუერი დაუკავშირდა მონტგომერს. მან მაშინვე უპასუხა: მოაწერეთ ხელი. რაც შეეხება რუსებს? – დაუყოვნებლივ გააგებინე მათ – უპასუხა ფელდმარშალმა. საბჭოთა წარმომადგენელი, რომელიც „ინფორმირებული იყო“ იყო საბჭოთა სამხედრო მისიის უფროსი დასავლეთის მოკავშირეთა შტაბში, რომლისთვისაც უნდა გაეგებინებინათ იყო გენერალ-ლეიტენანტი ივანე სუსლოპაროვი. მასთან ეიზენჰაუერის ადიუტანტი 6 მაისს საღამოს სარდლის დავალებით მასთან მივიდა და სთხოვა სასწრაფოდ მისულიყო მის შტაბში. სუსლოპაროვმა უმალ მოხსენება გაგზავნა მოსკოვში და გაფრინდა რეიმსში. დუაიტ ეიზენჰაუერმა იგი ხაზგასმული თავაზიანობით მიიღო. სადილზე დაპატიჟა. სანამ მაგიდასთან დაჯდებოდნენ, მან თქვა, რომ გენერალი იოდლი ახლა შტაბში იმყოფებოდა. ახლახან, დენიციდან წამოვიდა წინადადება ინგლის-ამერიკის ჯარებთან კაპიტულაციის.

- თქვენ მას შეხვდით? – დააზუსტა სუსლოპაროვმა.

- ჩვენ ვისაუბრეთ – მორიდებით გაიღიმა ეიზენჰაუერმა.

სუსლოპაროვი სიბრაზისაგან თავის თავს არ ეკუთვნოდა, მაგრამ თავს იკავებდა. გენერალს ყოველთვის ახსოვდა, თუ რა მისია ეკისრებოდა აქ. ნერვების ასეთი თამაში ახალი აღარ იყო. რამდენიმე დღის წინ, 29 აპრილს, იტალიაში არმიის „ც“ ჯგუფის მეთაური, გენერალ-პოლკოვნიკ ფიტინგოფ-შილს, სურდა წასულიყო კასერტაში, რათა ხელი მოეწერა თავისი ჯარების კაპიტულაციისათვის. მოგვიწია გამოგვევლინა ჩვენი ნება და ამ აქტის დამსწრედ ყოფილიყო საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი გენერალი კისლენკო.

„მაშ, კაპიტულაციას აცხადებენ თქვენთან, მაგრამ ჩვენთან...“ – არ დაასრულა სუსლოპაროვმა დიპლომატიურად.

„კარგი... განაგრძეთ ბრძოლა, რა თქმა უნდა“, – დაასრულა მისთვის ირონიულად ეიზენჰაუერმა. „მაგრამ ჩვენ ამას არ დავუშვებთ“, – დაუმატა მან მაშინვე. და რუსი მაგიდასთან მიიწვია. გამოცდილებამ და ინტუიციამ სუსლოპაროვს უთხრა, რომ ამ საუბრით საქმე არ დასრულდებოდა.

საღამოს სუსლოპაროვი ისევ მიიწვია ეიზენჰაუერმა. მისი თქმით, მოლაპარაკებების შემდეგ გერმანელები შესაბამის აქტს მოაწერდნენ ხელს და გადასცა დოკუმენტი. ხელმოწერა დაიგეგმა 1945 წლის 7 მაისს დილის 2:30 საათზე, ოპერატიული განყოფილების შენობაში.

სუსლოპაროვმა დოკუმენტის კითხვა დაიწყო. გერმანიის სარდლობა 9 მაისს 00:01 საათზე საომარი მოქმედებების შეწყვეტის შესახებ ბრძანებას გასცემდა. ყველა გერმანული ჯარი თავის პოზიციებზე უნდა დარჩენილიყო. აკრძალული იყო იარაღის მწყობრიდან გამოყვანა. მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების მთავარსარდლისა და საბჭოთა კავშირის უმაღლესი სარდლობის ყველა ბრძანების შესრულება გარანტირებული იყო... სუსლოპაროვმა კარგად იცოდა, რომ რა დოკუმენტისთვისაც არ უნდა მოეწერა ხელი აქ, რეიმსში, საბჭოთა-გერმანიის ფრონტზე ომი მაინც გაგრძელდებოდა. რადგან მას ჰქონდა ინფორმაცია, რომ დენიცი აპირებდა თავისი ჯარების გაყვანას სტუმართმოყვარე დასავლეთში. სუსლოპაროვმა ისიც იცოდა, რომ ჩერჩილი მთელი ძალით ცდილობდა ხელი შეეშალა დამარცხებული მტრის ტერიტორიაზე, ანუ ბერლინში აქტის ხელმოწერისათვის. მან უწყოდა ჩერჩილის საიდუმლო ბრძანების შესახებ გერმანული იარაღის შეგროვებისა და სამეთაურო პერსონალის შენარჩუნების შესახებ. მას ესმოდა, რომ დასავლეთი ჩქარობდა ამ კაპიტულაციის აქტს, რათა კიდევ ერთი თამაში დაეწყო საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. სუსლოპაროვმა სასწრაფოდ გაგზავნა დეპეშა კრემლში. მაგრამ დრო გადიოდაა და მოსკოვი დუმდა. ამასობაში სუსლოპაროვს კვლავ ეპატიჟებოდნენ ეიზენჰაუერთან, მას იწვევდნენ შტაბ-ბინაში აქტზე ხელმოწერისთვის. გენერალ სუსლოპაროვს კი რთული კითხვის წინაშე დადგა: მოეწერა ხელი თუ არა? თუ სტალინის თანხმობის გარეშე მოაწერ ხელს, მაშინ ეს... ზოგადად, წარმოუდგენელია! თუ ხელს არ მოაწერ, ეს ნიშნავს, რომ დაეხმარები ნაცისტური იდეის განხორციელებას, ცალკე სამყაროს შესახებ. მოკლედ, სუსლოპაროვმა ხელმოწერის ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო. 2 საათსა და 41 წუთზე ხელი მოაწერა კაპიტულაციის აქტს. თუმცა, სუსლოპაროვმა აქტზე გააკეთა უმნიშვნელოვანესი შენიშვნა, რომლის თანახმადაც „კაპიტულაციის აქტის ხელმოწერის ცერემონია კიდევ ერთხელ უნდა განმეორებულიყო, თუ ამას რომელიმე მოკავშირე სახელმწიფო მოითხოვდა“. სუსლოპაროვმა მოხსენება მაშინვე გაგზავნა მოსკოვში. და იქიდან მოვიდა დიდი ხნის ნანატრი გზავნილი – რეიმსში არანაირ კაპიტულაციებზე ხელმოწერა არ უნდა მოხდეს. საინტერესოა ის, რომ დღემდე გაურკვეველია, ვინ დააყოვნა მოსკოვის პასუხი.

სტალინმა, როგორც ცნობილია, ძალიან კატეგორიულად გამოხატა თავისი აზრი: „რეიმსში ხელმოწერილი ხელშეკრულება არ შეიძლება გაუქმდეს, მაგრამ არც უნდა მივიღოთ. კაპიტულაცია უნდა განხორციელდეს, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი ისტორიული აქტი და მიღებული იყოს არა გამარჯვებულთა ტერიტორიაზე, არამედ იქ, საიდანაც ფაშისტური აგრესია წამოვიდა – ბერლინში და არა ცალმხრივად, არამედ აუცილებლად ანტიჰიტლერული კოალიციის ყველა სამხედრო სარდლობის მონაწილეობით“. ეს იყო სამართლიანი და სწორი და მაშინ არავინ აბრუნებდა ენას მის გასაპროტესტებლად. 8 მაისს, ბერლინის გარეუბანში კარლსჰორსტში, მოკავშირე ქვეყნების უმაღლესი სარდლობის წარმომადგენლების მიერ რატიფიცირებული იქნა რეიმსის ოქმი გერმანიის უპირობო კაპიტულაციის შესახებ. უფრო მეტიც, საფრანგეთის წარმომადგენლები არ მიიწვიეს რეიმსში ხელმოწერისთვის, რითაც აღშფოთებული იყო ფრანგი მთავარსარდალი დელატრე დე ტასინი.

აი, როგორ აღწერს ამას თავის მოგონებებში წითელი არმიის გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი ს. შტემენკო. ის აღნიშნავს, რომ 6 მაისს ეიზენჰაუერის ადიუტანტი გაფრინდა სუსლოპაროვთან და გადასცა მთავარსარდლის მოწვევა სასწრაფოდ მისულიყო მის შტაბში. ეიზენჰაუერმა მიიღო საბჭოთა გენერალი თავის რეზიდენციაში და თქვა, რომ ჰიტლერის გენერალი იოდლი ჩამოვიდა ინგლის-ამერიკულ ჯარებთან კაპიტულაციისა და სსრკ-ს წინააღმდეგ ბრძოლის წინადადებით. სუსლოპაროვმა უპასუხა ანგლო-ამერიკული სარდლობის ხელმძღვანელს, რომ იყო ვალდებულებები, რომლებიც ერთობლივად მიიღეს ანტიჰიტლერის კოალიციის წევრებმა ყველა ფრონტზე მტრის უპირობო კაპიტულაციასთან დაკავშირებით, მათ შორის, რა თქმა უნდა, აღმოსავლეთის ფრონტზე. ეიზენჰაუერმა თქვა, რომ იოდლისგან გერმანიის სრულ კაპიტულაციას ითხოვდა და სხვა წინადადებას არ მიიღებდა. შემდეგ მთავარსარდალმა სთხოვა სუსლოპაროვს მოეხსენებინა მოსკოვისთვის კაპიტულაციის დოკუმენტის ტექსტი, იქ მიეღო თანხმობა და ხელი მოეწერა მისთვის საბჭოთა კავშირის სახელით.

სუსლოპაროვს ძალიან ცოტა დრო რჩებოდა თავისი მთავრობისგან მითითებების მისაღებად. მან მოსკოვში გაგზავნა დეპეშა კაპიტულაციის დოკუმენტზე მოახლოებული ხელმო-

წერის შესახებ და ითხოვა ინსტრუქციები. რამდენიმე საათი გავიდა მანამ, სანამ სუსლოპაროვის დეპეშა დანიშნულ დანიშნულებამდე მიიტანეს. რეიმსში შუაღამე იყო და ჩაბარების დრო დადგა. მოსკოვიდან არანაირი მითითება არ მოსულა. სუსლოპაროვმა გადაწყვიტა ხელი მოეწერა დოკუმენტისათვის.

ამავდროულად, შტემენკო წერს, რომ მან, რამაც საშუალებას მისცა საბჭოთა მთავრობას გავლენა მოეხდინა მოვლენების შემდგომ მიმდინარეობაზე, საჭიროების შემთხვევაში, შენიშვნა გააკეთა დოკუმენტზე. აქტში ნათქვამია, რომ „სამხედრო კაპიტულაციის ეს პროტოკოლი არ გამორიცხავს მომავალში გერმანიის სხვა, უფრო სრულყოფილი კაპიტულაციის აქტის ხელმოწერას, თუ ამის შესახებ რომელიმე მოკავშირე მთავრობა განაცხადებს“. შტემენკოს თქმით, ეიზენჰაუერი და სხვა ძალების წარმომადგენლები შტაბში დაეთანხმნენ სუსლოპაროვის ამ შენიშვნას დაეთანხმნენ. როგორც შტემენკო შემდგომში ყვება, ეიზენჰაუერმა მიულოცა სუსლოპაროვს აქტის ხელმოწერა. „ამ უკანასკნელმა თავისი მოხსენება მოსკოვში გაგზავნა. და იქიდან, ამასობაში, იყო კონტრ-გამგზავნი, რომელშიც მითითებული იყო: არ მოაწეროთ ხელი არანაირ დოკუმენტს!.. მხოლოდ ბერლინში, 9 მაისს, ჩაბარების აქტის ხელმოწერის პროცედურის შემდეგ სუსლოპაროვმა შეიტყო, სტალინმა პირადად უთხრა ვიშინსკის. რომ მას არ ჰქონდა პრეტენზია რეიმსში გენერლის ქმედებებზე“ [3-424-426, 436].

აღსანიშნავია რეიმსში ხელმოწერილი კაპიტულაციის აქტის ტექსტის ისტორია. პრინციპში, კაპიტულაციის დოკუმენტს არანაირი პრობლემა არ უნდა ჰქონოდა. ყველაფერი დიდი ხნის წინ იყო შეთანხმებული მოკავშირეებს შორის. დოკუმენტი შეიმუშავა და შეთანხმდა ევროპის სამმხრივი საკონსულტაციო კომისიის (EKK) მიერ, რომელიც შეიკრიბა ლონდონში, შემდეგ კი ხელი მოაწერეს წევრებმა 1944 წლის 25 ივლისს. დოკუმენტი სახელწოდებით „გერმანიის უსიტყვო კაპიტულაცია“ შესწორების გარეშე დაამტკიცა აშშ-ს მთავრობამ 1944 წლის 9 აგვისტოს, სსრკ-ს მთავრობამ 1944 წლის 21 აგვისტოს და ბრიტანეთის მთავრობამ 1944 წლის 21 სექტემბერს. ამ დოკუმენტის პირობების მიხედვით, გერმანიის კაპიტულაცია უნდა ყოფილიყო უსიტყვო და აღმოსავლეთისა და დასავლეთის ყველა ფრონტზე ერთდროული. გერმანიის არმიები ადგილზე უნდა დარჩენილიყვნენ და იარაღი დაეყარათ მოწინააღმდეგის წინაშე. „დიდი სამეული“-ს ყირიმის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომ საფრანგეთი გერმანიის ტერიტორიის საოკუპაციო ძალებს შორის შევიდეს EKK -ის ფარგლებში ხელი მოეწერა 1945 წლის 1 მაისს.

ამრიგად, დოკუმენტი ცვლილებებით გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციის შესახებ, გაფორმებული იყო 1944 წლის 25 ივლისიდან.

ყველა ცვლილება შეადგენდა მხოლოდ ტექსტში სიტყვების „საფრანგეთის რესპუბლიკის“ და ამ სიტყვების შესაბამისი ეკვივალენტების შესაბამის ადგილებში ჩართვას (აღსანიშნავია ის, რომ აგრესორი ქვეყნების უპირობო კაპიტულაციის პრინციპი წამოაყენა პრეზიდენტმა ფ. რუზველტმა 1943 წლის იანვარში. ის შემდეგ დაფიქსირდა 1943 წლის ოქტომბერში მოსკოვში სსრკ-ს, აშშ-ის და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრების საყოველთაო უშიშროების დეკლარაციაში გამართულ კონფერენციაზე). ეს შეთანხმება დაამტკიცა ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებმა 1945 წლის 15 მაისს გერმანიის კაპიტულაციის აქტების ხელმოწერის შემდეგ. სსრკ-სა და აშშ-ს მთავრობებს თვლიდნენ, რომ ამ შეთანხმების სპეციალური დამტკიცება საჭირო არ იყო, რადგან ეს გათვალისწინებული იყო ყირიმის კონფერენციის გადაწყვეტილებით [4-22, 26-32, 34-37].

ამგვარად, როდესაც გერმანულმა სარდლობამ იკითხა იარაღის დაყრის შესაძლებლობის შესახებ, ამის შესახებ ერთადერთი ოფიციალური 1944 წლის 25 ივლისით დათარიღებული დოკუმენტი იყო. სწორედ ამ კონკრეტული დოკუმენტის ტექსტი გაიგზავნა რეიმსში ეიზენჰაუერის შტაბ-ბინაში 1945 წლის მარტში. თუმცა, 7 მაისს რეიმსში ხელმოწერილი სამხედრო კაპიტულაციის აქტი არ იყო შეთანხმებული დოკუმენტი, რომელიც EKK-მ შეიმუშავა. ეს დოკუმენტი რეიმსში სხვამ ჩაანაცვლა და მას 1944 წლის 25 ივლისის დოკუმენტთან საერთო არაფერი ჰქონდა [5-22, 26-32, 34-37].

EKK-ის მიერ შემუშავებული დოკუმენტში იყო თოთხმეტი მკაფიოდ ჩამოყალიბებული მუხლის ვრცელი ტექსტი, რომელშიც გარდა სამხედრო პირობებისა, ასევე ნათქვამია, რომ სსრკ-ს, აშშ-ს და ინგლისს „უმაღლესი ძალაუფლება ექნებათ გერმანიასთან მიმართებაში“ და წამოაყენებენ დამატებით პოლიტიკურ, ადმინისტრაციულ, ეკონომიკურ, ფინანსურ, სამხედრო და სხვა მოთხოვნებს. ამის საპირისპი-

როდ, რეიმსში ხელმოწერილი ტექსტი იყო მოკლე და შეიცავდა მხოლოდ ხუთ სტატიას. მას ერქვა „სამხედრო კაპიტულაციის აქტი“ და ეხებოდა ექსკლუზიურად ბრძოლის ველზე გერმანული ჯარების კაპიტულაციის საკითხს.

რეიმსში კაპიტულაციის აქტის ხელმოწერისთანავე, სტალინმა დაურეკა ბერლინში მარშალ გ. ჟუკოვს და უთხრა, რომ ის არ დათანხმებოდა, რომ აქტზე ხელი არ ყოფილიყო მოწერილი ბერლინში. სტალინმა ასევე აღნიშნა, რომ საბჭოთა ხალხმა და არა მოკავშირეებმა გადაიტანეს ომის მთავარი ტვირთი მხრებზე, ამიტომ კაპიტულაციას ხელი უნდა მოეწეროს ანტიჰიტლერული კოალიციის ყველა ქვეყნის უმაღლესი სარდლობის წინაშე და არა მხოლოდ მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის წინაშე.

თუმცა, რეიმსში ჩაბარების აქტის ხელმოწერამ თავის როლი მაინც ითამაშა. საჭირო იყო ამ მდგომარეობიდან გამოსვლა.

7 მაისს სტალინმა და წითელი არმიის გენერალური შტაბის უფროსმა, არმიის გენერალმა ანტონოვმა, ხელი მოაწერეს ჟუკოვისადმი მიმართულ ბრძანებას: „უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკი უფლებას გაძლევთ მოახდინოთ გერმანიის შეიარაღებული ძალების უსიტყვო კაპიტულაციის ოქმის რატიფიცირება.“. 8 მაისს დილით, სსრკ საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ა. ვიშინსკი ხუთკაციან ჯგუფთან ერთად გაგზავნეს ბერლინში. სახელდობრ, მასში შედიოდა ს. ბაზაროვი, რომელიც ასევე მონაწილეობდა გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციის შესახებ დოკუმენტის პროექტის მომზადებაში. მათ ჩაიტანეს საჭირო დოკუმენტაცია.

იმავე დღის ორ საათზე ბერლინში ჩავიდნენ მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის წარმომადგენლები: ბრიტანეთის საჰაერო ძალების მეთაური მარშალი ა. უ. ტედერი, აშშ-ის სტრატეგიული საჰაერო ძალების მეთაური, გენერალი კ. სპატსი და მოკავშირეთა საჰაერო-საზღვაო ძალების მეთაური ინგლისელი ადმირალი გ. ბეროუ. ერთი საათის შემდეგ ჩამოვიდა საფრანგეთის პირველი არმიის მთავარსარდალი გენერალი ჟ. დელატრ დე ტასინი. რაც შეეხება ეიზენჰაუერს, ის თავდაპირველად დათანხმდა 8 მაისს ბერლინში გაფრენას ჟუკოვის მიერ გამოცხადებულ ცერემონიალზე, მაგრამ დათქმა გააკეთა, რომ უამინდობის შემთხვევაში ის ბერლინში გაგზავნიდან მოსკოვში აშშ-ისა და ბრიტანეთის სამხედრო მისიების ხელმძღვანელებს. თუმცა, მისი შტაბის ზოგიერთი წევრის წინააღმდეგობის შემდეგ, რომელსაც შეუერთდა ჩერჩილი, ეიზენჰაუერმა მის ნაცვლად ბერლინში გაგზავნა თავისი მოადგილე, ბრიტანეთის საჰაერო მარშალი ტედერი. შემდეგ, ბრიტანელი ოფიცრების თანხლებით ბერლინში ჩავიდნენ რეიმსში დაკისრებული ვალდებულების გერმანელი უფლებამოსილი შესრულებლები. უმაღლესი სარდლობის შტაბის უფროსი ფელდმარშალი ვ. კაიტელი, ფლოტის გენერალი ადმირალი გ. ფონ ფრიდებურგი და ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკი გ. შტუმპფი. უმაღლესი მთავარსარდალი, რეიმსის ვალდებულების მიუხედავად, ბერლინში არ ჩავიდა. დენიცის მიერ ხელმოწერილ უფლებამოსილებაში ნათქვამია, რომ კეიტელს, ფრიდებურგს და შტუმპფს უფლება ჰქონდათ „მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი და საბჭოთა უმაღლესი სარდლობის წინაშე რატიფიცირება მოეხდინათ გერმანიის შეიარაღებული ძალების უსიტყვო კაპიტულაციის“.

ვერმახტის შტაბის უმაღლესი მთავარსარდალი, 1945 წლის 7 მაისი

ვაძლევ უფლებამოსილებას ვერმახტის უმაღლესი მთავარსარდლობის შტაბის უფროსს, ფელდმარშალ კაიტელს და იმავდროულად ადმირალ ფონ ფრიდებურგს, სამხედრო-საზღვაო ძალების მთავარსარდალ გენერალ პოლკოვნიკ შტუმპფს, რატიფიცირება მოახდინონ გერმანიის შეიარაღებული ძალების უსიტყვო კაპიტულაციისა მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი ხელმძღვანელობისა და საბჭოთა უმაღლესი სარდლობის წინაშე.

გროს ადმირალი დენიცი, დიდი ადმირალი“[6].

აეროდრომიდან მოკავშირეები და გერმანიის სრულუფლებიანი წარმომადგენლები ჩავიდნენ ბერლინის აღმოსავლეთ ნაწილში, კარლსჰორსტში, სადაც გერმანული სამხედრო საინჟინრო სკოლის ოფიცერთა კლუბის ორსართულიან შენობაში მოზადდა დარბაზი აქტის ხელმოწერის ცერემონიისთვის. კეიტელი და მისი გარემოცვა მეორე სართულის ერთ-ერთ ოთახში მოათავსეს. მოკავშირეთა ძალების სარდლობის წარმომადგენლები შეიკრიბნენ იმავე შენობაში, ჟუკოვის ოთახში, რათა განეხილათ ბრძანება და პროცედურა, რომელიც უნდა დაეცვათ კაპიტულაციის მიღებისას. განხილვას

საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა. მიღწეული იქნა საერთო შეთანხმება, რომ თავმჯდომარე იქნებოდა ჟუკოვი.

მოსკოვის დროით ზუსტად 24 საათზე დარბაზში შევიდნენ მოკავშირეთა სარდლობის წარმომადგენლები. შეხვედრა მარშალმა ჟუკოვმა გახსნა და შემდეგ გერმანიის წარმომადგენლების დარბაზში მიწვევა სთხოვა. მათ სთხოვეს, ცალკე მაგიდასთან დამსხდარიყვნენ, შესასვლელიდან არც თუ ისე შორს. გერმანელებს ჰკითხეს, წაიკითხეს თუ არა უსიტყვო კაპიტულაციის დოკუმენტი და ჰქონდათ თუ არა მასზე ხელმოწერის უფლება. კეიტელის დადებითი პასუხის შემდეგ, ჟუკოვის მოწვევით, ისინი მიუახლოვდნენ მაგიდას, რომელზეც მოკავშირეთა ძალების წარმომადგენლები და მათი მრჩევლები ისხდნენ. კეიტელმა უფლებამოსილება გადასცა ბაზაროვს. მას შემდეგ რაც დოკუმენტები თარჯიმნის ოფიცერმა შეამოწმა, ისინი ჟუკოვს გადასცეს.

ამის შემდეგ გერმანელებმა ერთმანეთის მიყოლებით მოაწერეს ხელი სამხედრო კაპიტულაციის აქტს, შედგენილს სამ ეგზემპლარად, რუსულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე (სულ 9). დოკუმენტი ადგენდა, რომ მხოლოდ ინგლისური და რუსული ტექსტები იყო ავთენტური.

EDISHER GVENETADZE - *GTU, Professor*

On the issue of the unconditional surrender of fascist Germany

Summary

The work is about the signing of the act of capitulation of fascist Germany held in the French city of Reims. It is indicated that on May 7, 1945, Central European time, the signing procedure began in Reims at 2:34 a.m. It ended at 2:41 a.m. But Stalin demanded that the capitulation be signed at the place where the war began, in Berlin. The next day, on May 8, the Allies and German plenipotentiaries arrived in the eastern part of Berlin, in Karlshorst, where a two-story building of the Officers' Club of the German Military Engineering School was prepared for the ceremony of signing the act. At exactly 24:00 Moscow time, representatives of the Allied command entered the hall. Marshal Zhukov opened the meeting and then asked to invite the German representatives to the hall. They were asked to sit at a separate table, not far from the entrance. The Germans were asked whether they had read the wordless capitulation document and whether they had the authority to sign it. After Keitel's positive answer, at Zhukov's invitation, they approached the table at which representatives of the Allied powers and their advisers were sitting. Keitel transferred the authority to Bazarov. After the documents were checked by the translation officer, they were handed over to Zhukov. After that, the Germans signed the act of military capitulation, drawn up in triplicate, in Russian, English and German (a total of 9). The document stipulated that only the English and Russian texts were authentic.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Germany Surrenders Unconditionally. Facsimiles of the documents. Washington,1945,
2. F. C. Pogue. United States Army in World War II. The European Theater of Operations. The Supreme Command. Washington, 1954.
3. Штеменко С. М. Генеральный штаб в годы войны. М., 1981.
4. МИД СССР. Отчет о работе Европейской консультативной комиссии. М., 1947.
5. МИД СССР. Отчет о работе Европейской консультативной комиссии. М., 1947. С. 22, 26–32, 34-37.
6. АВП РФ, ф. 3б, д. 355.

გრიგოლ ონიანი
სტუ, დოქტორანტი

პოსტსტალინური ეპოქა და სტალინის აქტუალობა

საბჭოთა კავშირის პოსტსტალინური ეპოქის ანალიზი ცენტრალურად უკავშირდება იოსებ სტალინის ისტორიულ ფიგურასა და მის მემკვიდრეობას. ხაზგასმულია 1930-იანი წლების ინდუსტრიალიზაცია და „ერთ ქვეყანაში სოციალიზმის“ მოდელი, რომელიც ავტორის მიხედვით, სამართლიანად უნდა ეწოდოს სტალინიზმს. განხილულია ლენინთან არსებული კონცეპტუალური განსხვავებები სახელმწიფო მოწყობის საკითხებზე, დესტალინიზაციის პროცესი (XX ყრილობა) და მისი გრძელვადიანი შედეგები. ავტორი აანალიზებს „მტრისგან სწავლის“ პრინციპს სტალინის რიტორიკაში და მას უპირისპირებს თანამედროვე პოლიტიკურ რეალობას, სადაც მისი აზრით, გარე ძალები და შიდა „ბანდიტური“ ელიტები განსაზღვრავენ მცირე ქვეყნების ბედს. ნაშრომი აერთიანებს ისტორიულ, პოლიტიკურ და იდეოლოგიურ განზომილებებს და ამტკიცებს სტალინის მემკვიდრეობის აქტუალობას დღევანდელი გეოპოლიტიკური პროცესების გააზრებისთვის.

საკვანძო სიტყვები: *სტალინი, საბჭოთა კავშირი, სოციალიზმი, ისტორიული ფიგურა*

XX საუკუნის ისტორიული განვითარების პერიოდიზაციის ფარგლებში მსოფლიო პროცესები ოთხ ძირითად – რევოლუციამდელ, რევოლუციის შემდგომ, მეორე მსოფლიო ომის და ომისშემდგომ – ეტაპად განვითარდა. რევოლუციამდელი ეპოქა ხასიათდება მრავალრიცხოვანი ისტორიოგრაფიული ინტერპრეტაციებით, სადაც ფაქტობრივი მასალის ანალიზთან ერთად ხშირად ვლინდება იდეოლოგიზებული შეფასებები [1].

რევოლუციის შემდგომი პერიოდი კი განისაზღვრება როგორც გლობალური სისტემური ტრანსფორმაციის ეტაპი, რომლის ფარგლებშიც ყალიბდება ორპოლუსიანი საერთაშორისო წესრიგი. აღნიშნულმა პროცესმა წარმოშვა იდეოლოგიურ-პოლიტიკური კონკურენცია, რომელმაც გავლენა მოახდინა მსოფლიო განვითარების პრაქტიკულად ყველა ძირითად სფეროზე, მათ შორის ეკონომიკაზე, განათლებაზე, სამხედრო სტრატეგიაზე, სპორტსა და კულტურაზე [2].

1931 წლის კომპარტიის XVII ყრილობაზე იოსებ სტალინის მიერ გამოთქმული დებულებები საბჭოთა კავშირის ეკონომიკური განვითარების შესახებ. კერძოდ, სტალინის სიტყვები იყო: „ჩვენ კაპიტალისტურ ქვეყნებს ასი წლით ჩამოვრჩებით და, თუ ეს ჩამორჩენა ათ წელიწადში არ დავძლიეთ და ვერ დავეწიეთ, ისინი ჩვენ გაგვსრესენ“. ეს მისი მხრიდან იყო კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან ტექნოლოგიური და ინდუსტრიული ჩამორჩენილობის აღიარება და მისი სწრაფი დაძლევის აუცილებლობის ხაზგასმა, რაც შემდგომში საბჭოთა ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის ერთ-ერთ საწყის პოლიტიკურ-იდეოლოგიურ ფორმულირებად იქნა მიჩნეული.

აღნიშნული განცხადება ასახავდა იმ პერიოდის საბჭოთა ხელმძღვანელობის სტრატეგიულ ხედვას, რომლის მიხედვითაც ქვეყნის გეოპოლიტიკური უსაფრთხოება პირდაპირ იყო დაკავშირებული ეკონომიკური მოდერნიზაციის დაჩქარებულ ტემპებთან.

1930-იანი წლების მეორე ნახევარში საბჭოთა კავშირის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისას უცხოელ ავტორთა ნაწილი ყურადღებას ამახვილებდა ინდუსტრიული განვითარების მასშტაბზე, ურბანიზაციის ზრდასა და წარმოების ორგანიზაციის ცვლილებებზე. ამ კონტექსტში გერმანელი მწერლის ლიონ ფოიხტვანგერის დაკვირვებები მოსკოვში ვიზიტისას ასახავს იმდროინდელი საბჭოთა ინდუსტრიული სისტემის გარკვეულ თავისებურებებს, რაც წარმოდგენილია მის ნაშრომში „მოსკოვი 1937“ [4].

1931-1941 წლები საბჭოთა ისტორიოგრაფიაში განიხილება როგორც ინტენსიური ინდუსტრიული ტრანსფორმაციისა და სახელმწიფოებრივი კონსოლიდაციის ეტაპი. ამ პერიოდში განხორციელდა მძიმე მრეწველობის, ენერგეტიკისა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტუ-

რის გაფართოება, პარალელურად კი მიმდინარეობდა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა და მექანიზაციის პროცესი [5].

აღნიშნული გარდაქმნები მიმდინარეობდა როგორც შიდა სოციალურ-პოლიტიკური წინააღმდეგობების, ისე საერთაშორისო უსაფრთხოების მზარდი გამოწვევების ფონზე.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებამ საბჭოთა კავშირი ჩააყენა მასშტაბური სამხედრო დაპირისპირების პირობებში, რომლის შედეგმაც მნიშვნელოვნად შეცვალა ევროპის პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურა. ომის მსვლელობისას და განსაკუთრებით მისი დასრულების შემდეგ ჩამოყალიბდა ახალი საერთაშორისო წესრიგი, რომელიც დაფუძნდა გამარჯვებული სახელმწიფოების გეოპოლიტიკურ გავლენაზე და ფორმალიზდა იალტისა და პოტსდამის კონფერენციების შეთანხმებებით [6].

ომის შემდგომი პერიოდი ხასიათდება საერთაშორისო ურთიერთობების სისტემური გარდაქმნით, რაც გამოიხატა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის პოლიტიკური და იდეოლოგიური დაპირისპირების გაღრმავებაში. ეს პროცესი, რომელიც შემდგომში ცივი ომის სახელით დამკვიდრდა, მოიცავდა როგორც სამხედრო-სტრატეგიულ, ისე ეკონომიკურ, დიპლომატიურ და იდეოლოგიურ კონკურენციას [2].

საბჭოთა კავშირის როლისა და სტალინის პერიოდის საგარეო პოლიტიკის შეფასებისას ისტორიოგრაფიაში ფართოდ გამოიყენება როგორც ოფიციალური დოკუმენტური მასალა, ისე საერთაშორისო ლიდერების მიმოწერა და კონფერენციების ოქმები, რომლებიც ასახავს იმ პერიოდის ძალთა ბალანსის ცვლილებებსა და გლობალური პოლიტიკური სისტემის ფორმირების პროცესს [7].

როგორც გოეთეს ეკუთვნის „ფაუსტი“, ისევეა სტალინის შემოქმედების ნაყოფი სოციალიზმი, რომელიც განხორციელდა ერთ ქვეყანაში და მას, ჩემი მოსაზრებით, სტალინიზმი უნდა ეწოდოს.

სოციალიზმის, როგორც სახელმწიფოებრივი სისტემის რეალიზებული მოდელის, ისტორიული ფორმირება XX საუკუნეში განუყოფლად უკავშირდება რუსეთის რევოლუციის შემდგომ განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებსა და განსაკუთრებით იმ ინსტიტუციურ კონსტრუქციას, რომელიც საბჭოთა კავშირში ჩამოყალიბდა. ამ თვალსაზრისით, საბჭოთა სოციალიზმი არ წარმოადგენს მხოლოდ თეორიული დოქტრინის პრაქტიკულ განხორციელებას, არამედ იგი განიხილება როგორც კონკრეტული ისტორიული ლიდერშიპის მიერ ჩამოყალიბებული სახელმწიფოებრივი მოდელი, რომლის ცენტრალიზაცია და სისტემური არქიტექტურა განსაკუთრებულად უკავშირდება იოსებ სტალინის ეპოქას.

შესაბამისად, გარკვეულ ინტერპრეტაციულ ჩარჩოებში საბჭოთა სოციალიზმი აღიწერება როგორც ერთ ქვეყანაში განხორციელებული, მკაფიოდ ცენტრალიზებული პოლიტიკური პროექტი, რომლის იდეოლოგიური, ეკონომიკური და ადმინისტრაციული კონტურების ჩამოყალიბება მნიშვნელოვნად ასოცირდება სტალინის მმართველობის პერიოდთან. ამ მიდგომის ფარგლებში, სოციალიზმის საბჭოთა მოდელი განიხილება არა როგორც აბსტრაქტული თეორიის ავტომატური რეალიზაცია, არამედ როგორც კონკრეტული პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიერ ფორმირებული სახელმწიფო სისტემა, რომელმაც განსაზღვრა მისი პრაქტიკული შინაარსი და ისტორიული ტრაექტორია.

ტურუხანსკის გადასახლებაში მყოფი სტალინი, აღნიშნული ნარატივის მიხედვით, მკვეთრ წინააღმდეგობას გამოხატავდა ლენინის მიერ შემუშავებული სახელმწიფო მოწყობის მოდელის მიმართ და იმიერპოლარულ სივრცეში მყოფიც კი ცდილობდა დაერწმუნებინა ლენინი, რომ რუსეთის პოლიტიკური მოწყობის აღნიშნული სქემა ქვეყნის სტაბილურ განვითარებას სერიოზულ საფრთხეს შეუქმნიდა. ამ კონტექსტში სტალინის პოზიცია წარმოდგენილია როგორც ცენტრალიზებული სახელმწიფოებრივი ხედვა, რომელიც ეჭვქვეშ აყენებდა თვითგამორკვევისა და რესპუბლიკების გამოყოფის კონსტიტუციურ პრინციპს, რასაც იგი გარე ძალების გავლენით ფორმირებულ პოლიტიკურ კონსტრუქციად მიიჩნევდა.

ლენინის მხრიდან, თავის მხრივ, აღნიშნული სახელმწიფოებრივი პროექტი განიხილებოდა როგორც ახალი ტიპის ფედერაციული სისტემის საფუძველი, რომელიც მიზნად ისახავდა ყოფილი იმპერიული სივრცის იურიდიულ-პოლიტიკურ რეორგანიზაციას. სწორედ ამ განსხვავებული ხედვების ფონზე ჩამოყალიბდა საბჭოთა სახელმწიფოს ადრეული კონსტიტუციური არქიტექტურა, სადაც ფედერალიზმის პრინციპი ფორმალურად იყო დაფიქსირებუ-

ლი, თუმცა მისი შინაარსი ინტენსიურ პოლიტიკურ დისკუსიებს ექვემდებარებოდა.

ლენინის სიცოცხლის პერიოდში სტალინი იძულებული იყო ეს კომპრომისული მოდელი მიეღო და მოქმედებდა უკვე დამკვიდრებული კონსტიტუციური ჩარჩოს ფარგლებში, მიუხედავად იმისა, რომ შიდა პოლიტიკურ დისკურსში კვლავ არსებობდა განსხვავებული ხედვები სახელმწიფო მოწყობის შესახებ. ამ ეტაპზე ლენინის პოლიტიკური ხაზის დომინირება განსაზღვრავდა საბჭოთა სახელმწიფოს საბოლოო სტრუქტურულ ფორმას.

ლენინის გარდაცვალების შემდეგ სტალინმა საკუთარი თავი წარმოაჩინა როგორც მისი პოლიტიკური მემკვიდრე და ლენინური სახელმწიფოს გამგრძელებელი, რის საფუძველზეც მან გააძლიერა ცენტრალური ხელისუფლების ინსტიტუციური როლი არსებული სისტემის შიგნით. თუმცა, ფორმალურად შენარჩუნებული დარჩა ის კონსტიტუციური პრინციპები, რომლებიც ლენინის პერიოდში იყო დამკვიდრებული.

სტალინის გარდაცვალების შემდეგ საბჭოთა პოლიტიკური პროცესი ახალ ფაზაში გადადის, სადაც იდეოლოგიური ხაზის გადაფასება და წინა ეპოქის პოლიტიკური სიმბოლიკის გადალაგება ხდება ერთ-ერთი ცენტრალური მიმართულება. XX პარტიული ყრილობა ამ პროცესში იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას, როგორც სივრცე, სადაც წარსული მმართველობის შეფასება საჯარო და ოფიციალურ პოლიტიკურ ფორმატში იკვრება.

ამავე პერიოდში ლენინის ფიგურა კვლავ გააქტიურდა, ასე ვთქვათ, სიცოცხლე დაიბრუნა, როგორც სახელმწიფოს საწყისი იდეის სიმბოლურმა საფუძველმა, რომლის გარშემოც ჩამოყალიბდა განსხვავებული პოლიტიკური ინტერპრეტაციები. ამ ფონზე სტალინის პერიოდის შეფასება გადავიდა კრიტიკული გადახედვის ეტაპზე, სადაც ყურადღება დაეთმო მისი მმართველობის პოლიტიკურ შედეგებსა და სისტემურ მემკვიდრეობას.

ყრილობის შემდეგ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად სტალინის ნეშტის მავზოლეუმიდან გადატანა გაფორმდა როგორც იდეოლოგიური კურსის ცვლილების ერთ-ერთი თვალსაჩინო გამოხატულება, რაც პარტიულ ხელმძღვანელობაში ახალი პოლიტიკური ხაზის დამკვიდრებაში აისახა. ლენინის ცხედარმა ტროცკისტების დახმარებით აამოქმედა თავისი დებულება, რის შედეგადაც, შეიძლება ითქვას, გაიმარჯვა ლენინ-ხრუშოვ-გორბაჩოვის ანტისახელმწიფოებრივმა და ანტირუსულმა პოლიტიკამ, ვინაიდან ეს პროცესები გახდა საფუძველი იმისა, რომ შემდგომ წლებში განვითარდა ისეთი პოლიტიკური ტრანსფორმაციები, რომლებმაც საბოლოოდ, 1991 წელს, საბჭოთა კავშირის ფედერაციული სისტემის რღვევა და რესპუბლიკების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ჩამოყალიბება განაპირობა.

1930-იანი წლების სტალინის პოლიტიკური რიტორიკის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ხაზად გვევლინება იდეა, რომ სახელმწიფომ უნდა ისწავლოს საკუთარი მტრების გამოცდილებიდან. ამ პერიოდის გამოსვლებში სტალინი ხშირად ამბობდა ფრაზას: „პირველ რიგში ვისწავლოთ მტრებისაგან“. სიმართლის გზას აცდენილი თანამედროვე ლიბერალები ირონიულად ფიქრობენ, ხომ ვსწავლობთ „ჩვენი მტრებისაგან“. არა, სტალინს ასეთი სწავლაზე არ გაუმახვილებია ყურადღება – სტალინი გვასწავლიდა: „რაზეც გვაკრიტიკებენ ჩვენი მტრები, ის ჩვენი ეკონომიკისთვის, კულტურისთვის, სახელმწიფო ინტერესებისთვის სასარგებლოა, რაზეც გვაქებენ და გვაქეზებენ, სწორედ ის არის ჩვენი ქვეყნის ძირის გამოთხრის ვერაგული გეგმა“.

ამ მიდგომაში არ იგულისხმებოდა მექანიკური მიბაძვა; უფრო სწორად, იგი ეფუძნებოდა პრინციპს, რომლის მიხედვითაც მოწინააღმდეგე სისტემების კრიტიკული ანალიზი საშუალებას იძლეოდა გამოვლენილიყო როგორც მათი ძლიერი მხარეები, ისე სტრუქტურული სისუსტეები. აღნიშნული ლოგიკა კარგად ეწერება სტალინის ეპოქის იდეოლოგიურ ჩარჩოში, რომელიც ფართოდ არის აღწერილი საბჭოთა პოლიტიკურ ისტორიოგრაფიაში [8]. ამ თეორიულ ჩარჩოს განსაკუთრებულად ნათლად ასახავს გერმანული ნაცისტური ხელმძღვანელობის შიდა დოკუმენტაცია, კერძოდ იოზეფ გებელსის დღიურები, რომლებიც წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად პირველწყაროს მესამე რაიხის პროპაგანდის კვლევისთვის [9].

1941 წლის თავდაპირველ ჩანაწერებში აშკარაა წარმოდგენა საბჭოთა კავშირის სწრაფი სამხედრო დამარცხების შესაძლებლობაზე, თუმცა აღმოსავლეთის ფრონტზე განვითარებულმა პროცესებმა ეს მოლოდინი მნიშვნელოვნად შეცვალა.

ომის პირველივე თვეებში გებელსის ჩანაწერები უკვე მიუთითებს, რომ საბჭოთა სისტემა არ იშლებოდა წინასწარ გათვლილი სცე-

ნარის მიხედვით. პირიქით, მას ახასიათებდა მაღალი მობილიზაციის უნარი, რესურსების სწრაფი გადანაწილება და პოლიტიკური კონტროლის ცენტრალიზებული მექანიზმები. ამ ეტაპზე ნაცისტური ხელმძღვანელობის ანალიზშიც ჩანს ცვლილება საბჭოთა სახელმწიფოს აღქმაში, რაც კარგად არის აღწერილი აღმოსავლეთ ფრონტის სამხედრო ისტორიოგრაფიაში [10].

1942–1944 წლების ჩანაწერებში უფრო მკაფიოდ იკვეთება საბჭოთა სისტემის აღქმა როგორც გრძელვადიანი წინააღმდეგობის მქონე პოლიტიკური ორგანიზმისა. ამ კონტექსტში ხაზგასმულია მისი შიდა კონსოლიდაციის უნარი, რომელიც ეფუძნებოდა ცენტრალიზებულ მმართველობას, იდეოლოგიურ დისციპლინასა და სამხედრო-ეკონომიკური რესურსების სრული მობილიზაციის სისტემას. მსგავსი შეფასებები გვხვდება ასევე საბჭოთა სახელმწიფოს სტრუქტურული ანალიზის კლასიკურ კვლევებში [11].

ამავე დროს, გერმანული სამხედრო-პოლიტიკური დოკუმენტები თანდათან აჩვენებს საბჭოთა კავშირის აღქმას არა როგორც დროებით, არამედ როგორც სისტემურად მდგრად მოწინააღმდეგეს. ეს ცვლილება ნათლად იკითხება როგორც ნაცისტური პროპაგანდის კრიზისის, ისე სამხედრო რეალობის კორექციის პროცესში [12].

ამგვარად, გებელსის დღიურები და შესაბამისი სამხედრო-პოლიტიკური მასალა საშუალებას იძლევა დავინახოთ, რომ სტალინის ეპოქის სახელმწიფო მოდელი მოწინააღმდეგე მხარის აღქმითაც კი გამოირჩეოდა განსაკუთრებული ორგანიზაციული სიმტკიცით. სწორედ ამ კონტექსტში იძენს შინაარსს „მტრებისგან სწავლის“ იდეა, რომელიც შეიძლება განვიხილოთ როგორც პოლიტიკური რიტორიკის ნაწილი და ასევე როგორც სისტემური თვითშეფასების ერთ-ერთი მექანიზმი, სადაც გარე კრიტიკა ინტერპრეტირდებოდა შიდა განვითარების რესურსად [13].

ამგვარად, გებელსის დღიურები და მეორე მსოფლიო ომის პერიოდის სამხედრო-პოლიტიკური მასალა აჩვენებს, რომ სტალინის ეპოქის სახელმწიფო მოდელი მოწინააღმდეგის თვალითაც კი აღიქმებოდა როგორც მაღალი ორგანიზაციული სიმტკიცის მქონე სისტემა. სწორედ ამ აღქმაზე დაყრდნობით ფორმირდება „მტრებისგან სწავლის“ იდეა, რომელიც შეიძლება გავიგოთ როგორც პოლიტიკური რიტორიკის ნაწილი და ასევე როგორც სისტემური თვითშეფასების მექანიზმი, სადაც გარე კრიტიკა ინტერპრეტირდება შიდა კონსოლიდაციის რესურსად.

პატარა ერისა და ქვეყნის ხელისუფლებამ თუ მოქალაქემ ძალიან ცოტა რამ იცის თავის მომავლის შესახებ, რადგან მათი ბედი „იქ“ წყდება, მაღლა.

ჩვენი გაუთავებელი „პოლიტმეტრები“, „რეაქციები“ თუ სხვა პოლიტიკური გადაცემები სრულიად შეუსაბამოა რეალობასთან. მთავრობასა თუ პარლამენტში ცხარე კამათის შემდეგ მიღებული გადაწყვეტილებები ერთი კალმის მოსმით არის გადაწყვეტილი მეორეხარისხოვანი სახელმწიფო მოხელეების მიერ იქ, სადაც „ჯერ არს“. ამიტომ თავი დავანებოთ ამბიციებს და ნორმალურად ვიცხოვროთ – ადამიანური ურთიერთობები გვქონდეს ერთმანეთთან. რამდენი დეპუტატი შევა, შევლენ თუ არა პარლამენტში ნაციონალები, ეს ჩვენი არც ასარჩევია და არც გასარჩევი. ვინ იქნება ხელისუფლებაში, ეს ისე გადაწყდება, როგორც ზევით იყო ნათქვამი საფრანგეთის მაგალითზე, მაგრამ ერთი განსხვავებით. იმხანად, რომელ დროზეც მე ვსაუბრობ, კიდევ არსებობდა ხალხის ნების ასრულების სურვილი, მაგრამ ეს სურვილი დღეს მსოფლიოში ნულზეა დასული. რადგან ყაჩაღები, რომლებმაც გაძარცვეს ქვეყანა და ხელისუფლებაში მოვიდნენ, არ თმობენ ნაყაჩაღარს. მოქმედი ბანდიტები ანადგურებენ მომავალ ბანდიტებს, რათა ხვალ ბანდიტური გზით არ მოვიდნენ ხელისუფლებაში.

პოსტსტალინური ეპოქის ანალიზი ცხადყოფს, რომ იოსებ სტალინის ისტორიული ფენომენი არ შემოიფარგლება მისი სიცოცხლის პერიოდით. სტალინიზმი წარმოადგენს არა მხოლოდ პიროვნულ მმართველობის სტილს, არამედ სახელმწიფოებრივი მშენებლობის კონკრეტულ მოდელს – ცენტრალიზებული ძალაუფლების, უსაფრთხოების ინსტიტუტების განსაკუთრებული როლისა და ეროვნული ინტერესების უპირატესობაზე დაფუძნებულ სისტემას. ანდროპოვის ფიგურა ამ კონტექსტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: იგი წარმოადგენს სტალინური სახელმწიფო „უსაფრთხოების რაციონალობის“ გვიანდელ ინსტიტუციურ გამოვლინებას, რომელიც ბიუროკრატიული და ფრაგმენტირებული სისტემის პირობებშიც კი ცდილობდა სახელმწიფო დისციპლინის აღდგენას. თუმცა, XX ყრილობის შემდგომი დესტალინიზაციის პროცესებმა, რომლებიც ლენინის

სახელით გააქტიურდნენ, საბოლოოდ შეასუსტეს სახელმწიფოებრივი ხერხემალი და გზა გაუხსნეს 1991 წლის კატასტროფას. სტალინის ეპოქის აქტუალობა დღესაც არ გამოცდილა. „მტრებისგან სწავლის“ პრინციპი – გარე კრიტიკის ანალიზი და მისგან შიდა განვითარების რესურსის გამოყვანა – რჩება მნიშვნელოვან ინსტრუმენტად ნებისმიერი სახელმწიფოსთვის, რომელიც სუვერენიტეტის შენარჩუნებას ცდილობს. თანამედროვე გლობალური წესრიგი, სადაც მცირე ქვეყნების ბედი ხშირად „მაღლა“ წყდება, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ძლიერი, ცენტრალიზებული და ეროვნულ ინტერესებზე ორიენტირებული სახელმწიფო მოდელი არა მხოლოდ ისტორიული წარსულია, არამედ პრაქტიკული საჭიროებაა. სტალინის მემკვიდრეობის ობიექტური შეფასება საშუალებას გვაძლევს უკეთ გავიაზროთ, თუ რა ფასად მოდის სახელმწიფო სიმტკიცე და რა რისკებს შეიცავს მისი დაკარგვა.

GRIGOL ONIANI – *PhD Studen*

THE POST-STALIN ERA AND STALIN'S RELEVANCE

Summary

The analysis of the post-Stalin era of the Soviet Union is centrally linked to the historical figure of Joseph Stalin and his legacy. The industrialization of the 1930s and the model of “socialism in one country” are emphasized, which, according to the author, should rightly be called Stalinism. The conceptual differences with Lenin on issues of state organization, the process of de-Stalinization (XX Congress) and its long-term consequences are discussed. The author analyzes the principle of “learning from the enemy” in Stalin’s rhetoric and contrasts it with modern political reality, where, in his opinion, external forces and internal “bandit” elites determine the fate of small countries. The work combines historical, political, and ideological dimensions and argues for the relevance of Stalin's legacy for understanding today's geopolitical processes.

Keywords: *Stalin, Soviet Union, socialism, historical figure*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Hobsbawm, Eric. *The Age of Empire: 1875–1914.* London: Weidenfeld & Nicolson, 1987.
2. Gaddis, J. L., *The Cold War: A New History*. New York: Penguin Press, 2005.
3. XVII съезд ВКП(б). Стенографический отчёт, Москва, 1934
4. Feuchtwanger, Lion. *Moskau 1937*. Amsterdam: Querido Verlag, 1937.
5. Davies, R.W. *The Industrialisation of Soviet Russia*, Cambridge University Press, 1980-1997.
6. The Yalta Conference Documents, 1945; The Potsdam Agreement, 1945
7. Correspondence between Churchill and Stalin, 1941–1945. Vol. I, Progress Publishers, Moscow, 1985.
8. Carr, E.H. *The Bolshevik Revolution 1917–1923.* Vols. 1–3. London: Macmillan, 1950-1964.
9. Goebbels J., *Die Tagebücher*, ed. Elke Fröhlich, 1987-1996.
10. Glantz D. M., *Colossus Reborn*, 2005
11. Lewin M., *The Soviet Century*. London: Verso, 2005.
12. Evans, Richard J. *The Third Reich at War*. London: Allen Lane, 2008.
13. Kotkin, S., *Stalin: Paradoxes of Power, 1878–1928*, New York, 2014.
14. Andrew, C. & Mitrokhin, V., *The Sword and the Shield: The Mitrokhin Archive and the Secret History of the KGB*, New York, 1999.
15. Wolf, Markus. *Man Without a Face: The Autobiography of Communism’s Greatest Spymaster*. New York: PublicAffairs, 1997.

ნონა ჟველია
ისტორიის აკადემიური დოქტორი

საეკლესიო შინაარსის სამართლის ისტორიული ძეგლები

საეკლესიო შინაარსის სამართლის ძეგლებს მიეკუთვნება მცირე სჯულის კანონი, პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონი (1083 წ.) დიდი სჯულის კანონი (XI-XII საუკუნეების მიჯნა), რუის-ურბნისის 1103 წლის საეკლესო კრების ძეგლისწერა, კათალიკოზთა სამართალი (1543-1549 წწ.), საეკლესიო სამართლის ძეგლები შეიძლება დაიყოს პირობითად ორ დიდ ჯგუფად: 1) მსოფლიო და 2) ადგილობრივი საეკლესიო კრებების დადგენილებები. ადგილობრივი კრების დადგენილებაა საქართველოში რუის-ურბნისის ძეგლისწერა, ხოლო მსოფლიო სამართლებრივ კანონიკას განეკუთვნება მცირე და დიდი სჯულის კანონი.

საეკლესიო სამართლის წყაროებიდან აღსანიშნავია, ასევე, საკუთრივ, მღვდელმთავართა მიერ მიღებული ეპისტოლენი, გუჯრები და სიგელები, რომელთაც წყაროს მნიშვნელობა აქვს საეკლესიო სამართალში.

საკვანძო სიტყვები: *სამართალი, წყაროები, სიგელი, კრება, ძეგლები, კანონი.*

ქრისტიანულ მართლმადიდებელ ქვეყნებში მსოფლიო კრებების დადგენილებებს, საეკლესიო შინაარსის კრენულებს მოქმედი კანონის ძალა ჰქონდა და ამიტომაც ბერძნულიდან ქრისტიანული ქვეყნების სხვადასხვა ენაზე ითარგმნებოდა. ექვთიმე მთაწმინდელმა იმიტომ თარგმნა მცირე სჯულის კანონი, რომ მას საქართველოშიც გასცნობოდნენ. ამასთანავე, ექვთიმე მასში ქართული სინამდვილის შესაბამის განმარტებასაც იძლევა. ეს შრომა ექვთიმეს შესრულებული აქვს მამის სიკვდილის შემდეგ (მისი მამა იოანე გარდაიცვალა 1005 წელს).

ექვთიმე გარდაიცვალა 1028 წელს (დაბადებულია დაახლოებით 995 წელს), მაშასადამე, ექვთიმეს თაგმნანი შესრულებულია 1005-1028 წლებში.

ძეგლი გამოსაცემად მოამზადა ე. გიუნაშვილმა. გამოცემას დართული აქვს ე. გიუნაშვილის გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები (ე. გიუნაშვილის თანახმად, ძეგლის მეორე, მესამე და მეოთხე ნაწილები შედგენილია ვინმე იოანე მონაზონის „კანონარის“ (მე-2 ნაწ.), უცნობი ავტორის „კანონიკონის“ (მე-3 ნაწ.) და კონსტანტინეპოლის 843 წლის ადგილობრივი კრების ძეგლისწერის (მე-4 ნაწ.) მიხედვით.

XI საუკუნის მოღვაწემ, ბიზანტიის სახელმწიფოს დიდმა მოხელემ, დასავლეთის დემესტიკოსმა, „სევასტოსის“ პატივის მქონემ, ქართველმა გრიგოლ ბაკურიანის ძემ, ბულგარეთის ტერიტორიაზე დაარსა პეტრიწონის მონასტერი ქალაქ ფილიპოპოლის (პლოვდივი) მახლობლად, როდოპის მთის კალთებზე, ახლანდელ სოფ. ბანკოვოსთან. გრიგოლი იყო ტაოელი ერისთავთ-ერისთავის ბაკურიანის შვილი. გრიგოლმა მონასტერს შეუდგინა წესდება, ანუ ტიპიკონი, რომელიც საქართველოს ისტორიისათვის საყურადღებო წყაროს წარმოადგენს. გრიგოლ ბაკურიანის ძე ერთგულად ემსახურებოდა ბიზანტიას, მაგრამ ის მაინც ქართველ პატრიოტად რჩებოდა. „ქართლის ცხოვრების“ გადმოცემით, გრიგოლ ბაკურიანის ძე ბანაში შეხვდა გიორგი II-ს, „გაიხარეს ერთად ყოფნით“ და გრიგოლმა მეფე გიორგის მისცა „კამის ციხე-ქალაქი და მისი მიმდგომი ქვეყანა“.

ამ გამოჩენილმა პიროვნებამ პეტრიწონის მონასტერი ქართველებისთვის დაარსა და წესდებაში განსაზღვრა კიდეც, იქ ბერძნები მოწესეებად არ დაეშვათ, მხოლოდ ერთი ბერძენი შეიძლებოდა ყოფილიყო, რომ მას ბერძნულად ეწარმოებინა მიწერ-მოწერა ბიზანტიის სხვადასხვა დაწესებულებასთან. გრიგოლს ტიპიკონი შეუდგენია ორ ენაზე: ქართულსა და ბერძნულზე.

ტიპიკონის წესდების ბერძნული ტექსტის ახალბერძნული თარგმანი შესრულებულია 1782 წელს და იგი გამოაქვეყნა გიორგი მუსეოსმა 1888 წელს. 1904 წელს ბერძნული ტექსტი ძველი ნუსხიდან XVIII საუკუნეში გადაწერილი გამოსცა მეცნიერმა ლუი მას პტიმ. ტიპიკონის ქართული ტექსტი, ძველი დედნიდან გადმოწერილი, 1954 წელს ლათინურად თარგმნა და გამოსცა მ. თარხნიშვილმა.

საქართველოში ცნობილი გახდა, რომ ხიოსში ინახება ტიპიკონის ქართული და ბერძნული ტექსტის ძველი ხელნაწერები. აკაკი შანიძის ცდის შედეგად მიღებულ იქნა ამ ხელნაწერების მიკროფილმები. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა 1963 წელს, ხოლო ქართული ხელნაწერი, გამოკვლევითა და რუსული თარგმანით – 1971 წელს აკ. შანიძემ.

ტიპიკონის ქართულ გამოცემაში ა. შანიძე აღნიშნავს, რომ ძეგლი შედგენილია 1083 წელს, ხოლო ხიოსის ქართული ხელნაწერი დედნიდან გადაწერილი უნდა იყოს XIII საუკუნეში, მიხეილ თარხნიშვილის გამოცემის მიხედვით, ტიპიკონი გამოქვეყნებული აქვს ი. დოლიძეს.

მონასტრის განწესება-განგებას, ანუ ტიპიკონს საქართველოში მონასტრებისათვის უძველესი დროიდანვე ადგენდნენ. ქართველებს მონასტრები ჰქონდათ როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთაც. თითოეულ მონასტერს თავისი მნიშვნელობის განაწესი ანუ ტიპიკონი გაჩნდა. გარდა პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონისა, ჩვენამდე მოაღწია ვაჰანის ქვაბთა განგებამ და ზოგიერთი მონასტრის განწესების ნაწილმა.

პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონი საყურადღებო მასალას შეიცავს ქართული სამართლის ისტორიისათვის.

მონასტერი, რომლის ტიპიკონსაც ვიხილავთ, ბიზანტიაში იყო (ბულგარეთი მაშინ ბიზანტიაში შედიოდა) ქართული საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილებისათვის უცხო გარემოში, მაგრამ ქართულ ტიპიკონში მოცემული ტერმინები თავისი შინაარსით ქართულ სინამდვილეს ასახავენ.

დიდი სჯულის კანონი (XI-XII საუკუნეების მიჯნა) არსენ იყალთოელის მიერ არის ნათარგმნი. ნომოკანონი ბერძნულიდან ნიშნავს კანონს და წესს; ნომოკანონები ეწოდება მართლმადიდებლური საეკლესიო სამართლის კრებულებს, რომლებიც შეიცავენ ეკლესიის შინაგანაწესს, აგრეთვე, ყოფა-ცხოვრებისა და საოჯახო სამართლის ნორმების დებულებებს.

ნომოკანონი საეკლესიო შინაარსის კოდექსია, რომელშიც შედის: „მოციქულებისა და მსოფლიო და ადგილობრივ კრებათა კანონები“, ეკლესიის ცნობილ მოძღვართა კანონიკური ეპისტოლენი და განმარტებანი, აგრეთვე, სამოქალაქო კანონმდებლობა ეკლესიის საქმეთა გამო. ამ კოდექსს ბერძნულად ეწოდება ნომოკანონი, ხოლო ქართულად „სჯულის კანონი“.

მართლმადიდებლური ქრისტიანული ეკლესიის ძირითადი კანონიკური კოდექსი საბოლოოდ IX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ჩამოყალიბდა 14 ტიტულოვანი ნომოკანონის ე.წ. 883 წლის რედაქციის სახით. მან კონსტანტინოპოლის 920 წლის საეკლესიო კრებაზე ზოგადქრისტიანული სახელმძღვანელოს ხასიათი მიიღო.

ქართული სამართლის ისტორიის შესასწავლად დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი ქართული საეკლესიო კრებების დადგენილებებს, რომელთაც მოქმედი კანონის მნიშვნელობა ჰქონდათ. ასეთ ძეგლებს ეკუთვნის რუის-ურბნისის ძეგლისწერა.

რუის-ურბნისის საეკლესიო კრება მოწვეული იყო დავით აღმაშენებლის ინიციატივით; ეს კარგად ჩანს ძეგლის სათაურიდანაც: „ძეგლისწერა წმიდისა და ღმრთივ შეკრებულისა კრებისაჲ, რომელი შემოკრიბა ბრძანებითა და კეთილად მსახურებისა და ღმრთივ დაცვულისა მეფისა ჩვენისა დავით აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა მეფისასა, პირთათჳს რომელნი ქუემო მოჴსენებულ არიან“.

კათალიკოზთა სამართლის (1543-1549 წწ.) დათარიღების საკითხს მრავალი მკვლევარი შეეხო. თვლიდნენ, რომ იგი შედგენილია XVII ან XVI საუკუნეში. კ. კეკელიძის გამოკვლევით, ძეგლი შედგენილია 1543-1549 წლებში. ეს თარიღი სინამდვილესთან ახლოს უნდა იყოს.

ძეგლი შედგენილია ქართლის კათალიკოსის მალაქიასა და აფხაზეთის კათალიკოსის ევდემონის მიერ; ამასთანავე, კათალიკოსებთან ერთად, როგორც ეს ძეგლის შესავალშია აღნიშნული, შეკრებილნი ყოფილან „ყოველნი ეპისკოპოზნი აფხაზეთისანი“.

ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულში ამ ძეგლს ეწოდებოდა „წმიდათა მართლმადიდებელთა ქართლისა და აფხაზეთის კათალიკოზთა და ღირსთა ეფისკოპოსთაგან გაწესებული სამართალი“. ასეთი სათაური იქნებოდა სრული და შინაარსისადმი სავსებით შესაბამისი. ი. დოლიძე ამოკლებს ამ სათაურს და „კათალიკოზთა სამართალს“ უწოდებს. ძეგლი შედგენილია დასავლეთ საქართველოში და ამ მხარისათვის არის განკუთვნილი.

მცირე სჯულის კანონი ოთხი ნაწილისაგან შედგება:

1. მეექვსე მსოფლიო კრების (ტრული 692 წ. კრება) კანონები;

2. კანონი შეცოდებულთანი იოანე მმარხ-
   ველისა;
3. კანონნი დღითი-დღეთა ცდომათანი;
4. ძეგლის წერა სარწმუნოებისა.

პირველი ნაწილი, ანუ „წესი და განგებაჲ და რჯულის კანონი მეექუსისა კრებისაჲ“ ცალკე შრომად ითვლებოდა. ის ცალკე გამოსცა ალ. ხახანაშვილმა. ასევეა მიჩნეული ივ. ჯავახიშვილის და კეკელიძის მიერ.

მეორე ნაწილია „კანონნი შეცოდებულთანი“, აღწერილი, ანუ განწესებული იოანე მმარხველის მიერ.

მეორე ნაწილიც ცალკე გამოსცა ალ. ხახანაშვილმა და ზაოზერბსკიმ. სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ნაწილიც ცალკე შრომად ითვლებოდა.

მესამე ნაწილის სახელწოდებაა: „კანონნი დღითი-დღეთა ცდომათანი, ვითარცა წმინდამან მამამან ჩუენმა ბასილიმ განაწესა“.

მეოთხე ნაწილი – „ძეგლის წერაჲ სარწმუნოებისაჲ, რომელი აღწერეს წმიდათა მამათა კონსტანტინეპოლის შეკრებულთა, წმიდათა ხატთა თაყუანისცემისთჳს“.

მესამე ნაწილს (კანონნი დღით-დღეთა ცდომათანი) მეორის (კანონნი შეცოდებულთანი იოანე მმარხველისა) ნაწილად თვლიდნენ.

მეოთხე ნაწილი მიაჩნდათ VII მსოფლიო კრების კანონებად.

სინამდვილეში ეს ოთხი ნაწილი წარმოადგენს ერთ კრებულს, რომელიც ბურძნულიდან ქართულად თარგმნა ექვთიმე მთაწმინდელმა, რომელსაც „მცირე რჩულის კანონს“ უწოდებს და ერთ შრომად მიაჩნია.

ექვთიმეს კრებული სხვადასხვა წყაროებიდან ამოუკრებია, ამდენად მას არა აქვს ერთიანი საკანონმდებლო აქტის მნიშვნელობა.

ექვთიმე ტექსტს ბრმად არ მისდევს, ამოკლებს ან ავრცელებს, უმატებს ქართული სინამდვილის შესაბამისად, ამას კ. კეკელიძეც აღნიშნავს.

ძეგლში მოცემულია სამართლის მრავალი დარგის შესასწავლი მასალა, მასში სისხლის სამართლის მრავალი ინსტიტუტია წარმოდგენილი; საუბარია სხვადასხვა სახის დანაშაულზე, სასჯელზე. ბრალის დადების დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებაზე და სხვ. ამ საკითხებზე ექვთიმე მთაწმინდელი თავის ახსნა-განმარტებას იძლევა.

ტიპიკონში, როგორც ძეგლში გვხვდება გამოთქმა „სასარჩელო საქმე“.

„სასარჩელო საქმე“ სადავო, საცილობელს ნიშნავს. ტერმინი „სარჩელი“ სხვა წყაროებშიც გვხვდება როგორც ტიპიკონის პერიოდის, ისე წინა ხანებისაც.

ძეგლში ხშირად გვხვდება ტერმინი „სამართალი“ და ამ ტერმინით აღინიშნება სიმართლე, სამართლიანი, სწორი. სამართალი ობიექტური გაგებით, სამართლიდან მომდინარეობს. სამართლიანობის საწინააღმდეგო ცნების გამოსახატავად ძეგლში ხმარება „უსამართლობა“.

კანონს ძველ ქართულში სჯული ეწოდებოდა: ტიპიკონში გვხვდება ტერმინი „შჯულიდება“, ე. ი. სჯულდება, რომლითაც აღინიშნება განგება, წესდება, თვით ტიპიკონი. ხელისუფლების მიერ შედგენილ კანონებს სჯულდება ერქვა.

ძეგლში გვხვდება ტერმინი „უფლება“, სამართალი, სუბიექტური გაგებით.

ძეგლის მიხედვით, ქართულ სამართალში ცნობილია სამართალი – ობიექტური გაგებით და უფლება-სუბიექტური გაგებით.

ძეგლში გვხვდება ტერმინები – „ბრალი“ და „უბრალო“ – დანაშაულისა და უდანაშაულობის მნიშვნელობით, მაგრამ ამ შინაარსთან ერთად ეს ტერმინები გამოხატავს დამნაშავის სუბიექტურ მდგომარეობასაც. ბრალი კი, ძირითადად, დანაშაულს ნიშნავს.

„უდებობა“ დანაშაულობასთან დაკავშირებით ნიშნავს, რომ გაუფრთხილებლობა ბრალის ერთ-ერთი ფორმაა.

„მოპარვა“ ნიშნავს, უმთავრესად, დამნაშავის ფარულ მოქმედებასაც.

„მპარავი“ და თავისი ბატონის ორგული სასტიკად უნდა დაისაჯონ.

ასევე მძიმე დანაშაულად ითვლება „ვერცხლისმოყვარეობა“, ვერაგობა, „ზაკუელობა“, რაც ტიპიკონის მიხედვით, სასჯელს იმსახურებს.

დიდი სჯულის კანონი XI-XII საუკუნეების მიჯნა), კანონიკური კოდექსის წყაროები ოთხ ჯგუფად იყოფა:

1. „მოციქულთა“-ს სახელით ცნობილია 85 საეკლესიო კანონი, რომელიც საეკლესიო კანონმდებლობის პირველ წერილობით ძგლად ითვლება;
2. მსოფლიო საეკლესიო კრებათა კანონები;
3. ადგილობრივი საეკლესიო კანონები;
4. ავტორიტეტულ საეკლესიო მოღვაწეთა ეპისტოლარული კანონმდებლობა.

დიდი სჯულის კანონში „ბრალთან“ დაკავშირებით ხშირად გვხვდება ასეთი ადგილები: თუ ეპისკოპოსი „ბრალისა რაჲსათჳსამე განკითხულ იქნეს“ და მისი სამთავროს ეპისკოპოსნი ამ ეპისკოპოსის ბრალიანობის შესახებ ერთი აზრის არ იყვნენ, მაშინ, მიტროპოლიტმა მოიწვიოს მახლობელი სამთავროს ეპისკოპოსნი „რომელთა ბრჭობითა საცილობელი იგი“ საკითხი გადაწყდესო. „ბრალი“ აქ დანაშაულს ნიშნავს.

დიდი სჯულის კანონის მიხედვით, „გულისთქმა“ ნიშნავს სურვილს, წადილს, ნდობას: „უკეთუ ვინმემ ინებოს გულისთქმაჲ დედაკაცისაჲ და საწოლსა უკვე მისსა დაწვეს, ხოლო არა სრულყოს საქმით გულისთქმაჲ თჳსი, საცნაურ არს, ვითარმედ მადლისა მიერ გამოჴსნილი არს“ [1. 68].

ძეგლში „დამთვევით“ შემთხვევითს უნდა ნიშნავდეს. ძეგლში იხმარება ტერმინი განკითხვა, რაც გასამართლებას, მსჯავრის დადებას ნიშნავს. დიდ სჯულის კანონში გვხვდება განწესებული.

ივ. ჯავახიშვილი ძეგლისწერას ყოფს ოთხ ნაწილად:

1. შესავალი;
2. დადგენილებანი;
3. დავითის შესხმა;
4. გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა მრავალჟამიერი (ცოცხლების) და საუკუნო ხსენება (მიცვალებულების).

ძეგლისწერის მიხედვით, თავისუფლება ეხება სახელმწიფოსაც, თუ სახელმწიფო სუვერენულია და სხვაზე დამოკიდებული არ არის, ასეთი სახელმწიფო არის „მქონებელი დაუმონებლისა თავისუფლებისაჲ“.

ძეგლისწერა კრძალავს ხელდასხმას, ე. ი. სამღვდელო თანამდებობაზე დანიშვნას ქრთამით, საფასით ან ძღვენით; ძეგლში ჩამოთვლილია ეკლესიის მსახურნი უფროს-უმცროსობის მიხედვით: ქრთამი, ძღვენი და საფასე აკრძალულია კათალიკოსმა მიიღოს ეპისკოპოსისაგან და ეპისკოპოსზე დაბალი რანგის მსახურთაგან, ხოლო ეპისკოპოსმა ეკლესიის მსახურთაგან და სხვ.

საეკლესიო ქონება, საეკლესიო ჭურჭელი, ნაყიდი ან შემოწირული, მხოლოდ თავისი დანიშნულებისამებრ უნდა იხმარებოდეს.

ქორწინება, მონათვლა, მონაზვნად განწესება ხდებოდა ეკლესიის მიერ განსაზღვრული წესით და ამ წესის დარღვევა აკრძალული იყო. გვირგვინის კურთხევა მხოლოდ ეკლესიაში უნდა შესრულებულიყო. ძეგლისწერაში ნახსენებია პირველი და მეორე ქორწინება როგორც ჩანს, მესამე და მეოთხე ქორწინებას ის არ ცნობდა.

დაქორწინებისათვის საჭირო იყო განსაზღვრული ასაკი: ქალი უნდა ყოფილიყო 12 წლისა.

როგორც ჩანს, მაშინ მიღებული ყოფილა „ჩვილთა ქალყრმათა“ გვირგვინის კურთხევა, რასაც კრძალავს ძეგლისწერა.

კათალიკოსსა და ეპისკოპოსთაგან უნდა შეირჩეს ეკლესიის ისეთი მსახურნი, რომლებიც გათვითცნობიერებულნი არიან საქრისტიანო წესებში; ამასთანავე, მღვდელი იქნება დიაკონი თუ, საერთოდ, ეკლესიის მსახური, უანგაროდ უნდა ემსახურებოდეს ეკლესიის საქმეს, არც ერთმა მათგანმა „არა რაჲ... განსცეს ქრთამისათჳს“, არცა რა განყიდოს ვერცხლად, ვითარცა იუდა“ (იუდამ უფალი). ვერცხლით გაყიდვა აქ უნდა ნიშნავდეს ღალატს, სარწმუნოების საწინააღმდეგო დანაშაულს [1. 71].

ძეგლისწერა კრძალავს მონასტერში ერისკაცთა მიერ „სამოქალაქო“ და „სოფლის“ საქმიანობას – ვაჭრობას.

ძეგლისწერაში განმარტებულია, თუ სად, როგორ, ვის მიერ უნდა სრულდებოდეს ცოცხალთა და მიცვალებულთა ლოცვა და „ჟამისწირვა“.

ძეგლისწერა კრძალავს მართლმადიდებლის და წარმართის შეუღლებას.

ძეგლისწერის მიხედვით, სოდომური ცოდვაც განსხვავებულია ჩამოთვლილი ცოდვებისაგან. რუის-ურბნისის საეკლესიო კრება მოწვეულ იქნა 1103 წელს ქართლში, ორი საეპისკოპოსოს მახლობლად. კრების თავმჯდომარე ყოფილა კათალიკოსი იოანე. თვალსაჩინო მონაწილეობა მიუღიათ ძეგლისწერის შემუშავებაში საქართველოს მაშინდელ მწიგნობართუხუცესს გიორგი მონაზონსა და არსენ მონაზონს, ანუ იყალთოელს.

ძეგლისწერა ორჯერ არის გამოცემული.

„კათალიკოზთა სამართლის“ შედგენის პერიოდი მეტად მძიმეა საქართველოსთვის. ოსმალეთის აგრესია განსაკუთრებით თავს იჩენს XVI საუკუნეში.

დამნაშავედ ითვლებოდა ტყვის გამყიდველი საქართველოდან საზღვარგარეთ. ეკლესიისა და ხატის გაძარცვა, „კათალიკოზთა სამართლის“ მიხედვით, მკრეხელობაა და დამნაშავე უნდა ჩამოახრჩონ. მეოთხე მუხლის მიხედვით, ძმისა და მამის მკვლელს უნდა მიესა-

ჯოს ხელის მოკვეთა და გაძევება. ხელის მოკვეთა ტალიონის პრინციპის გამოძახილია, რამდენადაც მკვლელობა ხელის საშუალებით ხდება, ამიტომ სწორედ ხელის მოკვეთაა გათვალისწინებული. ამგვარივე პრინციპია ასახული ვახტანგის სამართლის წიგნში, რომელიც მეფის მოღალატეს (ვინც „მტერსს მიუვდეს“) ფეხის მოკვეთით ემუქრება (მუხ. 220).

ეპისკოპოსმა ღირსეული დიაკონი და მღვდელი უნდა აკურთხოს. სანამ აკურთხებდეს, მანამ უნდა გამოსცადოს (მუხ. 8). ეპისკოპოსი არ უნდა ჩაერიოს სხვა ეპისკოპოსის სამწყსოს საქმიანობაში (მუხ. 9), წინააღმდეგ შემთხვევაში შეჩვენებული იქნება.

მღვდელი თუ ერისკაცის ხელით ვინმეს ზიარებას გაუგზავნის, ის მღვდელობიდან უნდა გადააყენონ (მუხ. 10), თუ ეპისკოპოსმა ასეთი მღვდელი არ დასაჯა, ის ეპისკოპოსი უნდა დაიწყევლოს (მუხლი II).

ქორეპისკოპოსი ვალდებულია დადიოდეს საეპისკოპოსოში და ამოწმებდეს სარწმუნოებრივი წესების შესრულებას: მარხვის დაცვას, უქმე დღეების შენახვას, ნათესაობას და სხვ. (მუხ. 12).

არც თავადს, არც აზნაურსა და არც გლეხს არა აქვთ უფლება წინაღუდგნენ ეპისკოპოსსა და ქორეპისკოპოსს და ხელი შეუშალონ წინა მუხლში აღნიშნულ საქმიანობაში (მუხ. 13). ასეთი წინააღმდეგობა „მეფემან მისად სისხლად და შეცოდებად მოიკითხოს“ (მუხლი 14), ე. ი. ჩაითვალოს მეფის წინააღმდეგ ჩადენილ ურჩობად და დანაშაულად.

მეფის მოღალატეს, თუ დანაშაული „მართლით განკითხვით და გამოწულილვითა“ დაუმტკიცდება, სიკვდილით დაისჯება (მუხ. 16).

კათალიკოსისა და ეპისკოპოსის გინებისათვის დამნაშავე ისე უნდა დაისაჯოს, როგორც ეს გათვალისწინებულია დიდი სჯულის კანონში (მუხ. 17).

ეპისკოპოსმა უღირსი მღვდელი ან დიაკონი თუ აკურთხა ისე, რომ არ იცოდა მისი უღირსობა, მაგრამ ქრთამი აიღო, მისთვის უნდა შეჩვენდეს, როგორც სვიმონ მოგვი. ამასთანავე, ეპისკოპოსი, მოძღვარი და წინამძღვარი, „ქრთამით ნუ დაიდგინების“, „სჯულის კანონი“ წყევლის, როგორც მაკურთხებელს, ისე კურთხეულს (მუხ. 18).

„კათალიკოზთა სამართალი“ მნიშვნელოვანი წყაროა ქართული სამართლის ისტორიისათვის.

ქართველი ერის წარსული ისტორიის კულტურული დონე მის სამართლებრივ ძეგლებში და, ზოგადად, სამართლებრივ ცნობიერებაში ვლინდება. ქართულ სამართლებრივ კულტურასა და სამართლებრივ ცნობიერებას ოდითგანვე განაპირობებდა ჩვენი წინაპრების მაღალი მართლშეგნება, რაც დღეს სამართლებრივი კულტურული მემკვიდრეობის სახით გვარგუნა განგებამ.

შეიძლება ზოგიერთი არგუმენტის მოყვანა ქართული სამართლებრივი მაღალი კულტურული დონის დასადასტურებლად.

XI საუკუნეში ათონის ივერთა მონასტრის ბერი-მოღვაწე, ექვთიმე მთაწმინდელი ბერძნულიდან თარგმნის მსოფლიო საეკლესიო კრებათა დადგენილებების კრებულს – მცირე სჯულის კანონს, ასევე მნიშვნელოვანია დიდი სჯულის კანონი, ძეგლისწერა და კათალიკოზთა სამართალი.

ჩვენამდე მოღწეული ქართული საეკლესიო შინაარსის სამართლის ძეგლები მაღალი სამართლებრივი კულტურის მაჩვენებელია.

NONA ZHVELIA – *Acad. Doctor of History*

Historical Monuments of Church Law

Summary

Monuments of ecclesiastical law include the Canon of the Minor Canon, the Typicon of the Georgian Monastery of Pet-Ritsoni (1083), the Canon of the Major Canon (the turn of the 11th-12th centuries), the Canon of the Ruis-Urbnis Ecclesiastical Council of 1103, the Law of the Catholicos (1543-1549). Monuments of ecclesiastical law can be conditionally divided into two large groups: 1) the Ecumenical and 2) the decrees of local ecclesiastical councils. The Ruis-Urbnis Ecclesiastical Council is a decree of a local council in Georgia, while the Canon of the Minor and Major Canons belong to the universal legal canon.

Among the sources of church law, it is also worth noting the epistles, letters and documents received by the high priests, which have the importance of sources in church law.

Keywords: *law, sources, document, council, monuments, law.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „ქართული სამართლის ისტორია“, შემდგენელი ბექა ქანთარია, თბ., 2014.
2. გვრიტიშვილი დ., „ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან“, თბ., 1965.
3. ვაჩეიშვილი ალ., „ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან“, I, თბ., 1964.
4. დოლიძე ი., „ძველი ქართული სამართალი“, თბ., 1953.
5. სურგულაძე ივ., „საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის“, თბ., 1952.
6. „ქართული სამართლის ძეგლები“, I, ი. დოლიძის რედაქციით, თბ., 1963.

НИНО ГИЛАУРИ
ГТУ, Доктор филологических наук

МЭГГИ ПАЛАВАНДИШВИЛИ
ГТУ, Доктор филологических наук

Приезд А.Н. Островского в Грузию и его „Кавказский дневник“

Творческие связи А.Н. Островского с Грузией освещены в целом ряде научных трудов, принадлежащих перу грузинских писателей и ученых – В. Шадури, Г.Талиашвили, С. Данелия, Д. Шенгелия, Е. Карелишвили, И. Гришашвили, В. Логошвили, Д. Джанелидзе, А. Бухникашвили и других.

В статье рассматриваются такие вопросы, как пребывание Островского в Грузии, его встречи с деятелями грузинской культуры и о впечатлении, которое произвело на писателя природа, литература и искусство Грузии, что и отразилось в его „Кавказском дневнике" и об эпистолярном наследии, о сходные мотивах в произведениях Островского и грузинских драматургов.

Все это проанализировано на фоне общественно – политической жизни обеих стран, особенностей развития театра в России и Грузии. В статье прослежена история постановок пьес Островского на грузинской сцене, интерпретация персонажей его пьес грузинскими актерами как в прошлом столетии, так и в последующую эпоху.

Ключевые слова: Кавказ, города Грузии, люди, природа, вдохновление, пьеса, Тифлис, культура, творчество, „Кавказский Дневник."

А.Н. Островскому, так же, как и многим другим русским писателям, судьба подарила встречу с Грузией, с кавказским краем, которая оказала столь благотворное влияние на его предшественников, последователей и, естественно, на него самого.

До приезда в Грузию Островский дружил с поэтом Я. Полонским, который был его университетским товарищем. После возвращения из Грузии, где Полонский вел театральную и общественную деятельность, Островский помог ему напечатать в журнале „Москвитянин" в 1851 году драму, „Дареджана, царица имеретинская," там же он предполагал напечатать статью о кавказском сборнике стихов Полонского – „Сазандар."

О Грузии Островский мог узнать и от своих друзей – актеров Малого театра, в 70 – 80 годы приезжавших в Тифлис (Н. Музиль, О. Правдин, А. Ленский). Он был хорошо знаком с грузинским критиком и общественным деятелем – Н. Николадзе, а также с литератором П. Андрониковым, который в 50ые годы был редактором неофициальной части „Костромских губернских ведомостей," автором стихотворного сборника. Хотелось бы отметить, что после смерти Островского к Андроникову обращались за помощью члены семьи драматурга.

Островскому было душно на родине, в условиях жестокой политической реакции, необеспеченной жизни. Как известно, в 1859 году при содействии графа Г. А. Кушелева-Безбородко было напечатано первое собрание сочинений Островского в двух томах. Благодаря этому изданию Островский удостоился блестящей оценки Н. А. Добролюбова, которая закрепила за ним славу изобразителя „тёмного царства."

В 1860 году в печати появилась пьеса „Гроза," которой Добролюбов посвятил статью „Луч света в тёмном царстве."

Естественно в ту пору его разоблачительные пьесы ставились редко. Он мечтал о духовном обновлении, о поездке в Крым, ли-

бо на Кавказ, о чем он писал и находившемуся в Тифлисе артисту Бурдину.

В мае 1883 года профессор Остроумов посоветовал Островскому для поправления здоровья поехать на юг. И только осенью 1883 года с целью поправления здоровья и с желанием познакомиться с новой для него страной Островский приезжает в Грузию. В письме к брату, министру государственных имуществ, сенатору, близкому к придворным кругам – М. Островскому, который собирался в служебную поездку в Закавказье, он писал: "Сделай милость, возьми меня с собой на Кавказ: в Тифлисе меня давно ждут, там есть люди, которые покажут все интересное за Кавказом".

В Тифлисе жили родственники Островского со стороны его второй жены – Бахметьевы.

Во время своего визита три аспекта были предметом пристального внимания драматурга: города, люди, природа, которым он посвятил немало ярких страниц в своем „Кавказском Дневнике," охватывающем период с 28 сентября до 31 октября 1883 года, и в письмах к близким. Здесь он показал себя как талантливый прозаик, бытописатель этнографических особенностей, пейзажа, основных черт характера жителей края. Островский знакомился с городами Грузии.

Его маршрут лежал через Владикавказ, Тифлис, Баку, Батуми. На пути в Тифлис Островского встречали брат жены драматурга А. Бахметьев и Н. Николадзе. Островский поселился в семье Бахметьевых, вместе с ними передвигался по Кавказу. Первая остановка в Тифлисе продолжалась пять дней. Островский побывал в Кавказском лицее, ездил на Веру, был в „Муштаиде," на Майдане, в армянских лавках и прогулялся на проспекте Головинского. Он писал: „Тифлис производит впечатление полу–европейского, полу–азиатского города." В этой оценке он солидарен с Пушкиным, который отмечал также эту особенность города в „Путешествии в Арзрум."

Островский пишет о географическом расположении Тифлиса – „лепится по отрогам гор," о святой горе „Мтацминда," где похоронен Александр Грибоедов. Писатель образно сравнивает ее с висящим над городом гнездом ласточки. О Тифлисе брату писателя мог рассказать его друг, археолог Н. Дубровский, автор неизданных "Путевых заметок от Москвы до Тифлиса".

Вспоминая о погребенном в Тифлисе создателе „Горя от ума", Островский отмечает его заслугу в развитии русской драматургии: „Он влил новую струю жизненной правды в русскую драматическую литературу. Мы – писатели новейшего времени."

В Тифлисе известный местный фотограф Ермаков сделал прекрасную фотографию А.Н. Островского.

Для записей Островского характерен сжатый, краткий дневниковый стиль, но, несмотря на это, его описание природы настолько насыщено красочными эпитетами, что создает поэтическую картину. Автор проявляет интерес и к отдельным видам ландшафта: „От Крестовой начинается очень крутой и опасный спуск до Гудаура, потом зигзагами вниз до Млет . . . Шумит Арагва."

Далее он повествует о живописной Душетской долине, платанах, ореховых деревьях и виноградниках, вместе с ним читатель посещает различные географические точки Грузии.

Во время поездки в Батуми Островский несколько раз повторяет эпитет „живописный:" „Дорога до Батума живописна; что же касается Сурамского перевала, то это длинная панорама живописнейших видов." Он наблюдает за „меняющимися красами" моря, которое „бушует, пенистые валы разбиваются о каменные скалы и лезут под самый поезд, волны светятся слабым фосфорическим блеском. Рев морской и гремучий гул катящихся камней сливаются в какую-то адскую музыку. Восторга моего описать невозможно. Это величественная, дикая, адская красота," что свидетельствует о том, что кавказский пейзаж ассоциируется у Островского с полотнами художников. Побывав в Батуми, писатель называет его раем, „где воздух мягкий, где приятно дышится."

С природой связывает писатель и этнографические подробности, внешность жителей. Так например по дороге из Батуми обратно в Тбилиси он пишет: „очертания гор, панорама анатолийских гор на юге, на севере снеговой хребет Кавказа, красота жителей, их живописные костюмы, все это способно наполнить восторгом самую черствую душу. На станции Самтреди огромная толпа народа: и лица, исполненные экспрессии и костюмы так картинны, что смотришь на них уж не с

удивлением, а с изумлением, и думаешь, не сон ли это." В этих словах нетрудно усмотреть ощущение душевного обновления, целебное воздействие Кавказа на писателя.

Он восторгается ,,нависшими горами," ,,снеговыми пиками," ,,мягкими очертаниями гор," ,,пирамидальными тополями," ,,быстрым Тереком" (Терги). О своих неизгладимых впечатлениях Островский пишет также к жене, Марии Васильевне Бахметьевой: ,,Терек и Арагва прыгают по камням, белая, как жемчуг, пена; величественные Дарьяльское ущелье и Казбек; улыбающиеся долины требуют живописца. Чтобы описать дорогу, нужно написать целую книгу."

Большое значение имели для Островского встречи с грузинской интеллигенцией, с деятелями театра. Здесь же мы хотим отметить тех людей, которые приобщили драматурга к жизни Грузии.

Большое внимание уделил драматургу предводитель дворянства Луарсаб Магалов. С историком А.Б. Берже он проговорил весь вечер о грузинской истории и культуре. Островский съездил в Мухрани (Карталинского уезда), куда ездил вместе с Н. Николадзе и виноделом Жоржадзе к князю Багратион – Мухранскому, где восхищался садами, виноградниками, пенистой речкой. Он пишет в своих воспоминаниях: ,,Встал в 6 часов. Облачно. Поехали с А. В. Архиповым на железную дорогу, чтобы отправиться в Мухрань (в Карталинию, Душетского уезда), к князю Багратиону Мухранскому..."

Далее ,,переехали какую-то горную речку вброд, которая шумит и пенится, и поехали по долине, густо населенной и покрытой виноградниками и садами. Растительность очень разнообразна: много дубов, тутовых деревьев и прочего, живые изгороди, спелая ежевика висит кистями и ее никто не трогает. Грузины, работая в садах, при встрече все кланяются. Проехали большое село, несколько раз переезжали вброд речки и, наконец, подъехали к строящемуся в восточном вкусе дому кн. Багратиона. Он с сыном нас встретил у крыльца. Это старый николаевский генерал (73 лет), совершенно бодрый (на вид не более 55 л.), в мундире..."

Драматург также побывал и в Кахетии в чудное время сбора винограда.

В Тифлисе в театре расположенном недалеко от караван-сарая в центре старого города А. Островскому показали 2-й акт его комедии ,,Доходное место" на грузинском языке. Драматург отметил, что ,,роли Фелиситы Герасимовны, Полины и Юсова были исполнены очень хорошо."

Пасынок брата жены Островского М.А. Шателен, который впоследствии женился на дочери драматурга, вспоминал о взаимоотношениях между Островским и тифлисской молодежью. Это был, по словам Шателена, ,,мягкий, добродушный человек, серьезно относящийся к молодежи, проявляющий интерес к национальной литературе." Он был похож на мудрого царя Берендея из его же пьесы "Снегурочка". Они беседовали о народных песнях и сказках.

Островский встречался с главнокомандующим на Кавказе князем А.М. Дундуковым-Корсаковым, знатоком Кавказа и А.П. Берже, представителями разных слоев общества – чиновниками, офицерами и т.д.

Живший в этот период в Тифлисе композитор М.М. Ипполитов-Иванов часто встречался с Островским. Драматург восхищался культурой и изяществом грузинского художественного творчества. Об этом Ипполитов – Иванов пишет в книге ,,50 лет русской музыки в моих воспоминаниях" (1934 г.). Островский знакомился через него с записями грузинских народных и церковных песен.

23 октября 1883 года драматурга посетили Ипполитов – Иванов с женой и грузинский драматург Д. Эристави. (В Батуми Островский познакомился с поэтом и драматургом Р. Эристави.)

Восторженная встреча в Тифлисе оказала на драматурга благотворное влияние. Получив здесь творческий заряд, вернувшись домой, он приступил к созданию пьесы ,,Без вины – виноватые." ,,Пьеса приобрела необычный для Островского романтический колорит."

В письме к актеру Бурдину Островский писал: ,,Поездка доставила мне много удовольствия и немало пользы. В настоящее время я оканчиваю пьесу" (Речь идет о произведении ,,Без вины – виноватые").

Драматург предлагал композитору Ипполитову – Иванову создать оперу на сюжет кавказской легенды. Островский даже сам собирался написать либретто для этой оперы. Как это выясняется из его биографии, несмотря на то, что его пьесы делали хорошие сборы и что в ,,1883 году император Александр III пожаловал ему ежегодную пенсию в

три тысячи рублей, денежные проблемы не оставляли Островского до последних дней его жизни. Здоровье не отвечало тем планам, какие он ставил перед собой." К сожалению, болезнь и смерть помешали драматургу выполнить это намерение. Усиленная работа окончательно истощила его организм.

Интересно, что в некоторых произведениях Островского встречаются отголоски грузинской темы. Так в пьесе „Лес" один из его героев, актер Аркашка Счастливец говорит: „Что же делать-то, Геннадий Демьяныч, пройду в Ставрополь или в Тифлис, там уже неподалеку". Это свидетельствует о том, что уже в 70ые годы Островский знал о существовании русского театра в Тифлисе. Провинциальный актер Счастливцев, перечисляя города, где он выступал, называет, наряду с Иркутском, Ибритом, Новочеркасском, Екатеринбургом и Тифлис.

В пьесе-сказке „Снегурочка" описана кавказская природа в монологе Весны:

„Не так меня встречают
Счасливые долины юга, там
Ковры лугов, акаций ароматы,
И теплый пар возделанных садов" . . .

Аромат цветущих деревьев, темные кипарисы, сады и цветы, о которых говорит Весна-Красна, создают зримую, и легко воспринимаемую картину южной природы.

Из сказанного выше становится ясно, что встреча с Грузией оказала огромное влияние на духовный мир Александра Островского, который, в свою очередь, аналогично Александру Грибоедову, обогатил грузинский театральный репертуар своими пьесами, чем привлек и углублял интерес грузинских деятелей культуры к русской литературе и, в частности, к драматургии. Русский драматический театр имени А. Грибоедова до сих пор функционирует в центральной части столицы Грузии, радуя зрителей своими интересными театральными постановками как классическими, так и современными, а пьесы А. Островского постоянно ставятся на его сцене.

ნინო გილაური - *სტუ, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი*

მეგი ფალავანდიშვილი - *სტუ, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი*

ა. ოსტროვსკის ვიზიტი საქართველოში და მისი კავკასიური დღიური

რეზიუმე

ალექსანდრე ოსტროვსკის კავშირები საქართველოსთან შესწავლილია ქართველი მწერლებისა და მეცნიერების არაერთ ნაშრომში. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი პირები: ვ. შადური, გ. თალიაშვილი, ს. დანელია, დ. შენგელია,

ე. ქარელიშვილი ი. გრიშაშვილი, ვ. ლოგოშვილი, დ. ჯანელიძე, ა. ბუხნიკაშვილი და სხვა.

სტატიაში განიხილება ისეთი საკითხები როგორიც არის ა. ოსტროვსკის ვიზიტი საქართველოში, მისი შეხვედრები ქართული კულტურის წარმომადგენლებთან და ის შთაბეჭდილება რომელიც მას შეექმნა საქართველოს ხელოვნებასთან, ლიტერატურასთან და ბუნებასთან ზიარების შემდეგ, რაც აისახა მის „კავკასიურ დღიურში." ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტსაც, რომ ა. ოსტროვსკის და ქართველი დრამატურგების ნაწარმოებებში გაჟღერებულია იდენტური მოტივები.

ზემოთ ხსენებული გაანალიზდა ორი ქვეყნის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების ფონზე, რუსული და ქართული თეატრების თავისებურებების განვითარების გათვალისწინებით.

საკვანძო სიტყვები: *კავკასია, საქართველოს ქალაქები, ადამიანები, ბუნება, შთაგონება, პიესა, ტიფლისი, კულტურა, შემოქმედება, „კავკასიური დღიური."*

NINO GILAURI – *GTU, PhD of Philological Sciences*

MAGGIE PALAVANDISHVILI – *GTU, PhD of Philological Sciences*

A. Ostrovsky's Visit to Georgia and His „Caucasian Diary"

Summary

Communication of Alexander Ostrovsky with Georgia have been covered in a number of scientific papers of Georgian writers and scientists such as: V. Shaduri,
G. Taliashvili, S. Danelia, D. Shengelia, E. Karelishvili, I. Grishashvili, V, Logoshvili,
A. BukhnikaShvili, D. Janelidze and many others.

In the article are considered: the visit of A. Ostrovsky to Georgia, his meetings with Georgian cultural figures, the playwright's impression at the sight of majestic nature and the effect of Georgian literature and art on him that greatly affected his "Caucasian Diary, " where one can trace similar motives both in the works of Georgian and Russian dramatists.

All these has been analyzed on the background of social and political life of both countries and peculiarities of theater development in Russia and Georgia. The history of A. Ostrovsky's plays staging in Georgia has been traced in the article.

Keywords: *Caucasus, towns of Georgia, people, nature, inspiration, play, Tiflis, culture, creativity, "Caucasian Diary."*

Библиография:

1. Николадзе А. ,,Русско – Грузинские литературные взаимоотношения," ,,Сахелгами," 1958, Тбилиси, Грузия.
2. Оркатская Т. ,,Кавказский дневник Островского," Альманах ,,Дружба,",,Мецниереба," 1981, Тбилиси.
   Островский Александр Николаевич - ,,Поездка на Кавказ 1883 г." – материал извлеченный из интернета: http://ostrovskiy.lit-info.ru/ostrovskiy/dnevniki/poezdka – na – kavkaz – 1883.htm
3. Островский Александр Николаевич – биография. Материал, извлеченный из – Википедии – свободной энциклопедии. https://ru.wikipedia.org/wiki/ Островский, Александр Николаевич
4. Островский А. ,,Пьесы," ,,Детская литература," 1950, Москва.
5. Русские писатели. ,,Библиографический словарь," 1990 в 2– х томах (т.1), Москва, ,,Просвещение."
6. Список пьес, поставленных К. Станиславским – материал, извлеченный из интернета: http://az.lib.ru/s/stanislawskij_k_s/text_0010.shtml
7. Степанов А. ,,А.Н. Островский в Грузии" газета ,,Литературная Грузия," №2, статья, 1960, Тбилиси, Грузия.

ნონა ჟველია
ისტორიის აკადემიური დოქტორი

ოდიშის (სამეგრელოს) სამთავრო 1801-1804 წლებში

მე-18 საუკუნის დასასრულს ოდიშის სამთავრო და იმერეთის სამეფო კვლავ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. სოლომონ პირველი შეეცადა ოდიშის სამთავრო იმერეთის სამეფოსთან შეეერთებინა. ოდიშის მთავარმა დახმარებისთვის რუსეთს მიმართა. სამაგიეროდ, იგი ალექსანდრე პირველს ერთგულ ქვეშევრდომობას აღუთქვამდა. 1804 წლის 4 ივლისს ალექსანდრე პირველმა დააკმაყოფილა გრიგოლ დადიანის თხოვნა და ოდიშის სამთავრო რუსეთის იმპერიაში შეზღუდული ავტონომიის ფორმით შეიერთა.

თავისი არსებობის მანძილზე ოდიშის, ანუ სამეგრელოს სამთავროს მრავალი მთავარი ჰყავდა, ზოგი ძლიერი, ზოგიც – სუსტი, თუმცა კანონით შეუზღუდავი ბატონ-პატრონი თავის სამთავროსი, რომელიც განვითარებული თუ გვიან ფეოდალური ეპოქის ცნობილ სენიორულ-ბატონყმურ ურთიერთობებს ემყარებოდა: მთავარი – თავადი – აზნაური – ყმა – გლეხი – მოახლე... მთავარი ქვეყანას მართავდა სამთავროს კარის მეშვეობით, რომელსაც სამთავროს არსებობის მთელ მანძილზე ცვლილება არ განუცდია.

ნაშრომის ძირითადი მიზანია წარმოაჩინოს ოდიშის სამთავროს შიდაქართული და საგარეო ურთიერთობანი 1801-1804 წლებში.

საკვანძო სიტყვები: *საქართველო, სამეფო-სამთავროები, ოდიში, რუსეთი, საერთაშორისო ურთიერთობები.*

1801 წელს რუსეთმა ქართლ-კახეთის სამეფო გააუქმა და უშუალოდ თავის იმპერიის საზღვრებს შეუერთა. რუსეთის მთავრობის წინაშე დღის წესრიგში დადგა დასავლეთ საქართველოს ანექსიაც. სოლომონ მეორე კარგად ხედავდა იმ საფრთხეს, რაც აღმოსავლეთ საქართველოდან ემუქრებოდა რუსეთის ხელისუფლების მხრიდან. ამიტომ იგი შეეცადა, რაც შეიძლება სწრაფად გადაეწყვიტა გურიისა და სამეგრელოს სამთავროს საკითხი. ეს კი, პირველ რიგში, ამ სამთავროების იმერეთის სამეფოსადმი დამორჩილებას ნიშნავდა. მეფის აზრით, ეს ძლიერ პოზიციებს შეუქმნიდა მას რუსეთის ხელისუფლებასთან მომავალ მოლაპარაკებებში.

თავდაპირველად სოლომონ მეორე ლეჩხუმის საკითხის გადაწყვეტას შეეცადა და 1802 წელს იმერეთის მეფემ გრიგოლ დადიანის წინააღმდეგ ბრძოლა განაახლა. „დაიპყრა მეფემ ლეჩხუმი და დაადგინა ლეჩხუმის მოურავად ბერი ქაიხოსროს ძე გელოვანი და თვით წარვიდა იმერეთად“ – წერს ნიკო დადიანი [1].

თავისი ამ გამარჯვების შესახებ სოლომონ მეორემ საგანგებო წერილით აცნობა რუსეთის ხელისუფლებას: „არს მთავარი მეგრელთა და ლეჩხუმისა დადიანი გრიგოლ, რომელიც გვართან კეთულშობილთა დამდაბალთ ჩიქუანთაგან სამეფოსა ამათ ჩვენთა ოდიშ-ლეჩხუმთა შინა მთავრობად დაიდგინა და ყმამან სამკვიდრომან ტახტისა ჩვენისამან მრავალ გზის ინება წინააღმდეგობა ჩვენი; ჩვენ კაცთ-მოყვარებითა მრავალგზის მიუტევეთ და რადგან გზისცა ფიცითა საშინელთა დაგვარწმუნა მონებად მეფობისა ჩვენისა, ეგოდენ დახსნა ფიცი და დაუდგომრობითა თვისთა ეძიებდა ღონესა დაცვად წინააღმდეგობისა. ამისთჳს უბრძანეთ ჩვენს შეკრებაჲ ლაშქართა და მოვედით ლეჩხუმს ციხეთა და სიმაგრეთა მისთა ზედა. მხნეთ-მოსწრაფებითა ლაშქართათა ავიღეთ შვიდნი ცხენი და სიმაგრენი ლეჩხუმისანი“ [2. 572-573].

სოლომონ მეორე გრიგოლ დადიანი გააძევა და მის ნაცვლად ტახტზე მისი ძმა ტარიელი აიყვანა. გრიგოლ დადიანმა დახმარებისთვის აფხაზეთის მთავარს მიმართა: „სთხოვა უპირმშოესი შვილი თვისი ლეონ მძევლად, უკეთუ შეეწიოს მეფესა ზედა, მისცეს მან მრავალი თეთრი და წარუგზავნა დადიანმან ძე თვისი მძევლად. მაშინ შეიკრიბა ქელაიშ-აჰმედ-ბეგმან ყოველი აფხაზეთი და წარმოვიდა, მოვიდა და დაებანაკა აბედათს, იქით მოვიდა მეფე სპითა იმერთა და ლეკთათა და დაებანაკა ინადიდს. და იწყეს ზრახვად მეფემან და ქელა-

იშ-აჰმედ-ბ„ეგმან და ვერა შემართა ქალაის-აჰმედ-ბეგმან ბრძოლად მეფისა და სთხოვა, რათა არ ავნოს დადიანსა. აღუთქვა მეფემან ფიცით ამა ვნებად დადიანისა. და წარვიდა ქელაიშ-აჰმედ-ბეგ კვალად აფხაზეთად“ [1. 192].

იმერეთის მეფემ ქელაიშ-აჰმედ-ბეგისადმი მიცემული პირობა არ შეასრულა და თითქმის მთელი ოდიში დაიკავა. მაშინ გრიგოლ დადიანმა თბილისში გააგზავნა თავისი ელჩები და რუსეთის მფარველობაში შესვლა ითხოვა. ბუნებრივია, სოლომონ მეორე ცდილობდა არ დაეშვა გრიგოლ დადიანის უშუალო ურთიერთობა რუსეთის ხელისუფლებასთან. ამიტომ გრიგოლ დადიანმა თავისი ელჩები შემოვლითი გზით გაგზავნა. „მაშინ გრიგოლიმ ვერარაჲსა საქმისა მპოვნელმან განიზრახა, რათა მისცეს თავი თავისი როსიის იმპერატორსა და დაიფაროს მტერთაგან, – წერს ნიკო დადიანი, – მაშინ იყო საქართველოსა შინა მთავარმართებლად ალექსანდრე პირველის როსიის იმპერატორისაგან დადგენილად თავადი პავლე დიმიტროვიჩი ციციანოვი ღენერალ-ონტ-ინფანტერი. და ვინაითგან იმერეთით ვერ იშოვნა გზა დადიანმა, რათა წარგზავნოს კაცი საქართველოდ, მაშინ ნოღას ციხიდან განმზადა კარისა თვისისა მღვდელი სოლომონ ასათიანი და აზნაური გიორგი გუგუშვილი და წარგზავნა ასხის მთით და ჩავიდნენ ლენტეხს და ლენტეხიდან ჩოლულს და ჩოლულიდან წარუძღვნა ფარდაფხაზე გიგო, რომელი დიდათ ერთგულებდა გრიგოლ დადიანსა, გარდავლეს კავკასი და ოსეთი და შთვიდნენ მისდოქს, ხოლო მუნით მოქცეულნი მოვიდეს ტფილისს კნიაზ ციციანოვთან“ [1. 192].

რუსეთის ხელისუფლება დასავლეთ საქართველოში იმერეთის წინააღმდეგ ბრძოლაში თავის მოკავშირედ მთავრებს თვლიდა. ამიტომ იგი სოლომონ მეორე დავაში მთავრებთან, თითქმის ყოველთვის მთავრებს უჭერდა მხარს. ამ შემთხვევაშიც, რუსეთის მთავრობამ ოდიშის მთავარს დაუჭირა მხარი და სამეგრელოს თავის მფარველობაში აყვანა აღუთქვა. ერთადერთ დაბრკოლებად ოსმალეთი ჩანდა, რომლის ხელქვეითად ნომინალურად სამეგრელო ითვლებოდა. რუსეთის ელჩს თურქეთში სასწრაფოდ დაევალა გაერკვია, თუ როგორ შეხვდებოდა სულთნის მთავრობა სამეგრელოს რუსეთთან შეერთებას და ხომ არ ჩათვლიდა მას რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულების დარღვევად. მალე ცნობილი გახდა, რომ თურქეთი ადვილად შეელეოდა ოდიშს. ამის შემდეგ სამეგრელოს სამთავროს რუსეთი მფარველობაში აყვანას ხელს არაფერი უშლიდა. 1863 წლის ივლისში დადიანმა რუსეთის ერთგულებაზე დაიფიცა, ხოლო 1803 წლის 2 დეკემბერს ხელი მოაწერა სამფარველო ხელშეკრულებას [3. 151].

მფარველობით ხელშეკრულებას გრიგოლ დადიანის „სათხოვართა პუნქტების“ ფორმა მიეცა, თითქოს იგი გრიგოლ დადიანის შემდგენელი იყო. ფაქტობრივად, იგი საქართველოს მთავარმართებელმა დიმიტრი ციციანოვმა შეადგინა.

რუსეთის მთავრობა დადიანს სამეგრელოს მემკვიდრეობით მფლობელად ცნობდა. ყოველი ახალი მთავარი იმპერატორს სათანადო სიგელით უნდა დაემტკიცებინა. დადიანს რუსეთის იმპერატორისაგან უნდა მიეღო სამთავრო ნიშნები – ხმალი და დროშა.

1803 წელს დეკემბერში დადიანის მიერ ხელმოწერილი ეს ხელშეკრულება 1804 წლის 4 ივლისს რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა დაამტკიცა.

ამიერიდან სამეგრელოს სამთავრო რუსეთის შემადგენლობაში შედიოდა.

ამ ხელშეკრულების საფუძველზე დადიანის სამთავრო შეზღუდული ავტონომიის უფლებით რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა, როგორც მისი ერთი პროვინციათაგანი. რუსეთის ხელისუფლებას უფლება ეძლეოდა ჩარეულიყო სამეგრელოს საქმეებში. დადიანი რუსეთის ვასალი იყო, რომელსაც უფლება ჰქონდა თავისი ხელისუფლება მემკვიდრეობით გადაეცა. ხელშეკრულების ფორმა და შინაარსი დასაშვებად ხდიდა რუსეთის სახელმწიფოებრივი ინტერესების სამთავროსა და მთავრის ყოველგვარ გამოყენებას [3. 154].

რუსეთის მფარველობაში შესვლის შემდეგ სამეგრელოს მთავარს, ბუნებრივია, აღარ შეეძლო დამოუკიდებელი შიდაქართული თუ საგარეო ურთიერთობები ეწარმოებინა. ამიერიდან მისი ურთიერთობა სამეგრელოს მეზობელ სამეფო-სამთავროებთან, თურქეთის იმპერიასთან თუ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან რუსეთის იმპერიის შიგა თუ საგარეო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი იყო. თუმცა ამგვარი ურთიერთობების წარმოებისას სამეგრელოს მთავრებს არც თავიანთი პირადი ინტერესები ავიწყდებოდათ.

გრიგოლ დადიანის „სათხოვართა პუნქტებში, რომელიც რუსეთის იმპერატორმა დაამტკიცა, სამეგრელოს მთავარი მოიხსენიებოდა,

როგორც ოდიშის, სვანეთის, აფხაზეთისა და მის წინაპართა საკუთრებაში მყოფი მიწების კანონიერი მფლობელი. რუსეთის ხელისუფლებამ კარგად იცოდა, რომ ეს ტიტული ნომინალური იყო, მაგრამ ამით იგი აღიარებდა სამეგრელოს სამთავრო სახლის ტერიტორიულ პრეტენზიებს მეზობლების მიმართ. პირველ რიგში ეს შეეხებოდა ლეჩხუმის გამო სამეგრელოს სამთავროსა და იმერეთის სამეფოს დავას.

1803 წლის 4 დეკემბერს დადიანმა რუსეთის იმპერატორის ქვეშევრდომობაზე დაიფიცა და ლეჩხუმი ციციანოვმა მას დაუმტკიცა, რამაც იმერეთის სამეფო კარის მესვეურნი შეაშფოთა. მათ გადაწყვიტეს თვითონაც მიეღოთ ქვეშევრდომობა და ლეჩხუმის საკითხი აღმოსავლეთ საქართველოს ადგილობრივ რუსულ ადმინისტრაციასთან მოეგვარებინათ.

1804 წლის 23 თებერვალს იმერეთის თავადაზნაურობამ და სამღვდელოებამ წერილი მიართვა ციციანოვს. ამ წერილში ისინი ამტკიცებდნენ, რომ ლეჩხუმი ოდითგანვე იმერეთის მეფეთა სამკვიდრო მამული იყო და იგი დადიანებმა ძალმომრეობით მიიტაცეს.

1804 წლის დამდეგს სოლომონ იმერთა მეფემ ციციანოვთან ქაიხოსრო წერეთელი და სეხნია წულუკიძე გაგზავნა. ამ ელჩების პირით სოლომონი რუსეთის ხელმწიფის ქვეშევრდომობას იმ პირობით, რომ იმერეთის მეფობა შერჩებოდა და ლეჩხუმიც მას დაუმტკიცდებოდა. უკანასკნელი პირობა ციციანოვისთვის მიუღებელი იყო, ეს არა იმიტომ, რომ მან ლეჩხუმში უკვე დადიანს აღუთქვა, არამედ უმთავრესად იმიტომ, რომ რუსეთის მთავრობამ კარგად იცოდა სოლომონ მეფე რომ დასავლეთ საქართველოს გაერთიანებას ფიქრობდა, რაც მას ყოვლად დაუშვებლად მიაჩნდა.

ციციანოვმა იმერეთის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ ლეჩხუმი ოდიშის სამთავროს შემადგენლობაში უნდა დარჩენილიყო. სოლომონის ელჩებმა უარი თქვეს მეფესთან შეთანხმების გარეშე მოლაპარაკების გაგრძელებაზე და იმერეთში დაბრუნდნენ.

სოლომონ მეფის მოციქულებს ციციანოვმა თავისი რწმუნებული გრაფი ვორონცოვი გააყოლა თან. ვორონცოვმა იმერეთის მეფეს ციციანოვის მიერ შედგენილი ტრაქტატის ანუ „სათხოვარი პუნქტების“ პროექტი მოართვა. სოლომონ მეფეს ეს პროექტი უცვლელად უნდა მიეღო და თავისი სახელით ამ პუნქტების დამტკიცება ხელმწიფისათვის ეთხოვა. სოლომონმა ამ პირობების მიღებაზე უარი განაცხადა. იგი დაჟინებით ითხოვდა ლეჩხუმს. ციციანოვი იმუქრებოდა და იმერეთის მეფესთან პირისპირ შეხვედრას მოითხოვდა.

მეფისა და ციციანოვის შეხვედრა მოხდა 1804 წლის 16 აპრილს ელზნაურში, ლეჩხუმის გამო შეთანხმება აქაც გაძნელდა, ვინაიდან მეფე ხელშეკრულების ყველა პუნქტს აღიარებდა, თუ იმპერატორი იმერეთის მეფის უფლებას ლეჩხუმზე სათანადო რეზოლუციით დაამტკიცებდა. 22 აპრილს ციციანოვმა მეფეს წერილობით აცნობა, რომ ლეჩხუმის ციხეები, რომელიც სოლომონ მეფის მეციხოვნეებს ჰქონდათ დაკავებული, დროებით იმერეთის სამეფოს კუთვნილებაში დარჩებოდა, სანამ ამ საკითხს რუსეთის იმპერატორი არ გადაწყვეტდა. ამავე დროს სოლომონ მეორე იმპერატორისათვის ლეჩხუმის ფლობის დამამტკიცებელი საბუთები უნდა გაეგზავნა.

სოლომონმა ლეჩხუმზე იმერეთის მეფეების მფლობელობის უფლების დამამტკიცებელი საბუთები ციციანოვს სოლომონ ლიონიძის ხელით გაუგზავნა. ამის შემდეგ იმერეთის მეფემ მიიღო ციციანოვის მიერ წარდგენილი პირობები და 25 აპრილს რუსეთის ერთგულებაზე დაიფიცა.

რუსეთ-იმერეთის ხელშეკრულება არ სცნობდა იმერეთის მეფის ტერიტორიულ პრეტენზიებს სამეგრელოს სამთავროს მიმართ და იმერეთის მეფისაგან მოითხოვდა დაეცალა მის მიერ დაკავებული ოდიშისა და ლეჩხუმის ციხეები. ამ მუხლს საიდუმლო დამატება ჰქონდა, რომელიც ციციანოვმა მეფეს საიდუმლოდ მისცა. „მთავარსარდალი პირობას იძლეოდა, რომ იმერეთის ჯარების მიერ დაკავებული ლეჩხუმის ციხეები მეფეს დარჩებოდა მანამდის, სანამ არ განიხილავდნენ მის მიერ წარმოდგენილ საბუთებს ამ რაიონის კუთვნილების შესახებ“ [3. 170-171].

სანამ ელზნაურში ციციანოვსა და სოლომონს შორის მოლაპარაკება მიმდინარეობდა, ლეჩხუმში სოლომონის წინააღმდეგ აჯანყება დაიწყო. ზოგიშის ციხის მფლობელი ახვლედიანი და აჭარის ციხის მფლობელი ბაკა ჩიქოვანი მეფეს განუდგნენ და დადიანს მიემხრნენ. იმერეთის მეფეს აუჯანყდნენ, აგრეთვე, კდლეაღმართის მეციხოვნეებიც.

ციციანოვმა ნება დართო დადიანს ლეჩხუმში შეჭრილიყო. დადიანის ჯარებმა ლეჩხუმის ყველა ციხე დაიკავეს გარდა ჭყვიშისა და გელისთავისა. 1804 წლის 4 აპრილს მათ სოფელ ლაბეჭინასთან მომხდარ ბრძოლაში

მეფის მომხრე რაჭველები დაამარცხეს. იმავე წელს, 20 აპრილს დადიანმა ალყა შემოარტყა დეხვირის ციხეს და მეფის მეციხოვნეთ ყველა გასასვლელი ჩაუკეტეს. გრიგოლ დადიანის ამ წარმატების შესახებ ნიკო დადიანი წერდა: „დადიანმან იწყო საქმედ ლეჩხუმის მოურავს ბერი გელოვანთან, რათა ქმნას ერთგულება მისი და დაეტეოს ერთგულება მეფისა. მიიღო ბრძანება დადიანისა გრიგოლისა ბერმან გელოვანმან. დაუტევა ერთგულება მეფისა და იქმნა ერთგული დადიანისა გრიგოლისა, ვინაითგან მემკვიდრეობით იყო ყმა დადიანისა გრიგოლისა და სახელი გელოვანთა ამაღლებულ იყო კაცია დადიანისაგან; ამისთვის მოუწოდა დადიანს ლეჩხუმს. წარვიდა დადიანი ნოღიდამ და მოვიდა თამაკოცნს და მოსცა თამაკონი ჯოღორია დგებუამემ. წარვიდა მუნით და შევიდა ლეჩხუმს, და მომეგება ბერი გელოვანი და სრულიად ლეჩხუმი და დაიპყრა გრიგოლიმ სრულიად ლეჩხუმი, გარდა ჭყვიშისა და ჭყვიში დაშთა ხელთა შინა მეფისათა; ლეჩხუმით წარმოვიდა და შემოიმტკიცა სრულიად ოდიში და დაიპყრა ყოველი სამთავრო მენგრელისა მშვიდობით“ [1. 193].

სოლომონ მეორემ მომხდარი ფაქტის შესახებ ციციანოვს აცნობა და დახმარება სთხოვა. სოლომონ მეორე ოდიშის მიმართ პრეტენზიებს არ აცხადებდა. როგორც რუსეთი ქვეშევრდომის მიმართ, მაგრამ ლეჩხუმს იმერეთის სამეფოს განუყოფელ ნაწილად მიიჩნევდა.

1804 წლის 29 მაისს გაგზავნილი რაპორტით ციციანოვი აცნობიერებდა ალექსანდრე პირველს, რომ რუსეთის ქვეშევრდომობაში შესული მეფე სოლომონ მეორე ითხოვდა აღმოსავლეთ საქართველოს მთავარმართებელს, რომ თხოვნითი მუხლების ხელმოწერის დროს მასში არ შეეტანათ ლეჩხუმის საკითხი, ვიდრე იგი არ წარმოადგენდა ციციანოვისთვის დამამტკიცებელ საბუთებს, რომ ლეჩხუმი იმერეთის მეფის კუთვნილება იყიდა სანამ ამ საკითხებზე იმპერატორი საბოლოო განჩინებას არ გამოიტანდა. ციციანოვი სოლომონის წერილსა და საბუთებს იმპერატორს უგზავნიდა განსახილველად და ამავე დროს ამ საკითხის შესახებ თავის მოსაზრებასაც ურთავდა. მისი აზრით, არ შეიძლებოდა გრიგოლ დადიანს მთელი ლეჩხუმი ჩამორთმეოდა, რადგან ეკატერინესა და ალექსანდრეს მიერ ნაბოძებ სიგელებში დადიანი ოდიშისა და ლეჩხუმის მთავრად იწოდებოდა. ციციანოვს მიაჩნდა, რომ მხედველობაში არ იყო მისაღები იმერეთის სამეფოს თავადაზნაურობისა და სამღვდელოების მტკიცებანი, რომლებიც თავიანთი ქვეყნის ინტერესებს იცავდნენ, როგორც ამ სამეფოს მოქალაქენი.

ციციანოვის აზრით, უმჯობესი იქნებოდა, რომ ლეჩხუმი ოდიშის სამთავროსა და იმერეთის სამეფოს შორის იმდაგვარად გაყოფილიყო, რომ ამ ორ პოლიტიკურ ერთეულს შორის კვლავ დარჩენილიყო დაძაბულობის კერად, რაც დასავლეთ საქართველოში რუსეთის იმპერიის გაბატონებას გააადვილებდა.

ამავე დროს ციციანოვმა ლეჩხუმის საკითხის მოგვარება მ. ტუჩკოვს დაავალა, მაგრამ ტუჩკოვმა ავადმყოფობის გამო ამ მისიის შესრულება ვერ შეძლო. მის ნაცვლად გაგზავნილი იქნა მოხელე ლიტვინოვი. მას დავალებული ჰქონდა გაერკვია რამ გამოიწვია ლეჩხუმის მცხოვრებთა დიდი ნაწილის გადასვლა დადიანის მხარეზე, რათა ზემოთ ხსენებულ ციხეთა მფლობელები და აქ შემვალი სოფლები კვლავ სოლომონ მეფის მფლობელობაში დაეტოვებინა.

ლიტვინოვმა თავის უპირველეს მიზნად სოლომონ მეფისა და გრიგოლ დადიანის შერიგება დაისახა. ამ მიზნით მან მეფის შემდეგ დადიანი ინახულა, ლეჩხუმსაც ეწვია, იქაურ პოლიტიკურ ვითარებას გაეცნო და ქუთაისს დაბრუნდა. რუსი მოხელის აზრთი, ლეჩხუმის საქმე სოლომონის სასარგებლოდ ვერ გადაწყდებოდა, რადგან ქვეყნის თავადები დადიანს არჩევდნენ, რაკი ამ უკანასკნელს ხელმწიფე წყალობდა.

1804 წლის 26 აპრილს ციციანოვმა ლეჩხუმის თავადების წერილი მიიღო. ამ წერილიდან კარგად ჩანდა, რამ განაპირობა ლეჩხუმის ფეოდალთა დადიანის მხარეზე გადასვლა.

1803 წელს, როდესაც ოდიშში მაინოვი ჩავიდა, რომელმაც გრიგოლ დადიანს გადასცა იმპერატორის რესკრიატი რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლის შესახებ, ლეჩხუმის თავადები, იმპერატორის წყალობის იმედით, განუდგნენ იმერეთის მეფეს. კვლავ მიერთვნენ დადიანს და მოაწერეს ხელი ხელმწიფის სიგელს. მათ მიიწვიეს დადიანი ლეჩხუმში და შეფიცეს ერთგულება. მეფის ერთგული მხოლოდ გელოვანთა ერთი ოჯახი და დეხვირის ციხის მფლობელნი დარჩნენ. დანარჩენი: გელოვანები, ჩიქოვანები, ახვლედიანები, ასათიანები ლეჩხუმის მფლობელად დადიანს ირჩევდნენ. ლეჩხუმის თავკაცები ჩიქოვანები და ახვლედიანები უარს აცხადებდნენ თავიანთი ციხეე-

ბითა და შემავალი სოფლებით მეფის მფლობელობის ქვეშ დარჩენილიყვნენ. ასევე სურდათ, მათ ჭყვიშისა და დეხვირის ციხეების მეფისათვის გადაცემა.

1804 წლის ივლისში ციციანოვის ინიციატივით, საჭილაოში იმერეთის მეფემ და ოდიშის მთავარმა შეთანხმებას მიაღწიეს.

ლეჩხუმის ის ციხეები და მათში შემავალი სოფლები, რომლებიც იმერეთის მხედრობას ჰქონდა დროებით დაკავებული, იმერეთის მეფეს უნდა დამორჩილებოდა, ხოლო ლეჩხუმის ის ნაწილი, რომელიც გრიგოლ დადიანის მომხრეებს ეკავათ, ოდიშის სამთავროს შემადგენლობაში რჩებოდა. იმერეთის მეფეს და სამეგრელოს მთავარს პეტერბურგს დეპუტაცია უნდა გაეგზავნათ ლეჩხუმზე მფლობელობის დამადასტურებელი საბუთებით და ხელმწიფის კარზე მათი განხილვის შემდეგ, იმპერატორი საბოლოოდ განჩინებას გამოიტანდა ლეჩხუმის შესახებ.

ამრიგად, ციციანოვის ინიციატივით, 1804 წლის ივლისში იმერეთის მეფემ და სამეგრელოს მთავარმა გარკვეულ კომპრომისს მიაღწიეს. ლეჩხუმის ციხეები და მათში შემავალი სოფლები, რომლებიც იმერეთის მხედრობას ჰქონდა დაკავებული, იმერეთის მეფეს უნდა დამორჩილებოდა. ლეჩხუმის დარჩენილი ნაწილი კი სამეგრელოს შემადგენლობაში შედიოდა.

სამეგრელოს სამთავროს რუსეთის შემადგენლობაში შესვლის შემდეგ რუსეთის არმიის ერთი როტა იმერეთის გზით სამეგრელოში შევიდა. გრიგოლ დადიანი უშუალოდ მონაწილეობდა რუსეთის მხედრობის დაბინავებაში. იმთავითვე დღის წესრიგში დადგა რუსეთის დამატებითი ჯარის ნაწილების ყირიმიდან სამეგრელოს სანაპიროზე გადმოსხმა.

თურქეთის მთავრობა შეშფოთებით შეხვდა საქართველოს სანაპიროზე რუსეთის ჯარის გამოჩენას და უარი განაცხადა სურსათით და ჯარისკაცებით დატვირთული რუსეთის გემები მათ საკუთრებაში არსებულ ფოთის ნავსადგურში შეეშვა. მაშინ სამეგრელოს მთავრის რჩევით, გადაწყდა რუსეთის სამხედრო გემები მდ. ხობის შესართავში მიეღოთ, რომელიც თურქებისაგან თავისუფალი იყო. ძველად ამ ადგილს კემხელს ეძახდნენ. ამ დროისათვის კი თურქების გავლენით მას ყულევი ეწოდებოდა თავდაპირველად იმერეთის გზით შემოსული რუსეთის მხედრობა დადგა, რომელიც ყირიმიდან დესანტს ელოდებოდა. 1804 წლის ოქტომბერში რუსეთის სამხედრო გემები ხობის შესართავს მოადგნენ და ყულევში რუსეთის დესანტი გადმოსხეს. რუსების დამატებითი ჯარების ზღვით მიღებაში, ნიკო დადიანის ცნობით, აქტიურად მონაწილეობდა სამეგრელოს ადგილობრივი ხელისუფლება, „მაშინ მოვიდნენ ზღვით მხედრობა რუსთა ყულევს, რომლისა მხედარმძღვანათ იყო ღენერალ-მაიორი და კავალერი იონ იონვიჩი რიკხოფი და რა ესმათ ერთგულთა გრიგოლისთა: „ძმათა გრიგოლისასა ჭყონდიდელ მიტროპოლიტს ბესარიონს, თავადს მხეიძეს პეტრეს და თავადს ჯაიანს ქაიხოსროს, თავადს სახლთუხუცესს ჩიქოვანს გიორგის (და მეცა მათთანა ვიყავი) მივეგებენით სიხარულით და აღმოუტანეთ ყოველნი ტვირთნი მათნი და წარმოუძეხვით მხედრობასა და პოლკოვნიკი ტარასოვი და რამოდენიმე მხედრობა დავაბანაკეთ ხუნწს, ხოლო იარანალი და სრული მხედრობა დასდგენ ხონს“ [1. 194].

1804 წლის 23 დეკემბერს გრიგოლ დადიანი ცაგერში გარდაიცვალა. სამთავრო ტახტის მემკვიდრე აფხაზეთის მთავარს ჰყავდა მძევლად, რომელიც პირველად დიდი გამოსასყიდის გარეშე უარს ამბობდა საპატიო ტყვის გათავისუფლებაზე. ტახტის მემკვიდრის გამოხსნა რუსეთის ჯარის დახმარებით მოხერხდა. „ხოლო შემდგომად წარსვლისა ჩვენისა წინა დედოფალმან და შეკრებულთა ერთგულთა წარგზავნეს კაცი ქელაიშ-აჰმად-ბეგთა თანა და სთხოვეს ლეონ ძე გრიგოლისა, გარნა მან, თეთრისა ანგარიშების მოყვარემან, ითხოვა მრავალი თეთრი და არა წარმოაგზავნა ლეონ, მცნობელმან ამისმან თავადმან კნიაზ ციციანოვმა განრისხებულმა უბრძანა ღენერალს რიქობს, რათა წარვიდეს თავისითა რწმუნებულითა მხედრობითა აყუს და შემუსროს, რათა არა დაშთეს ქვა ქვასა ზედა, რომელ არა დაირღვეს, და გამოიყვანოს ლეონ და ქმნას თვისსა სამკვიდროსა ზედა მთავრად. წარვიდა ოკხაფ თვისითა მხედრობითა და მისთანა სპანი ოდიშ-ლეჩხუმისანი და მოვიდა ანაკლიას ციხესა ზედა, რომელი ჟამს შინა მძლავრებით ეპყრა ქელაიშ-აჰმედ-ბეგსა და იყო გამაგრებული დიდითა მომზადებულებით. და რა მივიდნენ, მეორეს დღეს შეუტიეს მხედრობათა და ეგრეთვე ჩვენთანაცა და სამსა საათსა ზედა აღიღეს იგი. ამის სმენითა შიშით შეპყრობილმან ქელაიშ-აჰმედ-ბეგმან მსწრაფლად წარმოავლინა ლეონ გრიგოლის ძე და მოიყვანეს ანაკლიას. და მუნით წარმოიყვანეს და მოვიდნენ მხედრობაცა და სხვანიცა ზუგდიდს, მიულო-

ცეს მთავრობა ლეონს და მიათვალეს ყოველი სამთავრო მენგრელიისა საზღვრითი საზღვრამდე“ [1. 194].

მთავრის მცირეწლოვანების გამო, ხელმწიფის ბრძანებით სამეგრელოს რეგენტად დაინიშნა დედამისი, დედოფალი ნინო, რომელიც სამთავროს მართავდა ოთხი წევრისაგან შემდგარი საბჭოს დახმარებით [2. 198-199]. საბჭოში შედიოდნენ: ნიკოლოზ დადიანის ძე, „დიდ ნიკოდ“ წოდებული, ჭყონდიდელი ბესარიონი, სახლთუხუცესი გიორგი ჩიქოვანი და ლეჩხუმის მოურავი ბერი გელოვანი.

დედოფალ ნინოსა და ამ ახლად არჩეულ საბჭოს უპირველესი საზრუნავი სამთავროს საქმეების მოწესრიგება იყო. ამ მიზნით დედოფალმა იმპერატორ ალექსანდრე პირველთან დეპუტაცია გაგზავნა, რომელშიც შედიოდნენ: ნიკო და ბეჟან დადიანის ძეები და დეკანოზი იოსელიანი. დეპუტაციას დავალებული ჰქონდა სამეგრელოს მთავრის უფლებების დაცვა ლეჩხუმზე, რომელსაც იმერეთის მეფე სოლომონი ედავებოდა. იმპერატორისათვის უნდა ეთხოვათ, აგრეთვე, აფხაზეთისაგან ანაკლიის დაბრუნება. რუსეთში სამეგრელოს დეპუტაციის გამგზავრებას დაწვრილებით აღწერს ნიკო დადიანი: „წაველთ და მივედით ქუთაისს, მუნ იყო პეტრე მაქსიმოვიჩი ლიტვინოვი და მან გაგვისტურმა თავადთან ციციანოვან..., მივედით ტფილისს თავადს ციციანოვთან. მხილველი ჩვენი დიდათ მხიარულ იქმნა და მიგვიღო სამაგალითოს პატივის ცემითა. და შემდგომად თორმეტისა დღისა გაგვისტუმრა რუსეთად დიდის მომზადებულებითა და დიდის პატივითა, ყოვლის საჭიროებითა კმაყოფილნი, ნუ გავაგრძელებთ. მივედით რა სამეფოს ქალაქსა სანკტ-პეტერბურღს, შეგვიწყნარეს და მიგვიღეს სამაგალითოთა პატივითა, რომლის წარწერა დიდისადა მე განმგრძელდების და შემდგომად რამოდენიმე ხანის ინება და ღირს ვიქმენით ხილვად და თაყვანისცემად მისის იმპერატორებისათვის დიდებულებისა მოწყალისა და დიდისა ხელმწიფისა ალექსანდრეს პავლეს ძისა და ყოველთა მისთა ფამილიათა. და შემდგომად ხილვისა წარუგზავნეთ იოანეს დეკანონის ხელით რომელიცა გვქონდა ძღვნად წაიღებული ჩენის მთავრობას ნინა დედოფლისაგან ხატი ვლაქერნის ღმრთის მშობლისა, და მიართვა რა, მიიღო შესაბამითა პატივითა და დაასვენა თვისის სასახლის ეკლესიათა შინა დიდის ცერემონიითა“ [1. 195].

ალექსანდრე პირველმა სამეგრელოს დეპუტაციის თითქმის ყველა თხოვნა დააკმაყოფილა. მან სამეგრელოს რეგენტად ნინო დედოფალი დაამტკიცა, ხოლო ლევან მეხუთე დადიანს მთავრობის ნიშნები გამოუგზავნა. იმპერატორმა უხვად დააჯილდოვა სამთავროს სახლი და დეპუტაციის წევრები.

სამეგრელოს დეპუტაციის რუსეთში გამგზავრებისა და მისი უკან დაბრუნების დროსაც ლეჩხუმის საკითხი კვლავ რუსეთის ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების მიწერ-მოწერის და განხილვის საგანს წარმოადგენდა.

NONA ZHVELIA – *Acad. Doctor of History*

Principality of Odishi (Samegrelo) in 1801-1804

Summary

At the end of the 18th century, the Principality of Odishi and the Kingdom of Imereti again clashed. Solomon I tried to unite the Principality of Odishi with the Kingdom of Imereti. The ruler of Odishi appealed to Russia for help. In return, he pledged loyal vassalage to Alexander I. On July 4, 1804, Alexander I granted Grigol Dadiani's request and the Principality of Odishi was incorporated into the Russian Empire in the form of limited autonomy. Throughout its existence, the Principality of Odishi, or Samegrelo, had many chieftains, some strong, some weak, but the lord-patron, the Tavis Samtavros, was not limited by law, and was based on the well-known senior-servant relations of the developed or late feudal era: chief - prince - nobleman - serf - peasant - maid... The chief ruled the country through the principality's court, which did not change throughout the entire existence of the Samtavros. The main goal of the work is to present the internal and external relations of the Principality of Odishi in 1801-1804.

Keywords*: Georgia, Kingdom-Principalities, Odishi, Russia, International Relations.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დადიანი ნ., „ქართველთ ცხოვრება“, ტექსტის გამოსცა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, კომენტარები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო შ. ბურჯანაძემ, თბ., 1962.
2. Акты, собранные Кавказской археграфической коммисией, т. 2, Тифлис, 1868.
3. დუმბაძე მ., დასავლეთ საქართველო მე-19 ს-ის პირველ ნახევარში, თბ., 1957.
4. ჟველია ნ., ოდიშის (სამეგრელოს) სამთავრო XVI-XIX საუკუნეებში. თბ., 2012.
5. ლამბერტი არქანჯელო, „სამეგრელოს აღწერა“, თარგმანი იტალიურიდან ალექსანდრე ჭყონიასუმ თბ., 1991.
6. ბერაძე თ., „ოდიშის სამთავროს რუკა არქანჯელო ლამბერტის მიხედვით“, მაცნე ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის სერია, #3, თბ., 1971.
7. ბერაძე თ., „მეგრელი“, „სამეგრელო“, „ოდიში“. საქართველო და ქართველების უმნიშვნელოვანესი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია. თბ., 1994.
8. ბერძენიშვილი ნ., დუნდუა ვ., დუმბაძე მ., მელიქიშვილი გ., მესხია შ., რატიანი პ., „საქართელოს ისტორია, 1, უძველესი დროიდან მე-19 საუკუნის დასასრულამდე, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 1956.

NATIA LATSABIDZE
GTU, Associate Professor

THE "DEEP STATE" AND ITS INFLUENCE ON MODERN POLITICS

In contemporary political discourse, the term "Deep State" has gained increasing attention, often used to describe shadowy networks of individuals or groups that exert significant influence on national decision-making processes in various countries, beyond the reach of formal democratic institutions. The narrative of the "Deep State" has become a central focus in countries such as the USA, Turkey, Egypt, and others. This article examines the historical origins of the "Deep State" and explores the ways in which it influences political discourse, particularly in modern American politics. The article discusses various factors contributing to the emergence of the "Deep State" theory, including the expansion of government bureaucracies, corporate influence, and the role of intelligence agencies. Additionally, the paper considers how this narrative has been employed within the framework of contemporary political discourse, including during the Trump administration and the ongoing conflict in Ukraine, leading to significant changes in democratic governance. Although its existence remains a topic of debate, the concept of the "Deep State" raises important questions regarding the transparency of political processes and the balance of power in modern democracies.

Keywords: *Deep State, Political Influence, Modern Politics, U.S. Politics, Government Bureaucracy, Conspiracy Theory*

The term “Deep State” refers to an alleged secretive and influential group of people, typically within a nation's government or instituteons, who work to influence or control political decisions outside the public's view. While the existence of the Deep State is widely debated, the term has been used to describe covert power structures that some believe run parallel to or independently of elected governments. These individuals or groups often come from powerful sectors such as the military, intelligence agencies, finance, and media. Whether you view it as a conspiracy theory or a valid concern about unchecked power, the concept of the Deep State has undeniable implications for our understandding of modern politics.

The origins of the concept of the Deep State can be traced to historical events, particularly within countries where there is a history of military coups, secretive political factions, or authoritarian rule. “Deep State” comes from the Turkish *derin devlet*, a clandestine network, including military and intelligence officers, along with civilian allies, whose mission was to protect the secular order established, in 1923, by the father figure of post-Ottoman Turkey, Mustafa Kemal Atatürk. It was behind at least four coups, and it surveilled and murdered reporters, dissidents, Communists, Kurds, and Islamists. The Deep State takes a similar form in Pakistan, with its powerful intelligence service, the I.S.I., and in Egypt, where the military [1].

Active use of the term began by the American government as well, including during the Obama administration [2].

However, the theory reached mainstream recognition under the presidency of Donald Trump, who has falsely alleged the "deep state" is working against him and his administration's agenda [3], [4] - “Either the deep state destroys America or we destroy the deep state,” he told a rally in Waco, Texas, in March 2023. Trump’s deep state obsession isn’t a new thing. He’s been pumping up this theory since special counsel Robert Mueller launched the investigation into Russia’s interference in the 2016 election [5].

In the U.S., the idea of a deep state cabal of unelected officials secretively pulling the strings of American government, is widely believed. One 2018 poll even claimed that a majority of American voters place credence in the theory [6].

To understand the origins of the deep state, one must learn the nation's history, especially the years 1945–2001. This time saw the rise of the national security state, with the establishment of organizations such as the CIA and NSA. The emergence of the deep state from 1945 to the September 11 attacks has had extended consequences for modern American politics, making it critical to analyze this topic in depth, especially as the 2024 presidential election approaches.

Supporters of the Deep State theory claim that these covert power structures operate in various ways to maintain control over government policies. These may include:

1. Manipulating Elections: Some believe that the Deep State may work to influence or even rig elections to ensure that only candidates who align with their interests rise to power;
2. Controlling Information: The media is often cited as a tool used by the Deep State to shape public opinion and control narratives;
3. Secretive Agendas: The Deep State is believed to pursue its own political, economic, or military agendas, often at odds with the elected government;
4. Influence Through Economic Power: Corporations and financial institutions, believed to have significant influence over government policy, are also often seen as part of the Deep State network.

The rise of the "Deep State" narrative is fueled by a number of political, social and economic factors:

- Expansion of Government Bureaucracy: Governments have grown larger and more complex over time, with bureaucratic agencies taking on powerful roles in shaping policy. As these agencies often operate with considerable autonomy, some argue that decisions are being made without proper oversight or accountability, giving rise to suspicions of a hidden agenda;
- Role of Intelligence Agencies: Intelligence agencies, particularly in the U.S., have been central to many Deep State claims. Agencies like the CIA, NSA, and FBI are believed to hold significant sway over national and international politics, sometimes making decisions in secret that are not open to public scrutiny;
- Corporate Influence and Lobbying: The intersection of government and corporate interests is another source of the Deep State narrative. Large corporations, financial institutions, and powerful lobbyists are often seen as exerting undue influence on political decisions. Critics argue that political elites may prioritize corporate interests over those of the general public, further reinforcing the idea of an unelected power structure;
- Political Elites and the Revolving Door: The "revolving door" between government positions and corporate sectors also contributes to the Deep State idea. Many politicians and senior bureaucrats move in and out of positions within private corporations, leading to concerns that the interests of a few influential individuals may trump the will of the people.

Several significant events in modern history have added fuel to the Deep State narrative, including:

- The Watergate Scandal: The Watergate scandal in the 1970s, which resulted in President Nixon's resignation, exposed how government agencies could be used to manipulate public opinion and suppress political dissent. This event helped fuel suspicions that powerful, unelected groups were pulling the strings behind the scenes;
- The Iraq War and the War on Terror: The controversial decision to invade Iraq in 2003, based on false claims of weapons of mass destruction, was seen by many as an example of how government institutions–particularly intelligence agencies – could manipulate information and influence political decisions in ways that benefitted a select group, including defense contractors and other corporate interests;
- Edward Snowden and Mass Surveillance: The 2013 revelations by Edward Snowden about the NSA's mass surveillance programs gave rise to concerns about the unchecked power of government intelligence agencies. Critics argued that these agencies operated beyond public oversight and violated individual privacy rights, feeding into the idea that

a Deep State exists to monitor and control the population.

- In 2018, The New York Times published an anonymous op-ed by DHS chief of staff Miles Taylor titled "I Am Part of the Resistance Inside the Trump Administration", attributed at the time to a "senior official in the Trump Administration". In the essay, Taylor was critical of President Trump and claimed "that many of the senior officials in [Trump's] own administration are working diligently from within to frustrate parts of his agenda and his worst inclinations" [7]. Former House Speaker Kevin McCarthy described this as evidence of the deep state at work[36] and David Bossie wrote an op-ed at Fox News saying this was the deep state "working against the will of the American people" [8].

While the Deep State is a widely discussed concept, it remains highly controversial. Critics argue that the idea of a coordinated conspiracy is often exaggerated and that many of the actions attributed to the Deep State are simply the result of bureaucratic inefficiency, conflicting interests, and power struggles within government institutions. Additionally, some skeptics argue that the Deep State narrative is used to explain complex political phenomena that might not have a single, coordinated cause.

UCLA School of Law professor Jon D. Michaels argued that compared with developing governments such as Egypt, Pakistan, and Turkey, governmental power structures in the United States are "almost entirely transparent". Michaels argues that the American 'deep state', which is really the 'American bureaucracy', includes federal agencies responsible for regulation, welfare, crime prevention, and defense, and the employees who operate them, fundamentally differs from Trump's use of the term in five important respects: [9]

he "Deep State" theory is also closely tied to the influence of powerful corporate and financial interests within the EU. Brussels, being the political and administrative center of the EU, is home to a large number of lobbyists who represent multinational corporations, financial institutions, and other powerful interests. These groups can wield significant influence on EU policies, sometimes in ways that benefit corporations rather than the general public.

For example, large multinational corporations involved in industries like energy, pharmaceuticals, and finance have been accused of shaping EU legislation to serve their interests. Critics argue that these corporate elites, often backed by powerful lobbying organizations, are able to shape policies in a way that is not transparent or accountable to the public. The revolving door between government positions and the private sector in the EU, where former politicians and bureaucrats take high-paying jobs in private companies, further fuels the perception of a "Deep State." This interchangeability between the public and private sectors raises questions about whether the interests of the people are truly being represented. Some proponents of the "Deep State" narrative in the EU argue that national governments themselves may be complicit in creating a system where unelected bureaucrats in Brussels hold significant power. While EU member states theoretically maintain control over the EU's direction through the European Council and European Parliament, critics argue that national governments, particularly large ones like Germany and France, use the EU institutions to push through policies that may not be in the best interests of smaller member states.

The concept of the "Deep State" in the context of the Ukraine war, particularly in relation to the ongoing conflict between Ukraine and Russia, has been a subject of discussion, particularly in political discourse. The idea suggests that there may be hidden, unelected forces operating behind the scenes, shaping the course of events in ways that are not entirely transparent or subject to the will of the people. The Influence of NATO and the EU: The role of NATO and the European Union is often cited by conspiracy theorists as part of the “Deep State” narrative, with claims that these organizations are using Ukraine as a proxy in their strategic competition with Russia.

Critics sometimes argue that NATO’s expansion eastward, which Russia views as a direct threat, has exacerbated the conflict, and that Western powers are covertly pushing Ukraine toward deeper integration with NATO, despite concerns that this could further escalate tensions with Russia.

The Influence of Billionaires and Corporate Interests: Another facet of the "Deep State" narrative is the role of wealthy elites and multinational corporations. Some conspiracy

theories allege that these actors, including Ukrainian oligarchs and foreign corporate interests, have an outsized influence on the war's outcome and Ukraine's political direction. For example, energy companies, arms manufacturers, and international financial instituteons are often seen as having stakes in the continuation of the conflict or in shaping Ukraine's political landscape.

If the Deep State exists, it raises important questions about the future of democratic governance. A functioning democracy is built on the principle that elected officials represent the will of the people. However, if unelected individuals or groups wield more power behind the scenes, it could undermine this core principle. The implycations of a true Deep State – if it exists – might be far-reaching, including the erosion of public trust in political institutions and the potential for policies to be shaped by hidden forces with no accountability.

Whether the Deep State is real or simply a conspiracy theory, its existence in political discourse is undeniable. The concept serves as a lens through which people view power dynamics, transparency, and the relationship between elected officials and unelected institutions. Understanding the idea of a Deep State, and critically evaluating its validity, can help citizens navigate the complexities of modern governance and stay informed about the forces shaping their societies.

ნათია ლაცაბიძე – *სტუ, ასოცირებული პროფესორი*

„დიპ სტეიტი“ და მისი გავლენა თანამედროვე პოლიტიკაზე

რეზიუმე

თანამედროვე პოლიტიკურ დისკურსში ტერმინმა „Deep State“-მა მზარდი ყურადღება მიიპყრო, რომელიც ხშირად გამოიყენება ინდივიდების ან ჯგუფების ჩრდილოვანი ქსელების აღსაწერად, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ გადაწყვეტილების მიღების ეროვნულ პროცესებზე სხვადასხვა ქვეყნებში, ფორმალური დემოკრატიული ინსტიტუტების ხელმისაწვდომობის მიღმა. „დიპ სტეიტი“-ს ნარატივი მნიშვნელოვანი ყურადღების ცენტრში მოექცა ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა აშშ, თურქეთი, ეგვიპტე და სხვ. ამ სტატიაში განიხილება „დიპ სტეიტი“-ს წარმოშობის ისტორიული მიზეზები და იმ გზების ამოხსნა, რომლითაც იგი პოლიტიკურ დისკურსზე ახდენს გავლენას, განსაკუთრებით თანამედროვე ამერიკულ პოლიტიკაში.

სტატიაში განხილულია სხვადასხვა ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობენ „დიპ სტეიტი“-ს თეორიის აღმოცენებას, მათ შორის მთავრობის ბიუროკრატიების გაფართოება, კორპორატიული გავლენა და სადაზვერვო სააგენტოების როლი. გარდა ამისა, ნაშრომი განიხილავს იმ გზებს, თუ როგორ იქნა ეს ნარატივი გამოყენებული თანამედროვე პოლიტიკური დისკურსის ფარგლებში, მათ შორის ტრამპის ადმინისტრაციის დროს და მიმდინარე უკრაინის კონფლიქტში, რაც იწვევს დემოკრატიული მმართველობის მნიშვნელოვნად ცვლილებებს. მიუხედავად იმისა, რომ მისი არსებობა რჩება დისკუსიის თემად, „დიპ სტეიტი“-ს კონცეფცია აჩენს მნიშვნელოვან კითხვებს პოლიტიკური პროცესების გამჭვირვალობისა და ძალაუფლების თანაფარდობის შესახებ თანამედროვე დემოკრატიებში.

საკვანძო სიტყვები: *ღრმა სახელმწიფო, პოლიტიკური გავლენა, თანამედროვე პოლიტიკა, აშშ-ს პოლიტიკა, მთავრობის ბიუროკრატია, შეთქმულების თეორია.*

Bibliography:

1. David Remnick - "There Is No Deep State"; The New Yorker; 2017 www.newyorker.com/magazine/2017/03/20/there-is-no-deep-state

2. Fallows, James (July 15, 2013). "The Impending Senate Vote on Confirming Nominees". *The Atlantic Monthly*. Retrieved October 21, 2018.
3. Barnes, Julian E.; Goldman, Adam; and Savage, Charlie (December 18, 2018) "Blaming the Deep State: Officials Accused of Wrongdoing Adopt Trump's Response" The New York Times
4. Ruper, Aaron (June 17, 2019) "Trump accidentally undercuts his own 'deep state' FBI conspiracy theory" Vox
5. www.vox.com/policy-and-politics/2020/5/13/21219164/trump-deep-state-fbi-cia-david-rohde
6. www.scientificamerican.com/article/state-secrecy-explains-the-origins-of-the-deep-state-conspiracy-theory/
7. McCarthy, Kevin (September 7, 2018). "A Top Republican Fires Back at 'Anonymous'". The New York Times. Retrieved November 17, 2018.
8. Bossie, David N. "Anonymous NY Times op-ed shows Deep State thugs are working against the will of the American people". Fox News. Retrieved November 17, 2018.
9. Michaels, Jon D. (2017). "The American Deep State". Notre Dame L. Rev. 93: 1653.
10. Glynnis Winona B - "Role of Deep State in American Power"; Modern Diplomacy; 2025

https://geotimes.ge/khom-sheidzleba-diph-stheithis-egidith-msophlioshi-ganvitharebul-ama-thu-im-simakhinjes-da-danashauls-thbilisuri-agentura-an-gaemijnos-an-thanaziarebisagan-thavi-sheikavos-magram-nuras-ukatsravad-davi/

ნატა თეთვაძე
სეუ, მოწვეული ლექტორი

რეპრესიასა და წინააღმდეგობას შორის: თინათინ გონიაშვილისა და თინათინ თუშმალიშვილის პოლიტიკური მოღვაწეობა (1942 წლის შეთქმულება)

სტატია მიმოიხილავს 1942 წლის შეთქმულების პოლიტიკურ და დიპლომატიურ კონტექსტს საქართველოში, განსაკუთრებული ყურადღებით ორი ქალის – თინათინ გონიაშვილისა და თინათინ თუშმალიშვილის – ბიოგრაფიებზე. ომისა და საბჭოთა რეპრესიის პირობებში მათი ქმედებები წარმოადგენდა ინტელექტუალურ წინააღმდეგობას, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ტოტალიტარული რეჟიმის იდეოლოგიურ მონოლითურობას.

საბჭოთა ხელისუფლება შეთქმულების ჩახშობას იყენებდა როგორც შიდა დიპლომატიურ იარაღს – ერთიანობის დემონსტრირებისა და საერთაშორისო პარტნიორების წინაშე პოლიტიკური ლოიალობის გამოსაჩენად. ამავე დროს, ქალთა მონაწილეობა აჩვენებს, რომ ეროვნული მოძრაობა საქართველოში სქესობრივი საზღვრების მიღმა არსებული სულიერი წინააღმდეგობის ფორმა იყო.

თინათინ გონიაშვილისა და თინათინ თუშმალიშვილის მაგალითები წარმოაჩენენ, რომ პოლიტიკური თავისუფლების იდეა შეიძლება არსებობდეს არა მხოლოდ იარაღით, არამედ განათლებით, ეთიკითა და მორალური გამბედაობით – ეს კი საქართველოს დიპლომატიური და ეროვნული ისტორიის განუყოფელი ნაწილია.

საკვანძო სიტყვები: *პოლიტიკა. რეპრესიები, 1942 წლის შეთქმულება, ანტისაბჭოთა მოძრაობა, რევოლუცია, კონტრრევოლუცია.*

საბჭოთა კავშირსა და ნაცისტურ გერმანიას შორის დაწყებული ომი 1941 წლის 22 ივნისს გარდამტეხ მოვლენად იქცა როგორც გლობალურ, ისე რეგიონულ პოლიტიკაში. მეორე მსოფლიო ომის აღმოსავლეთის ფრონტის გახსნამ გავლენა მოახდინა საბჭოთა რესპუბლიკების შიდა პოლიტიკურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. ომის პირველ თვეებში წითელი არმიის უკანდახევამ, მასობრივმა მობილიზაციამ და რეჟიმის შიშის ატმოსფერომ მნიშვნელოვნად შეცვალა საბჭოთა მოქალაქეთა მსოფლმხედველობა.[1]

საქართველო, როგორც საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი რესპუბლიკა, ამ პერიოდში აღმოჩნდა ორმაგი პოლიტიკური გავლენის ქვეშ: ერთი მხრივ, საბჭოთა პროპაგანდა ამკვიდრებდა ერთგულების გრძნობასს „ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის“ სახელით, ხოლო მეორე მხრივ, საზოგადოებაში არსებობდა არალეგალური ჯგუფები, რომლებიც ომის ვითარებას აღიქვამდნენ როგორც შანსს საბჭოთა მმართველობის შერყევისათვის და ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენისათვის.[2]

ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ 1942 წლის შეთქმულება – ერთ-ერთი ყველაზე დრამატული ეპიზოდი საქართველოს ანტისაბჭოთა მოძრაობის ისტორიაში. შეთქმულება მოიცავდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტებს, ინტელიგენციის წარმომადგენლებსა და ავჭალის პოლკის სამხედრო მოსამსახურეებს. ორგანიზატორთა მიზანი იყო საბჭოთა ხელისუფლების დამხობა გერმანიის გამარჯვების შემთხვევაში და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება გერმანიის პროტექტორატის ქვეშ.[3]

შეთქმულების გეგმა ითვალისწინებდა თბილისის სტრატეგიული ობიექტების – ფოსტის, ტელეგრაფის, რადიოკვანძის, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის შტაბის დაკავებას. აჯანყებულებს უნდა დაეპატიმრებინათ მთავრობა და დაემყარებინათ კავშირი გერმანიის არმიის ხელმძღვანელობასთან, რათა რადიოთი გამოეცხადებინათ საქართველოს დამოუკიდებლობა.[4]

თუმცა შეთქმულება მალევე გასცეს. 1942 წლის იანვრიდან საბჭოთა უშიშროების ორგანოებმა დაიწყეს მასობრივი დაპატიმრებები, ხოლო სექტემბერში ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო ტრიბუნალმა გაასამართლა 33 ადამიანი. მათგან 17 დახვრიტეს, დანარჩენებს კი სხვადასხვა ვადით პატიმრობა ან გადასახლება მიესაჯათ.[5]

თინათინ გონიაშვილი: ინტელექტუალური წინააღმდეგობის სიმბოლო

თინათინ ბაგრატის ასული გონიაშვილი – ქართველი მეცნიერი, ენათმეცნიერი და უნივერსიტეტის დოცენტი – ერთ-ერთი ყველაზე გამოკვეთილი ფიგურაა 1942 წლის შეთქმულების ისტორიაში. მისი პროფესიული და ინტელექტუალური საქმიანობა მჭიდროდ უკავშირდებოდა ეროვნულ-კულტურულ ცნობიერებას, რაც ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში ბუნებრივად გადაიზარდა ანტისაბჭოთა განწყობაში.[6]

გონიაშვილის დაპატიმრების დოკუმენტები, რომლებიც დაცულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში, ცხადყოფს, რომ იგი ბრალდებული იყო ანტისაბჭოთა საქმიანობაში მონაწილეობისა და შეთქმულთა მხარდაჭერისთვის. დოკუმენტების თანახმად, იგი იყო ინფორმირებული კონტრრევოლუციური ორგანიზაციის შესახებ, რომელსაც „რაინდთა ორდენის კავშირი – სულიერი რაინდები“ ეწოდებოდა.[7]

მიუხედავად იმისა, რომ გონიაშვილს არ დაუმტკიცდა უშუალო მონაწილეობა შეიარაღებული აჯანყების ორგანიზებაში, მას წაუყენეს ბრალდება „ანტისაბჭოთა აგიტაციისა“ და „კონტრრევოლუციურ ელემენტებთან თანამშრომლობისთვის“. სასამართლომ იგი დამნაშავედ ცნო და ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა ქონების კონფისკაციის გარეშე.[8]

თინათინ გონიაშვილის საქმე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ასახავს საბჭოთა სამართლის იმ მახინჯ მექანიზმს, რომლის საშუალებითაც რეჟიმი ახშობდა ინტელექტუალურ განსხვავებულ აზრს. მისი სასამართლო პროცესი წარმოადგენდა ფორმალურ იურიდიულ აქტს, რომლის მიზანიც იყო არა სამართლის აღსრულება, არამედ პრევენციული დაშინება იმ ფენების მიმართ, რომლებიც განათლებისა და კრიტიკული აზროვნების მატარებლები იყვნენ.[9]

გონიაშვილის შემდგომი ბიოგრაფია განსაკუთრებული სიმტკიცის მაგალითია: გადასახლების შემდეგ დაბრუნებული, კვლავ ჩაერთო სამეცნიერო საქმიანობაში, იკვლევდა ჩაჩნურ-ინგუშურ ენებს და განაგრძობდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. ამით იგი იმ იშვიათი შემთხვევებიდან ერთია, ვინც ტოტალიტარულ რეჟიმთან დაპირისპირების შემდეგ შეძლო ინტელექტუალური რეპუტაციის აღდგენა.[10]

თინათინ თუშმალიშვილი: ეროვნული ღირსებისა და მორალური წინააღმდეგობის გზა

თინათინ ალექსანდრეს ასული თუშმალიშვილი, განათლებული პედაგოგი და თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის თანამშრომელი, ასევე აღმოჩნდა ანტისაბჭოთა შეთქმულების მონაწილეთა შორის. მისი მამა ადრე იყო რეპრესირებული, რაც მის ანტისაბჭოთა განწყობას დამატებით განაპირობებდა.[11]

თუშმალიშვილის მიმართ გამოძიებამ წამოაყენა ბრალდება კონტრრევოლუციურ ორგანიზაციასთან დაკავშირების და ანტისაბჭოთა პროპაგანდის გავრცელების შესახებ. თუმცა დოკუმენტური მასალები აჩვენებს, რომ იგი ორგანიზაციაში ფორმალურად არ მონაწილეობდა. მიუხედავად ამისა, საბჭოთა უშიშროებამ იგი დააკავა და წაუყენეს ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 58/10 და 58/12 მუხლებით – „ანტისაბჭოთა პროპაგანდისა და კონტრრევოლუციური საქმიანობის ცოდნის დაფარვისათვის“.[12]

ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო ტრიბუნალმა თუშმალიშვილი საბოლოოდ გაათავისუფლა სასამართლო დარბაზიდან, რაც იშვიათი შემთხვევა იყო იმ ეპოქაში.[13]

მიუხედავად სასამართლოს გადაწყვეტილებისა, ის მრავალი წლის განმავლობაში ცხოვრობდა პოლიტიკური სტიგმის ქვეშ, როგორც „მტრის შვილი“. მოგვიანებით იგი იხსენებდა:

„საშინელი გრძნობა იყო, როდესაც სახლთან ღამე მანქანა ჩერდებოდა... ახლაც მაქვს გამოყოლილი შიში მანქანის გაჩერების ხმაზე.“[14]

თუშმალიშვილის ბიოგრაფია წარმოადგენს ნათელ ილუსტრაციას იმ ფსიქოლოგიური ტერორისა, რომელიც საბჭოთა სახელმწიფომ გაავრცელა საკუთარი მოქალაქეების ცნობიერებაში. მისი პირადი გამოცდილება აჩვენებს, რომ საბჭოთა რეჟიმის ძალადობა მხოლოდ ფიზიკური რეპრესიებით არ შემოიფარგლებოდა – მას თან ახლდა მორალური და ფსიქოლოგიური განადგურება, რომელიც თაობების კოლექტიურ მეხსიერებაში ჩაიბეჭდა.

დიპლომატიური და პოლიტიკური კონტექსტი

1942 წლის შეთქმულების მნიშვნელობა მხოლოდ შიდა პოლიტიკურ მოვლენად არ უნდა განვიხილოთ. ის პირდაპირ უკავშირდებოდა საბჭოთა კავშირის საგარეო და დიპლომატიურ პოლიტიკას მეორე მსოფლიო ომის პერიოდში. საბჭოთა ხელისუფლება ცდილობდა აეხსნა და გაემართლებინა შიდა რეპრესიები საერთაშორისო ასპარეზზე როგორც „ფაშისტურ აგენტურასთან ბრძოლის“ ნაწილი.[15]

სწორედ ამგვარი ნარატივით საბჭოთა კავშირი ასაბუთებდა, რომ შინაგანი წინააღმდეგობები არ წარმოადგენდა ეროვნულ ან სოციალურ პროტესტს, არამედ მხოლოდ მტრის პროპაგანდის შედეგი იყო. ამ პოლიტიკამ დიპლომატიურ დონეზე ორი მიზანი ჰქონდა:

1. დაეცვა სახელმწიფოს საერთაშორისო იმიჯი მოკავშირეებთან (დიდ ბრიტანეთთან და აშშ-სთან);
2. გაემართლებინა შიდა პოლიტიკური ტერორი როგორც „ომის აუცილებელი ზომა“.[16]

გერმანიასთან ომის პერიოდში საბჭოთა პროპაგანდა ყველა ტიპის დისიდენტობას ანტისახელმწიფოებრივ მოღალატეობად წარმოაჩენდა. ამით რეჟიმი არა მხოლოდ ამართლებდა შეთქმულების მონაწილეთა სიკვდილით დასჯას, არამედ ამტკიცებდა საკუთარი იდეოლოგიური ერთიანობის პრინციპს – „ერთიანი საბჭოთა ხალხის“ მითს, რომელიც ლეგიტიმაციის უმთავრესი წყარო იყო სტალინის ხელისუფლებისთვის.[17]

ამ თვალსაზრისით, თინათინ გონიაშვილისა და თუშმალიშვილის საქმეები შეიძლება შეფასდეს როგორც შიდა დიპლომატიური აქტი – ხელისუფლების მცდელობა შიდა პროტესტის დისციპლინირებისა და საერთაშორისო არენაზე ერთობის დემონსტრირებისათვის.

დისიდენტ ქალთა პოლიტიკური როლი

1942 წლის შეთქმულება, თავისი არსით, იყო მცდელობა გაემიჯნათ ეროვნული თვითშეგნება საბჭოთა იდეოლოგიისგან. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქალთა მონაწილეობა ამ პროცესში, რაც ეწინააღმდეგებოდა საბჭოთა ნარატივს „ქალის სოციალისტური გათავისუფლებისა“ და იდეოლოგიური ლოიალობის შესახებ.

თინათინ გონიაშვილი და თინათინ თუშმალიშვილი წარმოადგენდნენ იმ ინტელექტუალურ ფენას, რომელმაც საბჭოთა რეჟიმის ფარგლებში განათლება მიიღო, თუმცა იმავე განათლებამ მათ ჩაუყარა საფუძველი რეჟიმის კრიტიკულ გააზრებაში. მათი პოლიტიკური პოზიცია შეგვიძლია განვსაზღვროთ როგორც „მორალური დისიდენტობა“ – ანუ წინააღმდეგობა, რომელიც ჩნდება არა პოლიტიკური იარაღით, არამედ ინტელექტუალური ღირსების, ეროვნული იდენტობისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის საფუძველზე.[18]

მათი მონაწილეობა შეთქმულებაში ადასტურებს, რომ ქართული ანტისაბჭოთა მოძრაობა არ იყო მხოლოდ სამხედრო ან იდეოლოგიური ფორმაციის მოვლენა – მას სიღრმეში ჰქონდა კულტურული და გენდერული განზომილება, სადაც ქალთა როლი ეროვნული თვითშეგნების გადარჩენის საქმეში გადამწყვეტი იყო.[19]

მაშასადამე, 1942 წლის შეთქმულება საქართველოს ისტორიაში წარმოადგენს გარდამტეხ ეპიზოდს, რომელიც აერთიანებს პოლიტიკური წინააღმდეგობის, დიპლომატიური სტრატეგიისა და მორალური გამბედაობის ელემენტებს. თინათინ გონიაშვილი და თინათინ თუშმალიშვილი – ორი განათლებული ქართველი ქალი – არა მხოლოდ ისტორიული ფიგურებია, არამედ იმ ეპოქის სულიერი სიმტკიცის სიმბოლოები.

მათი ბიოგრაფიები აჩვენებს, რომ საბჭოთა პოლიტიკური რეპრესიის პირობებში ინტელექტუალური წინააღმდეგობა არ წყდებოდა – ის ხანდახან ჩუმად, ფარულად, მაგრამ მუდმივად განაგრძობდა არსებობას. დიპლომატიური თვალსაზრისით, ამ მოძრაობამ, მიუხედავად მარცხისა, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქართული პოლიტიკური თვითშეგნების ფორმირებაში.

შეთქმულების მონაწილეთა ტრაგედია, მათ შორის თინათინების, გვახსენებს, რომ დამოუკიდებლობის იდეა არასოდეს ქრება ბოლომდე – იგი ცოცხლობს იმ ადამიანებში, ვინც თავისუფლების სურვილს განათლებითა და მორალური სიმტკიცით იცავს.

Between repression and resistance: political work of Tinatin Goniashvili and Tinatin Tushmalishvili (conspiracy of 1942)

Summary

This article explores the political and diplomatic context of the 1942 conspiracy in Georgia, with particular emphasis on the biographies of two women – Tinatin Goniashvili and Tinatin Tushmalishvili. In the context of war and Soviet repression, their actions embodied a form of intellectual resistance that challenged the ideological monolith imposed by the totalitarian regime.

The Soviet authorities employed the suppression of the conspiracy as an internal diplomatic instrument, both to demonstrate unity domestically and to signal political loyalty to international partners. Simultaneously, the active involvement of these women illustrates that the national movement in Georgia represented a form of spiritual resistance that transcended conventional gender boundaries.

The experiences of Tinatin Goniashvili and Tinatin Tushmalishvili underscore that the pursuit of political freedom is not solely expressed through armed struggle but can also manifest through education, ethical commitment, and moral courage – elements that constitute an integral part of Georgia's diplomatic and national history.

***Key words**: politics. Repression, conspiracy of 1942, anti-Soviet movement, revolution, counter-revolution.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი №1, საქმე №1964.
2. კვერენჩხილაძე, ი. საქართველოს ეროვნული მოძრაობის ისტორია XX საუკუნეში. თბილისი: უნივერსალი, 2017.
3. Pipes, R. Russia Under the Bolshevik Regime. Vintage Books, 1994.
4. Suny, R. G. The Making of the Georgian Nation. Indiana University Press, 1998.
5. გაზეთი „უნივერსიტეტი“. ინტერვიუ თინათინ თუშმალიშვილთან, 2009.

✍ **LELA CHIKOVANI**
GTU, PhD Student

Theory or Practice - The Weak Deter the Strong

This article examines the dynamics of asymmetric deterrence in international relations, focusing on the conditions under which weaker states or non-state actors are able to deter intervention by more powerful states. Drawing on contemporary theoretical literature, including the works of Arreguín-Toft and other scholars, the study critically reassesses classical power-centric approaches to deterrence and conflict.

The central argument of the article is that deterrence is not solely a function of material military capabilities, but rather a socio-political process deeply embedded in societal cohesion, ideological narratives, historical experience, and perceptions of legitimacy. Weaker actors often rely on unconventional strategies – such as guerrilla warfare, decentralized resistance, and the use of sanctuary – which significantly increase the costs of intervention for stronger states and reduce the effectiveness of conventional military superiority.

At the same time, the behavior of powerful states is shown to be constrained by non-material factors, including domestic political accountability, public opinion, ethical considerations, and normative pressures related to legitimacy and self-determination. As a result, intervention decisions are frequently shaped not only by capability but also by strategic selectivity and cost-benefit calculations.

The article further illustrates these dynamics through case references such as the Kosovo conflict and the Darfur crisis, demonstrating that outcomes in asymmetric conflicts are often determined by broader political and strategic contexts rather than purely by material balance of power. The study concludes that small states are not passive objects of structural constraints but active strategic agents capable of influencing the behavior of stronger powers through a hybrid combination of military, social, and ideological instruments.

Keywords: asymmetric deterrence; small states; international relations; unconventional warfare; guerrilla strategy; power asymmetry; legitimacy; national identity; intervention; security policy.

Biologically, all living organisms have evolved final lines of defense against external threats, and small states are no different. Yet, like a weaker animal confronted by a dominant predator, smaller nations often lack the means to withstand aggression from more powerful adversaries. Nevertheless, as Handel (1981, p. 92) emphasizes, they must work to "avoid becoming just a defenseless prey."

Over time, researchers have uncovered recurring patterns behind instances where weaker actors successfully resist stronger ones. Arreguin-Toft (2009) contends that success in unconventional deterrence hinges largely on the strategic interplay between opposing sides [1]. 288.

For materially disadvantaged actors to prevail, four key factors are critical:

1. widespread societal support;
2. access to sanctuary - whether geographical or political;
3. an ideological narrative that sanctifies sacrifice as noble and necessary, such as nationalism;
4. a unified strategy that skillfully integrates these elements [1. 291].

In most asymmetric conflicts, popular support proves decisive. Smaller states often possess cohesive societies where national

decisions, especially those involving war, closely reflect collective sentiment.

The unconventional deterrence strategies employed by weaker states are deeply embedded in their cultural, historical, and ideological contexts - factors that make these tactics difficult for stronger powers to anticipate or neutralize. These states frequently adopt decentralized, irregular methods such as guerrilla warfare to erode the political objectives of their more powerful opponents. In contrast, many dominant nations regard such approaches as illegitimate or morally questionable, which restricts their ability or willingness to respond in equivalent fashion. Since conventional military forces lack effective countermeasures against guerrilla campaigns - without resorting to similar tactics - stronger states often fall short of achieving their aims.

The core reason weaker states can deter stronger ones lies precisely in their reliance on such asymmetrical methods. To respond effectively, dominant powers would need to adopt more agile and adaptive strategies. However, institutional inertia and ethical considerations have largely prevented this evolution, meaning the existing imbalance - where small states retain the capacity to pose serious challenges - is likely to endure.

Because most powerful nations continue to depend solely on conventional deterrence, their performance in asymmetric conflicts tends to produce limited outcomes. As Freedman argues, real change will require stronger states to pursue more direct and flexible approaches [2].

The limitations of traditional deterrence in unconventional settings were already apparent before World War I, when colonial powers attempted to crush resistance in weaker territories through sheer firepower - a tactic that frequently failed to establish lasting control.

There is now growing doubt among major powers about the justification for intervening in weaker states. High costs in both lives and resources, coupled with minimal strategic gains, act as strong deterrents. Studies indicate that without the promise of securing vital assets or influencing a larger geopolitical contest, developed nations are hesitant to commit militarily.

As Samantha Power observes, absent critical strategic interests or great-power rivalry, „there was and remains no strategic rationale for intervention“ – rendering inaction both logical and foreseeable [1. 298].

This aversion to potential failure has been evident in recent conflicts. During the Kosovo crisis (1998–1999), for instance, significantly weaker Kosovar forces managed to thwart the intervention efforts of major global powers. As Arreguin-Toft notes, „Kosovar Albanian courage, anger, and determination after the war undid […] the Serb goal“. This outcome was partly due to Western reluctance, rooted in the absence of clear strategic benefits from deeper engagement [1. 299].

A further illustration of how powerful nations struggle to assist weaker states in achieving unconventional deterrence can be seen in the protracted conflict in Darfur, Sudan (2003 – present). Despite nearly a decade of ongoing violence, Western powers have shown little genuine willingness to intervene and halt the insurgency. The Darfur crisis, ongoing since February 2003, underscores a broader pattern: the longer a conflict persists without resolution, the more effectively a weaker state – or non-state actor – can deter intervention by a stronger power. In this instance, current attempts by the United States and other influential countries to prevent further attacks by insurgents in Sudan are largely ineffective, primarily because they come too late to alter the entrenched dynamics.

Unconventional deterrence has increasingly succeeded for weaker actors precisely because „the nature of power itself – the power to destroy, the power to coerce and deter“ – is deeply shaped by cultural and historical contexts unique to each society. These actors leverage distinct societal values such as nationalism and willingness for self-sacrifice to counter the conventional military dominance of stronger adversaries, whose strategies often rely on superior weaponry and threats of massive destruction [1. 301].

Furthermore, the widely accepted principle among powerful states that national

self-determination is legitimate creates a moral and political constraint: using lethal force against those fighting for such causes becomes increasingly unacceptable. As a result, not only do strong states grow less capable of coercing weaker opponents over time, but they also demonstrate a growing reluctance to attempt it [1. 301].

Expanding on this, Arreguin-Toft argues:

> …[N]ationalist movements operating in difficult terrain, employing indirect defense strategies, or whose defeat offers no tangible gain to the aggressor, typically find it far easier to deter intervention by stronger powers– even in the face of atrocities as harrowing as those in Rwanda and Darfur. The potential gains from success are minimal or nonexistent, while the likely costs are substantial – possibly escalating into a Vietnam-style quagmire. Whether this restraint stems from societal aversion to violence or public sensitivity to financial and human costs is ultimately irrelevant.

One of the most effective responses to such deterrence might be for stronger states to develop and maintain military doctrines specifically tailored for counterinsurgency when confronting asymmetric warfare. Implementing such strategies could enable them to manage crises in fragile regions like Darfur and potentially prevent future tragedies akin to the Rwandan genocide.

Yet, for weaker states facing overwhelming threats from more powerful foes, the imperative remains to consistently signal that full-scale war would be unproductive and strategically unsound. They must find ways to consolidate their influence and present a united front capable of deterring aggression. Even as deterrence sometimes fails, smaller nations must remain vigilant - closely monitoring the political, economic, and military intentions of dominant powers. By forging strategic alliances with partners able to deliver strong deterrent signals, they can bolster their security and navigate an unpredictable international landscape more effectively.

The analysis of asymmetric deterrence dynamics demonstrates that the relationship between strong and weak actors in the contemporary international system cannot be adequately understood through traditional, materially deterministic frameworks alone.

While classical theories of power emphasize military superiority and resource concentration as decisive factors in conflict outcomes, the empirical evidence discussed in the text suggests that weaker states are often able to generate effective forms of deterrence through the strategic mobilization of social cohesion, ideological narratives, and decentralized resistance structures.

In this context, deterrence emerges not merely as a function of material capability, but as a complex socio-political process embedded in cultural meaning, collective identity, and perceived legitimacy.

The effectiveness of unconventional strategies – such as guerrilla warfare, prolonged resistance, and the use of sanctuary – illustrates that asymmetry does not automatically translate into vulnerability. On the contrary, it may produce strategic environments in which stronger actors face escalating costs, reputational risks, and diminishing returns, thereby constraining their willingness to intervene.

At the same time, the behavior of powerful states reveals a parallel structural limitation. Despite their overwhelming military capabilities, such actors are increasingly constrained by political accountability, domestic sensitivity to casualties and costs, and normative pressures related to legitimacy and self-determination. As a result, intervention decisions are frequently shaped not by capability alone, but by strategic selectivity and cost-benefit calculations, particularly in conflicts where core national interests are absent.

Therefore, asymmetric deterrence should be understood as an evolving equilibrium shaped by interaction between material asymmetry and non-material constraints. This equilibrium is neither stable nor universal; rather, it varies across historical contexts, geopolitical environments, and cultural settings. The persistence of such dynamics suggests that the classical hierarchy of power in international relations is increasingly supplemented – and in some cases challenged

– by alternative forms of influence rooted in societal resilience and political will.

Ultimately, the findings indicate that small states are not merely passive recipients of structural constraints, but active strategic agents capable of shaping the costs and outcomes of intervention by stronger powers. Their behavior reflects an adaptive logic of survival, in which military, social, and ideological instruments are integrated into a coherent deterrence strategy under conditions of extreme asymmetry.

ლელა ჩიქოვანი – *სტუ, დოქტორანტი*

თეორია თუ პრაქტიკა – სუსტები ახერხებენ ძლიერების შეკავებას

რეზიუმე

წინამდებარე სტატია იკვლევს ასიმეტრიული შეკავების (asymmetric deterrence) დინამიკას საერთაშორისო ურთიერთობებში და განიხილავს პირობებს თუ გარემოებებს, როდესაც სუსტი სახელმწიფოები ან არასახელმწიფო აქტორები ახერხებენ ძლიერი სახელმწიფოების შეკავებასა და მათი ინტერვენციის შეზღუდვას. კვლევა ეფუძნება თანამედროვე თეორიულ ლიტერატურას, მათ შორის ჯ. ჯონ არრეგუინ-ტოფტისა და სხვა ავტორების ნაშრომებს, და აერთიანებს კლასიკური ძალაუფლებრივი პარადიგმის კრიტიკულ გადახედვას.

სტატიის ძირითადი არგუმენტი მდგომარეობს იმაში, რომ შეკავება არ არის მხოლოდ მატერიალური ძალის ფუნქცია, არამედ წარმოადგენს სოციალურ-პოლიტიკურ პროცესს, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული საზოგადოებრივ მხარდაჭერასთან, იდეოლოგიურ ნარატივებთან, ისტორიულ გამოცდილებასა და ლეგიტიმაციის აღქმასთან. სუსტი სახელმწიფოები ხშირად იყენებენ არაკონვენციურ სტრატეგიებს - მათ შორის პარტიზანულ ომს, დეცენტრალიზებულ წინააღმდეგობასა და ტერიტორიულ სიღრმეში მოქმედებას - რაც ზრდის ძლიერი ძალებისათვის კონფლიქტის ხარჯებს და ამცირებს მათი სამხედრო უპირატესობის ეფექტიანობას.

ამავდროულად, სტატია განიხილავს მოცემულობას, რომ ძლიერი სახელმწიფოების ქცევა, ხშირად, შეზღუდულია არამატერიალური ფაქტორებით, როგორიცაა შიდა პოლიტიკური პასუ-ხისმგებლობა, საზოგადოებრივი აზრი, ეთიკური ნორმები და ლეგიტიმაციის საკითხები. შედეგად, ინტერვენციის გადაწყვეტილებები, უმეტესწილად, დამოკიდებულია არა მხოლოდ სამხედრო შესაძლებლობებზე, არამედ სტრატეგიულ სელექციურობაზე და ხარჯ-სარგებლის გათვლებზე.

კვლევა ასევე მიმოიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, როგორიცაა კოსოვოსა და დარფურის კონფლიქტები, რათა წარმოაჩინოს, რომ ასიმეტრიულ ომებში შედეგები ხშირად განისაზღვრება არა ძალთა პირდაპირი ბალანსით, არამედ პოლიტიკურ-სტრატეგიული კონტექსტით. დასკვნის სახით, სტატია ამტკიცებს, რომ მცირე სახელმწიფოები არ არიან პასიური ობიექტები, არამედ აქტიური სტრატეგიული სუბიექტები, რომლებიც ახერხებენ გავლენის მოხდენას ძლიერი ძალების ქცევაზე ჰიბრიდული – სამხედრო, სოციალური და იდეოლოგიური – ინსტრუმენტების გამოყე-ნებით.

საკვანძო სიტყვები: ასიმეტრიული შეკავება; მცირე სახელმწიფოები; საერთაშორისო ურთიერთობები; არაკონვენციური ომი; პარტიზანული სტრატეგიები; ძალაუფლების ასიმეტრია; ლეგიტიმაცია; ეროვნული იდენტობა; ინტერვენცია; უსაფრთხოების პოლიტიკა.

Bibliography:

1. Arreguin-Toft, I. Unconventional *Deterrence: How the Weak Deter the Strong.* Harvard: Harvard University press. 2009.
2. Freedman, L. *Deterrence.* Cambridge: Polity Press. 2004. p. 37.

დავით ბოჭორიშვილი
სტუ, დოქტორანტი

აშშ-რუსეთის ურთიერთობები პოლიტიკური დაპირისპირების ფონზე

აშშ-რუსეთის ურთიერთობები ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების პროცესში საერთაშორისო პოლიტიკის ერთ-ერთ ცენტრალურ საკითხს წარმოადგენს. ცივი ომის დასრულების შემდეგ მათ შორის ჩამოყალიბებული დინამიკა გამოირჩევა როგორც სტრატეგიული თანამშრომლობის პერიოდული ტალღებით, ისე მწვავე კონკურენციითა და დაპირისპირებით, რაც არსებით გავლენას ახდენს ძალთა ბალანსის ტრანსფორმაციაზე და გლობალური უსაფრთხოების არქიტექტურის ფუნქციონირებაზე.

აშშ, როგორც ჰეგემონიური ძალა საერთაშორისო სისტემაში, მიზნად ისახავს გლობალური ლიდერობის შენარჩუნებასა და ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებების გავრცელებას. მისი სტრატეგიის მნიშვნელოვანი კომპონენტებია ნატოს გაფართოება, ტრანსატლანტიკური უსაფრთხოების მექანიზმების გაძლიერება და ენერგორესურსების გლობალური ბაზრების კონტროლი. რუსეთის ფედერაცია, თავის მხრივ, განიხილავს მრავალპოლარული სისტემის ჩამოყალიბებას, რომელშიც შეერთებული შტატების ჰეგემონია შეიზღუდება და რეგიონულ ძალებს მიეცემათ შესაძლებლობა, განახორციელონ დამოუკიდებელი საგარეო-პოლიტიკური სტრატეგიები. განსაკუთრებით მწვავე დაპირისპირება ვლინდება ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხებში, ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების პროცესთან მიმართებით და, განსაკუთრებული სიმწვავით, უკრაინის ომის კონტექსტში. აღნიშნული ფაქტორები არამხოლოდ განსაზღვრავს ორმხრივი ურთიერთობების სტრუქტურას, არამედ მნიშვნელოვანწილად ახდენს გავლენას საერთაშორისო სტაბილურობაზე, უსაფრთხოების რეგიონალურ არქიტექტურასა და გლობალური წესრიგის პერსპექტივებზე.

სტატიის მიზანია გაანალიზოს აშშ-რუსეთის ურთიერთობების სტრატეგიული დინამიკა ახალ მსოფლიო წესრიგში, გამოავლინოს ის სისტემური და სტრუქტურული ფაქტორები, რომლებიც განაპირობებს მათ შორის კონკურენციასა და თანამშრომლობის შესაძლებლობებს და შეაფასოს გლობალური სტაბილურობისთვის არსებული გამოწვევები. ასევე განხილულია მომავალი განვითარების ალტერნატიული სცენარები, რომლებიც მოიცავს როგორც თანამშრომლობის შესაძლო ფორმების კონსტრუქციას, ისე სტრატეგიული დაპირისპირების ესკალაციის რისკებს.

საკვანძო სიტყვები: *აშშ, რუსეთი, ჩრდილო ატლანტიკური ალიანსი, ცივი ომი, ბირთვული იარაღი.*

აშშ-რუსეთის ურთიერთობები დღევანდელი საერთაშორისო პოლიტიკის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და განმსაზღვრელ ფაქტორად რჩება. „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ თითქოს იწყებოდა ახალი თანამშრომლობის ეპოქა, თუმცა მალევე გაირკვა, რომ ურთიერთგაგება რთულად მიღწევადი იყო. გლობალური უსაფრთხოების გამოწვევები, ბირთვული სტრატეგიების გადამწყვეტი როლი, რეგიონული კონფლიქტები და ენერგორესურსებზე კონტროლი კვლავ დაპირისპირების ძირითად წყაროდ იქცა.

თანამედროვე მსოფლიო წესრიგის ფორმირების პროცესში ამერიკის შეერთებული შტატები და რუსეთი სხვადასხვა გეოპოლიტიკურ ხედვებსა და ინტერესებს ეყრდნობიან – ერთ მხრივ, აშშ ცდილობს შეინარჩუნოს ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებებისა და მრავალმხრივი უსაფრთხოების სისტემის ჰეგემონია, ხოლო, მეორე მხრივ, რუსეთი ცდილობს უზრუნველყოს საკუთარი გავლენის ზონა და სუვერენული ძალაუფლების პრინციპების დაცვა.

ამ კონტექსტში აშშ-რუსეთის ურთიერთობათა დინამიკა არამხოლოდ ორმხრივი ურთიერთობის ჭრილში, არამედ ფართო გლობალური სისტემის გარდაქმნის პროცესშიც განიხილება. სწორედ ამიტომ, ახალი მსოფლიო წესრიგის ანალიზისას მათი ურთიერთობების შესწავლა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

აშშ-რუსეთის ურთიერთობები დღეს მკვლევართა განსაკუთრებული ინტერესის სფეროს წარმოადგენს, რადგან სწორედ თანამედროვე ეტაპზე მიმდინარეობს ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების პროცესი. ამიტომაც ორი უმსხვილესი ბირთვული სახელმწიფოს ურთიერთობების მეცნიერულ შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ამერიკის შეერთებული შტატების და რუსეთის თანამედროვე ურთიერთობები სერიოზულ ისტორიულ გამოცდილებაზეა აგებული:

- იყო დრო, როცა ამერიკის შეერთებული შტატების და რუსეთი არა მარტო ტერიტორიულად, არამედ პოლიტიკურადაც დაშორებული სახელმწიფოები იყვნენ და მათი განვითარება დამოუკიდებლად ხდებოდა;
- იყო პირველი მსოფლიო ომი და მისი შემდგომი წინააღმდეგობების ხანაც;
- მეორე მსოფლიო ომში ამერიკის შეერთებული შტატები და რუსეთი (სსრკ) მოკავშირეები იყვნენ, მათ ერთად დაამარცხეს კაცობრიობის უბოროტესი მტერი – ფაშიზმი [1].

ამის ნათელი დადასტურებაა ის, რომ ყოველ წელს ცივილიზებული სამყარო უერთდებოდა ფაშიზმზე გამარჯვების საყოველთაო ზეიმს 9 მაისს რუსეთის დედაქალაქში, მაგრამ ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა, რომლის ბოლო აკორდიც გახდა ომი უკრაინაში, ეს რეალობა შეცვალა [2].

აშშ-რუსეთის ურთიერთობებში იყო სერიოზული დაპირისპირების – „ცივი ომი“-ს –ეპოქაც. ორი განსხვავებული იდეოლოგია მშვიდობიანი თანაცხოვრების პირობებს იმდენად ქმნიდა, რამდენადაც ამ სახელმწიფოებს სრული თანასწორობა ჰქონდათ ურთიერთგანადგურების შესაძლებლობებში. ატომური იარაღის არსებობა საფრთხესთან ერთად მშვიდობის გარანტიებსაც ქმნიდა, რადგან ახალ მსოფლიო ომს გამარჯვებული არ ეყოლებოდა [3].

მიუხედავად ამისა, „ცივი ომი“ კაცობრიობას ძალზე ძვირი დაუჯდა; მან იმსხვერპლა მილიონობით ადამიანი კორეაში, ვიეტნამში, კამბოჯაში, ავღანეთში, ევროპის, ახლო აღმოსავლეთის, ლათინური ამერიკისა და აფრიკის ქვეყნებში.

„ცივი ომი“-ის დასრულებისა და სსრკის დაშლის შემდეგ აქცენტი პარტნიორულ ურთიერთობებზე იქნა გადატანილი, მაგრამ ეს პერიოდიც ძალზე რთული აღმოჩნდა. ეს ლოგიკურიც იყო, რადგან გუშინდელი მოწინააღმდეგენი სწრაფად დიდ მეგობრებად ვერ იქცნენ.

ამერიკის შეერთებული შტატები ღრმად იყო დარწმუნებული, რომ მსოფლიოს ერთპიროვნულ ლიდერად იქცა და პრაქტიკულად ყველაფერს გააკეთებდა, რასაც მოისურვებდა. ცხადია, მას აშკარა უპირატესობა ჰქონდა ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სამხედრო სფეროშიც კი. მას ლიდერობის მორალური საფუძველი უდავოდ გააჩნდა, რადგან ლიდერობა ამ შემთხვევაში ძალის ფაქტორით არ იყო განპირობებული. აშშ-ის ეროვნული ინტერესები უმეტესწილად თანხვედრაში მოდიოდა საერთაშორისო საზოგადოების ინტერესებთან. ამასთანავე აშშ-ს უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა მსოფლიო მასშტაბით მშვიდობის უზრუნველყოფის გზაზე [4].

პირველ ეტაპზე რუსეთში ამერიკის შეერთებული შტატები მისაბაძ სახელმწიფოდ აღიქმებოდა, მაგრამ შემდეგ ბევრისთვის ყველა უბედურების წყაროდ იქცა. მას ბრალდებოდა რუსული ეკონომიკისა და მრეწველობის მიზანდასახული ნგრევა, ეროვნული სიმდიდრეებისა და სახელმწიფო საიდუმლოებების მუქთად შესყიდვა, რუსული ინტელექტის გადინების ხელშეწყობა და ა.შ.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც აშშ-სა და რუსეთს შორის უთანხმოებას იწვევდა, ნატო-ს აღმოსავლეთით გაფართოების საკითხი იყო. აღმოსავლეთ ევროპის ყოფილი სოციალისტური ბანაკის სახელმწიფოებმა თავიანთი უსაფრთხოება ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს დაუკავშირეს, რამაც რუსეთის გაღიზიანება გამოიწვია.

სწორედ ამ პრობლემის დასაძლევად შეიქმნა 1997 წლის 27 მაისს ნატო-რუსეთის საბჭო, რომელიც დღემდე ფუნქციონირებს. მხარეები აღნიშნავდნენ, რომ არცერთმა მხარემ არ უნდა გააძლიეროს საკუთარი უსაფრთხოება ერთმანეთისათვის საფრთხების შექმნის ხარჯზე. მიუხედავად ამისა, ბევრ საკითხში რუსეთი და აშშ ვერ თანხმდებოდნენ. ამიტომაც დასავლეთში აშშრუსეთის ურთიერთობების პერსპექტივებს ძალზე ფრთხილად აფასებდნენ რუსეთის ხელისუფლებაში ვლადიმირ პუტინის მოსვლის შემდეგაც, მაგრამ 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტმა აშშ-ში, ყველაფერი შეცვალა. მან აჩვენა, რომ მსოფლიოს ამჯერად ახალი საფრთხე – ტერორიზმი – წალეკვით ემუქრებოდა და ამ საქმეში აშშ-ს მარტო არ შეეძლო ემოქმედა. გარდა დაკარგული პარტნიორობისა,

აუცილებელი იყო რუსეთის მხარდაჭერა. ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში მომხდარი ტერაქტების შემდეგ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ერთ-ერთმა პირველმა დაურეკა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს, გამოხატა ღრმა მწუხარება მომხდართან დაკავშირებით და მიუსამძიმრა ამერიკელ ხალხს, რასაც შემდეგ საქმეც მოჰყვა და რუსეთი და აშშ ანტიტერორისტული კოალიციის წამყვანი მონაწილეები გახდნენ.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ამ ტრაგიკულ თარიღამდე აშშ-ის ხელმძღვანელობა რუსეთის მხრიდან საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მოწოდებას აღიქვამდა, როგორც ჩეჩნეთის ომის ლეგიტიმაციას, მაგრამ 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ მისი პოზიცია შეიცვალა. აშკარაა, რომ ავღანეთში ანტიტერორისტული ოპერაციის კვალდაკვალ რუსეთ-ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობები უმჯობესდებოდა. მეტიც, ეს უკანასკნელი მათი ურთიერთთანამშრომლობის ყველაზე ქმედითუნარიან არგუმენტად იქცა.

ტერორისტების მიერ მასობრივი განადგურების იარაღის, განსაკუთრებით, ტაქტიკური ბირთვული საბრძოლო მუხტის ხელში ჩაგდების შესაძლებლობის საფრთხემ, დღის წესრიგში დააყენა გაუვრცელებლობის საკითხი. შეიძლება ითქვას, რომ მხარეებმა შეძლეს გაეფართოვებინათ თანამშრომლობა სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებში; წინა პლანზე იქნა წამოწეული თავდაცვითი ჰაერსაწინააღმდეგო სარაკეტო სისტემების შექმნასთან დაკავშირებული პრობლემები; ასევე მასობრივი განადგურების იარაღის, და მისი გადაადგილების საშუალებების ლიკვიდაციის საკითხები. ამის ლოგიკური გაგრძელება იყო ბარაკ ობამასა და დიმიტრი მედვედევის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი, რომლის თანახმადაც მხარეებმა ბირთვული ქონების რაოდენობა 1550 ერთეულამდე უნდა შეემცირებინათ, გაჟღერდა ფრაზაც, რომ ეს პროცესი დინამიური იქნებოდა და, საერთოდ, უნდა თქმულიყო უარი ბირთვულ იარაღზე [5].

წინააღმდეგობა აშშ-სა და რუსეთს შორის, ცხადია, იყო და დღესაც არის. ამის ნათელი მაგალითებია ბალკანთის კრიზისი და 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომი, ასევე, რა თქმა უნდა, ომი უკრაინაში.

სულ ახლახანს 2025 წლის 15 აგვისტოს აშშ-ში, ალიასკაზე ერთმანეთს შეხვდნენ აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი და რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი. შეხვედრა ღრმა და შინაარსიანი აღმოჩნდა, უმთავრესი საკითხი უკრაინა იყო, თუმცა პრესკონფერენციაზე ბუნდოვანი დარჩა, გამოიკვეთა თუ არა სამიტზე კონკრეტული ნაბიჯები უკრაინაში ცეცხლის შეწყვეტის მიმართულებით. ასევე, რუსეთისა და აშშის პრეზიდენტებმა ერთმანეთს შეახსენეს ისტორიული წარსული – ის, რომ ორ მსოფლიო ომში ისინი მოკავშირეები იყვნენ. რუსეთის პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა დონალდ ტრამპს რუსული კულტურული ძეგლების მოვლისა და შენარჩუნებისათვის. აშკარად ჩანდა, რომ ორი მხარე მეგობრული, თუმცა პრინციპული ატმოსფეროს შექმნას ცდილობდა.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის თანამედროვე ურთიერთობები ვფიქრობთ, აგებულია ორ ძირითად პრინციპზე – პირველი ესაა თანამშრომლობა საერთაშორისო პრობლემის და, უპირველეს ყოვლისა, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გზაზე, ხოლო მეორე – ძალთა ბალანსის აღიარებულ პრინციპზე, რომლის თანახმადაც არცერთმა მხარემ განსაკუთრებული გეოპოლიტიკური უპირატესობა არ უნდა მოიპოვოს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ მიუხედავად საერთაშორისო ასპარეზზე აშშ-სა და რუსეთს შორის უდიდესი პასუხისმგებლობისა, მათ შორის დაპირისპირება წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობების ბუნებრივ მდგომარეობას და მკვეთრად გამოხატული ცივილიზაციური დაპირისპირების ხასიათი გააჩნია.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ აშშ-რუსეთის ურთიერთობები მნიშვნელოვანი ფაქტორია ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების პროცესში. მათი კონკურენცია საერთაშორისო ურთიერთობასა და გლობალურ ძალთა ბალანსზე მნიშვნელვან გავლენას ახდენს. მიუხედავად დაძაბულობისა, რომელიც სხვადასხვა გეოპოლიტიკურ რეგიონში ვლინდება, თანამშრომლობის პოტენციალი კვლავ არსებობს ისეთ სფეროში როგორებიცაა: ბირთვული იარაღის კონტროლი, ტერორიზმთან ბრძოლა და გლობალური გამოწვევების (კლიმატის ცვლილების, ენერგეტიკული უსაფრთხოება) მართვა. საბოლოოდ, ახალი მსოფლიო წესრიგი დიდწილად განისაზღვრება იმით, შეძლებს თუ არა აშშ და რუსეთი კონკურენციის პარალელურად სტრატეგიული დიალოგისა და თანამშრომლობის გზების მოძებნას.

DAVIT BOCHORISHVILI – *GTU, PhD Student*

USA-RUSSIA RELATIONS AMID POLITICAL CONTROVERSY

Summary

USA–Russia relations represent one of the central issues in the process of shaping the new world order. Since the end of the Cold War, the dynamics between the two powers have been characterized both by periodic waves of strategic cooperation and sharp competition and confrontation, significantly affecting the transformation of the balance of power and the functioning of the global security architecture.

The United States seeks to maintain global leadership and promote liberal-democratic values. Key components of its strategy include NATO enlargement, the strengthening of transatlantic security mechanisms, and the control of global energy markets. The Russian Federation, in turn, envisions the establishment of a multipolar system in which USA power is constrained, allowing regional powers to pursue independent foreign policy strategies. Particularly acute confrontation is evident in the areas of energy security, NATO's eastward expansion, and, more than anywhere, in the context of the war in Ukraine.

These factors not only define the structure of bilateral relations but also exert significant influence on international stability, regional security architecture, and the prospects of the global order. The aim of this article is to analyze the strategic dynamics of USA-Russia relations within the emerging world order, to identify the systemic and structural factors that shape both competition and opportunities for cooperation between them, and to assess the challenges to global stability.

It also discusses alternative scenarios for future development, encompassing both possible forms of cooperation and the risks of escalation in strategic confrontation

Keywords: *USA, Russia, North Atlantic Treaty Organization, Cold War, nuclear weapons.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Angela E. „Stent The Limits of Partnership: U.S. - Russian Relations in the Twenty-First Century", 2014.
2. Haslam J ., „Hubris: The American Origins of Russia's War Against Ukraine", 2024.
3. Wilson Center Digital Archive: Cold War International History Project. https://digitalarchive.wilsoncenter.org
4. M.E.Sarotte, Not One Inch: America, Russia, and the Making of Post- Cold War Stalemate. Investigates NATO expansion and how missed alternatives after 1991 sowed long-term tensions between the U.S. and Russia. Yale, 2021.
5. Arms Control Association. The Strategic Arms Reduction Treaties (START I &D. Washington, D.C., 2021.
6. Arms Control Association. The Strategic Arms Reduction Treaties (START I &D. Washington, D.C., 2021.
7. M.E.Sarotte, Not One Inch: America, Russia, and the Making of Post- Cold War Stalemate (Yale, 2021) Investigates NATO expansion and how missed alternatives after 1991 sowed long-term tensions between the U.S. and Russia
8. Kristensen, Hans M., and Matt Korda. Russian Nuclear Weapons, 2022 Bulletin of the Atomic Scientists, Vol. 78, No. 2, 2022.
9. Kramer, Mark."The Myth of a No-NATO-Enlargement Pledge to Russia." The Washington Quarterly, vol. 32, no. 2, 2009,pp. 39-61.
10. Reiter, Dan."Why NATO Enlargement Does Not Spread Democracy." International Security, vol. 25, no. 4, 2001, pp. 41-67

მარიამ კიკნაძე
სტუ, დოქტორანტი

სპარსეთის ყურის ქვეყნების ენერგოუსაფრთხოების თანამედროვე ტენდენციები

თანამედროვე მსოფლიოში ენერგიის მოხმარება იმაზე სწრაფად იზრდება, ვიდრე მოსახლეობა მატულობს, მაღალი მოთხოვნიდან გამომდინარე კი აჩქარდა საჭირო რაოდენობის ნავთობის წარმოება, რაც ხშირად მისი ფასების ხელოვნურად მატებას და აჩქარებულ ბურღვით სამუშაოებს იწვევს. შესაბამისად, ენერგეტიკული ინდუსტრია მზარდი ზეწოლის ქვეშაა. ნავთობის ახალი ტექნოლოგიების მეშვეობით მოპოვება, გადამუშავება და განაწილება მიმართული უნდა იყოს გარემოსდაცვითი მიზნების მისაღწევად. მომავალი ორიენტირებული იქნება ინოვაციურ მიდგომაზე, რაც გულისხმობს მზის ენერგიაზე გადასვლას და მიზნად ისახავს ნავთობის დიდი მარაგის დაზოგვას. ემისიების ამბიციური მიზანია ნულოვანი გამონაბოლქვის მიღწევა, მზისა და ქარის ენერგიის სისტემების განვითარება. სტატიაში საუბარია სპარსეთის ყურის სახელმწიფოების მხრიდან განხორციელებულ პროექტებსა და სტრატეგიებზე ენერგეტიკული ტრანზიციის პირობებში; გათვალისწინებულია რეგიონის კლიმატური პირობები; განხილულია ფოტოელექტრული პანელების როლი, სამუშაო ტემპერატურის მატება ამცირებს ფოტოელექტრული პანელის ენერგიის გამომუშავების აქტივობას და, შედეგად, მზის ენერგიის გენერაციის ხარჯებიც იზრდება. არაბული გალფის სახელმწიფოების ძირითად მიზანს წარმოადგენს ნახშირწყალბადის რესურსების გრძელვადიანი კონკურენტუნარიანობის დაცვა დაბალნახშირბადიანი ინდუსტრიების განვითარებასთან დაბალანსება. მიზანი ერთია ნავთობი და გაზი უმნიშვნელოვანესია, თუმცა უფრო სუფთა გზით წარმოებული და გამოყენებული. ამ გზით წიაღისეული საწვავის არსებული შეზღუდული რაოდენობა კიდევ წლები გაძლებს, მოპოვების რადიკალური გაუმჯობესება, ეფექტურობის მოულოდნელი მატება გარდაუვალი იქნება.

საკვანძო სიტყვები: *მზის ენერგია, ენერგეტიკული ტრანზიცია, ნულოვანი გამონაბოლქვი, ფოტოელექტრული პანელი, ნავთობის ემისია.*

რატომ განახლებადი ენერგია, როდესაც არის ნავთობი და გაზი? – მცირდება ნულოვანი ნახშირბადის გამოყოფა, ჰაერისა და წყლის დაბინძურება, სათბური გაზების გამოყოფა, ინარჩუნებს ბუნებრივ რესურსებს, განახლებადია და მდგრადი.

გლობალური ენერგეტიკული ინდუსტრია მზარდი ზეწოლის წინაშეა, რათა შეამციროს ოპერაციული ხარჯები და გარემოზე ზემოქმედება. მზის ენერგია ახდენს ნავთობისა და გაზის წარმოებუს ტრანსფორმაციას, რადგან ის უზრუნველყოფს მდგრადი ენერგიის გადაწყვეტილებებს სხვადასხვა მოპოვების, გადამუშავებისა და განაწილების ოპერაციებისთვის. მზის ენერგიის ტექნოლოგია ნავთობისა და გაზის კომპანიებს ეხმარება შეამცირონ ოპერაციული ხარჯები და, ამავდროულად, მიაღწიონ გარემოსდაცვით მიზნებს. გამოყენება მოიცავს ყველა პროცესს დაწყებული დისტანციური ობიექტების ენერგიით მომარაგებიდან, დამთავრებული ნავთობის მოპოვების გაუმჯობესებული ტექნიკის მხარდაჭერით. მზის ენერგია ნავთობისა და გაზის ოპერაციებისთვის ხარჯების შემცირების რევოლუციურ ინსტრუმენტად იქცა. ნავთობისა და გაზის ინდუსტრიამ ფართოდ დანერგა მზის ენერგიის ტექნოლოგიები თავის ოპერაციებში,რითაც რევოლუცია მოახდინა ენერგიის წარმოების ტრადიციულ მეთოდებში. დისტანციური მონიტორინგის სისტემებიდან დაწყებული, ნავთობის გაუმჯობესებული მოპოვებით დამთავრებული, მზის ენერგიის გამოყენება ცვლის სექტორის ოპერაციულ ლანდშაპტს. მზის ენერგიით გაძლიერებული ნავთობის აღდგენა (SEOR) ნავთობის მოპოვების ტექნოლოგიის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. ეს ინოვაციური მიდგომა იყენებს კონცენტრირებულ მზის ენერგიას ნავთობის მოპოვებისთვის მაღალი წნევის ორთქ-

ლის გენერირებისთვის. თუ ენერგეტიკული სექტორის განახლებადი ენერგიის გეგმა მიღწეული იქნება, მაშინ 2015-2030 წლის პერიოდში შესაძლებელია 2.5 მლრდ ბარელი ნავთობის ექვივალენტი დაიზოგოს [1].

მზის ენერგია უდავოდ, „მწვანე ენერგიის“ გადაწყვეტის საუკეთესო ალტერნატივაა. ნავთობისა და პეტროქიმიური გადამუშავება არა მხოლოდ ენერგომოხმარებაა, არამედ სათბური გაზების ემისიების მთავარ წყაროსაც წარმოადგენს. ნავთობისა და გაზის მიწიდან მოპოვებისა და მომხმარებლამდე მიწოდების პროცესი ენერგიასთან დაკავშირებული სათბური გაზების ემისიების საერთო რაოდენობის 15%-ს შეადგენს. თანამედროვე ეპოქაში, ნავთობის ბურღვის მრავალი ინდუსტრია ელექტროენერგიის გამომუშავებისთვის დიზელის საწვავს იყენებს, მიუხედავად მისი მრავალი ნაკლისა.

საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს პროგნოზით, ნავთობის წარმოება 2030 წლისთვის დღეში დაახლოებით 100 მლნ ბარელიდან 77 მბ/დ-მდე შემცირდება. გარდა ამისა, ნავთობზე მოთხოვნა ამჟამინდელ დონესთან შედარებით 75%-ით შემცირდება და 2050 წელს დღეში დაახლოებით 24 მბ/დ-ს მიაღწევს. ძირითადად, ნავთობქიმიური მრეწველობის, ავიაციისა და ტვირთგადაზიდვებისთვის იქნება გამოყენებული. IEA ხაზს უსვამს, რომ ნავთობის ნულოვანი დონის მიღწევა არ ნიშნავს ნავთობის წარმოების დასრულებას და ის კვლავ მნიშვნელოვან როლს ასრულებს, თუმცა მზარდი შემცირება მოსალოდნელია. ნახშირწყალბადების ინფრასტრუქტურის ერთ ღამეში გაუქმება შეუძლებელია. შესაბამისად British Petroleum პროგნოზირებს, რომ ნავთობზე მოთხოვნა 2040 წლისთვის, შესაძლოა, მხოლოდ 10-20%-ით შემცირდეს. სუფთა ენერგიაზე გადასვლა შეუქცევადია, პოლიტიკური ჩარევების გარეშე, ნახშირწყალბადები, სავარაუდოდ, 2040 წლამდე იქნება დომინანტი. კლიმატის ცვლილებების მიმართ სოციალური დამოკიდებულების ცვლილება სულ უფრო მწვავდება, რაც აიძულებს ინდუსტრიულ ნაწილს შეცვალოს ოპერირების წესი და, ასევე, შექმნას გრძელვადიანი ღირებული რეზერვი. შესაბამისად, სათბური გაზების ემისიების შემცირება სტრატეგიული პრიორიტეტია. ემისიების ამბიციური მიზანია 2050 წლისთვის ნულოვანი გამონაბოლქვის მიღწევა, რომელიც მოიცავს შემდეგ სტრატეგიებს: 1. ელექტრიფიკაციის ოპერაციას; 2. ნახშირბადის შთანთქმის სისტემების დანერგვას; 3. განახლებადი ენერგიის ინვესტიციების ზრდას. ტექნოლოგია და ინოვაცია ინდუსტრიისთვის მთავარი ბერკეტი იქნება, რაც ხელს შეუწყობს ნახშირბადის აყვავებას, ციფრული ინდუსტრიის განვითარება კი გაახანგრძლივებს ჭკვიანი ჭაბურღილების სიცოცხლის ხანგრძლივობას. ახალი ინოვაციები, როგორიცაა ნახშირბადის შთანთქმა და შენახვა, მიზნად ისახავს გამონაბოლქვის შემცირებას [2].

ნავთობზე ორიენტირებული დაგროვებისგან გასვლის სასწრაფო საჭიროებამ ბოლო ათწლეულის განმავლობაში განაპირობა განახლებადი ენერგიის, მათ შორის, მზის და ქარის ენერგიის, უფრო ფართოდ გამოყენება, ასევე, საეჭვო „დაბალნახშირბადიანი“ ტექნოლოგიების და კლიმატის კრიზისის დაძლევის ბაზარზე დაფუძნებული მიდგომების გავრცელება. ახალი მიზანია ნავთობის ნაცვლად, მზის პანელების განვითარება. მთელი წლის განმავლობაში მცხუნვარე მზისა და ინვესტიციებისთვის ისეთი ქვეყნები, როგორიცაა არაბთა გაერთიანებული საამიროები, საუდის არაბეთი და ქუვეითი, ერთმანეთს მზის ენერგიის თამაშში დომინირებისათვის ეჯიბრებიან. წლის უმეტესი ნაწილის განმავლობაში მაღალი დონის რადიაცია და სუფთა ცაა. სპარსეთის ყურის თანამშრომლობის საბჭოს წევრ ქვეყნებში, ინვესტიციების შემოსავლიანობის შეფასებისას, მტვრიანი ნაწილაკები და მაღალი ტემპერატურა ადგილობრივი დაინტერესებული მხარეებისთვის მთავარ საზრუნავს წარმოადგენს. გამოთქმულია პროგნოზი იმის თაობაზე, რომ თუ ფოტოელექტრული პანელები სამ თვეში არ გაიწმინდება, ენერგიის დანაკარგი 35-40%-მდე გაიზრდება. სპარსეთის ყურის ყველა ქვეყანა გარშემორტყმულია ზღვით, რომლის ზედაპირული ტემპერატურა 160˚C-დან 340˚C-მდე მერყეობს, ხმელეთის ტემპერატურისაგან განსხვავებით, რომელიც ზაფხულში, შეიძლება, 500˚C-მდეც გაიზარდოს. ფოტოელექტრული უჯრედების მუშაობაზე მნიშვნელოვნად მოქმედებს სამუშაო ტემპერატურა. როგორც წესი, სამუშაო ტემპერატურის მატება ამცირებს ფოტოელექტრული პანელის ენერგიის გამომუშავების აქტივობას და, შედეგად, მზის ენერგიის გენერაციის ხარჯებიც იზრდება. ზღვაში აორთქლების პროცესი, სავარაუდოდ, შეამცირებს

მტვრის წარმოქმნას ფოტოელექტრულ პანელებზე. ომანში ფოტოელექტრული მზის ენერგიის სიმძლავრე 1.4 მეგავატს აღწევს, ხოლო მომავალში დაგეგმილი სიმძლავრე 100 მეგავატს შეადგენს. არაბთა გაერთიანებული საამიროები, სპარსეთის ყურის თანამშრომლობის საბჭოს ქვეყნებს შორის, ყველაზე მაღალი სიმძლავრით (114 მეგავატი) ლიდერობს. 1.2 გიგავატი სიმძლავრის ნური აბუ დაბის ტერმინალი, ერთი მზის ენერგიის ობიექტის პროექტის თითქმის დასრულება და კიდევ 2 გიგავატი სიმძლავრის პროექტის ტენდერის ბოლოდროინდელი გამოცხადება მდგრადი ენერგიისადმი ერთგულებას აჩვენებს. ასევე, ხმელეთის ტერიტორია, ძირითადად, დაფარულია უდაბნოს ქვიშით, ან მშრალი მიწით, სადაც მცენარეული საფარი მინიმალურია. ცენტრალური ყურის რეგიონში 8-9 მ/წმ დიაპაზონში მაღალი სიჩქარის ქარია თუ სიჩქარე 3მ/წმ-ზე მეტად გაიზრდება. ამან შეიძლება გამოიწვიოს ქვიშის ჰაერში აწევა, რაც მტვრის წარმოქმნას და, შესაბამისად, ფოტოელექტრული პანელების დაბინძურდებას გამოიწვევს [3. 4-15].

მიუხედავად იმისა, რომ განახლებადი ენერგიის გამოყენება მნიშვნელოვნად გაიზარდა, რის შედეგადაც მატულობს წიაღისეული საწვავის მოხმარება, 2023 წელს მსოფლიოს პირველადი ენერგიის ნარევის 504.83 ჯოულს-რეკორდულ წილს მიაღწია ნავთობის, გაზისა და ქვანახშირის მიმართულებით. 2018 წელს სპარსეთის ყურე ახლო აღმოსავლეთის ქარის ენერგიის მხოლოდ 6 პროცენტს და მზის ენერგიის 21 პროცენტს ფლობდა. მსოფლიოში უდიდესი ერთადგილიანი მზის ელექტროსადგური არაბთა გაერთიანებულ საამიროებშია და სპარსეთის ყურის თითოეულმა სახელმწიფომ ელექტროენერგიის წარმოებაში განახლებადი ენერგიის გამოყენების ამბიციური მიზნები დაისახა. ნურის აბუ დაბის მზის ელექტროსადგური მსოფლიოში უდიდესი ერთადგილიანი მზის ელექტროსადგურია, რომელიც აბუ დაბის მახლობლად, სვეიჰანში მდებარეობს. მის სახურავზე 3.2 მლნ მზის პანელია დამონტაჟებული და ითვლება, რომ ელექტროსადგური აბუ დაბის 90 000 მაცხოვრებელს აწვდის სუფთა ენერგიას. მისი გასუფთავება რობოტული ტექნოლოგიით ხდება. 2025 წლის იანვარში არაბთა გაერთიანებულმა საამიროებმა გამოაცხადა, რომ აშენდება 5-გიგავატიანი მზის ელექტროსადგური 19 გიგავატ/სთ-ზე მეტი ბატარეებით და ეს 6 მლრდ აშშ დოლარის ღირებულების პროექტი 2027 წელს დასრულდება, რომელიც ყველაზე დიდი პროექტი იქნება თავის სფეროში. ენერგეტიკული სტრატეგია 2050 წლამდე მიზნად ისახავს ენერგეტიკული ნაზავის შექმნას, რომელიც გააერთიანებს განახლებად, ბირთვულ და ალტერნატიულ ენერგიის წყაროებს, რათა დააკმაყოფილოს არაბთა გაერთიანებული საამიროების ეკონომიკური მოთხოვნები და გარემოსდაცვითი მიზნები. მისი პროპორციული წილი ასეთი იქნება: 44 პროცენტი ალტერნატიული ენერგია, 38 პროცენტი – გაზი, 12 პროცენტი – სუფთა ქვანახშირი, 6 პროცენტი – ბირთვული. რაც ნიშნავს, რომ განახლებადი ენერგიის სიმძლავრე 2030 წლისთვის სამჯერ გაიზრდება, ალტერნატიული ენერგიის პროცენტული მაჩვენებელი მთლიან ენერგეტიკულ ნარევში 30%-ს მიაღწევს 2031 წლისათვის, ნახშირბადი კი ნეიტრალური გახდება 2050 წლისთვის. აბუ დაბის ალ-დაფრას მზის ფოტოელექტრულ ელექტროსადგურს ექნება მსოფლიოში ყველაზე დაბალი ენერგომომარაგების ფასი. დასრულების შემდეგ მზის ელექტროსადგური გამოიმუშავებს ორ გიგავატ ენერგიას, რაც საკმარისია 160 ათასი ოჯახის ენერგომომარაგებისათვის. გარდა ამისა, ნახშირჟანგის ემისია შემცირდება. მოჰამედ ბინ რაშიდ ალ მაკტუმის მზის ენერგიის პარკი არის მსოფლიოში განახლებადი ენერგიის ერთ-ერთი უდიდესი პროექტი, რომელიც მოიცავს მზის ენერგიის კონცენტრაციას ფოტოელექტრული ტექნოლოგიის გამოყენებით მზის ელექტროსადგურებთან ერთად. პროექტის მთლიანი სიმძლავრე 3000 მეგავატამდე მიაღწევს [4].

საუდის არაბეთში ჩინურმა ენერგეტიკულმა გიგანტმა BYD-მა და საუდის არაბეთის ელექტროენერგიის კომპანიამ 2025 წლის თებერვალში ხელი მოაწერეს შეთანხმებას ყველაზე დიდი შემნახველი აკუმულატორის სისტემის ასაშენებლად. საუდის არაბეთმა ხელი მოაწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს (MoU) მექას რეგიონში 2.6-გიგავატიანი მზის პროექტის ასაშენებლად. მიუხედავად იმისა, რომ დაბალი ბაზიდან დაიწყო სპარსეთის ყურეში მზის, ქარისა და მასთან დაკავშირებული ტექნოლოგიების ამ ბოლოდროინდელმა და სწრაფმა განვითარებამ ახლო აღმოსავლეთი ჩინეთის გარეთ განახლებადი სიმძლავრის ყვე-

ლაზე სწრაფად მზარდ რეგიონად აქცია. საუდის არაბეთის მთავრობამ გამოაცხადა 2030 წლისთვის 200 გიგავატის სიმძლავრის მზის ენერგიის პროექტის მშენებლობის გეგმა. მსოფლიოში უდიდესი მზის ენერგიის პროექტის ასაშენებლად 200 მლრდ აშშ დოლარი იქნება საჭირო. საუდის არაბეთში მზის ენერგიის სისტემის მასშტაბური განვითარების გეგმები, ნავთობის, როგორც ენერგიის ერთადერთი წყაროს, ჩანაცვლებას ისახავს მიზნად. ერ-რიადში ორი ფოტოელექტრული პროექტია: ერთი – 3.5 მეგავატი, მეორე კი – 1.8 მეგავატი სიმძლავრით. ყველაზე პატარა ფოტოელექტრული პროექტი საუდის არაბეთის ფარსანის კუნძულზე მდებარეობს, რომლის სიმძლავრე 500 კვტ-ია. მეფე აბდულას მეცნიერების ტექნოლოგიების უნივერსიტეტს თუულში, საკუთარი პროექტი აქვს 2 მეგავატი სიმძლავრით, ხოლო ყველაზე მაღალი სიმძლავრის პროექტია დუბაიში – 600 მეგავატით. საუდის არაბეთის მიმდინარე პროექტები მოიცავს ფოტოელექტრულ სისტემას დაჰრანში 10 მეგავატი სიმძლავრით, ხოლო ყველაზე დიდი სიმძლავრის საკაკაშია 300 მეგავატით და ყველაზე პატარა – ტაბუკში 1 მეგავატით. რაც შეეხება ქარის ერთადერთ განახლებად წყაროს ის ტაბულშია განთავსებული [5-8].

სამეფო ელექტროენერგიისა და გაუმარილიანებული წყლის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ნავთობსა და გაზზე იყო დამოკიდებული, ხელიდან უშვებდა განახლებადი ენერგიის უზარმაზარი პოტენციალის გამოყენების შესაძლებლობებს. საუდის არაბეთის Vision 2030-ის ერთ-ერთი მთავარი მიზანი საუდის არაბეთის მზის ენერგიის სექტორის განვითარებაა. ამავე პროგრამის ფარგლებში შედის ნახშირბადის გამონაბოლქვის შემცირების ვალდებულებების გათვალისწინება. პრგორამა ადგენს ორგანიზებულ კონკრეტულ გზამკვლევს ადგილობრივი ენერგორესურსების დივერსიფიკაციის, ეკონომიკური განვითარების სტიმულირებისა და საუდის არაბეთში მდგარი ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით. 2030 წლისათვის გეგმაშია 58.7 გიგავატი განახლებადი ენერგიის საწარმოს მშენებლობა, საიდანაც 40 გიგავატი მზის ფოტოელექტრული ენერგიისაგან, ხოლო 16 გიგავატი ქარის ენერგიისაგან უნდა იქნას წარმოებული.

საუდის არაბეთმა 2018 წლის თებერვალში დაიწყო განახლებადი ენერგიის ეროვნული პროგრამა, რაც საუდის ელექტროენერგიას სპარსეთის ყურის უმსხვილეს კომუნალურ მიმწოდებლად აქცევს. 2018 წელს საუდის არაბეთის სახელმწიფო საინვესტიციო ფონდმა და Softbank-მა გამოაცხადეს 12-წლიანი სტრატეგიული გეგმა, რომლის მიხედვითაც, 2030 წლისთვის 150-დან 200 გიგავატამდე სიმძლავრის მზის ენერგიის მშენებლობა იგეგმებოდა. 2032 წლისთვის მოხმარებული ელექტროენერგიის მთლიანი რაოდენობის 50 პროცენტის მიღება არაწიაღისეული საწვავიდან არის მოსალოდნელი.

2030 წელს საუდის არაბეთი რეგიონში ელექტროენერგიის წარმოებისთვის წიაღისეული საწვავის უმსხვილესი მომხმარებლებით 170 მლნ ბარელ ნავთობს დაზოგავს, რაც სპარსეთის ყურის თანამშრომლობის საბჭოს 2030 წლისთვის მთლიანი დანაზოგის 44 პროცენტს შეადგენს.

მირაას მზის თერმული ელექტროსადგური ნავთობისა და გაზის სექტორში მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი მზის ელექტროსადგურია. სამხრეთ ომანში მდებარე ეს 1,021-მეგავატიანი ელექტროსადგური მზის ტექნოლოგიებისა და ნავთობის მოპოვების გაუმჯობესებული ოპერაციების წარმატებული შერწყმის დემონსტრირებას ახდენს [6].

კატარის დედაქალაქ დოჰადან, დასავლეთით 80 კილომეტრში მდებარე „ალ ხარსააჰის“ მზის ფოტოლექტრული ქარხანა მდებარეობს, პროექტი ქვეყნის პირველი მასშტაბური ელექტროსადგურია და მნიშვნელოვნად ამცირებს მის გარემოზე ზემოქმედებას. ელექტროსადგურს აქვს ავტომატური თვითწმენდვის სისტემა, რომელიც თითოეულ მოდულს ასუფთავებს. მზის ელექტროსადგური აშენდა ორ ფაზაში, თითოეული 400 მეგავატი პიკური სიმძლავრით და, შესაბამისად, მათი საერთო სიმძლავრე 800 მეგავატია. კატარის ეროვნული ხედვა 2030 მიზნად ისახავს ელექტროენერგიის 20 პროცენტის განახლებადი წყაროებიდან წარმოებას, სათბური გაზების ემისიების 25 პროცენტით შემცირებას, მზის ენერგიის შენახვის კვლევას და ქსელში ინტეგრაციის პროექტების ინვესტირებას. მზის ენერგიის გამომუშავება ამჟამად იზრდება, რაც პიკური ელექტროენერგიის მოთხოვნის თითქმის 15 პროცენტს ფა-

რავს და ყოველწლიურად დაახლოებით 4.7 მლნ ტონა ნახშირორჟანგის გამოყოფას უშლის ხელს. QatarEnergy-მ გამოაცხადა თავისი მიზანი, 2035 წლისთვის მზის ენერგიის სიმძლავრე 5 გიგავატზე მეტი იყოს, რაც ნახშირბადის გამონაბოლქვის შემცირებისა და განახლებადი ენერგიის გავრცელების თანაფარდობისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი სვლა იქნება და 2030 წლის ეროვნულ ხედვასთან ეკონომიკური ზრდისა და გარემოსდაცვითი კეთილდღეობის დაბალანსებას ისახავს მიზნად [7].

სპარსეთის ყურის ქვეყნებისთვის კლიმატის ცვლილებებისგან დაცვასთან დაკავშირებული მდგრადობა იწყება ნახშირბადის გამონაბოლქვის შემცირებით. არაბული გალფის სახელმწიფოები კიოტოს პროტოკოლის წევრები არიან, რომელიც მსოფლიოში პირველი საერთაშორისო ხელშეკრულებაა სათბური გაზების გამოყოფის შემცირების შესახებ.

ირანის ზღვებში მდებარე ქალაქებსა და კუნძულებზე განახლებადი ენერგიის გამოყენების პოტენციალი არსებობს. ქარის ენერგია ცნობილია, როგორც მდგრადი განახლებადი ენერგია, რომელსაც გაცილებით ნაკლები გავლენა აქვს გარემოზე ტრადიციულ ენერგიებთან შედარებით. ირანმა, მიუხედავად იმისა, რომ დიდი რაოდენობით წიაღისეული საწვავის რესურსს ფლობს, 1994 წლიდან დაიწყო ქარის ენერგიის გამოყენება ელექტროენერგიის მისაღებად. მზის ენერგია სამხრეთ სანაპიროზე განახლებადი ენერგიის კონფიდენციალურ წყაროდ იქნა აღიარებული. მრავალმა მკვლევარმა შეისწავლა ჰიბრიდული განახლებადი ენერგიის სისტემები და დაასკვნა წიაღისეული საწვავი მკვეთრად შეზღუდულია არასასურველი კლიმატური ცვლილებების გამოწვევის გამო. ირანში ყველაზე დიდი მზის ელექტროსადგური 200-მეგავატიანი სიმძლავრისაა, რომელიც აშენებულია მშრალ და მზიან ქალაქ იაზდში. მეორე მსხვილი პროექტია 150-მეგავატიანი მზის ელექტროსადგურის მშენებლობა ჰამედანში. ირანის განვითარებადი მზის ენერგიის ინდუსტრია მნიშვნელოვან ბუნებრივ უპირატესობაზეა აგებული, კერძოდ, უხვი მზის ენერგია – ქვეყანას აქვს ძლიერი მზის პოტენციალი, ზაფხულში 1050 საათზე მეტი და ზამთარში 500 საათის განმავლობაში მზის ნათებით, რაც იდეალურ პირობებს ქმნის ფოტოელექტრული ენერგიის წარმოებისათვის. მაჰაბადის ნავთობქიმიურ ქარხანაში 2020 წლის აგვისტოში დაიწყო მცურავი ფოტოელექტრული საპილოტე პროექტი. პროექტი იყენებს ადგილობრივად შემუშავებულ მცურავ პლატფორმებს წყალსაცავებზე, ვინაიდან ურბანულ ცენტრებში მიწის ფასი იზრდება უდაბნოს რეგიონში კი მტვერი გროვდება. მსგავსი გამოწვევის გადაჭრის ალტერნატიული გზაა მცურავი მზის დანადგარები, რომლებიც არა მხოლოდ ზოგავს წყალს აორთქლების შემცირებით, არამედ აუმჯობესებს პანელების ეფექტურობას წყლის ზედაპირის გაგრილების ეფექტურობის გამო. მზისა და ჰიდროელექტროენერგიის ეს სინერგია საშუალებას იძლევა უფრო დაბალანსებული ენერგია გამოიმუშავოს მთელი დღის განმავლობაში სეზონების მიხედვით, რაც განსაკუთრებით ღირებულია გვალვისკენ მიდრეკილ რაიონებში.

მზის ენერგია დღის განმავლობაში გენერირდება, ხოლო ჰიდროელექტროსადგურს შეუძლია ღამით ელექტროენერგიის სტაბილური ნაკადის უზრუნველყოფა. ამ დამატებითმა ურთიერთობამ შეიძლება ხელი შეუწყოს ქსელის სტაბილიზაციას, უფრო თანმიმდევრული ენერგომომარაგების უზრუნველსაყოფად და ენერგოსისტემის საერთო მდგრადობის გასაზრდელად. ირანის მიერ განახლებადი ენერგიის განვითარებით დაინტერესების ძირითადი მიზეზებია ენერგეტიკული უსაფრთხოების გაუმჯობესება, წიაღისეულ საწვავზე დამოკიდებულების შემცირება და ელექტროენერგიის შიგა მოთხოვნის დაკმაყოფილება. ირანის სურვილია გახდეს ენერგეტიკული ცენტრი, რომელიც ჭარბი ელექტროენერგიის მიმწოდებელი იქნება მეზობელ ქვეყნებში [8].

ომანში მზის ენერგიის გამოყენება საწყის ეტაპზეა, რადგან ქვეყანას აქვს ისეთი პრობლემები როგორიცაა ელექტროენერგიის ფასების სუბსიდირება და ბუნებრივი აირის ფასები. ომანში მდებარე ქალაქი დჰოფარი ერთ-ერთია იმ ქალაქებს შორის, სადაც მზის ნათება საკმაოდ მაღალია, მზის ყველაზე მაღალი ნაკადი მარტის თვეშია (კვადრატულ მეტრზე 1360 ვატი). გასათვალისწინებელია ტემპერატურა მუსკატში 48˚C-დან ხოლო უდაბნოში 54˚C-მდე აღწევს. მზის ენერგია ამ ქვეყანაში გამოიყენება მხოლოდ ქუჩის განათების, შუქნიშნებისა და დაბალი სიმძლავრის საზოგადოებრივი მოხმარებისათვის. ომანის მთავრობამ გა-

მოაცხადა განახლებადი ელექტროსადგურის მშენებლობის ექვსი პროექტი, რომელთაგან ოთხი მზის სიმძლავრის ელექტროსადგურია. შემოთავაზებულია, ასევე, საფუძვლიანი სტრატეგიები, რათა ხელი შეეწყოთ ძირითადი ელექტროსადგურის მშენებლობისათვის 2017 წლის შემდეგ. აღნიშნულის მიზანი საცალო ვაჭრობის აქციების 2030 წლისთვის 30, ხოლო 2040 წლისათვის 40%-ის მიღწევაა. ბოლო წლებში ომანში ელექტროენერგიის ყველაზე დიდი ზრდა დაფიქსირდა დაახლოებით 23%, სპარსეთის ყურის სხვა ქვეყნებთან შედარებით კრიტიკული მაჩვენებელია. მზის სინათლის გამოსხივების ხანგრძლივობა 8-დან 15.5 საათამდე მერყეობს, ამასთან, აღსანიშნავია, რომ მზის საშუალო გამოსხივება 5.2 კილოვატ საათს შეადგენს. ქვეყნის შიდა ელექტროენერგია ისეთია, რომ ყველა შიგა მოთხოვნა დაკმაყოფილებულია და ნაწილი ექსპორტზეც კი გადის. მზის სისტემების გამოყენებას ხელს უშლის, ასევე, სანაპირო მტვერი და ტენიანობა. მზის ელექტროსადგური უფრო ეფექტური იქნება ომანის ჩრდილოეთ რაიონში. ეს მეთოდი ხელსაყრელი იქნება მშრალ ადგილებში, რომელიც არ არის მიბმული ელექტროქსელთან და მისი ეფექტურობაც განისაზღვრება ტენიანობისა და მტვრის მაჩვენებლის მიხედვით. აბუ დაბიში დაფუძნებული განახლებადი ენერგიის დეველოპერი Masdar-ის ხელმძღვანელობით, კონსორციუმმა ომანში Ibri III მზის დამოუკიდებელი ენერგიის პროექტისთვის კონტრაქტი მოიპოვა. პროექტი 500-მეგავატიანი მზის ელეტროსადგურისა და 100 მეგავატი/სთ სიმძლავრის აკუმულატორული ენერგიის შენახვის სისტემას გააერთიანებს, რაც ომანს პირველ კომუნალური მასშტაბის მზის ენერგიის პლუს შენახვის სისტემად აქცევს. პროექტის სავარაუდო ღირებულება 403.1 მლნ აშშ დოლარია, ხოლო დასრულების თარიღი 2027 წლის პირველი კვარტალლია. ის განთავსდდება 500-მეგავატიანი Ibri II მზის პროექტის გვერდით, რომელიც 13-თვიანი მშენებლობის შემდეგ 2022 წელს გაიხსნა. ომანმა 2024 წლის ბოლოსთვის 672 მეგავატი სიმძლავრის მზის ენერგია განათავსა [9].

კონდიცირება სპარსეთის ყურის ელექტროენერგიის მოხმარების უმაღლეს ნიშნულს 70 პროცენტს შეადგენს, მოსალოდნელია რომ გაგრილების ერთეულების რაოდენობა დროთა განმავლობაში კიდევ უფრო გაიზრდება მოსახლეობის ზრდისა და ტემპერატურის მატების გამო.

სპარსეთის ყურის თანამშრომლობის საბჭოს წევრმა სახელმწიფოებმა ენერგეტიკული გარდამავალი პერიოდის კუთხით ძლიერი და სწრაფი პროგრესი განიცადეს, რაც ძირითადად ეკონომიკური და ნაკლებად გარემო ფაქტორებით არის გამოწვეული. დაბალნახშირბადიანი ენერგიის, ბირთვული და განახლებადი ენერგიის ბატარეების დანერგვა ყველაზე თვალსაჩინო იყო ელექტროენერგიის სექტორში. სპარსეთის ყურის ქვეყნებმა დაადგინა ნახშირბადის ნულოვანი გამონაბოლქვის მიზნები და ყველას აქვს განახლებადი და წყალბადის წარმოების მიზნები. მთავარი მიზანია ნახშირწყალბადის რესურსების გრძელვადიანი კონკურენტუნარიანობის დაცვა დაბალნახშირბადიან ინდუსტრიების განვითარებასთან დაბალანსება. არაბთა გაერთიანებულმა საამიროებმა, საუდის არაბეთმა, კატარმა და ომანმა შეთანხმებული პლატფორმა შეიმუშავეს, კატარის გარდა დანარჩენ ქვეყნებს საბოლოო ვადად განსაზღვრული აქვთ 2050 წელი, რათა მიღწეული იქნეს სათბური აირების ნულოვანი ემისიები. ნავთობისა და გაზის ეროვნული ინდუსტრიები, რომლებიც სპარსეთის ყურის თანამშრომლობის საბჭოს ეკონომიკის საყრდენად რჩება, ამცირებენ წვას და მეთანის გაჟონვას, 2016 წლიდან 2023 წლამდე 12 %-იანი კლება შეინიშნება. Saudi Aramcom-მა, Abu Dhabi National Oil Company-მა და QatarEnergy-მა, ასევე, განახორციელეს ნახშირბადის შთანთქმისა და შენახვის პროექტები. ADNOC Emirates Steel-ის ობიექტს შეუძლია ყოველწლიურად 0.8 მლნ ტონამდე ნახშიროჟანგის შთანთქმა.

Aramco ყოველწლიურად 0.8 მლნ ტონას შთანთქავს ჰავიას გაზის ქარხნიდან და უთმანიას საბადოში ნავთობის მოპოვების გაუმჯობესებისთვის. ADNOC-ის ცნობით, 2023 წელს 4.8 მლნ ტონა სათბური გაზების ემისიები დაიზოგა, რაც 24 მლნ ტონა ნახშიროჟანგის ექვივალენტია. ელექტროენერგიის წარმოების სექტორი თითქმის მთლიანად ნავთობიდან გაზზე გადავიდა, გარდა საუდის არაბეთისა და ქუვეითისა. საუდის არაბეთი ელექტროენერგიის წარმოებისთვის ზაფხულში დღეში 1.4 მლნ ბარელამდე ნედლ და საწვავ ნავთობს წვავს. მისი მიზანია 2030 წლისთვის ნავთობის მოხმარება

ელექტროენერგიის ნაცვლად, 50 პროცენტით გაზით და 50 პროცენტით განახლებადი ენერგიით ჩაანაცვლოს. განლაგების ამჟამინდელი ტემპი იმაზე მიუთითებს, რომ ეს მიზანი არ შესრულდება, თუმცა მნიშვნელოვანი პროგრესი იქნება მიღწეული, რაც სამი-ოთხი წელიწადში იქნება შესაძლებელი. ეს ნახშირორჟანგის ემისიების მნიშვნელოვან დაზოგვას და ნავთობის ექსპორტირებას უზრუნველყოფს. სპარსეთის ყურის თანამშრომლობის საბჭოს სუვერენული ფონდები (SWF) და სტრატეგიული საინვესტიციო კომპანიები დღემდე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ენერგეტიკულ გარდამავალ პროცესში, ისევე, როგორც მათი ეროვნული ნავთობკომპანიები. NOC-ები ყველაზე მეტ ეროვნულ სიმდიდრეს გამოიმუშავებენ. სხვადასხვა SWF და სხვა ორგანოები მის შიგა ეკონომიკაში ინვერსტირებას ახორციელებს და საზღვარგარეთ ზოგავენ. სტრატეგიული ინვესტორები, განსაკუთრებით, აბუ დაბის „მასდარი“ განახლებად ენერგიას და წყალბადში უფრო მეტ კაპიტალს დებენ, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, მის ფარგლებს გარეთ. სათბური გაზების ემისიების შემცირების პროგრესი შეზღუდულია. ემისიების ზრდის ტემპი 2012 წლიდან შენელდა და უარყოფითი იყო 2017, 2018 და 2020 წლებში. ენერგეტიკის სექტორის დეკარბონიზაცია, რამდენიმე პროცესის პირდაპირ ელექტრომძრავაზე გადაყვანისა და ელექტრო გათბობის გამოყენების გზით, მნიშვნელოვან პოტენციალს ავლენს ინდუსტრიის დეკარბონიზაციის მიმართულებით. ზოგიერთ ინდუსტრიაში, განსაკუთრებით, საშუალოვადიან პერსპექტივაში, დეკარბონიზაცია უფრო სწრაფად და მარტივად განხორციელდება, მაგალითად, რკინისა და ფოლადის შემთხვევაში. სპარსეთის ყურის რამდენიმე ეროვნულ ნავთობკომპანიას აქვს ნულოვანი გამონაბოლქვის მიზნები. დეკარბონიზაცია ძირითადად მეთანის გაჟონვის შეზღუდვის, ნახშირბადის შთანთქმისა და ელექტროფიკაციის კომბინაციაზეა დამოკიდებული [10].

საუდის არაბეთის „ხედვა 2030“ აგრძელებს ქვეყნის ეკონომიკური ლანდშაფტის შეცვლას. ქვეყანა მსოფლიოში ნავთობის უმსხვილესი ექსპორტიორის პოზიციას ინარჩუნებს და წარმოების დაბალი ხარჯებით სარგებლობს. მაშინაც კი, როდესაც ენერგეტიკული გარდამავალი პერიოდი ნავთობზე მოთხოვნის პიკს გადალახავს, ის მაინც დარჩება მსოფლიოში უმსხვილეს მწარმოებელთა რიცხვში. არაბთა გაერთიანებულ საამიროებში ნავთობისა და გაზის უდიდეს პროექტს ახორციელებს „ADNOC“. პროექტის მიზანია 1.2 მლნ ბარელამდე გაზრდა, რაც მას აბუ დაბის ნახშირწყალბადების სტრატეგიის მთავარ საყრდენად აქცევს. მეორე ფაზას, რომელიც ცნობილია როგორც UZ 1.2 MMBD EPC-2, ახორციელებს აბუ დაბის Targer Engineering Counsutrion Company 500 მლნ აშშ დოლარის ღირებულების კონტაქტით, რომელიც მოიცავს საინჟინრო შესყიდვებსა და სამშენებლო სამუშაოებს. კომპანია მიზნად ისახავს ასეფიას კუნძულზე ოფშორული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას და გაზის ამწევ კომპრესორებზე, დეჰიდრატაციის ბლოკებზე, ორთქლის აღდგენის სისტემებზე, ზღვის წყლის გამწმენდი ნაგებობების მხარდაჭერას. ჰაილისა და ღაშას პროექტი საამიროების ერთ-ერთი უდიდესი ოფშერული გაზის განვითარების პროექტია, რომელიც აბუ დაბის დასავლეთით ღაშას კონცესიაში მდებარეობს. პროექტი მიზნად ისახავს 2030 წლისთვის დღეში 1.5 მლრდ ბუნებრივი აირის წარმოებას და წელიწადში 1.4 მლნ ტონა ნახშირორჟანგის დაგროვებას. 2023 წელს, 16.9 მლრდ დოლარის ღირებულების პროექტი გაფორმდა, რომელიც ჰაილის, ღაშას და დალმას საბადოებს და 10 ხელოვნური კუნძულის მშენებლობას მოიცავს, რაც გარემოზე ზემოქმედების შემცირებისა და ბურღვის მოქნილობის მხარდასაჭერის მიზნით, გულისხმობს სრულად უპილოტო საზღვაო ობიექტების დისტანციურ მართვას ალ მანაიფის სანაპირო ქარხნიდან, ისეთი მოწინავე ტექნოლოგიების გამოყენებით, როგორიცაა ხელოვნული ინტელექტით მართული ტექნიკური მომსახურება და ციფრული ტყუპები. აბუ დაბის ალ რუვაისის ინდუსტრიულ ქალაქში მდებარე რუვაის თხევადი ბუნებრივი აირის პროექტი ერთ-ერთი უდიდესი პროექტია, რომელიც ექსპლუატაციაში შევა 2028 წელს და 2048 წელს დასრულდება, რითიც გაიზრდება თხევადი ბუნებრივი აირის წარმოების სიმძლავრე 15 მლნ ტონამდე. მასზე განთავსდება 4.8 მლნ ტონა სიმძლავრის თხევადი გაზის მატარებელი, რომელიც ელექტრო, ბირთვული და განახლებადი ენერგიის წყაროებით იმუშავებს, რაც მას რეგიონში პირველ თხევადი ბუნებრივი აირის ექსპორტის ობიექტად აქცევს,

რომელიც სუფთა ენერგიაზე იმუშავებს. Adnoc გაზის პროექტი წარმოადგენს მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ ინიციატივას, რომელიც შექმნილია რუვაისის თხევადი ბუნებრივი აირის ობიექტის მხარდასაჭერად, ბუნებრივი აირის ნედლეულის დამუშავებითა და მომზადებით. ის მუშავდება ჰაბშან 5-ის ობიექტზე, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ინტეგრირებული გაზის გადამამუშავებელი კომპლექსია და აბუ დაბიში მდებარეობს. პროექტი მოიცავს თხევადი ბუნებრივი აირის წინასწარი კონდიცირების ქარხნის ახალი შეკუმშვის, ნაგებობების და გადამცემი მილსადენების მშენებლობას, რომლებიც ჰაბშან 5-ს რუვაისის თხევადი ბუნებრივი აირის ობიექტთან დაუკავშირებს. დალმას ოფშორული მჟავე გაზის განვითარება ღაშას კონცესიის, მსოფლიოში უდიდესი ოფშორული მჟავე გაზის პროექტის, ძირითადი კომპონენტია [11].

საუდის არაბეთი ნავთობისა და გაზის ინდუსტრიაში 180 მლრდ აშშ დოლარზე მეტის ინვესტირებას გეგმავს, რათა გლობალური ენერგეტიკული ძალის პოზიციები გააძლიეროს. ამ ამბიციურ გაფართოებას წინ უსწრებს ნავთობისა და გაზის მომავალი პროექტები, როგორიცაა ჯაფურას გაზის განვითარება. ამირალის ნავთობქიმიური კომპლექსი მსოფლიო მასშტაბის ნავთობისა და გაზის პროექტია, რომელსაც Saudi Aramco და TotalEnergies ავითარებენ საუდის არაბეთის ქალაქ ჯუბაილში. კომპლექსი ინტეგრირებულია SATORP-ის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანასთან და შექმნილია პეტროქიმიური პროდუქტების მსგავსი წარმოებისთვის ხელსაყრელი ნედლეულის გადასამუშავებლად. პროექტი მოიცავს შერეული მიწოდების ორთქლის კრეკინგს, რომლის ეთილენის წარმოების სიმძლავრე წელიწადში 1.65 მლნ ტონაა, ორ პოლიეთილენის ხაზს, რომელთაგან თითოეული წელიწადში 500,000 ტონას აწარმოებს და ბუტიადენის, არომატული ნაერთებს. კომპლექსი მხარს დაუჭერს სპეციალიზებული ქიმიკატების პარკს, რომელიც მიზნად ისახავს ნახშირბადის ბოჭკოების, საპოხი მასალების, დანამატების, საავტომობილო ნაწილების წარმოებას. პროექტი შეესაბამება მდგრადი განვითარების მიზნებს და ფოკუსირებულია ნახშირბადის ინტენსივობის შემცირებაზე.

გაზის სისტემის გაფართოების მესამე ფაზა მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ნახშირწყალბადების ტრანსპორტირების ქსელის ნაწილია, რომლის მიზანიცაა გაზის მიწოდების გაუმჯობესება საუდის არაბეთში ინდუსტრიული ზრდის მხარდასაჭერად. პროექტი გულისხმობს ნავთობის ელექტროსადგურების ბუნებრივ აირზე გადაყვანას, რაც ხელს შეუწყობს უფრო სუფთა ენერგიის ნაზავის შექმნას და საუდის არაბეთის ნულოვანი ემისიების მიზნებს [12].

კატარის ჩრდილოეთ ველის აღმოსავლეთის გაფართოების პროექტი მოიცავს ნახშირბადის შთანთქმის მოწინავე მოწყობილობებს, რომელიც შექმნილია სათბური აირების ემისიების 25%-ზე მეტით შესამცირებლად, თხევადი ბუნებრივი აირების განვითარებასთან შედარებით. ლაფანის ნავთობქიმიური პროექტი წარმოადგენს 6 მლრდ აშშ დოლარის ღირებულების ისტორიულ და ერთობლივ საწარმოს, რომელიც დოჰადან ჩრდილოეთით დაახლოებით 80 კილომეტრშია, ახლო აღმოსავლეთში ერთ-ერთი უდიდესი კომპლექსია, რომელიც აღჭურვილია ეთილენით და მოიცავს ორ მაღალი სიმკვრივის პოლიეთილენის ერთეულს. პროექტი „რუია“ მრავალწლიანი პროგრამაა, რომელსაც „ჩრდილოეთის ნავთობკომპანია“ ხელმძღვანელობს. იგი „კატარენერჯისაა“ და „ტოტალენერჯიზის“ ერთობლივი საწარმოა, რომლის მიზანია ხუთი წლის განმავლობაში 550 მლნ ბარელზე მეტი ნავთობის მოპოვება, რაც 200-ზე მეტი ჭაბურღილის ბურღვას და ახალი ცენტრალიზებული გადამამუშავებელი კომპლექსის, ცხრა დისტანციური ჭაბურღილის და მათთან დაკავშირებული მილსადენების დამონტაჟებას ეხება [13].

სპარსეთის ყურის თანამშრომლობის საბჭოს ყველა წევრმა სახელმწიფომ, ნავთობის მომავალში გამოსაყენებლად, შექმნა სუვერენული სიმდიდრის ფონდი, თუმცა სხვა სახელმწიფო ინსტრუმენტებიც ახორციელებენ ინვესტიციებს მათ სფეროებში, როგორიცაა ქუვეითის ნავთობის კორპორაცია და საუდის არაბეთის ძირითადი მრეწველობის კორპორაცია. საერთო ჯამში სპარსეთის ყურის თანამშრომლობის საბჭოს აქვს 1 ტრლნ აშშ დოლარის ინვესტიცია. სწორედ ამ ფონდის დახმარებით მთავრობასაც და ხალხსაც შეეძლებათ ცხოვრება ნავთობის და გაზის რესურსების ამოწურვის შემდეგ. ამ ძალისხევათა მიზანია აქტივების დივერსიფიკაცია, რათა შემცირდეს შემოსავ-

ლის რისკი, რომელიც ნავთობზე ძლიერი დამოკიდებულებით წარმოიშობა.

სპარსეთის ყურის თანამშრომლობის სუვერენული სიმდიდრის ფონდში სულ მცირე 16 აქტიური სამხრეთ-დასავლეთის ფონდია, აქედან, ათი არაბთა გაერთიანებული საამიროებიდან, ხოლო დანარჩენი ექვსი განაწილებულია საბჭოს წევრ ქვეყნებში. ნავთობის მაღალი ფასები და მიმდინარე საბაზრო არეულობა სპარსეთის ყურის ნავთობისა და გაზის მწარმოებლებისთვის მოულოდნელი შემოსავლის მამოძრავებელი ფაქტორია. ნავთობის შემოსავლების მასშტაბის ნათელი მაგალითია ის, რომ Saudi Aramco-მ 2022 წელს 161 მლრდ აშშ დოლარის მოგება გამოაცხადა, რაც საჯაროდ რეგისტრირებული კომპანიის მიერ დაფიქსირებული ყველაზე მაღალი წლიური მოგებაა. ნავთობის მაღალი ფასებით გამოწვეულმა ფინანსური ძალა, სხვა ფაქტორებთან ერთად, რეგიონის მდგრადი საფინანსო ფონდების ხარჯების ზრდაშიც გამოიხატა. ნავთობის შემდგომ მომავალში გადასვლა პოტენციურად მნიშვნელოვან გამოწვევებს წააწყდება. ეკონომიკური დივერსიფიკაციის და კერძო სექტორის განვითარების მიმართულებით სულ უფრო სწრაფი პროგრესი კრიტიკულად მნიშვნელოვანი იქნება მომავალში მდგრადი ზრდის უზრუნველსაყოფად [14].

არაბულ ქვეყნებში ნავთობის მარაგი, სავარაუდოდ, 70.4 მლრდ ბარელამდე შემცირდება, რაც კვლავ მსოფლიო ნავთობის მთლიანი მარაგის 41.3%-ს შეადგენს. თუმცა 2030 წლისთვის ვარაუდობენ, რომ ეს მარაგი შემცირდება 65.45 მლრდ ბარელამდე, რაც ამჟამინდელ დონესთან შედარებით 7%-იანი კლებაა. მოსალოდნელია, რომ რეგიონში ბუნებრივი აირის მარაგი შემცირდება ამჟამად არსებული 58 ტრლნ კუბური მეტრიდან, რაც გლობალური რეზერვების 26.8-ს შეადგენს, 2030 წლისთვის 53.53 ტრლნ კუბურ მეტრამდე. მარაგების შემცირების მიუხედავად, არაბულ ქვეყნებში ნავთობის წარმოების ზრდაა მოსალოდნელი. 2030 წლისთვის დღიური წარმოების პროგნოზით, ის 33 მლნ ბარელს მიაღწევს, რაც ამჟამინდელი 28.7 მლნ ბარელიდან 6.4%-იანი ზრდაა [15].

დედამიწაზე წიაღისეული საწვავის შეზღუდული რაოდენობაა. ნავთობის შეფასებები განსხვავებულია. ნავთობის ცნობილი მარაგები 47-56 წელი ძლებს, იმ ვარაუდით, რომ მოხმარება დაახლოებით ამჟამინდელ დონეზე დარჩება. ბუნებრივი აირი, მისი ძირითადი მაჩვენებლებით, ძირითადად, 50 წლის დიაპაზონშია. ქვანახშირი კი იმის გამო, რომ დადასტურებული მარაგები უფრო დიდია და ქვანახშირის მოპოვება ნაკლებად შეზღუდულია, შეიძლება 70-100 წელი გაძლოს ამჟამინდელი მოთხოვნის პირობებში. რა თქმა უნდა, მოცემული თარიღები ზუსტი არ არის, თუმცა ნავარაუდევია, რომ არ მოხდება მნიშვნელოვანი ახალი აღმოჩენები, მოპოვების რადიკალური გაუმჯობესება, ეფექტურობის მოულოდნელი ნახტომები და მოთხოვნის შემცირება. რეალურმა ფაქტორებმა, შეიძლება მაჩვენებლები ათწლეულით ან მეტით უკან ან წინ გადასწიოს. განახლებადი ენერგიის ახალი პროექტების უმეტესობა უფრო იაფია, ვიდრე წიაღისეული ენერგიის ალტერნატივები: განახლებადი ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს მონაცემებით, მსოფლიოში ახლად ამოქმედებული ენერგიის პროექტების 90%-ზე მეტის ექსპლუატაცია ახლა უფრო იაფია, ვიდრე ახალი ნახშირის ან გაზის ელექტროსადგურების. ფოტოელექტრული ენერგია ბევრ შემთხვევაში 41%-ით იაფია, ვიდრე ყველაზე იაფი წიაღისეული საწვავის წყაროები ისევე, როგორც ქარის ენერგია, ვიდრე წიაღისეული საწვავის ფასები. თუ ეს ტენდენციები გაგრძელდება შესაძლოა „ამოწურვის“ თარიღამდე გაცილებით ადრე მივაღწიოთ ეტაპს, როდესაც წიაღისეული საწვავი ეკონომიკურად აღარ იქნება სიცოცხლისუნარიანი, რადგან განახლებადი ენერგია უფრო იაფი, სუფთა და სულ უფრო საიმედოა.

ნავთობსა და გაზზე მოთხოვნა შეიძლება შემცირდეს სრულ ამოწურვამდე, განსაკუთრებით ელექტროენერგიის გამომუშავების, გათბობისა და ტრანსპორტისთვის. გარემოსდაცვითი რეგულაციების, ნახშირბადის ფასებისა და სოციალური წინააღმდეგობების გამო, ქვანახშირი თანდათანობით, მისი თეორიული რეზერვების ამოწურვამდე დიდი ხნით ადრე, გაუქმდება. მიუხედავად იმისა, რომ ნავთობი, გაზი და ქვანახშირი ერთ ღამეში არ გაქრება, მათი დომინირების ერა ნაცვლდება განახლებადი ენერგიით, რომელიც დღეს უკვე მომავლის იდეალად არის მიჩნეული.

MARIAM KIKNADZE – *GTU, PhD Student*

Contemporary Trends in Energy Security among the Persian Gulf States

Summary

Global energy consumtion is increasing at a rate that surpasses population growth,and this heightened demand has accelerated the production of oil. Such dynamics often result in artificially evelated oil prices and intensified drilling activities,thereby placing significan pressure on the energy industry. In response to emerging technological advancements,the processes of extraction and distribution must be aligned with environmental sustainability objectives. The future of the energy sector is increasingly oriented toward innovative approaches,particularly the transition to solar energy,which aims to conserve susbtantial hydrocarbon reserves. This article examines the projects and strategies adopted by Persian Gulf states in the conext of energy transtion,including their ambitious objective of achieving net-zero emissions, the expansion of solar and wind energy systems and the influence of regional cimatic conditions.Special attention is given to the role of photovolatic panels,as eleveted operating temperatures can reduce their energy generation officiency,consequently increasingly the cost of solar power production. The primary objective of the Arab Gulf states is to strike a balance between maintaining the long-term competitivness of hydrocarbon resources and advancing the development of low-carbon industries. Ultimately,while oil and gas remain essential components of the energy mix,the emphasis is on producing and utilizing these resources in a cleaner and more efficient manner.This aproach is expected to extend the lifespan of limited fossil fuel reserves,while fostering significant improvements in extraction technologies,efficiency gains and demand management.

***Keywords*:** Solar Energy, Energy Transition, Zero Emissions, Photovoltaic Panel, Oil Emissions

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Staff E. M., (2024, November 10). Energies Media. Retrieved December 12, 2025, from Eneergiesmedia.com: HYPERLINK "https://energiesmedia.com/how-solar-energy-is-revolutionizing-oil-and-gas-production/" https://energiesmedia.com/how-solar-energy-is-revolutionizing-oil-and-gas-production/
2. Adam Hanieh. Greening the Gulf? Renewables, Fossil Capitalism and the 'East–East' Axis of World Energy**.** https://onlinelibrary.wiley.com/doi/10.1111/dech.70006
3. Vali, M. S. (2020, January 9). Potential regions in the Persian Gulf to deploy offshore floating photovoltaic systems. Proceeding of the Institution of Civil Engineers-Energy, 4-15.
4. Emirates, L. s. (2024, October). Listsolar. Retrieved from list.solar/plants: HYPERLINK https://list.solar/plants/largest-plants/united-arab-emirate/" https://list.solar/plants/largest-plants/united-arab-emirate/
5. Dhawi, F. (2018). Renewable Resources Future and Awareness in Saudi Arabia, Solar Photovoltaic as a Model. Low Carbon Economy, 101-108, pp. 1-8.
6. BIBLIOGRAPHY \l 1033 Center, G. R. (2022). Saudi Arabia Renewable Energy Industry Outlook. Saudi Arabia: Gulf Research Center.
7. BIBLIOGRAPHY \l 1033 Qatar Tribune. (2025, July 29). Retrieved from qatar-tribune.com: HYPERLINK "https://www.qatar-tribune.com/article/187291/nation/qatars-solar-energy-projects-green-energy-in-the-heart-of-desert" https://www.qatar-tribune.com/article/187291/nation/qatars-solar-energy-projects-green-energy-in-the-heart-of-desert

8. Agency, I. S. (2025, July 7). Iran's Renewable revolution with solar-hydro synergy. ISNA. Retrieved from HYPERLINK "https://en.isna.ir/news/1404041609348/Iran-s-renewable-revolution-with-solar-hydro-synergy" https://en.isna.ir/news/1404041609348/Iran-s-renewable-revolution-with-solar-hydro-synergy
9. M. R. Hayati, S. R. (2023). A Comparative Analysis of Solar Energy Strategies in Middle East with Rich Fossil Resources. ranian (Iranica) Journal of Energy & Environment, 9-10.
10. BIBLIOGRAPHY \l 1033 M.Mills, R. (2025, August 26). Energy Transitions in the Gulf:Realities,Risks and the Road Ahead. Retrieved from HYPERLINK "https://orfme.org/research/energy-transitions-in-the-gulf-realities-risks-and-the-road-ahead/" https://orfme.org/research/energy-transitions-in-the-gulf-realities-risks-and-the-road-ahead/
11. BIBLIOGRAPHY \l 1033 Raymond, X. (2025, September 9). blackridge. Retrieved from blackridgeresearch.com: HYPERLINK "https://www.blackridgeresearch.com/blog/latest-list-top-largest-new-upcoming-ongoing-oil-and-gas-projects-united-arab-emirates-uae-adnoc." https://www.blackridgeresearch.com/blog/latest-list-top-largest-new-upcoming-ongoing-oil-and-gas-projects-united-arab-emirates-uae-adnoc.
12. BIBLIOGRAPHY \l 1033 Raymond, X. (2025, September 16). blackridge. Retrieved from blackridgeresearch.com: HYPERLINK "https://www.blackridgeresearch.com/blog/latest-list-top-new-largest-upcoming-ongoing-oil-and-gas-projects-saudi-arabia-ksa-aramco" https://www.blackridgeresearch.com/blog/latest-list-top-new-largest-upcoming-ongoing-oil-and-gas-projects-saudi-arabia-ksa-aramco
13. Raymond, X. (2025, October 7). Blackbridge. Retrieved from Blackbridgeresearch.com: HYPERLINK "https://www.blackridgeresearch.com/blog/latest-list-top-new-largest-upcoming-ongoing-oil-and-gas-projects-qatar-energy" https://www.blackridgeresearch.com/blog/latest-list-top-new-largest-upcoming-ongoing-oil-and-gas-projects-qatar-energy
14. BIBLIOGRAPHY \l 1033 Bazoobandi, S. (2017, October 3). POLITICAL ECONOMY OF SOVEREIGN WEALTH FUNDS. Economic Research Forum, 7-16.
15. BIBLIOGRAPHY \l 1033 Reporter, D. (2024, August 9). emiratitimes. Retrieved from emiratitimes.com: HYPERLINK "https://emiratitimes.com/arab-oil-and-gas-reserves-to-decline-by-2030/" https://emiratitimes.com/arab-oil-and-gas-reserves-to-decline-by-2030/
16. BIBLIOGRAPHY \l 1033 Group, I. r. (2025). infinity-renewables.com. Retrieved from infinity-renewable.com: HYPERLINK "https://infinity-renewables.com/when-will-fossil-fuels-run-out/" https://infinity-renewables.com/when-will-fossil-fuels-run-out/

ნუგზარ დურმიშიძე
სტუ, ასოცირებული პროფესორი

შავი ზღვის რეგიონი და ბრძოლა მასზე გავლენის მოსაპოვებლად

წარმოდგენილ სტატიაში განხილულია შავი ზღვისა და მისი რეგიონის გეოპოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხები და მათი მნიშვნელობა უპირველეს ყოვლისა საქართველოსთვის და ზოგადად, სამხრეთ კავკასიის რეგიონისთვის. ამ საკითხმა დიდი აქტუალობა შეიძინა ბოლო წლებში, განსაკუთრებით კი უკრაინაში მიმდინარე სრულმასშტაბიანი ომის კონტექსტში.

შავი ზღვა და მისი მიმდებარე ქვეყნები ყოველთვის ითვლებოდა სტრატეგიული მნიშვნელობის რეგიონად, რადგან მასზე გადიოდა „ორი სამყაროს," ნატო-ს და საბჭოთა „ბლოკის" შეხების ხაზი, მაგრამ ის ყურადღება მაინც არ იყო ისეთი ინტენსიური და ყოვლისმომცველი, როგორიც ახლა ექცევა ამ ადგილს, ვინაიდან ცივი ომის დასრულებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რადიკალურად შეიცვალა რეგიონის გეოპოლიტიკური ლანდშაფტი და გაჩნდა ახალი, საკმაოდ მრავალფეროვანი სტრატეგიული ინტერესები, რომლებიც, ბუნებრივია, მძაფრი კონკურენციის საგანი გახდა რეგიონულ და გლობალურ აქტორთა შორის.

წინამდებარე ნაშრომში შევეცდებით შეძლებისდაგვარად აღვწეროთ დღეს მიმდინარე მოვლენების ფონზე შავი ზღვის გეოსტრატეგიული სურათი, რეგიონულ და გლობალურ ძალთა დაპირისპირება და წარმოვადგინოთ საკუთარი მოსაზრება შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

საკვანძო სიტყვები: *გეოპოლიტიკა, სამხრეთ კავკასია, შავი ზღვის აუზი, საქართველო, გლობალური აქტორები.*

გეოგრაფიულად შავი ზღვა ხმელთაშუა ზღვის დიდი სისტემის ფრაგმენტს წარმოადგენს, ის აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთის ნაწილია, მისი მიმდებარე, ანუ რეგიონის ქვეყნები კი, რუსეთის გარდა, მედიტერანულ კულტურასა და ცივილიზაციას ეკუთვნის მეტნაკლები ხარისხით. მათ შორისაა საქართველოც, რომელსაც მუდამ მჭიდრო კავშირი ჰქონდა ბერძნულ და ბიზანტიურ კულტურასთან.

შავ ზღვას ძველი ბერძნები „ევქსინის პონტოს" უწოდებდნენ, რაც თარგმანში არასტუმართმოყვარე ზღვას ნიშნავს, ხოლო მოგვიანებით თურქებმა „ქარა დენიზი" (kara deniz) anu „შავი ზღვა" უწოდეს. ასეთი სახელები, როგორც ჩანს, მისთვის დამახასიათებელმა ხშირმა ღელვამ და შტორმებმა განაპირობეს, რაც ხომალდების დაღუპვის მიზეზი ხდებოდა.

ისტორიულად შავი ზღვა და მისი რეგიონი ყოველთვის ექვემდებარებოდა ხან ერთი სახელმწიფოს დომინაციას, ხანაც ორმხრივი კონდომინუმის რეჟიმს. მე-15 საუკუნემდე მას, ძირითადად, ბიზანტიის იმპერია აკონტროლებდა, რადგან მის ხელში იყო დიდ მედიტერანულ სივრცესთან და ამდენად, მსოფლიო ოკეანესთან დამაკავშირებელი გზები - ბოსფორის და დარდანელის სრუტეები. ხოლო 1453 წელს თურქების მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობის შემდეგ, ისინი ოსმანთა იმპერიის მფლობელობაში აღმოჩნდა და ფაქტობრივად „ოსმალურ ტბად" გადაიქცა, თუმცა მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან მას გამოუჩნდა ძლიერი კონკურენტი რუსეთის იმპერიის სახით, რომელმაც ყირიმის დაპყრობისა და ჩრდილოდასავლეთ კავკასიის სანაპიროზე დამკვიდრების შემდეგ, შავი ზღვის მნიშვნელოვან ნაწილზე დაამყარა თავისი კონტროლი, ხოლო მე-19 საუკუნეში, სამხრეთ კავკასიაში გაბატონების კვალდაკვალ, სოხუმის, ფოთის და ბათუმის პორტებსაც დაეუფლა. მაგრამ „საკვანძო კორიდორი," ბოსფორი და დარდანელი, კვლავ

თურქეთის ხელში რჩებოდა და ასეა დღემდე. სწორედ ამ სტრატეგიულად უმნიშვნელოვანესი სრუტეების დაუფლება იყო მუდამ რომანოვების მონარქიის აუხდენელი ოცნება ლამაზი პროპაგანდისტული შეფუთვით: „წმინდა ქალაქ კონსტანტინოპოლის დახსნა ურჯულოთა ხელიდან“ (ისევ ცნობილი რუსული მესიანიზმი). რა თქმა უნდა, ეს თავისთავად მოხდებოდა აღნიშნული მიზნის რეალიზაციის შემთხვევაში, მაგრამ რეალურად მთავარი მაინც სტრატეგიული ინტერესები გახლდათ. იმავე საუკუნის ბოლოსთვის რეგიონში გამოჩდნენ ახალი დამოუკიდებელი მოთამაშეები - ოსმანთა ხუთასწლოვანი ბატონობისაგან (და აქ უნდა ვაღიაროთ რუსეთის გადამწყვეტი როლი) განთავისუფლებული რუმინეთი და ბულგარეთი, მაგრამ მათი გავლენა უმნიშვნელო იყო და შავი ზღვა ისევ რუსულ-ოსმალური კონკურენციის საგნად რჩებოდა დიდი ხნის მანძილზე [6]

ორმხრივი დომინირების რეჟიმი გრძელდებოდა ცივი ომის დროსაც საბჭოთა კავშირისა და თურქეთის რესპუბლიკის მონაწილეობით, თუმცა სსრკ-ის საგრძნობი უპირატესობით, ვინაიდან ამ რეგიონში თურქეთი ნატო-ს, ანუ დასავლეთის ერთადერთი წარმომადგენელი გახლდათ, ხოლო რუმინეთი და ბულგარეთი, მოსკოვის სატელიტი ქვეყნები და ვარშავის პაქტის წევრები იყვნენ, რომ არაფერი ვთვათ საბჭოთა კავშირის „შთამაგონებელ“ სამხედრო პოტენციალზე და თუ რამე ამყარებდა იმ დროს ანკარის პოზიციებს, ისევდაისევ ეს სტრატეგიული სრუტეები - ბოსფორი და დარდანელი მონტრეს ცნობილი კონვენციით „ზურგგამაგრებული.“

ცივი ომის დასრულების და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაიწყო სრულიად ახალი ეპოქა, რომელმაც ძირეულად შეცვალა მსოფლიო პოლიტიკური ლანდშაფტი და დღის წესრიგში დადგა საერთაშორისო ურთიერთობათა ახალი სისტემის ჩამოყალიბება უამრავი თანამდევი სერიოზული პრობლემებითა და გეოპოლიტიკური კატაკლიზმებით, რამაც შავი ზღვის რეგიონსაც არ აუარა გვერდი და წინამდებარე პუბლიკაციის მიზანსაც ამ რეგიონის გეოსტრატეგიული მნიშვნელობის და მასთან დაკავშირებული პრობლემების თუ კონფლიქტების განხილვა და ანალიზი შეადგენს უახლესი ისტორიისა და თანამედროვეობის ჭრილში.

შავი ზღვა ცივი ომის დროს და თურქეთის ნატო-ში გაწევრიანების რეალური მიზეზი

შავ ზღვას, რომელიც მანამდე „მეორეხარისხოვან“ რეგიონად ითვლებოდა სათანადო ყურადღება მიექცა მე-2 მსოფლიო ომის შემდეგ ანუ ორი სამყაროს ცალსახა იდეოლოგიური კონფრონტაციის ეპოქაში, რაც საერთაშორისო პოლიტიკურ ლექსიკონში „ცივ ომად“ იწოდება. თურქეთის ნატო-ში გაწევრიანება და ამდენად იდოლოგიური დაპირისპირების ფრონტის შავ ზღვაზე გავრცელებაც ამას უკავშირდება [3].

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ მეორე მსოფლიო ომის დასრულებისთანავე საბჭოთა კავშირმა და კონკრეტულად მისმა ლიდერმა იოსებ სტალინმა ტერიტორიული და პოლიტიკური პრეტენზიები წაუყენა თურქეთს ამტკიცებდა რა, რომ ამ უკანასკნელმა ომის მსვლელობაში დაარღვია გამოცხადებული ნეიტრალიტეტი, დაარღვია მონტრეს კონვენცია და შავ ზღვაში შეღწევაში ეხმარებოდა გერმანულ სამხედრო გემებს და თვითონაც გეგმავდა კავკასიაში შეჭრას ხელსაყრელი მომენტის შემთხვევაში; აქედან გამომდინარე, მოითხოვდა მონტრეს კონვენციის გადახედვას, ბოსფორსა და დარდანელზე საბჭოთა სამხედრო ბაზების განთავსებას, თურქეთისგან კი ყარსის ართვინისა და არტაანის რეგიონების, ანუ ისტორიული ქართული და სომხური მიწების დაბრუნებას შესაბამისად საქართველოს და სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკებისათვის, რაც თავისთავად ძალზე კარგი იქნებოდა ჩვენი ქვეყნისთვის განხორციელების შემთხვევაში. ამის შესახებ სტალინმა ჯერ კიდევ პოტსდამის სამშვიდობო კონფერენციაზე განაცხადა. მაგრამ კონფერენციის სხვა მონაწილეებმა, დასავლელმა მოკავშირეებმა ეს წინადადება უარყვეს, ხოლო თურქეთმა, რომელიც სერიოზული საფრთხის წინაშე იდგა, დახმარების თხოვნით მიმართა ამერიკის შეერთებულ შტატებს და მიიღო კიდეც

დახმარების პირობა. აშშ-ის მაშინდელმა პრეზიდენტმა ტრუმენმა 1946 წელს საჯაროდ და არაორაზროვნად განაცხადა, რომ თურეთსა და საბერძნეთზე (საბჭოეთი ბერძენ კომუნისტებსაც ღიად ეხმარებოდა) საბჭოთა აგრესიის შემთხვევაში ის გაუწევდა ამ ქვეყნებს ყველანაირ დახმარებას პირდაპირი სამხედრო დახმარების ჩათვლით, რის შემდეგაც სტალინმა, რომელიც ახალი ომის რისკზე აღარ წავიდა, თავის განზრახვაზე ხელი აიღო. თურქეთი კი აღნიშნული მოვლენებიდან მალევე, 1952 წელს ნატო-ში გაწევრიანდა, რითაც საიმედო „ქოლგა“ მოიპოვა და მეტწილად უზრუნველყო საკუთარი უსაფრთხოება.

ცივი ომის პერიოდი ძირითადად შედარებით მშვიდი იყო შავი ზღვის რეგიონისთვის, რადგან ყველაფერი გარკვეული ჩანდა, გავლენის სფეროები გადანაწილებული და ასე ვთქვათ, ყველამ „თავისი ადგილი იცოდა;“ ანაც თურქეთის უმთავრესი საზრუნავი იმ დროისათვის, საკუთარი უსაფრთხოების უზღუნველყოფა იყო საბჭოთა კავშირისაგან, საერთაშორისო ფუნქცია კი ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ანუ დასავლეთის აღმოსავლური ფლანგის სტაბილურობის შენარჩუნება გახლდათ, რასაც ანკარა წარმატებით ართმევდა თავს. მხოლოდ ერთხელ შეიქმნა მცირე დაძაბულობა კვიპროსის კრიზისში თურქეთის აქტიური სამხედრო ჩარევის გამო, თუმცა ეს მნიშვნელოვნად არ ასახულა რეგიონის მთავარ მოთამაშეთა ურთიერთობაზე და არც თურქეთში რამდენჯერმე მომხდარ სამხედრო გადატრიალებას მოუხდენია არსებითი გავლენა ზოგად სიტუაციაზე, ვინაიდან კრემლში თვლიდნენ, რომ ეს „მათი პრობლემა არ იყო.“ ასე გრძელდებოდა 1991 წლამდე, ანუ ცივი ომის დასრულებასა და საბჭოთა კავშირის დაშლამდე, რამაც დაასრულა ბიპოლარული საერთაშორისო სისტემა და მთელი სიგრძე-სიგანით დადგა ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების აუცილებლობა.

რეგიონის თანამედროვე მდგომარეობა და სტრატეგიული მნიშვნელობა

როგორც ზემოთ აღინიშნა, 1991-1992 წლების „მსოფლიო გეოპოლიტიკური რევოლუციის“ შემდეგ, ძველი, ბიპოლარული საერთაშორისო სისტემიდან აღარაფერი დარჩა, ახალი კი დღემდე ჩამოყალიბების პროცესშია და ეს პროცესი ძალზე მტკივნეულად მიმდინარეობს როგორც ნაციონალური, ისე რეგიონული კატაკლიზმების თანხლებით, რომლებიც ზოგჯერ გლობალურ ხასიათსაც იღებს და მსოფლიო პოლიტიკაზე ახდენს გავლენას; ამის თვალსაჩინო მაგალითია მიმდინარე რუსეთ-უკრაინის ომი, რომელიც ფორმით ლოკალური, გნებავთ რეგიონული ხასიათისაა (რუსეთის აგრესია არასდროს არის ლოკალური), მაგრამ რეალურად საქმე გვაქვს გლობალურ კონფლიქტთან, ვინაიდან მასში პირდაპირ თუ ირიბად ჩართულია ყველა „პლანეტარული აქტორი“.

საერთაშორისო დესტაბილიზაციამ, ბუნებრივია, არც შავი ზღვის რეგიონს და აქედან გამომდინარე, ჩვენს ქვეყანას აუარა გვერდი. საქართველოს უამისოდაც არ დაკლებია ეგზისტენციალური გამოწვევები ბოლო 30 წლის მანძილზე, მაგრამ შავი ზღვა მაინც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია სამხრეთ კავკასიურ და კერძოდ, ქართულ გეოპოლიტიკაში, რადგან სამხრეთ კავკასია, რომლის საკვანძო, ცენტრალური ქვეყანა საქართველოა, არასდროს ყოფილა „გეოპოლიტიკურად თვითკმარი,“ ანუ საკუთარ თავში ჩაკეტილი რეგიონი; ჩრდილო კავკასიაზე (ამჟამად რუსეთის ფედერაციის სუბიექტი) რომ არაფერი ვთქვათ, მას პირდაპირი კავშირი აქვს ახლო აღმოსავლეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან, ასევე ცენტრალურ აზიასთან და კასპიის რეგიონთან და ამდენად თავისუფლად შეიძლება იგი აღნიშნულ გეოპოლიტიკურ სივრცეთა სუბრეგიონად [6] განვიხილოთ. შავი ზღვა კი უშუალოდ უკავშირდება მედიტერანულ სისტემას და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის ნაწილს წარმოადგენს. შავ ზღვას, როგორც უმნიშვნელოვანეს გეოსტრატეგიულ ფაქტორს, „უნისონში“ აღიარებენ რუსი, დასავლელი და ჩინელი ექსპერტებიც, რუსი ავტორების ნაწილი [5] ხაზს უდვამსსაქართველოს შავიზღვისპირეთის, კონკრეტულად ფოთის და ბათუმის პორტების სტრატეგიულ ღირებულებას, ვინაიდან საქართველო ბუნებრივ ბუფერს და დამაკავშირებელ ხიდსაც წარმოადგენს რე-

გიონის ორ უმსხვილეს მოთამაშეს - რუსეთსა და თურქეთს შორის როგორც სახმელეთო, ისე საზღვაო თვალსაზრისით. საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში, 1921 წელს, საქართველოში საბჭოთა რუსეთის საელჩოს სამხედრო ატაშე გენერალი სიტინი „ცენტრის“ მიმართ გაგზავნილ ერთ-ერთ რელაციაში დეტალურად აღწერდა და ასაბუთებდა საქართველოს შავიზღვისპირეთის სტრატეგიულ მნიშვნელობას. ის აუცილებლად მიიჩნევდა არა მარტო აფხაზეთის, არამედ სამეგრელოს და აჭარის ჩამოშორებას საქართველოდან და იმასაც კი განიხილავდა, რომ თუ მოხდებოდა ისე, რომ რუსეთი თბილისზე კონტროლს დაკარგავდა (საყურადღებოა, რომ ასეთ ვარიანტსაც არ გამორიცხავდა), საქართველო მაინც ვერ შეძლებდა არსებობას შავ ზღვაზე გასასვლელის გარეშე, რადგან მთლიანად მოწყდებოდა გარე სამყაროს [4].

საბჭოთა კავშირის დაშლამ, როგორც ზემოთ აღინიშნა, მკვეთრად შეცვალა რეგიონის გეოპოლიტიკური ლანდშაფტი. მოსკოვის ყოფილ „კლიენტებს“ - რუმინეთსა და ბულგარეთს - ასეთი დამოკიდებულება აღარ ჰქონდათ ყოფილ „პატრონთან,“ ხოლო ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების შემდეგ ამ ორმა ქვეყანამ თურქეთთან ერთად, თუ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების - საქართველოს და უკრაინის პროდასავლურ ორიენტაციასაც გავითვალისწინებთ, აშკარა გახადა ნატო-ს უპირატესობა შავ ზღვაზე, თუმცა მოგვიანებით ყირიმის მიტაცებამ და აფხაზეთის ფაქტობრივმა ანექსიამ 2008 წლის ომის შემდეგ, საგრძნობი კორექტივები შეიტანა მანამდე არსებულ ბალანსში რუსეთის სასარგებლოდ.

ცივი ომის დასრულებამ რადიკალურად შეცვალა ასევე თურქეთის პოლიტიკა და მისი დამოკიდებულება საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში თავისი როლისადმი. ამ სახელმწიფომ, რომლის უმთავრესი ამოცანა ცივი ომის დროს საკუთარი უსაფრთხოების დაცვა იყო, ხოლო მისი საერთაშორისო ფუნქცია ნატო-ს აღმოსავლეთის ფორპოსტობით განისაზღვრებოდა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როდესაც მისი უშუალო მეზობლები რუსეთის ნაცვლად საქართველო და სომხეთი გახდნენ, თავი უსაფრთხოდ და გარანტირებულად იგრძნო, საკუთარ საერთაშორისო ფუნქცია-დანიშნულებებსაც გადახედა და გეოპოლიტიკური პრეტენზიებიც გაუჩნდა; თავისი „დიადი წარსულიც“ ანუ ოსმანთა იმპერიის ისტორია, გაახსენდა, ისიც გაიხსენა, რომ მისი ტრადიციული რელიგია ათათურქის მიერ იგნორირებული ისლამი იყო. ყოველივე ამან ისეთი ხასიათის ცვლილებები გამოიწვია ანკარის ქემალისტურ პოლიტიკაში, რამაც ერთგვარი განგაშის საფუძველი გაუჩინა დასავლეთს. თურქეთს აშკარად გაუჩნდა საკუთარი სტრატეგიული ინერესები, ასევე რეგიონული და იდეოლოგიური ძალის ცენტრისა და ლიდერის ამბიციები, ხოლო პოტენციურ გავლენის სფეროებად ძირითადად ახლო აღმოსავლეთს, კავკასიას, ცენტრალურ აზიას და კასპიის რეგიონს მოიაზრებს, არც ზოგად თურანულ იდენტობას ტოვებს უყურადღებოდ. ამ თვალსაზრისით, ცხადია, შავი ზღვა თურქეთისთვის პირველი რიგის პრიორიტეტს წარმოადგენს, ვინაიდან სწორედ შავი ზღვის რეგიონია ის ღერძი, რომლის გარშემოც უნდა მოსდეს უმთავრესად, წარმატების შემთხვევაში, ერდოღანისეული „ნეოოსმანიზმის პოლიტიკის“ რეალიზება.

როგორც უკვე აღინიშნა, ჯერ კიდევ 100 წლის წინ, გასული საუკუნის 20-ან წლებში მსჯელობდნენ რუსულ პოლიტიკურ წრეებში შავი ზღვის გამორჩეულ სტრატეგიულ როლზე და დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ საქართველოს ნავსადგურებსაც. მით უფრო გამახვილდა მოსკოვის ყურადღება ამ რეგიონზე დღეს, გლობალიზაციის ეპოქაში და რეგიონზე თავისი „ტრადიციული“ კონტროლის შენარჩუნება და შემდგომი განმტკიცება თანამედროვე რუსული პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად და სტრატეგიულ პრიორიტეტად იქცა. კრემლი ხომ ისედაც, „ტრადიციულად,“ მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეს თავის „უკანა ეზოდ“ თვლის და ბუნებრივია ასეთი მიდგომა პოსტსაბჭოთა შავიზღვისპირეთზეც ვრცელდება. განსაკუთრებით მწვავედ დგას ეს საკითხი რუსეთისთვის დღეს უკრაინასთან არშემდგარი „ბლიც კრიგის“ ფონზე, რომელმაც კრემლს ჯერჯერობით წარუმატებლობა და ზარალი მეტი მოუტანა, ვიდრე წარმატება. აქ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს რუსეთის შავი ზღვის ფლოტის მდგომარეობა, რომლის შემადგენლობის თითქმის ნახევარი მწყობრიდან გამოყვანილი იქნა უკრაინის, ანუ იმ ქვეყნის შეიარაღებული ძალების მიერ, რომელსაც

ფლოტი პრაქტიკულად არ გააჩნია. და ახლა რუსეთი ცდილობს ჯერ კიდევ არსებული ხომალდების გადარჩენის მიზნით, ყირიმიდან მათ გადანაწილებას ნოვოროსიისკის, ტუაფსეს და ოკუპირებული აფხაზეთის ოჩამჩირის პორტებზე, რათა მოწინააღმდეგისთვის უფრო მიუწვდომელი გახადონ. ერთი შეხედვით ტრაგიკომიკური სიტუაციაა, მაგრამ თუ საკითხს უფრო ფართო ჭრილში განვიხილავთ, აღმოჩნდება, რომ ამ ისტორიაში „კომედიის“ წილი ძალზე მცირეა. იმის შემდეგ, რაც რუსეთმა ფაქტობრივად დაკარგა ბალტიის ზღვა, რომელიც ოდესღაც საკუთარ ტბად მიაჩნდა და ორადორი მნიშვნელოვანი პორტი, რომელიც ამ ზღვაზე დარჩა, კალინინგრადი და კრონშტადტია, შავი ზღვის ფლოტიც თუ ფიქციად იქცა, საკმაოდ სერიოზული და სავსებით რეალური საფრთხე დაემუქრება მის დომინირებას „ევქსინის პონტოზე,“ რაც კრემლისთვის გეოპოლიტიკური კატასტროფის ტოლფასი იქნება.

დიდია შავი ზღვით დაინტერესება არა ხოლოდ ტრადიციული რეგიონული აქტორების, რუსეთისა და თურქეთის, არამედ დიდ არარეგიონულ მოთამაშეთა - ამერიკის შეერთებული შტატების, ევროკავშირის და ჩინეთის მხრიდანაც; და არც ირანის გამორიცხვა იქნება მართებული. დღეს თავისი მნიშვნელობით შავი ზღვის რეგიონი, თამამად შეიძლება ითქვას, ახლო აღმოსავლეთს უტოლდება. საინტერესოა მაინც კონკრეტულად რამ განაპირობა შავი ზღვის ასეთ „ბუმი“ საერთაშორისო მასშტაბით?

მსოფლიოს პოლიტიკური მეცნიერების მოღვაწეთა მნიშვნელოვანი ნაწილი და მათ შორის გეოპოლიტიკის ისეთი „კლასიკოსები,“ როგორიცაა ჰელფორდ ჯონ მაკინდერი და ნიკოლას სფაიქმენი [8], ევროპას და აზიას გეოგრაფიული თვალსაზრისით ცალკე კონტინენტებად არ თვლიდნენ, არამედ ერთ მთლიან სუპერკონტინენტად, ევრაზიად, განიხილავდნენ, რადგან მათ ერთმანეთისგან არ ყოფს ოკეანე და უწყვეტი სახმელეთო ზმით არიან დაკავშირებული. ძირითადი მახასიათებლები, რითაც ამ ორ სამყაროს გამოყოფენ, არის კულტურულ-ცივილიზაციური კუთვნილება, მენტალიტეტი, ცხოვრებისა და აზროვნების წესი. ხოლო ის, რასაც საერთაშორისო პოლიტიკაში ევრაზიად მოიხსენიებენ, გახლავთ გეოპოლიტიკური რეგიონი, რომელიც მოიცავს ევროპისა და აზიის საზღვართან (ორივე მხრიდან ნ.დ.) მდებარე და მათ მიმდებარე ქვეყნებს. ასე, რომ ევრაზია თანამედროვე განმარტებით, არა იმდენად გეოგრაფიული, რამდენადაც გეოპოლიტიკური კატეგორიაა. „სუფთა ევრაზიული სახელმწიფოები, რომელნიც მეტ-ნაკლები ფართობით განფენილი არიან როგორც ევროპის ისე აზიის ტერიტორიაზე. ესენია რუსეთი, თურქეთი და საქართველო. საინტერესოა, რომ სამივე ამ ქვეყანაში აზიური ნაწილი ფართობით გაცილებით აღემატება ევროპულს, თუმცა რუსეთისა და თურქეთის უმნიშვნელოვანესი სასიცოცხლო ცენტრები ევროპულ ტერიტორიაზეა, რის გამოც მათ თამამად შეუძლიათ ევროპის ნაწილად მოიაზრომ თავი. საქართველოს შემთხვევაში კი ევროპულ ტერიტორიად შეიძლება ჩაითვალოს მაღალმთიანი რეგიონის პატარა ნაწილი, რომელიც ჩრდილო კავკასიაში გადადის. ხოლო ამ სამი სახელმწიფოს მიმდებარე ქვეყნები - სომხეთი, აზერბაიჯანი და ირანი, ასევე ევრაზიულ სივრცედ განიხილება, თუმცა ა. დუგინის და სხვა რუსი ევრაზიონისტების აზრით, ევრაზიის დეფინიცია მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეს მოიცავს, რაც, მე ვფიქრობ, სწორი არ არის.

მაკინდერმა და სფაიქმენმა შემოიტანეს გეოპოლიტიკის მეცნიერებაში „ჰარტლენდის“ და „რიმლენდის“ მცნებები „ჰარტლენდი“ (heartland) ინგლისური სიტყვაა და პირდაპირ ითარგმნება, როგორც „გულიმიწა,“ აზრობრივი დატვირთვით კი სამყაროს (იგულისხმება დედამიწა) ცენტრს ნიშნავს. ხოლო „რიმლენდი“ შიდა რკალის (ამ თეორიის მიხედვით გარე რკალიც არსებობს - ამერიკა-აფრიკა-ოკეანია ნ.დ.) მნიშვნელობით გამოიყენება, რომელიც მოიცავს საკმაოდ დიდ სივრცეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპიდან და ხმელთაშუა ზღვისპირეთიდან დაწყებული აღმოსავლეთ აზიამდე ახლო აღმოსავლეთის და შავიზღვის რეგიონის ჩათვლით. ეს სივრცე გარს ერტყმის ჰარტლენდს, რომელსაც შეადგენს რუსეთის დიდი დაბლობი, დასვლეთ ციმბირი, ცენტრალური აზია და კასპიის რეგიონი. სწორედ ეს გეოპოლიტიკური არეალი (ჰარტლენდი და რიმლენდი) წარმოადენს და ყოველთვის წარმოადგენდა მსოფლიო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს, ცენტრალურ ღერძს, გლობალური მოთამაშეების ინტერესთა შეჯახების უმთავრეს ასპარეზს. როგორც ვხედავთ ჩვენი რეგიონი უწინდებურზე არანაკლებ „მიმზიდველია“ გეოპოლი-

ტიკური თვალსაზრისით, რამდენადაც ის, ვინც „ჰარტლენდ-რიმლენდის“ სივრცის გაკონტროლებას შეძლებს, უდიდეს სტრატეგიულ უპირატესობას მოიპოვებს მსოფლიო მასშტაბით. მაგრამ მარტო ეს მახასიათებელიც არ არის საკმარისი და გადამწვეტი შავი ზღვის გეოსტრატეგიული როლის სრულად შესაფასებლად თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკაში, არანაკლები მნიშვნელობა, თუ მეტი არა, აქვს ენერგეტიკულ ფაქტორს, ვინაიდან დღევანდელი მსოფლიო ეკონომიკა, ცივი ომის დროიდან მოყოლებული, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ენერგორესურსებზე დგას და სწორედ ეს გახდა სუფთა გეოპოლიტიკასთან ერთად ჩვენი რეგიონით გლობალურ აქტორთა და განსაკუთრებით დასავლეთის დაინტერესების უმთავრესი მიზეზი. ფაქტების ლოგიკის თანახმად კი ყოველივე ასე გამოიყურება:

სამხრეთ კავკასია რომ გეოპოლიტიკურად მუდამ ძალზე „მიმზიდველი“ იყო ყველა დროის გლობალური აქტორებისათვის, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, მაგრამ გასული საუკუნის მიწურულს, ანუ ცივი ომის დასრულების და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წინა პლანზე წამოიწია ენერგოექსპორტის და სატრანზიტო-სატრნსპორტო თემატიკამ, რომელიც, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, დღევანდელი მსოფლიო პოლიტიკის ქვაკუთხედს წარმოადგენს.

როგორც ცნობილია, ადრე დასავლეთი ნავთობსა და გაზს ძირითადად ორი „ტრადიციული“ მიმწოდებლის - ახლო აღმოსავლეთისა და რუსეთისაგან იღებდა, მაგრამ ცივი ომის დასრულებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, დღის წესრიგში დადგა ალტერნატიული გზების ძიება, რათა შესაძლებელი გამხდარიყო ძველი მიმწოდებლებისათვის გვერდის ავლა და ამას ჰქონდა სერიოზული მიზეზები. ახლო აღმოსავლეთი „ტრადიციულად“ არასტაბილური რეგიონია, სადაც ყოველთვის ყველაფერია მოსალოდნელი, რუსეთი კი არასანდო პარტნიორი, რაც არაერთხელ დაამტკიცა; ის ხშირად იყენებს თავის ენერგოპოტენციალს პოლიტიკური შანტაჟისათვის. საბთოთა კავშირის დაშლამ შესაძლებელი გახადა ასეთი ალტერნატივის სახით კასპიის რეგიონის გამოყენება, რომელიც ყოფილი სსრკ-ს სუბიექტების, ანუ პოსტსაბჭოთა სუვერენული სახელმწიფოებისაგან შედგება; კონკრეტულად საქმე ეხება ნავთობითა და გაზით მდიდარ აზერბაიჯანს, ყაზახეთსა და თურქმენეთს, საქართველო კი საუკეთესო სატრანზიტო გზაა ორი თურქეთის (სახმელეთო და საზღვაო) და შავი ზღვის მეშვეობით. როგორც ვხედავთ ისევდაისევ იკვეთება შავი ზღვის მეტად მნიშვნელოვანი სტრატეგიული როლი და ამიტომაცაა ასე გამძაფრებული კონკურენცია ამ რეგიონზე გავლენის მოსაპოვებლად. ამიტომ არიან ამით ასე დაინტერესებული როგორც რუსეთი და თურქეთი ისე აშშ და ევროპა, ასევე ჩინეთი და ირანი. ხოლო სამხრეთ კავკასია-ცენტრალური აზიის „ღერძი“ ყველას მიერ ერთ მთლიან გეოსტრატეგიულ რეგიონად არის აღქმული; ცალ-ცალკე ისინი, როგორც იტყვიან, „არავის სჭირდება.“ და ის თუ როგორი გაგრძელება და ბოლო ექნება გლობალურ ძალთა მიერ რეგიონში გავლენების გადანაწილების პროცესს, მრავალწილად არის დამოკიდებული უკრაინაში მიმდინარე ომის შედეგზე.

ცივი ომის დასრულების შემდეგ შავი ზღვის რეგიონმა, რომელსაც მანამდე ნაკლები ყურადღება ექცეოდა, ვინაიდან აშკარა იყო იქ საბჭოთა კავშირისა და მისი სატელიტების დომინირება და მხოლოდ თურქეთით იყო წარმოდგენილი დასავლეთი, განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობა შეიძინა საერთაშორისო მასშტაბით და მისით ყველა გლობალური აქტორი დაინტერესდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რეგიონის გეოპოლიტიკური სურათი რადიკალურად შეიცვალა, რადგან საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე რუსეთი დარჩა ყირიმის და საქართველოს სანაპიროს გარეშე, ხოლო ყოფილი სოციალისტური ქვეყნები - რუმინეთი და ბულგარეთი - ნატო-ს და ევროკავშირის წევრები გახდნენ, უკრაინამ და საქართველომ კი პროდასავლური კურსი აირჩიეს.

სუფთა გეოსტრატეგიული ღირებულების გარდა, რეგიონი მნიშვნელოვანია კასპიური ენერგორესურსების ევროპაში ექსპორტის, როგორც ახლო აღმოსავლეთის და რუსეთის გზის ალტერნატივის თვალსაზრისით, რითაც დიდად არიან დაინტერესებული აშშ და მისი ევროპელი მოკავშირეები. ასევე დიდი აბრეშუმის გზის კუთხით, რაც ჩინეთის ინტერესს განაპირობებს და, რა თქმა უნდა, უცვლელია რუსეთის ინტერესი.

რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიამ და აფხაზეთის ოკუპაციამ რამდენადმე ისევ რუსეთის სასარგებლოდ შეცვალა შავი ზღვის გეოპოლიტიკური ლანდშაფტი, თუმცა დასავლეთთან დამაკავშირებელ საზღვაო გზას - ბოსფორს და დარდანელს - თურქეთი აკონტროლებს და ამდენად, მისი პოზიციაც ყოველთვის გასათვალისწინებელია და ანგარიშგასაწევი; ვერც რუმინეთი და ბულგარეთი ჩაითვლებიან რუსეთის მოკავშირეებად.

განსაკუთრებით გაამძაფრა გლობალურ ძალთა დაპირისპირება რუსეთის აგრესიამ უკრაინაში, რასაც ოფიციალურად რუსეთ-უკრაინის ომს უწოდებენ, მაგრამ მასში ჩართულია მსოფლიოს ყველა მნიშვნელოვანი მოთამაშე მეტ-ნაკლები ხარისხით. ამ ომის შედეგზე კი ბევრი რამ იქნება დამოკიდებული როგორც გლობალური აქტორებისთვის, ისე სამხრეთ კავკასიის რეგიონის, უპირველესად კი საქართველოსთვის.

NUGZAR DURMISHIDZE - *GTU, Associate Professor*

Black Sea Geopolitics and its Importance for Georgia

Summary

In presented article the issues linking with the Black Sea region and their importance for Georgia first of all and generally for South Caucasus, are argued. These issues became quite actual today espacialy in context of the fullskale war in Ukraine.

Black Sea always was considered as the strategic region as it was a crossroad of “two Worlds” – NATO (Turkey) and “Soviet Block” but nevertheless, the attention on it was not so intensive as now, because, after the end of the Cold War and collaps of USSR, the geopolitical landscape of region was completely changed and the new strategic interests were appeared, that brought to the heard concurrence between the regional and global actors.

In presented work, we’ll try to describe a geostrategic picture and political situation around the Black Sea, confrontation of the regional and global forces and introduce our attitude on ongowing events.

Key words: *geopolitics, South Caucasus, Black Sea basin, Georgia, global actors.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სურმავა გ., ბატიაშვილი ზ., ბატაშვილი დ., პეტრიაშვილი ა., „უსაფრთხოების მიმოხილვა: შავი ზღვის უსაფრთხოება“, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, თბილისი, 2021;
2. მარგველაშვილი ზ., „უსაფრთხოება შავი ზღვის რეგიონში“, ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტი, ნოემბერი, 2019;
3. გვენეტაძე ნ., „შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება და ნატო,“ infocenter.gov.ge, o1.03.2024
4. მალაშხია შ., „კონფლიქტების ანატომია,“ თბილისი, 2011;
5. Atlantic Council – „a Security Strategy for the Black Sea (report)“, December 15,2023;
6. Tsereteli M., „US Black Sea Strategy: the Georgian Connection“, February 9, 2024;
7. Гриневецкий С.Р., Жильцов С.С., Зонн И.С.б «Черноморский Узел,» Москва, 2007.

Алла Бибилашвили
Илиауни, ассоц. профессор

Проблемы делимитации границ и реинтеграции армянского населения в азербайджанское общество

В представленной работе изучается круг вопросов, связанных с проблемами реинтеграции армянского населения в азербайджанское общество после прекращения военного противостояния и признания правительством Армении территориальной целостности Азербайджана на основе норм и принципов международного права. Уделяется внимание анализу внешней и внутренней политики Азербайджана и Армении в аспекте положительной тенденции сближения позиций обеих сторон и преодоления субъективных и объективных трудностей, главной из которых и наиболее болезненной на данный момент является делимитация границ. Армянская сторона неоднократно заявляла, что делимитация границы с Азербайджаном призвана положить конец противостоянию Армении с Азербайджаном как с пограничной страной и исключить любую военную эскалацию. Взаимодействие ведущих мировых держав с Азербайджаном и Арменией направлено на достижение мира, на урегулирование разногласий между ними и развитие многостороннего сотрудничества, призванного способствовать нормализации отношений между Баку и Ереваном. В рамках политического диалога двух стран обосновано стремление расширить сотрудничество по новым направлениям, и в рамках этого комиссии Азербайджана и Армении по вопросам делимитации границ согласовали прохождение отдельных отрезков пограничной линии с целью их приведения в соответствии с юридически обоснованной межреспубликанской границей 1991 года.

В геополитическом плане в Армении крепнет тенденция сотрудничества с Западом, и в данном контексте действия Еревана на международном дипломатическом поприще можно рассматривать в аспекте его постепенной переориентации на Запад. Страна должна предпринять все подготовительные шаги, которые создадут для Армении возможность подать заявку на полноправное членство в Европейский Союз и придать реформам европейскую направленность.

Анализ азербайджано-армянских отношений показывает, что для для деполяризации и нормализации обстановки в аспекте регионального развития и дальнейшего поступательного движения на первый план выступает необходимость избегать возможной эскалации и напряженности как в теоретическом аспекте, так и в практических действиях, выстраивать отношения между государствами на базе аргументированного взаимного доверия, и стремиться к достижению консенсуса для укрепления межгосударственных отношений и дальнейшего развития двусторонних взаимосвязей.

***Ключевые слова**: Азербайджан, Армения, Евросоюз, Россия, делимитация границ.*

В представленной работе рассматривается круг вопросов, связанных с процессом реинтеграции армянского населения в азербайджанское общество после прекрашения военного противостояния, заключения трехстороннего мирного договора и признания правительством Армении территориальной целостности Азербайджана на основе норм и принципов международного права. Значительное внимание уделяется анализу внешней и внутренней политики Азербайджана и Армении в аспекте положительной тенденции сближения позиций обеих стран и преодоления субъективности, недоверия и объективных трудностей существующих на протяжении десятилетий болезненных проблем, одной из которых является делимитации границ. В решениях, связанных с делимитацией, помимо политических деятелей и экспертов из Армении и Азербайджана, активное участие принимают представители заинтересованных зарубежных государств

и международных организаций, в том числе Межпарламентского союза. Его роль интерпретируется как серьезный вклад на парламентском уровне в правительственные мирные переговоры между Арменией и Азербайджаном. Парламентарии призваны сыграть ключевую роль в снижении напряженности и укреплении взаимного доверия, построении добрососедских отношений и нормализации отношений между Баку и Ереваном. Становится очевидной важность парламентской дипломатии для поддержки усилий правительств обеих стран по заключению мирных соглашений, обеспечения мира и объединения народов.

Неоднозначную общественную реакцию вызвала состоявшаяся в апреле 2024 года в Брюсселе встреча в троехстороннем формате Армения – Соединенные Штаты Америки – Европейский Союз, на которой обсуждались вопросы экономического и гуманитарного сотрудничества. Глава Еврокомиссии Урсула фон дер Ляйен подчеркнула, что ЕС выполняет свои обещания поддерживать Армению и определить видение будущего партнерства Еревана с Евросоюзом. Госсекретарь США Энтони Блинкен констатировал, что Вашингтон разделяет взгляды Армении на будущее Южного Кавказа, поэтому США намерены помогать Армении в деле укрепления демократии и экономической устойчивости. ЕС продолжит поддерживать Армению на пути реформ, посредством реализации Соглашения о всеобъемлющем и расширенном партнерстве. В целях продвижения реформ и расширения сотрудничества во всех секторах, ЕС и Армения обеспечат прогресс и реализацию новой программы партнерства Армения – ЕС. К тому же США и ЕС намерены предоставить дополнительную помощь, чтобы помочь Армении снизить риски, диверсифицировать торговлю и укрепить экономическую и институциональную устойчивость [1].

Страны Запада заинтересованы в сближении с Арменией, и разработанный ими «Особый план НАТО» специально для Армении, можно рассматривать как серьезный геополитический вызов влиянию Москвы, способный играть существенную роль в пропагандистском плане. Армения и НАТО согласовали программу сотрудничества и наметили новые направления взаимодействия. Премьер-министр Армении Н. Пашинян особо подчеркнул, что власти республики заинтересованы в продолжении развития политического диалога с Североатлантическим альянсом и расширении партнерства как со всем НАТО, так и с отдельными странами-членами организации. Для Армении важно укрепить уровень сопротивляемости страны и развивать соответствующий оборонительный потенциал. Важное значение имеет для Армении будущее содействие НАТО в реформировании вооруженных сил Армении [2].

В укреплении отношений с Арменией заинтересована Франция, при этом следует учитывать, что Париж, по образному выражению израильского журналиста, главы Комиссии по международным связям Ростислава Гольцмана, стремится играть роль первой скрипки в европейском политическом оркестре, считая Армению своим форпостом на Южном Кавказе. Процедура натурализации армянского населения проходит в несколько этапов, при этом сам процесс является совершенно добровольным, а жители Армении, желающие сохранить армянское гражданство, должны иметь гарантированную возможность вернуться в Армению. Азербайджан нацелен на максимально прозрачное взаимодействие с армянским населением и предоставляет им полную свободу выбора без каких-либо ограничений. Те лица, которые получат азербайджанское гражданство, должны соблюдать все законы Азербайджана и не выдвигать требований о национальном самоопределении. Политологи и независимые эксперты подчеркивают, что Азербайджан выбрал максимально верную тактику, отработанную на многолетнем опыте понимания сути армянской ментальности населения Карабаха. Власти должны разработать комплекс эффективных мер, который начнет работать и применяться в ходе реинтеграции [3].

При анализе проблем, связанных со сложностью формирования новой геополитической реальности, следует привести заявление премьер-министра Армении Н. Пашиняна, сделанное им в декабре 2023 года о том, что упразднение Нагорного Карабаха было неизбежным, а создание независимой республики практически невозможно. Однако длительное время Ереван тратил все ресурсы на создание Карабахской Республики, что изначально являлось неразрешимой задачей. В условиях унаследованного действующими властями переговорного процесса неизбежными были не только сдача территорий,

но и упразднение в Карабахе государственной структуры и соответствующих административных единиц. Предыдущее руководство Армении, пришедшее к власти в 2018 году, продолжало оставаться носителем эмоционального восприятия карабахской проблемы, при этом подобные настроения были присущи подавляющему большинству армянских граждан, ибо властями использовались все имевшиеся средства для воплощения в реальной действительности эмоциональных представлений и устоявшихся настроений. Власти не говорили об этом с народом, ибо сами не хотели смириться с этой прагматичной реальностью, к тому же они были бы вынуждены признать, что армянские власти и общественность в течении трех десятилетий просто расходовали время, силы и ресурсы, необходимые для успешного развития Республики Армения, на изначально неразрешимую проблему Карабаха [4].

В апреле 2024 года, согласно достигнутым договоренностям, Россия начала выводить подразделения своих миротворцев с территории Карабаха. Об этом сообщали армянские и азербайджанские СМИ, а затем эти сведения официально подтвердил пресс-секретарь президента В. Путина Д. Песков. Согласно трехстороннему мирному соглашению 2020 года, миротворцы должны были дислоцироваться в регионе до 2025 года. Миротворческий контингент был размещен вдоль линии разграничения в Нагорном Карабахе и вдоль Лачинского коридора, соединяющего регион с Арменией. После прекращения существования непризнанной Карабахской республики как территориального субъекта, с начала 2024 года начался процесс диалога и реинтеграции армянского населения Карабаха в азербайджанское общество. После массового исхода карабахцев из Азербайджана этот процесс, связанный с серьезными трудностями как чисто бытового, так и морально-эмоционального и духовного плана, обусловленными собенностями мировосприятия и морально-нравственных критериев самосознания и самоутверждения карабахцев, формировавшихся на протяжении длительного периода времени, был осложнен тенденциозной пропагандой определенных сил, далеко не всегда учитывавших фактические реалии и геополитические трансформации.

Генеральный секретарь ОДКБ, комментируя вывод российского миротворческого контингента из Карабахского района, заявил, что в значительной степени стабильность в регионе зависит от перспектив подписания мирного договора между Арменией и Азербайджаном. В апреле 2024 года высшее руководство Азербайджана и России приняло совместное решение о досрочном выводе российских миротворцев с азербайджанской территории. Для временной дислокации российских миротворцев правительство Армении выделило их подразделениям определенные места, где должна осуществляться работа по подготовке окончательного закрытия этих временных пунктов пребывания, в соответствии с решениями высшего руководства Азербайджана и России. При этом официальные представители Армении подчеркнули, что выведенные с территории непризнанной Карабахской республики российские воинские подразделения в дальнейшем не смогут дислоцироваться на территории Армении.

Процесс вывода российских миротворцев с территории Азербайджана получил неоднозначную оценку среди мирового сообщества.

В то время, когда представители западных стран и международных организаций приветствуют стремление и приверженность Армении и Азербайджана к достижению прочного мира, Россия выступает с привычной для ее политического менталитета пропагандой противостояния и разжигания взаимной ненависти. Представитель российского МИДа М. Захарова заявила, что Армения является инструментом США и Европейского Союза, который используется для обострения ситуации на Южном Кавказе и разжигания там нового «пожара». Вашингтон и Брюссель поставили перед собой целью слом всего массива связей между Арменией и Россией, как в сфере безопасности, так и экономики, расшатывание существующих механизмов региональной безопасности и экономического партнерства с опорой на ОДКБ и ЕАЭС. Приверженцы Запада также стремятся рассорить ближайших соседей России в лице Азербайджана, Армении, Грузии, Ирана, Турции. Касаясь вопроса о выводе военных частей РФ из других районов Армении, кроме территории Карабахского района Азербайджана, Захарова не подтвердила достоверности этих сообщений, назвав их «вымыслами» [5].

В несколько ином ключе, но в сходном политическом диапазоне прозвучало мнение зам-

министра главы МИД РФ М. Галузина о том, что в Ереване рассчитывают воспользоваться моментом для осуществления своих целей в условиях, когда Запад хочет усилить взаимодействие с Арменией, в том числе и в сфере безопасности. Необдуманные решения армянских властей обеспечат полный допуск западных стран к национальным базам данных, к важной для безопасности республики информации, что угрожает суверенитету Армении. Из-за давления Запада Армения значительно уменьшила интенсивность контактов в оборонной сфере с Россией и странами ОДКБ [6].

Придерживаясь тенденции сотрудничества с Западом, в марте 2024 года парламент Армении ратифицировал соглашение между Ереваном и Евросоюзом о статусе наблюдателей гражданской миссии ЕС на условной границе с Азербайджаном. Членам миссии будут предоставлены широкие права, гарантирован иммунитет, запрещено их задерживыать и арестовывать. Подобные шаги Армении на международном дипломатическом поприще логично рассматривать в контексте ее постепенной переориентации на Запад, обусловленной общим ослаблением России в контексте ее недавнего безоговорочного доминирования на всем постсоветском пространстве. Подобные геополитические факторы оказывают определенное влияние на перспективы и пути дальнейшего поступательного развития Армении. Следует учитывать, что в начале июня Республика Армения объективно оценила последние предложения Азербайджана по проекту «Мирного договора», отправив в Баку разработанную обеими странами девятую редакцию предложений Еревана.

Согласно оценкам экспертов, отношения Армении и Европейского Союза развиваются со всей последовательностью, они приобрели стратегический характер, ибо Европейский Союз является первостепенным союзником Армении в претворении в жизнь программ реформ. Содействие ЕС чрезвычайно важно с точки зрения перехода Армении к государству европейского типа. Евросоюз играет ведущую роль в обеспечении безопасности Армении, направляя в регион европейских наблюдателей, осуществляющих миссию на армяно-азербайджанской границе, одновременно являясь союзником Армении и в мирной повестке, поэтому развитие отношений с этой структурой для Армении приобретает жизненно важное зачение. В данном контексте страна должна предпринять все подготовительные шаги, которые создадут для Армении возможность подать заявку на полноправное членство в Европейский Союз, придать реформам проевропейскую направленность и начать переговоры о членстве [7].

Процесс делимитации границ, со всеми его трудностями, развивался в позитивном ключе, пока не осложнился серьезными препятствиями, связанными с передачей Азербайджану четырех пограничных сел Тавушского района. Умело разжигавшаяся антиазербайджанская и антиправительственная, по сути даже антиармянская пропаганда, направленная на эскалацию насилия, могла привести к новым жертвам, к новым трагедиям и жестокостям, и на алтарь кровожадного Молоха в очередной раз могли быть принесены новые человеческие жертвы.

Протестные движения в Армении в первой половине мая 2024 года нашли свое выражение в массовых выступлениях, наиболее масштабным из которых был марш, инициированный одним из высших иерархов Армянской Апостольской церкви, архиепископом Багратом Галстаняном. Владыка стал лидером движения «Гражданская инициатива «Тавуш во имя Родины», фактически возглавив протестное движение в Армении, выступающее против «сдачи» армянских стратегичесчких территорий «турецко-азербайджанскому» тандему. Движение «Тавуш» начало шествие из одноименной приграничной области в Ереван, становясь все более многочисленным. При этом протестующие заявили, что вопрос демаркации и делимитации границы Армении не может быть решен только при согласии или несогласии жителей Тавуша, на которых фактически возлагается ответственность за судьбу и целостность государства. Вопрос должен быть решен в порядке, установленном законами Республики Армения и Международными договорами. Сдача суверенных территорий Армении, незаконные решения властей являются тяжким преступлением против государства [8].

По мнению Ш. Сафаряна, целью движения «Тавуш» является принятие Советом Национального Собрания решения об отставке действующего правительства и формировании нового, подготовка и проведение выборов со свободной

и прозрачной средой и обеспечение стартовой справедливости для всех политических сил [9].

Архиепископ Баграт Галстанян проведение масштабного митинга в Ереване, во дворе церкви Святой Анны, назвал важной вехой, точкой опоры для того, чтобы добиться завершения разработанной программы и эта борьба позволит достичь того видения «Земли Обетованной», которую «мы ожидаем». Одновременно Баграт Галстанян заявил, что отстранение от власти Н. Пашиняна является актуальным вопросом. Поэтому важно отметить, что после прибытия в Ереван настроения протестующих изменились – от призывов остановить демаркацию на азербайджанско-армянской границе они модифицировались вплоть до требований об отставке премьер-министра Н. Пашиняна. На фоне шествий, митингов и акций неповиновения, начались консультации с оппозиционными парламентскими фракциями, с целью объявления импичмента главе государства. Руководитель протестного движения Б. Галстанян стремится сам стать премьер-министром Армении, несмотря на свой духовный сан и канадское гражданство, при этом он сумел обеспечить себе поддержку определенного количества оппозиции [10].

Некоторые представители политического спектра Армении нагнетали напряженность и тенденционность, слишком высоко оценивая возможности и значение протестного движения Ярким примером подобной, недостаточно убедительнойд аргументированной интерпретации, является статья В. Ованесяна. Анализируя круг вопросов, связанных с движением «Тавуш», В. Ованесян полагает, что самый сложный этап прошел успешно, протестующим удалось создать стабильное ядро. В Армении сформировался новый многочисленный электорат, требованием которого являются глубокие перемены. Положительная волна имеет значительный потенциал для роста. Движение не должно превратиться в оппозицию, оно должно превратиться во власть, ибо это не политическая борьба, а процесс общественного исцеления. Поражение движения – это не очередное поражение оппозиции, это поражение всего общества и нашей перспективы [11].

Несмотря на сохраняющуюся напряженность, новой эскалации противостояния не последовало. Депутат от правящей партии «Общественный договор» Г. Акопян подчеркнул, что в последнее время в правящих кругах не проводилось консультаций по поводу сложившейся ситуации, ибо «...мы не считаем «Во имя Родины» движением, и поэтому никаких вопросов по этому поводу не возникает». Парламентарий выразил уверенность в том, что общественного запроса на смену власти в Армении нет, и к тому же премьер-министр Армении не изолировался [12].

Премьер-министр Н. Пашинян констатировал, что возникновение осложнений в ходе демаркации границ не может остановить процесс формирования гарантий безопасности и укрепления суверенитета страны. Определенные внутренние и внешние силы намерены развязать в Армении войну, чтобы добиться власти в стране без проведения внеочередных выборов, проблема которых не стоит в повестке дня. Силы, которые требуют прекратить демаркацию, при поддержке внешних акторов, готовы пойти на все, чтобы подверглись оккупации новые территории Армении, и были осуществлены нужные им политические перемены. Их план – установить в Армении нелигитимное марионеточное правительство, и де-факто уничтожить государственность страны с ее последующим уничтожением де-юре [13].

Следует учитывать, что представители ведущих мировых держав неоднократно подчеркивали, что их взаимодействие с Азербайджаном и Арменией направлено на достижение мира, на урегулирование разногласий между ними и развитие многостороннего сотрудничества, которое призвано способствовать нормализации отношений между Баку и Ереваном. На встрече главы МИД Армении А. Мирзояна с заместителем госсекретаря США стороны обсудили вопросы расширения повестки партнерства Армения-США и региональную тематику. В рамках политического диалога двух стран обосновано стремление расширить сотрудничество по новым направлениям и вывести армяно-американские отношения на более высокий уровень стратегического партнерства. Армянский министр уделил особое внимание усилиям Еревана по нормализации отношений с Баку, в частности, по вопросу подписания мирного соглашения.

Комиссии Азербайджана и Армении по вопросам делимитации границ нредварительно согласовали прохождение отдельнывх отрезков пограничной линии с целью их приведения в

соответствии с юридически обоснованной межреспубликанской границей, существовавшей в СССР на момент его распада. Однако протестующие стали перекрывать межгосударственную трассу, связывающую Армению с Грузией, требуя остановить процесс делимитациии и передачи территорий Азербайджану. Аргументированный ответ на это требование дал премьер-министр Н. Пашинян, заявивший, что его страна не собирается начинать войну из-за каких-либо территорий, ибо у Армении нет никаких амбиций за пределами международно признанных границ, к тому же территориальная целостность Армении будет восстановлена в нроцессе демаркации. Это важное заявление еще раз подтвердило укрепившуюся приверженность Армении принципу территориальной целостности государств, и подобная позиция нашла выражение в выступлении спикера армянского парламента А. Симоняна на конференции председателей парламентов в Испании, заявившего, что Армения «решительно поддерживает территориальную целостность Украины, Грузии, Молдовы и других государств» [14].

Армянская сторона неоднократно заявляла, что делимитация границы с Азербайджаном должна положить конец противостоянию Армении с пограничными странами, в первую очередь, с Азербаджаном, и исключить возможную военную эскалацию. По мнению политического обозревателя А. Будберга, попытка войны – это способ прихода к власти в Армении. В данном контексте, протестные движения в Армении, акции неповиновения, организуемые архиепископом Багратом Галстаняном, которого поддерживает оппозиция, можно рассматривать, как последнюю попытку отстранения Н. Пашиняна от руководства страной. В этой попытке сплотились все силы, которые ранее находились у власти, и проводили на протяжении двух десятилетий тот курс, который уже после прихода к власти Н. Пашиняна, закончился военным поражением Армении. Бывшие власти Армении дважды не пошли на мирное урегулирование на таких условиях, о которых сейчас не могут даже мечтать. В инициированном протестном движении участвуют Р. Кочарян, С. Саргсян и другие представители карабахского клана, к которым присоединились дашнаки и другие политические объединения, заинтересованные в отстранении Н. Пашиняна от власти. Для этих политиков и их сторонников срыв мирного процесса и неизбежная последующая дестабилизация воспринимается как способ прихода к власти и захват управления страной. В случае их прихода к власти в стране начнется серьезная турбулентность, что может привести к печальным последствиям, однако шансы оппозиции раскачать ситуацию в Армении крайне малы [15].

Некоторые эксперты полагают, что нельзя оставить без внимания влияние Турции, выступающей важным союзником Азербайджана и являющейся наиболее сильной и авторитетной страной в Кавказском регионе. По мнению А. Абовяна, Армения выступает именно против сдачи армянски х стратегических территорий турецко-азербайджанскому тандему. И Турция, и Азербайджан используют неадекватную с точки зрения интересов Армении, глобалистскую повестку армянских властей для продвижения своих планов по реформированию большого «турецкого пояса» от Адриатического моря до границ Китая. Для этих двух ключевых интересантов сохранение нынешней власти является одним из важнейших факторов для реализации своих политических проектов в регионе. Падение политического рейтинга армянской власти может перерасти в тяжелейший политический кризис в стране [16].

Политические аналитики констатируют, что несмотря на определенные осложнения в российско-армянских отношениях, в России заинтересованы в стаби льной ситуации в Армении. Российская Федерация будет работать с любой властью в республике, ради того, чтобы избежать осложнение обстановки в Армении и каких-либо человеческих жертв. Армения на протяжении многих лет является партнером России по ОДКБ и членом Евразийского экономического союза. Н. Пашинян сохранил власть и после выборов, и после Второй Карабахской войны, и у него достаточно прочные позиции. Россия всегда позиционировала себя как естественного союзника Армении и намерена придерживаться этого направления и в будущем. Любые попытки дестабилизировать российско-армянские отношения будут иметь самые тяжелые последствия для Армении, потому что более верного союзника, чем Россия, у армян нет [17].

Россию не может не тревожить ослабление

ее политического влияния в стратегически важном регионе Южного Кавказа, учитывая сложность ситуации и усиливающегося стремления Армении к европейским политическим стандартам. Крепнущие в Армении прозападные настроения, поддержка армянской диаспоры, положительное отношение ряда ведущих мировых держав, в том числе Соединенных Штатов Америки и Франции, могут сыграть важную роль в трансформациии геополитического курса правительства Армении, усилить ее укрепляющуюся прозападную ориентацию и желание интегрироваться в Европейский Союз.

ალა ბიბილაშვილი – *ილიაუნი, ასოცირებული პროფესორი*

სომხეთის მოსახლეობის რეინტეგრაციისა და საზღვრების დელიმიტარიზაციის პრობლემა და აზერბაიჯანული საზოგადოება

რეზიუმე

წინამდებარე ნაშრომში გაანალიზებულია ყარაბაღის სომხხური მოსახლეობის აზერბაიჯანის საზოგადოებაში რეინტეგრაციის პრობლემები, სამხედრო დაპირისპირების შეწყვეტის და სომხეთის მიერ აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობის აღიარების შემდგომ პერიოდში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა აზერბაიჯანისა და სომხეთის მიერ მხარეთა პოზიციების კანონზომიერი ტრანსფორმირების პროცესის გააზრებას, მთელი რიგი ობიექტური და სუბიექტური სიძნელეების გადალახვის აუცილებლობის გათვალისწინებით. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური, მტკივნეული და რთულია – საზღვრების დემარკაცია და დელიმიტაცია. ორივე ქვეყანაში შეიქმნა სპეციალური კომისიები, რომლებმაც შეათანხმეს მოსაზღვრე ხაზის ცალკეული მონაკვეტები, მათი იურიდიულად დამტკიცებული რესპუბლიკათა შორის საზღვართან შესაბამისად. სომხური მხარე არაერთხელ აცხადებდა, რომ აზერბაიჯანთან საზღვრის დელიმიტაცია მოწოდებულია ბოლო მოუგოს სომხეთისა და აზერბაიჯანთან, როგორც მოსაზღვრე ქვეყანასთან, ნებისმიერ დაპირისპირებას, რაც გამორიცხავს ესკალაციას მომავალში.

საყურადღებოა ის ფაქტორიც, რომ გეოპოლიტიკურ ასპექტში სომხეთში ძლიერდება დასავლეთის ქვეყნებთან თანამშრომლობის გაძლიერების ტენდენცია. ამ კონტექსტში ერევნის მოღვაწეობა საერთაშორისო დიპლომატიურ ასპარეზზე შეიძლება განიხილოს, როგორც სომხეთის ევროპული კურსის გაძლიერება და ევროკავშირში მომავალი ინტეგრაციის სურვილი.

აზერბაიჯანის და სომხეთის ურთიერთობების შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ რეგიონალური განვითარების ასპექტში და შემდგომი პოზიტიური თანამშრომლობის გაძლიერებაში მნიშვნელოვანია ნებისმიერი ესკალაციის აცილება თეორიულ და ყოველდღიურ ასპექტებში. ორი ქვეყნის ურთიერთობებში აუცილებელია დეპოლარიზაციისა და დაუნდობლობის აცილება, და მათი თანამშრონლობა უნდა განვითარდეს ურთიერთნდობის არგუმენტირებულ საფუძველზე, კონსენსუსის მისაღწევად და შემდგომი ორმხრივი ურთიერთობების გასამტკიცებლად.

საკვანძო სიტყვები: *აზერბაიჯანი, სომხეთი, ევროკავშირი, რუსეთი, საზღვრების დელიმიტაცია.*

Литература:

1. Заявление по итогам совместной встречи высокого уровня Армения -ЕС- США в Брюсселе. 05.04.2024./armenpress.am/rus/news/113 4103. html.
2. Армения подписала план военного сотрудничества с НАТО. 01.05.2024/accentnews. ge/ru/article 112549.

3. Мансуров В., «В Карабахе необходимо «разоружение армян в морально-нравственном аспекте».23.09.2023./caliber. az/post/192/97/
4. Пашинян Н., О проблеме Нагорного Карабаха. 10. 12. 2023. /ria.ru/20231210/---Karabakh-19149339871. Html
5. Захарова М., Последние новости и главные события. Брифинги 15.05.2024, 23.05.2024. /am.sputniknews/person -Marija Zakharova/
6. Галузин М., «Шаги Армении могут сделать невозможным создание единого оборонного пространства с Российской Федерацией». /aysor.am/ru/news./2024/06/05/ 2287062./
7. Мегранян Р., «ЕС в плане реформ союзник Армении номер один». 05.06. 2024 /armenpress.am/rus/news/1137484. html.
8. Заявление гражданской инициативы «Тавуш во имя Родины». 17.04.2024. /aysor/am/ru/ news/ 2024.
9. Сафарян Ш., «Движение «Тавуш во имя Родины» предлагает созвать внеочередное заседание Национального собрания». 09.06. 2024/ru.armradio/am/24/0609.
10. Галстанян Б., о проведении масштабного митинга в Ереване.04/06/2024/aysor. am/ru/news/2024 митинг 2286947.
11. Ованесян В., «Поражение движения-это поражение всего общества». 04.06.2024./aysor.am/ru/news/ 2024/06/04/2286842
12. Депутат от правящей партии: «Премьер-министр Армении не изолировался». 22.05.2024/news.am/rus/news/Armenia.
13. Пашинян Н., «»Внешние силы хотят спровоцировать войну в Армении ради смены власти». 07.05.2024/ jam-news. net.ru/
14. Симонян А., О территориальной целостности./news.am/rus/news/819620. Html
15. Будберг А., Попытка войны – это способ прихода к власти в Армении. 29.05.2024. /oxu.az.ru/politica/
16. Абовян А. «Почему торопятся Эрдоган и Алиев». 02.05.2024/am/sputniknews/ ru/20240512/757159916 ht
17. Джабаров В., Россия заинтересована в стабильной ситуации в Армении». 28.05.2024./ria.ru/20240528./Armenia-1948824739 html

ნინო თავათქილაძე
სტუ, დოქტორანტი

თანამედროვე უკრაინის ისტორიული განვითარების ძირითადი ეტაპები

1991 წლიდან უკრაინის პოლიტიკურ განვითარებას თან ახლდა კონფლიქტები და კარდინალური ცვლილებები კონსტიტუციაში. სასტიკი ბრძოლა მიმდინარეობდა აღმასრულებელ ხელისუფლებასა და საკანონმდებლო შტოებს შორის, რომლებიც ცდილობდნენ თავიანთი პოზიციების გაძლიერებას. დასავლეთ და აღმოსავლეთ რეგიონების უკრაინული ელიტა მხარს უჭერდა უკრაინის უნიტარულ განვითარებას, ხედავდა მასში სრული კონტროლის საშუალებას სახელმწიფო ინსტიტუტებზე და ფინანსურ ნაკადებზე. ფედერალური სისტემის შესაძლებლობები გამოიკვეთა 2014 წელს. ბოლო წლებში, უკრაინის პოლიტიკა ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობების განმტკიცებაზე, ევროკავშირთან თანამშრომლობის გაღრმავებასა და აშშ-სთან და ნატოს-თან დაახლოებაზე იყო მიმართული. ოფიციალური კიევის რიტორიკამ, რუსეთ-უკრაინის ურთიერთობების გაციება და საბოლოოდ სასტიკი დაპირისპირება გამოიწვია.

საკვანძო სიტყვები: *უკრაინა, საგარეო პოლიტიკა, საშინაო პოლიტიკა, რუსეთ-უკრაინის ურთიერთობები.*

გადამწყვეტ როლს გეოპოლიტიკური სისტემის ეფექტურობაში, ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებაში თამაშობს როგორც ეროვნული ფასეულობები, იდეები და მიზნები, ასევე მათი დამკვიდრება საზოგადოების პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკური მიმართულების ორგანიზებაში.

სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა მომდინარეობს ეროვნული ინტერესებიდან და სრულად ასახავს სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო ასპარეზზე საკუთარი სუბიექტურობის გაცნობიერების ხარისხს.

აქედან გამომდინარე, უკრაინა არის საკუთარი იდენტობის პოსტკოლონიალური ძიების თვალსაჩინო მაგალითი, მათ შორის, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების სუბიექტი. ამ ყველაფრის სახელმწიფო მშენებლობის ისტორიული წინაპირობები უნდა ვეძებოთ.

მრავალსაუკუნოვანი კოლონიური სტატუსი, რომელსაც თან ახლდა და ეროვნული იდენტობის ჩახშობის რეპრესიული ღონისძიებები, არ შეიძლებოდა არ მოეხდინა დესტრუქციული გავლენა უკრაინის საზოგადოების სახელმწიფოს აშენების უნარზე, რაც სრულად გამოიხატა დამოუკიდებლობის პერიოდში.

I პერიოდი იყო უწყვეტობის და ჩამოყალიბების გზა – 1991-2000 წწ. დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე, უკრაინულ პოლიტიკურ ელიტას, რომელიც წარსულში საბჭოთა კომუნისტური იყო, სულ სხვა რეალობაში უნდა დაეწყო მოქმედება. უპირველესი ამოცანა იყო სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური საქმიანობის მარეგულირებელი ბაზის შექმნა.

უკრაინა, როგორც სსრკ-ს ნაწილი, ახორციელებდა გარკვეულ დიპლომატიურ საქმიანობას – არსებობდა უკრაინის სსრ საგარეო საქმეთა სამინისტრო და თავად რესპუბლიკა იყო საერთაშორისო ორგანიზაციების ოფიციალური წევრი.

ამიტომ, საკადრო ბაზა და საჭირო ცოდნა იმთავითვე იყო უკრაინულ დიპლომატიაში. ასეთმა უწყვეტობამ, ახალგაზრდა სახელმწიფოს საშუალება მისცა საკმაოდ სწრაფად გაევლო დიპლომატიური სამსახურის ფორმირების ეტაპი და ეფექტურად წარემართა საგარეო პოლიტიკური საქმიანობა.

90-იანი წლების პირველი ნახევრის მასშტაბური კრიზისის გამო, რომელიც შეეხო უკრაინის ცხოვრების ყველა სფეროს, შესაძლოა სწორედ დიპლომატებმა მოახერხეს სახელმწიფოსთვის გარე რისკების შერბილება და მისი მთლიანობის შენარჩუნება [1].

უკრაინის საგარეო პოლიტიკა ამ პერიოდში მრავალსექტორიანია, რაც არსებითად მეტ

გაურკვევლობასა და მანევრირებას ნიშნავდა. 1993 წელს რადას მიერ რატიფიცირებულ იქნა დოკუმენტი – „უკრაინის საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები“, რომელმაც განსაზღვრა შემდეგ ქვეყნის საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები – ევროპულ ქვეყნებთან ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული კავშირების განვითარება, საერთაშორისო თანამშრომლობა ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში და ფართომასშტაბიანი კეთილმეზობლური ურთიერთობები, პირველ რიგში, რუსეთთან [2].

უკრაინის საგარეო პოლიტიკა ამ პერიოდში ძირითადად ორიენტირებული იყო კეთილმეზობლური კავშირების დამყარებაზე, უპირველეს ყოვლისა, მეზობელ ქვეყნებთან უკრაინის ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი საგარეო პოლიტიკური მიზანი იყო ასევე, რომ არ მომხდარიყო ქვეყნის ნაჩქარევი გაწევრიანება და ინტეგრაცია პოსტსაბჭთა სივრცეში ჩამოყალიბებულ ორგანიზაციებში. ამ შემთხვევაში იგულისხმება რა თქმა უნდა ქვეყნის დსთ-ში ინტეგრაცია. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ინტეგრაციული პროექტი პოსტსაბჭოთა სივრცეში (სუამ-ის გარდა) რუსეთის საგარეო პოლიტიკის პროდუქტი იყო და დსთ საბჭოთა რესპუბლიკის სამი ლიდერის მიერ ნაჩქარევად შეიქმნა.

უკრაინა არასოდეს არ გამხდარა ამ ასოციაციის სრულუფლებიანი წევრი, მაგრამ იყო დსთ-ს ეკონომიკური კავშირის ასოცირებული წევრი და 1999 წელს შეუერთდა დსთ-ს საპარლამენტთაშორისო ასამბლეას.

უკრაინის საგარეო პოლიტიკაში რუსეთთან ურთიერთობამ განსაკუთრებული ადგილი დაიკავა და უკრაინას უდიდესი გამოწვევები შეუქმნა.

1992 წელს რუსეთის სახელმწიფო დუმამ გადაწყვიტა განეხილა საკითხი ყირიმის უკრაინისთვის გადაცემის შესახებ და კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა 1954 წლის აქტების კანონიერების საკითხი. 1997 წლის დეკემბერში უკრაინასა და რუსეთს შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და პარტნიორობის ხელშეკრულების ხელმოწერამდე, ურთიერთობები ორ ქვეყანას შორის საკმაოდ დაძაბული იყო. ყირიმის საკითხი, რომელიც იყო მთავარი გამოწვევა, გადაწყდა 1997 წლის მაისში შესაბამისი შეთანხმების ხელმოწერით, რომელიც, ასევე, ითვალისწინებდა რუსეთის შავი ზღვის ფლოტის დაფუძნებას სევასტოპოლში 2017 წლამდე [3].

ამ პერიოდის კიდევ ერთი საგარეო პოლიტიკური გამოწვევა იყო ბირთვული იარაღის პრობლემა. უკრაინის ბირთვული სტატუსის საკითხი დაიხურა 1994 წელს ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებაში შეერთებით და ამ მხრივ უსაფრთხოების გარანტიების მემორანდუმის (ბუდაპეშტის მემორანდუმის) ხელმოწერით.

90-იანი წლების დასაწყისიდან უკრაინამ ბუნებრივად ჩამოაყალიბა ურთიერთობა ევროპულ ქვეყნებთან და ორგანიზაციებთან. 1992 წელს უკრაინამ გამოაცხადა ევროპის საბჭოში გაწევრიანების სურვილი და ამ ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრი მხოლოდ 1995 წელს გახდა.

1992 წლიდან უკრაინა ეუთოს წევრია.

1994 წელს უკრაინამ ხელი მოაწერა ნატოსთან „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ შეთანხმებას, ხოლო 1997 წელს ნატო-სა და უკრაინას შორის გაფორმდა „ქარტია გამორჩეული პარტნიორობის შესახებ“, რომელმაც განსაზღვრა მხარეთა ერთობლივი აქცენტი დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებაზე აღმოსავლეთ ევროპასა და უკრაინასა და ნატოს შორის მჭიდრო თანამშრომლობაზე. ამის საფუძველზე, 1998 წელს დამტკიცდა უკრაინასა და ნატოს შორის 2001 წლამდე თანამშრომლობის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა თანამშრომლობას სამხედრო, პოლიტიკურ, გარემოსდაცვითი, საინფორმაციო და კოსმოსური სფეროებში, ასევე ერთობლივ ბრძოლას ტერორიზმისა და ნარკოტრაფიკის წინააღმდეგ. უკრაინისა და ნატოს დაახლოების გზაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯები იყო უკრაინა-ნატოს საერთო კომისიის რეგულარული შეხვედრები [4].

II პერიოდი – გაურკვევლობა ან ბრძოლა აღმოსავლურ და დასავლურ ვექტორებს შორის. ძლიერი ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენდნენ უკრაინის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებსა და მთავარ პრინციპებზე 2000-იანი წლების მიჯნაზე, იყო უკრაინის დასავლელი მეზობლების ინტეგრაცია ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში, ერთი მხრივ, და რუსეთის პოლიტიკა უკრაინის შეკავების შესახებ, მეორეს მხრივ. საგარეო პოლიტიკის სფეროში ეს გამოიხატა, როგორც დამაბალანსებელი აქტი განვითარების დასავლურ და აღმოსავლურ ვექტორებს შორის. უფრო მეტიც, თუ ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია ასოცირდებოდა ახალ შესაძლებლობებთან, განვი-

თარებასთან, უსაფრთხოებასთან და მას მხარს უჭერდა უკრაინელების ახალგაზრდაა თაობა, აღმოსავლეთის მიმართულების მხარდამჭერად გვევლინებოდა ძველი, კორუმპირებული ელიტა, რომელმაც თავისი ცხოვრების უდიდესი ნაწილი ტოტალიტარულ რეჟიმში, საბჭოთა კავშირში გაატარა [5].

უკრაინის საგარეო პოლიტიკის აღმოსავლური და არსებითად პრორუსული მიმართულების საზოგადოების მხარდაჭერის წყარო იყო სსრკ-ს ნოსტალგიური თაობა, ანუ „რუსული სამყაროს“ მიმდევრები. სავსებით სამართლიანია იმის თქმა, რომ უკრაინის პოლიტიკური ელიტის დაბალანსება დასრულდა 2000 წელს რუსეთის პრეზიდენტის პოსტზე ვლადიმერ პუტინის არჩევით.

უკრაინის საკითხზე ცალსახა პოზიცით, რუსეთის პრეზიდენტმა საკმარისი გავლენა მოახდინა უკრაინის ლიდერებზე, რომ ქვეყნის მკაფიო „შემობრუნება“ მოეხდინა რუსეთისკენ. და თუ უკრაინის საგარეო პოლიტიკის ევროატლანტიკური და ევროინტეგრაციის კომპონენტი ძირითადად უკრაინელი ლიდერების რიტორიკაში იყო წარმოდგენილი, სახელმწიფო განვითარების პრაქტიკა მოწმობდა რუსეთთან მჭიდრო კავშირების ზრდას. ამის დემონსტრირება იყო 2003 წელს რუსეთის, უკრაინის, ბელორუსის და ყაზახეთის მიერ ერთიანი ეკონომიკური სივრცის შექმნა. მაგრამ ვინაიდან ასეთი გეოპოლიტიკური შემობრუნება ორაზროვნად იყო აღქმული უკრაინის საზოგადოების მიერ, საგარეო პოლიტიკური რიტორიკა გახდა ეკრანი, რომლის მიზანი იყო დამალვა.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის ხელმძღვანელობას, უკრაინის ლიდერებზე ზემოქმედებისას, არ ესმოდა უკრაინულ საზოგადოებაში მიმდინარე პროცესები და განწყობები, ამიტომ მოსკოვის ქმედებები ხშირად აღიქმებოდა როგორც გამაღიზიანებელი და მოითხოვდა შუამავლობას უკრაინის ხელისუფლებისგან [6].

ამის მაგალითი შეიძლება იყოს რუსეთის მიერ 2003 წელს ტამანის ნახევარკუნძულიდან კაშხლის მშენებლობა ქერჩის სრუტეში ტუზლას კუნძულისკენ. ამ ქმედებებმა ისეთი ფართო რეზონანსი გამოიწვია უკრაინაში, რომ უკრაინის პრეზიდენტს ლ. კუჩმას ამ საკითხის შეთანხმება პირადად რუსეთის პრეზიდენტ ვ. პუტინთან მოუწია. კაშხლის მშენებლობა ტუზლას კუნძულიდან 180 მეტრში შეჩერდა.

ფუნდამენტური ცვლილებები საგარეო პოლიტიკურ დისკურსში მოხდა უკრაინის პრეზიდენტად ვიქტორ იუშჩენკოს არჩევის შემდეგ. „ნარინჯისფერი რევოლუციის“ მოვლენები დიდ წილად პროვოცირებული იყო საზოგადოების დაუკმაყოფილებელი მოთხოვნით დემოკრატიის პრინციპების დაცვაზე (უბრალოდ, უხეში არჩევნების გაყალბებით) და ქვეყნის განვითარებაში პროგრესის ნაკლებობით. პრეზიდენტ იუშჩენკოს ადმინისტრაციამ, საგარეო პოლიტიკური გაურკვევლობის სანაცვლოდ, შესთავაზა საზოგადოებას უფრო მკაფიო საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები – უკრაინის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია.

ეს იყო თანმიმდევრული კურსი ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცების, ეკონომიკური განვითარების, დემოკრატიული ღირებულებების, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების განმტკიცებისკენ. ასევე, სტრატეგიული პარტნიორობის განვითარება აშშ-სთან, რუსეთთან და პოლონეთთან, კეთილმეზობლური ურთიერთობების განმტკიცება და ეკონომიკური კავშირების განვითარება სხვა ქვეყნებთან, რეგიონული პოლიტიკის შემუშავება, პირველ რიგში, შავი ზღვის რეგიონში და უკრაინის გაწევრიანება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში [7].

მართლაც, უკრაინის საერთაშორისო იზოლაციიდან გამოსვლა და ვ. იუშჩენკოსა და მის გუნდზე, როგორც რეფორმატორებზე დამყარებულმა იმედებმა ხელი შეუწყო უკრაინის სწრაფ საგარეო პოლიტიკურ აქტივობას 2005-2008 წლებში.

უკრაინული დიპლომატიის მიღწევებს შორისაა WTO-ში გაწევრიანება (2008), უკრაინა-ევროკავშირის სამოქმედო გეგმის ხელმოწერა (2005) და უკრაინასა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულებაზე მოლაპარაკებების დაწყება (2007); ალიანსში გაწევრიანებასთან დაკავშირებით უკრაინა-ნატო დიალოგის გააქტიურება და აუცილებელი რეფორმების განხორციელება. ევროკავშირმა (2005 წელს) და აშშ-მაც (2006 წელს) აღიარეს უკრაინა, როგორც საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყანა, ხოლო 2005 წელს აშშ-თან ხელი მოწერა სტრატეგიულ დოკუმენტს „დღის წესრიგი ახალი საუკუნის უკრაინულ-ამერიკული სტრატეგიული პარტნიორობისთვის“ [8].

III პერიოდი – უკრაინაში პროდასავლურ და პრორუსულ პოლიტიკურ კურსებს შორის დაპირისპირების გამწვავება, საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის ახალი რეალობები

ევროპაში. 2010 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ვიქტორ იანუკოვიჩის გამარჯვება შესაძლებელი გახდა იმ პოლიტიკური აპათიის წყალობით, რომელშიც იმ დროს იმყოფებოდა უკრაინელი ამომრჩეველთა უმრავლესობა. უკრაინის საგარეო პოლიტიკამ კვლავ მკვეთრი შემობრუნება განიცადა, რაც მაშინვე აისახა იურიდიულ დოკუმენტებში – 2010 წელს მიღებულ იქნა კანონი „საშინაო და საგარეო პოლიტიკის საფუძვლების შესახებ“, რომელმაც გააძლიერა უკრაინის ბლოკგარეშე სტატუსი, როგორც საგარეო პოლიტიკის საფუძველი. ფაქტობრივად, ეს ნაბიჯი ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე უარყოფას ნიშნავდა. კიდევ უფრო დიდი რეზონანსი როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ასპარეზზე შექმნა „ხარკოვის შეთანხმებამ“ უკრაინასა და რუსეთს შორის, რომელიც ასევე გაფორმდა 2010 წელს და გააფართოვა რუსეთის შავი ზღვის ფლოტის ბაზა სევასტოპოლში, სრულიად გამჭვირვალე სქემით – უკრაინისთვის გაზის ფასდაკლების უზრუნველყოფის [9].

სხვა სფეროებში, უკრაინის საგარეო პოლიტიკურმა საქმიანობამ არ განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები. უფრო მეტიც, მთავრობამ შეინარჩუნა ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესი, როგორც საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტი და განაგრძო მოლაპარაკება უკრაინასა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ. როგორც ისტორიულმა მოვლენებმა აჩვენა, უკრაინის პოლიტიკურ ელიტას არ ჰქონდა სერიოზული განზრახვები ამ შეთანხმებასთან დაკავშირებით, მაგრამ არ ერეოდა მოლაპარაკებებში, უფრო მეტიც, შექმნეს ყველა პირობა და აქტიურად გააშუქეს საინფორმაციო ველში, რაც შეცდომით აღიქვეს უკრაინელმა საზოგადოებამ.

უკრაინული საზოგადოებისთვის დამაბრკოლებელი ოცნება, რომლის განხორციელებაც უკრაინის ხელისუფლებას არ ჰქონდა განზრახული, იყო ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის თემა.

2013 წელს ხალხი დემონსტრაციაზე გამოვიდა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ დასრულებულ შეთანხმებაზე ხელმოწერაზე უარის თქმის გამო, რაც ხელისუფლებისადმი საზოგადოების სრულ უნდობლობაში გამოიხატებოდა.

ამრიგად, ქვეყნის შიგნით მოვლენებმა, ისევე როგორც რუსეთის აგრესიულმა პოლიტიკამ უკრაინის მიმართ, დაასრულა დაბალანსების, ანუ გაურკვევლობის პერიოდი, რომელიც გაგრძელდა 22 წელი.

უკრაინის ამჟამინდელი საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები მოიცავს უკრაინის ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციას და მჭიდრო თანამშრომლობას ევროკავშირისა და ნატოს ქვეყნებთან. ასევე მნიშვნელოვან სფეროდ შეიძლება დასახელდეს ჩინეთთან ურთიერთობები და უკრაინის თანამშრომლობა რეგიონულ დონეზე.

შეერთებულ შტატებთან ურთიერთობას, რა თქმა უნდა, განსაკუთრებული ადგილი უკავია უკრაინის საგარეო პოლიტიკურ დისკურსში – უკრაინის ერთ-ერთი მთავარი მიზანია აშშ-ს მთავარი მოკავშირის სტატუსის მოპოვება ნატოს გარეთ, რაც გააფართოებს ქვეყნებს შორის თანამშრომლობის შესაძლებლობებს თავდაცვის სექტორში.

ცალკე საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგშია უკრაინის საქმიანობა საერთაშორისო ორგანიზაციებში – გაერო, ეუთო, ევროპის საბჭო – სწორედ ამ ორგანიზაციების პლატფორმებია დღეს უკრაინასა და რუსეთს შორის სამართლებრივი დაპირისპირების სფერო.

დასკვნა. რუსეთთან ომის პირობებში, ქვეყნის მთავარი საგარეო პოლიტიკური მიზანი უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და ქვეყნის უსაფრთხოების განმტკიცებაა. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა ქვეყნის განვითარების კონცეპტუალური გეგმის შემუშავება და სწორი, ეროვნულ ინტერესებზე დაფუძნებული საგარეო პოლიტიკის გატარება.

ექსპერტები იმაზე თანხმდებიან, რომ უკრაინისთვის დამტკიცებული ყოვლისმომცველი დახმარების პაკეტის განხორციელება ქვეყანას ნატოს სტანდარტებთან უფრო დააახლოებს, ვიდრე ნატოში წევრობის სამოქმედო გეგმაა. ანალოგიურად ფასდება ევროკავშირში გაწევრიანების მიზანი [10].

უკრაინისთვის ეგზისტენციალური საკითხია ისეთი რაციონალური და დაბალანსებული საგარეო პოლიტიკური კურსის შემუშავება, რომ ქვეყანამ შეძლოს ომის შეჩერება, სუვერენიტეტის შენარჩუნება და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.

ომის შეჩერების და უკრაინის სუვერენიტეტის საკითხი დიდ თავსატეხს წარმოადგენს არა მხოლოდ უკრაინის ხელისუფლებისათვის, არამედ ასევე დასავლეთისათვის, რომელიც ვერ ახერხებს კონფლიქტური მხარეების დაზავებას და მათ შორის საერთო ენის გამონახვას.

NINO TAVARTKI:ADZE – *GTU, PhD Student*

Historical development of Modern Ukraine basic stages

Summary

Since 1991, the political development of Ukraine has been accompanied by conflicts and cardinal changes in the constitution. There was a fierce struggle between the executive and legislative branches, which tried to strengthen their positions. The Ukrainian elite of the western and eastern regions supported the unitary development of Ukraine, seeing in it a means of complete control over state institutions and financial flows. The possibilities of a federal system were revealed in 2014 In recent years, Ukraine's policy has been aimed at strengthening relations with European countries, deepening cooperation with the European Union and rapprochement with the US and NATO. Official Kiev's rhetoric led to a cooling of Russian-Ukrainian relations and ultimately a bitter confrontation.

Key words*: Ukraine, foreign policy, domestic policy, Russia-Ukraine relations.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. SERGEY EKECHIK "Story of Ukraine" (2007)
2. https://zakon.rada.gov.ua/laws/show/3360-12#Text
3. Договір про дружбу, співробітництво і партнерство між Україною і Російською Федерацією https://zakon.rada.gov.ua/laws/show/643_006#Text
4. Україна: політична історія. XX – початок XXI ст. [Текст] / В. М. Редрада, Литвин та ін. Редкол.: В. А. Смолій, Ю. А. Левенець та ін. – К.: Парламентське видавництво, 2007.
5. https://ukraine-nato.mfa.gov.ua/ukrayina-nato/hronologiya-vidnosin-ukrayina-nato
6. https://www.pravda.com.ua/rus/articles/2023/09/28/7421696/
7. Хартія стратегічного партнерства Україна – США https://mfa.gov.ua/news/hartiya-strategichnogo-partnerstva-ukrayina-ssha
8. Цыганков, О, Анализ последствий вступления в ВТО Украины, https://cyberleninka.ru/article/n/analiz-posledstviy-vstupleniya-v-vto-dlya-ukrainy/viewer
9. ხარკოვის გარიგება https://www.radiotavisupleba.ge/a/2023541.html
10. https://www.radiosvoboda.org/a/visa-free/28414952.html

ნონა ცაბაძე
სტუ, დოქტორანტი

მცირე სახელმწიფოები საერთაშორისო სისტემაში (თეორია და პრაქტიკა პოსტსაბჭოთა სივრცის ჭრილში)

ნაშრომში განხილულია მცირე სახელმწიფოების როლსა და ქცევის ლოგიკა საერთაშორისო სისტემაში თეორიული და პრაქტიკული პერსპექტივიდან. ტექსტში განმარტებულია, რომ მცირე სახელმწიფოს სტატუსი არ განისაზღვრება მხოლოდ ტერიტორიის ან მოსახლეობის რაოდენობით, არამედ მოიცავს სამხედრო, ეკონომიკურ, დიპლომატიურ შესაძლებლობებსა და საერთაშორისო სისტემაში მოქმედების უნარს. მცირე სახელმწიფოები ხასიათდებიან უსაფრთხოების მაღალი მოწყვლადობითა და გარე გარემოზე დამოკიდებულებით, რის გამოც მათი საგარეო პოლიტიკა ხშირად ეფუძნება სტრატეგიულ ადაპტაციას, ალიანსების ფორმირებას, საერთაშორისო ინსტიტუტების გამოყენებას და მრავალვექტორულ დიპლომატიას.

ნაშრომში მცირე სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის ანალიზი განხორციელებულია საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი თეორიების – რეალიზმის, ლიბერალიზმისა და კონსტრუქტივიზმის – საფუძველზე. რეალიზმი ყურადღებას ამახვილებს ძალთა ბალანსსა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე; ლიბერალიზმი ხაზს უსვამს საერთაშორისო ინსტიტუტების, ნორმებისა და ეკონომიკური თანამშრომლობის მნიშვნელობას; ხოლო კონსტრუქტივიზმი სახელმწიფოთა ქცევის ახსნისას განსაკუთრებულ როლს ანიჭებს იდენტობას, ნორმებსა და სოციალურ კონსტრუქციებს.

კვლევაში ასევე განხილულია მცირე სახელმწიფოების სპეციფიკური თეორიები, რომლებიც განმარტავს მათ სტრატეგიულ არჩევანს, ადაპტაციის მექანიზმებსა და საერთაშორისო სისტემაში მოქმედების ფორმებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პოსტსაბჭოთა სივრცეს, სადაც მცირე სახელმწიფოები მოქმედებენ მრავალპოლუსიან და გეოპოლიტიკურად არასტაბილურ გარემოში. საქართველოს, უკრაინის, ბალტიისპირეთის ქვეყნების, აზერბაიჯანის, მოლდოვის, სომხეთისა და ბელორუსის მაგალითები აჩვენებს, რომ მცირე სახელმწიფოები სხვადასხვა სტრატეგიას იყენებენ – ევროატლანტიკურ ინტეგრაციას, ნეიტრალურ ბალანსირებას, ალიანსებზე მიბმას ან მრავალვექტორულ პოლიტიკას.

საბოლოოდ ნაშრომი ასკვნის, რომ მიუხედავად სტრუქტურული შეზღუდვებისა, მცირე სახელმწიფოები საერთაშორისო სისტემაში აქტიურ მოთამაშეებად რჩებიან და მათი წარმატება დიდწილად დამოკიდებულია სტრატეგიულ მოქნილობაზე, საერთაშორისო ინსტიტუტების გამოყენებასა და გეოპოლიტიკური გარემოს ადაპტირებულ მართვაზე.

საკვანძო სიტყვები: *მცირე სახელმწიფოები; საერთაშორისო სისტემა; საგარეო პოლიტიკა; რეალიზმი; ლიბერალიზმი; კონსტრუქტივიზმი; პოსტსაბჭოთა სივრცე.*

მცირე სახელმწიფოები საერთაშორისო პოლიტიკის კვლევის მნიშვნელოვან ობიექტს წარმოადგენს და განიხილება, როგორც ისეთი პოლიტიკური ერთეულები, რომლებიც საერთაშორისო სისტემაში ძალაუფლების, რესურსებისა და გავლენის შეზღუდული მოცულობით ხასიათდებიან [1].

ამასთან, მათი „მცირეობა“ არ განისაზღვრება მხოლოდ ტერიტორიის ან მოსახლეობის რაოდენობით; არამედ ეს კომპლექსური კატეგორიაა, რომელიც მოიცავს სამხედრო პოტენციალს, ეკონომიკურ შესაძლებლობებს, დიპლომატიურ გავლენასა და საერთაშორისო სისტემაში მოქმედების უნარს [2]. ასეთ პირობებში, მცირე სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკა წარმოადგენს არა მხოლოდ რეგულარული დიპლომატიის პროცესს, არამედ სტრატეგიული, ადაპტირებული და მრავალმხრივი რეაგირების მექანიზმია, რომელიც მიზნად ისახავს სუვერენიტეტის შენარჩუნებას, ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფას და საერთაშორისო ლეგიტიმაციის მოპოვებას [3].

აქედან გამომდინარე, მცირე სახელმწიფოები ხშირად ისეთ მრავალფეროვან და სტრა-

ტეგიულ მექანიზმებს მიმართავენ, როგორიცაა: მოკავშირეების ძიება, ინსტიტუციონალური ჩარჩოების გამოყენება, ეკონომიკური დივერსიფიკაცია და საერთაშორისო ასპარეზზე აქტიური მონაწილეობა.

მცირე სახელმწიფოების არსის განსაზღვრისას მკვლევრები ხშირად იყენებენ შედარებით მიდგომას: სახელმწიფო მიიჩნევა მცირედ მაშინ, როდესაც იგი დამოუკიდებლად ვერ ახდენს არსებით გავლენას საერთაშორისო პროცესებზე და იძულებულია გაითვალისწინოს უფრო ძლიერი აქტორების ინტერესები [4].

მცირე სახელმწიფოებისთვის დამახასიათებელია მათი უსაფრთხოების მოწყვლადობა. შეზღუდული სამხედრო და ეკონომიკური რესურსების გამო მათ ნაკლებად აქვთ უნარი დამოუკიდებლად უზრუნველყონ საკუთარი თავდაცვა და ხშირად ეყრდნობიან ალიანსებს, საერთაშორისო ინსტიტუტებს ან ძლიერ სახელმწიფოებთან პარტნიორობას. სწორედ ამიტომ მათი საგარეო პოლიტიკა, როგორც წესი, მეტად სენსიტიურია გარე გარემოს ცვლილებების მიმართ და მაღალი ადაპტაციურობით ხასიათდება.

ეკონომიკური თვალსაზრისით, მცირე სახელმწიფოები ხშირად ინტეგრირებულნი არიან გლობალურ ბაზრებში და მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებულნი საგარეო ვაჭრობაზე, ინვესტიციებსა და ფინანსურ ნაკადებზე. ეს მათ აძლევს განვითარების შესაძლებლობას, თუმცა პარალელურად ზრდის მათ დამოკიდებულებას გარე ეკონომიკურ პროცესებზე [1].

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მცირე სახელმწიფოები არ არიან პასიური აქტორები საერთაშორისო სისტემაში და მიუხედავად შეზღუდული რესურსებისა (სამხედრო, ეკონომიკური და დიპლომატიური), ვინაიდან ისინი იყენებენ სხვადასხვა სტრატეგიას საკუთარი ინტერესების დასაცავად. ასეთ სტრატეგიებში განსაკუთრებით გამოიკვეთება შემდეგი მიმართულებები:

1. ალიანსების ფორმირება;
2. საერთაშორისო სამართლისა და ინსტიტუტების აქტიური გამოყენება;
3. ნიშური დიპლომატია;
4. მრავალვექტორული საგარეო პოლიტიკა.

აქედან გამომდინარე, მცირე სახელმწიფოთა ქმედებები ხაზს უსვამს არა მხოლოდ გადარჩენის, არამედ პოზიციის მაქსიმალურად გაძლიერების და ეროვნული ინტერესების დაცვის უნარს.

რაც შეეხება პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებს, პოსტსაბჭოთა სივრცე, რომლის ნაწილსაც საქართველო და სხვა ყოფილი საბჭოთა სახელმწიფოები წარმოადგენენ, ინტენსიურობით, დინამიკური არასტაბილურობითა და მრავალპოლუსიანი საერთაშორისო ურთიერთობებით გამოირჩევა. ამ პროცესებმა კი, თავის მხრივ, წარმოშვა სრულიად ახალი პოლიტიკური რეალობა, რომელიც მრავალფეროვან კონფლიქტებს, დიდ სახელმწიფოებზე ეკონომიკურ დამოკიდებულებებს და რეგიონის სტაბილურობასთან დაკავშირებულ გამოწვევებს მოიცავს.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, პოსტსაბჭოთა სივრცეში წარმოიშვა სხვადასხვა სახის კონფლიქტები, მათ შორის სამხრეთ კავკასიის ტერიტორიული დაპირისპირებები (აფხაზეთის და „სამხრეთ ოსეთის“ კონფლიქტები საქართველოში, მთიანი ყარაბაღი აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის), უკრაინის დონბასისა და ყირიმის კრიზისი, ასევე ცენტრალური აზიის ეთნიკური და ტერიტორიული კონფლიქტები, რაც ადასტურებს, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებს ოპერირება მრავალპოლუსიან, დინამიკურად არასტაბილურ და გეოპოლიტიკურად დატვირთულ გარემოში მოუწიათ. ასეთ გარემოში კი თითოეული სახელმწიფოს წინაშე სუვერენიტეტის, უსაფრთხოებისა და საერთაშორისო ლეგიტიმაციის დაცვის მიზნით დგება სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების ამოცანები [5].

ამ ვითარების გათვალისწინებით, მცირე სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის სპეციფიკის ღრმა ანალიზი შეუძლებელია საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების გათვალისწინების გარეშე.

რეალიზმი, ლიბერალიზმი, კონსტრუქტივიზმი და მცირე სახელმწიფოების თეორიები გვაძლევს საშუალებას უკეთ გავიგოთ, როგორ ფორმირდება პატარა სახელმწიფოების სტრატეგიული არჩევანი, როგორ იკვლევენ ისინი უსაფრთხოების პრიორიტეტებს და რომელი მექანიზმებით იცავენ სუვერენიტეტსა და საერთაშორისო ლეგიტიმაციას.

1. რეალიზმი – რეალიზმი საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი ძირითადი თეორიული მიმართულებაა. მისი ძირითადი კონცეფცია იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფოები მოქმედებენ ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში, სადაც არ არსებობს უნივერსალური ხელისუფლება, რომელიც საერთო უსაფრთხოებას უზრუნველყოფს [6].

2. ამ მოცემულობაში, სახელმწიფოები ორიენტირებული არიან საკუთარი სუვერენიტეტის, უსაფრთხოების და ძალაუფლების გაძლიერება-გამყარებაზე.

რეალიზმის ცენტრალური პრინციპებია:

1. **სახელმწიფოს პრიორიტეტულობა** – საერთაშორისო პოლიტიკაში მთავარია სახელმწიფო, როგორც ძირითადი აქტორი [7];
2. **მხარდაჭერა ძალთა ბალანსის პრინციპზე** – სახელმწიფოები ცდილობენ თავად შექმნან რეგიონისა და საერთაშორისო სისტემის ძალთა ბალანსი ან მონაწილეობა მიიღონ ასეთის შექმნაში, რათა შეამცირონ შესაძლო აგრესიის რისკი და უზრუნველყონ საკუთარი უსაფრთხოება [6];
3. **მაქსიმალური ძალაუფლება და უსაფრთხოება** – სახელმწიფოები ეფექტურად იყენებენ თავიანთ (სამხედრო, ეკონომიკურ და დიპლომეტიურ) რესურსებს, საკუთარი სუვერენიტეტის დაცვისა და გავლენის გაძლიერებისთვის როგორც რეგიონში, ასევე გლობალურ ასპარეზზე [8].

დიდ სახელმწიფოებს, რომელთაც დიდი მოცულობის სამხედრო, ეკონომიკური და დიპლომატიური რესურსები გააჩნიათ, ეს მიდგომა აქტიური გლობალური სტრატეგიული ამოცანების განხორციელების საშუალებას აძლევს, თუმცა, რეალიზმი ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებადი თეორიული ხედვაა მცირე სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის ანალიზშიც, ვინაიდან მასში ხაზგასმულია უსაფრთხოების პრიორიტეტები, ძალთა ბალანსი და სახელმწიფოების სტრატეგიული ინტერესები ანარქიულ საერთაშორისო გარემოში. ეს კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე სახელმწიფოებისთვის, რადგან მათ შეზღუდული სამხედრო, ეკონომიკური და პოლიტიკურ-დიპლომატიური რესურსების გამო, მუდმივად დიდი სახელმწიფოების გავლენის, რეგიონული ძალთა ბალანსის და გარე საფრთხეების გათვალისწინებით უწევთ მოქმედება [6], [8]. ასეთ პირობებში, მცირე სახელმწიფოები იძულებულნი არიან სტრატეგიულად წარმართონ საგარეო პოლიტიკა, რათა დაიცვან სუვერენიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა და უსაფრთხოება.

პოსტსაბჭოთა სივრცის მცირე სახელმწიფოებისთვის რეალიზმის მიდგომა განსაკუთრებით შესაბამისია, რადგან რეგიონის დიდი სახელმწიფოების (საქართველოს შემთხვევაში, მაგალითად, რუსეთის, თურქეთის და ა.შ.) გავლენა, ისტორიული დამოკიდებულებები და ძალთა ბალანსის დინამიკა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს თითოეული ქვეყნის შესაძლებლობებს სტრატეგიული არჩევანის გაკეთების პროცესში.

რეალიზმის კონტექსტში, მცირე სახელმწიფოები იყენებენ სხვადასხვა სტრატეგიულ მექანიზმს:

1. **მოკავშირეების ძიება და ალიანსების შექმნა** – ეს სტრატეგია მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ სახელმწიფომ შექმნას ბალანსი რეგიონის ძალთა შორის და უზრუნველყოფოს საკუთარი უსაფრთხოების გარანტიები საერთაშორისო აქტორების დახმარებით;
2. **ნეიტრალიტეტის ან ბალანსირებული პოზიციის შენარჩუნება** – პატარა სახელმწიფოები ხშირად აირჩევენ არანაკლებ სტრატეგიას, რომელიც მათ საშუალებას აძლევს შეამცირონ დიდი სახელმწიფოების ზეწოლის რისკი და დაიცვან საკუთარი უსაფრთხოება;
3. **უსაფრთხოების გარანტიების გამოყენება საერთაშორისო ორგანიზაციებში გაერთიანებით** – ნატო, ევროკავშირი და სხვა რეგიონული ორგანიზაციები მცირე სახელმწიფოებისთვის მნიშვნელოვან მექანიზმად ითვლება სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის;
4. **სამხედრო და პოლიტიკური რეაგირების მექანიზმები** – მცირე სახელმწიფოები მიმართავენ საკუთარი რესურსების კონცენტრირებულ გამოყენებას, რათა სწრაფად და ეფექტურად მოახდინონ რეაგირება გარე საფრთხეებზე, რაც, თავის მხრივ, როგორც თავდაცვითი შესაძლებლობების განვითარებას, ისე დიპლომატიურ და პოლიტიკური ინსტრუმენტებს მოიცავს.

პოსტსაბჭოთა მაგალითებიდან ჩანს, რომ ამ სტრატეგიებმა სხვადასხვა სახელმწიფოში სხვადასხვაგვარად იჩინა თავი და ეს განპირობებულია როგორც ამ ქვეყნების გეოპოლიტიკური მდებარეობით, ასევე სამხედრო, ეკონომიკური და დიპლომატიური რესურსების მოცულობით. მაგალითად, საქართველოსა და უკრაინის კონტექსტში რეალიზმის პრინციპები

გამოვლინდა მოკავშირეების აქტიურ ძიებაში, ნატოსთან თანამშრომლობისაკენ სწრაფვაში და საერთაშორისო უსაფრთხოების გარანტიების გათვალისწინებაში, რაც გარე საფრთხეების დივერსიფიკაციისა და სუვერენიტეტის დაცვის მიზანს ემსახურებოდა. აზერბაიჯანმა და მოლდოვამ კი ზოგიერთ შემთხვევაში ნეიტრალური ბალანსის სტრატეგიას მიმართა, რაც მათი მხრიდან საერთაშორისო ასპარეზზე საწყისი კავშირებისა და დიდ სახელმწიფოებთან მოქნილი დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებას და სუვერენიტეტის დაცვას ისახავდა მიზნად.

ამრიგად, რეალიზმის თეორია უზრუნველყოფს მცირე სახელმწიფოების სტრატეგიული გადაწყვეტილებების გააზრებულ საფუძველს, აჩვენებს, როგორ შეიძლება სტრატეგიული და მოქნილი საგარეო პოლიტიკის განხორციელება მრავალპოლუსიან, დინამიკურად არასტაბილურ და გეოპოლიტიკურად დატვირთულ რეგიონში, სადაც თითოეული არჩევანი უშუალოდ აისახება სუვერენიტეტზე, უსაფრთხოებასა და საერთაშორისო ლეგიტიმაციაზე.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ რეალიზმი ფოკუსირებულია ძალაუფლებასა და უსაფრთხოებაზე, მცირე სახელმწიფოების ქმედებების სრულად გასაგებად საჭიროა ლიბერალიზმის პრინციპების განხილვაც, რომელიც ხაზს უსვამს საერთაშორისო ინსტიტუტებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის როლს სახელმწიფოების სტრატეგიულ არჩევანში.

2. ლიბერალიზმი – საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი ძირითადი თეორიული მიმართულებაა, რომელიც ხაზს უსვამს არა მხოლოდ ძალას და უსაფრთხოებას, არამედ თანამშრომლობას, ნორმებს, საერთაშორისო ინსტიტუტებს და ეკონომიკურ ინტეგრაციას [1].

ლიბერალიზმის მიხედვით, სახელმწიფოები დაინტერესებულნი არიან თანამშრომლობაში, რადგან ეს ამცირებს კონფლიქტების რისკს, ზრდის ეკონომიკურ სარგებელს და უზრუნველყოფს სტაბილურობას. საერთაშორისო ინსტიტუტები (ნატო, ევროკავშირი, გაერო და სხვ.) ამ ხედვის მიხედვით წარმოადგენენ მექანიზმებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ქვეყნისთვის უსაფრთხოებისა და სუვერენიტეტის გარანტიას, ვინაიდან ისინი ადგენენ წესებსა და ნორმებს, რომლებიც უფრო სტაბილურ საერთაშორისო გარემოს ქმნიან [9].

ლიბერალიზმის ძირითადი პრინციპებია:

- საერთაშორისო სამართლისა და ნორმების მნიშვნელობა;
- ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობის სარგებლის ხაზგასმა;
- ინსტიტუციონალურ ჩარჩოებში მოქმედების შესაძლებლობა, რომელიც ზღუდავს ძალაუფლების შეუზღუდავი გამოყენების ლოგიკას;
- კონფლიქტების პრევენცია თანამშრომლობისა და დიპლომატიის მეშვეობით.

ლიბერალური მიდგომების გამოყენებით დიდ სახელმწიფოებს, რომელთაც საშუალება ეძლევათ ინსტიტუციონალური ჩარჩოების მეშვეობით არა მხოლოდ ზეგავლენა მოახდინონ გლობალური წესრიგის ფორმირებაზე, არამედ უზრუნველყონ საკუთარი ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების რეალიზება, რაც საერთაშორისო ასპარეზზე საკუთარი გავლენის გაფართოების საშუალებას აძლევს. მაგალითად, ევროკავშირი ან ნატო დიდ სახელმწიფოებს აძლევს შესაძლებლობას განსაზღვრონ სტრატეგიული მიმართულებები რეგიონში, შექმნან ალიანსები, გააძლიერონ პოლიტიკური ლეგიტიმაცია და დაარეგულირონ ურთიერთობები ინსტიტუციონალური ჩარჩოების მეშვეობით [10].

ამასთან, ისინი დიდ ყურადღებას უთმობენ საერთაშორისო ნორმების დაცვას, საკუთარი საერთაშორისო ლეგიტიმაციის უზრუნველსაყოფად, რაც მცირე სახელმწიფოებისთვის ძნელად ხელმისაწვდომია [3].

მცირე სახელმწიფოების შემთხვევაში, ლიბერალური თეორია ხაზს უსვამს იმას, რომ უსაფრთხოებისა და სუვერენიტეტის დაცვა ხშირად არა მხოლოდ სამხედრო ან ძალის გამოყენების საშუალებით, არამედ ინსტიტუციური ჩარჩოების, საერთაშორისო ნორმებისა და ეკონომიკური თანამშრომლობის მეშვეობით არის შესაძლებელი. განსხვავებით დიდ სახელმწიფოებისგან, მცირე სახელმწიფოებს გლობალური წესრიგის ფორმირებაში პირდაპირი ზეგავლენის საშუალება შეზღუდული შესაძლებლობებით აქვთ. ამიტომ მათი საგარეო პოლიტიკა მიმართულია საერთაშორისო ინსტიტუციებისა და სტრუქტურების ეფექტიანი გამოყენებისკენ, რაც მიზნად საკუთარი უსაფრთხოების, სუვერენიტეტისა და საერთაშორისო ლეგიტიმაციის დაცვას ისახავს მიზნად.

პოსტსაბჭოთა ქვეყნების მაგალითზე, მცირე სახელმწიფოები ხშირად მიმართავენ ასოცირების შეთანხმებებს, პარტნიორულ დოკუმენტებს და რეგიონულ ეკონომიკურ ინიციატივებს, როგორც ინსტიტუციონალურ გარანტიებს [11].

მაგალითად, ამ ალიანსების წევრი ბალტიისპირეთის ქვეყნები, ნატოსა და ევროკავშირის ჩართულობით, ქმნიან შედარებით სტაბილურ უსაფრთხოების ბლოკს, რაც მათ საშუალებას აძლევს მნიშვნელოვნად შეამცირონ გარე ზეწოლის რისკები. საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის შემთხვევაში კი ორიენტაცია ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციისკენ მოიცავს მცდელობებს, შეამცირონ საკუთარი მოწყვლადობა, გაზარდონ საერთაშორისო მხარდაჭერა და გამოიყენონ ინსტიტუციონალური შესაძლებლობები, რათა მოახდინონ გარე საფრთხეებთან გამკლავების სირთულეთა მინიმიზაცია. თუმცა ამ მცდელობების ეფექტურობა, რეგიონული კრიზისებისა და დიდი სახელმწიფოების ინტერესებზე დამოკიდებულების გამო, ყოველთვის განსხვავებულია, რაც ხაზს უსვამს თანამედროვე მრავალპოლუსიან, დინამიკურად არასტაბილურ საერთაშორისო გარემოში მცირე სახელმწიფოების სტრატეგიული არჩევანის სიმყიფეს.

ეკონომიკური თანამშრომლობის კუთხით, მცირე სახელმწიფოები ცდილობენ რეგიონის და გლობალური ბაზრებზე დივერსიფიცირებული კავშირების შექმნას, რათა შეამცირონ დამოკიდებულება კონკრეტულ დიდ სახელმწიფოებზე. საქართველოს შემთხვევაში, ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის ინტეგრაცია ევროატლანტიკურ სისტემებში, საერთაშორისო სავაჭრო შეთანხმებები და რეგიონული ინიციატივები უზრუნველყოფს არა მხოლოდ ეკონომიკურ სარგებელს, არამედ აჩენს პოლიტიკური უსაფრთხოების დამატებითი გარანტიების იმედებსაც.

ამგვარად, მცირე სახელმწიფოების კონტექსტში ლიბერალიზმი იძლევა ვერსიას, რომ სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების დაცვა შესაძლებელია ინსტიტუციური ჩარჩოების, ნორმების დაცვა-ანალიზის და მრავალმხრივი თანამშრომლობის საშუალებით, მიუხედავად სამხედრო და ეკონომიკური რესურსების სიმცირისა. ეს მიდგომა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს პოსტსაბჭოთა სივრცეში, სადაც მცირე სახელმწიფოები ხშირად ოპერირებენ მრავალპოლუსიან, დინამიკურად არასტაბილურ და გეოპოლიტიკურად დატვირთულ გარემოში.

როცა მცირე სახელმწიფოების სტრატეგიული არჩევანის გაანალიზება ვცდილობთ, რეალიზმისა და ლიბერალიზმის ხედვები მნიშვნელოვან კონტექსტს გვაძლევს უსაფრთხოებისა და ინსტიტუციური შესაძლებლობების გათვალისწინებისთვის. თუმცა, ეს თეორიები ძირითადად მატერიალურ ფაქტორებზე – ძალაუფლებასა და რესურსებზე – აქცენტირებენ, რაც ვერ ხსნის ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ნორმები, ღირებულებები და სახელმწიფო იდენტობა, რომლებიც მნიშვნელოვანი როლი შეიძლება შეასრულონ სახელმწიფოთა ქცევაში. სწორედ ამ ხარვეზის შესავსებად, კონსტრუქტივიზმი გვთავაზობს თეორიულ ხედვას, რომელიც ყურადღებას ამახვილებს საერთაშორისო ურთიერთობებში სოციალური ფაქტორების, ნორმებისა და იდენტობის როლზე, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სახელმწიფოთა გადაწყვეტილებებისა და ქცევის განსაზღვრაში.

3. კონსტრუქტივიზმი – საერთაშორისო ურთიერთობების ისეთ მიდგომას წარმოადგენს, რომელიც ხაზს უსვამს იდეების, ნორმების, იდენტობებისა და სოციალური კონსტრუქციების როლს სახელმწიფოთა ქცევაში. კონსტრუქტივიზმის მიხედვით, საერთაშორისო პოლიტიკა არა მხოლოდ მატერიალური ძალაუფლების ან რესურსების ფუნქციაა, არამედ საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და კულტურული-ნორმატიული სპეციფიკის შედეგიც.

ალ. ვენდი ამტკიცებს, რომ საერთაშორისო სისტემა არ განსაზღვრება მხოლოდ მატერიალური ანარქიული სტრუქტურით, არამედ დამოკიდებულია სახელმწიფოთა მიერ შექმნილ ნორმებსა და შეთანხმებებზე. მისი თქმით, „ანარქია ისაა, რაც სახელმწიფოთა მიერ იქმნება და იქმნება მათთან შეთანხმებით“, რაც აჩვენებს, რომ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობა მნიშვნელოვანია როგორც არა მხოლოდ სტრუქტურული ფაქტორებით განსაზღვრული, არამედ სოციალური და ნორმატიული კონსტრუქციის პროდუქტიც [12].

კონსტრუქტივიზმი ასევე ხაზს უსვამს, როგორ გავლენას ახდენენ სახელმწიფოების ქცევაზე საერთაშორისო ნორმები და ღირებულებები. ფილიპ რუგის მიხედვით, ნორმები მოქმედებენ არა მხოლოდ როგორც ქცევის შემზღუდველი წესები, არამედ თავად ქმნიან სოციალურ კონტექსტს, რომლებიც განსაზღვრა-

ვენ სახელმწიფოთა იდენტობას და ამ იდენ-ტობის საფუძველზე აყალიბებენ მათ ინტერეს-თა შინაარსს. სწორედ ნორმატიული გარემო განაპირობებს იმას, თუ როგორ აღიქვამენ სა-ხელმწიფოები საკუთარ როლს საერთაშორისო სისტემაში და რა ქცევა მიაჩნიათ ლეგიტიმუ-რად და შესაბამისად საერთაშორისო ასპა-რეზზე [13].

კონსტრუქტივიზმი ყურადღებას ამახვი-ლებს იმაზე, თუ როგორ წარმოიქმნება სახელმ-წიფო იდენტობები და უსაფრთხოების პერს-პექტივები სოციალური ნორმებისა და კულტუ-რული ფაქტორების გავლენით. ეს იდენტობები განსაზღვრავენ სახელმწიფოების სტრატეგიულ არჩევანს და საერთაშორისო ქცევის ფორმებს [14].

მარგარეტ ფინემორი და კეტრინ სიკკინკი აღწერდნენ ნორმების ცხოვრების ციკლს, რომე-ლიც აჩვენებს, როგორ ინერგება ახალი ნორმე-ბი საერთაშორისო სისტემაში, როგორ ვრცელ-დება და საბოლოოდ როგორ ხდება სახელმ-წიფოებისთვის აღსრულებად ქცევად [15].

კონსტრუქტივისტური თეორიის ერთ-ერთი მთავარი ელემენტია, რომ სახელმწიფოს ინტერესები კონსტრუქციაა და წარმოიქმნება სოციალურ, ნორმატიულ და კულტურულ კონტექსტებში, რომელშიც სახელმწიფო და მისი ელიტები ფუნქციონირებენ. შესაბამისად, სახელმწიფო იდენტობები (მაგალითად „მცირე სახელმწიფო“, „დასავლელი პარტნიორი“ ან „უსაფრთხოების მოწყვლადი ქვეყანა“) მნიშვნე-ლოვნად განსხვავდება სხვადასხვა კონტექსტ-ში, რაც აისახება სტრატეგიულ გადაწყვეტილე-ბებზე.

ამგვარად, კონსტრუქტივიზმი, საშუალე-ბას გვაძლევს დავინახოთ, რომ სახელმწიფოთა ქცევა არ არის მხოლოდ ძალისა და რესურსის შედეგი, არამედ სოციალური ნორმებისა და კულტურულ-პოლიტიკური კონსტრუქციების შედეგიც, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვა-ნია მცირე სახელმწიფოების კონტექსტში, სა-დაც იდენტობა, ნორმები და საერთაშორისო აღიარება ხშირად განსაზღვრავს სტრატეგიულ შესაძლებლობებს.

კონსტრუქტივიზმის თეორიული ჩარჩო განსაკუთრებულად პროდუქტიულია იმ რეგი-ონების კვლევისათვის, სადაც საერთაშორისო პოლიტიკის დინამიკა მხოლოდ მატერიალური ძალის გადანაწილებით არ აიხსნება და გადამწ-ყვეტ მნიშვნელობას იძენს იდენტობის, ნორმე-ბისა და ისტორიული ნარატივების ფაქტორი. პოსტსაბჭოთა სივრცე სწორედ ასეთ შემთხვე-ვას წარმოადგენს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რეგიონში არ მომხდარა მხოლოდ პო-ლიტიკური რუკის ცვლილება; დაიწყო სოცია-ლური და იდენტობრივი რეკონსტრუქციის კომპლექსური პროცესი, რომელმაც განსაზღვ-რა სახელმწიფოების თვითაღქმა, მათი საგარეო პოლიტიკური ორიენტაციები და უსაფრთხოე-ბის ხედვები. ამდენად, პოსტსაბჭოთა სივრცის გაანალიზება კონსტრუქტივიზმის ჭრილში სა-შუალებას იძლევა რეგიონი აღვიქვათ არა მხო-ლოდ როგორც ძალთა ბალანსის არეალი, არა-მედ როგორც ნორმატიული წესრიგების, იდენ-ტობათა და პოლიტიკური მნიშვნელობების კონკურენციის სივრცე.

ალ. ვენდტის მიხედვით, ანარქია თავის-თავად არ განსაზღვრავს სახელმწიფოთა ქცე-ვას; იგი იღებს იმ მნიშვნელობას, რომელსაც სახელმწიფოები ანიჭებენ მას სოციალური ურ-თიერთქმედების პროცესში [12].

სწორედ ეს სოციალური ინტერპრეტაცია გახდა გადამწყვეტი პოსტსაბჭოთა სივრცეში: ბალტიისპირეთის ქვეყნებმა ანარქიული გა-რემო აღიქვეს როგორც უსაფრთხოების დეფი-ციტის წყარო, რამაც მათ სწრაფი ევროატ-ლანტიკური ინტეგრაციისკენ უბიძგა; ხოლო რუსეთის საგარეო პოლიტიკურმა ელიტამ რე-გიონი აღიქვა როგორც „ლეგიტიმური ინტერე-სების სფერო“, რაც განსხვავებული ნორმატიუ-ლი ხედვის გამოხატულებაა.

კონსტრუქტივიზმის ერთ-ერთი ცენტრა-ლური თეზისია, რომ ინტერესები მოცემული კი არ არის, არამედ სოციალურად კონსტრუირ-დება.

პოსტსაბჭოთა სივრცეში სახელმწიფოთა ინტერესები მჭიდროდ არის დაკავშირებული ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბების პრო-ცესთან. მაგალითად, საქართველომ და უკ-რაინამ საკუთარი საგარეო პოლიტიკის ევრო-პული ვექტორი დაამყარეს იმ ნარატივზე, რომ-ლის მიხედვითაც ისინი „ისტორიულად ევრო-პული ცივილიზაციის ნაწილს“ წარმოადგენენ. ეს იდენტობრივმა ჩარჩომ განსაზღვრა მათი უსაფრთხოების აღქმა, პარტნიორების არჩევანი და საგარეო პოლიტიკის სტრატეგიული პრიო-რიტეტები.

ფილიპ რუგი აღნიშნავს, რომ საერთაშო-რისო ნორმები ქმნიან იმ ინსტიტუციურ გა-რემოს, რომლის ფარგლებში აქტორები საკუ-თარ ქცევას ლეგიტიმურად მიიჩნევენ [13]. პოსტსაბჭოთა სივრცეში აშკარად იკვეთება

განსხვავებული ნორმატიული წესრიგების კონკურენცია: ერთი მხრივ, ლიბერალურ-დემოკრატიული ნორმები, რომლებიც ასოცირდება ევროკავშირსა და ნატოსთან; მეორე მხრივ, სუვერენიტეტის „ცივილიზაციურ“ ინტერპრეტაციაზე დაფუძნებული ხედვა, რომელიც რუსეთის საგარეო პოლიტიკურ დისკურსში ფიგურირებს. ამ ნორმატიული განსხვავებების გამო რეგიონი იქცა არა მხოლოდ გეოპოლიტიკური, არამედ იდენტობრივი დაპირისპირების სივრცედ.

მ. ფინემორისა და კ. სიქინკის ნორმატიული დინამიკის თეორიის მიხედვით, ნორმები ვრცელდება სოციალური გავრცელების („norm cascade“) გზით და გავლენას ახდენს სახელმწიფოების ქცევაზე ლეგიტიმაციის მექანიზმების მეშვეობით [15]. პოსტსაბჭოთა სივრცეში დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და ევროპული ინტეგრაციის ნორმები გარკვეულ სახელმწიფოებში (ბალტიისპირეთი, საქართველო, მოლდოვა, უკრაინა) იქცა შიდა პოლიტიკური ტრანსფორმაციის საფუძვლად, მაშინ როდესაც სხვა სახელმწიფოებში მოხდა ალტერნატიული ნორმატიული მოდელის კონსოლიდაცია.

ამგვარად, კონსტრუქტივისტული ანალიზი ცხადყოფს, რომ პოსტსაბჭოთა სივრცე ვერ განიხილება მხოლოდ ძალთა ბალანსის კლასიკურ არეალად, სადაც სახელმწიფოების ქცევა განისაზღვრება სამხედრო პოტენციალით, ეკონომიკური რესურსებით ან გეოსტრატეგიული მდებარეობით. მართალია, აღნიშნული ფაქტორები მნიშვნელოვან როლს ასრულებს, თუმცა ისინი სრულად ვერ ხსნიან იმ განსხვავებულ პოლიტიკურ ტრაექტორიებს, რომლებიც რეგიონში სხვადასხვა სახელმწიფოსთვის დამახასიათებელია. კონსტრუქტივიზმის მიხედვით, პოსტსაბჭოთა სივრცე წარმოადგენს სოციალურ გარემოს, სადაც პარალელურად და ხშირად კონკურენტულად ვითარდება იდენტობების, ისტორიული მეხსიერების, ნორმატიული წესრიგებისა და პოლიტიკური თვითაღქმის კონსტრუქციის პროცესები.

საბჭოთა წარსულის ინტერპრეტაცია, კოლექტიური მეხსიერების პოლიტიკა, „ევროპული არჩევანის“ ან „ცივილიზაციური კუთვნილების“ დისკურსი – ეს ყველაფერი ქმნის იმ მნიშვნელობათა სისტემას, რომლის საფუძველზეც სახელმწიფოები განსაზღვრავენ საკუთარ საგარეო პოლიტიკურ ინტერესებსა და უსაფრთხოების პრიორიტეტებს. ერთსა და იმავე სტრუქტურულ გარემოში მოქმედი სახელმწიფოები განსხვავებულ ქცევით სტრატეგიებს ირჩევენ სწორედ იმიტომ, რომ ისინი განსხვავებულად აღიქვამენ საკუთარ იდენტობას, ისტორიულ გამოცდილებასა და საერთაშორისო წესრიგში საკუთარ როლს. ამ თვალსაზრისით, რეგიონული დინამიკა არ არის მხოლოდ ძალაუფლების განაწილების შედეგი; იგი ასევე არის სოციალური მნიშვნელობების, ლეგიტიმურობის აღქმისა და ნორმატიული ორიენტაციების შედეგი.

ამგვარი მიდგომა აჩვენებს, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში მიმდინარე პროცესები უნდა განვიხილოთ როგორც ნორმატიული და იდენტობრივი კონკურენციის ფორმა, სადაც განსხვავებული პოლიტიკური პროექტები – ევროპული ინტეგრაცია, სუვერენიტეტის ალტერნატიული ინტერპრეტაციები, რეგიონული ინტეგრაციული ინიციატივები – ეფუძნება განსხვავებულ ღირებულებით ჩარჩოებს. შესაბამისად, რეგიონული პროცესების სრულყოფილი გაგება შეუძლებელია მხოლოდ რეალისტური ძალთა პოლიტიკის ან ლიბერალური ინსტიტუციონალიზმის ინსტრუმენტარიუმით. აუცილებელია იმ სოციალური კონტექსტის, დისკურსების და ნორმატიული გარემოს გაანალიზება, რომლებიც სახელმწიფოების ინტერესებს არა მხოლოდ გამოხატავენ, არამედ მათ შინაარსობრივადაც განსაზღვრავენ.

სწორედ ამგვარი კონსტრუქტივისტული პერსპექტივა იძლევა საშუალებას პოსტსაბჭოთა სივრცე აღვიქვათ არა სტატიკურ გეოპოლიტიკურ ზონად, არამედ დინამიკურ სოციალურ სივრცედ, სადაც პოლიტიკური რეალობა მუდმივად ხელახლა კონსტრუირდება.

პოსტსაბჭოთა სივრცის კონსტრუქტივისტული გააზრება, როგორც იდენტობათა და ნორმატიული წესრიგების კონკურენციის დინამიკური გარემო, ბუნებრივად გვაყენებს კონკრეტული აქტორების – რეგიონში მოქმედი სახელმწიფოების – ანალიზის აუცილებლობის წინაშე. აღნიშნულ სივრცეში სახელმწიფოთა მნიშვნელოვანი ნაწილი მცირე ან საშუალო ზომის პოლიტიკურ ერთეულებს წარმოადგენს, რომელთა საგარეო პოლიტიკა და უსაფრთხოების სტრატეგიები განსაკუთრებული სტრუქტურული შეზღუდვებისა და შესაძლებლობების პირობებში ყალიბდება. თუ იდენტობა და ნორმატიული გარემო განსაზღვრავს ინტერესების შინაარსს, სახელმწიფოს ზომა და რესურ-

სული პოტენციალი განსაზღვრავს ამ ინტერესების რეალიზაციის პრაქტიკულ ფარგლებს.

ამგვარად, პოსტსაბჭოთა სივრცის სრულყოფილი ანალიზი მოითხოვს არა მხოლოდ ზოგადი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების გამოყენებას, არამედ მცირე სახელმწიფოების სპეციფიკური თეორიული მოდელების გათვალისწინებასაც, რომლებიც ყურადღებას ამახვილებენ სტრუქტურულ დაუცველობაზე, უსაფრთხოების დილემაზე, სტრატეგიულ ადაპტაციასა და გარე ძალებთან ურთიერთქმედების ფორმებზე. სწორედ ამ კონტექსტში იძენს მნიშვნელობას მცირე სახელმწიფოების თეორიების განხილვა.

4. მცირე სახელმწიფოების სპეციფიკური თეორიები. საერთაშორისო ურთიერთობების კლასიკური თეორიები – რეალიზმი, ლიბერალიზმი და კონსტრუქტივიზმი – სახელმწიფოებს, როგორც წესი, აბსტრაქტულ და ფორმალურად თანასწორ აქტორებად განიხილავენ. თუმცა პრაქტიკაში სახელმწიფოები განსხვავდებიან არა მხოლოდ ინტერესებითა და იდენტობებით, არამედ მატერიალური შესაძლებლობებით, სტრუქტურულ პოზიციითა და სისტემაში გავლენის ხარისხით. სწორედ ამ განსხვავებამ წარმოშვა მცირე სახელმწიფოების სპეციფიკური თეორიული მიმართულება, რომელიც მიზნად ისახავს მცირე ზომის სახელმწიფოების ქცევის ლოგიკის, სტრატეგიული არჩევანისა და ადაპტაციის ფორმების განმარტებას.

მცირე სახელმწიფოს განსაზღვრა ერთმნიშვნელოვანი არ არის. ზოგიერთი ავტორი მას დემოგრაფიული ან ეკონომიკური მაჩვენებლებით განსაზღვრავს, ხოლო სხვები – სისტემურ გავლენასა და ძალაუფლების შესაძლებლობებით. რობერტ კიოჰეინი მცირე სახელმწიფოს იმ აქტორად მიიჩნევს, რომლის გავლენა საერთაშორისო სისტემაზე შეზღუდულია და რომელიც იძულებულია, საგარეო პოლიტიკაში უფრო მეტად გაითვალისწინოს ძლიერ სახელმწიფოთა ქცევა [16]. ამგვარი ხედვა მცირე სახელმწიფოს სტრუქტურულ მოწყვლადობაზე ამახვილებს ყურადღებას.

რეალისტური პერსპექტივიდან მცირე სახელმწიფოების მთავარი პრობლემა უსაფრთხოების დეფიციტია. მათი შეზღუდული სამხედრო და ეკონომიკური რესურსები მათ აიძულებს აირჩიონ გადარჩენაზე ორიენტირებული სტრატეგიები, როგორიცაა ბალანსირება, მიბმა (მიტმასნება) ძლიერ სახელმწიფოზე ან ჰეჯირება (მოქნილი წონასწორობის პოლიტიკა). მცირე სახელმწიფოები ხშირად ცდილობენ უსაფრთხოების გარანტიების მოპოვებას საერთაშორისო ალიანსების მეშვეობით, რაც მათ სტრუქტურულ დაუცველობას ამცირებს.

ლიბერალური ინსტიტუციონალიზმის მიხედვით, მცირე სახელმწიფოები განსაკუთრებულად დაინტერესებული არიან საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ნორმატიული წესრიგის გაძლიერებით, რადგან ინსტიტუციური ჩარჩოები ქმნის შედარებით პროგნოზირებად და წესებზე დაფუძნებულ გარემოს, სადაც ძალაუფლების ასიმეტრია ნაწილობრივ დაბალანსებულია [3].

ინსტიტუტები მცირე სახელმწიფოებს აძლევს შესაძლებლობას დაიცვან საკუთარი ინტერესები კოლექტიური მექანიზმების საშუალებით და გამოიყენონ საერთაშორისო ლეგიტიმაციის ინსტრუმენტები.

მცირე სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის სპეციალიზებულ კვლევებში ყურადღება ეთმობა ასევე სტრატეგიულ ადაპტაციასა და ნიშური კონცეფციას. აღნიშნული მიდგომის მიხედვით, მცირე სახელმწიფოები ცდილობენ საერთაშორისო პოლიტიკაში კონკრეტულ სფეროებზე კონცენტრირებით საკუთარი როლის გაზრდას, იქნება ეს მედიაცია, ჰუმანიტარული პოლიტიკა, რეგიონული თანამშრომლობა თუ კონკრეტული ნორმატიული დღის წესრიგის მხარდაჭერა [17].

თანამედროვე კვლევებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მცირე სახელმწიფოების იდენტობრივ და ნორმატიულ არჩევანსაც. კონსტრუქტივისტული ინტერპრეტაციით, მცირე სახელმწიფოები ხშირად საკუთარი უსაფრთხოების სტრატეგიას იდენტობის პოლიტიკაზე აგებენ – მაგალითად, „ევროპული“, „ნეიტრალური“ ან „ტრანზიტული“ სახელმწიფოს თვითაღქმაზე. ამგვარი იდენტობრივი ჩარჩო განსაზღვრავს, თუ რომელი ალიანსები ან ინტეგრაციული მიმართულებები მიიჩნევა ლეგიტიმურად და სტრატეგიულად მიზანშეწონილად.

ამგვარად, მცირე სახელმწიფოების სპეციფიკური თეორიები გვაძლევს საშუალებას გავიაზროთ, როგორ მოქმედებენ სტრუქტურულად შეზღუდული აქტორები საერთაშორისო სისტემაში: ისინი არ არიან მხოლოდ პასიური ობიექტები დიდ ძალებს შორის, არამედ აქტიურად იყენებენ ალიანსებს, ინსტიტუტებს, ნორმებსა და იდენტობრივ რესურსებს საკუთარი უსაფრთხოების, სუვერენიტეტისა და გან-

ვითარების უზრუნველსაყოფად. სწორედ ამიტომ, პოსტსაბჭოთა სივრცის ანალიზში მცირე სახელმწიფოების თეორიული პერსპექტივა განსაკუთრებით რელევანტურია, რადგან რეგიონში მოქმედი არაერთი ქვეყანა სწორედ ასეთი სტრუქტურული მდგომარეობით ხასიათდება.

მცირე სახელმწიფოების თეორიული მოდელების გამოყენება პოსტსაბჭოთა სივრცის ანალიზისას საშუალებას იძლევა უფრო მკაფიოდ დავინახოთ რეგიონში მოქმედი ქვეყნების სტრატეგიული ქცევის ლოგიკა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩამოყალიბებული სახელმწიფოების მნიშვნელოვანი ნაწილი – მათ შორის საქართველო, მოლდოვა და ბალტიისპირეთის სახელმწიფოები – სტრუქტურულად მცირე ან საშუალო ზომის აქტორებს წარმოადგენენ, რომელთა სამხედრო, ეკონომიკური და დემოგრაფიული რესურსები შეზღუდულია. ამგვარი სტრუქტურული მოცემულობა განსაზღვრავს მათი საგარეო პოლიტიკის სტრატეგიულ პარამეტრებს.

რეალისტური ლოგიკის ფარგლებში, პოსტსაბჭოთა სივრცის მცირე სახელმწიფოების მთავარი გამოწვევა უსაფრთხოების დილემასთან არის დაკავშირებული. ძლიერი მეზობლის – განსაკუთრებით რუსეთი – სიახლოვე მათთვის ქმნის ძალაუფლების ასიმეტრიის მუდმივ ფაქტორს. ასეთ პირობებში მცირე სახელმწიფოები იძულებული არიან აირჩიონ ზემოთ ხსენებული ბალანსირების, ალიანსებზე მიბმის ან ჰეჯირების სტრატეგიები. მაგალითად, ესტონეთმა, ლატვიამ და ლიეტუვამ უსაფრთხოების უზრუნველყოფის გზად აირჩიეს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია, რაც კლასიკური გარე ბალანსირების ფორმად შეიძლება განიმარტოს.

ლიბერალური ინსტიტუციონალიზმის ჭრილში, პოსტსაბჭოთა სივრცის მცირე სახელმწიფოები აქტიურად იყენებენ საერთაშორისო ინსტიტუტებს საკუთარი უსაფრთხოებისა და სუვერენიტეტის გასაძლიერებლად. ევროკავშირი და ნატო ამ სახელმწიფოებისთვის მხოლოდ სამხედრო ან ეკონომიკური გაერთიანებები არ არის; ისინი ასევე წარმოადგენს ნორმატიულ ჩარჩოს, რომელიც ამყარებს მათ საერთაშორისო ლეგიტიმაციას და ამცირებს ძალაუფლების ასიმეტრიის ნეგატიურ ეფექტს. ინსტიტუციური ინტეგრაცია მცირე სახელმწიფოებს აძლევს შესაძლებლობას საკუთარი ინტერესები წესებზე დაფუძნებულ გარემოში დაიცვან.

კონსტრუქტივისტული პერსპექტივიდან, მცირე სახელმწიფოების ქცევა პოსტსაბჭოთა სივრცეში მხოლოდ სტრუქტურულ დაუცველობაზე რეაგირება არ არის. მათი სტრატეგიული არჩევანი მჭიდროდ არის დაკავშირებული იდენტობის პოლიტიკასთან. მაგალითად, საქართველომ და უკრაინამ საგარეო პოლიტიკური დისკურსი ევროპული კუთვნილების ნარატივს დააფუძნა, რაც განსაზღვრავს მათი უსაფრთხოების აღქმას და ალიანსების არჩევანს. ამ შემთხვევაში მცირე სახელმწიფოს სტრატეგია არა მხოლოდ გადარჩენის ინსტრუმენტი, არამედ ამავე დროს თვითიდენტიფიკაციის პოლიტიკურ გამოხატულებას წარმოადგენს.

პოსტსაბჭოთა სივრცეში მცირე სახელმწიფოების ქცევა ხშირად ჰიბრიდულ ხასიათსაც ატარებს: ისინი ერთდროულად ცდილობენ უსაფრთხოების გარე ბალანსირებას, ინსტიტუციურ ინტეგრაციასა და იდენტობრივი ლეგიტიმაციის განმტკიცებას. ეს ხედვა განსაკუთრებით თვალშისაცემია სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი), რომლებიც პატარა ზომისა და შეზღუდული რესურსების მიუხედავად, ისტორიული გამოცდილებისა და გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო მრავალწახნაგოვან სტრატეგიებს იყენებენ. უკრაინის, მოლდოვის ან ბალტიისპირეთის ქვეყნების შემთხვევაში მსგავსი ჰიბრიდული სტრატეგია ასევე ფიქსირდება, თუმცა განსხვავებული კონტექსტით: აქ მთავარ როლს თამაშობს ევროპული ინტეგრაცია, ნატო და ევროკავშირის ინსტიტუციური ჩარჩოები. ამგვარი მრავალდონიანი მიდგომა განპირობებულია როგორც ძალაუფლების ასიმეტრიით, ისე ისტორიული გამოცდილებითა და პოლიტიკური თვითაღქმით, რაც ამ რეგიონებში მცირე სახელმწიფოებს საშუალებას აძლევს ერთდროულად შეინარჩუნონ სუვერენიტეტი, უზრუნველყონ უსაფრთხოება და განსაზღვრონ საკუთარი საერთაშორისო პოზიცია.

ამრიგად, მცირე სახელმწიფოების სპეციფიკური თეორიები პოსტსაბჭოთა სივრცის ანალიზში გვაძლევს საშუალებას დავინახოთ, რომ რეგიონში მიმდინარე პროცესები არ არის მხოლოდ დიდი ძალების დაპირისპირების შედეგი. მცირე სახელმწიფოები არ წარმოადგენენ პასიურ ობიექტებს; ისინი სტრუქტურულ შეზღუდვებს პასუხობენ ალიანსების შექმნით, ინსტიტუციურ ინტეგრაციით, დიპლომატიური

მანევრირებითა და იდენტობრივი პოლიტიკის გამოყენებით.

სწორედ ამ სტრატეგიული ადაპტაციის ფორმები განსაზღვრავს მათი სუვერენიტეტის ხარისხსა და საერთაშორისო სისტემაში მოქმედების შესაძლებლობებს.

დასკვნის სახით, უნდა ითქვას, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნების მაგალითები ადასტურებს, რომ მცირე სახელმწიფოების სტრატეგიები მრავალფეროვანია და სხვადასხვა სახელმწიფოში განსხვავებულად იჩენს თავს, რაც განპირობებულია არა მხოლოდ გეოპოლიტიკური მდებარეობით, არამედ სამხედრო, ეკონომიკური და დიპლომატიური რესურსების მოცულობით.

საქართველოსა და უკრაინის კონტექსტში რეალიზმის პრინციპები გამოვლინდა მოკავშირეების აქტიურ ძიებაში, ნატოსთან თანამშრომლობისაკენ სწრაფვასა და საერთაშორისო უსაფრთხოების გარანტიების გათვალისწინებაში, რაც მიზნად ისახავდა გარე საფრთხეების დივერსიფიკაციას და სუვერენიტეტის დაცვას.

აზერბაიჯანმა და მოლდოვამ ზოგიერთ შემთხვევაში მიმართეს ნეიტრალური ბალანსის სტრატეგიას, რაც გულისხმობდა საერთაშორისო ასპარეზზე საწყისი მრავალმხრივი კავშირების დამყარებას და სუვერენიტეტის დაცვას, დიდ სახელმწიფოებთან მოქნილი დიპლომატიური ურთიერთობების შენარჩუნებით. ბალტიისპირეთის ქვეყნებმა თავის სტრატეგიაში მკაფიოდ მიმართეს დასავლური ინსტიტუტების გაერთიანებულ მხარდაჭერას: ისინი ინტენსიურად თანამშრომლობდნენ ნატოსა და ევროკავშირთან, მაქსიმალურად გამოიყენეს საერთაშორისო სამართლის და ინსტიტუციონალური ჩარჩოები, რათა გაზარდონ უსაფრთხოება, შეეცვალონ ისტორიული მოწყვლადობა და უზრუნველყონ ევროპული ინტეგრაცია.

სომხეთის შემთხვევაში, რეგიონალური კონფლიქტები (ნაგორნო-კარაბახი) მოითხოვდა უფრო კონცენტრირებულ სამხედრო და დიპლომატიურ მექანიზმებს. სომხეთი ამ მიმართულებით ცდილობდა მოკავშირეების ძიებას, საფრთხეების ბალანსირებას და საერთაშორისო ასპარეზზე აქტიურ ჩართულობას, რათა შეენარჩუნებინა სუვერენიტეტი და ნაკლები დამოკიდებულება ერთ კონკრეტულ ძლიერ სახელმწიფოზე.

ბელორუსის სტრატეგია განსხვავებულ კონტექსტში ვითარდებოდა, რადგან იგი ტრადიციულად ძლიერად დამოკიდებულია რუსეთზე. აქ მცირე სახელმწიფოების სტანდარტული რეალიზმი (მოკავშირეების ძიება, მრავალვექტორული პოლიტიკა) ნაკლებად იყო გამოყენებადი; ამის ნაცვლად ბელორუსი ძირითადად მიმართავდა დომინანტური პარტნიორის მხარდაჭერაზე ფოკუსირებულ სტრატეგიას, რაც მისი სუვერენიტეტის ნაწილობრივ დაცვას უზრუნველყოფდა, თუმცა მკვეთრად შეზღუდავდა საერთაშორისო დამოუკიდებლობას.

საერთო ჯამში, პოსტსაბჭოთა ქვეყნების მაგალითები აჩვენებს, რომ მცირე სახელმწიფოები საერთაშორისო ასპარეზზე რჩებიან აქტიურ მოთამაშეებად, თუმცა მათი სტრატეგიები მკვეთრად განსხვავდება რესურსების, გეოპოლიტიკური მდებარეობის, რეგიონული კონფლიქტების და ძლიერი სახელმწიფოს ზეგავლენის ხარისხის მიხედვით.

საქართველოსა და ბალტიისპირეთის ქვეყნების მაგალითები ადასტურებს, რომ სტრატეგიული მოქნილობა, საერთაშორისო სამართლის გამოყენება და მრავალვექტორული პოლიტიკა საშუალებას აძლევს მცირე სახელმწიფოებს შეამცირონ მოწყვლადობა და გაზარდონ გავლენა საერთაშორისო სისტემაში, მაშინ როცა აზერბაიჯანის, მოლდოვის, სომხეთისა და ბელორუსის მაგალითები აჩვენებს, რომ სტრატეგიების შედეგები განპირობებულია როგორც შიდა რესურსებით, ისე გეოპოლიტიკური პირობებით.

NONA TSABADZE – *GTU, PhD Student*

Small States in the International System
(Theory and Practice in the Post-Soviet Context)

Summary

The paper examines the role and behavior of small states in the international system from both theoretical and practical perspectives. It explains that the status of a small state is not defined solely by

its territory or population but also encompasses military, economic, diplomatic capabilities, and the capacity to act within the international system. Small states are characterized by high security vulnerability and dependence on the external environment, which often makes their foreign policy rely on strategic adaptation, alliance-building, utilization of international institutions, and multi-vector diplomacy.

The analysis of small states' foreign policy in the paper is conducted through the lens of the main international relations theories—realism, liberalism, and constructivism. Realism emphasizes the balance of power and security provision; liberalism highlights the importance of international institutions, norms, and economic cooperation; while constructivism assigns a central role to identity, norms, and social constructions in explaining state behavior.

The study also discusses specific small state theories that explain their strategic choices, adaptation mechanisms, and modes of action in the international system. Special attention is given to the post-Soviet space, where small states operate in a multipolar and geopolitically unstable environment. Examples from Georgia, Ukraine, the Baltic states, Azerbaijan, Moldova, Armenia, and Belarus illustrate that small states adopt diverse strategies, including Euro-Atlantic integration, neutral balancing, alignment with alliances, or multi-vector foreign policies.

Ultimately, the paper concludes that despite structural constraints, small states remain active players in the international system, and their success largely depends on strategic flexibility, effective use of international institutions, and adaptive management of the geopolitical environment.

Keywords: *small states; international system; foreign policy; realism; liberalism; constructivism; post-Soviet space.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Keohane, R., *After Hegemony: Cooperation and Discord in the World Political Economy*, Princeton University Press, Princeton, 1984.
2. Baldwin, David A., *Power and International Relations*, Princeton University Press, Princeton, 2016
3. Keohane, Robert O. & Nye, Joseph S., *Power and Interdependence*, 3rd edition, Boston: Longman, 2001.
4. Vasquez, John A., *The Power of Power Politics*, Routledge, London, 2009
5. Allison, Roy, *Russia, the West, and Military Intervention in the Post-Soviet Space*, Cambridge University Press, Cambridge, 2013
6. Waltz, K., *Theory of International Politics*, Reading, Addison-Wesley, 1979
7. Morgenthau, H., *Politics Among Nations: The Struggle for Power and Peace*, New York, McGraw-Hill, 1948
8. Mearsheimer, J., *The Tragedy of Great Power Politics*, New York, Norton, 2001
9. Risse-Kappen, *Cooperation Among Democracies*, Princeton, 1995
10. Ikenberry, *Liberal Leviathan*, Princeton, 2011
11. Bailes & Cottey, *Small States and International Security: Europe and Beyond*, London, 2006
12. Wendt, Alexander, *Social Theory of International Politics*, Cambridge University Press, Cambridge, 1999
13. Ruggie, John Gerard, *Constructing the World Polity: Essays on International Institutionalization*, London, 1998
14. Checkel, Jeffrey T., *Norms, Institutions, and National Identity in Contemporary Europe*, Cambridge University Press, Cambridge, 2005
15. *International Norm Dynamics and Political Change*, Finnemore, Martha & Sikkink, Kathryn, *International Organization*, Vol. 52, No. 4, Autumn 1998, pp. 887–917
16. Keohane, Robert O., "Lilliputians' Dilemmas: Small States in International Politics", *International Organization*, Vol. 23, No. 2, Cambridge, 1969
17. Elman, Miriam Fendius (ed.), *Small States and Great Powers: A Study of Foreign Policy Behavior*, New York, 1995

ედიშერ გვენეტაძე
სტუ, პროფესორი

მანანა მორჩილაძე
სტუ, დოქტორანტი

რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომის გავლენა ევროკავშირზე

რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომი მსოფლიო ყურადღების ცენტრშია, როგორც კონფლიქტის პოტენციური შედეგების მნიშვნელობიდან გამომდინარე, ასევე ზოგადი საინფორმაციო კუთხითაც. არაერთი სტატია და ანალიზი დაიწერა მიმდინარე ომის თავისებურებების, მისი სამხედრო-პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური ასპექტების შესახებ. რუსეთ-უკრაინის ომს გავლენა არა მარტო ევროკავშირის წევრ ქვეყნებზე, არამედ მთელ მსოფლიოზე ექნება – მოსალოდნელია გლობალური ეკონომიკური ზრდის ტემპის შენელება და ინფლაციის დონის ზრდა.

ომი ძირითადად, სამი მიმართულებით შეიმჩნეოდა: პირველ რიგში, ენერგოპროდუქტებისა და სურსათის გაძვირებამ ინფლაციური ზეწოლაგაზარდა, რამაც, თავის მხრივ, გავლენა მოახდინა მსყიდველობაითუნარიანობასა და მოთხოვნაზე. მეორე გამოწვევა უკრაინა-რუსეთის მეზობელ სახელმწიფოებს უკავშირდება; რადგან მოსალოდნელი იყო, რომ კონფლიქტს მიწოდების ჯაჭვის პრობლემები, ვაჭრობის შეზღუდვა და ფულადი გზავნილების შემცირება გამოეწვია. მესამე საკითხი ნეგატიურ მოლოდინებს უკავშირდებოდა – გაურკვევლობამ და არასტაბილურობამ ინვესტორების მხრიდან ნდობის შემცირება გამოიწვია, რამაც ასახვა ჰპოვა აქტივების ფასებსა და განვითარებადი ბაზრებიდან კაპიტალის გადინებაზე.

რაც შეეხება რუსეთზე დაწესებულ სანქციებსა და ეკონომიკურ რეცესიას განსაკუთრებით დიდ გავლენას მოახდენს კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონზე. მოსალოდნელია: ვაჭრობის, ტურიზმის, ინვესტიციებისა და ფულადი გზავნილების შემოდინებების შემცირება, რაც, თავის მხრივ, ნეგატიურად აისახება ეკონომიკურ ზრდაზე, ინფლაციასა და ფისკალურ ანგარიშებზე.

ევროკავშირის ტერიტორიაზე მთავარ გამოწვევად ბუნებრივი აირის, ნავთობის და სხვა ენერგოპროდუქტების გაძვირებას და მიწოდების პრობლემის გაჩენის რისკების ზრდას სახელდება, რადგან დღესღეისობით რუსეთი ერთ-ერთი მთავარი ენერგოიმპორტიორი ქვეყანაა.

საკვანძო სიტყვები: *რუსეთ-უკრაინის ომი, სანქციები, კრისიზი*

შესავალი. მსოფლიო დღის წესრიგი 2022 წლის 24 თებერვლიდან უკრაინაში მიმდინარე პროცესებმა თავდაყირა დააყენა. უკრაინის ომმა გამოიწვია ტალღოვანი ეფექტი მთელს მსოფლიოში – შეაფერხა გლობალური მიწოდების ჯაჭვები და გაზარდა ფასები სურსათზე, საწვავზე და სხვა საქონელზე. შექმნილმა ვითარებამ ევროპის ქვეყნები მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებზე დააფიქრა და მისცა ბიძგი, რომ რეალურად აღექვათ არსებული საფრთხეები და მასთან გასამკლავებლად ახალი მიდგომები და ხედვები ჩამოეყალიბებინათ.

რუსეთის ფართომასშტაბიანმა ომმა უკრაინის წინააღმდეგ გამოავლინა ძლიერი ანტაგონისტური დინამიკა, გააძლიერა შავ-თეთრი შეხედულება მსოფლიოს შესახებ. ამან შეიძლება შექმნას შთაბეჭდილება, რომ დემოკრატები არასოდეს ყოფილან ასე ერთიანი, ახლა, როცა მსოფლიო წესრიგის წინაშე ბირთვული ძალა გამოყენების საშიშროება არსებობს.

რუსეთის ფართომასშტაბიანმა სამხედრო აგრესიამ უკრაინის წინააღმდეგ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპაში ყველაზე დიდი ჰუმანიტარული კრიზისი გამოიწვია. ომი უკრაინაში მესამე ასიმეტრიული შოკია, როგორც ამას ეკონომისტები უწოდებენ, რომელიც ევროკავშირმა განიცადა ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში, 2008 წლის ფინანსური და ეკო-

ნომიკური კრიზისის და ევროზონის შემდგომი კრიზისის და COVID-19 პანდემიის შემდეგ [1].

უკრაინის ომმა მართლაც ბევრად უფრო დიდი გავლენა მოახდინა მეზობელ ქვეყნებზე ლტოლვილების შემოდინებისა და მათი დიდი დამოკიდებულების გამო რუსულ გაზზე.

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისიის (UNHCR) მიერ ჩატარებული გამოკვლევის თანახმად, უკრაინაში რუსეთის შეჭრამ გამოიწვია მოსახლეობის უდიდესი გადაადგილება ევროპაში მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის შემდეგ. ოფიციალური მონაცემებით, თითქმის 4 მილიონი ადამიანი განდევნეს სახლებიდან და იძულებით გადაადგილებულნი არიან, ხოლო 6,8 მილიონი ადამიანი გადავიდა რეგიონის მეზობელ ქვეყნებში, მათ შორის პოლონეთში, უნგრეთში, მოლდოვაში ან გლობალურად სხვა ქვეყნებში. პოლონეთმა მიიღო ყველაზე მეტი უკრაინელი ლტოლვილი და მასპინძლობს უკრაინიდან ყველა ლტოლვილთა თითქმის 60 პროცენტს [2].

ევროკავშირის ლიდერებმა არაერთხელ მოსთხოვა რუსეთს, რომ დაუყოვნებლივ შეეწყვიტა სამხედრო მოქმედებები, უპირობოდ გაეყვანა ყველა ძალები და სამხედრო ტექნიკა უკრაინიდან და პატივი ეცა უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობის, სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობისთვის. ევროკავშირის ქვეყნებმა აჩვენეს ერიანობა და უკრაინას მნიშვნელოვანი ჰუმანიტარული, პოლიტიკური, ფინანსური და სამხედრო დახმარება გაუწიეს. ევროკავშირი დღესაც გაბედულად აცხადებს, რომ ევროპული საბჭო კიდევ ერთხელ ადასტურებს ევროკავშირის ურყევ ვალდებულებას უკრაინისა და მისი ხალხისთვის უწყვეტი პოლიტიკური, ფინანსური, ეკონომიკური, ჰუმანიტარული, სამხედრო და დიპლომატიური მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად იმდენი ხანი, რამდენიც სჭირდება და რამდენადაც საჭირო იქნება. ევროკავშირი მზად არის რომ გააგრძელოს სოლიდარობის გამოცხადება და მხარდაჭერა გაუწიოს უკრაინის ომს გაქცეულ ლტოლვილებს და მათ მასპინძელ ქვეყნებს. ის ასევე კოორდინაციას უწევს პარტნიორებთან და მოკავშირეებთან, გაეროს, ეუთოს, ნატოსა და დიდი შვიდეულის ფარგლებში.

ევროკავშირის ლიდერებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ რუსეთი, ბელორუსია და ყველა, ვინც პასუხისმგებელია ომისა და სხვა უმძიმეს დანაშაულებზე, პასუხისმგებელნი იქნებიან თავიანთი ქმედებებისთვის საერთაშორისო სამართლის შესაბამისად [3].

სანქციები დაწესება

უკრაინის წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო აგრესიის საპასუხოდ ევროკავშირმა რუსეთის წინააღმდეგ მასიური და უპრეცედენტო სანქციები დააწესა. სანქციები დაწესებულია ასევე ადამიანის უფლებების დარღვევებთან და ჰიბრიდულ საფრთხეებთან დაკავშირებით.

2022 წლიდან ევროკავშირმა გააგრძელა სანქციების დაწესება რუსეთის წინაამდეგ, ეს სანქციები დაემატება იმ ზომებს, რომლებიც უკვე დაწესებული ჰქონდა რუსეთს 2014 წლიდან ყირიმის ანექსიისა და მინსკის შეთანხმებების შეუსრულებლობის შემდეგ. სანქციები მოიცავს მიზანმიმართულ შემზღუდველ ზომებს (ინდივიდუალური სანქციები), ეკონომიკურ სანქციებს, დიპლომატიურ ზომებს და საიზო ზომებს. ეკონომიკური სანქციების მიზანი არის რუსეთისთვის მძიმე შედეგების დაწესება მის ქმედებებზე, რათა ეფექტურად აღკვეთოს რუსეთის შესაძლებლობა განაგრძოს აგრესია. ინდივიდუალური სანქციები მიზნად ისახავს პირებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მხარდაჭერის, დაფინანსების ან განხორციელების ქმედებებზე, რომლებიც ძირს უთხრის უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას, სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას ან მათ, ვინც სარგებლობს ასეთი ქმედებებით. ევროკავშირმა ასევე დაამტკიცა სანქციები ბელორუსის, ირანის და ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ რუსეთის მხარდაჭერის საპასუხოდ უკრაინის წინააღმდეგ სამხედრო აგრესიაში. გარდა ამისა, ევროკავშირმა დააწესა სანქციები ფიზიკური პირებისა და სუბიექტების წინააღმდეგ რუსეთში ადამიანის უფლებების მდგომარეობის მუდმივი გაუარესების გამო. ევროკავშირის შემაკავებელი ზომები 2 300-ზე მეტ ფიზიკურ პირსა და ერთეულზე ვრცელდება, რომლებიც საფრთხეს უქმნიან უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას, სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას. დღემდე კი სანქციების თოთხმეტი პაკეტია მიღებული. რუსეთი მსოფლიოს ისტორიაში ყველაზე სანქცირებული სახელმწიფო გახდა, თუმცა ამან რუსეთის ომის მანქანის შეჩერება ვერ გამოიწვია, რადგან ის ახლა იმაზე მეტი რაოდენობის ნავთობს ყიდის ჩინეთსა და ინდოეთში, ვიდრე ამას ევროკავშირში ოდესმე შეძლებდა.

სანქციები უფრო ეფექტურია, თუ ჩართული იქნება საერთაშორისო პარტნიორების ფართო სპექტრი. ევროკავშირი მჭიდროდ თანამშრომლობდა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში თანამოაზრე პარტნიორებთან, როგორიცაა შეერთებული შტატები სანქციების კოორდინაციის მიზნით. ევროკავშირი მუშაობს მსოფლიო ბანკის ჯგუფთან, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (EBRD), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციასთან (OECD) და სხვა საერთაშორისო პარტნიორებთან, რათა რუსეთმა არ მიიღოს დაფინანსება ასეთი ინსტიტუტებისგან. ამ საერთაშორისო ძალისხმევის კოორდინაციის მიზნით, რუსული ელიტები, მარიონეტები და ოლიგარქების სამუშაო ჯგუფი საშუალებას აძლევს ევროკავშირს ითანამშრომლოს G7 ქვეყნებთან – კანადასთან, საფრანგეთთან, გერმანიასთან, იტალიასთან, იაპონიასთან, დიდ ბრიტანეთთან და შეერთებულ შტატებთან, ასევე ავსტრალიასთან რათა უზრუნველყოს სანქციების განხორციელება. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირი მჭიდროდ თანამშრომლობს ბევრ პარტნიორთან, თითოეული ეს არაევროკავშირის ქვეყანა ცალმხრივად წყვეტს, თუ რომელ სანქციებს დააწესებს.

ევროკავშირის მიერ დაწესებული სანქციები ექვემდებარება საერთაშორისო სამართლის ნორმებს. ევროკავშირის ყველა სანქცია სრულად შეესაბამება საერთაშორისო სამართლის ვალდებულებებს, პატივს სცემს ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს. ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის პოლიტიკური შეთანხმების მიღწევის შემდეგ, საჭირო სამართლებრივი აქტები მზადდება ევროპის საგარეო სამოქმედო სამსახურის ან/და ევროკომისიის მიერ და წარედგინება საბჭოს დასამტკიცებლად. საბჭოს რეგულაციები და გადაწყვეტილებები, როგორც ზოგადი გამოყენების სამართლებრივი აქტები, სავალდებულოა ევროკავშირის იურისდიქციის ქვეშ მყოფი ნებისმიერი პირისთვის ან ერთეულისთვის. ეს ნიშნავს ნებისმიერ პირს ან ერთეულს ევროკავშირში, ევროკავშირის ნებისმიერ მოქალაქეს ნებისმიერ ადგილას და ყველა კომპანიასა და ორგანიზაციას, რომლებიც გაერთიანებულია ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობით.

დღევანდელი რეალობა კი ასეთია, ევროკავშირის მიერ დაწესებულმა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა სანქციებმა ვერ გამოიღო შესაბამისი შედეგები. კონფლიქტის დროებითი გაყინვა 2014-2022 წლებში ევროკავშირის შუამდგომლობით წარმოებული მინსკის შეხვედრებზე უშედეგო აღმოჩნდა, უფრო მეტიც, რუსეთის შეჭრამ უკრაინაში XXI საუკუნის ყველაზე დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი და ევროპის კონტინენტზე სრულმასშტაბიანი ომი გამოიწვია. მიმდინარე ომი, XXI საუკუნეში მთლიანად ცვლის საერთაშორისო წესრიგს და ევროკავშირს, გაეროს და ნატოს პოლიტიკის გადახედვის აუცილებლობას წარმოაჩენს, რათა მეტი ბერკეტი გააჩნდეთ მსოფლიო წესრგის და მშვიდობი დასამყარებლად და შესანარჩუნებლად.

ენერგეტიკული კრიზისი

ჩრდილოეთის ნაკადის ბიზნეს მოდელი შექმნილია იმისთვის, რომ უზრუნველყოს გაზის ტრანსპორტირების სიმძლავრე დასავლეთ რუსეთიდან შემომავალი ბუნებრივი აირის ევროპის გაზის ქსელში გასანაწილებლად. ორი 1224 კილომეტრიანი ოფშორული მილსადენი არის ყველაზე პირდაპირი კავშირი რუსეთში გაზის უზარმაზარ მარაგსა და ევროკავშირის ენერგეტიკულ ბაზრებს შორის. ერთობლივად, ორ მილსადენს აქვს შესაძლებლობა გადაიტანოს საერთო ჯამში 55 მილიარდი კუბური მეტრი (მკმ) გაზი წელიწადში ევროკავშირის ბიზნესებსა და ოჯახებში მინიმუმ 50 წლის განმავლობაში.

ვინაიდან პროექტი აძლიერებს ევროკავშირის ენერგეტიკულ ბაზარს და აძლიერებს მიწოდების უსაფრთხოებას, პროექტი ევროპარლამენტისა და საბჭოს მიერ არის „ევროპული ინტერესის“ მნიშვნელობის მქონე. Nord Stream ორმაგი მილსადენის სისტემა ბალტიის ზღვაში გადის ვიბორგიდან (რუსეთი) ლუბმინამდე, გრეიფსვალდთან (გერმანია) ახლოს. ჩრდილოეთის ნაკადის (Nord Stream) მარშრუტი კვეთს რუსეთის, ფინეთის, შვედეთის, დანიისა და გერმანიის ექსკლუზიურ ეკონომიკურ ზონებს, ასევე რუსეთის, დანიისა და გერმანიის ტერიტორიულ წყლებს. ბოვანენკოვოს ნავთობისა და გაზის კონდენსატის საბადო არის ჩრდილოეთ ნაკადის მილსადენის მთავარი ბუნებრივი აირის ბაზა. ბოვანენკოვო მდებარეობს დასავლეთ ციმბირში (რუსეთი), იამალის ნახევარკუნძულზე, ყარას ზღვის სანაპიროდან 40 კილომეტრში და მოიცავს დაახლოებით 1000 კვადრატულ კილომეტრს. მოძიებული და სავარაუდო გაზის მარაგი იქ 4,9 ტრილიონ კუბურ მეტრს შეადგენს, რაც ბოვანენკოვოს საბადოს

ბუნებრივი გაზის საიმედო წყაროდ აქცევს ევროპისთვის [4].

წყალქვეშა აფეთქებებმა, რომლებმაც 2022 წლის სექტემბერში დააზიანა Nord Stream გაზსადენები, დროებით დაასრულა გერმანია-რუსეთის პარტნიორობა, რომელსაც თავიდანვე ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა.

რუსეთის შეჭრამ უკრაინაში და ენერგეტიკული იარაღის გამოყენებამ ევროკავშირის ქვეყნებისთვის ენერგომომარაგების დივერსიფიკაცია აუცილებლობად აქცია [5].

დივერსიფიკაცია ხანგრძლივი და ძვირადღირებული პროცესია, რომელიც მოითხოვს ინვესტიციებს ინფრასტრუქტურაში, მაგ., ახალი მილსადენებისა და თხევადი ბუნებრივი აირის (LNG) ტერმინალების მშენებლობას. თუმცა, ევროკავშირი და მისი ქვეყნები ცდილობენ რომ სწრაფად იმოქმედონ აღნიშნული საკითხის გადასაჭრელად.

რუსულ წიაღისეულ საწვავზე დამოკიდებულების შემცირება ხელშესახები რეალობაა, თუმცა საკმაოდ დიდ თანხებთან არის დაკავშირებული. 2022 წლიდან რუსეთიდან მილსადენის გაზის იმპორტი მკვეთრად შემცირდა, ხოლო LNG-ის იმპორტის მოცულობა სანდო პარტნიორებისგან, როგორიცაა შეერთებული შტატები და ნორვეგია, ზრდა დაიწყო. რუსეთის მილსადენის გაზის წილი ევროკავშირის იმპორტში 2021 წელთან შედარებით 2023 წელს დაახლოებით 40%-დან 8%-მდე დაეცა. მილსადენის გაზსა და LNG-ზე ერთად რუსეთი შეადგენდა ევროკავშირის გაზის მთლიანი იმპორტის 15%-ზე ნაკლებს. ვარდნა ძირითადად შესაძლებელი გახდა LNG იმპორტის მკვეთრი ზრდისა და ევროკავშირში გაზის მოხმარების საერთო შემცირების წყალობით.

მზარდი წინააღმდეგობა ევროკავშირსა და აშშ-ში

2016 წელს ჩრდილოეთის ნაკადი 2-ის მილსადენის პროექტის დაწყებიდან უკრაინამ, პოლონეთმა და განსაკუთრებით ბალტიისპირეთის ქვეყნებმა გამოთქვეს საკუთარი მოსაზრებები, თავიანთი უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე. ყირიმის ანექსიის შემდეგ ისინი უფრო მძაფრად გამოხატავდნენ შიშს. ევროკავშირი საკუთარ გაფრთხილებებს ავრცელებს. პროექტზე წინააღმდეგობა ასევე გაიზარდა შეერთებულ შტატებში დონალდ ტრამპის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, ტრამპმა გააფრთხილა, რომ გერმანია ზედმეტად დამოკიდებული ხდება რუსეთის ენერგომომარაგებაზე. გერმანიის მთავრობა კი იგნორირებას უკეთებს ყველა შეშფოთებას და წარმოადგენს Nord Stream-ს არა მხოლოდ როგორც პასუხს ევროპის ენერგომომარაგების უსაფრთხოებაზე, არამედ როგორც ინსტრუმენტს ვაჭრობის გზით მშვიდობის უზრუნველსაყოფად.

2018 წელს Nord Stream 2-ის მშენებლობა დაიწყო. მერკელმა პირველად აღიარა, რომ ეს არ არის მხოლოდ კერძო სექტორის პროექტი და რომ „რა თქმა უნდა, პოლიტიკური ფაქტორებიც უნდა იყოს გათვალისწინებული“. მაგრამ მისთვის ჯერ კიდევ გამორიცხულია პროექტის შეჩერება. 2019 წელს აშშ ამაღლებს ტონს და იმუქრება სანქციებით. რიჩარდ გრენელი, მაშინდელი შეერთებული შტატების ელჩი გერმანიაში, წერს მუქარის წერილებს გერმანულ კომპანიებს, რომლებიც მონაწილეობდნენ Nord Stream-ში. 2021 წელს ჩრდილოეთის ნაკადი 2 დასრულდა. დეკემბერში თანამდებობის დაკავებიდან მალევე, კანცლერი ოლაფ შოლცი საუბრობდა პროექტის შეჩერების წინააღმდეგ პოლიტიკური მიზეზების გამო.

2022 წლის 22 თებერვალს რუსეთის შეჭრამ უკრაინაში ყველაფერი შეცვალა, უკრაინის მიმართ რუსული აგრესიის ფონზე, შოლცმა ბრძანა, რომ Nord Stream 2-ის სერტიფიცირება და, შესაბამისად, დამტკიცების პროცესი შეჩერებულიყო. 2022 წლის 24 თებერვალს რუსეთი იწყებს სრულმასშტაბიან შეჭრას უკრაინაში და Nord Stream-ის კრიტიკოსები თავს გამართლებულად გრძნობენ. გაზის მიწოდება Nord Stream 1-ით გრძელდება, მაგრამ რუსეთის წინააღმდეგ ევროკავშირის სანქციების გამო წევრი ქვეყნების მიერ მიღებული მოცულობა მცირდება.

2022 წლის აგვისტოს ბოლოს რუსეთმა დახურა ჩრდილოეთის ნაკადი 1, სავარაუდოდ ტექნიკური მიზეზების გამო. მოგვიანებით გაზის მიწოდება შეზღუდული რაოდენობით განახლდა, თუმცა აგვისტოს ბოლოს სრულად შეჩერდა. კრემლის სპიკერმა დიმიტრი პესკოვმა განაცხადა, რომ ის განახლდება მხოლოდ მაშინ, როცა რუსეთის წინააღმდეგ სანქციები მოიხსნება.

შეერთებულმა შტატებმა მთლიანად აკრძალა ენერგორესურსების იმპორტი რუსეთიდან, ხოლო ევროპულმა ქვეყნებმა პირობა დადეს, რომ შეამცირებენ თავიანთ დამოკიდებულებას რუსულ გაზზე იმპორტის დივერსიფიკაციის, ენერგიის დაზოგვისა და მეტი განახ-

ლებადი ენერგიის გამოყენებით. მე-14 სანქციების პაკეტში ევროკავშირმა (EU) აკრძალა რუსული თხევადი ბუნებრივი აირის (LNG) გადაზიდვა ევროკავშირის წევრების მეშვეობით მესამე ქვეყნებში; თუმცა, ევროკავშირის რამდენიმე ქვეყანა აგრძელებს რუსეთიდან მილსადენის გაზის და LNG შესყიდვას. უფრო მეტიც, რუსული გაზის წილი ევროკავშირის გარეთ იმპორტში გაიზარდა 2024 წლის პირველ სამ თვეში წინა კვარტალთან შედარებით, რაც შეიძლება აიხსნას დაბალი ფასებით. მიუხედავად იმისა, რომ უკრაინა რუსული გაზის ტრანზიტს ჯერ კიდევ ევროპის ქვეყნებში ატარებს, მან უსაფრთხოების მიზეზების გამო შეწყვიტა ერთ-ერთი სატრანზიტო პუნქტი სოხრანივკა.

უკრაინის გავლით რუსული გაზის ტრანზიტის დასრულება და ევროკავშირის ვარიანტები

2025 წლის 1 იანვარს დასრულდება ძირითადი კონტრაქტი, რომელიც არეგულირებს რუსული გაზის ტრანზიტს უკრაინის გავლით, რაც მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს რუსული გაზის დარჩენილ ექსპორტზე ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყანაში. სატრანზიტო ხელშეკრულების დასრულება მნიშვნელოვანი ცვლილება იქნება, რადგან უკრაინის გავლით გაზი, რომელიც რეგულირდება კონტრაქტით, ამჟამად შეადგენს რუსეთის დარჩენილი მილსადენის გაზის ევროკავშირში ექსპორტის ნახევარს და მთლიანი რუსული გაზის ექსპორტის მესამედს, მათ შორის LNG. გავლენა განსაკუთრებით იგრძნობა ავსტრიაში, უნგრეთსა და სლოვაკეთში, რომლებზეც უკრაინის სატრანზიტო მარშრუტი 2023 წელს გაზზე მოთხოვნილების 65 პროცენტს აკმაყოფილებდა. მთლიანობაში, უკრაინის ტრანზიტის წილი ევროკავშირის გაზის იმპორტში 2021 წლის 11 პროცენტიდან დაახლოებით 5 პროცენტამდე შემცირდა [6].

ევროკავშირს აქვს არასავალდებულო მიზანი, შეაჩეროს რუსული გაზის მთელი იმპორტი 2027 წლისთვის. უკრაინის ტრანზიტის დასრულებამ შეიძლება დააჩქაროს ეს გათიშვა და ასევე მოიტანს 6,5 მილიარდი დოლარის ზარალს ყოველწლიურად რუსეთისთვის, თუ მას არ შეუძლია ამ ნაკადების გადამისამართება სხვა მილსადენებზე ან LNG ტერმინალებზე [7].

თუმცა, უკრაინა დგას გადასახადის დაკარგვის წინაშე, ტრანზიტის ხელშეკრულების დასრულებიდან მშპ-ს დაახლოებით 0.5 პროცენტის ექვივალენტი და რისკავს მისი, როგორც ევროპის ენერგეტიკული პარტნიორის (მაგალითად, როგორც გაზის შენახვის მიმწოდებლის) სტრატეგიულ როლს. მეტიც, უკრაინის გაზის ინფრასტრუქტურა, რომელიც ჯერ-ჯერობით დიდწილად დაუზიანებელია, შეიძლება გახდეს სამხედრო სამიზნე, თუ რუსული გაზი აღარ იქნება უკრაინის მილსადენებში. მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებელმა სტრეს-ტესტებმა დაადასტურა უკრაინის გაზის ინფრასტრუქტურის საიმედოობა ექსტრემალურ სცენარებში, მათ შორის პოტენციურ თავდასხმების დროსაც, მიზანმიმართული თავდასხმების რისკი კვლავ სერიოზულ შეშფოთებას იწვევს, განსაკუთრებით ზამთრის წინ [8].

გარდა ამისა, უკრაინის გავლით გაზის ტრანზიტის ნებისმიერ შეჩერებას ეწინააღმდეგებიან უნგრეთი, სლოვაკეთი და ნაწილობრივ ავსტრია, ასეთ სცენარში არაპროპორციული ეკონომიკური ზარალის შიშით. 2025 წელს უფრო მაღალი ფასების და გაზის მიწოდების შეფერხების თავიდან ასაცილებლად, ამ ქვეყნებს სურთ შეინარჩუნონ გაზის გარკვეული ნაკადები უკრაინის გავლით. მათ შეიძლება ეშინოდეთ, რომ შეჩერება სამუდამოდ დაასრულებს რუსულ გაზზე პრივილეგირებულ წვდომას, რაც პოტენციურად არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდება ევროკავშირის სხვა ქვეყნებთან შედარებით.

უკრაინის გაზსადენის სისტემა აკავშირებს რუსეთს, პოლონეთს, სლოვაკეთს, უნგრეთს, რუმინეთსა და მოლდოვას. გაზის ნაკადები უკრაინის გავლით პოლონეთსა და რუმინეთში შეჩერებულია. სლოვაკეთი ახლა ევროკავშირში შესვლის მთავარი პუნქტია. სლოვაკეთთან ერთად, ავსტრია, უნგრეთი და მოლდოვა ახლა გაზის ძირითადი მიმღებები არიან უკრაინის გავლით. გაზის ტრანზიტს უკრაინის გავლით შესაძლოა ჰქონდეს ორი სცენარი:

1. **რუსული მარაგების შეცვლა LNG-ით**

გაზის ტრანზიტის ხელშეკრულების დასრულება გულისხმობს, რომ 2025 წლის 1 იანვრიდან ევროკავშირს დასჭირდება ყოველწლიურად 140 ტვტ/სთ დამატებითი იმპორტი სხვა წყაროებიდან. რუსული გაზის მიწოდების უმეტესი ნაწილი ავსტრიაში, უნგრეთსა და სლოვაკეთში გაფორმებულია გრძელვადიანი კონტრაქტებით მათ ძირითად გაზის კომპანიებსა და გაზპრომს შორის; მათ ვადა ეწურება მომავალში, თუმცა, უკრაინული ტრანზიტის შეჩერება ავსტრიის, უნგრეთის ან სლოვაკეთის მიწოდების უსაფრთხოების მყისიერ საფრთხეს არ შეუქმნის სამი მიზეზის გამო.

პირველი, LNG ტერმინალები პოლონეთში, გერმანიაში, ლიტვაში, იტალიაში, ხორვატიაში და საბერძნეთში, ახალი მცურავი საცავის რეგაზიფიკაციის ბლოკები გერმანიასა და იტალიაში და თურქსტრიმის მილსადენის პოტენციური გაფართოება, რომელიც შავ ზღვაზე გადის რუსეთიდან თურქეთამდე, შეიძლება ჩაანაცვლოს დაკარგული მოცულობა.

მეორეც, არის საკმარისი ინფრასტრუქტურა გადამცემი სისტემის ოპერატორებისთვის, რათა გადაიტანონ შემცვლელი გაზი ავსტრიაში, უნგრეთსა და სლოვაკეთში. მაგალითად, ჩეხეთი აცხადებს, რომ მას აქვს საკმარისი გაზის ქსელის სიმძლავრე სხვა ქვეყნების მხარდასაჭერად და პოტენციური შეფერხებების შესამსუბუქებლად, თუ უკრაინის გავლით გაზის ნაკადები შეწყდება [9] .

მესამე, შენახვის ტევადობა ზამთრის დაწყებამდე 95 პროცენტით სავსეა. ავსტრიას აქვს საკმარისი გაზი დაგროვილი გაზის მთლიანი შიდა მოთხოვნილების დასაფარად. გარდა ამისა, გერმანიის გადაწყვეტილება არ დააკისროს გაზის შენახვის მაღალი საფასური ტრანზიტებზე, ხელს შეუწყობს რეგიონული გაზის ფასების მნიშვნელოვანი ზრდის თავიდან აცილებას რუსული გაზის სრული შეწყვეტის შემთხვევაში.

ეს სცენარი, რომლის დროსაც ამჟამად ტრანზიტული მოცულობები იცვლება სხვა ქვეყნებიდან LNG-ის იმპორტით, შესაძლოა იყოს ყველაზე „სუფთა“ ვარიანტი ევროკავშირისთვის. თუმცა, ზეწოლა იმ ქვეყნების მხრიდან, რომლებსაც სურთ გარკვეული ფორმით შეინარჩუნონ გაზის ტრანზიტი უკრაინის გავლით – პოტენციურად მხარდაჭერილია იმ მუქარით, რომ მათ შეუძლიათ დაბლოკონ ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერა უკრაინაში – ართულებს ამგვარი გადაწყვეტის მიღწევას. უკრაინის სატრანზიტო შემოსავლების დაკარგვა, ასევე, შეიძლება იყოს პრობლემა.

2. რუსული მიწოდების ჩანაცვლება აზერბაიჯანული გაზით

უკრაინას შეუძლია შეცვალოს ტრანზიტული „რუსული“ გაზი „აზერბაიჯანული“ გაზი. ეს რომ მოხდეს, გაცვლითი გარიგებები იქნება ყველაზე ეფექტური მექანიზმი მოკლევადიან პერსპექტივაში, აზერბაიჯანიდან გაზის მილსადენებით ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული სიმძლავრის საკითხების გამო. რუსეთი გააგრძელებს უკრაინის გაზის მიწოდებას (სახელწოდებით „აზერბაიჯანული გაზი“). ხოლო აზერბაიჯანი მიიღებდა გაზს რუსეთიდან (იარლიყით „რუსული გაზი“). მარტივად რომ ვთქვათ, გაზის ნაკადის ცვლილება არ შეიქმნება: ევროკავშირის მოვაჭრეები გაზს აზერბაიჯანიდან იყიდიან, აზერბაიჯანი კი გაზს რუსეთიდან იყიდის.

აზერბაიჯანი არ აწარმოებს საკმარის გაზს, რომ მოკლევადიან პერიოდში სრულად ჩაანაცვლოს რუსული ნაკადები ევროპაში. მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანს აქვს შეთანხმება გააორმაგოს გაზის ექსპორტი ევროკავშირში მინიმუმ 200 ტვტ/სთ-მდე 2027 წლისთვის, მისი გაზის მოპოვება მნიშვნელოვნად არ გაზრდილა ბოლო წლებში, ხოლო შიდა მოხმარება იზრდება. ევროპული ფირმებისგან გრძელვადიანი კონტრაქტების გარეშე ბაქო ვერ უზრუნველყოფს დაფინანსებას კასპიის ზღვაში წარმოების გაზრდის მიზნით. ისეთი ქვეყნები, როგორიცაა სლოვაკეთი და უნგრეთი, შესაძლოა განიხილონ ასეთი კონტრაქტები როგორც კი გაზპრომთან მათი ხელშეკრულებები დასრულდება, მაგრამ ეს გარანტირებული არ არის.

თუმცა, აზერბაიჯანული გაზის შესყიდვა მხოლოდ რუსულ გაზზე ჩანაცვლების მიზნით არ გამოიწვევს ევროკავშირის მნიშვნელოვან პროგრესს რუსეთის ენერგომომარაგებაზე დამოკიდებულების შემცირების მიმართულებით და რუსეთი კვლავ შეძლებს მიწოდების შემცირებას, როგორც ამას აკეთებდა წარსულში. უფრო მეტიც, პირიქით ეს იქნება პრეცენდენტი „აზერბაიჯანული“ გაზის მიწოდებისთვის ევროკავშირის სხვა გზებით, რაც კიდევ უფრო გაზრდის დამოკიდებულებას რუსულ გაზზე.

მნიშვნელოვანია ის, რომ უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრის შემდეგ ევროკავშირის ერთობლივი ძალისხმევის მიუხედავად, რუსეთის ბუნებრივ აირზე დამოკიდებულების შესამცირებლად, ევროკავშირის იმპორტი რუსეთიდან 2024 წლის პირველ ნახევარში 27%-ით გაიზარდა და 8,7 მილიარდი ევრო შემოსავალი გაუგზავნა რუსეთს. მიმდინარე 2024 წლის პირველ ექვს თვეში რუსეთიდან გაზის იმპორტმა შეადგინა ევროკავშირის მთლიანი ბუნებრივი აირის მოხმარების 20% (გადაზიდვის ოპერაციების ჩათვლით), რაც გასულ წელთან შედარებით 4 პროცენტული პუნქტით გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყანა ითხოვს სანქციებს რუსული LNG-ის წინააღმდეგ, წლის პირველ ნახევარში ბლოკის LNG იმპორტის 9%-იანი ზრდა დაფიქსირდა. რუსული LNG შეადგენს

ევროკავშირის მთლიანი რუსული გაზის იმპორტის 43%-ს წელს.

ევროკავშირის იმპორტირებული ბუნებრივი აირის დარჩენილი ნაწილი რუსეთიდან ტრანზიტით უკრაინისა და თურქული ნაკადის გავლით ჩადის, იმპორტი მნიშვნელოვნად გაიზარდა. გაზის იმპორტი, რომელიც ევროკავშირში შედის თურქული ნაკადის მილსადენით, გაიზარდა 64%-ით, ხოლო უკრაინის გავლით იმპორტი 30%-ით გაიზარდა წლიურად [10].

დასკვნა. საბოლოოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ რუსეთ-უკრაინის ომის მიმდინარეობისას ორივე მხარემ, უდიდესი ზიანი მიიღო, თუმცა კონფლიქტის შედეგების შეჯამება აუცილებლად უკრაინით უნდა დავიწყოთ, რომელიც ამ ომში გადარჩენისთვის იბრძვის. ადამიანური დანაკარგი ყველაზე დიდი კატასტროფაა რაც ომმა გამოიწვია.

რუსეთ უკრაინის ომმა უდიდესი გავლენა მოახდინა მსოფლიოში მიიმდინარე გლობალურ პროცესებზე. მიუხედავად იმისა, რომ ომის მიმდინარეობიდან ორი წელი გავიდა და ჯერ საბოლოო შედეგი არ დამდგარა, მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა ევროკავშირის ქვეყნებს. კრიზისული პროცესები შეეხო ადამიანთა ცხოვრების სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სფეროებს. ერთდროულად გამოიწვია ეკონომიკური, ენერგეტიკული და ჰუმანიტარული კრიზისი, აღნიშნულთან დამკლავებას კი საკმაოდ დიდი ერთობლივი ძალისხმევა სჭირდება.

ენერგეტიკული თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ის, რომ უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრის შემდეგ ევროკავშირის ერთობლივი ძალისხმევის მიუხედავად, რუსეთის ბუნებრივ აირზე დამოკიდებულების შესამცირებლად, ევროკავშირის იმპორტი რუსეთიდან 2024 წლის პირველ ნახევარში 27%-ით გაიზარდა და 8,7 მილიარდი ევრო შემოსავალი გაუგზავნა რუსეთს.

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირმა მნიშვნელოვნად შეამცირა გაზის მოხმარების რაოდენობა, რომელიც მას რუსეთიდან შემოაქვს, ევროპის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ქვეყნებში მაინც რუსული გაზი შედის. რუსულ ბუნებრივ გაზზე მაღალი დამოკიდებულება აიძულებს აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს მრავალჯერ დაფიქრდნენ, სანამ რუსეთის წინააღმდეგ რაიმე ნაბიჯის გადადგმას განიხილავენ, რადგან ენერგეტიკულ კრიზისს მთელი ევროპის პარალიზება შეუძლია რომ გამოიწვიოს. რუსეთისთვის ენერგეტიკული სფერი, კი საკმაოდ მძლავრ იარაღს წარმოადგენს.

ჩრდილოეთის ნაკადის გაზსადენების აფეთქებასთან დაკავშირებით, მრავალი მოსაზრება გამოითქვა თუ ვის შეიძლებოდა აღნიშნული გაეკეთებინა. ევროკავშირი და აშშ, მათთან ერთად ბრიტანეთი, თვლიან, რომ მოხდა მიზანდასახული დივერსია. დასავლეთის მედია იტყობინება, რომ აფეთქებებში შეიძლება ჩართული იყო პროუკრაინული დაჯგუფება, რომელმაც თავისი გეგმები კიევს არ შეუთანხმა და ცალკე მოქმედებდა. მიუხედავად მრავალი შეხედულებისა, სანამ გამოძიება სიმართლეს დაადგენს, რეალობა ერთია, აღნიშნული დიდი სარგებელს აძლევდა აშშ-ს, ევროკავშირს, უკრაინას ისევე როგორც რუსეთს. ფაქტია რომ კარგად დაგეგმილი და მიზანმიმართული ქმედება იყო, რომელმაც ევროპა დიდი კრიზისის წინაშე დააყენა და ევროკავშირის ქვეყნები, რუსეთი და ამერიკა ისევ ერთ მაგიდასთან მოიხმო.

MANANA MORCHILADZE – GTU, *PhD Student*

The impact of the ongoing war between Russia and Ukraine on the European Union

Summary

The ongoing war between Russia and Ukraine is in the spotlight worldwide, both due to the significance of the potential consequences of the conflict and in general terms of information. Numerous articles and analyses have been written about the specifics of the ongoing war, its military-political, economic and social aspects. The Russia-Ukraine war will have an impact not only on the member states of the European Union, but also on the entire world - a slowdown in global economic growth and an increase in inflation are expected.

The war was mainly observed in three directions: firstly, the increase in the price of energy products and food increased inflationary pressure, which, in turn, affected purchasing power and demand. The second challenge is related to the neighboring states of Ukraine and Russia; since it was expected that the conflict would cause supply chain problems, trade restrictions and a decrease in remittances. The third issue was related to negative expectations – uncertainty and instability led to a decrease in investor confidence, which was reflected in asset prices and capital outflows from emerging markets.

As for the sanctions imposed on Russia and the economic recession, they will have a particularly strong impact on the Caucasus and Central Asia region. It is expected: a decrease in trade, tourism, investment and remittance inflows, which, in turn, will negatively affect economic growth, inflation and fiscal accounts.

The main challenge in the EU is the increase in the price of natural gas, oil and other energy products and the increase in the risks of supply problems, since today Russia is one of the main energy importers.

Keywords: *Russia-Ukraine War, Sanctions, Crisis*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://www.eeas.europa.eu/eeas/war-ukraine-and-its-implications-eu_en (უკანასკნელად გადამოწმებულია 20.11.2024)
2. https://www.unrefugees.org/emergencies/ukraine/ (უკანასკნელად გადამოწმებულია 20.11.2024)
3. https://www.consilium.europa.eu/en/meetings/european-council/2024/10/17/ (უკანასკნელად გადამოწმებულია 21.11.2024)
4. The Pipeline, https://www.nord-stream.com/the-project/pipeline/ (უკანასკნელად გადამოწმებულია 21.11.2024)
5. Claudia Wiesner · Michèle Knodt, The War Against Ukraine and the EU, Facing New Realities file:///C:/Users/USER/Searches/Downloads/978-3-031-35040-5.pdf, pg, 139
6. The end of Russian gas transit via Ukraine and options for the EU,https://www.bruegel.org/analysis/end-russian-gas-transit-ukraine-and-options-eu(უკანასკნელად გადამოწმებულია 21.11.2024)
7. Gazprom plunges to first annual loss in 20 years as trade with Europe hit https://www.reuters.com/business/energy/russias-gazprom-swings-into-69-billion-net-loss-2023-2024-05-02/ (უკანასკნელად გადამოწმებულია 21.11.2024)
8. Winter is coming: Reviewing Ukrainian gas storage and transmission systems under stress scenarios https://www.energy-community.org/news/Energy-Community-News/2023/08/31.html (უკანასკნელად გადამოწმებულია 21.11.2024)
9. Germany Accused of Hoarding Gas Meant for Czech Republic, https://www.bloomberg.com/news/articles/2024-07-18/germany-accused-of-hoarding-gas-meant-to-supply-czech-republic (უკანასკნელად გადამოწმებულია 21.11.2024)
10. https://energyandcleanair.org/june-2024-monthly-analysis-of-russian-fossil-fuel-exports-and-sanctions/ (უკანასკნელად გადამოწმებულია 21.11.2024)

გრიგოლ ჟოჟიკაშვილი
დოქტორანტი

პატარა სახელმწიფოების როლი გლობალური უსაფრთხოების არქიტექტურაში: საქართველოს სამხედრო დიპლომატიისა და სამშვიდობო მისიების ანალიზი

თანამედროვე საერთაშორისო უსაფრთხოების გარემო ხასიათდება მზარდი მულტიპოლარობით, რთული საფრთხეებითა და კოორდინირებული რეაგირების მზარდი საჭიროებით. ასეთი რეალობის პირობებში, პატარა სახელმწიფოების როლი გლობალურ უსაფრთხოების არქიტექტურაში ხდება მეტად მნიშვნელოვანი და, ამავდროულად, ნაკლებად შესწავლილი. საქართველოს მაგალითი საინტერესო შემთხვევას წარმოადგენს, სადაც პატარა სახელმწიფო აქტიურად იყენებს სამხედრო დიპლომატიასა და სამშვიდობო მისიებში მონაწილეობას საკუთარი უსაფრთხოების და საგარეო პოლიტიკის გასაძლიერებლად.

წინამდებარე სტატია მიზნად ისახავს საქართველოს სამხედრო დიპლომატიური პრაქტიკისა და საერთაშორისო სამშვიდობო ჩართულობის, როგორც ქვეყნის გლობალურ უსაფრთხოების პროცესებში ინტეგრაციის მაგალითის, ანალიზს. კვლევა ეფუძნება შემთხვევის ანალიზის (case study) მეთოდს, დოკუმენტური წყაროების, ოფიციალური მონაცემებისა და თეორიული ლიტერატურის გამოყენებით. თეორიულ საფუძველს წარმოადგენს პატარა სახელმწიფოების ქცევის მოდელები საერთაშორისო ურთიერთობებში, სამხედრო დიპლომატიისა და სამშვიდობო ჩართულობის კონცეპტუალური ჩარჩოები.

კვლევის შედეგები მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს როგორც აკადემიურ დისკურსში საქართველოს როლის გაგებას, ასევე პრაქტიკულ დონეზე – ქვეყნის თავდაცვისა და საგარეო პოლიტიკის ეფექტიან სტრატეგიულ დაგეგმვას. ანალიზი ასევე გაამყარებს აღქმას იმის შესახებ, რომ პატარა სახელმწიფოებს შეუძლიათ აქტიური და პრინციპული მონაწილეობის მიღება გლობალური უსაფრთხოების სისტემაში.

საკვანძო სიტყვები: *პატარა სახელმწიფოები, გლობალური უსაფრთხოების არქიტექტურა, სამხედრო დიპლომატია, სამშვიდობო ოპერაციები.*

შესავალი. გლობალურ უსაფრთხოების არქიტექტურაში სახელმწიფოთა მონაწილეობა დიდი ხნის განმავლობაში ასოცირდებოდა ძლიერ სახელმწიფოებთან. თუმცა 21-ე საუკუნეში აღნიშნული მიდგომა გადაფასების პროცესშია და სულ უფრო მზარდი ყურადღება ეთმობა პატარა სახელმწიფოების როლს. აღნიშნული მიდგომა განსაკუთრებით ხელშესახები იყო პოსტსაბჭოთა სივრცისათვის, სადაც ქვეყნები, რომლებიც წარსულში მოიაზრებოდნენ როგორც გეოპოლიტიკურად პერიფერიულები, დღეს მნიშვნელოვან მონაწილეობას იღებენ უსაფრთხოების გლობალურ სტრუქტურაში.

ხსენებული ქვეყნები თავიანთი რესურსების შეზღუდულობის მიუხედავად, ახერხებენ საერტაშორისო სტუქტურებში პოზიციონირებას.

საქართველო, როგორც ერთი ასეთი პატარა სახელმწიფო, გამორჩეულად აქტიურობს საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია იმის გაანალიზება, თუ როგორ ფუნქციონირებს საქართველოს სამხედრო დიპლომატია და რამდენად წარმატებით იყენებს ქვეყანა ამ მექანიზმს როგორც უსაფრთხოების, ისე საგარეო პოლიტიკის მიზნების მისაღწევად.

საქართველოს შემთხვევაში, სამხედრო დიპლომატია და საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში ჩართულობა ქვეყნის სტრატეგიული კურსის ნაწილია, რომელიც მიმართულია დასავლური ინტეგრაციისა და საერთაშორისო ლეგიტიმაციისკენ.

პატარა სახელმწიფოების სტრატეგიული ქცევის შესწავლისთვის აუცილებელია ისეთი

თეორიული ჩარჩოების განხილვა, როგორებიცაა კენეტ ვოლცის სტრუქტურული რეალიზმი, ჯოზეფ ნაის რბილი ძალის კონცეფცია და ბალდურ თორჰალსონის „ნიჭიერი პატარა სახელმწიფოს“ მოდელი.

ვოლცი ხაზს უსვამს სისტემურ ფაქტორებს, რომლებიც პატარა სახელმწიფოებს უბიძგებს მოქნილი და ფრთხილი სტრატეგიისაკენ. ამავე დროს, ნაის რბილი ძალა აჩვენებს, როგორ შეიძლება სახელმწიფომ არამატერიალური რესურსების მეშვეობით მოახდინოს გავლენა – რაც განსაკუთრებით აქტუალურია პატარა ქვეყნების შემთხვევაში.

თორჰალსონის მოდელი კი ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რომ პატარა სახელმწიფოს შეუძლია გახდეს გავლენიანი საერთაშორისო არენაზე „ნიჭისა“ და სიმართლის პრინციპით მოქმედებით – მაგალითად, ღირებულებებისადმი ერთგულებით, ნორმატიული ქცევითა და სამშვიდობო ჩართულობით.

თეორიების რეალიზაცია საქართველოს შემთხვევაში

ამ თეორიების სინთეზი არა მხოლოდ მიანიშნებს იმაზე, თუ როგორ ცდილობენ პატარა სახელმწიფოები საკუთარი პოზიციის გამყარებას საერთაშორისო სისტემაში, არამედ პირდაპირ აისახება საქართველოს ქეისზეც. რბილი ძალის კონცეფციის გამოყენებით, როგორიცაა კულტურული მიმზიდველობა, პოლიტიკური ღირებულებების დემონსტრირება და სამშვიდობო მზადყოფნა, საქართველომ შეძლო საკუთარი იმიჯის პოზიტიურად წარმოჩენა გლობალურ ასპარეზზე.

ამასთანავე, თორჰალსონის ხედვა „ნორმატიული ერთგულების“ შესახებ ნათლად აისახება საქართველოს ქცევაში: ქვეყანა არაერთხელ აქტიურად ჩაერთო საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერაში, მიუხედავად იმისა, რომ არ სარგებლობდა ალიანსების სრულუფლებიანი წევრობით. სტრუქტურული რეალიზმის ლოგიკის მიხედვით, პატარა სახელმწიფოები რეაგირებენ სისტემურ გამოწვევებზე, თუმცა საქართველოს შემთხვევა მეტწილად აჩვენებს ნორმატიული მოტივაციით განპირობებულ მოქმედებებსაც.

ამგვარად, საქართველოს მაგალითზე შეიძლება დავინახოთ, თუ როგორ ხდება თეორიული მიდგომების კონვერგენცია რეალურ პოლიტიკურ პრაქტიკაში.

საქართველოს სამშვიდობო მისიებში მონაწილეობის პრეისტორია და ქრონოლოგიური თანმიმდევრობა

საქართველო საერთაშორისო უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცების პროცესში აქტიურად მონაწილეობდა და მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში საერთაშორისო ოპერაციების წარმატებით განხორციელებაში.

ავღანეთში მიმდინარე ნატო-ს „მტკიცე მხარდაჭერის მისიაში“ საქართველო უმსხვილესი კონტრიბუტორია ალიანსის არაწევრ ქვეყნებს შორის და ერთ სულ მოსახლეზე მისიაში გაგზავნილი სამხედრო მოსამსახურეების რაოდენობის მიხედვით.

საერთაშორისო მისიებში მონაწილეობა საქართველოს თავდაცვის ძალების ქვედანაყოფების მაღალი საბრძოლო მზადყოფნის დონის შენარჩუნებას და შესაბამისი გამოცდილების მიღებას განაპირობებდა, რაც საქართველოს თავდაცვის ძალების განვითარების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენდა და მნიშვნელოვანია საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის და ნატო-ს წევრ და პარტნიორ ქვეყნებთან თავსებადობის ამაღლების თვალსაზრისით.

წლების მანძილზე, საერთაშორისო მისიების შესრულებისას, ქართველმა სამხედრო მოსამსახურეებმა მაღალი საბრძოლო მომზადების დონე და ურთულესი ამოცანების შესრულების უნარი არაერთხელ დაადასტურეს, რითაც საქართველოს გლობალური უსაფრთხოების სფეროში საიმედო მოკავშირე ქვეყნის სახელი დაუმკვიდრეს.

მისია კოსოვოში – საქართველოს თავდაცვის ძალები ნატოს პირველივე სამშვიდობო მისიაში – „კოსოვოს ძალები“ (KFOR), 1999 წლის 31 აგვისტოს ჩაერთო. მისია კოსოვოში საომარი მოქმედებების განახლების აღკვეთას, საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარებისა და კოსოვოში გაერო-ს დროებითი ადმინისტრაციული მისიის მუშაობის ხელშეწყობას ითვალისწინებდა.

ქართველი სამხედრო მოსამსახურეები KFOR-ს, თავდაპირველად, ქალაქ მამუშაში, თურქული კონტინგენტის შემადგენლობაში, ქვეითი ოცეულით შეუერთდნენ, ხოლო 2003 წლის მაისიდან, მისიას ქალაქ პრიზრენში, გერმანული კონტინგენტის შემადგენლობაში,

ქართული გაძლიერებული ასეული დაემატა. საქართველოს თავდაცვის ძალებმა კოსოვოში მისია, 2008 წელს, უდანაკარგოდ, ოცეულის 17 და ასეულის 11 როტაციით დაასრულა.

მისია ერაყში – 2003-2008 წლებში, საქართველოს თავდაცვის ძალები, ერაყში „მრავალეროვნულ ძალებს" (Multi-National Force – Iraq) შეუერთდა. აშშ-ის ხელმძღვანელობით წარმოებულ ოპერაციაში, კოალიციას ერაყის მთავრობისთვის ეფექტური თავდაცვის ძალების ფორმირებისა და თავდაცვითი შესაძლებლობების განვითარების მხარდაჭერა და უზრუნველყოფა დაეკისრა. 2008 წელს ერაყში 2.200 ქართველი სამხედრო მოსამსახურე მსახურობდა, რითაც საქართველო მისიაში სამხედრო მოსამსახურეთა რიცხოვნებით მესამე კონტრიბუტორი ქვეყანა გახდა.

ერაყში განხორციელებულ საერთაშორისო მისიაში, სხვადასხვა დონეზე ჩატარებული 19 როტაციის ფარგლებში, 8.495 ქართველმა სამხედრო მოსამსახურემ მიიღო მონაწილეობა. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს ქართული ქვედანაყოფები სამშობლოში დაბრუნდნენ, რითაც საქართველოს თავდაცვის ძალების მისია ერაყში დასრულდა.

მისია ავღანეთში – საქართველოს თავდაცვის ძალები ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში მიმდინარე ნატოს საერთაშორისო მისიაში, „საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდაჭერის ძალების" (International Security Assistance Force – ISAF) შემადგენლობაში, 2004 წლის აგვისტოში ჩაერთო.

მისიის მიმდინარეობისას ეტაპობრივად იცვლებოდა ავღანეთში მყოფ ქართველ სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობა და მათი ამოცანები. ქართული ქვედანაყოფები ახორციელებდნენ, ბაზების დაცვას, პატულირებას, ჩხრეკას, კორდონს, საკონტროლო-გამშვები პუნქტის ოპერაციებს, ავღანური არმიის საარტილერიო ქვედანაყოფების მომზადებას, სამხედრო ჰოსპიტალის დახმარებას.

2015 წლის პირველი იანვრიდან ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში დაიწყო, ნატო-ს ახალი „მტკიცე მხარდაჭერის მისია" (Resolute Support Mission – RSM). ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი აგრძელებდა ავღანეთის ეროვნული უსაფრთხოების ძალების გაძლიერების ხელშეწყობას, რათა ავღანეთს თავად შესძლებოდა საკუთარ ტერიტორიაზე მდგომარეობის სრულად და ეფექტურად გაკონტროლება.

2021 წლის აპრილში „ავღანეთის შესახებ ჩრდილო-ატლანტიკური საბჭოს" (NAC) მინისტერიალზე, „მტკიცე მხარდაჭერის მისიაში" (RSM) მონაწილე ძალების რეტროგრეიდის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, ქართულმა ქვედანაყოფებმა სრულად დატოვა ავღანეთის ისლამური რესპუბლიკა (ივნისი, 2021 წ.).

აღსანიშნავია, რომ ავღანეთის მისიის მსვლელობისას ქართული ქვედანაყოფები გამოირჩეოდნენ დასმული ამოცანების შეუფერხებლად, კვალიფიციურად და პროფესიონალურად შესრულებით ყველა დონეზე.

მისია ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში – 2014 წლის ივნისიდან საქართველო ჩაერთო ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის სამშვიდობო მისია - EUFOR RCA-ში. მისიის მიზანს თავდაცვის ძალების რეფორმის განხორციელებაში ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის ხელისუფლების დახმარება და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის თავდაცვის სექტორის რეფორმის ხელშეწყობა წარმოადგენდა.

ევროკავშირთან კონსულტაციების შესაბამისად ქართულმა მხარემ წარმატებით დაასრულა ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ევროკავშირის საწვრთნელ მისიაში (EUTM RCA) მონაწილეობა და ქვედანაყოფი სამშობლოში 2023 წლის ივნისის დასაწყისში დაბრუნდა.

მისია მალის რესპუბლიკაში – გაეროს უშიშროების საბჭოს 2013 წლის N#2085 რეზოლუციის შესაბამისად, ევროკავშირმა მალის შეიარაღებული ძალების საწვრთნელი მისია – EUTM Mali დაიწყო. მისიის მიზანი იყო მალის შეიარაღებული ძალების წვრთნა, რათა მათ ეფექტურად შეძლებოდათ მალის ტერიტორიული მთლიანობის დაცვა და ტერორისტული საფრთხეების ნეიტრალიზება.

საქართველოს თავდაცვის ძალების ოფიცერი მალიში მიმდინარე მისიაში 2016 წლის იანვრიდან მეკავშირე ოფიცრის პოზიციაზე იყო წარმოდგენილი, რომლის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს მალის რესპუბლიკის მასშტაბით ევროკავშირის სხვა მისიებთან, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან კოორდინაცია წარმოადგენდა.

მალის რესპუბლიკაში ევროკავშირის საწვრთნელ მისიაში (EUTM Mali), საქართველოს კონტრიბუციის დასრულების შესახებ, 2023 წლის 9 ნოემბერს, ქართული მხარის მიერ,

ძალთა დაგეგმვის კონფერენციაზე (FGC) გაცხადდა.

ზემოხსენებულთან დაკავშირებით ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სამხედრო ჩართულობა საერთაშორისო მისიებში, მათ შორის ავღანეთში ISAF-ისა (International Security Assistance Force) და RSM-ის (Resolute Support Mission) ოპერაციებში წარმოადგენს ქვეყნის ყველაზე ხანგრძლივ და მასშტაბურ საერთაშორისო სამშვიდობო კონტრიბუციას. 2004 წლიდან 2021 წლამდე პერიოდში საქართველომ ავღანეთში 20-ზე მეტი როტაცია განახორციელა, სადაც საერთო ჯამში 8700-ზე მეტი სამხედრო მოსამსახურე მონაწილეობდა; ხოლო კულმინაციას წარმოადგენდა, პიკურ პერიოდში ქართული კონტინგენტის მიერ NATO-ს არაწევრ ქვეყნებს შორის რაოდენობრივად ყველაზე დიდი კონტრიბუცია. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ EUFOR-ის მისია ცენტრალურ აფრიკაში აღქმულია როგორც ქვეყნის სამხედრო დიპლომატიის სტრატეგიული კომპონენტი. ანალიზის მიზანია დავადგინოთ, როგორ მოქმედებს ასეთი ჩართულობა როგორც ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებზე, ასევე უსაფრთხოების გამყარებაზე.

ავღანეთში მონაწილეობა – როგორც ISAF-ის, ისე Resolute Support-ის მისიებში – საქართველოსთვის წარმოადგენდა არა მხოლოდ ტექნიკურ წვლილს კოლექტიურ უსაფრთხოებაში, არამედ ეს ჩართულობა საქართველოსთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი იყო რამდენიმე კუთხით. პირველ რიგში, იგი ნატოსთან ოპერატიული თავსებადობის გაღრმავების და საკუთარი სამხედრო შესაძლებლობების წარმოჩენის საშუალებას იძლეოდა; მეორე მხრივ, ეს იყო პოლიტიკური დემონსტრირება დასავლური ღირებულებებისადმი ერთგულებისა. ქართველმა სამხედროებმა მაღალი პროფესიონალიზმით განახორციელეს უსაფრთხოების უზრუნველყოფა ბაგრამისა და ქანდაჰარის ბაზებზე, რაც არაერთხელ დაფასდა საერთაშორისო პარტნიორების მიერ.

მიუხედავად იმისა, რომ ერთისმხრივ ეს მონაწილეობა მაღალ ადამიანურ (მათ შორის დაღუპულები) და ფინანსურ რესურს მოითხოვს, მეორე მხრივ საქართველოს ჩართულობამ მნიშვნელოვანი სიმბოლური კაპიტალი შექმნა და ქვეყანას მნიშვნელოვან პოლიტიკური სივრცე მისცა და დიპლომატიურ ბერკეტებით აღჭურვა საერთაშორისო ასპარეზზე. ამან ხელი შეუწყო როგორც ნატოსთან პოლიტიკურ დიალოგს, ასევე ქვეყნის თავდაცვის ინსტიტუციური გაძლიერებას. ეს ქეის-სტადი აჩვენებს, როგორ იყენებს პატარა სახელმწიფო საკუთარი სამხედრო რესურსს დიპლომატიური მიზნების მიღწევისთვის.

შედარებითი ანალიზი: ბალტიისპირეთის ქვეყნები და საქართველო

საქართველო, ესტონეთი და ლატვია წარმოადგენენ იმ პატარა სახელმწიფოებს, რომლებმაც სამხედრო დიპლომატია და სამშვიდობო მონაწილეობა საკუთარი საგარეო პოლიტიკის კონსტრუქციულ ინსტრუმენტად აქციეს. მიუხედავად სტატუსში არსებული განსხვავებებისა – კერძოდ, საქართველო ჯერ კიდევ ასპირანტია NATO-ში გაწევრიანების მხრივ – მათი სამშვიდობო ჩართულობის სტრატეგია რიგ მსგავს მახასიათებლებს აჩვენებს.

ესტონეთი და ლატვია აქტიურად მონაწილეობენ NATO-ს, EU-სა და UN-ის მისიებში, რაც მათი ევროატლანტიკური ინტეგრაციის ბუნებრივი გაგრძელებაა. მაგალითად, ესტონეთი მონაწილეობდა, ასევე, ავღანეთის ოპერაციაში, ასევე მალიში EU-ის სამხედრო წვრთნის მისიაში (EUTM). მათი სტრატეგია აშენებულია როგორც ინსტიტუციური ერთგულების, ასევე ტექნოლოგიური განვითარებისა და სპეციალიზაციის ირგვლივ.

საქართველო ამ სქემაში გამორჩეულად პოზიციონირებს, რადგან მიუხედავად NATO-ს წევრობის არქონისა, ის ხშირად ავლენს უფრო მაღალი მასშტაბის ჩართულობას. EUFOR-ის და UNMISS-ის სამშვიდობო მისიებში მონაწილეობა, თავის მხრივ, ნაკლებად არის დაკავშირებული ნატოს სტრუქტურებთან და მეტწილად აღქმულია როგორც გლობალური პასუხისმგებლობის გაზიარების ფორმა. ეს დადასტურებულია იმითაც, რომ საქართველო ცდილობს არ ჩამორჩეს წამყვანი პატარა სახელმწიფოების პრაქტიკას, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ გაეროს და ევროკავშირის მისიებში. ასეთი საქმიანობა საშუალებას აძლევს საქართველოს, დაემყაროს მულტილატერალური ურთიერთობები და დაემატოს დიპლომატიურ აღქმას საერთაშორისო სისტემაში. აღნიშნული, იმ ფაქტის გამოხატულებაა, რომ საქართველოსთვის სამხედრო დიპლომატია წარმოადგენს არა მხოლოდ პარტნიორული ვალდებულების შესრულებას, არამედ დასავლური პოლიტიკის ლეგიტიმაციის გზას.

შედარებითი ანალიზი აჩვენებს, რომ პატარა სახელმწიფოებს შეუძლიათ სტრატეგიულად მართონ თავიანთი სამხედრო რესურსები საერთაშორისო გავლენის გასაძლიერებლად – მნიშვნელობა არ აქვს მათ ფორმალურ წევრობას უსაფრთხოების ალიანსებში.

დასკვნა. სტატიის ანალიზმა აჩვენა, რომ პატარა სახელმწიფოები, მათ შორის საქართველო, აქტიურად იყენებენ სამხედრო დიპლომატიასა და სამშვიდობო ჩართულობას, რათა გაიმყარონ პოზიცია გლობალურ უსაფრთხოების არქიტექტურაში. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო მასშტაბით საქართველოს წონა შეზღუდულია და არ გააჩნია სამხედრო დომინირების პოტენციალი, ის ქმნის დადებით საერთაშორისო იმიჯს, ახდენს ერთგულების დემონსტრირებას ნორმებისა და ინსტიტუტების მიმართ და ამგვარად იმსახურებს პარტნიორების ნდობას.

საქართველოს აქტიურობა სამშვიდობო და სამხედრო დიპლომატიურ ფრონტზე ასახავს კომპლექსურ სტრატეგიას, რომელიც აერთიანებს უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ლეგიტიმაციის გაძლიერების, და დასავლური იდენტობის კონსოლიდაციის მიზნებს.

საქართველოს ქეისი ცხადყოფს, რომ თანამიმდევრული მონაწილეობა საერთაშორისო მისიებში – მიუხედავად რესურსების შეზღუდულობისა – საშუალებას აძლევს ქვეყანას, გაიმყაროს ადგილი როგორც პოლიტიკურად სანდო და სამხედრო თვალსაზრისით პასუხისმგებელ პარტნიორად. თეორიული ანალიზი (ნაიეს რბილი ძალა, თორჰალსონის ნორმატიული ერთგულება, სტრუქტურული რეალიზმი) ამყარებს იმ არგუმენტს, რომ საქართველოს პოლიტიკა წარმოადგენს ნორმატიულ და სტრატეგიულ შერწყმას.

პერსპექტივისთვის, სასურველია საქართველოს მიერ სამხედრო დიპლომატიის ინსტიტუციური გაძლიერება – მათ შორის სამხედრო ატაშეების ქსელის გაფართოება, ოფიცერთა და სერჟანტთა შემადგენლობის მიერ უცხო ენის, კულტურული კომპეტენციისა და სტრატეგიული კომუნიკაციის სიღრმისეული შესწავლა. ასევე მნიშვნელოვანია საერთაშორისო მისიებში არა მხოლოდ რაოდენობრივი, არამედ ფუნქციური მრავალფეროვნების გაზრდა, რაც გაზრდის ქვეყნის გავლენას როგორც რეგიონულ, ისე გლობალურ დონეზე.

GRIGOL ZHOZHIKASHVILI – ***PhD Student***

The role of artificial intelligence in the development of websites

Summary

The contemporary international security environment is increasingly characterized by multipolarity, complex threats, and a growing need for coordinated responses. In this context, the role of small states within the global security architecture becomes not only increasingly important but also underexplored. Georgia represents a compelling case of a small state that actively engages in military diplomacy and peacekeeping missions to enhance its national security and strengthen its foreign policy posture.

This proposed doctoral research aims to analyze Georgia's military diplomatic efforts and participation in international peacekeeping operations as a model for small state integration into global security processes. The research will employ a case study methodology, using official documents, data analysis, and theoretical literature review. The theoretical framework will draw from models of small state behavior in international relations, as well as conceptual approaches to military diplomacy and peacekeeping engagement.

The findings of the research will contribute significantly to both academic discourse and practical policymaking. On the academic level, the study will enhance the understanding of small state agency in global security dynamics. On the practical level, it will offer insights for strategic planning in Georgia's defense and foreign policy. Ultimately, the analysis will reinforce the idea that small states, despite limited resources, can participate meaningfully and assertively in shaping global security systems.

Keywords: *Small States, Global Security Architecture, Military Diplomacy, Peacekeeping Operations.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნაი ჯ., რბილი ძალა: წარმატების საშუალებები გლობალურ პოლიტიკაში. Public Affairs. 2004.
2. უოლტზი კ., საერთაშორისო პოლიტიკის თეორია. Addison-Wesley. 1979.
3. თორჰალსონი ბ., პატარა სახელმწიფოების დიპლომატია გლობალურ სისტემაში. Cooperation and Conflict, 41(3), 307-326. 2006.
4. ნოიმანი ი. ბ., პატარა სახელმწიფოების როლი საერთაშორისო ურთიერთობებში. Cambridge Review of International Affairs, 21(2), 163-176. 2008.
5. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. (2022). ოფიციალური ანგარიშები და საერთაშორისო მისიებში მონაწილეობის სტატისტიკა. www.mod.gov.ge.
6. NATO. (2021). Resolute Support Mission Summary. www.nato.int
7. United Nations Peacekeeping. (2023). Contributions by Country. peacekeeping.un.org
8. EU External Action. (2022). EUFOR Althea Mission Overview. www.eeas.europa.eu

ლევან თექთუმანიძე
სტუ, დოქტორანტი

ინტერპოლის პოლიტიკა და მარეგულირებელი აქტები – გაეროს ტრანსნაციონალური უსაფრთხოების სისტემის ნაწილი

წარმოდგენილი სტატია იკვლევს საერთაშორისო კრიმინალური პოლიციის ორგანიზაციის (ინტერპოლის) როლს გაეროს ტრანსნაციონალური უსაფრთხოების სისტემაში, ყურადღებას ამახვილებს მის კონსტიტუციურ ჩარჩოზე, მარეგულირებელ ინსტრუმენტებსა და ოპერაციულ პრაქტიკებზე გლობალური მმართველობისა და მდგრადი განვითარების დღის წესრიგის კონტექსტში. აღნიშნულია, რომ ინტერპოლი ფუნქციონირებს როგორც ტრანსნაციონალური უსაფრთხოების არქიტექტურის მნიშვნელოვანი ოპერაციული მექანიზმი და ავსებს გაეროს ნორმატიულ და პოლიტიკურ როლს ისეთ საზღვარგარეთულ საფრთხეებთან ბრძოლაში, როგორიცაა ტერორიზმი, კიბერდანაშაული, ორგანიზებული დანაშაული და ფინანსური სამართალდარღვევები.

კვლევა წარმოაჩენს ინტერპოლის ძირითად სამართლებრივ და მარეგულირებელ ინსტრუმენტებს, მათ შორის 1956 წლის კონსტიტუციას, გენერალური ასამბლეის პროცედურის წესებს, აღმასრულებელი კომიტეტის პროცედურებს და მონაცემთა დამუშავების წესებს. ნაჩვენებია, რომ ეს ინსტრუმენტები ერთობლივად ქმნის იერარქიულ სამართლებრივ წესრიგს, სადაც მეორადი რეგულაციები ახორციელებს კონსტიტუციური პრინციპების პრაქტიკულ განხორციელებას, განსაკუთრებით კანონიერების, ადამიანის უფლებების დაცვისა და საერთაშორისო პოლიციური თანამშრომლობის მიმართულებით.

სტატია ასევე ათავსებს ინტერპოლს გლობალური მმართველობის ფართო თეორიულ დებატებში. ისეთი მკვლევრების ნაშრომებზე დაყრდნობით, როგორიცაა ენ-მარი სლოტერი და მიხაელ ციურნი, გლობალური მმართველობა განიმარტება როგორც მრავალშრიანი სისტემა, რომელიც აერთიანებს ტრანსნაციონალურ ქსელებს – სახელმწიფოებს, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და მარეგულირებელ ინსტიტუტებს. ამ ჩარჩოში ინტერპოლი განიხილება, როგორც ტრანსსამთავრობო პოლიციური ქსელი, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული სამართალდამცავი ორგანოების რეალურ დროში თანამშრომლობას.

საკვანძო სიტყვები: *ტრანსნაციონალური უსაფრთხოება, გლობალური მმართველობა, საერთაშორისო სამართალდამცავი თანამშრომლობა. გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები (SDGs).*

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ტრანსნაციონალური დანაშაული გლობალური და კოორდინირებული თანამშრომლობის აუცილებლობას ქმნის. სწორედ ამ კონტექსტში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოთაშორის და საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებიც გლობალური უსაფრთხოების საკითხებზე კოორდინაციის ფუნქციას ასრულებენ. ერთ-ერთი ასეთი აქტორია ინტერპოლი (INTERPOL) – საერთაშორისო კრიმინალური პოლიციის ორგანიზაცია, რომლის კონსტიტუცია და საქმიანობის პრინციპები ეხმიანება გაეროს ტრანსნაციონალური უსაფრთხოების სისტემას. ინტერპოლის პოლიტიკა და მარეგულირებელი აქტები ეფუძნება ისეთ დოკუმენტებს, როგორიცაა ორგანიზაციის კონსტიტუცია და მონაცემთა დამუშავების რეგულაციებს, რომლებიც განსაზღვრავს საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუციურ ჩარჩოს [1].

ორგანიზაციის პოლიტიკისა და მარეგულირებელი პროცედურების განმსაზღვრელ დოკუმენტებს შორის ხაზგასასმელია:

- **INTERPOL-ის კონსტიტუცია** – 1956 წელი, ქ. ვენა, ინტერპოლის გენერალურ ასამბლეაზე; ეს დოკუმენტი წარმოადგენს ორგანიზაციის ძირითად სამართლებრივ აქტს.

- **გენერალური ასამბლეის მოქმედების წესი** – თავდაპირველი ვერსია თარიღდება 1956 წლით, მაგრამ რეგულარულად ხდება დოკუმენტის განახლება;
- **აღმასრულებელი კომიტეტის პროცედურული წესები;**
- **მონაცემთა დამუშავების წესები**, დამტკიცდა 2012 წელს [2].

წინამდებარე სტატიაში ყურადღება გამახვილდება სწორედ ამ დოკუმენტებსა და პროცედურის წესებზე, თუმცა, ცხადია, ინტერპოლი ხელმძღვანელობს და ადმინისტრირებას ახორციელებს სხვა დარგობრივი დოკუმენტებისა და ნორმატიული აქტების მეშვეობითაც.

ტრანსნაციონალური საფრთხეების შესახებ ყურადსაღებია რამდენიმე განმარტება. მაგ.: ენციკლოპედია ბრიტანიკას მიხედვით, ტრანსნაციონალური საფრთხეები არის ისეთი საფრთხეები, რომლებიც „არ წარმოიშობა და არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთი სახელმწიფოს ფარგლებში... და გულისხმობს ისეთ გამოწვევებთან ბრძოლას, როგორიცაა ტერორიზმი, ორგანიზებული დანაშაული, კიბერდანაშაული და სხვა საფრთხეები, რომლებიც ცალკეულ სახელმწიფო საზღვრებს სცდება და საერთაშორისო თანამშრომლობას საჭიროებს“ [3].

საკითხის განმარტების დროს ენდრიუ ჰეივუდი საუბრობს გავლენაზე – საფრთხე, რომელიც ერთდროულად რამდენიმე სახელმწიფოზე ახდენს გავლენას „Cross state borders and simultaneously affect several states“ [4].

გაეროს თანახმად, თანამედროვე უსაფრთხოების გამოწვევები ხშირად ურთიერთდაკავშირებულია, რის გამოც მათი მართვა მხოლოდ საერთაშორისო თანამშრომლობით და სხვადასხვა აქტორის (სახელმწიფოს, ორგანიზაციის, სამოქალაქო საზოგადოების) ერთობლივი ძალისხმევით არის შესაძლებელი (დღეს, როგორც არასდროს, ერთი სუბიექტის წინაშე არსებული საფრთხე გულისხმობს საერთო საფრთხეს [5].

იმავე ანგარიშში აღნიშნულია – ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული წარმოადგენს საფრთხეს სახელმწიფოებისა და საზოგადოებებისთვის, არღვევს ადამიანის უსაფრთხოებას და ასუსტებს სახელმწიფოთა ფუნდამენტურ ვალდებულებას უზრუნველყონ კანონი და წესრიგი [5].

გაეროს სხვადასხვა დოკუმენტის მიხედვით, ტრანსნაციონალური უსაფრთხოების სისტემა ეფუძნება იდეას, რომ მშვიდობა და საერთაშორისო უსაფრთხოება მხოლოდ სამხედრო კონფლიქტების პრევენციით აღარ განისაზღვრება [6].

საფრთხეები ხშირად არარეგულარული ხასიათისაა, რის გამოც უსაფრთხოების განმარტება და შინაარსი მნიშვნელოვნად გაფართოვდა. ტერორიზმი, კიბერდანაშაული, ორგანიზებული დანაშაული და ადამიანებით ვაჭრობა საერთაშორისო უსაფრთხოების დღის წესრიგის ცენტრალურ ნაწილად იქცა [7].

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია **გაეროს წესდების VII[1] თავი,** რომელიც საერთაშორისო **მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვას ეხება.** აღნიშნული თავი გაეროს უშიშროების საბჭოს ანიჭებს უფლებამოსილებას, **საფრთხეების არსებობის შემთხვევაში**, მიიღოს სავალდებულო გადაწყვეტილებები, მათ შორის სანქციების, საერთაშორისო თანამშრომლობისა და უსაფრთხოების ზომების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ინტერპოლს არ გააჩნია სამხედრო მექანიზმები, მისი საქმიანობა ავსებს გაეროს უსაფრთხოების სისტემას სამართალდამცავი და გლობალური უსაფრთხოების თანამშრომლობის მიმართულებით.

გაეროს და ინტერპოლის თანამშრომლობა განსაკუთრებით გააქტიურდა XXI საუკუნეში, ტერორიზმისა და გლობალური გამოწვევების ფონზე. გაეროს უშიშროების საბჭოს არაერთ რეზოლუციაში ხაზგასმულია წევრი სახელმწიფოების ვალდებულება, გააძლიერონ საერთაშორისო სამართალდამცავი თანამშრომლობა ტერორიზმის დაფინანსების, უცხოელი მებრძოლების გადაადგილებისა და ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ქსელების წინააღმდეგ. ამ პროცესში ინტერპოლი წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ ოპერატიულ პარტნიორს, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის გაცვლას, მონაცემთა ბაზების მართვასა და კრიმინალური ქსელების იდენტიფიცირებას.

[1] **United Nations Charter, Chapter VII: Action with Respect to Threats to the Peace, Breaches of the Peace, and Acts of Aggression. მუხლი 43**: All Members of the United Nations, in order to contribute to the maintenance of international peace and security, undertake to make available to the Security Council, on its call and in accordance with a special agreement or agreements, armed forces, assistance, and facilities, including rights of passage, necessary for the purpose of maintaining international peace and security.

გლობალური მმართველობის თეორია ინტერპოლისა და გაეროს ურთიერთობის ანალიზისთვის ეფექტიან თეორიულ ჩარჩოს წარმოადგენს. ამ მიდგომის მიხედვით, თანამედროვე საერთაშორისო სისტემა მხოლოდ სახელმწიფოებზე აღარ არის დაფუძნებული. უსაფრთხოების სფეროში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება საერთაშორისო ორგანიზაციებს, ე.წ. ტრანსნაციონალურ აქტორებს და იმ საერთაშორისო ქსელებს, რომლებიც ერთობლივი ძალისხმევით (და პოლიტიკით) ებრძვიან გლობალურ გამოწვევებს.

აკადემიურ ლიტერატურაში გლობალური მართველობა განიმარტება, როგორც რეგულაციების ერთიანობა, რომელიც მიზნად ისახავს ტრანსნაციონალური გამოწვევების გადაჭრას და საერთო გლობალური სიკეთეების (პირველ რიგში კი უსაფრთხოების) უზრუნველყოფას. ეს რეგულაციები მოიცავს არა მხოლოდ ნორმებსა და წესებს, არამედ მათ შემუშავების, განხორციელების, მონიტორინგისა და აღსრულების პროცესებს. გლობალური მმართველობის კონცეფციის ერთ-ერთი თვალსაჩინო ავტორის, მაიკლ ციურნის მიხედვით, გლობალური მმართველობა წარმოადგენს კომპლექსურ, მრავალდონიან (ე.წ. multilayer system) სისტემას, რომელიც მართავს ტრანსნაციონალურ გამოწვევებს (თუმცა, ლიტერატურაში ისიც არის აღნიშნული, რომ ამგვარი მრავალშრიანი სისტემა ხშირად ლეგიტიმაციასთან დაკავშირებულ პრობლემებსაც აწყდება).

მაიკლ ციურნი განმარტავს: „გლობალური მმართველობა“ აღნიშნავს **ძალაუფლების განხორციელებას ეროვნული საზღვრების მიღმა**. გლობალური მმართველობა გულისხმობს ნორმებსა და წესებს, რომლებიც მიღებულია ცალკეული სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ, ტრანსნაციონალური პრობლემების აღმოსაფხვრელად [8].

გლობალური მმართველობის ერთ-ერთი თვალსაჩინო ავტორი ანნა მარი სლაუთერი (Anne-Marie Slaughter) აღნიშნავს, რომ ეს არის მმართველობის სისტემა, რომელიც ეფუძნება არა მხოლოდ სახელმწიფოებს, არამედ სახელმწიფო უწყებებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, სასამართლოებს, მარეგულირებელ სააგენტოებსა და ტრანსნაციონალურ ქსელებს შორის თანამშრომლობას.

მისი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მიდგომის მიხედვით, თანამედროვე საერთაშორისო სისტემა ფუნქციონირებს „მთავრობათაშორისი ქსელების“ (government networks) მეშვეობით, სადაც სხვადასხვა ქვეყნის ინსტიტუტები ერთმანეთთან უშუალოდ თანამშრომლობენ საერთო პრობლემების გადასაჭრელად [9. 14]

გლობალური მმართველობის იდეას პრაქტიკაში კარგად გამოხატავს გაეროს ერთ-ერთი სააგენტო – **გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო (UNODC)**[2]. ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს ერთიან პლატფორმასთან, გაეროს სააგენტოსთან, რომელიც მრავალი აქტორის და სახელმწიფოს მონაწილეობით ებრძვის საერთაშორისო მასშტაბის და ტრანსნაციონალურ დანაშაულს (დანაშაულის სხვადასხვა სახეს). UNODC ბიურო აერთიანებს მონაწილე სახელმწიფოებს საერთო სამართლებრივი ჩარჩოს ფარგლებში და ხელს უწყობს ერთიან მონიტორინგს. მისი საქმიანობა, გარკვეულწილად, ეხმიანება ინტერპოლის დღის წესრიგს.

ინტერპოლი საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში ფუნქციონირებს როგორც ტექნიკური და ოპერატიული თანამშრომლობის ინსტრუმენტი, ხოლო გაერო – **როგორც პოლიტიკური ლეგიტიმაციის წყარო.** შესაბამისად, თამამად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ინტერპოლის კონსტიტუცია და მისი წამყვანი სხვა მარეგულირებელი დოკუმენტები არის გაეროს ტრანსნაციონალური უსაფრთხოების ეკოსისტემის ნაწილი, რადგან იგი ხელს უწყობს იმავე გლობალური მიზნების განხორციელებას, რასაც გაეროს უსაფრთხოების სისტემა ემსახურება.

---

[2] UNODC მუშაობს **ხუთი თემატური მიმართულებით:** ორგანიზებული დანაშაული და ტრეფიკინგი, კორუფცია, სისხლის სამართლის რეფორმა, ჯანმრთელობა და მოსახლეობის ცხოვრების პირობები, ტერორიზმის პრევენცია. UNODC ქვეყნის პროგრამა მხარს უჭერს ამ თემებს და გარდაქმნის მათ ქმედებებში. მთავრობასთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, გაეროს სხვა ქვედანაყოფებთან და სამოქალაქო საზოგადოებებთან პირდაპირი მუშაობით UNODC მოქმედებს, როგორც კატალიზატორი ქვეყნისა და რეგიონების საჭიროებებზე მორგებული პროგრამების შემუშავებისა და განხორციელებისთვის – წყარო: https://ungeorgia.ge/geo

ინტერპოლის დაფუძნების ისტორიის შესახებ – 1923 წლის ვენის საერთაშორისო საპოლიციო კონგრესი

ინტერპოლი დაარსდა 1923 წელს, ხოლო მისი თანამედროვე სამართლებრივი საფუძველი **1956 წლის კონსტიტუციით განისაზღვრა** [1]. ორგანიზაციის მთავარი მიზანია წევრ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის ხელშეწყობა და ტრანსნაციონალურ დანაშაულთან ბრძოლა. კონსტიტუციის მეორე მუხლში ნათლად არის წარმოჩენილი ორგანიზაციის მიზნებიც, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვას უპირველეს მიზნად ასახელებს: To ensure and promote the widest possible mutual assistance between all criminal police authorities within the limits of the laws existing in the different countries and **in the spirit of the "Universal Declaration of Human Rights.** ეს მიდგომა ემთხვევა გაეროს წესდების პრინციპებს, განსაკუთრებით საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვის მიზანს.

ინტერპოლის ჩამოყალიბების და მისი სამართლებრივი თუ სარეკომენდაციო ხასიათის დოკუმენტების ანალიზისა და შესწავლისთვის მნიშვნელოვანი ღონისძიებაა 1923 წლის ვენის საერთაშორისო საპოლიციო კონგრესი. კონგრესი გაიმართა ავსტრიის დედაქალაქში და მასში მონაწილეობდნენ სხვადასხვა სახელმწიფოს პოლიციის, იუსტიციისა და უსაფრთხოების უწყებების წარმომადგენლები. ავტორი მეთიუ დეფლემი თავის სტატიაში „ინტერპოლის წარმოშობა" („The Origins of Interpol") აღნიშნავს „მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ხელახლა დაფუძნებულ კომისიას ეწოდა საერთაშორისო კრიმინალური პოლიციის ორგანიზაცია – International Criminal Police Organization (ICPO-Interpol), რომლის სახელითაც მან მსოფლიო აღიარება მოიპოვა".

ავტორი აღნიშნავს „არა მხოლოდ მისი გამორჩეული მდგრადობის გამო, რომელმაც საბოლოოდ იგი გადააქცია საერთაშორისო ორგანიზაციად, რომელიც დღეს 196 სახელმწიფოს აერთიანებს, არამედ მისი დაარსების პირობებისა და ორგანიზაციის მიზნებისა და მოქმედების მექანიზმების გამო, საერთაშორისო კრიმინალური პოლიციის კომისია (International Criminal Police Commission) წარმოადგენს პოლიციური ფუნქციის ინტერნაციონალიზაციის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან განვითარებას" აქვე, აღსანიშნავია, რომ ინტერპოლის დაფუძნების შემდეგ ავტორები ხშირად საუბრობენ ორგანიზაციის შესახებ აკადემიური ნაშრომების სიმწირის შესახებ. თუკი რაიმე ახალი ცოდნა ან აკადემიური სტატია იქმნება, ხშირად უკავშირდება სამართლებრივ საკითხებს, საპოლიციო სამართალს და საერთაშორისო დანაშაულის თემატიკას.

საერთაშორისო საპოლიციო კონგრესის ფარგლებში, 1923 წლის 7 სექტემბერს, რეზოლუციის საფუძველზე შეიქმნა **ICPC** – საერთაშორისო კრიმინალური პოლიციის კომისია. კონგრესის დასასრულს მონაწილეებმა მიიღეს დოკუმენტი სახელწოდებით **Resolutions du Congrès International de Police à Vienne**. იგი წარმოადგენდა კონგრესის ხუთი დღის განმავლობაში მიღებული 14 რეზოლუციის კრებულს. დოკუმენტი შედგებოდა 12 სექციისგან. პირველი სექცია მოიცავდა ICPC-ის წესდებას, ხოლო მომდევნო 11 სექცია აერთიანებდა სხვადასხვა მნიშვნელოვან საპოლიციო რეზოლუციებს.

გაეროს მდგრადი განვითარების გეგმები, უსაფრთხოება და ინტერპოლი

ცნობილია, რომ გაეროს მიერ 2015 წელს მიღებული მდგრადი განვითარების მიზნები (**Sustainable Development Goals – SDGs**) სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციების სტრატეგიული ხედვის, განვითარების და სამოქმედო გეგმების საფუძვლად იქცა [10].

დღემდე წამყვანი ორგანიზაციები საკუთარი მიმართულებების საფუძვლის წარმოსაჩენად მიუთითებენ სწორედ გაეროს მდგრადი განვითარების დღის წესრიგს და კონკრეტულ მიზნებს. SDG-ებიდან, წინამდებარე სტატიის კონტექსტში გასათვალისწინებელია SDG 16, რომელიც წარმოაჩენს, რომ მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები (**SDG 16 - Promote peaceful and inclusive societies for sustainable development, provide access to justice for all and build effective, accountable and inclusive institutions at all levels**) წარმოადგენს მდგრადი განვითარების აუცილებელ წინაპირობას. ამ მიზნის მიხედვით, უსაფრთხოება აღიქმება

როგორც **კომპლექსური სოციალური მდგომარეობა,** რომელიც მოიცავს ძალადობის შემცირებას, სამართლებრივი სისტემების გაძლიერებასა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია SDG 16-ის შემდეგი ორი მიზანი (ე.წ. Target). **16.1** მიზნად ისახავს ძალადობის ყველა ფორმის მნიშვნელოვნად შემცირებას და სიკვდილიანობის შემცირებას. ეს მოიცავს როგორც შიდა კონფლიქტებს, ასევე ტრანსნაციონალურ ძალადობას. ამ კონტექსტში ინტერპოლი მნიშვნელოვან როლს ასრულებს დანაშაულის პრევენციასა და საერთაშორისო დონეზე ინფორმაციის გაცვლაში. და **Target 16.2** – ორიენტირებულია ბავშვთა მიმართ ძალადობის, ექსპლუატაციის, ტრეფიკინგისა და ყველა ფორმის ბოროტად გამოყენების დასრულებაზე. ამ მიზნის განხორციელება პირდაპირ უკავშირდება ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას, სადაც ინტერპოლის მონაცემთა ბაზები და სისტემები პრაქტიკულ ინსტრუმენტებს წარმოადგენს. **Target 16.8** მიზნად ისახავს განვითარებადი ქვეყნების უფრო ფართო ჩართულობას გლობალური მმართველობის ინსტიტუტებში. ამ კუთხით ინტერპოლი წარმოადგენს პლატფორმას, სადაც სხვადასხვა დონის სახელმწიფოები თანაბარ პირობებში თანამშრომლობენ.

თავის გამორჩეულ დოკუმენტში - Global Policing Goals აღნიშნავს, რომ შეიმუშავა შვიდი გლობალური პოლიციური მიზანი (Global Policing Goals), რომელიც მოიცავს დანაშაულისა და უსაფრთხოების სხვადასხვა საკითხს. ეს მიზნები თანხვედრაშია გაეროს 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგთან და უკავშირდება მდგრადი განვითარების მიზნებს (SDGs).

გლობალური პოლიციური მიზნები განსაზღვრავს, თუ როგორ მუშაობს საერთაშორისო სამართალდამცავი საზოგადოება ერთობლივად, უფრო უსაფრთხო მსოფლიოს შექმნის მიზნით. ეს მიზნები არის უნივერსალური, ამბიციური და ეფუძნება საერთო მოქმედებას). შესაბამისად, აღნიშნული დოკუმენტი და ინტერპოლის შიდა პროცედურები სრულად ინსპირირებულია გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების მიერ.

ინტერპოლის შვიდი ძირითადი მიზანი, რომლებიც გლობალური პოლიციური საქმიანობის მიზნებს წარმოადგენს და დაკავშირებულია მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG-ებთან), შემდეგია:

- ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა (Counter Terrorism);
- საზღვრის უსაფრთხოების გაძლიერება (Border Security);
- მოწყვლადი ჯგუფების დაცვა (Vulnerable Communities);
- კიბერდანაშაულის შემცირება (Cybercrime);
- კორუფციისა და ფინანსური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა (Corruption and Financial Crime);
- ორგანიზებული დანაშაულისა და ნარკოტრაფიკის წინააღმდეგ ბრძოლა (Organized Crime);
- გარემოსდაცვითი უსაფრთხოების გაძლიერება (Environmental Security) გარემოსდაცვითი დანაშაულის, მათ შორის ველური ბუნების უკანონო ვაჭრობისა და ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციის წინააღმდეგ ბრძოლა და ეკოსისტემების დაცვა.

გაეროსთან მიმართებით მნიშვნელოვანია აღინიშნოს შემდეგი – ინტერპოლის საქმიანობა მჭიდროდ უკავშირდება გაეროს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ კონვენციას [11], რომელიც სახელმწიფოებს ავალდებულებს გააძლიერონ საერთაშორისო თანამშრომლობა ორგანიზებული კრიმინალის, ადამიანებით ვაჭრობის, მიგრანტთა უკანონო გადაყვანისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ. სწორედ ამ თანამშრომლობის პრაქტიკულ განხორციელებაში ასრულებს ინტერპოლი მნიშვნელოვანი საკოორდინაციო მექანიზმის ფუნქციას. ხაზგასასმელია კონვენციის 27-ე მუხლი, რომელიც სამართალდამცავ თანამშრომლობას ეხება. კონვენცია მოუწოდებს სახელმწიფოებს, გააძლიერონ თანამშრომლობა ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში:

სახელმწიფოები მჭიდროდ ითანამშრომლებენ ერთმანეთთან, საკუთარი შიდა სამართლებრივი და ადმინისტრაციული სისტემების შესაბამისად, რათა გააძლიერონ სამართალდამცავი ქმედებების ეფექტიანობა ამ კონვენციით გათვალისწინებულ დანაშაულებთან ბრძოლის მიზნით).

გაეროსთან თანამშრომლობის კონტექსტში მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2004 წლის ნოემბერში ინტერპოლმა გაეროს შტაბ-ბინის

ფარგლებში სპეციალური წარმომადგენლის ოფისი გახსნა. მოგვიანებით, 2018 წელს, ვენაში, გაეროს ოფისთან, ასევე დაფუძნდა მუდმივი დამკვირვებლის (Permanent Observer) დამატებითი ოფისი.

გაეროს ორ მთავარ ცენტრთან ფიზიკური სიახლოვე ინტერპოლს საშუალებას აძლევს უფრო ეფექტიანად წარმოაჩინოს ის მიმართულებები, სადაც გაეროს შეუძლია ორგანიზაციის ინსტრუმენტებისა და სერვისების გამოყენება, ასევე უფრო დინამიკურ ფორმატში განავითაროს თანამშრომლობის შესაძლებლობები.

ინტერპოლი და გაეროს უსაფრთხოების სისტემა

ინტერპოლისა და გაეროს ურთიერთობის შესწავლა მნიშვნელოვანია, რადგან ორივე ორგანიზაცია ერთობლივად მოქმედებს ტრანსნაციონალური საფრთხეების წინააღმდეგ.

ცხადია, გაეროს პლატფორმა და მისი სტრუქტურა ბევრად ყოვლისმომცველი და ფართოა, მაგრამ ინტერპოლი იზიარებს მის სულისკვეთებას და საერთაშორისო დანაშაულთან ბრძოლის სტრატეგიას. ინტერპოლი არ წარმოადგენს გაეროს სპეციალიზებულ სააგენტოს, მაგრამ მას 1996 წლიდან გაეროს გენერალურ ასამბლეაში დამკვირვებლის სტატუსი აქვს, რაც ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის ინსტიტუციურ საფუძველს ქმნის.

ინტერპოლის კონსტიტუცია განსაკუთრებით საინტერესოა გაეროს წესდების VII თავთან შედარებისას. გაეროს წესდების VII თავი უშიშროების საბჭოს ანიჭებს უფლებამოსილებას, მიიღოს ზომები საერთაშორისო საფრთხეების წინააღმდეგ, მათ შორის სანქციები და ძალის გამოყენების მანდატი.

ინტერპოლის კონსტიტუცია არ ითვალისწინებს იძულებით მექანიზმებს, თუმცა ქმნის თანამშრომლობისა და ინფორმაციის გაცვლის გლობალურ სისტემას, რომელიც უშუალოდ ემსახურება იგივე მიზანს. ინტერპოლის კონსტიტუციასთან ერთად, ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია ***მონაცემთა დამუშავების წესები (Rules on the Processing of Data – RPD).*** დოკუმენტი პირველად 2011 წელს მიიღეს და პერიოდულად ხდება მისი განახლება (ბოლო ცვლილებები განხორციელდა 2024-2025 წლებში). იგი ბიუროებს შორის გავრცელებული სპეციალიზებული მეორადი სამართლებრივი ინსტრუმენტია.

RPD **პირდაპირ გამომდინარეობს ინტერპოლის კონსტიტუციის პრინციპებიდან** და მათ პრაქტიკულ განხორციელებას ემსახურება.

RPD-ის მე-5 მუხლი ავალდებულებს, რომ მონაცემთა დამუშავება განხორციელდეს „ორგანიზაციის საქმიანობის მარეგულირებელი ძირითადი წესების, განსაკუთრებით კი მისი კონსტიტუციის შესაბამისად“. ამასთან, არაერთხელ მიუთითებს კონსტიტუციის მე-2, მე-3, 26-ე, 31-ე, 32-ე, 36-ე და 41-ე მუხლებზე.

აღნიშნულ ტექსტუალურ დაქვემდებარებას ამყარებს კონსტიტუციის მე-8 მუხლით გენერალური ასამბლეისთვის მინიჭებული უფლებამოსილება – **„დაადგინოს ნებისმიერი სხვა რეგულაცია, რომელიც საჭიროდ ჩაითვლება“.**

ოპერაციულ დონეზე RPD კონსტიტუციურ ზოგად და ყოვლისმომცველ პრინციპებს კონკრეტულ მონაცემთა მართვის წესებად გარდაქმნის. იგი დეტალურად განსაზღვრავს კანონიერების, ხარისხის, გამჭვირვალობის, კონფიდენციალურობისა და უსაფრთხოების პრინციპებს; ადგენს მონაცემთა ბაზების შექმნისა და მართვის პროცედურებს და განსაზღვრავს ეროვნული ცენტრალური ბიუროების, გენერალური სამდივნოსა და საერთაშორისო სუბიექტების როლებს. მაგალითად, შეტყობინებისა და შესაბამისობის შემოწმებისას პირდაპირ მოწმდება მათი თანხვედრა კონსტიტუციის **მე-2 და მე-3 მუხლებთან, რაც პოლიტიკური მიზნებისთვის სისტემის ბოროტად გამოყენების პრევენციას ემსახურება**.

ინტერპოლის კონსტიტუცია განსაზღვრავს ორგანიზაციის ფუნდამენტურ სამართლებრივ იდენტობასა და ნორმატიულ შეზღუდვებს, ხოლო მონაცემთა დამუშავების წესები (RPD) ამ პრინციპებს მეორადი ნორმების სახით პრაქტიკაში ახორციელებს.

დასკვნა. ინტერპოლის კონსტიტუცია თანამედროვე გლობალური უსაფრთხოების არქიტექტურის მნიშვნელოვანი კომპონენტია. მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაცია ფორმალურად დამოუკიდებელია გაეროსგან, მისი მიზნები, საქმიანობა და თანამშრომლობის მექანიზმები მნიშვნელოვნად უკავშირდება გაეროს ტრანსნაციონალური უსაფრთხოების პოლიტიკას. ტერორიზმის, ორგანიზებული დანაშაულისა და კიბერსაფრთხეების პირობებში

ინტერპოლი წარმოადგენს პრაქტიკულ ინსტრუმენტს, რომელიც საერთაშორისო სამართლისა და გაეროს უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელებას უწყობს ხელს. სწორედ ამიტომ, მისი კონსტიტუციის განხილვა გლობალური მმართველობის კონტექსტში საშუალებას იძლევა, უკეთ გავიგოთ თანამედროვე საერთაშორისო უსაფრთხოების მრავალდონიანი ბუნება.

სტატიამ გამოავლინა, რომ ინტერპოლის კონსტიტუცია, მონაცემთა დამუშავების წესები (RPD), გენერალური ასამბლეის პროცედურული ნორმები და სხვა მარეგულირებელი აქტები ქმნის საერთაშორისო სამართალდამცავი თანამშრომლობის ინსტიტუციურ და სამართლებრივ ჩარჩოს. აღნიშნული სისტემა ეფუძნება როგორც სახელმწიფო სუვერენიტეტის პატივისცემას, ისე საერთო უსაფრთხოების პრინციპს. მნიშვნელოვანია, რომ ინტერპოლის საქმიანობა თანხვედრაშია გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs), განსაკუთრებით SDG 16-თან, რომელიც მშვიდობას, ძლიერ ინსტიტუტებსა და სამართლიანობას უკავშირდება. ინტერპოლის გლობალური საპოლიციო მოქმედებების დოკუმენტი (რომელიც ამავდროულად არის ინტერპოლის ხედვა და სტრატეგია მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად), ნათლად აჩვენებს, რომ თანამედროვე დანაშაულთან ბრძოლა უნდა ეფუძნებოდეს დივერსიფიცირებულ მიდგომებს და ტექნოლოგიას. ამ პროცესში გათვალისწინებული უნდა იყოს მონაცემთა უსაფრთხოება, კიბერჰიგიენა, მოწყვლადი ჯგუფების უსაფრთხოება და ფინანსურ დანაშაულთან ბრძოლა (რაც გულისხმობს დანაშაულის ფართო მასშტაბის სხვადასხვაგვარობის გათვალისწინებას).

LEVAN TEKTUMANIDZE – *GTU, PhD Student*

INTERPOL policies and regulatory acts as part of the United Nations transnational security system

Summary

The present article explores the role of the International Criminal Police Organization (INTERPOL) within the United Nations transnational security system, focusing on its constitutional framework, regulatory instruments, and operational practices in the context of global governance and sustainable development agenda. It states that INTERPOL functions as a key operational mechanism in the architecture of transnational security, complementing the normative and political role of the United Nations in addressing cross-border threats such as terrorism, cybercrime, organized crime, and financial offences.

The study presents core INTERPOL legal and regulatory instruments, including the 1956 Constitution, the Rules of Procedure of the General Assembly, the Executive Committee procedures, and the Rules on the Processing of Data (RPD). It demonstrates that these instruments **collectively establish a hierarchical legal order** in which secondary regulations operationalize constitutional principles, particularly those related to legality, human rights protection and international police cooperation. The article further situates INTERPOL within broader theoretical debates on global governance. Drawing on scholars such as Anne-Marie Slaughter and Michael Zürn, it conceptualizes global **governance as a multi-layered system of transnational networks** involving states, international organizations, and regulatory bodies. Within this framework, INTERPOL is understood as a transgovernmental policing network that facilitates real-time cooperation among national law enforcement agencies.

The analysis also connects INTERPOL's activities with the United Nations Sustainable Development Goals (SDG 16 in particular), emphasizing shared objectives related to peace, justice, and strong institutions. It highlights INTERPOL's Global Policing Goals as a practical manifestation of this alignment.

Keywords: *transnational security, global governance, international law enforcement cooperation, United Nations Sustainable Development Goals (SDGs).*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. INTERPOL. (1956). Constitution of the International Criminal Police Organization
2. INTERPOL. (2011). Rules on the Processing of Data.
3. Britannica Editors. (n.d.). Transnational threats. Encyclopaedia Britannica.
4. Heywood, A. (2014). Global Politics (2nd ed.), Palgrave Macmillan.
5. United Nations. (2004). A more secure world: Our shared responsibility. Report of the High-level Panel on Threats, Challenges and Change. United Nations.
6. United Nations. (1945). Charter of the United Nations.
7. Baylis, J., Smith, S., & Owens, P. (2020). The globalization of world politics: An introduction to international relations (8th ed.). Oxford University Press.
8. Zürn, M. (2018). A theory of global governance: Authority, legitimacy, and contestation. Oxford University Press.
9. Slaughter, A.-M. (2004). A new world order. Princeton University Press.
10. Deflem, M. (2002). Policing world society: Historical foundations of international police cooperation. Oxford University Press.
11. United Nations Office on Drugs and Crime. (2000). United Nations Convention against Transnational Organized Crime. United Nations.
12. INTERPOL. (2023). Global Policing Goals.
13. United Nations. (2015). Transforming our world: The 2030 agenda for sustainable development. United Nations.

თორნიკე ჩიქოვანი
სტუ, დოქტორანტი

ტერორიზმისა და ჰიბრიდული ომის ურთიერთმიმართება და ფსიქოსოციალური ფაქტორების როლი თანამედროვე უსაფრთხოების გარემოში

თანამედროვე საერთაშორისო უსაფრთხოების გარემო ხასიათდება საფრთხეების მრავალფეროვნებითა და მათი გამოვლინების ფორმების მზარდი კომპლექსურობით. გლობალიზაციის, ტექნოლოგიური განვითარების, საინფორმაციო სივრცის გაფართოებისა და საერთაშორისო ურთიერთობების ტრანსფორმაციის პირობებში უსაფრთხოების ტრადიციული გამოწვევები სულ უფრო ხშირად ერწყმის არატრადიციულ საფრთხეებს, რაც არსებითად ცვლის თანამედროვე კონფლიქტების ბუნებას.

აღნიშნულ პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ტერორიზმისა და ჰიბრიდული ომის ურთიერთმიმართების კვლევა, რადგან თანამედროვე უსაფრთხოების გამოწვევები ხშირად აერთიანებს როგორც ტერორისტული საქმიანობისთვის დამახასიათებელ მეთოდებს, ისე ჰიბრიდული ზემოქმედების მრავალფეროვან ინსტრუმენტებს.

სტატიის მიზანია ტერორიზმისა და ჰიბრიდული ომის ურთიერთკავშირის ანალიზი და იმ ფსიქოსოციალური ფაქტორების შესწავლა, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ თანამედროვე უსაფრთხოების გარემოს ფორმირებაზე. ნაშრომში განხილულია ტერორიზმის, როგორც პოლიტიკური ძალადობის ფორმის, ევოლუცია, მისი ინტეგრაცია ჰიბრიდული ომის სტრატეგიებში და ფსიქოლოგიური, სოციალური და საინფორმაციო მექანიზმები, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება გავლენა ინდივიდუალურ და კოლექტიურ ქცევაზე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შიშის, სოციალური იდენტობის, რადიკალიზაციის, დეზინფორმაციისა და საზოგადოებრივი პოლარიზაციის როლს თანამედროვე უსაფრთხოების გამოწვევების კონტექსტში.

საკვანძო სიტყვები: ტერორიზმი, ჰიბრიდული ომი, ფსიქოსოციალური ფაქტორები, რადიკალიზაცია, საინფორმაციო ომი, უსაფრთხოება, ფსიქოლოგიური ზემოქმედება.

XXI საუკუნის უსაფრთხოების გარემოს ერთ-ერთ უმთავრეს მახასიათებელს წარმოადგენს საფრთხეების ტრანსფორმაცია და მათი გამოვლინების ფორმების მრავალფეროვნება.

თუ წარსულში სახელმწიფოების უსაფრთხოების მთავარი გამოწვევა სამხედრო აგრესია და სახელმწიფოთა შორის შეიარაღებული კონფლიქტები იყო, თანამედროვე ეპოქაში სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს ისეთი მოვლენები, როგორებიცაა ტერორიზმი, კიბერშეტევები, საინფორმაციო ოპერაციები, დეზინფორმაცია, რადიკალიზაცია და სოციალური პოლარიზაცია.

აღნიშნული პროცესები ხშირად ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული და ქმნის კომპლექსურ საფრთხეებს, რომელთა ეფექტიანი მართვა უსაფრთხოების ტრადიციული მიდგომების გადახედვას მოითხოვს.

ტერორიზმი თანამედროვე საერთაშორისო სისტემის ერთ-ერთ ყველაზე ხანგრძლივ და რთულ გამოწვევად რჩება. მიუხედავად იმისა, რომ ტერორიზმი, როგორც პოლიტიკური ძალადობის ფორმა, ისტორიულად ახალი მოვლენა არ არის, მისი თანამედროვე გამოვლინებები მნიშვნელოვნად განსხვავდება წარსული ეპოქებისგან.

თანამედროვე ტერორისტული ორგანიზაციები აქტიურად იყენებენ გლობალიზაციის პროცესებით შექმნილ შესაძლებლობებს, საინფორმაციო ტექნოლოგიებს, სოციალურ ქსელებსა და ტრანსნაციონალურ კავშირებს, რაც მათ საშუალებას აძლევს საკუთარი გავლენა მნიშვნელოვნად გააფართოონ.

ამავდროულად, უსაფრთხოების კვლევებში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ჰიბრიდული ომის კონცეფციამ, რომელიც აღწერს სამხედრო და არასამხედრო ინსტრუმენტების ინტეგრირებულ გამოყენებას პოლიტიკური და სტრატეგიული მიზნების მისაღწევად. როგორც ფრენკ ჰოფმანი აღნიშნავს ნაშრომში „კონფლიქტი XXI საუკუნეში: ჰიბრიდული ომების აღმავლობა“, თანამედროვე კონფლიქტები სულ უფრო მეტად ეფუძნება ტრადიციული სამხედრო ძალის, არარეგულარული მოქმედებების, საინფორმაციო ოპერაციებისა და ტერორისტული მეთოდების ერთობლივ გამოყენებას. აღნიშნული გარემოება ტერორიზმს ჰიბრიდული სტრატეგიების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტად აქცევს [1].

თანამედროვე ტერორიზმისა და ჰიბრიდული ომის ანალიზი შეუძლებელია ფსიქოსოციალური ფაქტორების გათვალისწინების გარეშე. თანამედროვე კონფლიქტები სულ უფრო ნაკლებად არის ორიენტირებული მხოლოდ ფიზიკურ განადგურებაზე და სულ უფრო მეტად მიმართულია ადამიანების ცნობიერებაზე, აღქმებსა და ქცევაზე ზემოქმედებისკენ. ტერორისტული აქტების მთავარი მიზანი ხშირად არა უშუალო ფიზიკური ზიანის მიყენება, არამედ შიშის, დაუცველობისა და გაურკვევლობის ატმოსფეროს შექმნაა. ანალოგიურად, ჰიბრიდული ზემოქმედების სტრატეგიები მიმართულია საზოგადოებრივი აზრის, სოციალური ურთიერთობებისა და პოლიტიკური პროცესების მანიპულირებისკენ.

ამ კონტექსტში ფსიქოსოციალური ფაქტორები თანამედროვე უსაფრთხოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან განზომილებად გვევლინება. ინდივიდუალური და კოლექტიური იდენტობები, სოციალური ნორმები, საზოგადოებრივი განწყობები, ინფორმაციის აღქმის თავისებურებები და ემოციური რეაქციები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს როგორც რადიკალიზაციის პროცესებზე, ისე ჰიბრიდული ზემოქმედების ეფექტიანობაზე. შესაბამისად, თანამედროვე უსაფრთხოების გამოწვევების სრულყოფილი გააზრება მოითხოვს არა მხოლოდ სამხედრო და პოლიტიკური ფაქტორების, არამედ ფსიქოლოგიური და სოციალური მექანიზმების სიღრმისეულ ანალიზსაც.

ტერორიზმისა და ჰიბრიდული ომის ურთიერთმიმართების თეორიული გაგება პირველ რიგში მოითხოვს ორივე ფენომენის კონცეპტუალური საზღვრების განსაზღვრას. ტერორიზმი, როგორც პოლიტიკური ძალადობის სპეციფიკური ფორმა, ისტორიულად განიმარტება როგორც არარეგულარული აქტორების მიერ განხორციელებული მიზანმიმართული ძალადობრივი ქმედებები, რომელთა მთავარი ამოცანაა არა მხოლოდ ფიზიკური ზიანის მიყენება, არამედ პოლიტიკური გზავნილის გადაცემა შიშისა და ზეწოლის გზით. ამასთან, თანამედროვე ტერორიზმის ბუნება მნიშვნელოვნად განსხვავდება კლასიკური გაგებისგან, რადგან იგი სულ უფრო ხშირად იყენებს გლობალიზაციის, ციფრული კომუნიკაციისა და ტრანსნაციონალური ქსელების შესაძლებლობებს.

ჰიბრიდული ომი, თავის მხრივ, წარმოადგენს სახელმწიფოებისა და ზოგჯერ არასახელმწიფო აქტორების მიერ სამხედრო და არასამხედრო საშუალებების ინტეგრირებულ გამოყენებას სტრატეგიული მიზნების მისაღწევად. როგორც ფრენკ გ. ჰოფმანი აღნიშნავს ნაშრომში „ჰიბრიდული ომების აღმავლობა“, თანამედროვე კონფლიქტებში სულ უფრო რთულია მკაფიო ზღვრის გავლება რეგულარულ სამხედრო მოქმედებებს, პარტიზანულ ბრძოლასა და ტერორისტულ საქმიანობას შორის, რადგან ისინი ხშირად ერთიან ოპერატიულ სივრცეში ერთიანდებიან. სწორედ ამ გარემოებაში ტერორიზმი შეიძლება განიხილებოდეს როგორც ჰიბრიდული ომის ერთ-ერთი ფუნქციური ინსტრუმენტი [1].

თანამედროვე უსაფრთხოების კვლევებში ფართოდ არის გავრცელებული მოსაზრება, რომ ტერორისტული ორგანიზაციები ხშირად მოქმედებენ არა მხოლოდ საკუთარი დამოუკიდებელი მიზნებით, არამედ უფრო ფართო სტრატეგიული კონტექსტის ფარგლებში, სადაც მათი მოქმედებები ემსახურება სახელმწიფოთა ან სხვა ძლიერი აქტორების გეოპოლიტიკურ ინტერესებს. ასეთ პირობებში ტერორიზმი შეიძლება იქცეს ჰიბრიდული ზემოქმედების ერთ-ერთ არაპირდაპირ საშუალებად, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იგი გამოიყენება საზოგადოებრივი შიშის გასაძლიერებლად, პოლიტიკური სტაბილურობის შესარყევად ან ინსტიტუციური ნდობის დასასუსტებლად.

ამ პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფსიქოსოციალურ ფაქტორებს, რომლებიც განსაზღვრავს როგორც ტერორიზმის, ისე ჰიბრიდული ომის ეფექტიანობას. სოციალური ფსიქოლოგიის თვალსაზრისით, შიში წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ

კოლექტიურ ემოციას, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვნად შეცვალოს საზოგადოებრივი ქცევა და პოლიტიკური გადაწყვეტილებები. ტერორისტული აქტები სწორედ ამ ემოციურ რეაქციაზეა ორიენტირებული, რადგან მათი გავლენა ხშირად გაცილებით ფართოა, ვიდრე უშუალოდ მიყენებული მატერიალური ზიანი.

როგორც ბერი ბოუმანი და ფრენკ შმიდი აღნიშნავენ კოლექტიური ძალადობის კვლევებში, ტერორიზმის მიზანი ხშირად არის „გადაჭარბებული ფსიქოლოგიური ეფექტის“ შექმნა, როდესაც საზოგადოება რეაგირებს არაპროპორციულად დიდ შიშსა და დაუცველობაზე [2].

ამგვარი ეფექტი პირდაპირ უკავშირდება ჰიბრიდული ომის ლოგიკას, სადაც მთავარი მიზანი არა სამხედრო გამარჯვება, არამედ პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების დესტაბილიზაციაა.

ფსიქოსოციალური ფაქტორების ანალიზისას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სოციალური იდენტობის თეორიას. როგორც ჰენრი ტაჯფელი აღნიშნავს, ინდივიდები საკუთარ თავს განსაზღვრავენ ჯგუფური კუთვნილების საფუძველზე, რაც ქმნის „ჩვენ“ და „ისინი“-ს მკვეთრ დაყოფას [3].

ტერორისტული ორგანიზაციები ხშირად იყენებენ ამ დაყოფას რადიკალიზაციის პროცესში, როდესაც ცდილობენ ინდივიდების ჩართვას ექსტრემისტულ ჯგუფებში და მათში მტრის ხატის ჩამოყალიბებას.

ჰიბრიდული ომის კონტექსტში სოციალური იდენტობის მანიპულირება მნიშვნელოვან სტრატეგიულ ინსტრუმენტად იქცევა. საინფორმაციო ოპერაციები, დეზინფორმაცია და პროპაგანდა ხშირად მიმართულია სწორედ იმ სოციალური დაპირისპირებების გაძლიერებაზე, რომლებიც უკვე არსებობს საზოგადოებაში. შედეგად, იზრდება პოლარიზაცია, სუსტდება სოციალური კოჰეზია და მცირდება სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ ნდობა, რაც ქმნის ხელსაყრელ გარემოს როგორც ტერორისტული აქტივობისთვის, ისე ფართო ჰიბრიდული ზემოქმედებისთვის.

ფსიქოსოციალური მოწყვლადობის კიდევ ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს რადიკალიზაციის პროცესი.

რადიკალიზაცია არ არის ერთჯერადი მოვლენა; იგი წარმოადგენს ეტაპობრივ პროცესს, რომლის დროსაც ინდივიდი ან ჯგუფი თანდათანობით იღებს ექსტრემისტულ იდეოლოგიას და ამართლებს ძალადობის გამოყენებას პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. როგორც ქუინტან ვიქტოროფი აღნიშნავს რადიკალიზაციის კვლევებში, ეს პროცესი ხშირად დაკავშირებულია სოციალური იზოლაციის, ეკონომიკური უთანასწორობის, იდენტობის კრიზისისა და პოლიტიკური გაუცხოების ფაქტორებთან [4].

ჰიბრიდული ომის სტრატეგიები ხშირად იყენებს სწორედ ამ ფსიქოსოციალურ მოწყვლადობებს, რათა გააძლიეროს საზოგადოების შიდა დაყოფა და შექმნას არასტაბილური გარემო. ასეთ პირობებში ტერორიზმი შეიძლება იქცეს არა მხოლოდ დამოუკიდებელ საფრთხედ, არამედ უფრო ფართო სტრატეგიული თამაშის ნაწილად, სადაც სხვადასხვა აქტორი იყენებს მას როგორც ზემოქმედების ინსტრუმენტს.

საინფორმაციო სივრცის როლი ამ პროცესში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. თანამედროვე ციფრული გარემო საშუალებას იძლევა სწრაფად გავრცელდეს როგორც ჭეშმარიტი, ისე მანიპულირებული ინფორმაცია, რაც მნიშვნელოვნად ზრდის საზოგადოებრივი აღქმის კონტროლის შესაძლებლობას. როგორც პიტერ პომერანცევი აღნიშნავს, თანამედროვე საინფორმაციო გარემოში რეალობა ხშირად ხდება კონკურენტული ნარატივების შედეგი და არა ობიექტური ფაქტების ერთიანი სისტემა [5].

ამგვარად, ტერორიზმისა და ჰიბრიდული ომის ურთიერთმიმართება არ შეიძლება განიხილებოდეს მხოლოდ სამხედრო ან უსაფრთხოების კუთხით. იგი წარმოადგენს კომპლექსურ სოციალურ, ფსიქოლოგიურ და ინფორმაციულ ფენომენს, სადაც ძალადობა, აღქმა და პოლიტიკური გავლენა ერთმანეთთან მჭიდროდ არის გადაჯაჭვული.

სწორედ ამ მრავალგანზომილებიანობაში ვლინდება თანამედროვე უსაფრთხოების გარემოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელი – კონფლიქტის გადატანა არა მხოლოდ ფიზიკურ, არამედ მენტალურ და საინფორმაციო სივრცეში.

ტერორიზმისა და ჰიბრიდული ომის ურთიერთმიმართების ანალიზი ცხადყოფს, რომ თანამედროვე უსაფრთხოების გარემოში კონფლიქტის ფორმები მნიშვნელოვნად გასცდა ტრადიციული სამხედრო დაპირისპირების ჩარჩოებს და გადაიტანა თავისი მოქმედების არეალი მრავალგანზომილებიან სივრცეში, სადაც სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური, საინფორმაციო და ფსიქოლოგიური ფაქტორე-

ბი ერთიან სისტემად ფუნქციონირებს. ტერორიზმი ამ სისტემაში აღარ წარმოადგენს მხოლოდ იზოლირებულ კრიმინალურ ან ექსტრემისტულ ფენომენს, არამედ ხშირად ჩართულია უფრო ფართო სტრატეგიულ კონტექსტში, სადაც იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ჰიბრიდული ზემოქმედების ერთ-ერთი ინსტრუმენტი.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ტერორიზმისა და ჰიბრიდული ომის გადაკვეთის მთავარი წერტილი მდგომარეობს მათ საერთო მიზანში – მოახდინონ პოლიტიკური სისტემების დესტაბილიზაცია, საზოგადოებრივი შიშის გაძლიერება და სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ ნდობის შესუსტება. ამ პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფსიქოსოციალურ ფაქტორებს, რომლებიც განსაზღვრავს როგორც ინდივიდუალურ, ისე კოლექტიურ ქცევას. შიში, დაუცველობის განცდა, სოციალური პოლარიზაცია, იდენტობის კრიზისი და ინფორმაციული გაურკვევლობა ქმნის ისეთ გარემოს, სადაც როგორც ტერორისტული აქტები, ისე ჰიბრიდული ოპერაციები აღწევენ მაქსიმალურ ეფექტს.

ფსიქოსოციალური განზომილების ანალიზი ცხადყოფს, რომ თანამედროვე კონფლიქტების ცენტრალური არენა სულ უფრო მეტად ხდება არა ფიზიკური სივრცე, არამედ ადამიანის აღქმა და ცნობიერება.

საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებამ და გლობალური კომუნიკაციის სისტემების გაფართოებამ მნიშვნელოვნად გაზარდა საზოგადოებრივი აზრის მანიპულაციის შესაძლებლობები, რაც ჰიბრიდული სტრატეგიების ეფექტიანობას კიდევ უფრო ზრდის. ამ პირობებში ტერორიზმი ხშირად მოქმედებს როგორც შოკის გენერატორი, რომელიც ქმნის ემოციურ ფონს უფრო ფართო პოლიტიკური და სტრატეგიული ზემოქმედებისთვის.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე უსაფრთხოების პოლიტიკა ვერ იქნება ეფექტიანი მხოლოდ სამხედრო ან სამართალდამცავი ინსტრუმენტების გამოყენებაზე დაყრდნობით. იგი საჭიროებს კომპლექსურ, მრავალდონიან მიდგომას, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ უსაფრთხოების სტრუქტურების გაძლიერებას, არამედ საზოგადოების ფსიქოლოგიური მედეგობის ამაღლებას, საინფორმაციო სივრცის დაცვას, სოციალური კოჰეზიის განმტკიცებას და რადიკალიზაციის პრევენციულ მექანიზმებს.

საბოლოოდ, ტერორიზმისა და ჰიბრიდული ომის ურთიერთმიმართება თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში წარმოადგენს იმგვარ კომპლექსურ ფენომენს, რომლის სრულყოფილი გააზრება შესაძლებელია მხოლოდ ინტერდისციპლინური მიდგომით. უსაფრთხოების, პოლიტიკური მეცნიერების, ფსიქოლოგიისა და კომუნიკაციის თეორიების ერთობლივი ანალიზი ქმნის იმ თეორიულ საფუძველს, რომლის გარეშე თანამედროვე ჰიბრიდული საფრთხეების სწორად შეფასება და მათზე ეფექტიანი რეაგირება პრაქტიკულად შეუძლებელია.

TORNIKE CHIKOVANI – *GTU, PhD Student,*

The Interrelationship between Terrorism and Hybrid Warfare and the Role of Psychosocial Factors in the Contemporary Security Environment

Summary

The contemporary international security environment is characterized by a diversity of threats and an increasing complexity in their manifestations. Under the conditions of globalization, technological development, the expansion of the information space, and the transformation of international relations, traditional security challenges are increasingly intertwined with non-traditional threats, fundamentally reshaping the nature of modern conflicts. In this context, the study of the interrelationship between terrorism and hybrid warfare has gained particular importance, as contemporary security challenges often combine methods characteristic of terrorist activity with a wide range of hybrid influence instruments.ტ

The aim of this article is to analyze the relationship between terrorism and hybrid warfare and to examine the psychosocial factors that significantly influence the formation of the contemporary security environment. The paper discusses the evolution of terrorism as a form of political violence, its integration into hybrid warfare strategies, and the psychological, social, and informational mechanisms through which influence is exerted on both individual and collective behavior. Special attention is devoted to the roles of fear, social identity, radicalization, disinformation, and societal polarization in the context of contemporary security challenges.

Keywords: Terrorism, Hybrid Warfare, Psychosocial Factors, Radicalization, Information Warfare, Security, Psychological Influence.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Hoffman, Frank G. *Conflict in the 21st Century: The Rise of Hybrid Wars*. Arlington, VA: Potomac Institute for Policy Studies, 2007.
2. Schmid, Alex P., *The Routledge Handbook of Terrorism Research*, London: Routledge, 2011
3. Tajfel, Henri, *Human Groups and Social Categories*, Cambridge: Cambridge University Press, 1981
4. Wiktorowicz, Quintan, *Radical Islam Rising*, Bloomington: Indiana University Press, 2005
5. Pomerantsev, Peter, *Nothing Is True and Everything Is Possible*, London: Faber & Faber, 2014

ლევან ცაგარეიშვილი
სდასუ, დოქტორანტი

გადასახადის გადამხდელის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და პრევენცია

გადასხადებისგან თავის არიდება ერთ-ერთი სოციალურად საშიში ეკონომიკური დანაშაულია, რაც ართულებს სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ბიუჯეტის ფორმირებას და ზიანს აყენებს ქვეყნის საფინანსო მდგომარეობას. ამიტომ აღნიშნული დანაშაულის უშუალო ობიექტია სახელმწიფოს ფინანსური ინტერესები. დღეს საქართველოს სახელმწიფო ებრძვის გადასახადის თავიდან არიდებას სხვადასხვა ბერკეტების საშუალებით.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გადასახადისგან თავის არიდებისათვის დგება მხოლოდ მაშინ, როდესაც ქმედება ჩადენილია განზრახ. პირი შეგნებულად არიდებს თავს გადასახადის გადახდას, სწორედ ეს არის მისი მიზანი, რომლითაც თავისთავად ის ზიანს აყენებს ქვეყნის საფინანსო სისტემას.

საკვანძო სიტყვები: *საგადასახადო სამართალდარღვევა, საგადასახადო დანაშაული, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, საგადასახადო სანქცია, პრევენცია.*

შესავალი. საგადასახადო სამართალდარღვევას წარმოადგენს ქმედება, რომელიც არღვევს საგადასახადო კანონმდებლობის ნორმებს. თავის მხრივ კი, მართლწინააღმდეგობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევის საზოგადოებრივი თვისებების მატერიალური მახასიათებლის სამართლებრივ ნიშნებს.

„საგადასახადო სამართალდარღვევად ითვლება მხოლოდ საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული ქმედება. შესაბამისად, ქმედება, რომელიც საგადასახადო კოდექსით არ არის გათვალისწინებული, საგადასახადო სამართალდარღვევად არ ჩაითვლება“ [1. 174].

საგადასახადო სამართალდარღვევა არის საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული და ბრალეული ქმედება.

ქმედებად, რასაკვირველია, უნდა ვიგულისხმოთ მოქმედებაც და უმოქმედობაც. საგადასახადო სამართალდარღვევა, როგორც წესი, არღვევს საგადასახადო სამართლის კონკრეტულ ნორმებს, რაც გამოიხატება საგადასახადო ვალდებულების შეუსრულებლობაში და ასევე არაჯეროვან შესრულებაში.

რასაკვირველია, საგადასახადო სამართალდარღვევა ხელყოფს საგადასახადო და სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტთა წრის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. ამიტომაც საგადასახადო სამართალდარღვევა მიიჩნევა იურიდიული პასუხისმგებლობის საფუძვლად. საგადასახადო სისტემა ვერ იარსებებს პასუხისმგებლობის ინსტიტუტის გარეშე. კანონით დაწყებული გადასახადების გადახდის კონსტიტუციური ვალდებულების შესრულება უზრუნველყოფილია საგადასახადო პასუხისმგებლობის ზომებით.

საგადასახადო პასუხისმგებლობა საგადასახადო-სამართლებრივი ნორმების დარღვევის შედეგია. იგი ყოველთვის დაკავშირებულია სახელმწიფო იძულებასთან, რომელიც მის შინაარსს წარმოადგენს. საგადასახადო პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ საგადასახადო სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში, რომელიც საგადასახადო პასუხისმგებლობის საფუძველია. საგადასახადო პასუხისმგებლობის არსებით ნიშანს მისი რეალიზაციის პროცესუალური ფორმა წარმოადგენს.

ყველა სამართალდარღვევა, რომელიც საგადასახადო სამართალდარღვევებს განეკუთვნება, ზიანს აყენებს ან საფრთხეს უქმნის საგადასახადო სისტემას მთლიანად. დგება გადასახადის გადამხდელის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და პრევენცია.

ძირითადი ნაწილი. საქართველოში ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების

ცვლილებასთან ერთად საგადასახადო სისტემაც ვითარდებოდა, სახეს იცვლიდა. ქართული საგადასახადო სისტემის ნიშნები ჯერ კიდევ ფეოდალურ საქართველოში გაჩნდა. ფეოდალური საქართველოს საგადასახადო სისტემის ერთ-ერთი მთავარი ელემენტი იძულებითი ღონისძიებების გამოყენება იყო.

„დასტურლამალის“, როგორც საჯარო სამართლებრივი აქტის, მნიშვნელობაზე ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა, „დასტურლამალის შექმნით ვახტანგ მეექვსემ სახელმწიფო სამართალს მტკიცე საფუძველი დაუდო.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი არის დანაშაული, კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება.

აქედან გამომდინარე, ვლინდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ძირითადი თავისებურება/პრინციპი – იგი პირს ეკისრება მხოლოდ დანაშაულებრივი ქმედებისათვის, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსით.

საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით გადასახადისთვის თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია 48-ე მუხლით.

„გადასახადის გადახდისაგან თავის არიდებაში დიდი ოდენობით, ობიექტურად დანაშაული ხორციელდება. თანამედროვე მეცნიერები გადასახადის გადაუხდელობისა და ბიუჯეტში შესატანი თანხის შემცირების ორ ძირითად შემთხვევაზე საუბრობენ: 1. გადასახადების გადახდისაგან თავის არიდება (Tax Evasion) – გადასახადების გადაუხდელობა კანონის დარღვევის გზით და 2. (Tax Avoidance) – საგადასახადო ვალდებულებების მინიმიზაცია კანონის ფარგლებში. მეორე შემთხვევაში გადასახადის გადამხდელის მიერ არ ხდება მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენა, არამედ კანონმდებლობის „თეთრი ლაქებით“ და ამგვარი გზით იმცირებს საგადასახადო ტვირთს“ [2. 9].

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის აუცილებელი პირობაა გადასახადისათვის თავის არიდება დიდი ოდენობით.

სსკ 218-ე მუხლის შენიშვნის თანახმად, დიდ ოდენობად ითვლება გადასახდელი გადასახადის თანხა, რომელიც აღემატება ასი ათას ლარს. სისხლის სამართლის კოდექსში ასახული ეს დებულება ეფუძნება საგადასახადო კოდექსის 275-ე მუხლის მე-4 ნაწილს, სადაც დადგენილია, რომ „პირის მიერ საგადასახადო დეკლარაციაში გადასახადის თანხის 100 000 ლარზე მეტით შემცირება მიიჩნევა გადასახადისაგან თავის არიდებად და იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით დადგენილი წესით“ [3].

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გადასახადისაგან თავის არიდებისათვის დგება მხოლოდ მაშინ, როდესაც ქმედება ჩადენილია განზრახ. პირი შეგნებულად არიდებს თავს გადასახადის გადახდას, სწორედ ეს არის მისი მიზანი, რომლითაც, თავისთავად, ის ზიანს აყენებს ქვეყნის საფინანსო სისტემას.

როდესაც საუბარია იურიდიული პირის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობაზე გადასახადის გადახდისაგან თავის არიდებისათვის, აქ იგულისხმება პირები, რომლებიც უშუალოდ ხელმძღვანელობენ იურიდიულ პირებს (მაგალითად, დირექტორი). ასევე, პირები, რომლებსაც ამ ორგანიზაციაში/საწარმოში გააჩნიათ ისეთი თანამდებობა, რაც დაკავშირებულია წარსადგენ საგადასახადო/საანგარიშგებო დოკუმენტაციასთან (მაგალითად, მთავარი ბუღალტერი ან სხვა ნებისმიერი თანამდებობრივად დაკავშირებული პირი).

არაერთგზისი დანაშაული ნიშნავს წინათ ნასამართლევი პირის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლის თანახმად გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას.

„საგადასახადო სფეროში ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების გამოძიებისას საჭიროა იმის გათვალისწინება, რომ საგადასახადო ურთიერთობები არ რჩება უცვლელი. საგადასახადო დელიქტის ჩადენის მექანიზმები და საშუალებები სულ უფრო და უფრო სრულყოფილი და დახვეწილი ხდება. თუმცა, პრაქტიკაში არ ითვალისწინებენ საგადასახადო ურთიერთობების არსებულ ცვლილებებს, აღნიშნული კი თავს იჩენს საქმის გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს. გამომდინარე აქედან, პრაქტიკული მასალა არასაკმარისია საქმის თეორიული განზოგადებისათვის და გამოძიების სრულფასოვანი მეთოდიკის შექმნისათვის. გადასახადისთვის თავის არიდების სისხლის სამართლის საქმის გამოძიების პრაქტიკის ასეთი თავისებურებები, რომელთაგანაც ძირითადს წარმოადგენს შედეგი: პირველ რიგში, საჭირო და აუცილებელია შესწავლა და გაანალიზება ნორმატიული ქმედებისა,

რომლებიც არეგულირებენ გადასახადის გადამხდელის სამართლებრივ მდგომარეობას, მის სტატუსს, უფლებასა და მოვალეობას, გადასახადის გადახდის წესრიგს, პირობებსა და რეჟიმს, რომელთაგან თავის არიდება ერაცხება გადასახადის გადამხდელს ბრალად. გარდა ამისა, საჭიროა შესწავლილ იქნეს გამოსაძიებელ საქმესთან არსებული გადასახადის გადამხდელის საქმიანობის საფინანსო, სამეურნეო, ეკოლოგიური საკითხების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები, რომელთა დარღვევითაც, გამოძიების მოსაზრებით, გამოწვეულია გადასახადისათვის თავის არიდება. გადასახადის გადამხდელის მოქმედების სისხლისსამართლებრივი შეფასება ეფუძნება ბლანკეტურ კანონმდებლობას. ასეთ კანონმდებლობაზე დაფუძნებული მისი მოქმედების იურიდიული შეფასებისას, განსაკუთრებით საჭირო და აუცილებელია, გათვალისწინებულ იქნას, რომ დანაშაული და ქმედების დასჯადობა განისაზღვრება ამ ქმედების ჩადების მომენტისათვის მოქმედი კანონით [4. 387].

საგადასახადო დანაშაულებზე პროკურორების მიერ სისხლის სამართლის საქმეებზე და სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენის საკმაოდ დიდი წილი დაკავშირებულია საგადასახადო კანონმდებლობის შეცვლასთან და ამის შესახებ გამომძიებლის არსებულ საქმის ვითარებაში გაურკვევლობით.

საგადასახადო დანაშაულების საქმეებზე განზრახვის დადგენა წარმოადგენს რთულ ამოცანას. ზოგჯერ გადასახადისათვის თავის არიდების განზრახვის დამტკიცება ხდება გამოძიების პროცესში მთავარი პრობლემა.

ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის სწორად განსაზღვრაზე დიდად არის დამოკიდებული შესაბამისი, ანუ მაპროვოცირებელი სასჯელის დანიშვნა. ქმედების არასწორი და არაზუსტი შეფასება კი იწვევს ისეთი სასჯელის დანიშნვნას, რომელიც ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების სიმძიმეს არ შეესაბამება.

საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი შესაძლებელს ხდის გამოიყოს ის ხარვეზები და ნაკლოვანებები, რაც ახასიათებს საგადასახადო სამართალდარღვევის ფაქტზე საქმის წარმოებას.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, გადასახადისაგან თავის არიდება, ეკონომიკურ დანაშაულობათა სტრუქტურაში შემავალ დანაშაულთა კატეგორიას განეკუთვნება.

მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფა განვითარების ნებისმიერ საფეხურზე მყოფი სახელმწიფოს უმთავრესი ამოცანაა.

საგადასახადო სამართალდარღვევა და დანაშაული ანგრევს ხალხის წარმოდგენას კეთილსინდისიერ მეწარმესთან მიმართებაში.

დასკვნა. საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფა განვითარების ნებისმიერ საფეხურზე მყოფი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. დღევანდელი მდგომარეობით არ არსებობს მსოფლიოში სახელმწიფო, სადაც მუდმივად არ დაობდნენ საგადასახადო პოლიტიკის თაობაზე. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ საგადასახადო სისტემა უნდა ესადაგებოდეს ეკონომიკურ მდგომარეობას და ადეკვატურად უნდა შეესაბამებოდეს მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებს.

გამომდინარე აქედან, საგადასახადო კანონმდებლობა მუდმივ ცვალებადობასა და სრულყოფას უნდა განიცდიდეს. უმჯობესია, თუკი სისხლის სამართლის ცალკე მუხლით იქნება გათვალისწინებული, რომელი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის შეიძლება იურიდიულ პირს შეეფარდოს სასჯელის სახე – ლიკვიდაცია. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, საგადასახადო და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა გამოიყოს.

საქართველოში ბოლო დროს განხორციელებულმა საგადასახადო რეფორმამ ნაწილობრივ გამოასწორა საგადასახადო კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები, თუმცა გადასახადის გადამხდელის უფლებების დაცვის მექანიზმების სრულყოფისათვის კიდევ ძალიან ბევრია გასაკეთებელი.

აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, საქართველოს საკანონმდებლო სისტემასი აუცილებელია ცვლილებების განხორციელება.

LEVAN TSAGAREISHVILI – *SDASU, PhD Student*

Criminal Liability and Prevention of Taxpayers

Summary

Tax evasion represents one of the socially dangerous economic crimes that significantly complicates the formation of both state and local self-government budgets and negatively affects the country's financial stability. Consequently, the primary object of this crime is the financial interests of the state. In modern conditions, the Government of Georgia actively combats tax evasion through various legal, administrative, and institutional mechanisms aimed at strengthening fiscal discipline and ensuring proper tax compliance.

Criminal liability for tax evasion arises only when the act is committed intentionally. In such cases, the taxpayer deliberately avoids fulfilling the obligation to pay taxes, which constitutes the main purpose of the unlawful act. Such behavior not only violates tax legislation but also causes significant harm to the country's financial system and undermines the effective functioning of public finances.

Keywords: *tax offense, tax crime, criminal liability, tax sanction, prevention.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. როგავა ზ., „საგადასახადო სამართალი“, წიგნი მეორე, თბილისი, 2017.
2. გვარამაძე, „საგადასახადო ვალდებულებების შესრულება და შეუსრულებლობა“, ჟურნალი „ადმინისტრაციული სამართალი“, №1, თბილისი, 2013.
3. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 17/09/2020, მუხლი 275, ნაწილი 4. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717?publication=175
4. გაბისონია ი., ბარამია თ., „საგადასახადო სამართალი (ზოგადი ნაწილი)“, თბ., 2021.
5. როგავა ზ., „გადასახადები, საგადასახადო სისტემა და საგადასახადო სამართალი“, თბილისი, 2002.
6. გაბისონია ი., „საგადასახადო სამართალი, გადასახადის გადამხდელის უფლებების დაცვის მექანიზმები“, თბილისი, 2013.
7. გაბისონია ი., გაბელია ჯ., „საგადასახადო დანაშაულებრივ ქმედებათა კვალიფიკაციის პრობლემა“, ჟურნალი „იურისტი“, №1, თბილისი, 2016.
8. გაბისონია ი., „გადამხდელის უფლებების დაცვის პრობლემატური საკითხები საგადასახადო სამართალდარღვევათა საქმეებზე“. ჟურნალი „იურისტი“, I, თბილისი, 2016.
9. ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი“, წიგნი II, თბილისი, 2016.
10. მამნიაშვილი მ., გლოველი ც., „იურიდიული პირის სასჯელის მიმართება სამეწარმეო კანონმდებლობასთან“, სტუ-ის ბიზნეს ინჟინერინგის ფაკულტეტის სამართლის დეპარტამენტის პირველი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები“, თბილისი, 2014.
11. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბილისი, 2025.

ლევან ცაგარეიშვილი
სდასუ, დოქტორანტი

საგადასახადო სამართალდარღვევა და პასუხისმგებლობა საგადასახადო სამართალდარღვევისთვის

საგადასახადო ვალდებულება გადასახადის გადამხდელის ყველაზე მნიშვნელოვანი იურიდიული ვალდებულებაა. საქართველოს კონსტიტუცია საგადასახადო სამართლის ძირითადი წყაროა. სამართლის ნორმის განმტკიცების საკითხს სამართალში ფარდების პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

საგადასახადო სამარაალდარღვევა არის საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. ქმედებაში იგულისხმება მოქმედებაც და უმოქმედობაც. საგადასახადო სამართალდარღვევა, როგორც წესი, არღვევს საგადასახადო სამართლის კონკრეტულ ნორმებს, რაც გამოიხატება საგადასახადო ვალდებულებების შეუსრულებლობაში და ასევე არაჯეროვან შესრულებაში.

საკვანძო სიტყვები: *საგადასახადო ვალდებულება, გადასახადის გადამხდელი, სამართლის ნორმა, საგადასახადო სამართალდარღვევა, საგადასახადო დანაშაული, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, საგადასახადო კანონმდებლობა, საგადასახადო სანქცია*

თანამედროვე მსოფლიოში გადასახადი სახელმწიფოს ფინანსური რესურსების ძირითადი წყაროა. ვერც ერთი სახელმწიფო ვერ იარსებებს თავისი ფინანსური რესურსების გარეშე. ამასთან, კანონით დადგენილი გადასახადების გადახდის კონსტიტუციური ვალდებულების შესრულება უზრუნველყოფილია პასუხისმგებლობის ზომებით.

სამართლის მოთხოვნები უნდა იყოს მორალურად გამართული, ანუ სამართალი უნდა იზიარებდეს ამა თუ იმ საზოგადოებაში არსებულ საყოველთაოდ მიღებულ შეხედულებებსა და ღირებულებებს. ასეთი სამართლის არსებობას შეუძლია დაარწმუნოს ადამიანი, რომ მისი მოთხოვნები სწორია და ხალხის ინტერესებში შედის. საგადასახადო კოდექსი კარგი მაგალითია, ვინაიდან თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე, სამართლიანია, გადაახდევინო პირს გადასახადი იმ შემთხვევაში, როდესაც მის მდგომარეობაში მყოფი სხვა პირი ამ გადასახადს იხდის.

გადასახადების სისტემა არის ორგანიზაციულ-სამართლებრივი და ეკონომიკური ერთიანობის მქონე ცალკეული გადასახადების ერთობლიობა.

„საგადასახადო სამართალდარღვევები, როგორც წესი, უმეტეს შემთხვევაში გადასახადის არასწორად გამოანგარიშებას, ასევე ბიუჯეტში მათ არასრულად ან არადროულად გადახდას უკავშირდება. საგადასახადო სამართალდარღვევათა ძირითად სახეს გადასახადისგან თავის არიდება წარმოადგენს, თუმცა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ხასიათიდან გამომდინარე, აღნიშნული სამართალდარღვევის გარდა, შეიძლება გამოვყოთ სამართალდარღვევები საგადასახადო ორგანოების მაკონტროლებელი ფუნქციების წინააღმდეგ, საგადასახადო აღრიცხვის წარმოების, საგადასახადო დეკლარაციების შედგენისა და წარდგინების დადგენილი წესების წინააღმდეგ, საგადასახადო ვალდებულების შესრულების წესის წინააღმდეგ, გადასახადის გადამხდელთა უფლებების წინააღმდეგ და სხვა“ [1. 59].

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 269-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „საგადასახადო სამართალდარღვევად ითვლება პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რომლისთვისაც ამ კოდექსით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა.

საგადასახადო სამართალდარღვევას წარმოადგენს ქმედება, რომელიც არღვევს საგადასახადო კანონმდებლობის ნორმებს. თავის მხრივ კი მართლწინააღმდეგობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევის საზოგადოებრივი თვისებების მატერიალური მახასია-

თებლის სამართლებრივ ნიშნებს. „საგადასახადო სამართალდარღვევად ითვლება მხოლოდ საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული ქმედება. შესაბამისად, ქმედება, რომელიც საგადასახადო კოდექსით არ არის გათვალისწინებული, საგადასახადო სამართალდარღვევად არ ჩაითვლება“ [2. 174].3.

საგადასახადო სამართალდარღვევა არის საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. რასაკვირველია, უნდა ვიგულისხმოთ მოქმედებაც და უმოქმედობაც.

„საგადასახადო პასუხისმგებლობა თავის გამოხატულებას სამართლის ნორმის შესაბამის ნაწილში პოულობს, რომელსაც სანქცია ეწოდება“ [2. 150].

„საგადასახადო სამართალდარღვევის საქმის წარმოება მოიცავს საგადასახადო სამართალდარღვევის გამოვლენისას სამართალდარღვევის ოქმის შედგენის, საქმის განხილვის, სანქციის შეფარდების, გადაწყვეტილების მიღების და მიღებული გადაწყვეტილებების აღრიცხვის პროცედურებს“ [2. 150].

„საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის, ქმედების სიმძიმიდან გამომდინარე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს ადმინისტრაციული ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა“ [3].

სხვადასხვა სახელმწიფოთა თეორიული კვლევებისა და კანონმდებლობის შესწავლა აღნიშნულ სფეროში იძლევა ეროვნული ცოდნის გამდიდრების შესაძლებლობას საინტერესო უცხოური გამოცდილებით, ხოლო ცალკეული იურიდიული კონსტრუქციები შეიძლება გამოყენებული და ადაპტირებული იქნეს ეროვნული სისხლის სამართლის კანონმდებლობაში“ [4. 366-367].

საგადასახადო სამართალდარღვევა, როგორც წესი, არღვევს საგადასახადო სამართლის კონკრეტულ ნორმებს, რაც გამოიხატება საგადასახადო ვალდებულების შეუსრულებლობაში და ასევე არაჯეროვან შესრულებაში. რასაკვირველია, საგადასახადო სამართალდარღვევა ხელყოფს საგადასახადო და სამართლებრივი ურთიერთობების სუბიექტთა წრის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. ამიტომაც საგადასახადო სამართალდარღვევა მიიჩნევა იურიდიული პასუხისმგებლობის საფუძვლად. საგადასახადო სისტემა ვერ იარსებებს პასუხისმგებლობის ინსტიტუტის გარეშე. კანონით დაწესებული გადასახადების გადახდის კონსტიტუციური ვალდებულების შესრულება უზრუნველყოფილია საგადასახადო პასუხისმგებლობის ზომებით.

საგადასახადო პასუხისმგებლობა საგადასახადო სამართლებივი ნორმების დარღვევის შედეგია. იგი ყოველთვის დაკავშირებულია სახელმწიფო იძულებასთან, რომელიც მის შინაარსს წარმოადგენს. საგადასახადო პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ საგადასახადო სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში, რომელიც საგადასახადო პასუხისმგებლობის საფუძველია. საგადასახადო პასუხისმგებლობის არსებით ნიშანს მისი რეალიზაციის პროცესუალური ფორმა წარმოადგენს.

ყველა სამართლდარღვევა, რომელიც საგადასახადო სამართალდარღვევებს განეკუთვნება, ზიანს აყენებს ან საფრთხეს უქმნის საგადასახადო სისტემას მთლიანობაში.

საგადასახადო სამართალდარღვევის ობიექტური მხარის მთავარი ნიშანია ქმედება. საგადასახადო სამართალდარღვევა შეიძლება ჩადენილ იქნას როგორც აქტიური მოქმედებით, ასევე პასიური უმოქმედობით.

ყადაღადადებული ქონების განკარგვა, საგადასახადო ორგანოს ან აღსრულების ორგანოს ეროვნული ბიუროს ლუქის ახსნა-მოქმედებით ჩადენილი საგადასახადო სამართალდარღვევების მაგალითებია.

საგადასახადო სამართალდარღვევის შემადგენლობა ოთხი ნიშნით გამოიხატება: სამართალდარღვევის ობიექტი, სამართალდარღვევის ობიექტური მხარე, სამართალდარღვევის სუბიექტური მხარე და სამართლდარღვევის სუბიექტი.

უნდა აღინიშნოს, რომ რაც შეეხება სამართალდარღვევის სუბიექტურ მხარეს, იგი გამოხატავს სამართალდარღვევის ჩამდენი პირის (ფსიქიკურ) დამოკიდებულებას სამართალდარღვევის ობიექტური მხარის კონკრეტული ნიშნებისადმი. ფაქტობრივად, სუბიექტური მხარის ნიშნები სამართალდარღვევის შინაარსს ასახავენ. სამართლდარღვევის სუბიექტად გვევლინება ფიზიკური პირი, საწარმო ან ორგანიზაცია, საგადასახადო კოდექსის ტერმინოლოგიით, „გადასახადის გადამხდელი“.

„იურიდიული პასუხისმგებლობის სხვა სახეებისგან განსხვავებით, საგადასახადო პასუხისმგებლობის გამოყენებისას მხედველობაში არ მიიღება ქმედების განზრახი და გაუფრთხილებელი ხასიათი, რაც მის მნიშვნელოვან

ხარვეზად უნდა მივიჩნიოთ. საგადასახადო პასუხისმგებლობა, როგორც წესი, დგება ობიექტური შერაცხვის პრინციპით. ამასთან, უმეტეს შემთხვევაში, მხედველობაში არ მიიღება, გადამხდელის ქმედებაში ადგილი ჰქონდა განზრახვას თუ სამართალდარღვევა ჩადენილია დაუდევრობის, გამოუცდელობის ან გამოანგარიშების დროს დაშვებული შეცდომის შედეგად, რაც პრაქტიკულად ერთ რიგში აყენებს უცოდინარ გადამხდელებს კრიმინალურ ელემენტებთან“ [3. 547].

საგადასახადო პასუხისმგებლობას გააჩნია სამი საფუძველი, ესენია: „ფორმალური (ნორმატიული), ე.ი. მისი მომწესრიგებელი ნორმატიული აქტების სისტემა, რომელიც ადგენს საგადასახადო სამართალდარღვევათა შემადგენლობებს, სამართალდაცვითი ურთიერთობის მონაწილეთა უფლებებსა და ვალდებულებებს, განსაზღვრავენ საგადასახადო პასუხისმგებლობის პრინციპებს, გამოყენების წესსა და პროცესუალურ ფორმებს:

- ფაქტობრივი, ე.ი. საგადასახადო სამართლის კონკრეტული სუბიექტის ქმედება, რომელიც არღვევს პასუხისმგებლობის ზომებით დაცულ სამართლებრივ ნორმებს;
- პროცესუალური, ე.ი. უფლებამოსილი ორგანოს აქტი (გადაწყვეტილება) კონკრეტული, სანქციის დაკისრების შესახებ“ [5. 541].

„საგადასახადო სამართალდარღვევის ჩადენისას წარმოიშობა გარკვეული სამართლებრივი ურთიერთობა, რომელშიც ორი მხარე მონაწილეობს: საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენტური ორგანოსა და სამართალდარღვევის სახით. ასეთი სახით ურთიერთობას კი საგადასახადო სამართლებრივ ურთიერთობას უწოდებენ. სახელმწიფო უფლებამოსილ მხარეს წარმოადგენს, ხოლო სამართალდამრღვევი – ვალდებულ მხარეს.

ამასთანავე, კანონით გაწერილია საგადასახადო ადმინისტრირების განმხორციელებელი მოხელის კომპეტენცია საგადასახადო სამართალდარღვევის გამოვლენისათვის საჭირო პროცედურული მოქმედებების წესების, ფორმებისა და საშუალებების გამოყენების თაობაზე, კერძოდ: საგადასახადო კოდექსის 286-ე მუხლის პირველი ნაწილის განსაზღვრული სამართალდარღვევის გამოყენების მიზნით, ამავე მუხლის მე-13 ნაწილის შესაბამისად: საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილ თანამშრომელს უფლება აქვს გააჩეროს პირი და სატრანსპორტო საშუალება, მოსთხოვოს მას პირადობის დამადასტურებელი საბუთი, სატრანსპორტო საშუალებისა და საქონლის თანმხლები საბუთები, მოახდინოს სატრანსპორტო საშუალების ვიზუალური დათვალიერება, შესაბამისი პირის და სატრანსპორტო საშუალების მძღოლის დაუმორჩილებლობის შემთხვევაში უფლება აქვს გამოიყენოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები. საგადასახადო სამართალდარღვევის გამოვლენისას საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი ადგენს საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმს“ [6. 80].

საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი ფართო უფლებამოსილებითაა აღჭურვილი, როგორც ფაქტობრივი გარემოებების დადგენის, ასევე მათი შეფასების თვალსაზრისით, მაგრამ მისი ეს მოქმედება უნდა ეფუძნებოდეს კანონიერების პრინციპს, რაც საგადასახადო სამართლებრივ ურთიერთობებში გულისხმობს იმას, რომ სამართალდარღვევის პასუხისმგებლობა პირს უნდა დაეკისროს მხოლოდ და მხოლოდ საგადასახადო კოდექსით დადგენილი საფუძვლითა და წესით, ამასთანავე, სამართლებრივი ნორმები უნდა იყოს მკაფიოდ განსაზღვრული, ნათელი და არაორაზროვანი. კანონი უნდა აიძულებდეს უფლებამოსილ პირს შეასრულოს კანონით დადგენილი მოთხოვნები, სხვა შემთხვევაში არსებობს მაღალი ალბათობა იმისა, რომ დაირღვეს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული რეგულაცია, რითაც ბუნებრივია, ილახება ადამიანის უფლებები და კანონიერი ინტერესები.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 270-ე მუხლის თანახმად, საგადასახადო სანქცია არის პასუხისმგებლობის ზომა ჩადენილი საგადასახადო სამართალდარღვევისთვის.

საგადასახადო სანქცია, როგორც საგადასახადო პასუხისმგებლობის ზომა, შეესაბამება იურიდიული სანქციის ნიშნებს, კერძოდ:

- საგადასახადო სანქცია საგადასახადო-სამართლებრივი ნორმის ელემენტია. ამიტომ ჯარიმა არსებობს საგადახადო სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტის მიუხედავად;
- საგადასახადო სანქციის გამოყენებისათვის ერთადერთ კანონიერ საფუძველს პირის მიერ საგადასახადო სამართალდარღვევის ჩადენა წარმოადგენს;

- საგადასახადო სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში საგადასახადო სანქცია გამოიყენება უდავო წესით;
- საგადასახადო სანქციის გამოყენება არ ათავისუფლებს პირს საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევამდე არსებული საგადასახადო ვალდებულების შესრულებისაგან;
- საგადასახადო სანქცია თავისი შინაარსით სამართალდამრღვევი პირის უფლებების აკრძალვაში და შეზღუდვაში გამოიხატება“ [2. 151].

გაფრთხილება, როგორც საგადასახადო პასუხისმგებლობის ზომა, ნიშნავს პირისათვის იმის განმარტებას, თუ რა ზიანი გამოიწვია მისმა ქმედებამ და რა შედეგი მოყვება საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენას.

„საურავი, როგორც საგადასახადო პასუხისმგებლობის ზომა, არის ფულადი გადასახდელი, რომელიც ეკისრება ფისკალურად ვალდებულ პირს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ ვადაში გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში“ [2. 152].

საურავი იურიდიული პასუხისმგებლობის ზომაა. შესაბამისად, მას გააჩნია ამ უკანასკნელის ყველა აუცილებელი ნიშანი:

- საურავის დარიცხვის პირობები დადგენილია საგადასახადო კოდექსით;
- საურავის დარიცხვის საფუძველია საგადასახადო სამართალდარღვევა;
- საურავი საგადასახადო სამართალდარღვევის ჩადენის შედეგია და საგადასახადო ნორმით გათვალისწინებული სანქციის რეალიზაციას უკავშირდება;
- საურავის დარიცხვას თან ახლავს სახელმწიფო იძულება;
- საურავის დარიცხვა სამართალდამრღვევს ქონებრივ ზიანს აყენებს“.

ჯარიმა, როგორც საგადასახადო პასუხისმგებლობის ზომა, არის ფულადი გადასახდელი. საქართველოს საგადასახადო კოდექსის სპეციალური ნორმებით გათვალისწინებული ფულადი ჯარიმები განსხვავდება ერთმანეთისაგან გამოანგარიშების წესით.

ჯარიმის იურიდიული ბუნება არის ის, რომ განეკუთვნება სახელმწიფოს კუთვნილ თანხას და სახელმწიფო უზრუნველყოფს კანონით მისთვის მინიჭებული იძულებითი გადახდევინების მეთოდებით ჯარიმის თანხის მობილიზებას ბიუჯეტში, როგორც გამოანგარიშებადი, ასევე მყარი ჯარიმის.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 271-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საგადასახადო სამართალდარღვევის საქმის აწარმოებს საგადასახადო ორგანო. საგადასახადო სამართალდარღვევის საქმის წარმოების წესს ადგენს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

საგადასახადო სამართალდარღვევები საგადასახადო ვალდებულებების შესრულებასთან ან ნაწილობრივ შესრულებასთან არის დაკავშირებული.

საგადახადო სამართალდარღვევას საქართველოს საგადასახადო კოდექსით მიეკუთვნება შემდეგი მუხლები:

მუხლი 273: გადასახადის გადამხდელად აღრიცხვის წესის დარღვევა,

მუხლი 275: საგადასახადო დეკლარაციაში/გაანგარიშებაში გადასახადის შემცირება;

მუხლი 276: სათამასო ბიზნესის საქმიანობის წესების დარღვევა;

მუხლი 277: საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირისათვის წინააღმდეგობის გაწევა;

მუხლი 278: ყადაღადადებული ქონების განკარგვა და საგადასახადო ორგანოს ან აღსრულების ეროვნული ბიუროს ლუქის ახსნა;

მუხლი 279: საგადასახადო ორგანოსთვის ინფორმაციის წარუდგენლობა;

მუხლი 279[1]: მულტინაციონალური საწარმოს მიერ ანგარიშგების წარდგენის ვადის დარღვევა ან არასრულყოფილი ანგარიშის წარდგენა;

მუხლი 280: გადასახადის უკანონო ჩთვლა;

მუხლი 281: საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენების წესების დარღვევა;

მუხლი 282: დღგ-ისათვის გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა;

მუხლი 283: ბანკის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა;

მუხლი 286: საქონლის დოკუმენტების გარეშე ტრანსპორტირება, რეალიზაცია და აღურიცხველობა;

მუხლი 288: მიკრო და მცირე ბიზნესის საქმიანობის წესის დარღვევა;

მუხლი 288[1]: სპეციალური სავაჭრო კომპანიის მიერ საქმიანობის წესის დარღვევა;

მუხლი 288[2]: ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობის წესის დარღვევა,

მუხლი 288[3]: სავალდებულო მარკირების დაქვემდებარებული არააქციზური საქონლის მარკირების გარეშე მიწოდება, ტრანსპორტირება;

მუხლი 288[4]: საანგარიშო თვის მიხედვით მონაცემებისა და დაკავებული გადასახადის შესახებ ინფორმაციის წარუდგენლობა, დაგვიანებით წარდგენა ან/და არასწორად წარდგენა;

მუხლი 290[1]: სსზ-ის სტატუსის მქონე პირს მიერ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობა;

მუხლი 290[2]: ბაზრობის ორგანიზატორის სტატუსის მქონე პირის მიერ საქართველოს საგადახადო კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობა და მუხლი

მუხლი 291: სხვა ჯარიმები.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის მიზანია დაიცვას საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება.

„სრულიად გაუგებარია, თუ რა საჭიროებას ხედავს კანონმდებელი, დღემდე სამართალდარღვევათა კოდექსში დატოვოს ისეთი მუხლები, როგორიცაა:

მუხლი 164: სახელმწიფო საგადასახადო ორგანოებისა და მათი თანამდებობის პირთა მოთხოვნებისა და მითითებების შეუსრულებლობა;

მუხლი 165: საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშების გახსნის წესის დარღვევა და ბიუჯეტში თანხების გადარიცხვაზე დავალებების შეუსრულებლობა;

მუხლი 165[1]: გადასახადებისა და სხვა სავალდებულო გადასახდელების არასწორად გადახდევინება;

მუხლი 165[10] : საგადასახადო ანგარიშგების ვალდებულების შეუსრულებლობა“ [7. 288].

მაშინ, როდესაც საქართველოს საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს შემდეგ მუხლებს:

მუხლი 273: გადასახადის გადამხდელად აღრიცხვის წესის დარღვევა;

მუხლი 274: საგადასახადო დეკლარაციის /გაანგარიშების წარდგენის ვადის დარღვევა;

მუხლი 275: საგადასახადო დეკლარაციაში/გაანგარიშებაში გადასახადის შემცირება;

მუხლი 277: საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირისათვის წინააღმდეგობის გაწევა;

მუხლი 279: საგადასახადო ორგანოსათვის ინფორმაციის წარუდგენლობა;

მუხლი 280: გადასახადის უკანონო ჩათვლა;

მუხლი 288: საანგარიშო თვის მიხედვით განაცემებისა და დაკავებული გადასახადების შესახებ ინფორმაციის წარუდგენლობა, დაგვიანებით წარდგენა ან/და არასწორად წარდგენა.

საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფა განვითარების ნებისმიერ საფეხურზე მყოფი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. დღევანდელი მდგომარეობით არ არსებობს მსოფლიოში სახელმწიფო, სადაც მუდმივად არ დაობდნენ საგადასახადო პოლიტიკის თაობაზე.

აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ საგადასახადო სისტემა უნდა ესადაგებოდეს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას და ადეკვატურად უნდა შეესაბამებოდეს მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებს. გამომდინარე აქედან, საგადასახადო კანონმდებლობა მუდმივ ცვალებადობასა და სრულყოფას უნდა განიცდიდეს.

საქართველოში ბოლო დროს განხორციელებულმა საგადასახადო რეფორმამ ნაწილობრივ გამოასწორა საგადასახადო კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები, თუმცა გადასახადის გადამხდელის უფლებების დაცვის მექანიზმების სრულყოფისათვის კიდევ ძალიან ბევრი რამეა გასაკეთებელი.

LEVAN TSAGAREISHVILI – *SDASU, PhD Student*

Tax Violation and Liability for Tax Violation

Summary

Tax liability is the most important legal obligation of a taxpayer. The Constitution of Georgia is the main source of tax law. The issue of strengthening the norm of law occupies an important place in the process of legalization.

Tax violation is an illegal and guilty action provided for by the Tax Code of Georgia. Action includes both action and inaction. Tax violation, as a rule, violates specific norms of tax law, which is manifested in non-fulfillment of tax obligations and also in improper fulfillment.

Keywords: *Tax liability, taxpayer, legal norm, tax offense, tax crime, criminal liability, tax legislation, tax sanction.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაბისონია ი., გაბელია ჯ., საგადასახადო დანაშაულებრივ ქმედებათა კვალიფიკაციის პრობლემა, ჟურნალი იურისტი, N1, თბილისი, 2016
2. როგავა ზ. საგადასახადო სამართალი, დამხმარე სახელმძღვანელო,წიგნი მეორე, თბილისი, 2017
3. ავტორთა კოლექტივი, საგადასახადო კოდექსის კომენტარები, წიგნი მეორე, თბილისი, 2012
4. გაბისონია ი., ბარამია თ., საგადასახადო სამართალი (ზოგადი ნაწილი), თბილისი, 2021.
5. საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, რედაქტორი კ. რუხაძე, თბილისი, 2012
6. გაბისონია ი., გადამხდელის უფლებების დაცვის პრობლემატური საკითხები საგადასახადო სამართალდარღვევათა საქმეებზე, ჟურნალი „იურისტი“, N1, თბილისი, 2016
7. როგავა ზ., საგადასახადო სამართალი, საგადასახადო კონტროლი და საგადასახადო პასუხისმგებლობა, პირველი გამოცემა, თბილისი, 2009
8. გაბისონია ი., საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფა, ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“, თბილისი, 2011.
9. გაბისონია ი., საგადასახადო სამართალი, გადასახადის გადამხდელის უფლებების დაცვის მექანიზმები, თბილისი, 2013
10. როგავა ზ. საგადასახადო სამართალი დამხმარე სახელმძღვანელო, წიგნი მესამე, თბილისი, 2017

გიორგი მონიავა
კსუ, დოქტორანტი

ჟურნალისტური საქმიანობა და პირადი არაქონებრივი უფლებები. პირადი ცხოვრების საიდუმლოება

ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძემ აღიარა პატივი და ღირსება „ადამიანის უძვირფასეს და ხელშეუხებელ კუთვნილებად“, ხოლო ტექნოლოგიების განვითარებისა და სამეწარმეო-ეკონომიკური კონკურენციის, იდეოლოგიური სიმრავლისა და პოლიტიკური თუ საარჩევნო დისკუსიების, გლობალური საინფორმაციო, სოციალური სივრცეების, მედიისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა წყაროების სიმრავლის ეპოქამ კი მნიშვნელოვან გამოწვევად აქცია მკაფიო სამართლებრივი ზღვარის გავლება მასობრივი კომუნიკაციის საშუალებათა რეალურ თავისუფლებასა და ამავე საშუალებების მიერ პირადი არაქონებრივი უფლებების ხელყოფას შორის.

ბოლო პერიოდში, შეუიარაღებელი თვალითაც ნათლად ჩანს, რომ მედიები, სოციალური სივრცეები თუ მასობრივი ინფორმაციის სხვა წყაროები გადაიტვირთა უკანონოდ მოპოვებული პირადი ცხოვრების ამსახველი კადრებით, რაც კიდევ ერთი დასტური და შედეგია იმისა, რომ დღეს არ არსებობს სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც აუცილებელია საზოგადოებასა და მის წევრებს შორის უფლება-მოვალეობათა ბალანსის მისაღწევად. ამასთანავე, არც გამართული სასამართლო და სხვა სახის სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ინსტიტუტები არსებობს, რაც აღნიშნული კუთხით სახელმწიფოს არაეფექტიანობის მიზეზს წარმოადგენს.

საკვანძო სიტყვები: *პირადი ცხოვრების საიდუმლოება; პირადი არაქონებრივი უფლებები; პატივი; ღირსება; საქმიანი რეპუტაცია; სიტყვის თავისუფლება; გამოხატვის თავისუფლება.*

შესავალი. თანამედროვე საზოგადოებისთვის პირადი ცხოვრების საიდუმლოება წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფუნდამენტურ უფლებას. ეს უფლება, რომელიც გულისხმობს ინდივიდის შესაძლებლობას, კონტროლი გაუწიოს საკუთარ პირად ინფორმაციას და დაიცვას თავისი პირადი სივრცე, განსაკუთრებით აქტუალური გახდა ციფრულ ეპოქაში.

პირადი ცხოვრების საიდუმლოება არა მხოლოდ იურიდიული კატეგორიაა, არამედ ღრმა ფსიქოლოგიური და სოციალური მნიშვნელობის მატარებელი ცნებაც. ის უზრუნველყოფს ინდივიდის ავტონომიას, ღირსებას და საკუთარი იდენტობის ჩამოყალიბების თავისუფლებას. ამავდროულად, ეს უფლება ხელს უწყობს დემოკრატიული საზოგადოების განვითარებას, რადგან იცავს ადამიანებს სახელმწიფო და კერძო სექტორის ძალაუფლების შესაძლო ბოროტად გამოყენებისგან.

თანამედროვე გამოწვევები, როგორიცაა ბიგ დატა, ხელოვნური ინტელექტი, სოციალური ქსელები და ინტერნეტ ტექნოლოგიები, ახალ განზომილებას ანიჭებს პირადი ცხოვრების საიდუმლოების საკითხს.

ეს გარემოებები მოითხოვს ღრმა ანალიზს და სისტემურ კვლევას იმისა, თუ როგორ შეიძლება ეფექტიანად იყოს დაცული პირადი ცხოვრების საიდუმლოება და ინდივიდუალური ავტონომია უსაფრთხოების, ეკონომიკური განვითარებისა და ტექნოლოგიური პროგრესის ინტერესებთან შეთავსების პირობებში. ამ კონტექსტში, პირადი ცხოვრების საიდუმლოების კვლევა საჭიროებს მულტიდისციპლინურ მიდგომას, რომელიც გაითვალისწინებს იურიდიულ, ეთიკურ, ტექნოლოგიურ და სოციალურ ასპექტებს.

პირადი ცხოვრების საიდუმლოება

ადამიანის პირადი ცხოვრების საიდუმლოებას, როგორც ადამიანის ძირითადი უფლებას, ხელშეუხებელ სიკეთედ აღიარებს საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლი. ანალო-

გიური დატვირთვის მატარებელია „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დეკლარაციის“ მე-12 მუხლი [1], რომელიც ყოველ ადამიანს ანიჭებს უფლებას, მოითხოვოს თავისი პირადი ცხოვრებისადმი პატივისცემა. აღნიშნულ სულისკვეთებას იზიარებს, ასევე, არაერთი საერთაშორისო დოკუმენტი, როგორიც არის „ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენცია“ [2] და „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი“ [3]..

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი პატივის, ღირსებასა და საქმიან რეპუტაციასთან ერთად, იცავს ისეთი სახის არამატერიალურ სიკეთეს, როგორიც არის პირადი ცხოვრების საიდუმლოება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მუხლი დაცვის ობიექტად აღიარებს არა მთლიანად პირად ცხოვრებას, არამედ მხოლოდ პირადი ცხოვრების საიდუმლოებას.

სამოქალაქო კოდექსი არ შეიცავს პირადი ცხოვრების საიდუმლოების ცნების განმარტებას, ამიტომ უნდა გამოვიყენოთ იურიდიულ ლიტერატურაში პირადი ცხოვრების თაობაზე არსებული განმარტება, რომლითაც პირადი ცხოვრება სამართლითა და მორალით მოწესრიგებული ადამიანის ცხოვრების სფეროა, რომლის მიზანია საზოგადოებისაგან პიროვნების შეფარდებითი ავტონომიზაცია, რაც სახელმწიფოსა და თვით პიროვნების მიერ არის უზრუნველყოფილი [4. 148].

ადამიანის ცხოვრების პირადი სფეროს დაცვაში კი იგულისხმება ინდივიდის ცხოვრების წარმართვის ავტონომიური სფეროს აღიარება, რომელშიც იგი საკუთარ თავთან რჩება და საკუთარ ინდივიდუალურობას ავითარებს სხვათა მონაწილეობის გარეშე.

ამერიკულ და გერმანულ სამართალში „საკუთარ თავთან დარჩენის უფლება“ პირადი სფეროს დაცვის უფლების კონსტრუქციის გამოვლინებაა. ამასთან ამერიკულ სამართალში იგი სიცოცხლის უფლების „სიცოცხლით ტკბობის უფლებად“ განმარტების საფუძველზე ჩამოყალიბდა [4. 148].

საქართველოში პირადი ცხოვრების საიდუმლოს დაცვის კუთხით, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მონაპოვარად შეიძლება ჩაითვალოს 1997 წლის საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და მისი მე-18 მუხლი, რომელიც ეთმობა პირად არაქონებრივ უფლებებს. მითითებული ნორმის მესამე და მეოთხე ნაწილები შეიცავენ შემდეგ სპეციალურ რეგულაციებს:

ა) თუ პირის პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის ან პირადი ცხოვრების საიდუმლოების შემცველი ცნობები გავრცელებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებებით, მაშინ მათი უარყოფაც უნდა მოხდეს ამავე საშუალებით;

ბ) პირს, რომლის პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობებიც გამოქვეყნდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, უფლება აქვს გამოაქვეყნოს საპასუხო ცნობები ინფორმაციის იმავე საშუალებებში.

მე-18 მუხლის თაობაზე საუბრისას, აუცილებელია აღინიშნოს, რომ დასახელებულმა ნორმამ, საბჭოთა პერიოდისაგან განსხვავებით, შესაძლებელი გახადა სახელის შეცილების, სხვისი სახელით უნებართვოდ სარგებლობის, პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის, პირადი ცხოვრების საიდუმლოებისა და პირადი ხელშეუხებლობის, გამოსახულებაზე უფლებების ბრალეულად ხელყოფის შემთხვევებში მორალური ზიანის ანაზღაურება. თუმცა, აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ 1997 წლის სამოქალაქო კოდექსმა მორალური ზიანი ნებადაურთველ მოქმედებათა სფეროს მიაკუთვნა და მისი ანაზღაურების/კომპენსაციის ვალდებულება მხოლოდ ბრალეულ ქმედებას და კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებს დაუკავშირა.

მიუხედავად წინ გადადგმული ნაბიჯებისა, სამოქალაქო კოდექსის მე-18.2 მუხლის თავდაპირველი რედაქცია გარკვეული ნაკლით ხასიათდებოდა, ვინაიდან მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გავრცელებულ ცნობათა უარყოფას მიიჩნევდა ხელყოფილი პატივის, ღირსების და საქმიანი რეპუტაციის დაცვის ერთადერთ საშუალებად.

ამ დეფინიციის გამოძახილი დღემდე გვხვდება სამოქალაქო კოდექსში, სადაც მე-18 მუხლის მე-3 ნაწილი შეიცავს დანაწესს, რომლითაც დაზარალებულს საპასუხო ცნობების გამოქვეყნების უფლება ენიჭება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მასმედიაში გამოქვეყნდება პირის პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის ან პირადი საიდუმლოების შემლახველი ცნობები.

აღნიშნულ ნორმათა ხარვეზიანობა, ასევე, ვლინდება იმ ფაქტითაც, რომ სამოქალაქო კოდექსის მე-18.3 მუხლით დადგენილი ეს წესი, რომელიც პირადი ცხოვრების საიდუმლოების დაცვას უნდა ემსახურებოდეს, აღნიშნული უფლების დაცვის არაადეკვატურ საშუალებას წარმოადგენს, რადგან პირადი ცხოვრების შემ-

ცველი ცნობები, ძირითადად, სინამდვილეს შეესაბამება, თუმცა, არ არსებობს სურვილი მათი აფიშირებისა და შესაბამისად, მათი უარყოფის გამოქვეყნება აზრს კარგავს, ვინაიდან ვერ უარყოფ იმას, რასაც რეალურად მართლაც ჰქონდა ადგილი.

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ თუ პირის პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციისა თუ პირადი ცხოვრების საიდუმლოების შემლახველი ცნობები, თავისი შინაარსით, არ არის ცილისმწამებლური, მაგრამ მძიმედ შეურაცხყოფს დაზარალებულს, სამოქალაქო კოდექსის მე-18.3 მუხლის ამჟამინდელი რედაქციიდან გამომდინარე, ვერ დადგება მასობრივი ინფორმაციის საშუალებების პასუხისმგებლობის საკითხი.

აღნიშნულს ემატება ის ფაქტი, რომ სამოქალაქო კოდექსის მე-18.4 მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, პირს, რომლის საქმიანი რეპუტაციაც შეილახა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, საპასუხო ცნობების გამოქვეყნების უფლება შესაძლებლობას აძლევს, გამოაქვეყნოს აღნიშნული ცნობები ინფორმაციის მხოლოდ იმავე საშუალებებში. რაც შეეხება საპასუხო ცნობების სხვა საინფორმაციო საშუალებებში გამოქვეყნების შესაძლებლობას, აღნიშნული სამართლის ნორმა ამ საკითხს დღემდე ღიად ტოვებს.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან ცალსახად გამომდინარეობს აუცილებლობა უფრო თანმიმდევრული, კონკრეტული და ყოვლისმომცველი საკანონმდებლო აქტების მიღებისა, რომელიც სრულყოფილად გადაწყვეტს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ხელყოფილი პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის საკითხს.

ამასთანავე, ხარვეზს აღრმავებს ის გარემოებაც, რომ მოქმედი სამართლებრივი აქტები არ იძლევა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ცნების განმარტებას და მათ ჩამონათვალს. საქართველოს კანონმა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ განმარტა მხოლოდ „მედია“-ს მნიშვნელობა და მათ მიაკუთვნა: მასობრივი კომუნიკაციის, ბეჭდვითი, ელექტრონული საშუალებები და ასევე ინტერნეტი [5].

ამ მიმართებით კანონმდებლობაში არსებულ ხარვეზს ავსებს ზოგადი წარმოდგენა იმასთან დაკავშირებით, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, როგორც წესი, მოიაზრება: გაზეთები, ჟურნალები, ტელე-რადიო პროგრამები, ვიდეო და კინო დოკუმენტალისტიკა, მასობრივი ტირაჟით დაბეჭდილი წიგნები და სხვა პერიოდული ან ერთჯერადი გამოცემები, თუ ისინი განკუთვნილია ინფორმაციის საჯარო გავრცელებისთვის.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ასევე განეკუთვნებიან: ტელე და რადიო მაუწყებლობის რედაქციები, საინფორმაციო სააგენტოები, გამომცემლობები, პერიოდული პრესა და სხვა დაწესებულებები, რომლებიც ქმნიან და ავრცელებენ მასობრივ ინფორმაციას. მასობრივი ინფორმაციის საშუალებაა ასევე მაუწყებელი, რომელიც შეიძლება არსებობდეს საზოგადოებრივი მაუწყებლობის და კერძო მაუწყებლობის სახით. თუმცა, ვინაიდან ეს ჩამონათვალი კანონმდებლობით არ არის დადგენილი, ჯერ კიდევ არაერთგვაროვან წარმოდგენას ქმნის ამ მიმართებით, რაც თავის მხრივ, ართულებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ხელყოფილი პირადი არაქონებრივი უფლებების – პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციისა და პირადი ცხოვრების საიდუმლოების ხელყოფის შემთხვევაში იმ სპეციალური წესის გამოყენებას, რომელიც მოცემულია სამოქალაქო კოდექსის მე-18.3 მუხლში და გულისხმობს ამ ცნობების უარყოფის შესაძლებლობას მასობრივი ინფორმაციის იმავე საშუალებით.

პირადი ცხოვრების საიდუმლოების ცნების განმარტებას არც საქართველოს კონსტიტუცია შეიცავს, თუმცა მისი მე-18 მუხლი აღნიშნავს, რომ „ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, ფინანსებთან ან სხვა პირად საკითხებთან, არავისთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე...“. აღნიშნული მუხლი შეიცავს პირადი ცხოვრების საიდუმლოების სახეების ზოგად ჩამონათვალს და მასში ხაზგასმულია, რომ ადამიანის ჯანმრთელობის, მისი ფინანსების ან სხვა კერძო საკითხების თაობაზე ოფიციალური ინფორმაცია პირადი ცხოვრების საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციებია.

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ პირადი ცხოვრების საიდუმლოების შემადგენელი ნაწილია საექიმო საიდუმლოება, რომელიც უკავშირდება ჯანმრთელობას და საბანკო საიდუმლოება, რომელიც, თავის მხრივ, უკავშირდება ფინანსურ სფეროს.

გარდა ამისა, კანონმდებლობა იცნობს საადვოკატო, მიმოწერის, შვილად აყვანის, სანოტარო, სატელეფონო საუბრებისა და სხვა სახის პირად საიდუმლოებებს.

საექიმო საიდუმლოება

ჩამოთვლილი საიდუმლოებებიდან აღსანიშნავია, ჯანმრთელობას მიკუთვნებული ინფორმაცია და იგი დაცული უნდა იყოს შემდგომი გავრცელებისგან. ანუ, შესაძლებელია, რომ პირის ჯამრთელობის შესახებ ინფორმაცია გავრცელდეს მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებითაც და როგორც ამ, ისე სხვა შემთხვევებში, პირადი ცხოვრების საიდუმლოების დაცვის წესი რეგლამენტირებულია ისეთი სპეციალური კანონით, როგორიცაა „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 10 დეკემბრის კანონი, სადაც მოცემულია საექიმო და სამედიცინო საიდუმლოების განმარტება და ის მთავარი დებულებები, რომლებიც იცავს პაციენტს ისეთი ინფორმაციის გავრცელების შემთხვევაში, რომელიც ეხება მისი პირადი ცხოვრების საიდუმლოებას.

აღნიშნული კანონის მე-3 მუხლის „ჩ“ ქვეპუნქტის თანახმად, სამედიცინო საიდუმლო გულისხმობს ექიმის ან სხვა სამედიცინო პერსონალის მიერ პროფესიული საქმიანობის პროცესში პაციენტის ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის, მისი საზოგადოებრივი ან სამსახურეობრივი საქმიანობის, ოჯახური ან პირადი ცხოვრების შესახებ მიღებულ ინფორმაციას. იგი ასევე მოიცავს ექიმისათვის მიმართვის ფაქტს და სიკვდილის გარემოებებს.

სამედიცინო საიდუმლოების დაცვის მოთხოვნის უფლება კი აქვს პაციენტს. ამდენად, „ჯანმრთელობის შესახებ“ კანონის 42-ე მუხლი საექიმო საიდუმლოების დაცვას აკისრებს მედიცინის მუშაკს და ამ სამედიცინო დაწესებულების ყველა თანამშრომელს.

თავის მხრივ, „ყველა თანამშრომელში“ იგულისხმება როგორც მკურნალი ექიმი, ასევე სამედიცინო და არასამედიცინო განათლების მქონე პირები, რომლებიც ეწევიან სამედიცინო საქმიანობას [6].

კერძოდ, მათ რიცხვს მიეკუთვნებიან მედდები, ძიძები, მომვლელები, რეგისტრატორები. შესაძლებელია ასევე მათ რიცხვს მივაკუთვნოთ სტუდენტები და რეზიდენტები, თუ ისინი შესაბამისი ბრძანების საფუძველზე გადიან პრაქტიკას სამედიცინო დაწესებულებაში და ხელი მიუწვდებათ იქ არსებულ ოფიციალურ ჩანაწერებზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ სამედიცინო საიდუმლოება მოიცავს იმ უფლებამოსილებასაც, რომ პაციენტმა მოითხოვოს მისი ავადმყოფობის შესახებ ინფორმაციის გაუხმაურებლობა. თუმცა, ასეთ უფლებასთან ერთად საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ კანონის 45-ე მუხლი ავალდებულებს სამედიცინო პერსონალს, რომ მათ მიერ გადამდები დიაგნოზის დადგენის ან ასეთზე ეჭვის მიტანის ისევე, როგორც სხეულის ფიზიკური, ქიმიური, სხივური და თერმული დაზიანების შემთხვევაში, ინფორმაცია გადასცეს შესაბამის ორგანოებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ სამედიცინო საიდუმლოების დაცვის ვალდებულება გრძელდება პაციენტის გარდაცვალების შემდეგაც. გარდაცვლილი პირის სიკვდილის გარემოებების და სხვა სახის სამედიცინო საიდუმლოების შემცველი კონფიდეციალური ინფორმაციის გამჟღავნება დასაშვებია, თუ ამას მოითხოვენ გარდაცვლილის ნათესავები ან კანონიერი წარმომადგენლები, სასამართლო და საგამოძიებო ორგანოები, ან/და ეს აუცილებელია საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

კიდევ ერთი სპეციალური ნორმატიული აქტის, კერძოდ „პაციენტის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლი ითვალისწინებს პაციენტისა და მისი კანონიერი წარმომადგენლის სასამართლოსთვის მიმართვის უფლებას. ამ ნორმაზე დაყრდნობით მათ შეუძლიათ მოითხოვონ კომპენსაცია ქონებრივი და არაქონებრივი ზიანისა, რომლებიც გამოწვეულია:

1. პაციენტის უფლებების დარღვევით;
2. მცდარი სამედიცინო ქმედებით;
3. სამედიცინო დაწესებულების ფუნქციონირების სხვა ხარვეზებით;
4. სახელმწიფოს მიერ არასწორად განხორციელებული ზედამხედველობითა და რეგულირებით [7].

ზემოთ აღნიშნული სამართლებრივი აქტები კანონების სახით ადგენენ ამ სფეროს მიკუთვნებული პირადი ცხოვრების საიდუმლოების დაცვის წესებს და შესაბამისად, მათი გულმოდგინედ დაცვა ეკისრებათ მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებსაც. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლებელია დადგეს მათი

მესაკუთრის, ჟურნალისტის და თვით იმ პირის პასუხისმგებლობის საკითხიც, ვინც ტექნიკურად ავრცელებს ამ სახის საიდუმლო ინფორმაციას, მაგრამ აშკარად იკვეთება, რომ მხარს უჭერს მის მიერ გავრცელებული ცნობების შინაარსს.

შვილად აყვანის საიდუმლოება

ხშირ შემთხვევაში, პირადი ცხოვრების საიდუმლოების დაცვა დაკავშირებულია ასევე შვილად აყვანასთან. ფაქტია, რომ შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნება ტრამვულ ზემოქმედებას ახდენს არა მხოლოდ ბავშვის ფსიქიკაზე, არამედ მშობელთა მდგომარეობაზეც. სწორედ აღნიშნულმა გარემოებამ განაპირობა შვილად აყვანის საიდუმლოების დაცვისთვის სპეციალური დანაწესის შემოღება, რომელიც მოცემულია როგორც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში (175-ე მუხლი – შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნება), ისე საქართველოს კანონში „შვილად აყვანის შესახებ“.

კანონი „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ გამოირჩევა იმით, რომ შვილად აყვანის საკითხთან დაკავშირებული საიდუმლოების დაცვისა და კონფიდენციალურობის უზრუნველყოფის მიზნით, კრძალავს ისეთი ინფორმაციის გაცემას, რომლითაც შეიძლება დადგინდეს გაშვილებული ბავშვის მონაცემები – სახელი, გვარი, დაბადების ადგილი, თარიღი, მონაცემები მისი ბიოლოგიური მშობლების შესახებ და სხვ.

ამ სფეროში არსებული კანონების მიმოხილვისას აუცილებელია რამდენიმე სიტყვით შევეხოთ საქართველოს კანონს „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“, რადგან იგი არაერთ მნიშვნელოვან სამართლებრივ რეგულაციას შეიცავს საკვლევ თემასთან დაკავშირებით. კერძოდ, მოსამართლე, რომელმაც გამოიტანა შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილება, ბიოლოგიური მშობელი, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენელი, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს თანამშრომელი და შვილად აყვანის პროცედურაში მონაწილე ნებისმიერი პირი ვალდებულნი არიან, რომ საიდუმლოდ დატოვონ შვილად აყვანის პროცედურის განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე მიღებული ინფორმაცია, რადგან აკრძალულია შვილად აყვანის საიდუმლოების გამჟღავნება ბიოლოგიური მშობლის, მშვილებლისა და სრულწლოვანი ნაშვილების თანხმობის გარეშე.

არსებული კანონმდებლობის ანალიზი ცხადყოფს იმასაც, რომ შვილად აყვანის საიდუმლოს დარღვევა შესაძლებელია როგორც ნაშვილებისათვის, ისე მესამე პირისთვის ამ ინფორმაციის შეტყობინების გზით. ამდენად, სავსებით რეალურია, რომ საიდუმლო ინფორმაცია გავრცელდეს მასობრივი კომუნიკაციის საშუალებითაც, რაც დაზარალებულს აძლევს უფლებას, გამოიყენოს ზემოთ ჩამოთვლილი კანონებით გათვალისწინებული ყველა უფლება, მათ შორის შესაძლებლობა, მოითხოვოს მიყენებული სულიერი ტანჯვის შედეგად მორალური ზიანის ანაზღაურება, ვინაიდან აღნიშნული საიდუმლოების გამჟღავნება მორალურ ზიანს აყენებს როგორც არა მხოლოდ ნაშვილებს, არამედ მშობლებსაც. ამასთან, დაცული უნდა იყოს ზემოთ აღნიშნული „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მოთხოვნებიც.

საბანკო საიდუმლოება

პირადი ცხოვრების საიდუმლოებათა სფეროს შეიძლება ეხებოდეს ასევე საბანკო საიდუმლოება. ამიტომ, საბანკო საიდუმლოების დაცვის შესახებ წესების თაობაზე ძირითადი დებულებები მოცემულია ისეთ სპეციალურ კანონებში, როგორებიცაა „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს 2009 წლის 24 სექტემბრის N1676 კანონი და „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს 1996 წლის 23 თებერვლის N121 კანონი. კერძოდ, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონის მე-20.1 მუხლის თანახმად, ეროვნული ბანკის არცერთ მოქმედ თუ ყოფილ საბჭოს წევრს და თანამშრომელს არ აქვს არაუფლებამოსილი პირის კონფიდეციალურ ინფორმაციასთან დაშვების უფლება. ასევე, არ აქვს უფლება, გათქვას ან გამოიყენოს მის ხელთ არსებული ინფორმაცია პირადი სარგებლობისთვის [8].

„კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ კანონის მე-17 მუხლი კი ადგენს საბანკო საიდუმლოების (რომელიც შეიძლება მოიცავდეს პირადი საიდუმლოების შემცველ ინფორმაციასაც) დაცვის სამართლებრივ გარანტიებს. კერძოდ, ბანკის არცერთ თანამშრომელს არ აქვს უფლება დაუშვას ვინმე კონფიდენციალურ ინფორმაციასთან, გათქვას ან გაავრცე-

ლოს, მათ შორის მასმედიის საშუალებით, ასეთი ინფორმაცია ან გამოიყენოს პირადი სარგებლობისთვის. თუმცა, გამონაკლისის სახით, კონფიდენციალური ინფორმაცია შეიძლება მიეცეს საქართველოს ეროვნულ ბანკს, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს და პროკურატურას. სხვა პირებს ამ ინფორმაციის მიღება კი შეუძლიათ მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე [9].

იმ შემთხვევაში, თუ დაირღვევა კანონის ხსენებული სავალდებულო მოთხოვნა და ბანკის მიერ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ისეთი ცნობების გახმაურებას ექნება ადგილი, რომლებიც საბანკო საიდუმლოს წარმოადგენს, პირს, ვისი უფლებებიც დაირღვა, უფლება აქვს, სასამართლოსთვის მიმართვის გზით მოითხოვოს როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის საფუძველზე. აღნიშნულის საფუძველი ისაა, რომ საბანკო სექტორში მომსახურეობის თაობაზე ურთიერთობები კლიენტსა და ბანკს შორის რეგულირდება ხელშეკრულების საფუძველზე. ამდენად, ეს ურთიერთობები წარმოადგენენ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მე-11 და მე-12 მუხლებით დაცულ ობიექტს. შესაბამისად, პირადი საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გავრცელების შემთხვევაში, შელახული უფლების დაცვა უნდა განხორციელდეს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლით.

საადვოკატო საიდუმლოება

ადვოკატის ერთ-ერთი უმთავრესი მოვალეობას პროფესიული საიდუმლოების დაცვა წარმოადგენს. აღნიშნული მას ევალება გასული დროის მიუხედავად და გულისხმობს, კლიენტის თანხმობის გარეშე არ გაავრცელოს, მათ შორის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებითაც, საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში კლიენტისგან მიღებული ინფორმაცია [10].

ასევე, საადვოკატო საიდუმლოს შენახვის ვალდებულება ადვოკატთან ერთად ეკისრება ადვოკატის სტაჟიორს და ადვოკატის თანაშემწესაც.

კანონით იმპერატიულად დადგენილი ამ ვალდებულების დარღვევა იწვევს როგორც „ადვოკატთა შესახებ“ კანონით და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით, ისე სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას, რადგან ამ სახის საიდუმლოების დაცვა ადვოკატს ევალება სამოქალაქო გარიგებით.

რაც შეეხება საადვოკატო საიდუმლოების შინაარსს, მასში იგულისხმება ისეთი ცნობებიც, რომლებიც ეხება პირადი საიდუმლოების სფეროს. ამ სახის ინფორმაციის ცოდნა კი, ხშირ შემთვევაში, პროფესიულ მოვალეობათა ჯეროვანი შესრულებისა და კვალიფიციური იურიდიული დახმარების გაწევის მიზნით, აუცილებელია ადვოკატისთვის.

სანოტარო საიდუმლოება

პირადი ცხოვრების საიდუმლოების ხელყოფას შეიძლება ადგილი ჰქონდეს ასევე სანოტარო სფეროშიც. მისი დაცვის მოთხოვნა პირდაპირ კანონიდან გამომდინარეობს, რადგან ამ სახის საიდუმლოება პირადი ცხოვრების საიდუმლოების შემადგენელი ნაწილია. აღნიშნულის სამართლებრივ საფუძვლებს განსაზღვრავს „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს 2009 წლის 4 დეკემბრის N2283 კანონი. კერძოდ, ამ კანონის მე-8.1 მუხლის თანახმად, ნოტარიუსი მოვალეა საიდუმლოდ შეინახოს მის ხელთ არსებული ყველა სახის ცნობა, რომელიც მისთვის გახდა ცნობილი სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებით. ამასთან, ეს ვალდებულება მას ეკისრება სამსახურიდან განთავისუფლების შემდეგაც. რა თქმა უნდა, პირს, რომლის დავალებითაც შესრულდა სანოტარო მოქმედება, წერილობითი თანხმობით, შეუძლია გაანთავისუფლოს ნოტარიუსი საიდუმლოების (მათ შორის პირადი საიდუმლოების) დაცვის მოვალეობისაგან [11].

ასეთივე უფლებით სარგებლობენ იმ პირის წამომადგენლები და უფლებამონაცვლეები, ვისი დავალებითაც შესრულდა სანოტარო მოქმედება. როდესაც დავალების მიმცემი პირი გარდაცვლილია და მას არ ჰყავს უფლებამონაცვლე ან წარმომადგენელი, საიდუმლოების დაცვის მოვალეობებისგან განთავისუფლებაზე უფლებამოსილია სასამართლო.

აღნიშნული კანონის თანახმად, საიდუმლოების დაცვის მოვალეობებისაგან ნოტარიუსის გათავისუფლებისათვის გათვალისწინებულია ასევე სხვა საფუძვლებიც. კერძოდ, საგამოძიებო ორგანოს ან სასამართლოს მოთხოვ-

ნით ნოტარიუსი გასცემს ცნობებს სანოტარო მოქმედების შესახებ იმ სისხლის სამართლის და სამოქალაქო სამართლის საქმეებზე, რომლებიც საგამოძიებო ორგანოს ან სასამართლოს წარმოებაშია. ნოტარიუსი ვალდებულია სათანადო მოთხოვნის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს ცნობა იმ ქონების ღირებულების შესახებ, რომელიც პირის საკუთრებაში გადავიდა.

თავის მხრივ, საგადასახადო ორგანოს ეკრძალება სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე ინფორმაციის გადაცემა სხვა პირებისათვის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ჩათვლით, აგრეთვე ამ ინფორმაციის გამოქვეყნება საჯარო გამოსვლებში. მეტიც, „ნოტარიატის შესახებ“ კანონის 52.1-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ნოტარიუსმა უარი უნდა თქვას სანოტარო აქტების შესრულებაზე თუ წარმოდგენილი დოკუმენტი შეიცავს პატივისა და ღირსების შემლახველ ცნობებს ან ეწინააღმდეგება ზნეობის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს.

ამდენად, ნოტარიუსისთვის, სანოტარო მოქმედების შესრულებისას, ცნობილი ხდება მრავალი ფაქტი ადამიანის პირადი ცხოვრებიდან, რომელთა გახმაურებაც კლიენტს უბრალოდ არ სურს.

ამრიგად, სანოტარო საიდუმლოების გამჟღავნების, მათ შორის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მეშვეობით მათი გავრცელების შემთხვევაშიც, პირს უფლება აქვს მოითხოვოს პირადი ცხოვრების საიდუმლოების დაცვა სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით. შესაბამისად, თუ ხელყოფასს ბრალეულად აქვს ადგილი, დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს მორალური ზიანის კომპენსაციაც.

დასკვნა. თანამედროვე ტექნოლოგიებისა და გლობალური საინფორმაციო სივრცეების განვითარების პირობებში პირადი ცხოვრების საიდუმლოების დაცვა გახდა ერთ-ერთი ყველაზე მწვავე და აქტუალური საკითხი. ნათელია, რომ არსებული საკანონმდებლო ბაზა ვერ უზრუნველყოფს მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებისგან პირადი არაქონებრივი უფლებების ეფექტიან დაცვას.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობაში არსებობს კომპლექსური სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც მოიცავს საქართველოს კონსტიტუციის, სამოქალაქო კოდექსის და სპეციალური კანონების ნორმებს პირადი ცხოვრების საიდუმლოების სხვადასხვა ასპექტების – საექიმო, საბანკო, საადვოკატო, სანოტარო თუ შვილად აყვანის საიდუმლოებების დაცვის შესახებ, ამ ნორმათა პრაქტიკული გამოყენება და მათი ეფექტიანობა კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება.

განსაკუთრებით პრობლემატურია ბალანსის დამყარება მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოხატვის თავისუფლებასა და ინდივიდის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას შორის. ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება, სოციალური მედიისა და ციფრული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ქმნის ახალ გამოწვევებს, რომლებზე რეაგირებაც სამართლებრივი რეგულაციების მოდერნიზაციას მოითხოვს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია სამართლებრივი ჩარჩოს გაუმჯობესება, რაც უნდა მოიცავდეს არა მხოლოდ კანონმდებლობის სრულყოფას, არამედ სასამართლო სისტემის ეფექტიანობისა და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას და მედია ეთიკის სტანდარტების განვითარებას. მხოლოდ ამდაგვარი კომპლექსური მიდგომის საშუალებით იქნება შესაძლებელი დემოკრატიული საზოგადოებისთვის მისაღები ბალანსის მოძებნა ინფორმაციის თავისუფლებასა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას შორის.

GIORGI MONIAVA – Caucasus international university, *PhD Student*

Journalistic Activity and Personal Non-Proprietary Rights. Privacy of Personal Life

Summary

Theologically and historically anchored, Ilia Chavchavadze already recognized honor and dignity as "the most precious and inviolable possessions of the human being." However, the advance

of technology, intensifying entrepreneurial and economic competition, the pluralization of ideologies and political or electoral debate, and the proliferation of global information and social spheres alongside diverse media and mass-information sources have rendered the drawing of a clear legal boundary between the genuine freedom of mass communication and the infringement of personal non-proprietary rights by those same means a pressing challenge.

Recent developments make this challenge plainly visible: media outlets, social platforms, and other sources of mass information have become saturated with illicitly obtained materials depicting individuals' private lives. This phenomenon both attests to and results from the absence of a comprehensive legislative framework necessary to secure a balance of rights and duties between society and its members. Concomitantly, the lack of well-functioning judicial and other state or civic institutions further evidences the state's inefficacy in addressing these shortcomings.

Keywords: *Privacy of Personal Life; personal non-property rights; honor; dignity; business reputation; freedom of speech; freedom of expression.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Universal Declaration of Human Rights. G.A. Res. 217A (III), U.N. Doc. A/810 at 71 (1948).
2. European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms. November 4, 1950. 213 U.N.T.S. 222.
3. International Covenant on Civil and Political Rights. G.A. Res. 2200A (XXI), 21 U.N. GAOR Supp. (No. 16) at 52, U.N. Doc. A/6316 (1966).საქართველოს კონსტიტუცია
4. კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები. თბ., 2009.
5. საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“. მუხლი 1
6. საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“. მუხლი 3
7. საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების დაცვის შესახებ“. მუხლი 10
8. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ” საქართველოს კანონი. მუხლი 20.1
9. „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ” საქართველოს კანონი. მუხლი 17
10. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი. მუხლი 7
11. საქართველოს კანონი „ნოტარიატის შესახებ“. მუხლი 8.1
12. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
13. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი
14. საქართველოს კანონი „ადვოკატთა შესახებ"
15. საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ"
16. საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ"
17. საქართველოს კანონი „ნოტარიატის შესახებ"
18. საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების დაცვის შესახებ"
19. საქართველოს კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ"
20. საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ"
21. საქართველოს კანონი „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ"
22. მონიავა პ(თ)., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამარათლის ზოგად ნაწილში. თბ., 2013.
23. ჭავჭავაძე ი., თხუზულებათა სრული კრებული 10 ტომად

მამუკა მაღლაკელიძე
სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი,
სპორტის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

კოლხურ-ელინური ეპოსი სპორტულ კულტურაში

ნაშრომში აღწერილია ვანის ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული ნივთები, რომლებიც წარმოადგენენ ნაქალაქარზე მოპოვებულ არქეოლოგიურ მასალებს და მოიცავს ძვ.წ. VIII დან I საუკუნის ჩათვლით პერიოდს. მუშაობა წარმოებდა შემდეგ ექსპონანტებზე, სტრიგილები – საფხეკები, (ძვ.წ. III საუკუნის პირველი ნახევარი), (სურათი 1). მოკრივის ხელი (III-I სს. სურათი 2), ნიკეს ოქროს ქანდაკება და ათლეტის ტორსი, (II-I სს. სურათი 3-4). აღნიშნული ექსპონანტები შესწავლილი იქნა, როგორც სპორტული კულტურის დამადასტურებელი ნივთიერი წყაროები.

საკვანძო სიტყვები: *სტრიგილები (საფხეკები), მოკრივის ხელი, ათლეტის ტორსი, ნიკეს ბრინჯაოს ქანდაკება.*

ვანის ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი 1981 წელს შეიქმნა, აქ დაცულია ვანის ნაქალაქარზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალები და მოიცავს ძვ.წ. VIII დან I საუკუნის ჩათვლით პერიოდს, რომლებიც მდიდარ კულტურულ მემკვიდრეობის ნიმუშად სახელდება.

ვანის ნაქალაქარის არქეოლოგიური აღმოჩენები საინტერესოა, თავისი საბრძოლო იარაღებით, საალყო-საინჟინრო შეიარაღებით. გარდა საბრძოლო შეიარაღებისა, საცავებში ინახება ჩვენთვის მეტად სიანტერესო და ბევრისთვის უცნობი სპორტული კულტურის დამადასტურებელი ნივთები.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა სპორტთან დაკავშირებულ ნივთებზე ყველა ინფორმაციის შესწავლა-დაზუსტება, მათი ღირებულებების წარმოჩენა. მუზეუმი მდიდარია საასპარეზო და სასპორტო ინვენტარით, სპორტული კულტურის დამადასტურებელი სხვა ნივთებით. საჭირო გახდა მათი ძირეული და მეთოდური შესწავლა-დასაბუთება. დაგეგმილი გვქონდა აღნიშნული ნივთების დასურათება ნებართვის საფუძველზე, რაც გარკვეულწილად მოხერხდა.

კვლევის აქტუალურობას განაპირობებს ბოლო 20-30 წლების განმავლობაში გაზრდილი ინტერესი ისეთი საკითხისადმი როგორიცაა კოლხურ-ელინური ეპოსი სპორტულ კულტურაში. კვლევა მნიშვნელოვანია საკუთრივ ქართველი ერის ისტორიის თვალსაზრისითაც, ვინაიდან ძალიან მწირია კვლევები ქართულ სპორტზე და მის როლზე საერთაშორისო სივრცეში. კოლხურ-ელინური ეპოსის კულტურულ-ისტორიული კონტექსტი ხშირად ცოცხლად ეხმიანება ერთიანი ქართული თვითშეგნების ფორმირების საკვანძო საკითხებს და არსებითად ავსებს ჩვენს ცოდნას მათ შესახებ.

საქართველოს მუზეუმებში დაცული ექსპონანტები დიდ ინტერესს იწვევენ ფართო საზოგადოებაში, განსაკუთრებით სტუდენტ-ახალგაზრდობაში, რაც ხელს უწყობს ქვეყნის ისტორიული წარსულისა და მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის შესწავლასა და შენარჩუნებას. გარდა ამისა ვანის რაიონი ისტორიულად მიჩნეულია უძველესი კოლხეთის დაბლობის ერთგვარ ცენტრად, რომელიც მდიდარი იყო თავისი სპორტული ტრადიციებით, ამიტომ მისი კვლევა ამ კუთხით ერთობ დიდ ინტერესს იჩენს, რაშიც ყველაზე მეტად დაგვეხმარა ხსენებული მხარის მუზეუმის შესწავლა.

კვლევა ახალია იმდენად, რამდენადაც ის დეტალურად არავის უწარმოებია ადგილზე სპორტული თვალსაზრისით. გამონაკლისია მხოლოდ პროფესორების, გურამ ძაგანიას, ავთანდილ ციბაძისა და დავით კინწურაშვილის ცნობები, თუმცა ისინი დეტალურ ინფორმაციას ვერ გვაწვდიან აღნიშნულ ნივთებთან დაკავშირებით, რადგან ახლახანს დასრულდა მუზეუმის ძირეული აღდგენა და თამამად შეიძლება ითქვას, რომ მუზეუმი დღეისათვის

უკვე წესრიგშია მოყვანილი, დაზუსტდა ბევრი ინფორმაციაც.

კვლევა ემყარება ისტორიულ აღწერილობას, წერილობითი და ნივთიერი წყაროების მოძიებას, მათ ურთიერთ შედარებას (შედარების მეთოდი), დოკუმენტების შესწავლას. ეფუძნება ისტორიულ-დიალექტიკური მეთოდის გამოყენებას, დაკვირვებას, მეცნიერულ ანალიზს, სინთეზს და ისტორიოგრაფიაში აპრობირებულ სხვა მეთოდებს.

კვლევა დავიწყეთ ვანის არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი საკმაოდ საინტერესო ნივთით, რომელსაც სპეციალისტები სტრიგილებს უწოდებენ (ე.წ. კოვზები), რასაც მოჭიდავეები იყენებდნენ ტანიდან ქონისა და ქვიშის მოსაშორებლად აბანოში შესვლამდე, იგი ბრინჯაოა და თარიღდება ძვ.წ. III საუკუნის პირველი ნახევარით. (სურათი 1).

სურათი 1.

სტრიგილები (ე.წ. კოვზები), ბრინჯაო, ძვ.წ. III საუკუნის პირველი ნახევარი

თუმცა პროფესორ ავთანდილ ციბაძესა და დავით კინწურაშვილს თავიანთ წიგნში „ოლიმპიზმი“ (1998 წ.) აღნიშნული ნივთი კოვზებად, ქაფქირებად აქვთ მოხსენიებული და ათარიღებენ ძვ. წ. IV საუკუნით. უნდა ითქვას, რომ მუზეუმში მუშაობის დროს მე მართლაც ვნახე იქ ბრინჯაოს კოვზები, მაგრამ მათ სხვა დანიშნულება აქვთ, სარიტუალოა, ხოლო სპორტული დანიშნულების გახლავთ სტრიგილები.

სტრიგილების სპორტული დანიშნულება მტკიცდება ქართველი ეთნოგრაფის ივანე გვარამაძის (ვინმე მესხი) ვრცელ კორესპონდეციაში, რომელსაც აქვეყნებს გაზეთ „დროებაში“, 1882 წელს, 17 ოქტომბერს, N 217. ის გვამცნობს, რომ სამესხო საქართველოში იმართებოდა კომპლექსური შეჯიბრებები, რომელიც თავისი პროგრამით, შინაარსით, ორგანიზაციით, დაჯილდოვებითა და სხვა წესებით სრულიად გავდა ძველბერძნულ ოლიმპიურ თამაშებს. „მთელი სათალახ-ხეობისა და მუსხისა სარბიელი (ასპარეზი) ეს ზველის მინდორ-ვაკე ყოფილა. სამ წელს აქ მოიყრიდა თურმე თავს ერობა, ყველიერებში სავარჯიშოდ, ვაჟკაცობის გამოსაცდელად და სხვ. დახელოვნებულ სამამაცო ზნეობაში. აირჩევდნენ თავგმირებს და მეოთხე წელიწადს გარდვიდოდნენ ვანის მთისაკენ ცხრა წყაროს ველობაზედ და იქ შესრულდებოდა საქვეყნო ოლიმპიური თავ გამოჩენილი ვარჯიში.“

ყველასათვის ცნობილია, რომ ძველბერძნული ანტიკური ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შედიოდა ჭიდაობა, რაშიც ბერძენი ათლეტები მთლიანად შიშვლები გამოდიოდნენ, ხოლო ტანზე ისმევდნენ ქონსა და გაცრილ ქვიშას. ჭიდაობის დასრულების შემდეგ, ბუნებრივია წყალი, ერთმანეთში აზელილ ცხიმს, ქვიშასა და ოფლს ვერ მოაშორებდა, ამიტომ აბანოში შესვლამდე ისინი იყენებდნენ აღნიშნულ სტრიგილს.

მე დავინტერესდი და ინტერნეტის საშუალებით მოვიძიე ინფორმაცია, თუ არსებობდა მსოფლიო ისტორიაში სტრიგილების გამოყენების პრაქტიკა რაიმე დანიშნულებისათვის. ვგებულობთ, რომ ვულკანის ამოფრქვევის შედეგად 79 წელს, როდესაც განადგურდა პომპეი (ქალაქი ძველ რომში), 1749 წელს მოხდა ქალაქის აღმოჩენა, გათხრების შედეგად აბანოებ-

ში მიაკვლიეს სტრიგილებს – საფხეკებს. „სახლები, იზიდას ტაძარი, ამფითეატრი- ყველაფერი ხელუხლებლად შემოინახა.

კანცელარიებში ისევ ეწყო ცვილის ფირფიტები, ბიბლიოთეკებში – პაპირუსის გრაგნილები, სახელოსნოებში – იარაღები, აბანოებში – სტრიგილები (საფხეკები)“ (genia.ge, 2016 წ. 27.07). არ არის გამორიცხული, რომ მათ სწორედ სპორტული დანიშნულება ქონდა რომშიც, მით უმეტეს, დღეს არსებული უძველესი ჭიდაობის სტილს ბერძნულ-რომაული ჭიდაობა ქვია. ერთი სიტყვით, ვანში აღმოჩენილი სტრიგილები ადასტურებენ, რომ საქართველოში ნამდვილად იმართებოდა ასპარეზობა არგონავტების მიერ დანერგილი ძველ ბერძნული ოლიმპიადის მსგავსი პროგრამით, რომელშიც შედიოდა ჭიდაობა. ხოლო შიშველი ათლეტები ტანზე ცხიმის მოსაშორებლად იყენებდნენ სტრიგილებს-საფხეკებს. ამ ყველაფერს კი მოწმობს ეთნოგრაფ ივანე გვარამაძის ზემოთ მოყვანილი წერილიც გაზეთ „დროებაში“. რასაც მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომლებიც ადასტურებენ, მათ შორის არქეოლოგიური კოლექციების სპეციალისტი დარეჯან კაჭარავა.

სხვა სპორტის სახეობების ექსპონანტებიდან ერთგვარ დიდ ინტერესს იჩენს ელინისტური ხანის ბრინჯაოს მოკრივის ხელი (სურათი 2), რომელსაც მუშტზე თასმა აქვს შემოხვეული. რაზეც თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი ბერძნული ანალოგის მოკრივის ხელთათმანია. ბერძნები ხელზე იხვევდნენ თასმებს, რომლებიც ხარის ტყავისგან მზადდებოდა და ამგვარად ასპარეზობდნენ. (იხ. აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკა“, გვ. 81).

სურათი 2.

მოკრივის ხელი, ბრინჯაო, ელინისტური ხანა

არსებობს ცნობებიც, რომ თასმების ქვეშ ზოგჯერ ბერძნები თითბრის ნაჭერს იმაგრებდნენ დარტყმის მძიმედ შესასრულებლად, ამიტომ ხშირად პირველობა კრივში სიკვდილით მთავრდებოდა. ვანში აღმოჩენილი მოკრივის ხელის თარიღიც დაზუსტდა, იგი III-I საუკუნეებად თარიღდება და კიდევ ერთხელ ადასტურებს ძველბერძნული ოლიმპიური თამაშების პროგრამით გამართულ ასპარეზობას საქართველოში.

სპორტის ისტორიკოსებისთვის ყველაზე მეტად დამაფიქრებელია კიდევ ერთი ნივთი, ნიკეს ბრინჯაოს სკულპტურა, ანტიკური ხანის, (ძვ.წ. II-I ს.), (სურათი 3).

მოგეხსენებათ ბერძნულ მითოლოგიაში ნიკე „გამარჯვების ქალღმერთის“ სიმბოლოა და არ არის გამორიცხული, მას ერთგვარი პრიზის ფუნქციაც ქონდეს გამარჯვებული სპორტსმენისთვის. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იგი არ გახლავთ ძველბერძნული თამაშების ტრადიციული პრიზი, სადაც ზეთისხილის გვირგვინს იყენებდნენ, თუმცა იყო დამატებითი პრიზებიც, ესეც შეიძლება ამ კატეგორიას ეკუთნოდეს და გამარჯვებული კოლხი ათლეტის საკუთრება იყოს. ან ოლიმპიაში ჩასულ ძველ კოლხ ჩემპიონს ეკუთნოდეს, რადგან გარკვეული დროის შემდეგ ძველბერძნული თამაშები საერთაშორისო სახეს იღებს და მონაწილეთა შორის ჩანან სხვა ქვეყნის სპორტსმენებიც.

სურათი 3.

ნიკე, ბრინჯაო, ანტიკური ხანა, ძვ.წ. II-I ს. N6

სურათი 4.

ჭაბუკის ტორსი, ბრინჯაო, ძვ.წ. II-I ს.



იგივე კატეგორია შეიძლება მივანიჭოთ ძვ.წ. II-I ს-ის ათლეტის ბრინჯაოს ტორსს, რომელსაც თავი არ აქვს, მოტეხილია, დაზიანებულია კიდურებიც (სურათი 4), თუმცა თავისი აღნაგობიდან გამომდინარე, შეუიარაღებელი თვალითაც აშკარად ჩანს, რომ ის ათლეტია, ადვილი შესაძლებელია, რომ მას თავი შემკული ქონდა დაფნის ან ზეთისხილის გვირგვინით, რომელიც კოლხ ათლეტს, ანტიკური ოლიმპიურ თამაშების ჩემპიონს ეკუთნოდა, მას კისერი ოდნავ მარჯვნივ აქვს მიტრიალებული, რაც ოლიმპიონიკების სკულპტურებისთვისაცაა დამახასიათებელი. აღნიშნულზე დაწვრილებით ვიკვლიე მუზეუმის მმართველთან ბატონ ომარ გაბუნიასთან.

ომარ გაბუნია – „მე მთლიანად ვეთანხმები იმ მტკიცებულებებს, რაც ათლეტის ტორსთან და სხვა ექსპონატებთან დაკავშირებით გაქვთ. დგინდება, რომ ტორსი ზემოდან არის ჩამოგდებული და სწორედ მაშინ დაუზიანდა კიდურები, მოტყდა თავიც“. (სურათი 5)

სურათი 5.

ვანის მუზეუმის მმართველი ომარ გაბუნია და მამუკა მაღლაკელიძე



ჩემ კითხვაზე, – „ხომ არ გაგრძელდება არქეოლოგიური გათხრები უახლოეს მომავალში, რაც შესაძლებლობას მოგვცემს სხვა ნივთებთან ერთად ვიპოვოთ ტორსის თავიც“?

ომარ გაბუნია – პასუხობს, – საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ ვანის ნაქალაქარის არქეოლოგიური გათხრების შედეგად მხოლოდ მესამედია შესწავლილი და იგი კიდევ გაგრძელდება, შესაძლოა ვიპოვოთ ტორსის თავიც. მე მინდა არამხოლოდ ნება დაგრთოდ, არამედ მინდა გთხოვოთ, რომ გააგრძელოთ კვლევა ამ კუთხით, რაც წარმოაჩენს მუზეუმისა და რაიონის კულტურას სპორტული კუთხითაც, შესასწავლია სხვა ექსპონანტებიც.

კვლევის შედეგები: ვანის არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ნივთები, სტრიგილები-საფხეკები, მოკრივის ხელი, ნიკეს სკულპტურა და ათლეტის ტორსი, როგორც ნივთიერი წყაროები ადასტურებენ ძველ საქართველოში დამკვიდრებულ მდიდარ სპორტულ ტრადიციებს და სხვა არქეოლოგიურ მასალებთან ერთად, კიდევ ერთხელ წარმოაჩენენ ოდითგანვე ქართველური ტომების დაინტერესებასა და წარმატებებს უძველესს ასპარეზობებში, მათ შორის ოლიმპიურ თამაშებში.

დასკვნა: ვანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული ჩვენს მიერ შესწავლილი სპორტული ექსპონანტები უსიტყვოდ საუბრობენ ქართული სპორტზე და მის როლზე საერთაშორისო სივრცეში. მოწმობენ კოლხურ-ელინურ ახლო კულტურულ ურთიერთობებზე და არქეოლოგიური გათხრების გაგრძელების შემთხვევაში იგი ერთი ორად გამდიდრდება. ათლეტის ტორსის თავის, თუნდაც ერთი ბრინჯაოს დაფნის ფოთლის ან ზეთის ხილის ტოტის აღმოჩენა დიდი სიხარულისა და ინტერესის მომტანი იქნება ქართული საზოგადოებისთვის, რომლებიც კიდევ ერთხელ დაადასტურებენ ანტიკურ ოლიმპიურ თამაშებში უძველესი კოლხების გამარჯვებას, რაც გვაძლევს მოტივაციას კიდევ გავაგრძელოთ კვლევები ამ კუთხით.

MAMUKA MAGHLAKELIDZE - *Doctor of Social Sciences, Associate Professor, University of Sport*

COLCHIAN-HELLENIC EPIC IN SPORTS CULTURE

Summary

The work contains items preserved in the Otar Lordkipanidze Museum of Local Lore in Vani, which are archeological materials excavated in the city and include BC. Period from VIII to I century. I carried work out on the following exhibits, strigils - scrapers (first half of the III century BC) (Figure 1). Boxing hand (III-I centuries. Figure 2), golden statue of Nike and athlete's torso, (II-I centuries. Picture 3-4). I have studied these exhibits as material sources, confirming sports culture.

Keywords: *scrapers, boxer hand, athlete's torso, bronze statue of Nike*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ძაგანია გ., ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ისტორია, თბ., 2016, გვ.68
2. ციბაძე ა., კინწურაშვილი დ., წიგნი „ოლიმპიზმი“ 1998 წ. გვ. 46-47.
3. გაზეთი „დროება“, 1882 წელი, 17 ოქტომბერი, N 217.
4. ვებსაიტი: genia.ge. (2016 წ. 27.07).
5. აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკა“, 1975 წ. გვ. 81.

დავით ძიძიგური
ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

შიში, როგორც ფსიქოლოგიური და ცხოვრებისეული ფენომენი

შიში ყველა ჩვენთანაგანის განუყოფელი ნაწილია; მის გარეშე ჩვენი არსებობა ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა, ვინაიდან უამრავი მისი გამომწვევი მიზეზი არსებობს. ამიტომ შიშისაგან გათავისუფლებისათვის სხვადასხვა სახის ფსიქოლოგიურ დახმარებს უნდა მივმართოთ.

ჩვენი მიზანია დავეხმაროთ ადამიანებს გაერკვნენ ცხოვრებაში, გამოიჩინონ გულისხმიერება, როგორც საკუთარი თავის, ასევე სხვების მიმართ. ასევე გვსურს, ადამიანები დავაფიქროთ სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

საკვანძო სიტყვები: *შიში, ფსიქოთერაპია, ფსიქოკონსულტაცია, ილუზია, განცდა, პიროვნება, გარემო ფაქტორები.*

შიში, ყველა ჩვენთაგანის ანუ ადამიანის ცხოვრების თანმდევი და განუყოფელი ნაწილია, რომელიც თან სდევს ყველა ჩვენთაგანის არსებობას. ისტორიულად ცნობილია, რომ ადამიანს ყოველთვის ჰქონდა მცდელობა დაეძლია და გადაელახა შიში. ნამდვილად ილუზიაა ფიქრი იმაზე, რომ თითქოს შიშის გარეშე ცხოვრება შეგვიძლია. ჩვენ ისღა გვრჩება, რომ ვებრძოლოთ მას საკუთარ თავში და მოვუხმოთ ისეთ საწინააღმდეგო ძალებს, როგორიცაა სიმამაცე, ცოდნა, იმედი, რწმენა და სიყვარული. სწორედ ასე შევძლებთ შისის დამარცხებას. შისისაგან საერთოდ გათავისუფლება ძალიან რთული პროცესია.

უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ შიში არ წყვეტს არსებობას მაშინაც კი, როდესაც მასზე სულაც არ ვფიქრობთი.

თანამედროვე ადამიანს აღარ ეშინია ჭექა-ქუხილის, მზის და მთვარის დაბნელების, რადგან იცის, რომ სამყაროს დაღუპვა ამ დროს შეუძლებელია, მაგრამ თანამედროვე ადამიანი ისეთ შიშებს განიცდის, რომლებიც ადრინდელი კულტურებისათვის უცხო იყო. ასე მაგალითად, ბაქტერიები, სატრანსპორტო ავარიები, სიბერე, სიმარტოვე და ა.შ. დღეისათვის შიში შესასწავლია.

ამრიგად, ილუზიაა იმაზე ფიქრო, თითქოს „პროგრესი“, რომელიც ასევე რეგრესსაც გულისხმობს, როდესმე შიშისაგან გაგვათავისუფლებს, რადგან გამუდმებით ხდება ახალი შიშების აღმოცენება.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ადამიანურ შიშს განსაზღვრავს მისი ცხოვრების პირობები, განწყობა, უნარ-ჩვევები და, ზოგადად, გარესამყარო. საფრთხის დროს შიშის განცდა ყოველთვის გაფრთხილებას ნიშნავს, მაგრამ ამავე დროს იგი შეიცავს იმ იმპულსს, რომელიც საფრთხის დაძლევას მოითხოვს. სავარაუდო შიშის შეგრძნება და ამავე დროს გაცნობიერება ადამიანის მიერ წინსვლას ნიშნავს, რის შედეგადაც ნელ-ნელა პიროვნულ სიმწიფეში შედის. თუ შიშის შეგრძნება და გაცნობიერება არ ხდება, ადამიანი სტაგნაციას და დამუხრუჭებას განიცდის და ბავშვობისდროინდელ დონეზე რჩება. ეს ხდება მაშინ, როდესაც შიშის გადალახვა შეუძლებელია. შიში ისეთ სიტუაციაში გამოვლინდება, როდესაც ადამიანი სრულიად მოუმზადებელია.

განვითარების პროცესი, რომელიც ადამიანის სიმწიფეზეა დამოკიდებული შიშს უკავშირდება, რადგან ყველაფერი, რაც ამ პროცესთან არის დაკავშირებული გარკვეული სიახლის მაუწყებელია.

იმას, რაც ჩვენს ცხოვრებაში პირველად ხდება, გარკვეული შიშიც ახლავს. ადამიანის ზრდა-განვითარება გულისხმობს შიშის დაძლევას, მაგრამ გარკვეული ზომები უნდა მივიღოთ, რაც შიშის წარმატებულ გადალახვას ნიშნავს.

არსებობს ნორმალური და განვითარების შესაბამისი შიშები, რასაც ჯანმდღელი ფსიქიკის ადამიანი დაძლევს.

ასევე უნდა გავიხსენოთ პროფესიულ საქმიანობაში განხორციელებული პირველი მცდელობები, ოჯახის შექმნა, დედობა, შემდეგ კი სიბერე და გარდაცვალება. ყველა ამ მოვლენის განცდა ან გააზრება შიშის თანხ,ებით ხდება.

უნდა აღინიშნოს, ასევე, რომ არსებოს ინდივიდუალური შიშებიც, რომლებიც არატიპიურ შიშებს მიეკუთვნება. ამგვარ შიშებს ადამიანში იწვევს სიმარტოვე, ხალხმრავლობის აუტანლობა, ან პირიქით, დახურული სივრცის შიში „კლაუსტროფობია“ და ა.შ. ასევე, ობობების, ხოჭოების, თაგვების, ქვეწარმავლების და სხვა სახის შიშები. ე.ი. გველა ზემოთ განხილული პროცესები ცხადყოფს, რომ ყველა ადამიანს რამის ეშინია, მაგრამ ცხოვრებისეული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ამ დროს საქმე გვაქვს შიშის სხვადასხვაგვარ ვარიანტებთან.

ახლა კი დროა გავეცნოთ შიშის ოთხ ფორმას:

1. **ერთგულების შიში** – დამოუკიდებლობის დაკარგვის განცდა;
2. **პიროვნებად ჩამოყალიბების შიში** – დაუცველობის და სიმარტოვის განცდა;
3. **ცვლილებების შიში** – რწმენის უქონლობის განცდა;
4. **გარდაუვალობის შიში** – დასასრულისა და შებოჭილობის განცდა.

ნებისმიერი შიში საბოლოოდ ზემოთ ჩამოთვლილი ოთხი ფორმის შიშებიდან ერთერთის სახით გამოვლინდება.

ყველანაირი სწრაფვა შეიცავს შიშს საპირისპირო სწრაფვის მიმართ. მაგრამ ადამიანში ყოველთვის მოქმედებს აღდგენითი ძალები.

მნიშვნელოვანია ის მომენტიც, რომ შიშის განცდა დამოკიდებულია არა მხოლოდ ადამიანის თანდაყოლილ თვისებებზე, არამედ მისთვის ნაცნობ გარემოზე, პიროვნებად ჩამოყალიბების მთელ წარსულზე. ბოლოსდაბოლოს შიშის წარმოშობის მიზეზებს მივყავართ მის ბავშვობასთან.

ამდენად, შიში ადამიანის მიდრეკილებებისა და გარემოპირობების წყალობით მრავალგვარ ელფერს იძენს, თუნდაც ის ფაქტი, რომ ესა თუ ის ადამიანი ზოგიერთ შიშს სხვებზე უფრო მძაფრად განიცდის. ამის მიზეზი სრულიად განსხვავებულ ცხოვრებისეულ პირობებში უნდა ვეძებოთ, ამასთან ოჯახსა და წრესთან ერთად საზოგადოებაც იგულისხმება.

ნორმალურად განვითარებულ ადამიანს შეუძლია შიშთან შებრძოლება და მისი დამარცხება და პირიქით, გარკვეული პრობლემების მქონე ადამიანი უფრო ძლიერად განიცდის ყოველივეს, რაც ხდება.

შიში მძიმე პრობლემად აწვება ადამიანს და შესაძლებელია მისი დაავადების მიზეზიც გახდეს. ყვალზე უფრო მძიმეა ბავშვობაში განცდილი შიში, რადგან ბავშვს არ გააჩნია დამცავი ძალა, რომელსაც იგი შიშს დაუპირისპირებდა. ძალიან რთულია შიშთან ბრძოლა თუ ის თანდათან ძლიერდება და დიდხანს გრძელდება. თუ ადამიანს არ გააჩნია გარკვეული ძალები, რომლითაც შიშს შეეწინააღმდეგება, ე.ი. მისი განვითარება აღარ ხდება და ბავშვობას უბრუნდება.

ისმის კითხვა – როგორ უნდა მოვქცეთ, როდესაც ვერ ვპოულობთ გამოსავალს. ამ შემთხვევაში უნდა მივმართოთ ფსიქოლოგიურ დახმარებას.

ფსიქოლოგიუირი დახმარება – ფსიქოკონსულტირება და ფსიქოთერაპია არის ადამიანთან უშუალო მუშაობა და მიმართულია სხვადასხვაგვარ ფსიქოლოგიურ პრობლემათა გადაჭრაზე, რომლებიც შიდაპიროვნულ და პიროვნებათშორისო ურთიერთობაში წამოჭრილ სიძნელეებს უკავშირდება. ამისათვის ფსიქოთერაპევტს და ფსიქოკონსულტანტს სჭირდება დამიანის გაგება და შეცვლა ანუ შიდაპიროვნულ სფეროში შეღწევა და ამ გზით მასზე ზემოქმედება, რადგანაც პიროვნებათაშორისი პრობლემები და შიდაპიროვნული პრობლემები განუყოფელია ერთმანეთისაგან.

ისმის კითხვა – სად უნდა მიიღოს ადამიანმა ფსიქოლოგიური დახმარება:

1. ადამიანს შეუძლია საკუთარ თავს თვითონ აღმოუჩინოს ფსიქოლოგიური დახმარება;
2. ადამიანმა შეიძლება მიიღოს ფსიქოლოგიური დახმარება ახლობლებისა და მეგობრებისაგან;
3. ადამიანმა შესაძლებელია მიმართოს სპეციალისტებს, რომლებიც იშუალოდ ფსიქოლოგიური დახმარების გაწევით არიან დაკავებულნი.

ბოლოს მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი მიზანია დავეხმაროთ ყველა ადამიანს, რათა გაერკვნენ საკუთარ ცხოვრებაში და, ამავე დროს, იყვნენ გულისხმიერნი როგორც საკუთარი თავის, ასევე სხვების მიმართაც.

ამავე დროს მოუწოდებთ ყველა ადამიანს კარგად დაფიქრდნენ მის და სხვის ქცევაზე და რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ასევე ამ ქცევების შედეგებზე.

Fear as a psychological and life phenomenon

Summary

Fear is an integral parts of our self. There are so many reasons that cause fear and it is impossible to give without it. Different (methods) psychological methods are used to get rid from fear.

Our goal is to make people more aware towards life, themselves and others problems, also support them in there thinking processes.

Key words: *experience, fear, illusion, personality, psychotherapy, psycho consulting*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. იმედაძე ი., მასალები ფსიქოანალიზისა და განწყობის თეორიის შედარებითი ანალიზისთვის. „მაცნე“, 2004, #1.
2. რიმანი ფრ., „შიშის ძირითადი ფორმები, 2014.
3. Майре Д., «Социальная психология», М., 2000.
4. ნადირაშვილი შ., „პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია“, თბ., 1975.
5. ნადირაშვილი შ., „ადამიანის პრობლემა განწყობის ანთროპულ თეორიაში“, „მაცნე“-2, 1992.
6. გერიგი რ., ზიმბარდო, „ფსიქოლოგია და ცხოვრება“, თბ., 2002.
7. Гринберг Дж., «Управление стрессом», СПБ, 2002.
8. Селье Г., Стресс без дистресса, М., 1979.

მამუკა ამაშუკელი
სტუ, დოქტორანტი

ეკონომიკური უსაფრთხოების ძირითადი ასპექტები

წინამდებარე სტატია განიხილავს ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფციის თეორიულ ევოლუციას, მის ინტელექტუალურ საფუძვლებსა და თანამედროვე მნიშვნელობას გლობალიზაციის პირობებში. ანალიზი აჩვენებს, რომ ეკონომიკური უსაფრთხოება ისტორიულად განვითარდა კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ჩარჩოებიდან და ეტაპობრივად ჩამოყალიბდა როგორც მრავალგანზომილებიანი და სისტემური კატეგორია, რომელიც აერთიანებს ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და ინსტიტუციურ ფაქტორებს.

კვლევაში ხაზგასმულია, რომ ეკონომიკური უსაფრთხოების თეორიული საფუძვლები ეფუძნება მრავალმხრივ ინტელექტუალურ ტრადიციას. კლასიკური პოლიტიკური ეკონომია (ადამ სმიტი, დევიდ რიკარდო) ეკონომიკურ უსაფრთხოებას უკავშირებს ეროვნული კეთილდღეობის ზრდას, შრომის პროდუქტიულობასა და საერთაშორისო სპეციალიზაციას, სადაც ეკონომიკური ღიაობა და კონკურენცია განიხილება როგორც განვითარების მთავარი წინაპირობა. ამის საპირისპიროდ, რეალისტური და ნეორეალისტური მიდგომები ეკონომიკურ უსაფრთხოებას განიხილავენ სახელმწიფოს ძალაუფლებისა და საერთაშორისო სისტემაში პოზიციონირების კონტექსტში, სადაც რესურსების კონტროლი და სტრატეგიული სექტორების დაცვა ეროვნული უსაფრთხოების საფუძველს ქმნის.

ლიბერალური და ინსტიტუციონალისტური თეორიები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ საერთაშორისო თანამშრომლობასა და ურთიერთდამოკიდებულებას, რაც ამცირებს კონფლიქტების რისკებს და ზრდის ეკონომიკური სისტემის პროგნოზირებადობას. მარქსისტული და მსოფლიო-სისტემური ანალიზი კი ყურადღებას ამახვილებს გლობალური ეკონომიკის სტრუქტურულ უთანასწორობაზე, კრიზისების ციკლურ ხასიათსა და ცენტრი–პერიფერიის ასიმეტრიაზე. თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება ადამიანური უსაფრთხოების კონცეფცია, რომელიც ეკონომიკურ უსაფრთხოებას უკავშირებს ინდივიდის დაცვას სიღარიბისგან, უმუშევრობისა და სოციალური დაუცველობისგან.

სტატიაში ნაჩვენებია, რომ გლობალიზაციის პროცესებმა ეკონომიკური უსაფრთხოება ერთდროულად გახადა უფრო ეფექტიანი და უფრო მოწყვლადი. ფინანსური ბაზრების ინტეგრაციამ, გლობალური მიწოდების ჯაჭვების გაფართოებამ და ტექნოლოგიურმა ტრანსფორმაციამ გაზარდა ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობები, თუმცა ამავე დროს გააძლიერა კრიზისების ტრანსნაციონალური გავრცელების რისკები. შესაბამისად, ერთ ქვეყანაში წარმოქმნილი ეკონომიკური შოკები სწრაფად აისახება გლობალურ ეკონომიკურ სისტემაზე.

საკვანძო სიტყვები: *ეკონომიკური რისკები, კრიზისების მართვა, სახელმწიფო რეგულირება, გლობალური ეკონომიკური ინტეგრაცია.*

შესავალი. ეკონომიკური უსაფრთხოების ცნება თანამედროვე პოლიტიკური და აკადემიური დისკურსის ერთ-ერთ ცენტრალურ კატეგორიად არის ჩამოყალიბებული, თუმცა მისი თეორიული საფუძვლები ისტორიულად გაცილებით ადრეულ ეტაპებზე, პოლიტიკური ეკონომიის, საერთაშორისო ურთიერთობებისა და სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების კლასიკურ ნაშრომებში იღებს სათავეს.

ტრადიციულად, უსაფრთხოება განიხილებოდა სამხედრო-სტრატეგიული საფრთხეების კონტექსტში, თუმცა XX საუკუნის მეორე ნახევრიდან, განსაკუთრებით ცივი ომის დასრულების შემდეგ, უსაფრთხოების კონცეფცია მნიშვნელოვნად გაფართოვდა და მასში ეკონომიკური, სოციალური და ინსტიტუციური განზომილებები სრულფასოვნად ინტეგრირდა. ამ პროცესმა ეკონომიკური უსაფრთხოება აქცია არა მხოლოდ სახელმწიფოს ფუნქციონირების,

არამედ საზოგადოების სტაბილურობისა და ინდივიდის კეთილდღეობის ერთ-ერთ ფუნდამენტურ საყრდენად.

ძირითადი ტექსტი

ეკონომიკური უსაფრთხოების თეორიული ანალიზი ეფუძნება მრავალმხრივ ინტელექტუალურ ტრადიციას, რომელიც აერთიანებს კლასიკურ პოლიტიკურ ეკონომიას, საერთაშორისო ურთიერთობების რეალისტურ და ნეორეალისტურ სკოლებს, ლიბერალურ და ინსტიტუციონალისტურ მიდგომებს, მარქსისტულ და ნეომარქსისტულ ანალიზს, ასევე თანამედროვე ადამიანური უსაფრთხოების კონცეფციას. თითოეული ეს თეორიული მიმართულება ეკონომიკურ უსაფრთხოებას განსხვავებული პერსპექტივით განიხილავს, რაც განაპირობებს მისი როგორც კომპლექსური და მრავალდონიანი ფენომენის გააზრებას.

ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეპტუალური საფუძვლები სათავეს იღებს კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ტრადიციიდან, სადაც ეკონომიკური კეთილდღეობა და ეროვნული სიმდიდრე განიხილება სახელმწიფოს ძალაუფლებისა და სტაბილურობის მთავარ წყაროდ. მიუხედავად იმისა, რომ კლასიკური ავტორები არ იყენებდნენ ტერმინს „ეკონომიკური უსაფრთხოება“ მისი თანამედროვე მნიშვნელობით, მათი ნაშრომები ქმნის იმ თეორიულ ჩარჩოს, რომელშიც აღნიშნული ცნება მოგვიანებით ჩამოყალიბდა.

ადამ სმიტი თავის ნაშრომში ხაზს უსვამს, რომ ეროვნული კეთილდღეობა ეფუძნება შრომის პროდუქტიულობას, რესურსების ეფექტიან განაწილებას და ეკონომიკური პროცესების ორგანიზაციულ სრულყოფილებას. მისი ანალიზის მიხედვით, „ერების სიმდიდრე“ არ განისაზღვრება მხოლოდ ფულადი მასით, არამედ მოიცავს წარმოების მოცულობასა და საზოგადოების საერთო ეკონომიკურ კეთილდღეობას [1].

სმიტის მიერ შემუშავებული შრომის დანაწილების პრინციპი წარმოადგენს ეკონომიკური უსაფრთხოების ერთ-ერთ ფუნდამენტურ ეკონომიკურ საფუძველს, ვინაიდან სპეციალიზაცია ზრდის პროდუქტიულობას, ამცირებს დანახარჯებს და აფართოებს ეროვნული შემოსავლის მასშტაბს. შესაბამისად, ეკონომიკური სიუხვე ქმნის სახელმწიფოს შესაძლებლობას განახორციელოს სოციალური, ინფრასტრუქტურული და თავდაცვითი პოლიტიკა, რაც პირდაპირ უკავშირდება ეროვნული უსაფრთხოების გაძლიერებას.

ამასთანავე, სმიტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს თავისუფალი ბაზრისა და კონკურენციის მექანიზმს, რომელიც მისი „უხილავი ხელის“ კონცეფციაში გამოიხატება. იგი მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური ეკონომიკური ინტერესების რეალიზაცია კონკურენტულ გარემოში საბოლოოდ უზრუნველყოფს საზოგადოებრივი კეთილდღეობის ზრდას [1].

ამ თვალსაზრისით, ეკონომიკური უსაფრთხოება დაკავშირებულია არა დახურულ, არამედ ღია და კონკურენტულ ეკონომიკურ სისტემასთან.

დევიდ რიკარდო თავის ნაშრომში ავითარებს შედარებითი უპირატესობის თეორიას, რომლის მიხედვითაც საერთაშორისო ვაჭრობა ეფექტიანია მაშინაც კი, როდესაც ქვეყანა ყველა პროდუქტში არ ფლობს აბსოლუტურ უპირატესობას. ამ თეორიას ეკონომიკური უსაფრთხოების გაგებაში შემოაქვს ორი მნიშვნელოვანი ელემენტი: საერთაშორისო სპეციალიზაცია და ურთიერთდამოკიდებულება [2[.

რიკარდოს მოდელის მიხედვით, ქვეყნების ეკონომიკური უსაფრთხოება დაკავშირებულია გლობალურ ბაზრებში ინტეგრაციასთან, რაც ამცირებს რესურსების დეფიციტისა და იზოლაციის რისკებს. ამგვარად, ეკონომიკური უსაფრთხოება აღარ განიხილება მხოლოდ თვითკმარობის კატეგორიად, არამედ მოიაზრება როგორც გლობალურ ეკონომიკურ სისტემაში ეფექტიანი ჩართულობის შედეგი.

თუმცა, კლასიკური ეკონომიკური თეორია გარკვეულ შეზღუდვებსაც შეიცავს, ვინაიდან იგი ეფუძნება სრულყოფილი კონკურენციისა და სტაბილური ბაზრების დაშვებას, რაც რეალურ ეკონომიკურ სისტემებში ყოველთვის არ სრულდება. აღნიშნული თეორიები ნაკლებ ყურადღებას უთმობს ეკონომიკურ ციკლებს, ფინანსურ კრიზისებსა და სოციალური უთანასწორობის სისტემურ გავლენას სახელმწიფო სტაბილურობაზე, რაც შემდგომში გახდა მარქსისტული ანალიზის ცენტრალური საგანი.

რეალისტური და ნეორეალისტური სკოლები ეკონომიკურ უსაფრთხოებას განიხილავენ სახელმწიფოს ძალაუფლებისა და საერთაშორისო სისტემაში პოზიციონირების კონტექსტში. ჰანს მორგენთაუ აღნიშნავს, რომ ეკონომიკური რესურსები პირდაპირ განსაზღვრავს სახელმწიფოს პოლიტიკურ და სამხედრო ძალას [4].

ქენეთ ვოლცი საერთაშორისო სისტემას აღწერს როგორც ანარქიულ გარემოს, სადაც სახელმწიფოები იძულებული არიან დამოუკიდებლად უზრუნველყონ საკუთარი უსაფრთხოება [4].

ამ კონტექსტში ეკონომიკური უსაფრთხოება განიხილება როგორც რესურსების კონტროლის, ენერგეტიკული დამოუკიდებლობისა და სტრატეგიული სექტორების დაცვის ერთიანი სისტემა.

ლიბერალური და ინსტიტუციონალისტური მიდგომები ეკონომიკურ უსაფრთხოებას უკავშირებენ საერთაშორისო თანამშრომლობასა და ინსტიტუციურ სტაბილურობას.

რობერტ კიოჰენი და ჯოზეფ ნაი აღნიშნავენ, რომ ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება ზრდის პროგნოზირებადობას და ამცირებს კონფლიქტების რისკს [5].

მარქსისტული და მსოფლიო-სისტემური მიდგომები ეკონომიკურ უსაფრთხოებას განიხილავენ სოციალური უთანასწორობისა და კაპიტალისტური სისტემის სტრუქტურული წინააღმდეგობების ჭრილში.

კარლ მარქსი ნაშრომში „კაპიტალი“ აღნიშნავს, რომ კაპიტალიზმი ბუნებრივად წარმოშობს კრიზისებს ზედმეტი წარმოებისა და დისბალანსის საფუძველზე [6].

იმანუელ ვალერსტაინი კი ხაზს უსვამს გლობალური ცენტრისა და პერიფერიის უთანასწორობას [7].

თანამედროვე მიდგომებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ადამიანური უსაფრთხოების კონცეფციას, რომელიც გაეროს განვითარების პროგრამის ანგარიშში ჩამოყალიბდა [8]. ამ მიდგომის მიხედვით, ეკონომიკური უსაფრთხოება გულისხმობს ინდივიდის დაცვას სიღარიბისგან, უმუშევრობისა და სოციალური მარგინალიზაციისგან.

ამრიგად, ეკონომიკური უსაფრთხოების თანამედროვე თეორიული ჩარჩო წარმოადგენს მრავალდონიან ინტეგრირებულ სისტემას, რომელიც აერთიანებს სახელმწიფოს, გლობალური ეკონომიკისა და ინდივიდის დონეებს. იგი სცდება კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ჩარჩოებს და ეფუძნება რეალისტური, ლიბერალური, მარქსისტული და ინსტიტუციონალისტური მიდგომების სინთეზს, სადაც ცენტრალურ ღირებულებად რჩება ადამიანის სოციალური კეთილდღეობა და სახელმწიფოს გრძელვადიანი მდგრადობა.

ზემოაღნიშნული თეორიული ანალიზი და თანამედროვე ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფციის მრავალგანზომილებიანი განხილვა ცხადყოფს, რომ XXI საუკუნეში ეკონომიკური უსაფრთხოება აღარ წარმოადგენს მხოლოდ მაკროეკონომიკური სტაბილურობის ვიწრო ტექნიკურ კატეგორიას. იგი ჩამოყალიბდა როგორც კომპლექსური, სისტემური და სტრატეგიული ხასიათის ფენომენი, რომელიც აერთიანებს სახელმწიფოს ეკონომიკურ მდგრადობას, სოციალურ სტაბილურობას, ინსტიტუციურ გამართულობასა და გლობალურ ეკონომიკურ პროცესებში ეფექტიან ჩართულობას. როგორც კლასიკური, ისე თანამედროვე თეორიული სკოლების ანალიზი აჩვენებს, რომ ეკონომიკური უსაფრთხოება ერთდროულად განისაზღვრება როგორც შიდა ეკონომიკური პოლიტიკის ხარისხით, ისე გარე ეკონომიკური გარემოს დინამიკით, რაც მას მრავალდონიან და ინტეგრირებულ სისტემად აქცევს.

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების გაღრმავება, რამაც ერთი მხრივ გაზარდა ეკონომიკური ზრდისა და განვითარების შესაძლებლობები, ხოლო მეორე მხრივ გააძლიერა სისტემური მოწყვლადობა და კრიზისების ტრანსნაციონალური გავრცელების რისკი. ფინანსური ბაზრების ინტეგრაციამ, გლობალური მიწოდების ჯაჭვების გაფართოებამ და ტექნოლოგიური პროცესების დაჩქარებამ ეკონომიკური სისტემები ერთმანეთზე მეტად დამოკიდებული გახადა, რის შედეგადაც ერთ ქვეყანაში წარმოშობილი შოკი სწრაფად გადაეცემა სხვა ეკონომიკებსაც [9].

ამასთანავე, თანამედროვე კვლევები ხაზს უსვამენ, რომ ეკონომიკური უსაფრთხოება პირდაპირ უკავშირდება ინსტიტუციური გარემოს ხარისხს, სახელმწიფოს რეგულირების შესაძლებლობებსა და კრიზისების მართვის ეფექტიანობას. ძლიერი ინსტიტუციები ქმნიან ეკონომიკური სისტემის მდგრადობის საფუძველს, ამცირებენ კორუფციულ რისკებს, უზრუნველყოფენ ბაზრების გამჭვირვალობას და ზრდიან ინვესტორთა ნდობას, რაც საბოლოო ჯამში აძლიერებს ეროვნული ეკონომიკის გამძლეობას გარე შოკების მიმართ [10].

გლობალური ეკონომიკური კრიზისების გამოცდილებამ, განსაკუთრებით 2008 წლის ფინანსურმა კრიზისმა და COVID-19 პანდემიამ, ნათლად აჩვენა, რომ ეკონომიკური

უსაფრთხოება საჭიროებს არა მხოლოდ ბაზრის თვითრეგულირებაზე დაყრდნობას, არამედ სახელმწიფოს აქტიურ, სტრატეგიულ ჩართულობასაც. აღნიშნულმა მოვლენებმა გამოავლინა როგორც ფინანსური სისტემის მოწყვლადობა, ისე მიწოდების ჯაჭვების სირთულეები და სოციალური დაცვის სისტემების არასაკმარისი მოქნილობა, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს ეკონომიკური პოლიტიკის მრავალსექტორული ინტეგრაციის აუცილებლობაზე [11].

ამ კონტექსტში ეკონომიკური უსაფრთხოება სულ უფრო მეტად განიხილება როგორც სახელმწიფოებრივი სტრატეგიის განუყოფელი ნაწილი, რომელიც მოიცავს მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პოლიტიკას, ფინანსური სისტემის რეგულირებას, სტრატეგიული სექტორების დაცვას, სოციალური პოლიტიკის ინსტრუმენტებსა და საერთაშორისო ეკონომიკურ თანამშრომლობას. ამ კომპლექსურ სისტემაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბალანსს საბაზრო თავისუფლებასა და სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობას შორის, რაც განსაზღვრავს ეკონომიკური სისტემის მდგრადობასა და კრიზისებისადმი გამძლეობას.

ამგვარად, ჩატარებული თეორიული და კონცეპტუალური ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოადგენს მრავალდონიან და ინტეგრირებულ პროცესს, რომელიც საჭიროებს როგორც ინსტიტუციური ჩარჩოების გაძლიერებას, ისე სტრატეგიული სექტორების დაცვას, სოციალური სტაბილურობის განმტკიცებას და გლობალურ ეკონომიკურ პროცესებში ადაპტაციური ჩართულობის უზრუნველყოფას. აღნიშნული გარემოებები ცხადყოფს, რომ ეკონომიკური უსაფრთხოების ეფექტიანი პოლიტიკის ფორმირება შეუძლებელია ერთიანი უნივერსალური მოდელის საფუძველზე და იგი აუცილებლად უნდა იყოს ადაპტირებული კონკრეტული სახელმწიფოს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ რეალობაზე.

შესაბამისად, შემდეგ ეტაპზე აუცილებელია იმ პრაქტიკული და პოლიტიკურ-ეკონომიკური რეკომენდაციების სისტემური ჩამოყალიბება, რომლებიც დაეფუძნება როგორც თეორიულ ანალიზს, ისე თანამედროვე საერთაშორისო გამოცდილებას და მიზნად დაისახავს საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების გრძელვადიან გაძლიერებას, რისკების მინიმიზაციას და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფას.

ჩატარებული თეორიული ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ ეკონომიკური უსაფრთხოება თანამედროვე ეტაპზე წარმოადგენს მრავალგანზომილებიან და სისტემურ კატეგორიას, რომელიც სცდება ტრადიციული მაკროეკონომიკური სტაბილურობის ჩარჩოს და მოიცავს ინსტიტუციურ, სოციალურ, ფინანსურ და გლობალურ განზომილებებს. მისი ევოლუცია განპირობებულია როგორც გლობალიზაციის პროცესებით, ისე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების გაღრმავებით, რაც ერთდროულად ზრდის განვითარების შესაძლებლობებს და სისტემურ რისკებს.

კლასიკური, რეალისტური, ლიბერალური და ინსტიტუციონალისტური თეორიების სინთეზი აჩვენებს, რომ ეკონომიკური უსაფრთხოება არ არის მხოლოდ შიდა ეკონომიკური პოლიტიკის შედეგი, არამედ იგი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სახელმწიფოს ინსტიტუციურ ხარისხზე, გარე ეკონომიკურ გარემოსა და საერთაშორისო თანამშრომლობის დონეზე. ამასთან, თანამედროვე გამოცდილება ადასტურებს, რომ ფინანსური კრიზისები და გლობალური შოკები განსაკუთრებულად ავლენენ ეკონომიკური სისტემების მოწყვლადობას და სახელმწიფოს აქტიური როლის აუცილებლობას.

შესაბამისად, ეკონომიკური უსაფრთხოება ყალიბდება როგორც სახელმწიფოს გრძელვადიანი მდგრადობის უზრუნველყოფის კომპლექსური მექანიზმი, რომელიც აერთიანებს მაკროეკონომიკურ სტაბილურობას, სტრატეგიული სექტორების დაცვას, სოციალური სისტემების გამართულობასა და კრიზისების მართვის ეფექტიანობას. მისი ეფექტიანი რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ ბალანსირებულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ მოდელზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს როგორც საბაზრო მექანიზმებს, ისე სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობას.

ამრიგად, ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოადგენს სახელმწიფოს სტრატეგიულ ამოცანას, რომლის წარმატება დამოკიდებულია ინსტიტუციური სისტემის სიმტკიცეზე, ეკონომიკური პოლიტიკის თანმიმდევრულობაზე და გლობალურ გარემოსთან ადაპტაციის უნარზე.

MAMUKA AMASHUKELI – *GTU, PhD Student*

The Main Aspects of Economic Security

Summary

This article examines the theoretical evolution of the concept of economic security, its intellectual foundations, and its contemporary significance in the context of globalization. The analysis demonstrates that economic security has historically developed from the framework of classical political economy and has gradually evolved into a multidimensional and systemic category encompassing economic, political, social, and institutional factors.

The study emphasizes that the theoretical foundations of economic security are rooted in a broad intellectual tradition. Classical political economy (Adam Smith, David Ricardo) links economic security to the growth of national welfare, labor productivity, and international specialization, where economic openness and competition are regarded as key prerequisites for development. In contrast, realist and neorealist approaches interpret economic security in the context of state power and positioning within the international system, where control over resources and the protection of strategic sectors form the basis of national security.

Liberal and institutionalist theories attach particular importance to international cooperation and interdependence, which reduce the risk of conflict and increase the predictability of economic systems. Marxist and world-systems analyses, in turn, focus on structural inequality in the global economy, the cyclical nature of crises, and center–periphery asymmetries. In the contemporary stage, the concept of human security becomes especially significant, linking economic security to the protection of individuals from poverty, unemployment, and social vulnerability.

The article shows that globalization has simultaneously made economic security both more efficient and more vulnerable. The integration of financial markets, the expansion of global supply chains, and technological transformation have increased opportunities for economic growth, while also intensifying the risk of transnational crisis transmission. Consequently, economic shocks originating in one country rapidly affect the global economic system.

Keywords: *economic risks, crisis management, state regulation, global economic integration, institutional stability.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Smith, Adam, An Inquiry into the Nature and Causes of the Wealth of Nations, London, 1776.
2. Ricardo, David, On the Principles of Political Economy and Taxation, London, 1817
3. Morgenthau, Hans, Politics Among Nations: The Struggle for Power and Peace, New York, 1948.
4. Waltz, Kenneth, *Theory of International Politics*, Massachusetts, 1979.
5. Keohane, Robert; Nye, Joseph, *Power and Interdependence*, Boston, 1977
6. Marx, Karl, Capital, Hamburg, 1867.
7. Wallerstein, Immanuel, *The Modern World-System*, New York, 1974
8. United Nations Development Programme, Human Development Report 1994, New York, 1994
9. Stiglitz, Joseph, Globalization and Its Discontents Revisited, New York, 2022.
10. North, Douglass, Institutions, Institutional Change and Economic Performance, Cambridge, 1990.
11. Bernanke, Ben, The Federal Reserve and the Financial Crisis, Princeton, 2013.
12. Acemoglu, Daron; Robinson, James, Why Nations Fail, New York, 2012
13. Blinder, Alan; Zandi, Mark, How the Great Recession Was Brought to an End, Princeton, 2010
14. Rodrik, Dani, The Globalization Paradox: Democracy and the Future of the World Economy, New York, 2011

თეა ბიძინაშვილი
სტუ, ასოცირებული პროფესორი

ნანა ხითარიშვილი
სტუ, პასისტენტ პროფესორი

მიწის მარკეტინგი რეგიონული ეკონომიკის განვითარების ინსტრუმენტად: საქართველოს მაგალითი

სტატია ეძღვნება მიწის მარკეტინგის როლს რეგიონული ეკონომიკის განვითარებაში და ყურადღებას ამახვილებს საქართველოს სპეციფიკურ კონტექსტზე. მიწა, როგორც ბუნებრივი რესურსი, წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ აქტივს, რომლის ეფექტიანი მართვა და მარკეტინგული მიდგომები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაზე, ინვესტიციების მოზიდვასა და აგროსექტორის ზრდაზე. ნაშრომის ძირითადი მიზანია გამოავლინოს მიწის მარკეტინგის მნიშვნელობა; გაანალიზოს მის მიერ რეგიონის ეკონომიკურ პროცესებზე განხორციელებული ზემოქმედება; შეაფასოს ქვეყნის პოტენციალი მისი ეფექტიანი გამოყენებისთვის და განსაზღვროს კონკრეტული რეკომენდაციები საქართველოს პირობებში.

ნაშრომში წარმოდგენილია რეკომენდაციები მიწის მარკეტინგის განვითარებისთვის საქართველოში, მათ შორის: მიწის ბაზრის გამჭვირვალობის გაზრდის, ციფრული პლატფორმების განვითარებისა და მონაცემებზე დაფუძნებული მიწის შეფასების სტანდარტების დანერგვის გზები. სტატია ასევე აღწერს რეგიონების საინვესტიციო მიმზიდველობის გაზრდის სტრატეგიებს, რაც ხელს უწყობს როგორც ადგილობრივი ინვესტიციების, ისე უცხოური ინვესტიციების მოზიდვას. სტატია მნიშვნელოვან წვლილს შეადგენს საქართველოს მიწის ბაზრის კვლევის სფეროში და წარმოადგენს საფუძველს სამომავლო კვლევებისთვის, როგორც აგრო-სექტორში, ისე რეგიონული განვითარების მიმართულებით.

საკვანძო სიტყვები: *მიწის მარკეტინგი; რეგიონული ეკონომიკა; აგროეკონომიკა; რეგიონული განვითარება; მიწის რესურსები.*

მიწა წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ბუნებრივ რესურსს, რომელიც განსაზღვრავს ეკონომიკური განვითარების და სოციალური კეთილდღეობის საფუძვლებს. მიწის რესურსები, გარდა იმისა, რომ უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის მიღებას, წარმოადგენს სივრცული დაგეგმვის, ურბანიზაციის, ტურიზმისა და სხვა ეკონომიკური აქტივობების საფუძველს. შესაბამისად, მიწის ბაზრის ფუნქციონირება და მისი ეფექტური მართვა განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს, როგორც ეკონომიკის, ისე სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე.

მიუხედავად იმისა, რომ მიწის ბაზარი და მიწის ღირებულების მექანიზმები ხშირად განიხილება ეკონომიკურ ლიტერატურაში, „მიწის მარკეტინგი“ – როგორც მარკეტინგის ჭრილში გამოყენებული დისციპლინა, რომელიც გულისხმობს მიწის რესურსების გონივრულ კომერციულ წარმოჩენას, ბაზრის სეგმენტაციას, მიწის პროდუქტის პოზიციონირებასა და მიწის ღირებულების ოპტიმიზაციას – გაცილებით ნაკლებად არის გაშუქებული, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც მიწის ბაზარი ცენტრალიზებულად ფუნქციონირებს ან ეკონომიკური ტრანზიციის პროცესშია.

მიწის მარკეტინგი მოიცავს როგორც კლასიკური მარკეტინგული მიდგომების მიწაზე ადაპტაციას, ასევე ბაზრის მოთხოვნის, მიწოდების და მიწის ღირებულების განსაზღვრის მექანიზმების გამოყენებას მიწის რესურსების ოპტიმალურ მართვაში. როგორც ფუნდამენტური მარკეტინგის სტრატეგიული მართვის მოდელები გვიჩვენებს, ეფექტიანი მარკეტინგული სტრატეგია არ გულისხმობს მხოლოდ პროდუქტის ან სერვისის გაყიდვას, არამედ მოი-

ცავს ბაზრის სეგმენტირებას, პროდუქტის პოზიციონირებას და ღირებულების შემცველი წინადადებების ფორმირებას, რაც საბოლოოდ წარმოქმნის ბაზრის შესაფერის მოთხოვნას და მდგრად განვითარებას [1].

საერთაშორისო ლიტერატურა ხაზს უსვამს მიწის ღირებულების დინამიკას სივრცისა და დროის მიხედვით, განსაკუთრებით ჰედონური მეთოდებით შეფასების მნიშვნელობას, რომელიც აჩვენებს, რომ მიწის ღირებულება დამოკიდებულია ეკონომიკურ, სოციალურ და გეოგრაფიულ ფაქტორებზე [2].

აღნიშნული მიდგომები მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ მიწის ბაზრის ანალიზი არ იყოს მხოლოდ სტატისტიკური აღწერა, არამედ მოიცავდეს სივრცულ ეკონომიკურ ზეგავლენას, რაც თავისთავად მარკეტინგის ძირითადი კომპონენტია.

ქართულენოვანი კვლევები, ასევე მიუთითებენ, რომ რეგიონული მარკეტინგის ეფექტიანობა მნიშვნელოვნად განპირობებულია ადგილობრივი მახასიათებლებით, სტრატეგიული დაგეგმვით და რესურსების სწორი იდენტიფიკაციით [3].

რეგიონალური მარკეტინგი შედგება რამდენიმე კომპონენტისგან: სეგმენტაცია, იმიჯის ფორმირება, მიმზიდველი ელემენტების ხაზგასმა და ინტეგრირებული კომუნიკაცია. ეს მიდგომები შეიძლება პირდაპირ იქნეს გამოყენებული მიწის მარკეტინგშიც, რადგან მიწა, როგორც პროდუქტი, მოითხოვს მომხმარებელთან ან ინვესტორთან სწორ, მარტივ და ღირებულებაზე დაფუძნებულ კომუნიკაციას.

საქართველოს მიწის ბაზარს აქვს არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სოციალური და გეოგრაფიული სპეციფიკა. კერძოდ, მიწის ბაზარზე შეინიშნება მაღალი ფრაგმენტაცია, დაბალი დასაქმების ინტენსივობა და არასაკმარისი საინფორმაციო ბაზა, რაც აფერხებს მიწის ეფექტიან კომერციულ გამოყენებას. შესაბამისად, მიწის რესურსების მარკეტინგული მართვის საჭიროება საქართველოს რეგიონებისთვის კიდევ უფრო აქტუალურია, ვინაიდან სწორად დაგეგმილი პროცესი ზრდის მოთხოვნას, ამლიერებს ინვესტიციების მოზიდვას და ქმნის ახალ ეკონომიკურ შესაძლებლობებს.

საერთაშორისო ორგანიზაციები, ხაზს უსვამენ მიწის ბაზრის გამჭვირვალობის, მექანიზმების განვითარების და ეფექტიანობის მნიშვნელობას რეგიონული განვითარების კონტექსტში. ძირითადი რეკომენდაციები ეხება გარემოს მონიტორინგს, საინვესტიციო შესაძლებლობების განვითარებას, ინფორმაციის სტანდარტიზაციას და მიწის ბაზრის ელექტრონულ მართვას. ესაა ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც აუცილებელია ბაზრის ეფექტური ფუნქციონირებისთვის და მარკეტინგული სტრატეგიების ჩამოსაყალიბებლად.

მიწის მარკეტინგის მნიშვნელობა განსაკუთრებულად ჩანს რეგიონული ეკონომიკის განვითარების ჭრილში, სადაც მიწის ბაზარი არ არის იდენტიფიცირებული მხოლოდ როგორც შემოსავლის წყარო. იგი წარმოადგენს ინვესტიციურ აქტივს, რომლის მიმართ სწორი მარკეტინგული მიდგომები ქმნის:

- ინვესტიციურ მიმზიდველობას, რაც ზრდის ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობას;
- სოციალურ კეთილდღეობას, მიწის რესურსების ეფექტური გამოყენების გზით;
- აგროეკონომიკის განვითარებას, მიწის ბაზრის სტაბილური მექანიზმების არსებობით;
- სივრცულ დაგეგმვას და ურბანულ განვითარებას, მიწის პრიორიტეტული მარკეტინგული სტრატეგიების გათვალისწინებით.

თანამედროვე საქართველოს მიწის ბაზარი დგას ისეთი მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე, როგორიცაა: მიწის მონაცემთა შეზღუდული ხელმისაწვდომობა, რეგისტრაციის არამყარი სისტემა და მარკეტინგული სტრატეგიების არარსებობა. შესაბამისად, მიწის მარკეტინგის დანერგვა და საფუძვლიანი პოლიტიკის შექმნა წარმოადგენს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხს.

მიწის მარკეტინგი რეგიონული ეკონომიკის განვითარებისთვის

მიწის მარკეტინგი წარმოადგენს ახალ, თუმცა სწრაფად განვითარებად დისციპლინას, რომელიც აერთიანებს მარკეტინგის სტრატეგიას და რეგიონული განვითარების ინსტრუმენტებს. ტრადიციული მარკეტინგი ხაზს უსვამს პროდუქტის პოზიციონირებას, სეგმენტირებას და მომხმარებლის მოთხოვნის მართვას [1].

მიწის მარკეტინგი ამ პრინციპებს ადაპტირებს სივრცით, ეკონომიკურ და სოციალურ ფაქტორებთან, რადგან მიწა როგორც რესურსი არის სტრუქტურული, ბუნებრივი და შეზღუდული [6].

საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, რომ მიწის მარკეტინგი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- **მიწის ღირებულების დიფერენცირება** – მიწის ეკონომიკური, ბუნებრივი და სოციალური კომპონენტები;
- **სეგმენტაცია** – მომხმარებელთა ჯგუფების განსაზღვრა (აგრო, ტურიზმი, ინვესტიციები);
- **პოზიციონირება და იმიჯი** – მიწის რესურსის უნიკალური ღირებულების ხაზგასმა;
- **ინვესტიციების მიმზიდველობა** – მიწის ბაზრის გამჭვირვალობის გაზრდა და მარკეტინგული კომუნიკაცია [2].

რეგიონული მარკეტინგი წარმატებით გამოიყენება როგორც ინვესტიციების მოზიდვის, ასევე სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობისა და ადგილობრივი დასაქმების გასაზრდელად. აღნიშნული მიდგომები მძლავრია მაშინ, როდესაც მიწის ბაზრის მონაცემები და საინფორმაციო პლატფორმები გამართულია [3]; [4].

საქართველოს მიწის ბაზრის სპეციფიკა

ბაზრის სტრუქტურა

საქართველოს მიწის ბაზარი გამოირჩევა:

- **ფრაგმენტაციით** – მესაკუთრეების რაოდენობა მაღალია, მცირე ფართობის მიწები გავრცელებულია მთელს რეგიონებში;
- **ინფორმაციული ბარიერებით** – მიწის ბაზრის ღირებულების და ტრანზაქციების შესახებ მონაცემები არასრულია;
- **რეგიონალური უთანასწოროობით** – სხვადასხვა რეგიონში მიწის მიმზიდველობა განსხვავებულია.

დიაგრამა 1.



წყარო: პროგნოზი ადგილობრივი რეესტრების და სოციო-ეკონომიკური კვლევის საფუძველზე.

რეგიონი	2015	2018	2021	2025*
კახეთი	12	15	18	20
შიდა ქართლი	10	13	15	17
იმერეთი	8	11	14	16
ქვემო ქართლი	9	12	15	18

ბოლო 10 წლის განმავლობაში მიწის ფასი ყველა რეგიონში მზარდი ტენდენციით გამოირჩევა.

ყველაზე მაღალი ზრდა შენიშნულია კახეთში (+8 ლარი/ჰექტარი), რაც დაკავშირებულია რეგიონის ინვესტიციურ აქტივობასთან და აგროტურიზმის განვითარებასთან.

მინიმალური ზრდა იყო იმერეთში, რაც შეიძლება აიხსნას ბაზრის დაბალი საინვესტიციო მიმზიდველობით.

ეს დიაგრამა ადასტურებს, რომ მიწის მარკეტინგული სტრატეგიების ეფექტი რეგიონებს შორის განსხვავებულია, რაც აუცილებელია სეგმენტირებისა და პოზიციონირების პოლიტიკაში.

მიწის სეგმენტაცია

მიწის ბაზრის სეგმენტაცია გვთავაზობს რამდენიმე მთავარ მიმართულებას:

- აგროსექტორი – ფერმერები, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები;
- ინვესტორები – როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო;
- ტურიზმი და ეკო-პროექტები – სათავგადასავლო, ეკო-რეზორტები;
- სხვები – მცირე ბიზნესები, ადგილობრივი განვითარების პროექტები.

დიაგრამა 2.



ბაზრის უმსხვილესი ნაწილი უკავია აგროსექტორს (35%), რაც რეგიონული ეკონომიკის სტრატეგიებში სოფლის მეურნეობის მნიშვნელობის მაჩვენებელია.

საერთაშორისო ინვესტორები (25%) მიუთითებენ ქვეყანაში საინვესტიციო გარემოს განვითარების შესაძლებლობებზე.

ტურიზმის სექტორი და მცირე ბიზნესები (ორივე 20%) ხაზს უსვამენ დივერსიფიკაციის საჭიროებას, რომ რეგიონული ეკონომიკა გახდეს მდგრადი.

მიწის მარკეტინგული სტრატეგიები

1. პოზიციონირება – მიწის უნიკალური ღირებულების ხაზგასმა სეგმენტური პრიორიტეტების მიხედვით [7].
2. პროდუქტის დიფერენცირება – მიწის მახასიათებლების კომერციულად დამუშავება (ბუნებრივი რესურსები, ტურიზმის პოტენციალი, სასოფლო-სამეურნეო სიმძლავრე);
3. ინვესტორებთან კომუნიკაცია – ბაზრის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, ონლაინ რეესტრები, მონაცემებზე დაფუძნებული მიწის შეფასება [5].

ეკონომიკური ეფექტი

მიწის მარკეტინგის დანერგვამ შესაძლოა შექმნას შემდეგი ეფექტები:

- **ინვესტიციების ზრდა** – ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების მოზიდვა;
- **სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის ზრდა** – მიწის ღირებულების ოპტიმალური გამოყენება;
- **სოციალური სტაბილურობა** – ადგილობრივი დასაქმების და ეკონომიკური აქტივობის სტიმულირება;
- **რეგიონული განვითარების მხარდაჭერა** – გრძელვადიანი ინფრასტრუქტურული და ურბანული განვითარება.

საერთაშორისო გამოცდილება

საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, რომ ეფექტიანი მიწის მარკეტინგი მოიცავს:

- ციფრული მიწის რეესტრებს;
- მონაცემებზე დაფუძნებულ ფასების შეფასებას;
- ბაზრის სეგმენტაციასა და პოზიციონირებას; [2]
- საინვესტიციო მიმზიდველობის ზრდის სტრატეგიებს. [5]

დიაგრამა 3



დიაგრამა 3-ის მონაცემები ცხადყოფს, რომ გამჭვირვალობის და ონლაინ რეესტრების დანერგვა არის ყველაზე ეფექტური სტრატეგია ინვესტიციების (+30%) და სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის (+18%) გაზრდისთვის.

ბაზრის სეგმენტაცია მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებისთვის (+10%), რაც ადასტურებს მარკეტინგის სოციალური ეფექტურობის მნიშვნელობას.

პოზიციონირება უზრუნველყოფს მიწის რესურსის *უნიკალურობის აღიარებას* ბაზარზე, რაც ზრდის კონკურენტულ მიმზიდველობას ინვესტორების თვალში.

ჯგუფური ბარიერი ყველაზე კარგად წარმოაჩენს სხვადასხვა სტრატეგიის ეფექტებს:

1. მიწის მარკეტინგი ზეგავლენას ახდენს ფასების ზრდასა და ბაზრის სტაბილურობაზე, განსაკუთრებით ინვესტორული აქტივობის კონტექსტში;
2. სეგმენტირებული ბაზარი და პოზიციონირება ზრდის რეგიონების საინვესტიციო მიმზიდველობას, ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის ზრდას და ადგილობრივი დასაქმების სტიმულირებას;
3. ციფრული პლატფორმების და მონაცემებზე დაფუძნებული შეფასების დანერგვა არის პრიორიტეტული სტრატეგია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პოლიტიკისთვის;
4. რეგიონული განსხვავებები ცხადყოფს, რომ მარკეტინგული მიდგომები უნდა იყოს ადაპტირებული თითოეული რეგიონის სპეციფიკაზე, განსაკუთრებით ისეთი რეგიონებისათვის, როგორებიცაა კახეთი (მაღალი ზრდა) და იმერეთი (დაბალი ზრდა).

სტატიაში მოყვანილი მონაცემების ანალიზის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიწის მარკეტინგი წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს საქართველოს რეგიონული ეკონომიკის განვითარების პროცესში. მისი დანერგვა და ეფექტური მართვა არა მხოლოდ ზრდის მიწის ბაზრის ინვესტორული მიმზიდველობას, არამედ ხელს უწყობს ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკურ აქტივობას, სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის გაზრდას და რეგიონების მდგრად განვითარებას.

ჩატარებული კვლევების შედეგებიდან ჩანს, რომ საქართველოს რეგიონებში მიწის ბაზრის სპეციფიკა განისაზღვრება რამდენიმე ძირითად ფაქტორით:

1. ფრაგმენტირებული მიწის სტრუქტურა – მესაკუთრეების მცირე ფართობის მიწები ქმნის ბაზრის სეგმენტირების საჭიროებას;
2. ინფორმაციული ნაკლებობა – მიწის ფასებისა და მესაკუთრეების მონაცემების არასრული ხელმისაწვდომობა უშლის ხელს ბაზრის გამჭვირვალობას;

3. რეგიონალური უთანასწორობა – ზოგიერთი რეგიონი ინვესტორებისთვის უფრო მიმზიდველია, რაც ხაზს უსვამს ადგილობრივი მარკეტინგული სტრატეგიების მნიშვნელობას;
4. ინვესტიციის გარემო და ინფრასტრუქტურა – რეგიონები, სადაც ინფრასტრუქტურა უკეთ განვითარებულია, მიმზიდველია ინვესტორებისთვის, რაც ცხადყოფს პირდაპირ კავშირს მიწის მარკეტინგსა და ეკონომიკურ განვითარებას.

დასკვნა. წინამდებარე სტატიაში ჩვენს მიერ წარმოდგენილი დიაგრამებისა და გრაფიკების ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ციფრული რეესტრები, ბაზრის გამჭვირვალობა და მონაცემებზე დაფუძნებული მიწის შეფასება ყველაზე ეფექტური მარკეტინგული სტრატეგიებია, რომლებიც ზრდიან ინვესტიციების მოცულობას (+30%), სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობას (+18%) და დასაქმების დონეს (+12%). სეგმენტირებული ბაზრისა და პოზიციონირების სტრატეგიები, თუნდაც ნაკლები პროცენტული ზრდის ნიშნით, მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობისა და რეგიონული დივერსიფიკაციისთვის.

ამჟამად საქართველოს მიწის ბაზრის წინაშე მდგარი გამოწვევების დასაძლევად ქვეყნის წინაშე დგას მთელი რიგი ამოცანების გადაწვეტის საჭიროება, რომლებიც შემდეგში გამოიხატება:

➢ **მიწის ბაზრის გამჭვირვალობის ზრდა –** რისთვისაც აუცილებელია ცენტრალური და ადგილობრივი რეესტრების მონაცემების სრული, საჯარო და ციფრული ხელმისაწვდომობა; ასევე რეკომენდებულია ონლაინ პლატფორმების შექმნა, სადაც ინვესტორები და ადგილობრივი მოსახლეობა შეძლებენ მიწის ფასების, სეგმენტაციის და ტრანზაქციების გაწყვეტილ ანალიზს.

➢ **ციფრული მარკეტინგული პლატფორმების განვითარება –** მიწის რესურსების ციფრული წვდომა უზრუნველყოფს სწრაფი გადაწყვეტილებების მიღებას ინვესტორთა მხრიდან; ამასთან, მონაცემებზე დაფუძნებული შეფასება ზრდის ბაზრის ეფექტურობას და ეფექტიან გამოყენებას.

➢ **რეგიონული სეგმენტაცია და პოზიციონირება –** თითოეულ რეგიონში აუცილებელია სეგმენტირებული სტრატეგიების დანერგვა – აგროსექტორისთვის სხვადასხვა ტიპის მიწის პოზიციონირება, ტურიზმისათვის ლანდშაფტის უნიკალურობის ხაზგასმა, ინვესტორებისთვის საინვესტიციო შესაძლებლობების უზრუნველყოფა.

➢ **სოციალური და ეკონომიკური ეფექტის გაძლიერება –** მიწის მარკეტინგი უნდა იყოს ინტეგრირებული სოფლის მეურნეობის, დასაქმების სტიმულირების და რეგიონალური ინფრასტრუქტურის განვითარების პოლიტიკებში; განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე ბიზნესებისა და ადგილობრივი პროექტების მხარდაჭერა, რათა გაიზარდოს რეგიონის მდგრადი განვითარება.

➢ **საერთაშორისო გამოცდილების ადაპტაცია –** OECD-ის და საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, ციფრული რეესტრები, მონაცემებზე დაფუძნებული შეფასება და ეფექტიანი კომუნიკაცია ბაზართან ზრდის ინვესტიციების მოცულობას; საქართველო უნდა დანერგოს მსგავსი სტანდარტები, მაგრამ ადაპტირებული ადგილობრივი რეგულაციებისა და სოციალურ-კულტურული კონტექსტის მიხედვით.

კვლევის შედეგებიდან ნათლად ჩანს, რომ მიწის მარკეტინგი არა მხოლოდ ეკონომიკური ინსტრუმენტია, არამედ სტრატეგიული ღონისძიება, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს, კერძოდ, ინვესტიციების მოზიდვაში (როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური); სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის ზრდაში (მიწის ოპტიმალური გამოყენების საშუალებით) და რეგიონული განვითარებისა და მდგრადობის უზრუნველყოფაში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობითა და ინფრასტრუქტურის განვითარების გზით.

მიწის მარკეტინგის ეფექტური მართვა, რაც ეფუძნება ციფრულ ტექნოლოგიებს, მონაცემთა ბაზებს, რეგიონულ სეგმენტაციას და პოზიციონირებას, წარმოადგენს სტრატეგიულ ხელსაწყოს საქართველოს ეკონომიკური განვითარების პოლიტიკაში. მისი დანერგვა აუცილებელია არა მხოლოდ ეკონომიკურ და ინვესტიციურ მიზნებისთვის, არამედ სოციალური და გარემოს დაცვის სტანდარტებთან შესაბამისობისათვისაც, რაც უზრუნველყოფს რეგიონების მდგრად განვითარებას და გრძელვადიანი ინვესტიციების მიმზიდველობის ზრდას.

TEA BIDZINASHVILI – *GTU, Associate Professor*
NANA KHITARISHVILI – *GTU, Assistant Professor*

Land Marketing as a Tool for Regional Economic Development: The Case of Georgia

Summary

This article examines the role of land marketing in regional economic development, with a focus on the specific context of Georgia. Land, as a natural resource, represents one of the most significant economic assets, whose effective management and marketing approaches have a substantial impact on regional economic growth, investment attraction, and agricultural sector development. The primary objective of this study is to highlight the importance of land marketing, analyze its influence on regional economic processes, assess the potential for its effective use, and propose concrete recommendations for the Georgian context.

Finally, the article presents recommendations for improving land marketing in Georgia, including increasing market transparency, developing digital platforms, and implementing standards for data-driven land valuation. It also outlines strategies to enhance the investment attractiveness of regions, supporting both domestic and foreign investments. This study makes a significant contribution to the research field of the Georgian land market and provides a foundation for future studies in both the agricultural sector and regional development.

Keywords: *Land marketing; Regional economy; Agro economy; Regional development; Land resources.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Kotler, P., & Keller, K. L. (2016). Marketing Management. 15th Edition. Pearson.
2. Elad, N., Clifton, G., & Epperson, J. (2015). Land Marketing and Investment Strategies: International Experiences. Routledge.
3. კუპრაშვილი, მ. (2025). რეგიონული ეკონომიკა და მიწის მარკეტინგი საქართველოში. ეკონომიკური კვლევები, 12(2), 45-62.
4. სარიშვილი, თ. (2024). საქართველოს მიწის ბაზრის სპეციფიკა და ინვესტიციების მიმზიდველობა. რეგიონული განვითარება და პოლიტიკა, 8(1), 33-50.
5. OECD. (2022). Land Market Policies and Investment Incentives in Agriculture. OECD Publishing, Paris.
6. Armstrong, G., & Kotler, P. (2017). Marketing: An Introduction. 13th Edition. Pearson.
7. Brown, P., & Green, R. (2019). Land Marketing Strategies for Sustainable Regional Development. Journal of Rural Studies, 65, 45-60.
8. მელიქიშვილი, ა. (2023). აგროეკონომიკა და მიწის ეფექტური გამოყენება. საქართველოს ეკონომიკური ჟურნალი, 5(3), 77-95.
9. ჯანაშვილი, ვ. (2022). მიწის მართვის თანამედროვე მიდგომები საქართველოში. ბიზნესის და ეკონომიკის მიმოხილვა, 4(1), 21-38.
10. Smith, J., & Thompson, L. (2018). Digital Land Registries: Enhancing Market Transparency. Land Use Policy Journal, 72, 120-135.

პაატა ბახტაძე
სტუ, დოქტორანტი

პანდემიები და ეკონომიკური ზრდა

მოცემულ კვლევაში პანდემიების ეკონომიკურ მდგომარეობაზე გავლენის საჩვენებლად გამოვიყენეთ არსებული შესაძლო სტატისტიკურ მასალა და ეკონომიკური ციკლის და ზრდის შესახებ არსებულ თეორიები, და ასევე, კვლევები ეკონომიკაზე პანდემიური შოკების გავლენის შესახებ. შევეცადეთ მათი ეკონომიკურ ციკლებთან, როგორც გრძელ ტალღებთან, ისე საშუალოვადიან ციკლებთან, კავშირების დადგენას და ამ გზით ეკონომიკურ ზრდაზე გავლენის ჩვენებას. სტატია პირობითად შედგება ორი ნაწილისგან: პირველი ნაწილი მოიცავს პანდემიების ეონომიკურ ზრდაზე გავლენის ჩვენებას სხვადასხვა კვლევებზე დაყრდნობით, ხოლო მეორე ნაწილში ნაჩვენებია მათი კავშირი ეკონომიკურ ციკლებთან.

საკვანძო სიტყვები: *ეკონომიკურიზრდა, ეკონომიკური ციკლი,პანდემია.*

სტატიაში განვიხილავთ პანდემიების კავშირს ეკონომიკურ ციკლებთან და გავლენას ზრდაზე. ეკონომიკური ციკლები და ზრდა, როგორც წესი განიხილებაძირითადად ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით. მათი განხილვის დროს მხედველობაში არ მიიღებოდა ხოლმე საზოგადოების ცხოვრების თანმდევი რიგი მოვლენები. ასეთად ჩვენ მოცემულ შემთხვევაში განვიხილავთ პანდემიებს და ვაჩვენებთ მათ კავშირს ეკონომიკურ ციკლებთან და გავლენას ზრდაზე. ჩვენის აზრით, თუ გვერდს ავუვლით პანდემიების როლს ეკონომიკურ პროცესებზე ვერ გვექნება ეკონომიკური ცხოვრების მთლიანი სურათი და, მით უმეტეს, ამ უკანასკნელის სრულყოფილად აღქმის საშუალება ეკონომიკური თვალსაზრისით. როგორც ამ ბოლო პერიოდის კოვიდ-19 პანდემიის მოვლენებმა ცხადყო, ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება განპირობებული აღმოჩნდა უპირატესად არა არასწორი ეკონომიკურ პოლიტიკით, არამედ სხვა უფრო მრავალმხრივად რთული და გამოვლენის დროისათვის მსოფლიო მედიცინისათვის მოულოდნელი და, იმავდროულად, ამოუცნობი ისეთი მოვლენით, როგორიცაა ზემოთხსენებული პანდემია.

საზოგადოების არსებობისა და განვითარების ისტორიული წყაროებით დადასტურებულია, რომ პანდემიური მოვლენები ხშირად ცვლიდა არამარტო ეკონომიკურ აქტივობების ხარისხს და დონეს, არამედ იწვევდა აგრეთვე გეოპოლიტიკური მასშტაბების მქონე უფრო რადიკალურ ცვლილებებსაც კი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოში და მსოფლიოს სხვა დანარჩენ ეკონომიკურად ძლიერ, შედარებით სუსტ და ღარიბ ქვეყნებში მიმდინარე მოვლენები საზოგადოდ ცხადყოფს, რომ როგორიც არ უნდა იყოს ეპიდემიები თუ პანდემიები, ისინი სერიოზულ გავლენას ახდენენ პირველ რიგში ადამიანზე, რომელიც თავისი არსით, საკუთარი ქვეყნისათვის და, შესაბამისად მთელი მსოფლიოსათვის, წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის ძირითად მამოძრავებელ ძალას, რადგანაც სწორედ ადამიანი წარმოადგენს, მთელი ეკონომიკური სიკეთის როგორც მწარმოებელს, ისე მომხმარებელს.

როგორც თეორიული ნაწილიდან ისე სტატისტიკური მონაცემებიდან და სხვადასხვა წყაროს ანალიზიდან ვხედავთ, რომ პანდემიებს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ეკონომიკურ პროცესებზე, კერძოდ, ეკონომიკურ ზრდაზე.

ჩვენ მიერ გამოკვეული ყველა წყარო მიუთითებს პანდემიის ნეგატიურ შოკებზე მაკროეკონომიკურ პროცესებთან დაკავშირებით. ზოგიერთი წყარო იძლევა თითქმის ერთსა და იგივე შედეგს (წყარო N1 და N3). და ეს შედეგი ცალსახად ნეგატიურია.

ჩვენ მიერ მოხმობილი ლიტერატურაში (წყარო N1 და N3) კვლევა აგებულია პანდემიით გამოწვეული ადამიანთა გარდაცვალების კავშირზე მშპ-ს, მოხმარების ზრდასთან, მოცემულ წყაროებში გაკეთებული შეფასებებით (წყარო 1) გრიპის პანდემიის დროს (1918-1921 წლებში) 42 ქვეყნის მონაცემების შესწავლით გამოიკვეთა რეალური მშპ-ს შემცირება 6%-ით ხოლო, მოხმარებისა 8%-ით,ხოლო წყარო 3-ის მიხედვით რეალური მშპ შემცირდა 7%-ით, ხოლო შემოსავლები მაღალშემოსავლიან და

დაბალშემოსავლიან ქვეყნებში შესაბამისად 4,7%-ით და 9,8%-ით. ეს ორი წყარო ადასტურებს აშკარა უარყოფით დამოკიდებულებას პანდემიით გამოწვეულ ამ მოვლენებს და ეკონომიკურ ზრდას შორის.

ლოგიკურადაც კი, თუ ავიღებთ ეკონომიკური ზრდის რომელიმე მოდელს, ვნახავთ, რომ ადამიანურ რესურსს (ადამიანურ კაპიტალს) აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა ეკონომიკურ ზრდაში. და თუ ის რაიმე მიზეზით მცირდება ან ხარისხობრივად უარესდება, ეს უსათუოდ უნდა აისახოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე (აქვე აღვნიშნავთ, მოხმობილ წყაროებში (წყარო N1) ავტორები ცდილობენ გამიჯნონ პანდემიით გამოწვეული შედეგები მომიჯნავე პერიოდში მიმდინარე სხვა მნიშვნელოვანი მოვლენებით გამოწვეული შედეგებისაგან) როგორიცა ომების შედეგები.

პანდემიების ეკონომიკაზე ზეგავლენის შესახებ როგორც კვლევების, ისე მონაცემების შესწავლისას გამოჩნდა, რომ პირდაპირი კავშირია ქვეყნის მშპ-ს სტრუქტურასა და პანდემიებს შორის (წყარო 8) კერძოდ: მოცემული წყაროების შესწავლისას გამოჩნდა, რომ იმ ქვეყნების უდიდეს ნაწილში(თითქმის ყველა) სადაც მშპ-ს სტრუქტურაში მომსახურების წილი მაღალია პანდემიის შემთხვევაში ეკონომიკის ზრდის ტემპების შემცირებაც მაღალია, კერძოდ დიდ ბრიტანეთისათვის მომსახურების წილი შეადგენს 71.3 %-ს, მშპ-ს დაცემის მოცულობამ აღნიშნულ პერიოდში შეადგინა 20,4%, საფრანგეთის მომსახურების წილი შეადგენს 70,2%-ს, მშპ-ს შემცირება კი- 13,8%, იტალიაში მომსახურების წილი შეადგენს 66.3%, ხოლო მშპ-ს დაცემა- 12,8%, გერმანიაში მომსახურების წილი შეადგენს 62,4%, მშპ ს დაცემა -9,7% ამ სიაში განვითარებული ქვეყნებიდან არ შედის მხოლოდ აშშ (მომსახურების წილი 81%) და იაპონია (მომსახურების წილი 69,3%) სადაც წარმოების მოცულობის დაცემა მეორე კვარტალში (წლიურ დონეზე გადაუთვლელად) შესაბამისად იყო 7,9%-ი და 9,1 %-ი. (წყარო 8) ეს გარემოება კიდევ ერთხელ მიუთითებს პანდემიების უარყოფით გავლენაზე ეკონომიკურ ზრდასთან მიმართებით.

ასევე, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ბანკი 2020 წლისათვის ვარაუდობდა მსოფლიო მშპს ზრდას 2.5 პროცენტით, კოვიდ- 19 გამო მოხდა პირიქით აღნიშნული მაჩვენებელი შემცირდა 3.1 % -ით.

ჩვენთვის ცნობილია გრძელი ტალღების თეორია, საშუალოვადიანი და მოკლე ვადიანი ციკლები. ასევე ცნობილია, რომ გრძელი ტალღების ნახევარტალღა შედგება რამდენიმე საშაუალოვადიანი ციკლისაგან.

მონაცემების შედარებთ ვხედავთ (ცხრილი1 და 2), რომ პანდემიებს, როგორც ეკონომიკისათვის შოკურ მოვლენას, გრძელი ტალღებს და საშუალოვადიან ეკონომიკურ ციკლებს შორის შეიძლება იყოს გარკვეული სახის კავშირი. ამისათვის ჩვენს მიერ ცხრილ N2 ში მოყვანილია სტატისტიკური მონაცემები იმ პანდემიებისა, რომელთა მიერ გამოწვეული სიკვდილიანობის მაჩვენებელი შეადგენს არანაკლებ ნახევარ მილიონ ადამიანს და საშუალოვადიანი ციკლების სავარაუდო დათარიღება (დათარიღება აღებულია სხვადასხვა წყაროების შედარებით, რომელის ნაწილიც მითითებულია გამოყენებულ ლიტერატურაში, თუმცა ეს დათარიღებები არაერთგვაროვანია სხვადასხვა ავტორთან). აქედან კი ჩანს:

- ✓ ქოლერის და ჭირის მესამე პანდემიის დაწყება დაემთხვა პირველი დიდი ტალღის დაღმავალი ფაზის დასასრულს და შესაბამის ნახევერფაზის შემადგენელ ბოლო საშუალოვადიან ციკლს და მე-2 დიდი ტალღის აღმავალი ფაზის დასაწყის პერიოდებს.
- ✓ 1889-1890 წლლებს გრიპის პანდემია ემთხვევა 2 დიდი ტალღის დაღმავალი ფაზის დასასრულს, და შესაბამისი ნახევარფაზის ბოლო საშუალოვადიან ეკონომიკურ ციკლს.
- ✓ ესპანური გრიპის და რუსეთში ტიფის ეპიდემია ემთხვევა მე-3 ტალღის აღმავალი ფაზის დასასრულს და შესაბამისი ნახევარფაზის ბოლო საშუალოვადიან ეკონომიკურ ციკლს და დაღმავალი ფაზის დასაწყის პერიოდს.
- ✓ აზიური გრიპი ემთხვევა მე-4 ტალღის აღმავალი ფაზის ბოლო საშუალოვადიან ციკლის დასაწყისს და ციკლის ბოლო გრძელდება 1968-69 წლების ჰონკონგის გრიპით (ვიკიპედიის მიხედვით აზიური და ჰონკონგის გრიპები ერთიდაიგივე გრიპია). მითითებული წლები კი წარმოადგენს ამ ტალღის გამყოფს აღმავალი ფაზიდან დაღმავალ ფაზაზე, შესაბამისად, მიკუთვნება შეიძლება ორივე ფაზაზე. გარდა ამისა ამავე ციკლის დაღმავალი ფაზის მეორე საშუალო ვადიან ციკლში ადგილი აქვს რუსული გრიპის სახელით ცნობილ პანდემიას.

✓ კოვიდ-19 კორონავირუსს ადგილი აქვს მე-5 ტალღის დაღმავალ ფაზის მიწურულს და გრძელდება დღემდე.

როგორც ვხედავთ ეკონომიკურ ციკლებს და პანდემიებს შორის არის გარკვეული სახის კავშირი, მაგრამ ცალსახად იმის თქმა, რომ ეკონომიკური განვითარება იწვევს პანდემიას ან პირიქით შეუძლებელია, და მიუხედავად ამისა, შეგვიძლია ვთქვათ, პანდემიები ახდენს ეკონომიკური განვითარებაზე უარყოფით გავლენას.

თუმცა, თუ გრძელი ტალღების თეორიის მიხედვით ვიმსჯელებთ მაშინ მისი ფაზების ცვლილებას ხშირ შემთხვევაში ემთხვევა პანდემიური მოვლენები, და ასევე ამ ფაზების შემადგენელ საშუალოვადიანი ციკლებიდან ყოველთვის ბოლო ციკლს, მაგრამ თუ მხოლოდ საშუალოვადიანი ციკლებს ავიღებთ, ჩვენსმიერ მოყვანილი მათი დათარიღების დასაწყისიდან, ანალიზისთვის მაშინ ყოველი მესამე ციკლის (იშვიათად მეორე) მსვლელობისას ადგილი აქვს პანდემიურ მოვლენებს.

რადგანაც ციკლური მოვლენები მუდმივად განმეორებადია, ხოლო მათი შედეგები ხშირად საკმაოდ მდგრადი და მისი გამოწვევის ერთერთი უმთავრესი მიზეზი არის შრომის მწარმოებლურობის დაცემა. ჩვენს განხილულ შემთხვევაში კი პანდემია და მასთან დაკავშირებული რისკები (ჯანმრთელობის, სიცოცხლის და სხვა) პირდაპირ ზემოქმედებს ადამიანურ კაპიტალზე, როგორც რაოდენობრივი ისე ხარისხობრივი დანაკარგის კუთხით. ეს კი იწვევს უკვე ზემოთაღნიშნული შრომის მწარმოებლურობის დაცემას. ადამიანური კაპიტალის ასეთი დანაკარგი ხანგრძლივ პერსპექტივაში აისახება შემოსავლიანობაზე, მოთხოვნაზე, ვალდებულებების ზრდაზე, ფინანსური სექტორის შესუსტებაზე. და რადგანაც ადამიანური კაპიტალის დაგროვება არის ხანგრძლივი პროცესი, შესაბამისად, მისი შედეგებიც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში უარყოფითად აისახება ეკონომიკურ ზრდაზე.

და ბოლოს, ვიტყვით, რომ ეკონომიკურ ციკლებს და პანდემიებს შორის, როგორც ვხედავთ, არის პირდაპირი კავშირი და ორივე ერთად მოქმედებს ეკონომიკურ ზრდაზე ადამიანურ კაპიტალზე ზემოქმედების მეშვეობით. ამიტომაც, ტენდენცია, რომ ეკონომიკური ციკლების და ზრდის მოდელები და თეორიები ერთობლივად იქნას შესწავლილი, სწორად გვეჩვენება.

ცხრილი 1.

ეპიდემიები და პანდემიები მინიმუმ 1 მილიონი გარდაცვალებით

№	ეპიდემიის/ პანდემიის დასახელება	გარდაცვლილთა რაოდენობა	მოსახლეობის დანაკარგი გლობალურად, %	მოსახლეობის დანაკარგი რეგიონალურად, %	პერიოდი	გარდაცვალების არეალი
1	ანტონინის ჭირი	5-10 მლნ	3-6%	რომის მოსახლეობის 25-33%	165-180 (შესაძლოა 190-მდე)	რომის იმპერია
2	იუსტინიანეს ჭირი	15-100 მლნ		ევროპის მოსახლეობის 25-60% [11]	541-549 წწ.	ევროპა და დასავლეთ აზია
3	735-737 იაპონური ჩუტყვავილას ეპიდემია	2 მლნ	1%	იაპონიის მოსახლეობის 33%	735-737 წწ.	იაპონია
4	შავი სიკვდილი	75-200 მლნ		ევროპის მოსახლეობის 30-60% [8]	1346-1353 წწ.	ევროპა, აზია და ჩრდილოეთ აფრიკა
5	1520 წელი მექსიკაში ჩუტყვავილას ეპიდემია	5-8 მლნ		მექსიკის მოსახლეობის 23-37% [12]	1519-1520 წწ.	მექსიკა
6	კოკოლიზტლის ეპიდემია 1545-1548 წწ.	5-15 მლნ		მექსიკის მოსახლეობის 27-80% [12]	1545-1548 წწ,	მექსიკა
7	კოკოლიზტლის ეპიდემია 1576 წ.	2-2,5 მლნ	0,4-0,5%	მექსიკის მოსახლეობის 50% [12]	1576-1580 წწ.	მექსიკა

8	1629-1631 წწ. იტალიური ჭირი	1 მლნ	0,2%		1629-1631 წწ.	იტალია
9	ნეაპოლის ჭირი	1,25 მლნ	0,2%		1656-1658 წწ.	სამხრეთ იტალია
10	1772-1773 სპარსული ჭირი	2 მლნ	0,2-0,3%		1772-1773	სპარსეთი
11	ქოლერას მესამე პანდემია	1 მლნ	0,08%		1846-1860 წწ.	მსოფლიოში
12	მესამე ჭირი პანდემია	12-15 მლნ			1855-1960 წწ.	მსოფლიოში
13	1889-1890 გრიპის პანდემია	1 მლნ	0,07%		1889-1890 წწ.	მსოფლიოში
14	ესპანური გრიპი	17-100 მლნ	1-5,4%		1918-1920 წწ.	მსოფლიოში
15	1918-1922 რუსეთში ტიფის ეპიდემია	2-3 მლნ	0,1-0,16%	რუსეთის მოსახლეობის 1-1,6%	1918-1922 წწ.	რუსეთი
16	აზიური გრიპი	1-4 მლნ	0,03-0,1%		1957-1958 წწ.	მსოფლიოში
17	ჰონგ კონგის გრიპი	1-4 მლნ	0,03-0,1%		1968-1969 წწ.	მსოფლიოში
18	აივ/შიდსის პანდემია	35 მლნ + (2020 წლის მდგომარეობით)			1981-დან დღემდე	მსოფლიოში
19	COVID-19-ის პანდემია	2.7 მლნ + (2021 წლის მარტის მდგომარეობით)	0,03%		2019-დან დღემდე	მსოფლიოში

ცხრილი 2.

№	**დიდი ციკლი**			
1	1816-1848	1816-1826	1827-1837	1838-1848
				ქოლერას მესამე პანდემია გარდაცვლილთა რაოდენობა – 1 მილიონი
2	1849-1873	1849-1857	1858-1866	1867-1873
				1863-1875 ოსპის პანდემია გარდაცვლილთა რაოდენობა ≈ 600 ათასი და 1870-1985 ჩუტყვავილას პანდემია გარდაცვლილთა რაოდენობა ≈ 500 ათასი
3	1874-1900	1874-1883	1884-1892	1893-1900
				1889-1890 გრიპის პანდემია. გარდაცვლილთა რაოდენობა – 1 მილიონი
4	1901-1921	1901-1907	1908-1914	1914-1921
				ესპანური გრიპი. გარდაცვლილთა რაოდენობა – 17-100 მლნ
				1918-1922 რუსეთში ტიფის ეპიდემია. გარდაცვლილთა რაოდენობა – 2-3 მლნ
				1915-1926 ლეთარგიული ენცეფალიტის პანდემია ≈ 500 ათასი
5	1922-1948	1922-1929	1930-1937	1938-1948
6	1949-1967	1949-1958	1959-1967	
			1957-58 წლების აზიური გრიპი. გარდაცვლილთა რაოდენობა – 1-4 მილიონი. 1968-69 წლების ჰონგ კონგის გრიპი. გარდაცვლილთა რაოდენობა – 1-4 მილიონი	

7	1967-1981	1968-1975	1975-1982	
		1968-69 წლების ჰონგ კონგის გრიპი. გარდაცვლილთა რაოდენობა – 1-4 მილიონი	1978-1979 რუსული გრიპი. გარდაცვლილთა რაოდენობა ≈ 700 ათასი	
8	1981-2009	1981-1991	1992-2001	2002-2009
		აივ/შიდსის პანდემია		
				COVID-19-ის პანდემია. გარდაცვლილთა რაოდენობა – 7 010 681

PAATA BAKHTADZE – *GTU, PhD Student*

Pandemics and Economic Growth

Summary

In current study, we used available statistical data and theories of the economic cycle and growth, as well as studies on the inevitable impact of pandemic disturbance on the economy, to demonstrate the impact of pandemics on the economy. We tried to establish their connections with economic cycles, both long-term and medium-term cycles, and thus demonstrate their impact on economic growth. The article conventionally consists of two parts: the first part includes a demonstration of the impact of pandemics on economic growth based on various studies, and the second part shows their connection with economic cycles.

Keywords: *economic growth, economic cycle, pandemic.*

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Robert J. Barro, José F. Ursúa, and Joanna Weng - The Coronavirus and the Great Influenza Pandemic: Lessons from the "Spanish Flu" for the Coronavirus's Potential Effects on Mortality and Economic Activity march 2020
2. ვიკიპედია - https://en.wikipedia.org/wiki/List_of_epidemics#cite_note-:9-7
3. Roberto De Santis, Wouter Van der Veken - Economic expected losses and downside risks due to the Spanish flu - 11 November 2020
   https://voxeu.org/article/economic-expected-losses-and-downside-risks-due-spanish-flu
4. Max Roser – The Spanish flu (1918-20: the global impact of the largest influenza pandemic in history march 2020
   https://ourworldindata.org/spanish-flu-largest-influenza-pandemic-in-history
   https://www.weforum.org/agenda/2020/03/spanish-flu-global-impact-influenza-pandemic-coronavirus-covid19
5. David C. Wheelock - What Can We Learn from the Spanish Flu Pandemic of 1918-19 for COVID-19? – 30/11/2020
   https://research.stlouisfed.org/publications/economic-synopses/2020/05/18/what-can-we-learn-from-the-spanish-flu-pandemic-of-1918-19-for-covid-19
6. David C. Wheelock - Comparing the COVID-19 Recession with the Great Depression
   https://research.stlouisfed.org/publications/economic-synopses/2020/08/12/comparing-the-covid-19-recession-with-the-great-depression
7. The Global Economic Outlook During The COVID-19 Pandemic: A Canged world

https://www.worldbank.org/en/news/feature/2020/06/08/the-global-economic-outlook-during-the-covid-19-pandemic-a-changed-world
8. Мачавариани Г.И. Мировая экономика в условиях пандемии 28.09.2020 https://www.imemo.ru/news/events/text/mirovaya-ekonomika-v-usloviyah-pandemii
9. Андреи Шербак - Вирусы, эпидемии и теория модернизации: друзья или враги -2020 https://eusp.org/sites/default/files/inline-files/M_78_20.pdf
10. გველესიანი მ., ჯ. კეინსის თეორიის შუქ-ჩრდილები და ეკონომიკური კრიზისის ტექნოლოგიური, მიკრო და მაკროეკონომიკური, ფსიქოლოგიური და პოლიტიკური ასპექტები. ჟურნ. „ბიზნეს-ინჟინერინგი“, № 1. 2011 წ.
11. გველესიანი მ., რა არის ეკონომიკური პოლიტიკა. „კომენტარი” თბ., 2008
12. გველესიანი მ., ეკონომიკური ციკლის საიდუმლო. „კომენტარი” თბ., 2004
13. А. С. Смирнов – настоящие длинные циклы индустриалной и постиндустриальной эпох (XIX-XXI вв) https://cyberleninka.ru/article/n/nastoyaschie-dlinnye-tsikly-industrialnoy-i-postindustrialnoy-epoh-xix-xxi-vv/viewer
14. Paul Black, Divyanshi Wadhwa 2020 Year in Review: The impact of COVID -19 in 12 Carts December 2020 https://blogs.worldbank.org/voices/2020-year-review-impact-covid-19-12-charts
15. К. В. Тремасов - Теория Экономических колебаний https://www.finam.ru/files/news690.pdf
16. Valerie Cerra, Antonio Fatás, Sweta C. **Saxena** - The persistence of a COVID-induced global recession-14 May 2020 https://voxeu.org/article/persistence-covid-induced-global-recession
17. Л. Е. Гринин, А. В. Коротаев - Взаимосвязь длинних и среднесрочних чиклов (кондратьевских волн и жюгляровсаих циклов) http://www.socionauki.ru/authors/grinin_l_e/files/kondratieff_waves_ru_015_073.pdf
18. Гриппа всемирного банка - COVID-19 и человеческий капитал https://openknowledge.worldbank.org/bitstream/handle/10986/34518/211643RU.pdf?sequence=5&isAllowed=y
19. Economic impact of the COVID-19 pandemic in the United States https://en.wikipedia.org/wiki/Economic_impact_of_the_COVID-19_pandemic_in_the_United_States

ვახტანგ ჭანია

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ქართული პოლიტიკური „ელიტა“ თუ „ავგეას თავლები“

„არ არსებობს საკუთარი ქვეყნის იმაზე დიდი მტერი,
ვიდრე უცხო ქვეყნის მიერ აღზრდილი ფსევდო-ელიტა“
ჯავაჰარლარ ნერუ

ქართულ პოლიტიკურ სივრცეში სრული ქაოსია.

დენაციონალიზებული პოლიტიკური პარტიების დიდი უმრავლესობა ორიენტირებულია არა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ, არამედ ვიწრო პარტიულ ინტერესებზე, საკუთარი **„მე“**-ს დამკვიდრებაზე. წახდება თუ არა ამით ქართული სახელმწიფოს ინტერესები, **„ბევრპარტიულობის“** სინდრომით შეპყრობილი პოლიტიკური პარტიების უმრავლესობას ოდნავაც არ აწუხებს. ამ ფაქტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჩვენს სინამდვილეში. მოახლოებული ყოველი ახალი არჩევნების წინ, ისევ რომ არ ჩავიძიროთ **„ბელადომანიის“, „მხსნელების“** ჭაობში, საჭიროა რადიკალური ღონისძიებების გატარება.

როგორ შეიძლება, არსებული პოლიტიკური ქაოსი გადაიქცეს მდგრად და მეტ-ნაკლებად სტრუქტურირებულ წესრიგად? წესრიგი როგორც პარტიულ სისტემაში, ისევე ზოგადად პოლიტიკურ სისტემაში ნიშნავს წონასწორობას, ბალანსს მის შემადგენელ ელემენტებს შორის, ინტერესთა ინდექსირებასა და ჰარმონიას (და არა ინტერესთა სტრუქტურის დეფორმაციას და დაქვემდებარებულ იერარქიას: პარტიული ინტერესები უნდა ერწყმოდეს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებს).

საქართველოს პარტიულ სისტემაში (ვგულისხმობთ როგორც პარტიებს, ასევე, იდეოლოგიურ დოქტრინებს) ბალანსირებული წესრიგი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ სისტემის სტრუქტურას ექნება სამი პოლუსი:

პირველი: კონსერვატიული იდეოლოგია (რომელიც მართლმადიდებლობასა და ნაციონალიზმს ეყრდნობა და მოიცავს იბერიულ-კავკასიურ ენებზე მოსაუბრე ხალხების გეოპოლიტიკურ სივრცეს;

მეორე: ლიბერალური იდეოლოგია (საქართველოსათვის კატეგორიულად მიუღებელია **„ნაციონალების“** რადიკალური ნეოლიბერალიზმი, ე.წ. **„სინგაპურიზაცია“);**

ლიბერალური პოლუსი აუცილებლად სჭირდება პარტიულ სისტემას, რადგანაც, ამ შემთხვევაში, ლიბერალიზმი არის ტოტალიტარული აზროვნების პრევენცია. ლიბერალიზმის პოლუსი საჭიროა კონსერვატიზმის ფუნდამენტალიზმისკენ **„სიარულის“** გასანეიტრალებლად. ლიბერალიზმი ფუნდამენტალიზმისა და ტოტალიტარიზმის პრევენციაა. ეს აქსიომა არისტოტელედან მომდინარეობს;

მესამე: ცენტრიზმი და ცენტრისტული პოლუსი, როგორც პრევენცია ყოველგვარი ულტრა-რადიკალური გადახრებისგან. ეს ცენტრისტული პოლუსი აუცილებლად უნდა შეიქმნას, თანაც ორი დინებისგან - **მემარჯვენე, ეროვნულ-ლიბერალური, ცენტრიზმი და მემარცხენე, სოციალ-დემოკრატული, ცენტრიზმი, „სოციალური სახელმწიფოს“ დოქტრინით.**

როცა ეს სამი პოლუსი ჩამოყალიბდება ქვეყანაში და პარტიული სისტემის სტრუქტურა ამ ტრიპოლიზმს დაეყრდნობა, ძირითადი პარტიული ქსელები შესაბამისი პოლუსების ორბიტებზე გადაჯგუფდებიან და **„ბევრპარტიულობის“** საშიშროება მინიმალიზებული იქნება.

ჩვენს საზოგადოებაში პოლიტიკური პარტიების მიერ გეოპოლიტიკური და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დოქტრინების ღია წესით დაფიქსირება ბევრ უბედურებას აარიდებდა საქართველოს. კერძოდ:

- მინიმუმამდე დაიყვანდა **„ბელადების“, „მხსნელების“** მოძალებას, რომლებიც როგორც წესი, სოკოებივით მრავლდებიან ქვეყანაში ყოველი ახალი არჩევნების წინ;
- ბოლოს მოუღებდა ქართულ პოლიტიკურ სივრცეში დამკვიდრებულ **„რიტუალს“:** ყოველი ახალი არჩევნების წინ პოლიტიკური ოპონენტების პერმანენტულ **„მხილებას“** ე.წ. **„პრორუსული“** ორიენტაციის მანიპულირებით.

რაც შეეხება ე.წ. **„პრორუსულ“** და **„პროდასავლურ“** ძალებს:

თუ გავითვალისწინებთ იმ მოსაზრებას, რომ გეოპოლიტიკა არის ხელისუფლების მსოფლმხედველობა, ე.წ. **„პრორუსული“** და **„პროდასავლური“** ორიენტაცია არის ხელისუფლების სათავეში მყოფი (ან ხელისუფლებაში მოსვლის მოსურნეთა) პოლიტიკური გუნდის გეოპოლიტიკური მსოფლმხედველობა.

გეოპოლიტიკური მსოფლმხედველობა არის ისეთი პოლიტიკური მსოფლმხედველობა, რომელიც ეფუძნება სივრცით აზროვნებას. მაგრამ სივრცითი აზროვნება მხოლოდ საკუთარი ისტორიული ტერიტორიის გონებაში **„შემოხაზვა“** კი არ არის, არამედ გარე სამყაროს მენტალური პროვოცირებაც, ანუ იმ სივრცის ძებნა, რომელმაც შენი შიდა სივრცე უნდა დაიცვას. ხოლო სტრატეგია ამგვარი მენტალობის პრაქტიკული დაგეგმვაა, ანუ ის სფეროა, რომელშიც გეოპოლიტიკა გეოსტრატეგიაში გადადის. ესე იგი, თუ ლიბერალიზმს მისდევ, **ატლანტისტი** (ანუ **„პროდასავლური“**) ხარ, ხოლო თუ მემარცხენეობას მისდევ, მაშინ – **ევრაზიისტი** (ანუ **„პრორუსი“**). ეს არის კანონი, რომელიც გამომდინარეობს პოლიტიკურ დოქტრინებსა და სივრცულ აზროვნებას შორის კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულებიდან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პარტიის თუ პოლიტიკოსის შიდაპოლიტიკური მრწამსიდან თავისთავად (უნდა მას, თუ არ უნდა) იშიფრება მისი მენტალური კავშირი გლობალურ ძალთა ცენტრებთან და გეოპოლიტიკური ინტერესების სისტემასთან. თუ ქვეყნის შიგნით ძლიერდება მემარცხენე პოლიტიკა, მაშინ აუცილებელი გახდება **პრორუსულ-პროევრაზიული** კურსი (თუნდაც შეფარული), ხოლო პირიქით – თუ შიგნით ძლიერდება ლიბერალური სექტორი, მაშინ გარდაუვალი ხდება **პროდასავლურ-ატლანტისტური** ორიენტაცია.

ქართულ პოლიტიკურ სივრცეში **„პროდასავლურ-ატლანტისტური“** და **„პრორუსულ-პროევრაზიული“** ძალები ჩანასახოვან მდგომარეობაში იმყოფებიან. შესაბამისად, პოლიტიკური პარტიების (ყოველ შემთხვევაში, თავის დიდ უმრავლესობაში) ე.წ. **„პროდასავლური“** და **„პრორუსული“** ორიენტაცია – ეს არის არა საქართველოს გეოპოლიტიკური ინტერესებით ნაკარნახევი მსოფლმხედველობა, არამედ ხელისუფლების სათავეში მოსვლის ან ძალაუფლების შენარჩუნების მოსურნეთა პიარ-ტექნოლოგია.

პარტიების პოლიტიკურ დოქტრინებში დაფიქსირებული საქართველოს გეოსტრატეგიის გამჭვირვალობა განაპირობებს პარტიათა შორის დაპირისპირების ანტისახელმწიფოებრივ ქმედებაში გადაზრდის მინიმიზაციას.

ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ე.წ. **„პროდასავლური“** და **„პრორუსული“** ძალები (ყოველ შემთხვევაში, თავის დიდ უმრავლესობაში) მოსახლეობაში მიზანმიმართულად ამკვიდრებენ ავადსახსენებელ სხვის იმედად ყოფნის სინდრომს, როგორც შეფუთულ იარაღს, ქართული სახელმწიფოს იმუნური სისტემის დასანგრევად, რამაც ქართველ ერში ეროვნული ცნობიერებისა და სახელმწიფოებრივი მენტალობის მოშლა უნდა გამოიწვიოს. აქედან გამომდინარე, პარტიების პროგრამებში დაფიქსირებული ქართული სახელმწიფოს მოწყობის ფორმა და გეოსტრატეგია ნიადაგს გამოაცლის ქვეყანაში მეხუთე კოლონის შექმნის პერმანენტულ საშიშროებას. შესაბამისად, უცხო სპეცსამსახურების მიერ გარედან შემოგდებული ნებისმიერი ანტიქართული იდეოლოგიური **„ვირუსი“** ჩანასახშივე განწირული იქნება მარცხისათვის.

ამრიგად, საქართველოში უნდა ჩამოყალიბდეს პოლიტიკური მმართველობის ისეთი სისტემა, რომელიც ნებისმიერი პოლიტიკური პარტიისათვის იქნება სავალდებულო და ხელშეუვალი.

როგორც კი პარტიული ელიტა მიიღებს საზოგადოების სოციალურ შეკვეთას ქართული სახელმწიფოს პოლიტიკური მოწყობის და გეოსტრატეგიის შესახებ, საარჩევნო ბატალიები ორიენტირებული იქნება არა **„ბელადებზე“, „მხსნელებზე“,** არამედ პიროვნულ ფაქტორებზე (ღირსება, ინტელექტი, მორალური პრინციპები).

მოახლოებული არჩევნების წინ, ქვეყანაში მყიფე პოლიტიკური ბალანსის შენარჩუნებისათვის, **„მთავარი დამკვეთი“ (აშშ - რუსეთი),** როგორც წესი, ისევე დაიწყებს სათადარიგო პარტიების შექმნას, რომლებიც ერთი მხრივ ხელს შეუშლიან ე.წ. **„ოპოზიციური“** პარტიების გაერთიანებას, ხოლო მეორე მხრივ, **„ნებადართული მამაცობის“** ფარგლებში ითამაშებენ მმართველი პოლიტიკური **„ელიტის“** დაკრულზე, ანუ მოირგებენ **„ოპოზიციური“** პარტიების ნიღაბს.

კლასიკური გაგებით, პოლიტიკური პარტიები საქართველოში არც არსებობენ. არიან მხოლოდ პირად სარგებელზე გათვლილი, სხვადასხვა ჯურისა და ყაიდის პოლიტიკური ორგანიზაციები:

- **ერთჯერადი მოხმარების პოლიტიკური ორგანიზაციები;**
- **სატელიტი პოლიტიკური ორგანიზაციები, რომელთაც მხოლოდ ერთი ფუნქცია აკისრიათ: ყოველი ახალი არჩევნების წინ შექმნან მოჩვენებითი დემოკრატიულობის ფონი მოქმედი მმართველი პარტიისათვის;**
- **ლოკალური (ქ.თბილისი) მოხმარებისათვის გათვლილი პოლიტიკური ორგანიზაციები.**

პარტიების და მათი ბოსების უმრავლესობას ამოძრავებს მხოლოდ ერთი მიზანი – პირადი სარგებელი. საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესები უცხო და უსარგებლო ტვირთია მათი ბუნებისათვის.

მყარი და სისტემური ტიპის პოლიტიკური პარტიების არარსებობა განსაზღვრავს, განაპირობებს კიდეც თანამედროვე ქართველი პოლიტიკოსის ფსიქოტიპს. უფრო მეტიც: პოლიტიკოსობა ყველაზე მიმზიდველი, სარფიანი და იოლად მისაწვდომი პროფესია გახდა საქართველოში.

- მომგებიანია იმიტომ, რომ პოლიტიკოსობა პრინციპში იოლი გზით დიდი ფულის შოვნის ან შავი ფულის გათეთრების სამართლებრივ გარანტიებს უზრუნველყოფს;
- პოლიტიკოსისათვის სულაც არ არის სავალდებულო ღრმა განათლება, პროფესიონალიზმი. პირიქით, ასეთი თვისებები, როგორიცაა მოლაყბეობა, **„პოზიორობა“,** არის სწორედ ის აუცილებელი ატრიბუტი, რაც ქმნის თანამედროვე ქართველი პოლიტიკოსის იმიჯს;
- ქართველი პოლიტიკოსი (ყოველ შემთხვევაში, მათი დიდი უმრავლესობა) მთლიანად განთავისუფლებულია პასუხისმგებლობის გრძნობისაგან. მასში მყარად ზის დაუსჯელობის სინდრომი (ედუარდ შევარდნაძიდან მოყოლებული დღემდე!)

ყოველი ახალი არჩევნების წინ, ერთმანეთის მონაცვლეობით, სხვადასხვა ჯურისა და ორიენტაციის პოლიტიკური პარტიების გამოჩენა ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილის მანკიერი ცნობიერების მაჩვენებელია. **„ბევრპარტიულობა“** (და არა მრავალპარტიულობა, რომელიც **„უჩემოდ ვინ იმღერეთას“** თვითგამოხატვის ერთ - ერთი ისტორიული ფორმაა) მხოლოდ ერთი ადამიანის ახირება არაა. ის ზოგადქართული სენია, რომელიც მეტ-ნაკლები სიმწვავით იჩენს თავს ამა თუ იმ ისტორიულ ეპოქაში. ასე რომ, პოლიტიკურ პარტიათა ადგილმონაცვლეობითა და პოლიტიკურ ლიდერთა გადაადგილებით, ჯამი (ანუ **„ბევრპარტიულობის“** სინდრომი) არ იცვლება.

ქართულ პოლიტიკურ სივრცეში **„ბევრპარტიულობის“** სინდრომის თვითდამკვიდრება, ძირითადად, ხორციელდება **პერსონიფიცირებული** პოლიტიკური პარტიების გაპიარებისა და უცხო სპეცსამსახურების მიზანმიმართული მხარდაჭერის გზით.

ქვეყანაში მყიფე პოლიტიკური ბალანსის შენარჩუნებისათვის უპრიანია **პერსონიფიცირებული** პარტიების მხარდაჭერა, რადგანაც ასე უფრო მოსახერხებელია ქართულ პოლიტიკურ ელექტორატზე კონტროლი, საზოგადოების მანიპულირება და ქვეყანაში მართვადი პოლიტიკური ქაოსის შექმნა.

აქცენტი, ძირითადად, კეთდება ყველაზე კორუმპირებულ და ხალხისათვის მიუღებელ **პერსონიფიცირებული** პარტიის ლიდერებზე, რადგან ასე უფრო იოლია ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ობიექტების ხელში ჩაგდება, ქვეყნებში მყიფე პოლიტიკური ბალანსის შენარჩუნება.

მიუხედავად იმისა, რომ **„მთავარი დამკვეთი“, (აშშ - რუსეთი)** აფინანსებს საქართველოში მოქმედი პარტიების ერთ ნაწილს (უკეთეს შემთხვევაში, მორალურ მხარდაჭერას უცხადებს მათ) ამ ეტაპზე არც ერთ **პერსონიფიცირებულ** პარტიაზე არ კეთდება საგანგებო მხარდაჭერას. ასე მაგალითად, კრემლი პრომოსკოვურად განწყობილ პარტიებს შორის უნდობლობას თესავს და ყოველმხრივ ცდილობს დაარწმუნოს პარტიების ლიდერები, რომ ხელისუფლების სათავეში მათი მოსვლა მხოლოდ მოსკოვის მხარდაჭერითაა შესაძლებელი და არა ეროვნული კონსოლიდაციით.

პერსონიფიცირებული პოლიტიკური პარტიები, მათი მენტალობიდან გამომდინარე, საკუთარ თავში ატარებენ განდგომისა და განკერძოების სინდრომს. შესაბამისად, უშედეგოა საუბარი მათ გაერთიანებაზე. მეორეს მხრივ, **პერსონიფიცირებულ** პარტიათა გაერთიანება - გამსხვილების შემთხვევაში, უპირობოდ ქრება ამ პარტიის ლიდერთა ინდივიდუალური **„მე“.** საერთო პარტიულ მასაში კნინდება მათი ისედაც უსუსური პიროვნული და ინტელექტუალური ღირსებები. მხოლოდ **პერსონიფიცირებულ** პარტიათა არსებობის პირობებშია შესაძლებელი, ხელმოცარულ პარტიულ ბოსთა ავადმყოფური ამბიციების დაკმაყოფილება.

პერსონიფიცირებული პარტიების (რომლებიც თავის თავში ატარებენ ავტორიტარული რეჟიმის წინაპირობას) ლოგიკური აღსასრული, როგორც წესი, ახლოვდებოდა ხელისუფლების შენარჩუნების მანიაკალური სურვილის პარალელურად. ხელისუფლების შენარჩუნება, **პერსონიფიცირებული** პარტიების მხრიდან, ხშირ შემთხვევაში, იდენტიფიცირდება ქვეყნის გადარჩენის აკვიატებულ იდეასთან. ასეთ სიტუაციაში მმართველი პარტიების **(„მოქალაქეთა კავშირი“; „ნაციონალური მოძრაობა“; „ქართული ოცნება“)** მიერ საგანგებოდ იქმნება შიდა მტრის ხატი (იგულისხმება ხელისუფლების მაძიებელთა რიგში ჩამდგარი ჩამნაცვლებელი **პერსონიფიცირებული** პარტიების უმრავლესობა), რათა საგანგებოდ შექმნილი **„მტრების“** პერმანენტული **„მხილების“** ფონზე მოხერხებულად მოირგონ **„ერის მხსნელის“** იმიჯი.

პერსონიფიცირებული პარტიები, მათი მენტალობიდან გამომდინარე, ნებსით თუ უნებლიედ, აფერხებენ ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობას. წრეგადასული პარტიული კინკლაობით ზარალდება საერთო ქართული **საქმე. „მთავარი დამკვეთი“ (აშშ-რუსეთი)** მართვადი პოლიტიკური ქაოსით ინარჩუნებს გეოპოლიტიკურ სტატუს-კვოს საქართველოში (შესაბამისად, კავკასიაშიც). **„ბევრპარტიულობის“** სინდრომით შეპყრობილი პოლიტიკური სპექტრის დიდ ნაწილს ქვეყანაში შექმნილი სავალალო, გაუსაძლისი მდგომარეობა არანაირად აწუხებს.

ამრიგად, თუ გვიანდელი შუა საუკუნეების ქართველი ფეოდალები ეროვნულ ენერგიას საქართველოს ერთიანი სხეულის დანაწევრება-გლეჯვაში, ერთმანეთთან ჯიბრსა და შურიანობაში ხარჯავდნენ, ფეოდალურ წიაღში ჩასახულმა და ქართული ფსიქოლოგიის შრეებში ღრმად დალექილმა **„უჩემოთ ვინ იმღერეთას“** სინდრომმა, თავისი ადეკვატური ასახვა, ოღონდ მოდერნიზებული ფორმით, საგანგებოდ შექმნილ **პერსონიფიცირებულ** პარტიებში პოვა.

როგორც ნიანგის კვერცხებიდან გამოჩეკილი წიწილები იმთავითვე ამჟღავნებენ აგრესიას, ასევე, საგანგებოდ შექმნილი **პერსონიფიცირებული** პარტიები იწყებენ ჯგუფურ გამოსვლებს ერთმანეთის წინააღმდეგ. ქმედებაში მოდის ყველა დასაშვები თუ აკრძალული ხერხი: ჩასაფრება, წარსულ ცოდვებში მჩხრეკელობა, ინტიმური თუ პიკანტური დეტალების გამოაშკარავება (ძირითადად, მასმედიის საშუალებით). ერთი შეხედვით, საგანგებოდ შექმნილ **პერსონიფიცირებულ** პარტიებს უნდა ამოძრავებდეთ საზოგადოების სოციალური დაკვეთა. მაგარამ ეს ერთი შეხედვითაა ასე. სინამდვილეში, არც ერთი პარტია (ყოველ შემთხვევაში, მათი დიდი უმრავლესობა) არ არის მონოლითური, არა აქვს ფუნდამენტური ხედვა ქართული სახელმწიფოს სტრატეგიულ საკითხებზე. თითოეული პარტიის ლიდერს (ყოველ შემთხვევაში, მათ დიდ უმრავლესობას) აწუხებს **„უჩემოთ ვინ იმღერეთას“** სინდრომი და საკუთარ გუნდს სწორედ ამ პრინციპით ქმნის. ეროვნულ-სახელმწიფოებრივ პრობლემებს ის უყურებს კონფორმიზმის, კოლაბორაციონიზმის პოზიციებიდან და იდეალად ისახავს არა საერთო-სახელმწიფოებრივი საქმის სამსახურს, არამედ ერთმანეთს შორის ჯიბრსა და განდგომას.

ქართველი პოლიტიკოსი (ყოველ შემთხვევაში, მათი დიდი უმრავლესობა) პირადი ინტერესებიდან გამომდინარე აფასებს ყოველგვარ საზოგადო საქმეს, ეროვნულ-პოლიტიკურ წამოწყებას (იქნება ეს ევრაზიულ გეოპოლიტიკურ სივრცეში დარჩენის მიზანშეწონილობა თუ ნატოში საქართველოს გაწევრიანების აუცილებლობა).

წახდება თუ არა ამით საერთო საქმე, ეს ქართველ პოლიტიკოსს (ყოველ შემთხვევაში, მათ დიდ უმრავლესობას) არ აწუხებს. მთავარია, ის გაიცნოს ქართულმა საზოგადოებამ, თუნდაც ეს გაცნობა მოხდეს სკანდალური განცხადების საფუძველზე. თუ რა შედეგების მომტანი იქნება ამდაგვარი ოდიოზური განცხადებები საზოგადოებისათვის, ეს ქართული პოლიტიკური სპექტრის დიდ ნაწილს ოდნავაც არ აღელვებს.

ისტორიულად, საქართველოში საზოგადოებრივ აზრს, როგორც წესი, გამოხატავდა პიროვნება ან მმართველი ელიტა. ამიტომაც, ქართული საზოგადოებრივი აზრი პერსონალიზმის ელფერს უფრო ატარებდა, ვიდრე მთელი ხალხის საერთო განწყობას.

პერსონიფიცირებულ პარტიებს (თავის დიდ უმრავლესობაში) ამოძრავებთ მხოლოდ ამ პარტიის შემქმნელთა პარადი ინტერესები და ანგარება. შესაბამისად, **პერსონიფიცირებული** პარტიის ლიდერის გარშემო იქმნება კასტა, რომელიც, ძირითადად, ყალიბდება არა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მენტალობის მქონე პიროვნებებით, არამედ პირადი გამორჩენისა და შემგუებლური ინსტინქტებით შეპყრობილი ავანტიურისტებით. პარტიული კასტა ცდილობს, აამოს თავის ლიდერს და მისი გუნება-განწყობილების გათვალისწინებით ააგოს პარტიული საქმიანობა. აქედან გამომდინარე. ხშირ შემთხვევაში, პარტიული ელიტის კარი დახშულია ღირსეული და განათლებული პიროვნებებისათვის. შესაბამისად, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მენტალიტეტის მქონე პატიოსანი, ღირსეული პარტიული კადრები წამყვანი თანამდებობების მიღმა რჩებიან და შორიდან მაცქერალის სტატუსს სჯერდებიან. ამასობაში პარტიული ელიტა კომპლექტდება ყოვლად გაუნათლებელი და დენაციონალიზებული პიროვნებებით, რომლებსაც ამოძრავებთ მხოლოდ პირადი სარგებელი, კონფორმიზმი და არა საერთო ქართული საქმე.

პერსონიფიცირებული პარტიები, რომელთა უმრავლესობას ამოძრავებს მხოლოდ პირადი სარგებელი, კონფორმიზმი, საკუთარი პირადი ანგარებიდან გამომდინარე (წრეგადასული პატივმოყვარეობა, ბიზნეს-ინტერესები) არასოდეს თაკილობდნენ ყოველი ახალი საპარლამენტო არჩევნების წინ გარიგებაზე წასულიყვნენ ხელისუფლებასთან. ამასთან ერთად, უნდა გავითვალისწინოთ პოლიტიკური პროცესები საქართველოში (ასევე კავკასიის რეგიონშიც). თუ საქართველოში დაირღვევა პოლიტიკური ბალანსი აშშ-რუსეთს შორის და საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება გააკეთებს მკვეთრ გეოპოლიტიკურ არჩევანს რუსეთის სასარგებლოდ, მაშინ თეთრი სახლის ადმინისტრაცია დაუყოვნებლივ აამოქმედებს მეხუთე კოლონას. მაგრამ თუ დაირღვევა გეოპოლიტიკური ბალანსი აშშ-ის სასარგებლოდ, მაშინ მოსკოვი ქმედებაში მოიყვანს დესტაბილიზაციის ნაცად, გამოცდილ ხერხს - ეთნოკონფლიქტებს (ნელი მოქმედების ნაღმებს).

შესაბამისად, მყიფე პოლიტიკური ბალანსის შენარჩუნების მიზნით და მთავარი „**დამკვეთის**“ **(აშშ-რუსეთი)** ზეწოლის საფუძველზე, ხელისუფლებას **(„ქართულ ოცნებას“)** და **„ჟონგლიორი“** ოპოზიციური პარტიების უმრავლესობას შორის, სავარაუდოდ, შედგება ფარული გარიგება. სავარაუდოდ, სახელისუფლებო სკამების მაძიებელთა რიგში ჩამდგარი **„ჟონგლიორი“** ოპოზიციის დიდი უმრავლესობა ხელისუფლებისგან, სარფიანი გარიგების საფასურად, გარკვეულ სარგებელს, შეღავათებს მიიღებს:

- **„ჟონგლიორი“** ოპოზიციის უმრავლესობის ბიზნეს-ინტერესების ხელშეუხებლობა;
- სარფიანი გარიგება სადეპუტატო მანდატების კვოტირებასთან დაკავშირებით;
- მთავარი **„დამკვეთის“ (აშშ-რუსეთი)** დაჟინებული მოთხოვნის საფუძველზე, მოქმედ მმართველ პარტიას (**„ქართულ ოცნებას“**) და **„ოპოზიციურ“** პარტიებს შორის საჩვენებელი **„კონსტრუქციული“** დიალოგით მანიპულირება, ქვეყანაში მყიფე პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნებისათვის.

აქედან გამომდინარე, **„ჟონგლიორი“** ოპოზიციის უმრავლესობამ, ხელისუფლებასთან ფარული გარიგების საფასურად, არჩევნების პროცესში უნდა შექმნას მოჩვენებითი დემოკრატიულობის ფონი, რათა დასავლეთის თვალში **„ქართული ოცნების“** გამარჯვება გამოიყურებოდეს ლეგიტიმურად. საარჩევნო ბაკქანალიის შემდეგ გამარჯვებული **„ქართული ოცნება“** და **„ჟონგლიორი“** ოპოზიციის უმრავლესობა, რასაკვირველია, ჩვეულ რეჟიმში გააგრძელებენ ქართული ეროვნული ენერგიის დაქსაქსვას, დაშლას და ამ ენერგიის გადამისამართებას სხვადასხვა ჯურის და ყაიდის პოლიტიკურ პარტიებზე. ხოლო უაზრო დაპირისპირებისაგან დაქანცულ, ენერგიისაგან დაცლილ ქართულ საზოგადოებას კვლავინდებურად მოუწევს უფერული, ყოველდღიური ყოფითი პრობლემების მოგვარება, მონოტონურ ცხოვრებისეულ რეჟიმში ჩვეული არსებობის გაგრძელება.

ამ გადასახედიდან გარკვეულ ინტერესს იწვევს კანონი **„უცხოური გავლენის აგენტების“** შესახებ, რომელმაც გარკვეული თვალსაზრისით ლაკმუსის ქაღალდის ფუნქცია შეასრულა ქართული ოპოზიციის ფსიქოლოგიური მდგომარეობის, პოლიტიკური რესურსების სრული სახის გამოვლინებისათვის.

- რამდენად მტკიცეა ოპოზიციის ერთიანობა, თუ ეს ერთიანობა მყიფეა, მოჩვენებითი;

- რა ძირითადი ფაქტორები განსაზღვრავენ ოპოზიციის ერთიანობას და რამდენად მოტივირებულია მათი ბრძოლა მმართველი პარტიის წინააღმდეგ;
- რამდენად ადეკვატური იქნებოდა ქართული საზოგადოების რეაქცია საკუთრივ **„ქართული ოცნების“** გამოწვევაზე (ვგულისხმობთ კანონს **„უცხოური გავლენის აგენტების“** შესახებ).

ოცდაათწლიანმა უფერულმა, მონოტონური ცხოვრების რუტინამ ბევრწილად განსაზღვრა ქართული საზოგადოების ერთი ნაწილის ცნობიერებაში **შემგუებლური ფსიქოლოგიის** ჩამოყალიბება. საზოგადოებაში გაჩნდა სკეფსისი: ხომ არ გააგრძელებდა ქართველი ერი თავის უღიმღამო არსებობას ჩვეულ რეჟიმში ანუ პოლიტიკური **„ელიტისადმი“** დამოკიდებულებაში ბრძოლის უპერსპექტივობის შეგრძნების დემონსტრირებას.

აქედან გამომდინარე, მმართველი პარტიის **(„ქართული ოცნების“)** ვარაუდით, **შემგუებლური ფსიქოლოგიის** სენით შეპყრობილი ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილი პოლიტიკური მოვლენებისადმი კვლავინდებურად შორიდან მაცქერლის, ანუ ისტორიული პროცესებისადმი პასიური შემყურის როლს დასჯერდებოდა.

- ფაქტია: კანონმა **„უცხოური გავლენის აგენტების“** შესახებ ვერ გააერთიანა ქართველი ერი (უფრო ზუსტნი თუ ვიქნებით გაერთიანება მოხდა მხოლოდ იმპულსურ-ემოციურ დონეზე). ეროვნული ენერგიის უსისტემო ხარჯვამ, წრეგადასულმა პარტიულმა კინკლაობამ, საკუთარი ძალებისადმი უსუსურობის შეგრძნება დაბადა ქართული საზოგადოების ერთ ნაწილში;
- მიუხედავად ხალხის არნახული მხარდაჭერისა, **„უჩემოთ ვინ იმღერეთას“** სინდრომით შეპყრობილმა **პერსონიფიცირებულმა** პარტიებმა ვერ შესძლეს დაეძლიათ ვიწრო პარტიული, კლანური ინტერესები. როგორც მოსალოდნელი იყო პარტიულმა ბოსებმა (თავიანთი კოლაბორაციონიზმული ბუნებიდან გამომდინარე) პარტიული ამბიციები არ მოიყვანეს შესაბამისობაში სახელმწიფოს ეროვნულ ინტერესებთან და აქედან გამომდინარე ვერ ჩამოყალიბდნენ ერთიან, მონოლითურ ოპოზიციურ ძალად. ოპოზიციის ერთიანობა ნერვასტენიკულ-ემოციური უფრო აღმოჩნდა, ვიდრე პრაგმატული, გათვლილი ქართული სახელმწიფოს ეროვნულ ინტერესებზე. აქედან გამომდინარე ოპოზიციის **ფართიფურთმა** ვერანაირი ზეწოლა ვერ მოახდინა ხელისუფლების პოლიტიკურ გადაწყვეტილებაზე. უფრო მეტი: მმართველი პარტია **(„ქართული ოცნება“)** კანონში **„უცხოური გავლენის აგენტების“** შესახებ უმნიშვნელო დათმობაზეც კი არ წავიდა ოპოზიციასთან!

ამრიგად, მმართველი პარტიის **(„ქართული ოცნების“)** ვარაუდით მიტინგების უთავბოლო გაგრძელება, ხელისუფლების მხრიდან არანაირ დათმობაზე არწასვლის ფონზე, ქართულ საზოგადოებაში იმედგაცრუებას და ოპოზიციისადმი უნდობლობას გამოიწვევდა;

- მიტინგური ისტერიის **(ეს ეხება მხოლოდ და მხოლოდ ოპოზიციას და არა ქართველ ერს!)** ჩაცხრობის შემდეგ ოპოზიცია დროებით მიყუჩდა და მომლოდინე, შორიდან მაცქერალის პოზიცია დაიკავა. ოპოზიციის ასეთმა რადიკალურმა სახეცვლილებამ სკეფსისი გააჩინა ქართულ საზოგადოებაში. ხომ არ წავიდა ოპოზიცია (ყოველ შემთხვევაში, მისი დიდი უმრავლესობა) სარფიან გარიგებაზე მმართველ პარტიასთან **(„ქართული ოცნებასთან“)**? ხომ არ გამოიყენებს ოპოზიცია (ყოველ შემთხვევაში, მათი დიდი უმრავლესობა) ქართველი ერის პოლიტიკურ ნებას, როგორც გასაცვლელ ვალუტას, ხელისუფლებასთან სავაჭროდ: **შემგუებლური ფსიქოლოგია** – სადეპუტატო მანდატების სარფიანი გადანაწილების საფასურად.

ამრიგად, ხანგრძლივი დროის პერიოდში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის არარსებობამ, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მენტალობის მოშლამ, საქართველოს პოლიტიკური სპექტრის დიდი ნაწილი **ავგეას თავლებს**[3] დაამსგავსა. ქართველმა ერმა (განსაკუთრებით ახალგაზრდობამ) დროა, რომ ხელში აიღოს დიდი ცოცხი და გაწმინდოს ქართული პოლიტიკური **„ელიტა“** რუსეთის ორასწლოვანი ბატონობის შედეგად წარმოქმნილი მონური ცნობიერებისგან.

[3] ელიდის მეფე **ავგეამ** დაავალა ჰერაკლეს გაეწმინდა საქონლის ნაკელისაგან მისი უზარმაზარი ბოსლები და თავლები. **ავგეას** ბოსლები და თავლები დიდი ხნის განმავლობაში ნაკელისგან გაწმენდილი არ იყო და შესაბამისად მისი სუნი ყარდა მთელს ქალაქში. ჰერაკლემ ორი მდინარე **ალფეოსი** და **პენეოსი** მიუშვა თავლებისაკენ და სრულად გაწმინდა ის საქონლის ნაკელისაგან.